

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

**იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეხუთე
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

14 ივნისი, 2017, გორი, საქართველო

სამეცნიერო კონფერენციის მასალები



GORI STATE TEACHING UNIVERSITY

Faculty of Humanities

Educational Scientific Center of the Georgian Language and Literature

The Fifth International Scientific Conference

Dedicated to Iakob Gogebashvili

June 14, 2017, Gori, Georgia

ARTICLES OF THE CONFERENCE

წინამდებარე კრებული მოიცავს 2017 წლის 14 ივნისს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიერ ჩატარებული იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებს.

საორგანიზაციო კომიტეტი:

- **გიორგი სოსიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე
- **გიორგი ხორბალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ალექსანდრე მღებრიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **იოსებ ალიშარაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ანა იმნაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, კომიტეტის წევრი
- **ლევან მიდოდაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, კომიტეტის წევრი

პროგრამული კომიტეტი:

- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე
- **გიორგი გოგოლაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ავთანდილ არაბული**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ვაჟა შენგელია**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **მანანა მიქაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **მამია ფაღავა**, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **როინ ჭიკაძე**, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **სოსო სიგუა**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ქეთევან ჭკუასელი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **თეიმურაზ დოიაშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, დოქტორი, კომიტეტის წევრი
- **ლევან ბრეგაძე**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, დოქტორი, კომიტეტის წევრი
- **რეუვენ ენოხი**, არიელის უნივერსიტეტი (ისრაელი), პროფესორი, კომიტეტის წევრი

სარედაქციო კოლეგია:

- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **გიორგი გოგოლაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **ავთანდილ არაბული**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროფესორი
- **თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **რეუვენ ენოხი**, არიელის უნივერსიტეტი (ისრაელი), პროფესორი

The presented collection covers the articles of the Fifth International Scientific Conference after Iakob Gogebashvili held by the Educational-Scientific Center of the Georgian Language and Literature on June 14, 2017 at Gori State Teaching University.

ORGANIZATION COMMITTEE:

- **Giorgi Sosiashvili**, Rector Gori State Teaching University, Professor, Head of Committee
- **Giorgi Khorbaladze**, Gori State Teaching University, Head of Administration, Associate Professor, Member of Committee
- **Aleksandre Mghebrishvili**, Gori State Teaching University, Deputy Rector, Professor, Member of Committee
- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of Georgian Language and Literature, Professor, Member of Committee
- **Ioseb Alimbarashvili**, Gori State Teaching University, Dean of Faculty of Humanities, Associate Professor, Member of Committee
- **Ana Imnadze**, Gori State Teaching University, Head of Strategic Development, International and Public Relations Service, Member of Committee
- **Levan Midodashvili**, Gori State Teaching University, Head of Quality Assurance Service, Professor, Member of Committee

PROGRAME COMMITTEE:

- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Professor, Head of Committee
- **Giorgi Gogolashvili**, Gori State Teaching University, Professor, Member of Committee
- **Avtandil Arabuli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Professor, Member of Committee
- **Vazha Shengelia**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Professor, Member of Committee
- **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University, Professor, Member of Committee
- **Manana Mikadze**, Akaki Tsereteli State University, Professor, Member of Committee
- **Mamia Paghava**, Batumi Shota Rustaveli State University, Professor, Member of Committee
- **Roin Chikadze**, Iakob Gogebashvili Telavi State University, Associate Professor, Member of Committee
- **Soso Sigua**, Gori State Teaching University, Associate Professor, Member of Committee
- **Ketevan Chkuaseli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor, Member of Committee
- **Teimuraz Doiashvili**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Doctor, Member of Committee
- **Levan Bregadze**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Doctor, Member of Committee
- **Reuven Enokh**, Ariel University (Israel), Professor, Member of Committee

EDITORIAL BOARD:

- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Professor
- **Giorgi Gogolashvili**, Gori State Teaching University, Professor
- **Avtandil Arabuli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Professor
- **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University, Professor
- **Reuven Enokh**, Ariel University (Israel), Professor

ISBN 978-9941-8-0637-7

შინაარსი CONTENTS

ენათმეცნიერება Linguistics

იოსებ ალიმბარაშვილი - „მარისტების“ პოლემიკა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში XX საუკუნის 40-იან წლებში – 7

Ioseb Alimbarashvili - THE POLEMICS OF "MARISTS" AT GORI PEDAGOGICAL INSTITUTE IN THE 40S OF XX CENTURY – 7

ვიანორ ახალაია - იოსებ ყიფშიძე, ლაზეთი, ჭანური და ... დავით კლდიაშვილი – 14

Vianor Akhalaia - IOSEB KIPSHIDZE, LAZETI, CHAN AND DAVID KLDIASHVILI – 14

ლევან ბრეგაძე - გრამატიკულად არასწორი ზოგიერთი ფორმის სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციისათვის – 19

Levan Bregadze - WORD-DISTINCTIVE FUNCTION OF SOME GRAMMATICALLY INCORRECT FORMS – 19

გიორგი გოგოლაშვილი - ტერმინ „დედაენის“ ისტორია და მნიშვნელობა – 22

Giorgi Gogolashvili - THE HISTORY AND MEANING OF THE TERM დედაენა – 22

რეუვენ ენოხი, თამარ ლომთაძე, - შენიშვნები ქართველ ებრაელთა ენობრივ იდეტიფიკაციასთან დაკავშირებით – 30

Reuven Enokh, Tamar Lomtadze - SOME NOTES ON THE LINGUISTIC IDENTITY OF THE GEORGIAN JEWS – 30

მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი, მარინა ჯღარკავა - კეთილი და ბოროტი, სიკვდილი და სიცოცხლე ერთ კონცეპტში (ქართველური ენობრივი მონაცემების მიხედვით) – 35

Marine Kakachia, Ketevan Margiani, Marina Jgharkava - KIND AND VICIOUS, DEATH AND LIFE IN ONE CONCEPT (ON THE DATA OF THE KARTVELIAN LANGUAGES) – 35

მარიამ კობერიძე - იოანე ქართველიშვილის „მემუარების“ ენისა და სტილის ზოგი საკითხისათვის – 40

Mariam Koberidze - SOME ISSUES OF THE LANGUAGE AND STYLE OF IOANE KARTVELISHVILI'S „MEMOIRS“ – 40

ლელა მახვილაძე - კონვერსიის საკითხისათვის გერმანულ ენაში – 46

Lela Makhviladze - THE PROBLEM OF CONVERSION IN THE GERMAN LANGUAGE – 46

ნიკოლოზ ოთინაშვილი - ორი გვარის (გოგებაშვილი, ელიოზიძე) სიგელთა პალეოგრაფიულ-ენობრივი თავისებურებანი – 52

Nikoloz Otinashvili - TWO SURNAMES (GOGEBASHVILI, ELIOZIDZE) DEEDS PALEOGRAPHICAL-LINGUISTIC PARTICULARITY – 52

მერი ცუცქირიძე - სიტუაციონალურობა, როგორც ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის საკითხი – 55

Meri Tsutskiridze - SITUATIONALITY, AS THE STUDY OF TEXT LINGUISTIC – 55

ელენე ხოჯევანიშვილი - იაკობ გოგებაშვილი - უპირველესი მოღვაწე ქართული ენის ქომაგთა დასში (როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „ბურჯი ეროვნებისა“ მიხედვით) – 57

Elene Khojevanishvili - JACOB GOGEBASHVILI-THE FIRST PUBLIC MAN AMONG THE SUPPORTERS OF THE GEORGIAN LANGUAGE (ACCORDING TO ROSTOM CHKHEIDZE'S BIOGRAPHIC NOVEL – "THE SUPPORTER OF NATIONALITY") – 57

ლიტერატურათმცოდნეობა Literature Studies

ლევან ბებურიშვილი - მტრის კონცეპტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში – 63

Levan Beburishvili - THE CONCEPT OF ENEMY IN VAZHA-PSHAVELA'S LITERARY WRITINGS – 63

მაია ბოლაშვილი, რუსუდან ბერიძე - დიალექტი დედანსა და თარგმანში (დ. ჰ. ლორენსის მცირე პროზის მიხედვით) – 69

Maia Bolashvili, Rusudan Beridze - THE DIALECT IN ORIGINAL AND IN TRANSLATION (ACCORDING D.H. LAWRENCE SHORT PROSE) – 69

- მაია გელიაშვილი - თავისუფლების პარადიგმა ოთარ ჭილაძის ჩანაწერებში – 74
Maia Geliashvili - *THE PARADIGM OF FREEDOM IN THE WRITINGS OF OTAR CHILADZE* – 74
- თამარ გელიტაშვილი - ვაჟა-ფშაველა და კოსმიური ერთმთლიანობის იდეა – 77
Tamar Gelitashvili - *VAZHA-PHAVELA AND THE IDEA OF COSMIC UNITY* – 77
- თამარ გოგოლაძე - „ძველი აღთქმა“ ბავშვებისათვის (XIX ს. 80-იანი - XX ს. დასაწყ.) არქიმანდრიტ ნესტორის, გიორგი იოსელიანისა და იაკობ გოგებაშვილის ტექსტებში – 82
Tamar Gogoladze - *"OLD TESTAMENT" FOR CHILDREN (80S OF THE XIX - BEGINNING OF THE XX CENTURIES) IN THE TEXTS OF ARCHIMANDRITE NESTOR, GIORGI IOSELIANI AND IAKOB GOGEBASHVILI* – 82
- თეიმურაზ დოიაშვილი - გალაკტიონ ტაბიძის მეორე პოეტური რეფორმის ერთი ასპექტი – 85
Teimuraz Doiashvili - *ONE POINT OF VIEW OF GALAKTION TABIDZE'S SECOND POETICAL REFORM* – 85
- ნინო ვახანია - ქართული მწერლობის პროფესიონალიზაციის სათავეებთან – 88
Nino Vakhania - *AT THE BEGINNINGS OF PROFESSIONALIZATION OF GEORGIAN WRITING* – 88
- მაკა კვარაცხელია - ბავშვები და ბავშვობის თემა სტივენ კინგის შემოქმედებაში – 92
Maka Kvaratskhelia - *CHILDREN AND CHILDHOOD THEME IN STEPHEN KING'S CREATIONS* – 92
- მარიამ მარჯანიშვილი - გიორგი კერესელიძის ეპისტოლეთა რემინისცენცია – 96
Mariam Marjanishvili - *REMINISCENCES OF GIORGI KERESHELIDZE'S EPISTLES* – 96
- მაია მელანაშვილი - პიკარესკული ჟანრი და მისი ქართული ნიმუშები – 102
Maia Melanashvili - *PICARESQUE GENRE AND ITS GEORGIAN SAMPLES* – 102
- ციალა მესხია - ფილოსოფიური ლირიკის ასპექტები დავით გაბუნიაშვილის პოეზიაში – 111
Tsiala Meskhia - *THE ASPECTS OF PHILOSOPHICAL LYRICS IN DAVIT GABUNIA'S POETRY* – 111
- მურად მთვარელიძე - ტიცთან ტაბიძის დაბადების თარიღისათვის – 116
Murad Mtvarelidze - *FOR THE DATE OF BIRTH OF TITSIAN TABIDZE* – 116
- ალექსანდრე მღებრიშვილი - დეკანოზ იროდიონ ოქროპირიძის მისიონერული საქმიანობა საინგილოში – 118
Aleksandre Mgebrishvili - *THE MISSIONARY WORK OF THE DEAN IRODION OKROPIRIDZE IN SAINGILO* – 118
- ლანა ნადარეიშვილი - პატრიკ ზიუსკინდის „სუნამოს“ ჟანრული განსაზღვრისთვის – 125
Lana Nadareishvili - *ABOUT DEFINITION OF GENRE PATRICK SUSKIND'S ROMAN "PERFUME"* – 125
- ზურაბ ოქროპირიძე - იაკობ გოგებაშვილი და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი – 130
Zurab Okropiridze - *IAKOB GOGEBASHVILI AND ISSUE OF THE GEORGIAN CHURCH AUTOCEPHALY* – 130
- ნელი პეტრიაშვილი - მტერი როგორც აბსტრაქტულ-ფილოსოფიური სუბსტანცია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ – 135
Neli Petriashvili - *THE ENEMY AS AN ABSTRACT AND PHILOSOPHICAL SUBSTANCE IN SHOTA RUSTAVELI "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN"* – 135
- ნათია სიხარულაძე - „ახალ ტალღას“ რეალობასა და მისტიფიკაციას შორის – 139
Natia Sikharulidze - *BETWEEN REALITY AND MYSTIFICATION* – 139
- ნონა კომეთიანი - ირლანდიური თემა ჯორჯ მურის მოთხრობების კრებულში „მოუხვნელი ველი“ – 145
Nona Kometiani - *IRISH THEME IN GEORGE MOORE'S COLLECTION OF STORIES "THE UNTILLED FIELD"* – 145
- მარინე ცერცვაძე - „ჩავიხედოთ ჩვენი შვილების სახელმძღვანელოებში“ – 150
Marine Tsertsvadze - *LET'S LOOK AT OUR CHILDREN'S TEXTBOOKS* – 150
- გიორგი ხორბალაძე - მავთულხლართი - ახალი პრობლემა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების მიხედვით) – 154
Giorgi Khorbaladze - *BARBED WIRES - A NEW PROBLEM IN MODERN GEORGIAN LITERATURE (ACCORDING TO GIORGI SOSIASHVILI'S STORIES)* – 154

პედაგოგია Pedagogics

ლუიზა ბერუაშვილი - ერთი მივიწყებული ქართველი მოღვაწეთაგანი – 158
Luiza Beruashvili - *ONE OF THE FORGOTTEN GEORGIAN FIGURES* – 158

ლატავრა ბუკია - იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ - სწავლა-აღზრდის საკითხები თედო სახოკიას „როგორ ვიზრდებოდით ძველად“- ის მიხედვით /დაწყებითი განათლება/ – 165
Latavra Bukia - *IAKOB GOGEBASHVILI “DEDAENA” – QUESTIONS ON TEACHING AND UPBRINGING ACCORDING TO TEDO SAKHOKIA “HOW WE GREW UP IN THE PAST”* – 165

ნინო დავითაშვილი - პედაგოგის როლი უცხო ენის სწავლებისას – 171
Nino Davitashvili - *A TEACHER’S INFLUENCE ON TEACHING/LEARNING A FOREIGN LANGUAGE* – 171

ხათუნა დოლიაშვილი - მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები – 176
Khatuna Doliasvili - *THE STRATEGIES OF INCREASING STUDENT MOTIVATION* – 176

ლია ინაიშვილი - მასწავლებლის მომზადება ოჯახთან ურთიერთობისათვის (რუსულ ენაზე) – 180
Lia Inaishvili - *TEACHER’S READINESS TO HAVE A RELATIONSHIP WITH A FAMILY* (in Russian) – 180

პაატა ქურდაძე - შინაგანი კონტროლის როლი პიროვნების ფორმირებაში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით – 183
Paata Kurdadze - *THE ROLE OF INNER CONTROL IN FORMATION OF A PERSONALITY ACCORDING TO SHOTA RUSTAVELI “THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN”* – 183

დავით ჩოჩიშვილი - კითხვის სტრატეგიების მრავალფეროვნების ეფექტურობა დაწყებით კლასებში – 187
Davit Chochishvili - *THE EFFICACY OF THE MULTICITY STRATEGIES OF READING PROCESS AT PRIMARY SCHOOLS* – 187

ნათელა ხინჩაგაშვილი, ნინო მარქაროვი - ლინგვისტიკური სკოლა როგორც რუსული ენის სწავლების ფორმა (რუსულ ენაზე) – 191
Natela Khinchagashvili, Nino Markarovi - *LINGUISTIC SCHOOL AS A FORM OF TEACHING RUSSIAN LANGUAGE AS A FOREIGN* (in Russian) – 191

გულნარა ჯიოშვილი - ადამიანის ფენომენი და აღზრდის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“ – 194
Gulnara Jioshvili - *THE PHENOMENON OF MAN AND THE PROBLEM OF UPBRINGING IN “THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN”* – 194

ენათმეცნიერება Linguistics

იოსებ ალიშვარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

„მარისტების“ პოლემიკა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში XX საუკუნის 40-იან წლებში

გასულ წელს შესრულდა 80 წელი გორის პედაგოგიური (სამასწავლებლო) ინსტიტუტის დაარსებიდან. იგი ერთ-ერთი ძველი და დიდი ტრადიციების უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში. გახსნის დღიდან აქ მოღვაწეობდნენ სამეცნიერო დარგის განთქმული მოღვაწენი: ალექსანდრე ბარამიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ალექსანდრე ღლონტი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, სარგის კაკაბაძე, სერგი მაკალათია, გივი ჟორდანია, ალექსანდრე მოსიავა, იპოლიტე ვართაგავა, ოთარ ჯინორია, მაქსიმე ბერძენიშვილი, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი და სხვები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ამ ტრადიციებს. მოგვიანებით მათი საქმე წარმატებით გააგრძელეს ელენე მეტრეველმა, კონსტანტინე გუგუშვილმა, იოსებ მეგრელიძემ, ნიკოლოზ კანდელაკმა, სიმონ გაჩეჩილაძემ, ოთარ ჩხეიძემ...

ინსტიტუტში თითქმის ყველა კათედრას ჰყავდა დარგის გამორჩეული ლიდერი, მაგრამ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა აღწევდა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის წლებში ინსტიტუტმა სასწავლო კორპუსი ლაზარეთს დაუთმო და დროებით სხვა შენობაში გადაინაცვლა, მრავალი ლექტორ-მასწავლებელი და სტუდენტი ფრონტზე გაემგზავრა, მაგრამ სამეცნიერო მუშაობა არ შეწყვეტილა.

მოცემული დროისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი იყო ალექსანდრე ღლონტი¹. 1943 წლისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის დეკანის თანამდებობაზე უკვე გიორგი ტალიაშვილი², რადგან ალ. ღლონტი ფრონტზე გაიწვიეს.

პედაგოგიური ინსტიტუტი ომის დამთავრებიდანვე შეუდგა ჭრილობების მოშუშებას.

1946 წლის 10 მარტს ქართული ენის კათედრას მოუსმენია კათედრის გამგის - კ. გუგუშვილის ინფორმაცია, დოცენტ ალ. ღლონტის ჯარიდან დემობილიზაციის შედეგად ინსტიტუტში დაბრუნებისა და მისთვის საშტატო ერთეულის მიცემის შესახებ³. ამავე წლის 2 ოქტომბერს ჩატარებული კათედრის სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ 1946-50 წლებში ქართული ენის კათედრას უნდა ემუშავა ქართული ენის ქართულურ კილოზე, შეეგროვებინა მასალები ქართულური დიალექტოლოგიური და ტოპონიმიკური ლექსიკონებისათვის.

გეგმის მიხედვით, უნდა მოწოდებულიყო ექსპედიციები ბორჯომის ხეობიდან მცხეთის რაიონამდე. მასალების შეკრება უნდა დაეწყოთ 1947 წლის ზაფხულიდან. სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ დოცენტები: ს. ჟღენტი, ალ. ღლონტი, მ. თალაკვაძე, ლ. კიკნაძე, ასისტენტი თ. ცოტნიაშვილი, ლაბორანტები: გ. იალამიძე, გ. აწკარუნაშვილი და სტუდენტი მ. მახარაშვილი. ჯგუფს ხელმძღვანელობას გაუწევდა კ. გუგუშვილი.

1950 წლისათვის კათედრას უნდა მოემზადებინა სამ ტომიანი ნაშრომი ტექსტებით, გამოკვლევებითა და შენიშვნებით⁴.

1948 წლის 10 დეკემბერს ქართული ენის კათედრას მოუსმენია ალ. ღლონტის ინფორმაცია აღნიშნული წლის ივლისში ხაშურის რაიონში დიალექტოლოგიური ექსპედიციის შედეგების შესახებ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ლექტორები: ალ. ღლონტი, ი. მეგრელიძე, ლაბორანტები: მ. მახარაშვილი, ნ. ახალკაცი, ფოტოგრაფი ლ. ლალიაშვილი, სტუდენტი - თ. ქურდაძე. ექსპედიციას უმუშავია სოფლებში: ალში, მცხეთიჯვარში, უწლეში, ბრილში, დუმატხოვში, ნუნისში, ქინძათში, ვაყასა და ნაბახტევში. ჩაუწერია 114 ლექსი, 128 ზღაპარი, 9 ლეგენდა, 6 შელოცვა, შეუკრებია მასალა 1000 გვერდის მოცულობით, ლექსიკური და ტოპონიმიკური მასალა, მეტყველების ნიმუშები, გვართა

¹ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 17. 1941 წ. გვ. 294.

² გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 37. 1943 წ. გვ. 88.

³ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 43. 1946 წ. გვ. 3.

⁴ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 43. 1946 წ. გვ. 6-7.

გენეალოგია და სხვ. მიმდინარეობდა შერევილი მასალის დამუშავება ი. მეგრელიძის ხელმძღვანელობით¹.

ქართული ენის კათედრასთან არსებობდა სტუდენტთა საენათმეცნიერო წრე, რომელიც ნიკო მარის სახელს ატარებდა და 50 სტუდენტი იყო გაერთიანებული. წრის აქტიური წევრები იყვნენ: რუსუდან ცუცქირიძე, შოთა ქურდაძე, ნორა ჭიპაშვილი², დარეჯან კლდიაშვილი. გამოსცემდნენ თავიანთ ხელნაწერ ჟურნალ „ბედნიერ თაობას“, მონაწილეობას იღებდნენ გასვლით სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ქუთაისში, სტალინირში (ცხინვალი) და სხვ³.

1947 წელს ენათმეცნიერებაში ფართო პოლემიკა წარიმართა, როგორც იმ დროისათვის მიიჩნევდნენ, ნიკო მარის „პროგრესულ-მატერიალისტურ მიმართულებას“ და „რეაქციულ-იდეალისტური მიმართულების“ არნოლდ ჩიქობავასეულ ენის შესახებ მომდვრებას შორის, რომელშიც საბჭოთა კავშირში არსებული ჰუმანიტარული პროფილის თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი ჩაერთო.

გორის პედ-ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის დოცენტებს ალექსანდრე ღლონტსა და იოსებ მეგრელიძეს აქტიური მონაწილეობა მიუღიათ გაზეთ „კომუნისტის“ 1949 წლის 11 მაისის სარედაქციო წერილის „ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ“ განხილვაში, სადაც გაუკრიტიკებიათ პროფ. არნოლდ ჩიქობავას ნაშრომებში განვითარებული „მცდარი“ შეხედულებები⁴.

აღსანიშნავია, რომ ღლონტი და მეგრელიძე ლენინგრადში ასპირატურაში სწავლის დროს ნიკო მარის ასპირანტები იყვნენ⁵ და მასწავლებლის თეორიებს ენის შესახებ კარგად იცნობდნენ.

„კომუნისტის“ ხსენებული სარედაქციო წერილის პირველივე წინადადებიდან ცხადი ხდება, მას სამეცნიერო დატვირთვა მეტი აქვს თუ პოლიტიკურ-იდეოლოგიური: „ბრძნულმა ლენინურ-სტალინურმა პოლიტიკამ უფართოესი ასპარეზი გაუხსნა საბჭოთა კავშირის ხალხთა შემოქმედებითს ძალებს, დიდი ოქტომბრის შემდეგ ფეხზე წამოდგარმა, წელში გამართულმა საბჭოთა ხალხებმა შექმნეს ახალი, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა, რომელიც განუზომლად მაღლა დგას ბურჟუაზიულ კულტურაზე. ჩვენი კულტურის ამ უპირატესობას ნათლად ხედავს მთელი მოწინავე კაცობრიობა, რომელიც სოციალიზმის ქვეყანას შესცქერის, როგორც კაცობრიობის მომავლის განსახიერებას“, კვითხულობთ წერილის შესავალში⁶.

წერილში ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი ცნობილი ქართველი ენათმეცნიერების: იუსტინე აბულაძის, შალვა ნუცუბიძის, კორნელი კეკელიძის მოსაზრებათა კრიტიკას. თითქოს, პროფესორი იუსტინე აბულაძე ათეული წლების მანძილზე „თავგამოდებით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ორიგინალური ქართული ქმნილება“, პროფესორ შალვა ნუცუბიძის აზრით, „ქართული კულტურა და „ვეფხისტყაოსანი“ პროდუქტია აღმოსავლეთ ქვეყნებში ოდესღაც არსებული მისტიკურ-ერეტიკული მომდვრებებისა“, ხოლო კორნელი კეკელიძის მტკიცებით: „XVI საუკუნიდან ოსმალური ლიტერატურა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართული მწერლობის აღორძინებისა. ასევე დაგმოხილია ს. დანელიას („ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“), ბ. კაპანელის („ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“), ნაშრომებში გამოთქმული შეხედულებანი⁷.

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი - ალექსანდრე ღლონტი ჯერ კიდევ 1939 წელს ამტკიცებდა, რომ ენის განვითარების მთავარი ფაქტორი სოციალური ხასიათისა იყო და „ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომელიც წარმოადგენდა ძველი ენათმეცნიერული სკოლის მეთოდოლოგიურ არსენალს, ადამიანის მეტყველების შესწავლის გასაღებს მეტყველთა ინდივიდუალურ თავისებურებებში ნახულობდა. იგი გვერდს უვლიდა იმ სოციალისტურსა და მატერიალისტურ ფაქტორებს, რომელთა ბაზაზე შესაძლებელი გახდა ენის, როგორც ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალების წარმოშობა და განვითარება“.

¹ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 73, აღწ. 1, 1948 წ. გვ. 17.

² მოცემული დროისათვის რუსუდან ცუცქირიძე, შოთა ქურდაძე და ნორა ჭიპაშვილი გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მეოთხე კურსზე სწავლობდნენ. ქართული ენის კათედრის 1948-49 წლის საანგარიშო მოხსენების მიხედვით, მიღწეული წარმატებების გამო, კათედრას საჭიროდ მიუჩნევია შოთა ქურდაძე ინსტიტუტში დაეტოვა, იმ თვალსაზრისით, რომ დაესრულებინა ასპირანტურის კურსი (გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 74, აღწ. 1, 1948-49 წწ. გვ. 4).

³ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 74, აღწ. 1, 1948-49 წწ. გვ. 5-7.

⁴ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 74, აღწ. 1, 1948-1949 წწ. გვ. 8-9.

⁵ იოსებ მეგრელიძე, ნიკო მარი, ჟურნ. „ცისკარი“, 1986, № 12, გვ. 114.

⁶ გაზ. „კომუნისტი“, 11 მაისი 1949 წ. # 93, გვ. 2.

⁷ გაზ. „კომუნისტი“, 11 მაისი 1949 წ. # 93, გვ. 3.

...ნ. მარმა განმარტა, რომ „ენა არის ურთიერთობის იარაღი, წარმოშობილი შრომით პროცესში, ზუსტად კაცობრიობის კულტურის შემოქმედების პროცესში, ენა შექმნა ადამიანთა კოლექტივმა ისევე, როგორც მატერიალური კულტურა თავისი საზოგადოებრივი ყოფის პირვანდელ საფეხურზე“, ციტირებდა თავისი მასწავლებლის სიტყვებს ღლონტი¹.

„ახალი ენათმეცნიერება მეტყველებას მთლიანად განიხილავს როგორც სოციალურ მოვლენას. ენის ძირებს იგი ადამიანთა ურთიერთობებში ხედავს. ენა ცარიელი ზგერა არ გახლავს, არც სიტყვათა მხოლოდ მისი მნიშვნელობა. ენა სიტყვა და საქმეა, თავდაპირველად განუყოფელი სიტყვა და საგანია ერთად შენდობილი, ასე რომ სიტყვა თავდაპირველად საგნის გამომხატველია, მისი ცოცხალი სურათია.

...ახალი ენათმეცნიერება სიტყვას კი არ აშორებს სოციალურ ღირებულებას. მისთვის სიტყვის განსაზღვრებაში სოციალური ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს. როგორც ენა, ისე აზროვნება მატერიალურ ბაზისთან ინახავს უწყვეტ კავშირს. სიტყვის წარმოშობის ისტორიასაც გენეტიკური ძირები მატერიალურ ბაზისში მოეპოვება და არა წარმოდგენებში“, წერდა სხვაგან².

1948 წლის იანვარში გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრას ჩაუტარებია გაფართოებული სხდომა, რომელსაც კათედრის წევრების გარდა, ინსტიტუტის სხვა პროფესორები (გ. ჯავახიშვილი, ს. მაკალათია, გ. ჩიტაია და სხვ.) და სტუდენტებიც დასწრებიან.

მოუსმენიათ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ნ. იაკოვლევის მოხსენება „30 წელი კავკასიის ენების შესწავლისა“. მასში ხაზგასმული იყო კავკასიური ენების შესწავლაში სამი სკოლის, ლენინგრადის (ნ. მარი, ი. მეშჩანინოვი, ი. ყიფშიძე, ვ. აბაევი, ი. ორბელი), მოსკოვის (ნ. იაკოვლევი, ჟირკოვი, სენდუჩენკო) და თბილისის (ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი) მეცნიერთა დამსახურება კავკასიური ენების შესწავლაში და მათი ფუძემდებლის, აკადემიკოს ნიკო მარის როლი, „რომლის გაკვალულ გზას მიჰყვებოდნენ ამჟამად მოსკოველი და ლენინგრადელი კავკასიის მცოდნენი“. დამსწრეთ მადლობა გადაუხდიათ მოწვეული სტუმრისათვის კვალიფიკაციური მოხსენების გამო³.

1949 წლის დეკემბერში სრულდებოდა ნიკო მარის გარდაცვალებიდან 15 და დაბადებიდან 85 წლისთავი. ქართული ენის კათედრას გადაუწყვეტია ფართოდ აღენიშნა ეს თარიღი გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. გეგმის მიხედვით, დეკემბრის პირველ რიცხვებში უნდა ჩატარებულიყო სამეცნიერო სესია, რომლის მომხსენებლები იყვნენ: ალ. ღლონტი, ი. მეგრელიძე, კ. გუგუშვილი, ვ. რამიშვილი, ს. მაკალათია, ს. ჟღენტა, მ. ჩიქოვანი და სხვ. სესიაზე დასასწრებად პერსონალური მოწვევა გაეგზავნათ აკად. ი. მეშჩანინოვსა და პროფ. თ. ფილინს (ლენინგრადი), პროფესორებს: ნ. იაკოვლევსა და გ. სერდუჩენკოს (მოსკოვი), აკად. ა. შანიძეს და პროფ. ლ. მელიქსეთბეგს (თბილისი)⁴.

სესია გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარებულა 2-3 დეკემბერს. ა. შანიძე და ლ. მელიქსეთბეგი სიტყვით 2 დეკემბერს გამოსულან. ნიკო მარი აკაკი შანიძეს დაუხასიათებია, როგორც ქართველური ენების გამოჩენილი მკვლევარი და პედაგოგი: „მარის ძალა იმაში იყო, რომ ზევრი ისეთიც კი თვლის თავს მარის მოწაფედ, რომელსაც მისი არც ერთი სამეცნიერო კურსი არ მოუსმენიაო“ და მაგალითად პროფ. ლეონ მელიქსეთბეგი მოუყვანია, რომელიც ოდესაში სწავლობდა, მაგრამ დამსახურებლად ითვლება მარის მოწაფედ და თანამშრომლადო⁵.

ლ. მელიქსეთბეგსაც „მთელი საათი“ უსაუბრია მარის დამსახურებაზე კავკასიისმცოდნეობაში. როგორც ჩანს, შანიძისა და მისი თვალსაზრისი მარის ნაშრომზე „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა და არც შანიძის სიტყვები დარჩენია სასიამოვნოდ, რადგან გორიდან გაცილებისას იგი მატარებელში ცალკე ვაგონში ასულა⁶.

სესიაზე პეტერბურგიდან საგანგებოდ მოუწვევიათ და სიტყვითაც გამოსულა ნიკო მარის მდივან-თანაშემწე, მარის შესახებ მონოგრაფიის ავტორი ვერა ანდრეას ასული მიხანკოვა⁶.

შრომატევადი საქმიანობა გაუწევიათ ალექსანდრე ღლონტსა და იოსებ მეგრელიძეს. გარდა სამეცნიერო სესიის ორგანიზებისა, მათ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოუწყვიათ მოსკოვსა და ლენინგრადიდან ჩამოტანილი ფოტოებისა და წიგნების გამოფენა⁷, რის გამოც, რესპუბლიკის

¹ ალექსანდრე ღლონტი. გენიალური საბჭოთა მოაზროვნე (აკადემიკოს ნ. მარის დაბადების 85 წლისთავის გამო), ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1950, №1, გვ. 15.

² ალექსანდრე ღლონტი. ნ. მარის და ახალი ენათმეცნიერება, ჟურნ. „მნათობი“, 1939, №7, გვ. 125, 140-141.

³ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 68, ანაწ. 1. 1948 წ. გვ. 34.

⁴ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 88, ანაწ. 1, 1949 წ. გვ. 12-13.

⁵ იოსებ მეგრელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989, გვ. 305-306.

⁶ იოსებ მეგრელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 307.

⁷ 1949 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის მატერიალური კულტურის ინსტიტუტთან (ლენინგრადში) არსებულ აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის კაბინეტის გამგეს პროფ. ვერა მიხანკოვას, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კაბინეტისათვის საჩუქრად გადმოუცია ნიკო მარის 43 ნაშრომი,

განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მათთვის მადლობა გადაუხდიათ¹.

1950 წელი საბჭოთა კავშირში „მარის საენათმეცნიერო სკოლის“ წარმომადგენელთა დიდი აქტიურობით დაიწყო. 7 და 8 იანვარს ნიკო მარის მშობლიურ ჩოხატაურში ტარდება მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, სადაც გორის პედაგოგიური ინსტიტუტიდან მონაწილეობას იღებენ ქართული ენის კათედრის წევრები: ალექსანდრე ღლონტი, იოსებ მეგრელიძე და კონსტანტინე გუგუშვილი².

18 იანვრიდან - 5 თებერვლამდე მოსკოვში, ნიკო მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში ტარდება ნიკო მარის დაბადებიდან 85-ე და გარდაცვალებიდან მე-15 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელშიც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო მიწვევით (№1941/62 7/1 ს.) მონაწილეობს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე ალ. ღლონტი³.

საქართველოს განათლების სამინისტროს მომართვის (№2/149-18) საფუძველზე ალექსანდრე ღლონტი 16 თებერვალს კვლავ მოსკოვშია და მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ მოწვეულ საბჭოთა ლინგვისტთა თათბირის მუშაობაში⁴.

24-27 თებერვალს ლენინგრადში (ამჟამინდელი პეტერბურგი) ჩატარდა აკადემიკოს ნიკო მარისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიკოსი ი. მეშჩანინოვი, ნ. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფ. გ. სერდუჩენკო, ვ. მიხანკოვა, სხვა აღიარებული მეცნიერები და მაღალი თანამდებობის პარტიული მუშაკები. გორის პედაგოგიური ინსტიტუტიდან სესიას საგანგებო მოწვევით დასწრებიან და სიტყვითაც გამოსულან ალ. ღლონტი და ი. მეგრელიძე. სესია, სამეცნიეროს გარდა, საორგანიზაციო საკითხებსაც მოიცავდა. გადაწყვეტილა ნიკო მარის თხზულებათა 10 ტომეულის გამოცემა 5 ტომეულის ნაცვლად. მისი გამოსაცემად მომზადება დაუვალეობით ვ. მიხანკოვასა და ი. მეგრელიძისათვის⁵.

იქვე გამართულა მწვავე პოლემიკა მარის მოძღვრების მატერიალისტურ საკითხებზე. სესიის მონაწილე პარტიულ მუშაკებს აკადემიკოს მეშჩანინოვისა და პროფ. გ. სერდუჩენკოსათვის დარგისადმი ნაკლები ინტერესი და განვითარების დაბალი ტემპები უსაყვედურებიათ⁶.

ლენინგრადის სესიაზე დაწყებული კამათი მალე „მარისტების“ აშკარა კრიტიკაში გადაიზარდა. 1950 წლის ზაფხულში, გაზეთმა „პრავდამ“ ენათმეცნიერების საკითხებზე „თავისუფალი“ დისკუსია გამართა, რომელიც იოსებ სტალინის საგაზეთო სტატიით „ენათმეცნიერებაში მარქსიზმის შესახებ“ დაიწყო. კორესპონდენტის პირველივე კითხვაზე, „სწორად მოიქცა თუ არა „პრავდა“ ენათმეცნიერების საკითხებზე თავისუფალი დისკუსია რომ გამართა?“ სტალინი პასუხობდა: „სწორად მოიქცა, რადგან დისკუსიამ გამოარკვია, რომ ენათმეცნიერების ორგანოებში, როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკებში, გაბატონებული იყო მეცნიერებისა და მეცნიერთათვის შეუფერებელი რეჟიმი. საბჭოთა ენათმეცნიერებაში საქმის ვითარების ოდნავ კრიტიკას, ენათმეცნიერებაში ეგრეთწოდებული „ახალი მოძღვრების“ კრიტიკის სულ გაუბედავ ცდებსაც კი სდევნიდნენ და ახშობდნენ ენათმეცნიერების ხელმძღვანელი წრეები. ნ. ი. მარის მემკვიდრეობისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისათვის, ნ. ი. მარის მოძღვრების ოდნავ მოუწონებლობისათვის თანამდებობიდან ხსნიდნენ ან დაბალ თანამდებობაზე გადაჰყავდათ ენათმეცნიერების დარგის თვალსაჩინო მუშაკები და მკვლევარები. ...აღიარებულია, რომ ვერავითარი მეცნიერება ვერ განვითარდება და წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ არ არის აზრთა ბრძოლა, თუ არ არის კრიტიკის თავისუფლება (ხაზგასმა ჩვენია - ი. ა.). მაგრამ ამ საერთოდ აღიარებულ წესს ყოვლად უბოდიშოდ უგულვებელყოფდნენ და ფეხქვეშ თელავდნენ. შეიქმნა უცოდველ ხელმძღვანელთა კარჩაკეტილი ჯგუფი, რომელმაც თავი დაიზღვია ყოველგვარი შესაძლო კრიტიკისაგან და თვითნებობასა და უმსგავსოებას სჩადიოდაო“⁷.

აღნიშნულის შემდეგ, ძნელი არ არის მიხედვრა, საიდან მოდიოდა გაზეთ „პრავდის“ „ინიციატივა“ ენათმეცნიერების საკითხებზე „თავისუფალი“ დისკუსიის წამოწყების შესახებ.

რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა (გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 74, აღწ. 1, 1948-49 წწ. გვ. 5).

¹ იოსებ მეგრელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 306.

² გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 102, 1950 წ. გვ. 242.

³ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 102, 1950 წ. გვ. 213.

⁴ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 102, 1950 წ. გვ. 130.

⁵ იოსებ მეგრელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 312-313.

⁶ იოსებ მეგრელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 313.

⁷ ი. სტალინი. ენათმეცნიერებაში მარქსიზმის შესახებ, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, თბ., 1950, ივნისი, №6, გვ. 11.

სტალინი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მარის ე. წ. „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“, არის არამარქსისტული და ვულგარიზებული თეორია, რომ მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა მარქსიზმისათვის შეუფერებელი თეორემები და ფორმულები ენის, როგორც ზედნაშენისა და კლასობრიობის შესახებ, დაამკვიდრა კადნიერი, ყოყომა, ქედმაღლური კილო და შეუფერებელი არაკრეატივის რეჟიმი, რომელმაც საბჭოთა ენათმეცნიერება კრიზისულ მდგომარეობამდე მიიყვანა¹.

ყველაზე მეტად ბელადი მარის ე. წ. ენის „სოციალურმა“ სტატუსმა გააღიზიანა: „განა ამ ამხანაგებმა არ იციან, რომ ეროვნული ენა ეროვნული კულტურის ფორმისაა, რომ ეროვნულ ენას შეუძლია ბურჟუაზიულ კულტურასაც ემსახუროს და სოციალისტურსაც? ნუთუ ჩვენი ამხანაგები არ იცნობენ მარქსისტების ცნობილ ფორმულას იმის შესახებ, რომ ახლანდელი რუსული, უკრაინული, ბელორუსული და სხვა კულტურები სოციალისტურია შინაარსით და ეროვნულია ფორმით, ე. ი. ენით? ეთანხმებიან თუ არა ისინი ამ მარქსისტულ ფორმულას?

ჩვენი ამხანაგების შეცდომა აქ ის არის, რომ ისინი ვერ ხედავენ განსხვავებას კულტურასა და ენას შორის და არ ესმით, რომ კულტურა თავისი შინაარსით საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ პერიოდში იცვლება, მაშინ როცა ენა ძირითადად იმავე ენად რჩება რამდენიმე პერიოდის განმავლობაში და ერთნაირად ემსახურება როგორც ახალ კულტურას, ისე ძველსო“, აღნიშნავდა იოსებ ბესარიონის ძე².

„ნ. ი. მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა არასწორი, არამარქსისტული ფორმულა ენის, როგორც ზედნაშენის, შესახებ და თავგზა აებნა, თავგზა აუბნია ენათმეცნიერებას. შეუძლებელია არასწორი ფორმულის ბაზაზე განვავითაროთ საბჭოთა ენათმეცნიერება.

ნ. ი. მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა მეორე, აგრეთვე არასწორი და არამარქსისტული ფორმულა ენის „კლასობრიობის“ შესახებ და თავგზა აებნა, თავგზა აუბნია ენათმეცნიერებას. შეუძლებელია არასწორი ფორმულის ბაზაზე, რომელიც ხალხთა და ენათა ისტორიის მთელ მსვლელობას ეწინააღმდეგება, განვავითაროთ საბჭოთა ენათმეცნიერებაო“, ბრძანებდა სხვაგან³.

„მე ვფიქრობ, რომ რაც უფრო მალე გათავისუფლდება ჩვენი ენათმეცნიერება ნ. ი. მარის შეცდომებისაგან, მით უფრო მალე შეიძლება გამოვიყვანოთ იგი კრიზისისაგან, რომელსაც იგი განიცდისო“, იძლეოდა „რეკომენდაციებს“ სტალინი⁴.

1950 წლის 22 ივლისს გამოიცა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს №1210 ბრძანება, რომელშიც ხაზგასმული იყო სტალინის ნაშრომის საფუძველზე უმაღლეს სასწავლებლებში ლინგვისტური დისციპლინების სწავლების გარდაქმნის აუცილებლობა. რეფორმის მთავარი მიზანი „ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის“ სწავლება იყო.

ბუნებრივია, ქვეყანა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტი ბელადის მოწოდებას უპასუხოდ ვერ დატოვებდა.

1950 წლის 5 სექტემბერს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა ისმენს დოც. ალ. ლლონტის მოხსენებას ენათმეცნიერთა საკავშირო თათბირის შედეგების შესახებ⁵. ალ. ლლონტი მთლიანად იზიარებს ი. სტალინის დებულებებს ნ. მარის თეორიის კრიტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნავს: „პირადად მე, როგორც შემემლო მოხსენებებით, ლექციებით, საგაზეთო წერილებით, გამოსვლებით ვეწეოდი ნ. მარის არამარქსისტული თეორიის პროპაგანდას და დაუმსახურებლად ვთვლიდი მას საბჭოთა მეცნიერების ფუძემდებლად. დავუშვი შეცდომა, რომ სამიოდე წლის წინათ გამოვაქვეყნე სტატია მიმართული პროფესორ არნოლდ ჩიქობავას წინააღმდეგ. ...ჩემი შეცდომის სიმძიმე მე ძალიან კარგად მესმის და ვიბრძოლე იმისათვის, რომ საქმით გამოვასწორო იგიო“⁶.

აზრი გამოუთქვამთ კ. გუგუშვილს, ვ. რამიშვილს, ი. მეგრელიძეს, რომელიც სამი წლის წინ ალ. ლლონტთან ერთად აქტიურად იცავდა ნ. მარის თეორიას. იოსებ მეგრელიძემ „მალევე მიმხვდარა შეცდომას“ და აღნიშნავდა: „ამხ. სტალინის ნაშრომების გამოსვლამდის მე ვიცავდი ნ. მარის თეორიას, როგორც ნ. მარის ერთ-ერთი მოწაფე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მე უფრო მეტს ვლაპარაკობდი, ვიდრე საქმეს ვაკეთებდი მარის თეორიის სასარგებლოდ.

...ამხ. სტალინის ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ, მე დავრწმუნდი, რომ შეცდომები იყო, და როგორც ნ. მარის ნამოწაფარს არ გამიძნელდება ნ. მარის მცდარი თეორიის კრიტიკა ამხ. სტალინის მითითებების მიხედვით“⁷.

¹ ი. სტალინი. ენათმეცნიერებაში მარქსიზმის შესახებ, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1950 №6, გვ. 12.

² ი. სტალინი. ენათმეცნიერებაში მარქსიზმის შესახებ, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1950, №6, გვ. 7

³ ი. სტალინი. ენათმეცნიერებაში მარქსიზმის შესახებ, „მეცნიერება და ტექნიკა“, თბ., 1950, ივნისი, №6, გვ. 12.

⁴ ი. სტალინი. ენათმეცნიერებაში მარქსიზმის შესახებ, „მეცნიერება და ტექნიკა“, თბ., 1950, ივნისი, №6, გვ. 12.

⁵ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 104, აღწ. 1, 1950 წ. გვ. 5.

⁶ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 104, აღწ. 1, 1950 წ. გვ. 5-6.

⁷ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 104, აღწ. 1, 1950 წ. გვ. 7.

კათედრას, ნ. მარის სახელობის სტუდენტთა საენათმეცნიერო წრისათვის, მარის სახელი მოუცილებია და უწოდებია „ქართული ენის სამეცნიერო წრე“¹.

თუმცა, ეს ყველაფერი არ იყო. 1951 წლის 4 იანვარს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ისმენს აკადემიკოს ვარლამ თოფურიას მოხსენებას „პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტებში ენათმეცნიერების სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა და შეცდომების აცილების ღონისძიებათა შესახებ“.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „ნ. მარის შეხედულებათა განხილვის დროს ამხ. ი. სტალინმა აღმოაჩინა, რომ ენის საკითხი არ იყო გადაჭრილი მარქსისტულად. იგი იყო გავულგარებული და მოითხოვდა მასში მარქსიზმის სინათლის შეტანას“.

...არნოლდ ჩიქობავა ეყრდნობოდა მარქსის დებულებას და აკრიტიკებდა მარის მცდარ დებულებებს. მარისტების მიერ დევნის პირობებში ა. ჩიქობავამ მაინც შეძლო შეექმნა შესანიშნავი შრომები ...საქართველოში მარისტები შ. ძიძიგური, ა. ლლონტი, ი. მეგრელიძე, პროფ. მ. ჩიქოვანი და სხვანი იბრძოდნენ მარის მცდარი დებულებების დასაწინააღმდეგოდ. ისინი მარის შესახებ სტატიებითა და შრომებით არ კმაყოფილდებოდნენ და ამავე დროს ასრულებდნენ საქართველოში რუსი მარისტების აგენტების როლს, განსაკუთრებით დოც. ალ. ლლონტი და დოც. ი. მეგრელიძე.

...გორზე, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის სამშობლოზე, დიდი ყურადღება მიქცეული, ამიტომაც ამ ქალაქის პედაგოგიკური სანიმუშო უნდა იყოს და მასში ენათმეცნიერების სწავლების საკითხიც მაღალ დონეზე უნდა იყოს დაყენებულიო².

სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით ინსტიტუტს შეუწყვეტია გამოცდების მიღება „ენათმეცნიერების შესავალში“, რომელიც პირველ კურსზე წაკითხული ჰქონდა ალექსანდრე ლლონტს „ნ. მარის ანტიმარქსისტული თეორიის შესაბამისად“ და გაუცია განკარგულება ამავე კურსზე ი. ბ. სტალინის მოძღვრების საფუძველზე ლექციების წაკითხვისა და 1951 წლის თებერვალში გამოცდების ხელახლა ჩატარების შესახებ.

სამეცნიერო-საკვლევი გეგმიდან ამოუღიათ ალ. ლლონტისა და ი. მეგრელიძის თემები, რომლებიც ნ. მარის თეორიის საფუძველზე იყო შედგენილი³. ინსტიტუტის რექტორის საგანგებო ბრძანებაში ვკითხულობთ: „იმისათვის, რომ ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებს საშუალება მიეცეთ ღრმად შეისწავლონ დიდი ბელადის ი. სტალინის სტატია: „ენათმეცნიერებაში მარქსიზმის შესახებ“ და მის საფუძველზე შესძლონ მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან უკუაგდონ ის მცდარი, არამარქსისტული, მარის შეხედულებანი, რომელიც მათ შეისწავლეს ზოგადი ენათმეცნიერების კურსის კითხვისას, ამიტომ ამ საგანში 20 და 21 ივნისს დანიშნული გამოცდა გადატანილ იქნეს 5 ივლისისათვის“. გამოცდის მისაღებად იქმნება საგანგებო კომისია, რომელშიც შედიან გიორგი ტალიაშვილი (თავმჯდომარე), მიხეილ ჩიკვაძე (ფაკულტეტის დეკანი) ალ. ლლონტი (საგნის მასწავლებელი) და კონსტანტინე გუგუშვილი (კათედრის გამგე)⁴.

ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა კურსზე შემოუღიათ საგანი „ენის შესახებ სტალინური მოძღვრების საფუძველები“ კურსის წაკითხვა, რომლის გაძღოლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან მოწვეულ დოცენტს - არამ მარტიროსოვს (ქართულ განყოფილებაზე) და ამავე ინსტიტუტის სწავლულ მდივანს, უფრ. მასწავლებელს ვლადიმერ ახვლედიანს (რუსულ სექტორზე) ევალებოდათ⁵.

პროფესორ ვარლამ თოფურიას ევალებოდა იმ სპეც-სემინარების ჩატარება, რომელსაც მანამდე ალ. ლლონტი კითხულობდა. ლლონტს მხოლოდ ვ. თოფურიას პრაქტიკულის წაკითხვა მიანდეს⁶.

1950 წლის 1 ნოემბრიდან, საქართველოს განათლების სამინისტროს ბრძანებით, ალექსანდრე ლლონტი ქართული ენის კათედრის გამგის მოვალეობიდანაც თავისუფლდება⁷, მალევე, ამ თანამდებობაზე ვარლამ თოფურია დაინიშნა⁸. ლლონტს და მეგრელიძეს საათების მხოლოდ მცირე რაოდენობა დაუტოვეს, ისიც დაუსწრებელ განყოფილებაზე.

¹ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 104, აღწ. 1, 1950 წ. გვ. 9. 1950 წლის ზაფხულში „ლინგვისტური“ დისკუსიის შედეგად, ასევე გადაარქვეს მარის სახელი ჩოხატაურის # 1 საშუალო სკოლას, სკოლებს ლენინგრადში, თბილისსა და მანგლისში. მოგვიანებით (1984 წ.), მხოლოდ ჩოხატაურის სკოლას დაუბრუნდა ნიკო მარის სახელი (იხ: იოსებ მეგრელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 307-308, სქოლიო).

² გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 118, აღწ. 1, 1951 წ. გვ. 5-6.

³ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 118, აღწ. 1, 1951 წ. გვ. 15.

⁴ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 103, 1950 წ. გვ. 76.

⁵ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 118, აღწ. 1, 1951 წ. გვ. 15.

⁶ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 118, აღწ. 1, 1951 წ. გვ. 16.

⁷ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 105, 1950 წ. გვ. 151.

⁸ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 127, 1951 წ. გვ. 28.

1952 წლის 20 ივნისს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ტარდება სამეცნიერო სესია სტალინის „გენიალური საენათმეცნიერო ნაშრომის“ გამოსვლის ორი წლისთავთან დაკავშირებით¹.

გასაგებია, რომ ამის შემდეგ იოსებ მეგრელიძემ და ალექსანდრე ლლონტიმ მალევე დატოვეს გორის პედაგოგიური ინსტიტუტი².

ზემოთქმულის მიუხედავად, ალექსანდრე ლლონტი და იოსებ მეგრელიძე სიცოცხლის ბოლომდე მასწავლებლისა და მისი იდეებისადმი ერთგულები დარჩნენ და არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს მას³. ალექსანდრე ლლონტის შვილიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი რუსუდან ლლონტი, ბაბუის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე იხსენებდა, თუ ბავშვობაში, პეტერბურგში ყოფნისას, როგორ დაჰყავდა შვილიშვილები ალექსანდრეს თავისი დიდი მასწავლებლის საფლავზე⁴.

Ioseb Alimbarashvili

Gori State Teaching University

THE POLEMICS OF "MARISTS" AT GORI PEDAGOGICAL INSTITUTE IN THE 40S OF XX CENTURY RESUME

The article discusses a wide range of polemics around Nicholas Marr's philosophical issues in the Soviet Union in the 40s of the 20th century, in which almost every *higher education* institute of humanitarian profile was involved, including the Pedagogical Institute of Gori.

At that time, Alexander Ghlonti and Ioseb Megreliдзе worked at the Georgian Language Chair of Gori Pedagogical Institute, who were Nicholas Marr's aspirant students in Leningrad and they were well aware of the teacher's theories about language.

In the summer of 1950, the newspaper "Pravda" held a discussion on linguistic issues that began with the Stalin newspaper article where Nicholas Marr's theory was criticized. This was direct reference to linguists, which soon turned into criticism of "Marists" throughout the country.

The paper is largely based on archival documents. Some of them are published for the first time.

¹ გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 154, 1952 წ. გვ. 37.

² ალექსანდრე ლლონტიმ გორის პედაგოგიური ინსტიტუტი დატოვა 1952 წლის 25 აგვისტოს. როგორც ბრძანებაშია მითითებული, „სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო“ (იხ: გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 157. 1952 წ. გვ. 96), ხოლო იოსებ მეგრელიძემ, ამავე წლის 1 ოქტომბერს. მისი გათავისუფლების მიზეზად მითითებულია საქართველოს განათლების სამინისტროს 1951 წლის 15 დეკემბრის № 5463 ბრძანება „შეთავსებით მომუშავეთა“ შემცირებებთან დაკავშირებით. ამავე ბრძანების საფუძველზე გორის პედაგოგიური ინსტიტუტიდან გათავისუფლდა ცნობილი მეცნიერი, ქართული ენის კათედრის გამგე ვარლამ თოფურია (გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 152. 1952 წ. გვ. 13).

სხვათა შორის, გორის პედ-ინსტიტუტიდან იოსებ მეგრელიძის ეს პირველი წასვლა არ იყო. 1942 წლის 21 აგვისტოს იგი მოუხსნიათ თანამდებობიდან (ბრძ. # 292) პატიმრობაში ყოფნის გამო (იხ: გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, ანაწ. 1, შეს. ერთ. 27, 1942 წ. გვ. 169). „მარისტების“ ზემოხსენებული პოლემიკის შემდეგ, იგი გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში მხოლოდ მოგვიანებით, 1965 წელს აღადგინეს პროფესორის რანგში (იხ: გორის სახელმწიფო არქივი, ფ. 225, არქ. 560, ანაწ. 1. 1965 წ. გვ. 6) მაგრამ არც ამის შემდეგ დარჩენილა დიდხანს და სამუშაოდ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავიდა.

³ იხ: ალექსანდრე ლლონტი. ნიკო მარრი და ახალი ენათმეცნიერება, *ჟურნ. „მნათობი“*, თბ., 1939, №7, გვ. 112-142; მისივე: გენიალური საბჭოთა მოაზროვნე, *ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“*, თბ., 1950, № 1, გვ. 15-19. იოსებ მეგრელიძე. *ნიკო მარრი, ჟურნ. „ცისკარი“*, თბ., 1986, №12, გვ. 114-121, მისივე: *ნიკო მარის ბარათები მოსე ჯანაშვილისადმი, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“*, თბ., 1981, № 7, გვ. 69-74, მისივე: იოსებ გრიშაშვილის კიდეც ერთი ბარათი ნიკო მარს, *ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“*, თბ., 1980, №9, გვ. 94-95 და სხვ.

⁴ იხ: თამარ შაიშველაშვილი. მოსიარულე სიკეთე, საქართველოს რესპუბლიკა, <http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2013&art=1267>

იოსებ ყიფშიძე, ლაზეთი, ჭანური და ... დავით კლდიაშვილი

ჩვენს დედა უნივერსიტეტის ფოიეში შესვლისას შემოგხვდებათ მისი დამფუძნებლების პეტრე მელიქიშვილის, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძისა და იოსებ ყიფშიძის ბიუსტები. ამათგან პირველი სამი ცნობილია საზოგადოებისათვის, ხოლო იოსებ ყიფშიძის სახელი კარგა ხანს მივიწყებული იყო, ვიდრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მაშინდელი ძველი ქართული ენის კათედრის გამგის პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის ინიციატივითა და მოწადინებით 2004 არ გადაწყდა შექმნილიყო ი. ყიფშიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კომისია, რომელმაც დაადგინა მისი ნეშტის გადმოსვენება დიდუბიდან უნივერსიტეტის ეზოში და ძეგლის დადგმა, უნივერსიტეტის აუდიტორიისათვის მისი სახელის მიკუთვნება, მისი შრომების მეორე ნაწილის გამოცემა (ი. ყიფშიძის თხზულებანი გამოსცა პროფესორმა კორნელი დანელიამ 1994 წელს), ძველი ქართული ენის კათედრაზე მემორიალური კუთხის მოწყობა, სამეცნიერო სესიის გამართვა. უნივერსიტეტში შექმნილი ვითარების გამო მხოლოდ 2013 წელს მოხერხდა ი. ყიფშიძის ნეშტის გადმოსვენება და თავისი კუთვნილი ადგილის მიკუთვნება უნივერსიტეტის ბაღში, პანთეონში მის თანამებრძოლებთან, უნივერსიტეტის საფუძვლის ჩამყრელებთან ერთად.

იოსებ ყიფშიძე ზემო იმერეთში, ჭიათურის მახლობლად სოფელ რგანში დაბადებულა, პირველი სწავლა-განათლება ქუთაისში მიუღია, შემდეგ იგი 1906 წლიდან სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის გეოგრაფიულ სპეციალობაზე. იმავდროულად ესწრებოდა ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ლექციებს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. 1907 წლიდან ნ. მარის დახმარებით გადავიდა ამ ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე. იგი თავიდანვე ბეჯითად სწავლობდა ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურას, მეგრულსა და სვანურს, სომხურს, გერმანულსა და ლურსმნული წარწერების ენას და სხვა. პეტერბურგის უნივერსიტეტიდან 1909-1912 წლებში რამდენჯერ იყო მივლინებული სამეგრელოში მეგრულისა და ლაზისტანში ჭანურის შესასწავლად. მან ბრწყინვალედ შეისწავლა მეგრულიც და ჭანურიც და 1911 წელს გამოაქვეყნა შესანიშნავი ენათმეცნიერული ნაშრომი „Дополнительные сведения о чанском языке“, რომელშიც სრულად აღწერა ხოფური კილოკავის ჩხალური თქმა, ასევე წარმოადგინა არქაბული კილოკავის ტექსტები ზღაპრული ჟანრისა და ცხადი გახადა, რომ ჭანურ ფოლკლორში ცოცხლობს ის ჟანრი, რომელსაც „ზღაპარი“ ეწოდა (აკად. ნ. მარი ამ საკითხს თურქეთის ჭანებში მოგზაურობისა მუშაობის შემდეგ უარყოფითად წყვეტდა) (1, 571).

1914 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა ი. ყიფშიძის სოლიდური 600 გვერდიანი მონოგრაფია „მეგრული ენის გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით“, რომლის დაცვით მოიპოვა ქართული ფილოლოგიის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი. დაცვის ოპიციალური ოპონენტები იყვნენ ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი. ნ. მარმა აღნიშნა: „აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტმა მის ავტორს მიანიჭა ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხი. მაგრამ თუ ის წარდგენილი იქნებოდა ქართული ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, მის ავტორს ისევ დამზიდებული სინდისით შეიძლებოდა მინიჭებოდა უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი, როგორც ახლა მე ვთვლი მას სავსებით ღირსად ქართული ფილოლოგიის მაგისტრის წოდებისა“ (2,11).

ივ. ჯავახიშვილი თავის უმცროს კოლეგებში ი. ყიფშიძესა და ა. შანიძეში დიდ სამეცნიერო ძალას ხედავდა და ცდილობდა ისინი ქართული ეროვნული მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესში საიმედო თანამოსანგრეებად ჰყოლოდა. „ქართული ერის ისტორიის“ ავტორს თავიდანვე ღრმად სჯეროდა, რომ ქართველი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის სრულყოფილად წარმოჩენა კომპლექსურად შესწავლის გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომ ი. ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის დაწერასთან ერთად საჭიროდ თვლიდა, აღმოსავლეთის ისტორიისა და ქართული თუ ზოგადი ენათმეცნიერების კურსების შედგენას. ამის თაობაზე 1915 წლის აპრილს ის წერდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო რედაქციას: „...ჩემს მოწაფეებსაც მოველაპარაკე და სასურველია, დაიწეროს ორი სახელმძღვანელო ენათმეცნიერებისა: ერთი უნდა შეეხებოდეს საზოგადო ენათმეცნიერებას, მეორე - ქართულ ენათმეცნიერებას. ამ ორი წიგნის დაწერა იკისრეს იოსებ ყიფშიძემ და აკაკი შანიძემ (3, 126).

ამ წერილიდან ჩანს, თუ რა მასშტაბური სამეცნიერო ძალები ჰყავდა ქართულ მეცნიერებას უკვე იმ დროს იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის სახით.

დისერტაციის დაცვის შემდეგ ი. ყიფშიძე როგორც პრივატ-დოცენტი პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს „ძველ სალიტერატურო ქართულსა“ და „მეგრულ ენაში“. მომხილავი კარიერის მიუხედავად, მან 1917 წელს დატოვა პეტერბურგის უნივერსიტეტი და თავის მასწავლებელს დიდ ივანე ჯავახიშვილს მხარში ამოუდგა ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში.

როგორც აღნიშნავენ, „განსაკუთრებით რთული და მრავალმხრივი იყო ი. ყიფშიძის მოღვაწეობა უნივერსიტეტის ორგანიზაციის პირველ ხანებში. მან ფართო ორგანიზატორული მუშაობა გააჩაღა და მოკლე პერიოდში უსაზღვროდ ბევრი გააკეთა ახალფეხადგმული უნივერსიტეტის დაწინაურებისათვის (3, 185).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ი. ყიფშიძის ერთ-ერთი პირველი სტუდენტი, მისი პიროვნებისა დვაწლის ჭეშმარიტი დამფასებელი არნ. ჩიქოვაძე წერს: „იგი ივანე ჯავახიშვილის მარჯვენა ხელი იყო უნივერსიტეტის ორგანიზაციის რთულ პროცესში, მტკიცე საყრდენი იყო ახლადფეხადგმული უნივერსიტეტისა“ (4, 133)

1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. ი. ყიფშიძე არჩეულ იქნა პროფესორთა საბჭოს მდივნად, ასევე, ერთადერთი სიბრძნისამეტყველების ფაკულტეტის დეკანის, ივ. ჯავახიშვილის მოადგილედ და ქართული ენის კათედრის პირველ გამგედ. კითხულობდა ძველი ქართული ენისა და ძველი ქართული ლიტერატურის კურსებს.

სავსებით სწორია პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის შეხედულება, რომ შეიძლებოდა, აიწონოს დვაწლი იოსებ ყიფშიძისა, ერთი მხრივ, როგორც მეცნიერისა და, მეორე მხრივ, როგორც მოღვაწისა, ალბათ შედეგი თანაბარი იქნება... იოსებ ყიფშიძე იყო ჭეშმარიტად დიდი მოღვაწე და იოსებ ყიფშიძე იყო ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი. (2,11) ამიტომაც როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, ის მზად იყო, 1918 წლის გაზაფხულზე სხეულით გადაფარებოდა ახალშექმნილ უნივერსიტეტს, რათა დაეცვა იგი თურქ-ოსმალების ოკუპაციისაგან. მაშინ უნივერსიტეტის საბჭომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება მის გადასარჩენად: „უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს. იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის, რომელნიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებულ იქნეს... ეთხოვოს, ვისაც ჯერ არს - დაყენებულ იქნეს საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ საომარ ასპარეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმის ახლო-მახლო მიდამოები, საშიშროების მიახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“ (3, 32).

უნივერსიტეტის საორგანიზაციო და სამეცნიერო საქმეებით დატვირთულმა ი. ყიფშიძემ ერთი თვით ადრე უყოყმანოდ შეასრულა პოლიტიკური მისია, როცა ეს ქვეყნის ვითარებამ მოითხოვა, მონაწილეობა მიიღო ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებაში (1918 წლის 9-22 მარტს), როგორც ამიერკავკასიის სეიმის მრჩეველმა. ასე, რომ განსაცდელის ჟამს ი. ყიფშიძის პოლიტიკური აქტიურობა და მეცნიერული განსწავლულობა (ლაზისტანის ისტორიისა და ლაზურის ცოდნა) ერთობლივ ჩადგა აღორძინების გზაზე დამდგარი საქართველოს სამსახურში (5, 15).

სამწუხაროდ აი, ასეთი მეცნიერი და მოღვაწე 35 წლის ასაკში გამოეცალა თბილისის უნივერსიტეტს, ქართულ მეცნიერებას, ქვეყანას. 1919 წლის თებერვალში შავი სახადით დაავადდა და გარდაიცვალა. მშობლიურმა უნივერსიტეტმა სათანადო პატივი მიაგო თავის ერთ-ერთ ფუძემდებელს. გლოვის დღეებში საზოგადოების სხვადასხვა წრის სათქმელი გამოხატა მისმა მეგობარმა და თანამებრძოლმა აკაკი შანიძემ: იოსებ ყიფშიძის სახით ქართველმა ხალხმა დაკარგა საუკეთესო შვილი, ქართულმა უნივერსიტეტმა - ნიჭიერი პროფესორი, ქართულმა ენათმეცნიერებამ - დიდი იმედი, მშობლებმა და ცოლშვილმა - ოჯახის ბურჯი და ამხანაგებმა - ტკბილი მეგობარი (6).

ი. ყიფშიძეს „თავისი მაღალი მეცნიერული კიბე მაშინ ჩაენგრა, როცა მარტოდენ მისი პირველი საფეხურები ჰქონდა ავლილი... ეს მთელი ჩვენი ეროვნული კულტურის უმძიმესი დანაკლისი იყო“ (ს. ჯორბენაძე).

ბედისწერის გამო ი. ყიფშიძემ სამეცნიერო ასპარეზზე სულ ათიოდე წელი იღვაწა და ამ ხანმოკლე დროის განმავლობაში 30-მდე ნაბეჭდი, ხელნაწერი შრომა დაგვიტოვა. ის იკვლევდა: ძველ და ახალ ქართულს, მეგრულ-ჭანურის ფონეტიკურ და გრამატიკულ სტრუქტურას. ამ რაოდენობრივად მცირე, მაგრამ ფასეულ შრომებში ჩანს ავტორის ბუნებრივი ტალანტი, პროფესიული განსწავლულობა, მოწამეობრივი რუდუნება, ფართო თვალსაწიერი, შეუპოვარი მიზანსწრაფვა, საქმისადმი ფანატიკური სიყვარული. ასეთი დაამახსოვრდათ იგი თანამედროვეთ, ახლობლებს და მეგობრებს.

ი. ყიფშიძეს განსაკუთრებული წვლილი მეგრულთან ერთად მიუძღვის ჭანურის შესწავლაში. როგორც ავღნიშნეთ, მან პირველად 1910 წელს იმოგზაურა ართვინის ოლქში შემავალი ჩხალთის სოფლებში: დოლოგანში მარადიდისა და ბორჩხში, მდ. მურღულის ხეობაში შემავალი ჭინკათხევში, მდ. ჩხალთის ხეობის სოფლებში, როგორიცაა: კოსტანეთი, დაკვარა, მამქრეთი, ბაშქოი, მაშანათი, დუსქოი, პანჭურეთი და მქათი. აღსანიშნავია ის, რომ მეცნიერი იწერდა არა მარტო ჩხალური მეტყველების

ნიმუშებს, არამედ, რადგან ინფორმატორები უმეტესად არქაბელი ლაზები იყვნენ, არქაბული კილოკავის ტექსტებსაც. თუ რა ენობრივი თავისებურებანი გამოავლინა ი. ყიფშიძემ ჩხალურ ტექსტებში, ეს სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, აქ მათზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ჩამოთვლილ ტოპონიმთაგან უმეტესობა ქართველური წარმოშობისაა.

მეორედ ი. ყიფშიძე ლაზისტანში იყო 1917 წლის ზაფხულში, თვენახევრის განმავლობაში და მოიპოვა ძვირფასი და ჟანრობრივად მრავალფეროვანი ჭანური ტექსტები, რომლის გადარჩენილი ნაწილი 1939 წელს გამოსცა არნ. ჩიქობავამ. მნიშვნელოვანია ის, რომ „ჭანური ტექსტები“ სამივე კილოკავის, ხოფურის, ვიწურ-არქაბულის და ათინურის მონაცემებს მოიცავს. არნ. ჩიქობავა ხაზს უსვამს რა ამ ტექსტების ჭეშმარიტ ისტორიულ მნიშვნელობას, წერს: „ყოველი ჭანი თურქულად ლაპარაკობს, მამაკაცებმა ჩვეულებრივ თურქული უკეთ იციან, ვინემ დედა-ენა, სახელმწიფო, სარწმუნოება, მწერლობა ისევ თურქულის შეფარდებითს წონას აძლიერებს. ჭანურის პოზიციები დღით-დღე სუსტდება. ჭანური მეტყველება სავსეა თურქული სიტყვებით... ჭანური მეტყველება კატასტროფულ მდგომარეობაშია... „ქართული ენათმეცნიერება... კარგავს ძვირფას საუნჯეს, ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული ძიებისას მიუცლილებელს. დანაკარგის ანაზღაურება შეუძლებელი იქნება და მთელი სიმწვავით იზადება აუცილებლობა ყოველი ჭანური სიტყვის, ყოველი ჭანური ფორმის აღნუსხვისა და ფიქსაციისა“ (I, 573).

მართალია, შემდგომში მოხერხდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, თურქეთში მცხოვრებ ჭანთაგან ჭანური მეტყველების ნიმუშების ჩაწერა, მაგრამ „ი. ყიფშიძის ჭანური ტექსტები, ჩაწერილი ადგილობრივ, ძვირფასია არა მხოლოდ თავისთავად, არამედ როგორც საკონტროლო საშუალება ჭანეთის გარეთ ჩაწერილი ჭანური მეტყველების ნიმუშებისათვის. ის საშუალებას გვაძლევს ამ მასალის ავ-კარგიანობაში გავერკვეთ... მათში მოცემულია ჭანური ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ყველა არსებითი დამახასიათებელი მოვლენა (1.575), მათზე დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია არნ. ჩიქობავას და კ. დანელიას შრომებში.

როგორც აღვნიშნეთ, ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილი მასშტაბური, მასალის სიუხვითა და სიმრავლით გამორჩეული ტექსტები ღირებულია არა მარტო ენათმეცნიერულად, არამედ ლაზების ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად. შინაარსობრივად საინტერესოა ლაზთა გამაჰმადიანების შესახებ ხალხის მეხსიერებაში არსებული ცნობები და თამარ მეფის შესახებ თქმულებები. საქართველოში ბევრ ტოპონიმს თამარის სახელი ჰქვია, ასევე ყოფილა ჭანეთშიც. თამარის მეფობა და ლაზთა გამაჰმადიანება ერთმანეთს რომ უკავშირდება, ამის თაობაზე არნ. ჩიქობავა წერს: სრული ანაქრონიზმია, როცა ჭანეთის გამუსლიმანების ამბებს თამარ მეფის სახელთან აკავშირებენ: სულტან სელიმმა რომ აზლადა აიღო, მოსახლეობის მეტი ნაწილი სამეგრელოში გაიქცაო, თამარ მეფეს სთხოვეს, იქ ადგილი მისცა და დაასახლაო.“ სულტან სელიმი XVI საუკუნეში (1512-1520) მეფობდა და, ცხადია, ვინც მას გაექცეოდა, მას თამარ მეფე დახმარებას ვერ გაუწევდა... ეს გადმოცემა გამოახილია დიდი პოლიტიკური ავტორიტეტისა, რომელიც თამარის მეფობას ახასიათებდა..., სულტან სელიმი თურქეთის ისტორიაში ცნობილია, როგორც სახელოვანი დამპყრობელი, ძლიერი ფატიშაჰი..., ჭანი ხალხის მეხსიერებაში ძლიერ თურქ დამპყრობელს დაუპირისპირდა ძლიერი მფარველი, თამარ მეფე. ქრონოლოგიურად ეს შეუსაბამოა, ფსიქოლოგიურად კი მართალია და გასაგები (1,580-581).

დამპყრობელი თურქებისაგან შევიწროვებულ, გაჩანაგებულ, დედა საქართველოდან იძულებით მოწყვეტილ ლაზებს მფარველად, მხსნელად თამარის ხანის ძლიერი სამშობლო, საქართველო მიაჩნიათ.

„ჭანეთში მოგზაურობა“ (დღიური) რეალურ სურათს წარმოაჩენს იმ დროს რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გაუბედურებული და საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი ლაზების ყოფა-ცხოვრების შესახებ. რამდენიმე ასეული წლის წინათ გამაჰმადიანებულ ლაზებს კიდევ შემორჩენიათ ქართველებთან ოდინდელი ეროვნული ერთიანობის შეგნება, იმედის ნაპერწკალი, ხალხის მეხსიერების სიღრმეშია გულუბრყვილოდ ჯერ კიდევ დაცული: დადიანი ვარ დოღურას „დადიანი არ მომიკვდეს“, მაფა ვარ დოღურას „მეფე არ მომიკვდეს“ (2,176) ამას ორთახოველი აბდულა ეუბნება ი. ყიფშიძეს, თან ბრალსა გვდებს ქართველებს, რომ მათი შვილები რამოდენიმე მაინც არ იზრდებოდა ქუთაისსა და თბილისში: „ახლა ხომ ბევრს ეცოდინებოდა ქართულიო“. ქალებს მიტომ არ ვაგზავნით თათრულ შკოლებში, რომ დედაენა დაავიწყდებოდათო, როგორც ჩვენ მამაკაცებს დაგვავიწყდაო (2,176). ან კიდევ: ოსმან ეფენდისთან მივდივარ, - წერს ი. ყიფშიძე, წამოვეწიე ორ ლაზს, მძიმე ტვირთით დატვირთულებს, ერთი მოხუცია, მეორე - შუაგაცი, გამოველაპარაკე ლაზურად, ერთმანეთის გვესმის, ძლიერ გაეხარდათ, როდესაც ვუთხარი, რომ ქართველი ვარ და მათი ენის სასწავლად მოვედი. „ჩვენ ძმები ვართ“ - მეთქი ვუთხარი მე. „ჩვენი ძველები და თქვენი ერთი ყოფილანო“ მომიგეს, მოხუცმა „ჰე ბაბა, ჰე ბაბა“-ო მითხრა, თვალზე ცრემლები მომდის... (2,169). როგორც კ. დანელია აღნიშნავს: „მართალია, აქ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ მაინც ითქვას: ჩანაწერიდან ერთხელ კიდევ ცნაურდება, რომ იოსებ ყიფშიძის პიროვნებაში მეცნიერება და მამულიშვილობა ჰარმონიულ და გაუზზარავ მთლიანობად იყო წარმოდგენილი“.

ი. ყიფშიძე ჭანეთში (ლაზეთში) ხომ საენათმეცნიერო მივლინებითაა და მან ბრწყინვალედ შეასრულა თავისი უპირველესი მიზანი - თვენახევრის განმავლობაში ჩაიწერა მასშტაბური, მასალის სიუხვითა და სიმრავლით, თემატური მრავალფეროვნებით გამორჩეული ჭანური მეტყველების ნიმუშები. კ. დანელიას დაკვირვებით, განსაკუთრებით საინტერესოა ენობრივი ხასიათის ცნობები და შენიშვნები. ი. ყიფშიძის ცნობით, სუმლაში (არქაბეში) მცხოვრები ვაკუფელების (პარხლის ხეობიდან წამოსული მუსლიმანი ქართველების) მეტყველება ძლიერ განსხვავდებოდა ქართულისაგან: ვი გამოთქვამდნენ ჯ-დ (წევიდა > წევდა), 11-დან 20-მდე ითვლიან არა თერთმეტი (ათ-ერთ-მეტი), თორმეტი (ათ-ორ-მეტი)... არამედ ათდაერთი, ათდაორი, ე. ი. ისე, როგორც მეგრულ-ჭანები (შდრ. ვიართი < ვით დო ართი „თერთმეტი“) (გვ. 152), ერთი 11 წლის ბიჭი შვიდს გამოთქვამდა, როგორც ჭიდი [როგორც ჩანს, შვ > ვ > ჭ].

ი. ყიფშიძე სწორად აღნიშნავს, რომ ათინურში მიცემითი ბრუნვის და ზმნის მე-3 სუბ. პირის ნიშნისეული ს შეიძლება წარმოდგენილი იყოს -ს სახით (ოგვაჯეს/ოგვაჯედ „საბუდარში“ ქემჭოფეს, ეს/ქემჭოფედ „დაგვაკავეს“), ასევე, უკანაენისმიერ ბგერათა აფრიკატოზაცია მარტო ბუღეფურ თქმაში კი არ ხდება, არამედ საერთოდ ათინურ კილოკავში (გვ. 152).

„დღიურში“ საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი გეოგრაფიული პუნქტების სახელები ათინის, ვიწე-არქაბის, ხოფის მხარეებისა, რომელთა ნაწილს გამჭვირვალე ლაზური ეტიმოლოგიური სტრუქტურა აქვს. ასეთებია, მაგალითად, ზენდიდი (< * რზენ დიდი „ვაკე დიდი“), ყომურმენი (*ყომურიშ რზენი „ტყემლის [ტყემლნარი] ვაკე), წკარყინა („წყალ-ცივა“), ჟდურპიჯი („ორ-პირი“), ჯგირიაზენი კარგი ვაკე), ნოლადისა (< * ნოლამ დიხა „დაბის მიწა“), დუთხე ეტიმოლოგიურად „თხელი“, „მეჩხერი“ [დასახლების ადგილი], ოზიჩხო („საფიჩხე“, შდრ. საფიჩხია), მელიათი („მელიეთი“), დუდიკვათა (< * დუდიშ კვათა „თავის კვეთა“), ჯახჩე („ხეთეთრი“), ქვამჩირე („ქვა ვრცელი“), კირიკვეთი („კირი მწვარი“) და სხვ.

ი. ყიფშიძე „დღიურში“ აღწერს საინტერესო ენობრივ ფაქტებს. მას ერთ-ერთი ინფორმატორისაგან გაუგონია, რომ ათინაში „ქუჭუჭუხე“ სიტყვას ხმარობენო. ეს სპეციფიური ნიუანსის ზმნა დღესაც აქტიურია მეგრულში, რომლის ზუსტი სემანტიკური ფარდი ქართულს არა აქვს: როცა კაცი თავისით ვერ სწვდება მაღალ საგანს ვთქვათ, ხის ტოტს) ან ვერ ადის მაღალ საგანზე (ხეზე, ცხენზე...) და მას მეორე ეხმარება, აიტატებს ან ესაფეხურება, რომ პირველი ამაღლდეს და მისაწვდომს მისწვდეს, მეგრული ასეთ დახმარებას ქუჭუჭუხუა ზმნით გამოხატავს (ქუჭუჭუხუა „ზევით ასწია, აიტატა ან ესაფეხურა „ეკიბა“).

ი. ყიფშიძეს ვიწეში მეტყველების ასეთი ნიუანსისთვის მიუქცევია ყურადღება: ლაზებს როდესაც ჰკითხავ რამეს, ნიშნად თანხმობისა წარმოთქვამენ ჰს, თითქოს შესვლას რამეო (გვ. 175). ამ შენიშვნის სისწორეს მეგრულიც ადასტურებს, სადაც ჩვეულებრივია კითხვაზე დადებითი პასუხის გამოხატვა თანხმობითი ჰს შორისდებულით, რომელიც წარმოითქმის არა ამოსუნთქული, არამედ შესუნთქული ჰაერნაკადით (5,44-45) და სხვა.

ცნობილია, რომ თადარიგში მყოფი სამხედრო პირი, რუსეთის არმიის ოფიცერი, I მსოფლიო ომის გამო ხელახლა გაწვეული მოქმედ არმიაში, მწერალი დავით კლდიაშვილი იმ დროს ლაზეთში (ჭანეთში) მსახურობს, იქ ხვდება სამეცნიერო მივლინებით მყოფ ი. ყიფშიძეს და თავის მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ ამ შეხვედრას აღწერს. ეს მოგონება საინტერესოა იმით, რომ „...ი. ყიფშიძე წარმოჩენილია, როგორც უბადლო მცოდნე ჭანური კილოკავებისა, ნამდვილი პროფესიონალი და უბადლო პიროვნება“. აი, ეს მოგონება:

„მაცნობეს, ვიღაც თქვენ გკითხულობთო. გამოვედი ოთახიდან, ჩემ წინ იოსებ ყიფშიძეა, მოგზაურის ტანისამოსში ზურგზე პატარა ჩანთა, ხელში კოლოფი.

- იოსებ! - მივაძახე გაკვირვებულმა, - იოსებ, საიდან, რამ გადმოგაგდო აქ?!

იგი მოვიდა სოფელ ვიწედან ფეხით - სამგზავრო ტვირთის მზიდავის პატოსიას თანხლებით. იგი მოგზაურობდა ლაზისტანში ჭანურ-მეგრულის შესწავლის მიზნით. მთხოვა მომეხმო ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ მათგან ჩაეწერა ხალხური ლექსები, ზღაპრები და თხზულებები. მოვიხმე თავდაპირველად მოხუცი მუსტაფა. მუსტაფას ხან ქართულად, ხან მეგრულად გამოელაპარაკა, გულიანი მუსაიფი გააბეს, მაგრამ როცა იოსებმა იწყო წერა, მუსტაფა რაღაც შიშს მიეცა, ჩაჩუმდა და ითხოვა განთავისუფლება - ავად შევიქენიო. მოხუცებულს შიში შეეპარა. არაფერ სახიფათოში გაებათ და ვერასგზოთ წინანდელ ხალისზე ვერ მოვიყვანეთ. გავსწიეთ ზღვის ნაპირზე დუქნებისაკენ: აქ გამოვატანიე მაგიდა, დავაჯინე იოსები, შემოუსხი ლაზები და გაიმართა საუბარი. ლაზები გაკვირვებას იყვნენ ყიფშიძის ლაზური კილოკავების ზედმიწევნით ცოდნით: თქვენ, პირონიტელები, ასე ხმარობთ ამ სიტყვას, არხავებმა ასე იციან, ვიწები ასე ამბობენ, სოფლები კი ამგვარად გამოთქვამენ. შეყრილი ხალხი ისე დაინტერესდა, ისე ჩაიყოლა, შეახალისა, რომ პირდაპირ საყურებელი რამ სურათი იყო:

- გატაცებული მეცნიერი ამოდრავებულ ხალხს შორის. მეორე დღეს ყიფშიძე შევაჯინე ცხენზე, გავაყოლე კაცი და გავამგზავრე, როგორც მას უნდოდა, ხოფაში, კვლევის გასაგრძელებლად. თან წერილი გაუგზავნე ჩემს კარგ მეგობრებს კეჯანოლებს და ომერიაზაკ-ოღლებს, რომ ხელი შეეწყით იოსებისთვის, ხოფაში და მის მიდამოებში, ყიფშიძე ერთი კვირა გარჩა, გაფაციცებული მუშაობდა და დიდი პატივისცემა მოიპოვა მაცხოვრებლებში“ (7,317-318),

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დ. კლდიაშვილი წელიწადნახევარი ცხოვრობდა ლაზებით დასახლებულ პირონიტში, ბუნებრივია, იგი დაინტერესდებოდა მაცხოვრებელთა ყოფა-ცხოვრებით, იყო თუ არა მათ ადათ-ჩვევებში, ქცევასა და ფსიქიკაში შემორჩენილი რაიმე ქართული ნიშან-თვისებები, საერთოდ, მათი ბედით გულგრილი ის ვერ დარჩებოდა. როგორც მემუარებიდან ჩანს, მწერალი მოლაპარაკებია ბათუმში საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენლებს, რათა მოეწოდებინათ სოფლები და ჩაეტარებინათ ასსნა-განმარტებითი, შემეცნებითი შეხვედრები მოსახლეობასთან მათი ისტორიული წარსულისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. მემუარების ავტორი დასძენს: „საზოგადოების თბილისურმა მთავარმა გამგეობამ კიდევ გამოაგზავნა კონსტანტინე კობახიძე იმ დავალებით, რომ მიეარ-მოეარა სოფლები და გამოერკვია მცხოვრებთა მიმართულება. კობახიძე ჩამოვიდა ჩემთან პირონიტში და აქედან მიდი-მოდოდა სოფლებში. დიდად კმაყოფილი ბრუნდებოდა იგი ხოლმე და აღტაცებით ჰყვებოდა ლაზებთან ნალაპარაკების შესახებ. ზოგ სოფელში ასეთ რამესაც ჰქონია ადგილი: სახლში, სადაც კრება იყო, შუაზე ჩამოკიდებდნენ საფარებელს, რომ ქალებსაც საფარებელს ამოფარებულთ, მისცემოდათ საშუალება მოესმინათ კომახიძის სიტყვა. კომახიძე უყვებოდა თუ ვინ იყვნენ ლაზები. აცნობდა მათ ისტორიულ ცხოვრებას და ამგვარებს. ყველგან დიდი ინტერესს იწვევდა ეს გაცნობიერება ხალხში“ (7,317). თვითონ ეს ფაქტიც ბევრ რამეზე მეტყველებს. დიდებული წარსულის გახსენება-გაცნობიერება, ამ საქმის ორგანიზატორთა აზრით, საქართველოს, ლაზეთის მომავლის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო.

„ჩვენებურებთან საინტერესო რამდენიმე შეხვედრაზე მოგვითხრობს დ. კლდიაშვილი. მაგალითად, აბუსილელ ლაზ ჰასან ჰუსეინ შმიგ-ოღლისთან მის თანასოფლელებს გადაუწყვეტიათ სოფელში ქართული სკოლის გახსნა, შეუგროვებიათ კიდევ საჭირო თანხა, სტამბოლში კაცი გაუგზავნიათ ნებართვის მისაღებად, მაგრამ ომის გამო შეფერხებულა ეს საქმე. ან მუსტაფა ბექირ ოღლი, რომლის ნამდვილი გვარი ჩხეიძეა, „მუსტაფა ისეთნაირად ლაპარაკობდა ქართულს, ისეთი ლამაზი გამოთქმით, რომ ხშირად განგებ ავალაპარაკებდი რომ მისი მშვენიერი ქართული მოგვესმინა“ – (7,316) და ა. შ.

დიდ მეცნიერი ი. ყიფშიძე და დიდი მწერალი დ. კლდიაშვილი შეძლებისდაგვარად ცდილობენ ხელი შეუშალონ ბედისუკუდმართობის გამო გაპარტახებულ-გავერანებული თვისტომის სრული დენაციონალიზაციის საბოლოო ჟამს. მართალია, ლაზეთში თვენახევარი ყოფნის განმავლობაში მეცნიერმა მოიპოვა ენათმეცნიერული (არა მარტო ენათმეცნიერული) თვალსაზრისით უძვირფასესი მასალა, მაგრამ სულით-ხორცამდე შეუძრწუნებია ომის შედეგად გაჩანაგებული „ჭანეთის უბადრუკ ყოფას და როგორც კი დაბრუნებულა მოგზაურობიდან (1917 წლის აგვისტოს ბოლოს). მაშინვე, 12 ენკენისთვის (სექტემბერს) სასწრაფოდ შეუდგენია თხოვნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სახელზე (ამ თხოვნა-მოხსენების პირი კი გაუგზავნია ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობისთვისაც), რომელშიც ის გამგეობას სთხოვდა ქმედითი ღონისძიების მიღებას ომისგან გაუბედურებული ლაზების დასახმარებლად. იმ თხოვნა-მოხსენებაში ი. ყიფშიძეს სწორად ჰქონდა წარმოდგენილი კონკრეტულად რა სახის შეიძლებოდა ყოფილიყო იმხანად ეს დახმარება. ის შეახსენებდა გამგეობას, რომ საჭირო იყო ლაზებისთვის აღმოეჩინათ არა მარტო ნივთიერი თუ სამედიცინო დახმარება, არამედ კულტურულიც, კერძოდ, შეეტანათ განათლება ე. წ. მოძრავი სკოლების გამართვით მაინც: საქართველოდან გაეგზავნათ სპეციალისტები, რომლებიც მსურველთ ადგილზე სოფელ-სოფელ მოვლით შეასწავლიდნენ ქართულ (თუ რუსულ) წერა-კითხვას, ამასთანავე, რამდენიმე ახალგაზრდა ლაზი ჩამოეყვანათ ჩვენს სასწავლებელში განათლების მისაღებად და დაენიშნათ მათთვის სტიპენდიები არსებული სასტიპენდიო ფონდიდან. ამ თხოვნა-მოხსენებიდან კარგად ჩანს მეცნიერი იოსებ ყიფშიძის მაღალი მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივი მრწამსი...“ (5,45-47).

ლიტერატურა:

1. არნ. ჩიქობავა, შრომები, III, 2008.
2. ი. ყიფშიძე, თხზულებანი, თსუ გამომცემლობა, 2015, შესავალი წერილი: გ. გოგოლაშვილი, „ჩვენ შენში ვგლოვობთ ჩვენს უნივერსიტეტს“.
3. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1981.
4. არნ. ჩიქობავა, პროფ. ი. ყიფშიძე და თბილისის უნივერსიტეტი „მნათობი“. №7, 1984.
5. კ. დანელია, იოსებ ყიფშიძე ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, თსუ გამომცემლობა, თბ., 1985.

6. ა. შანიძე, პროფესორი ი. ყიფშიძე, გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 23 თებ.
7. დ. კლდიაშვილი, ტ. II, თბ., 1981.

Vianor Akhalaia
Gori State Teaching University
IOSEB KIPSHIDZE, LAZETI, CHAN AND DAVID KLDIASHVILI
RESUME

Ioseb Kipshidze is a founder of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, together with Petre Melikishvili, Ivane Javakhishvili, Akaki Shanidze and others. He was elected as the Secretary of the Board of Professors, to be the Deputy Dean of the Faculty of Wisdom and the First Head of the Georgian Language Department.

I. Kipshidze studied old and new Georgian, Megrelian-Chanuri phonetic and grammatical structures. These works show the natural talent of the author, vocational training, a wide range of scenes, and the fanatical love of the case.

In 1917, he traveled to Laszanta, gained treasured and genuinely versatile texts. In the "Journey to Blog", the real picture of this time is about the life and life of lashes from their land and water in the ruins of the Russian-Turkish war ... where he met the famous writer, then Russian army officer David Kldiashvili.

ლევან ბრეგაძე
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**გრამატიკულად არასწორი ზოგიერთი ფორმის სიტყვათგანმასხვავებელი
 ფუნქციისათვის**

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ:

„ნერვიულ-ი“ (ნერვიულისა) იგივეა, რაც ნ ე რ ვ უ ლ ი. „[შოკი] გამოწვეულია საერთო ნერვიული ფუნქციების, სუნთქვისა და გულის-ცემის დაზიანებით“ (დ. სულ.). „ნესტიანი და ბნელი ოთახი ნერვიული კისკისით გაავსო [მარგომ]“ (მ. ჯავახ.). **ნერვიულად** ზმნს. იგივეა, რაც ნ ე რ ვ უ ლ ა დ. „ბავშვები ატირდნენ, მამაკაცები უღვაშებს ნერვიულად იგრებდნენ“ (რ. გვეტ.)“ (ქეგლ 1958: 1475).

ასეთივე ვითარებაა 1986 წელს გამოცემულ განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულში (ერთტომეული 1986: 358).

1968 წელს გამოსული „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ არ ცნობდა „ნერვიულს“ და მასში სწორ ფორმებად მიჩნეული იყო „ნერვული“, „ნერვულობა“ და „ნერვულობს“ (ორთოგრაფიული... 1968: 605), ვინაიდან გრამატიკულად სწორი წარმოებაა **ნერვ-ულ-ი**, ხოლო გრამატიკულად არასწორი **ნერვ-ი-ულ-ი-ივ-და -ია** სუფიქსიანი სიტყვების ანალოგიით არის მიღებული: აქტ-ი(ვ)-ურ-ი, პას-ი(ვ)-ურ-ი, რეაქცი-ულ-ი...

მაგრამ **ნერვიული** და **ნერვული** რომ ერთი და იგივე არ არის, კარგად ჩანს ქეგლ-ში დამოწმებული საილუსტრაციო მაგალითებიდანაც. კერძოდ, **ნერვული** ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტერმინია და ასეა განმარტებული: „ნერვებისაგან შემდგარი; ნერვებთან დაკავშირებული“ (ქეგლ 1958: 1475).

იქვე დამოწმებულია ეს მაგალითები: „**ნერვული ქსოვილი** შედგება ე. წ. ნეირონებისაგან“ („პლასტიკ. ანატ.“). „**ნერვული პროცესი** ორგანოა: აგზნება და შეკავება, რომელნიც ურთიერთის საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებენ“ (დ. უზნ.).

აქ სადავო არაფერია.

მაგრამ **ნერვულის** მე-2 და მე-3 მნიშვნელობები ამავე სიტყვა-სტატიაში ასეა ახსნილი: „2. ნერვების გაღიზიანებით გამოწვეული. 3. ნერვებაშლილის დამახასიათებელი. **ნერვული ხმა**. - **ნერვული სიარული**“.

მივაქციოთ ყურადღება, რომ აქ საილუსტრაციო მაგალითები ლიტერატურიდან კი არ არის მოხმობილი, არამედ „ხელოვნურადაა“ კონსტრუირებული, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან არც იმ დროს, როდესაც ეს ლექსიკონი მზადდებოდა და არც ამჟამად არავინ იტყვის – „*ნერვული ხმა, ნერვული სიარული*“; ამბობენ – „*ნერვული ხმა, ნერვული სიარული*“.

რეალური ვითარება ასეთია:

ნერვ-ულ-ი (რაც სწორი წარმოებაა) ანატომიურ *ნერვთან* დაკავშირებულს ნიშნავს (მაგ., *ნერვული სისტემა*), ხოლო **ნერვ-ი-ულ-ი** (რაც არასწორი წარმოებაა) იგივეა, რაც *ნერვებაშლილი*; ეს კი მეტაფორაა და განერვიულებულ, გაღიზიანებულ ადამიანს ნიშნავს, აგრეთვე – ასეთი ადამიანისთვის დამახასიათებელ ქმედებასაც (მაგ., *ნერვული სიცილი*).

არც ადრე და არც ამჟამად არავინ დაამშვიდებს ასე მეგობარს: „ნუ ნერვულობ“, „არაფერია სანერვულო“, ყველა ასე იტყვის: „ნუ ნერვიულობ“, „არაფერია სანერვიულო“. მსგავს მაგალითებს თვითონ გვთავაზობს ლექსიკონი: „*დორა სუსტად არის და ნერვიულობს*“ (ქ. ბაქრ. თარგმ.). „*ორივე გუნდი ნერვიულობს, კუიბიშეველები უხეშობენ*“ („კომუნისტი“) (ქეგლ 1958: 1475) და სხვ.¹

ასე რომ, **ნერვიული** სხვა რამეა და **ნერვული** სხვა, რაც ბოლოს და ბოლოს აისახა კიდეც 1998 წელს გამოცემულ ორთოგრაფიულ ლექსიკონში (ორთოგრაფიული... 1998: 403) და ალბათ ახალი განმარტებითი ლექსიკონიც (რომლის მხოლოდ სამი ტომია ჯერჯერობით გამოცემული და ნარამდე ჯერ კიდევ შორია) გაიზიარებს ამ თვალსაზრისს.

ამრიგად, ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ გრამატიკულად არასწორმა წარმოებამ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია იკისრა და აგვარიდა პოლისემია.

* * *

მსგავსი ვითარებაა სიტყვა „ფაქტი“-დან ნაწარმოებ ზედსართავებშიც – **ფაქტ-ობრ-ივ-ი** (სწორი ფორმა) და **ფაქტ-ი-ურ-ი** (არასწორი ფორმა, როგორც ზემოთ ვთქვით, -ივ-და -ია სუფიქსიანი სიტყვების ანალოგიით მიღებული) და ზმნისართებშიც: **ფაქტ-ობრ-ივ-ად** (სწორი ფორმა) და **ფაქტ-ი-ურ-ად** (არასწორი ფორმა).

ორთოგრაფიული ლექსიკონიდან **ფაქტიური** განდევნილია. იქ ვკითხულობთ: „**ფაქტობრივი** [და არა **ფაქტიური**]; **ფაქტობრივად**“ (ორთოგრაფიული... 1998: 490; შდრ. ორთოგრაფიული... 1998: 742).

ქეგლ-ში **ფაქტობრივიც** არის და **ფაქტიურიც**, მაგრამ ისინი გაიგივებულია. კერძოდ, იქ ვკითხულობთ: „**ფაქტიურ-ი** იგივეა, რაც **ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ი**. „*სოციალისტურ სახელმწიფოში... დამყარებულია ეროვნებათა სრული იურიდიული და ფაქტიური თანასწორობა*“ („კომუნისტი“). **ფაქტიურად ზმნს**. იგივეა, რაც **ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ა დ**. „*საარჩევნო პუნქტებში არჩევნებისათვის მზადებას ფაქტიურად ამ დღეებში შეუდგნენ*“ („კომუნისტი“).

არადა, ენამ ამ ორ ზედსართავს და მათგან ნაწარმოებ ზმნისართებსაც (**ფაქტობრივად**, **ფაქტიურად**) განსხვავებული მნიშვნელობები მიანიჭა: **ფაქტობრივი** ფაქტებზე დამყარებულს ან ფაქტებთან დაკავშირებულს ნიშნავს. მაგ., *ფაქტობრივი მონაცემები* (ანუ: რამე საკითხთან დაკავშირებული ფაქტების ჩამონათვალი, ნუსხა), *ფაქტობრივი შეცდომა* (ანუ: შეცდომა, რომელიც ფაქტის არასწორი ცოდნის შედეგია), ხოლო **ფაქტიური** კი რეალურის, ნამდვილის სინონიმია. მაგ., *ფაქტიური ვითარება* (რეალურად არსებული ვითარებაა, იმისგან განსხვავებული, როგორიც გვეგონა ან როგორადაც მას წარმოგვიდგენდნენ), *ფაქტიური მისამართი* (ის მისამართი, სადაც ადამიანი რეალურად ცხოვრობს, თუმცა ოფიციალურად სხვაგან არის დარეგისტრირებული. მიაქციეთ ყურადღება: ოფიციალური მისამართიც ფაქტია, ანუ პირი იქ **ფაქტობრივად**, ანუ საბუთების მიხედვით, ცხოვრობს, მაგრამ **ფაქტიურად**, ანუ რეალურად – არა).

ჩვენი აზრით, აქაც გრამატიკულად არასწორ ფორმას სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია დაეკისრა.

(რატომ არ გვაქვს გრამატიკულად სწორი **ფაქტ-ურ-ი**? [შდრ. **ტიპ-ურ-ი**, რამაც ჩაანაცვლა უმართებულო **ტიპ-ი-ურ-ი**] ცდაც კი არ ყოფილა მისი დამკვიდრებისა! შესაძლოა იმიტომ, რომ მისგან ნაწარმოები ზმნისართი – **ფაქტ-ურ-ად** – ემთხვევა **ფაქტურა** სიტყვის ვითარებით ბრუნვას, რაც გაუგებრობებს გამოიწვევდა).²

* * *

არის თუ არა ენაში/ენებში ამის მსგავსი სხვა შემთხვევები, ანუ პრეცედენტები იმისა, რომ არასწორ გრამატიკულ ფორმას სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია ეკისრებოდა?

დიახ, არის.

¹არასწორი ფორმის დამკვიდრებას აქ ხელს უწყობს ისიც, რომ კბილბაგისმიერი **ვ**-სა და ლაბიალიზებული **უ**-ს მიჯრით წარმოთქმა ძნელია (პროფ. ავთანდილ არაბულის შენიშვნა).

²ამ შესაძლებლობაზე მიგვითითა ნათია სიხარულიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

რამდენიმე მაგალითი:

1. ინდოელი და ინდიელი.

ინდო-ეთ-ი-დან ნაწარმოები ინდო-ელ-ი სწორი ფორმაა (ისევე, როგორც ჩინ-ეთ-ი-დან ნაწარმოები ჩინ-ელ-ი) და ნიშნავს ინდოეთის მკვიდრს; ხოლო იმავე ინდო-ეთ-ი-დან არასწორად ნაწარმოები ინდ-ი-ელ-ი ამერიკის აბორიგენ მოსახლეს ეწოდება. იგი ისეთივე მცდარი ფორმაა, როგორიც ჩინ-ი-ელ-ი იქნებოდა ნაცვლად ჩინ-ელ-ი-სა. ქველ-ში ამერიკელი ინდიელების თაობაზე ვკითხულობთ:

„ასე დაერქვათ მათ ევროპიდან მისული პირველი კოლონიზატორებისაგან, რომლებსაც ეგონათ, რომ ინდოეთში მოხვდნენ“ (ქველ 1955: 726).

მცდარი ფორმა აქ იმ შეცდომას „ინახავს“, რაც ამერიკის პირველ კოლონიზატორებს მოუვიდათ. ეს მცდარი ფორმა, გარდა იმისა, რომ მას სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია აკისრია, თითქოსდა კოლუმბის ისტორიულ შეცდომასაც შეგვახსენებს!

ასეთივე ვითარებაა სხვა ენებშიც:

რუსულში: Индия>индиец / индеец;

გერმანულში: Indien>Inder / Indianer.

(ინგლისურსა და ფრანგულში პოლისემიაა: პირველში Indian და მეორეში Indien ინდოელიც არის, ინდიელიცა და ინდურიც).

2. ამავე შეცდომასთან არის დაკავშირებული ევროპაში ამერიკიდან ჩამოყვანილი ფრინველის ინდაურის სახელწოდებაც, რომელიც ინდოურიდან მომდინარეობს.¹ სწორი ფორმა ინდ-ურ-ი (ისევე როგორც ჩინ-ურ-ი), რაც ინდოეთიდან მომდინარეს, ინდოეთში წარმოშობილს აღნიშნავს. ამჯერად არასწორი ფორმა ინდაური (ისეთივე არასწორი, როგორიც იქნებოდა ჩინ-ა-ურ-ი ნაცვლად ჩინ-ურ-ი-სა) განესხვავა სწორ ინდურს, რის შედეგადაც ზედსართავი სახელი ისე იქცა არსებით სახელად, რომ პოლისემია თავიდან იქნა აცილებული.

3. ასეთივე მიმართებაა ამ სიტყვებს შორისაც: კვამლი და კომლი.

კვამლი იგივე ბოლია, ხოლო მისი დიალექტური სახესხვაობა, ანუ ლიტერატურული ქართულის თვალსაზრისით უმართებულო ფორმა კომლი სალიტერატურო ქართულში ცალკე ოჯახს ნიშნავს და მეტონიმად აღარ აღიქმება (დიალექტებში ის მეტონიმას წარმოადგენდა). ამრიგად, აქაც ლიტერატურულად არასწორი ფორმა პოლისემიის თავიდან ასაცილებლად იქნა გამოყენებული შდრ. ჯორბენაძე 1985: 41).

4. ძველ ქართულში მოწამე მარტვილსაც ანუ წამებულსაც ნიშნავდა და დამსწრეს, შემსწრეს, მნახველს და დამმოწმებელსაც: „მოწამე - პიროვნება, რომელიც საკუთარი სარწმუნოებისათვის განიცდის დევნას, ტანჯვას და იღებს სიკვდილს. ეკლესია დასაბამიდანვე მიაგებდა პატივს მათ, ვინც რწმენას საკუთარი სისხლით ამოწმებდა“ (პეტროზილო... 2011. ხაზგასმა ჩვენი. ლ.ბ.). პოლისემიის თავიდან ასაცილებლად ენამ უმართებულო შეკუმშვას მიმართა და გაჩნდა მოწმე.²

5. სწორი ფორმაა სა-წუთ-ო (რაც ძლიერ ხანმოკლეს ნიშნავს), მას შინაარსობრივად განესხვა სა-წუთ-ო-ო (ანუ სააქაო) რ-ს არასწორი ჩამატებით, რაც პოლისემიის თავიდანაცილებას ემსახურება. (ქველ-ში „საწუთოს“ საილუსტრაციოდ დამოწმებულია სტრიქონები აკაკი წერეთლის ლექსიდან „მშობა, ერთობა და სიყვარული“: „საერთშორისო მტკიცე კავშირი,/ ეს არის ქრისტეს სწავლა და მცნება, / საყოველთაო, სამარადისო, / და არ საწუთო სიზმარ-ოცნება“. - ქველ 1960: 932-933).

6. როგორც ძველი რომის სახელმწიფოში, ასევე ახლანდელი იტალიის დედაქალაქში მცხოვრები ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა წესით უნდა იყოს რომ-ელ-ი (შდრ. გერმან-ელ-ი, პარიზ-ელ-ი...). მაგრამ მაშინ ის ფორმით დაემთხვეოდა კითხვით ნაცვალსახელს რომელი, რაც გაუგებრობების წყარო იქნებოდა. ამიტომ დამკვიდრდა რომ-ა-ელ-ი - ისეთივე არასწორი ფორმა, როგორიც იქნებოდა გერმან-ა-ელ-ი, პარიზ-ა-ელ-ი.

* * *

განხილული მაგალითები კერძო შემთხვევებია ლიგისტიკის იმ დარგისა, რომელსაც ბესარიონ ჯორბენაძე ფაკულტატურ გრამატიკას უწოდებს (ჯორბენაძე 1985).³

¹ამის თაობაზე აკაკი შანიძე წერს: „ინდო-ეთი-საგან უნდა გვეყონდეს ინდო-ურ-ი (შდრ. ენდო-ელ-ი); ასეთი ფორმაც გვხვდება (მაგ., გურულში), მაგრამ სალიტერატურო ენაში, აურ-ზე გათავებული სახელების ანალოგიით, „ინდაური“ მკვიდრობს. „ინდაური“ ზედსართავია, მაგრამ არსებით სახელად იქცა მსახდურელის ჩავარდნის შემდეგ: ინდოური ფრინველი > ინდოური > ინდაური“ (შანიძე 1973: 128).

²შესაძლოა ასეთივე მიმართება იყოს ბერძენსა და ბრძენს შორისაც.

³ბესარიონ ჯორბენაძის ამ ნაშრომზე მიგვითითა პროფ. გიორგი გოგოლაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

საზოგადოდ, ამა თუ იმ ენობრივი ფორმისთვის *სწორის* თუ *არასწორის* სტატუსის მინიჭება ერთობ პირობითი რამ არის. შესაძლოა გრამატიკულად არასწორი ფორმა ამა თუ იმ მიზეზის გამო ნორმად დამკვიდრდეს ენაში. გრამატიკულად სწორი ფორმებია *გერმანიული*, *იაპონიური* (შდრ. *ავსტრიული*, *იტალიური*...), მაგრამ დამკვიდრდა *გერმანული*, *იაპონური* (*ბერძნულის*, *სომხურის* ანალოგიით) და სხვ.

მით უფრო არ უნდა ჩამოერთვას არასწორ ფორმას მოქალაქეობის უფლება მაშინ, როდესაც იგი სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციით გამოიყენება და თავიდან გვაცილებს პოლისემიას. ამგვარ შემთხვევებშიც მართებულია ბესარიონ ჯორბენაძის დებულება შესახებ იმისა, რომ ენას მოეპოვება პოტენცია „რაციონალურად გამოიყენოს ყველა დასაშვები შესაძლებლობა მნიშვნელობათა თვით უმცირესი ნიუანსების გამოხატვის მიზნით, თან ისე, რომ ეს გამოხატვა თავიდან იცილებს ორაზროვნებას“ (ჯორბენაძე 1985: 46).

ლიტერატურა:

ერთტომეული 1986: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული. თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგია, 1986.

ორთოგრაფიული... 1968: ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი: „განათლება“, 1968.

ორთოგრაფიული... 1998: ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი. მეორე შევსებული გამოცემა. თბილისი: „განათლება“, 1998.

პეტროზილო... 2011: პიერო პეტროზილო. ქრისტიანობის ლექსიკონი. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის გამოცემა, 2011;

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=4161>

ქეგელ 1958: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 5. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958.

შანიძე 1973: აკაკი შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973.

ჯორბენაძე 1985: ბესარიონ ჯორბენაძე. ქართული ენის ფაკულტატური გრამატიკის საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1985.

Levan Bregadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

WORD-DISTINCTIVE FUNCTION OF SOME GRAMMATICALLY INCORRECT FORMS RESUME

It is discussed the cases where the existence of a grammatically incorrect form next to the grammatically correct form of the same word, serves to avoid polysemy.

გიორგი გოგოლაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ტერმინ „დედაენის“ ისტორია და მნიშვნელობა

ტერმინი **დედაენა** მშობლიური ენის მნიშვნელობით **იაკობ გოგებაშვილის შექმნილია**. „დედაენა“ მიზნობრივად შეიქმნა საანბანე წიგნისთვის ისეთი ქართული სიტყვების ანალოგიით, როგორიცაა **დედამიწა**, **დედაბოძი**, **დედაბურჯი**, **დედაქალაქი**, **დედაზრი**... იმდენად მარჯვედ იყო შექმნილი ეს ტერმინი, რომ იგი სწრაფად გავრცელდა და დამკვიდრდა ქართულში **მშობლიური ენის** სინონიმად.

ა რ ი ს კ ი ა ს ე? ვფიქრობთ, კი:

1976 წლამდე თავად იაკობ გოგებაშვილიც **დედაენის** მნიშვნელობით სხვა გამოთქმებს გამოიყენებს: **ქართული ენა, სამშობლო ენა**. „ბუნების კარის“ პირველ გამოცემას (1868 წ.) გარეკანზე აწერია:

„ვინც რომ **სამშობლო ენას**
ივიწყებს და არ ეძებს,
მრიელ კარგიც რომ იყოს,
ნაყოფს ვერ გამოიღებს.“

სამწუხაროდ, 1876 წლამდე იაკობს კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები ცოტა აქვს, მით უმეტეს, ისეთ თემაზე, ამ გამოთქმის (დედა-ენა) გამოყენების საჭიროება რომ ჰქონოდა. 1876 წლის შემდეგ კი **მშობლიური ენის** მნიშვნელობით ჩვეულებრივ **დედაენას** გამოიყენებს. ერთი ამონარიდი:

„ღმერთი არის მეუფე გულის, და მხოლოდ გულისა. ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც ადამიანი მიმართავს უფალსა, გამოიხატება მხოლოდ **დედა-ენით**, იმიტომ, რომ მხოლოდ **დედა-ენა** არის ენა გულისა, გრძნობისა. სხვა ენა აქ ყოვლად უძლურია. მხოლოდ **დედა-ენაზედ** შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ... დიად, მხოლოდ **დედა-ენა** არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა“ (1888 წ.) .

დასტურად იმისა, რომ **დედაენა** იაკობის შექმნილი სიტყვაა და აქედან გავრცელდა სხვაგან, **ილიას** და **აკაკის** მაგალითებს მოვიყვანთ.

ჩვენ შეძლებისდაგვარად გადავიკითხეთ 1876 წლამდე დაწერილი **ილიას** კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები. სიტყვა **დედაენა** არ შეგვხვებოდა; ამ მნიშვნელობით სხვა გამოთქმები გამოიყენება:

რამდენიმე ამონარიდი წერილიდან „ორიოდე სიტყვა...“ (1861 წ.):

„ეგრეთ უნო ენად ვნახეთ **ჩვენი საყვარელი ენა**“;

„კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავისი **დედ-მამის ენა** ისე...“

„არა მარტო ვსწავლობთ იმათს მშვენიერს ლექსებში **მშვენიერს ენას**...“

„ჩვენ ყველანი **ქართული ენის** ხმარებაში ცოდვილნი ვართ...“

„ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით **ჩვენ მშობლიურ ენის** მიწასთან გასწორებას...“

„იქნება ამ სტატიამ ბევრი შევსცოდეთ **ჩვენს საყვარელს ენას**“...

„**ჩვენი ქართული ენა** ისე გვიყვარს...“

„ჩვენ **ჩვენი ენის** დამცირებამ დაგვაწერინა...“ და მისთანანი.

1877 წელს დაწერილი ოთხგვერდიანი წერილიდან „ვიცინოთ თუ ვიტყვით“:

„აქ **ქართულ ენას** პირველი ადგილი ეჭირება სხვათა შორის“...

„**ქართულის** ცოდნა გულს აუსუფებს...“

„და მაინც კიდევ **ქართულს** არ ასწავლიან...“

„ამის გამო მაინც **ქართულს ენას** სემინარიაში სავალი ექნებაო...“

„ჯეროვანი გზა მიეცემოდა **ქართულ ენას**...“

„**ქართულის ენისათვის** დრო არა ჰქონდეს...“ ყველა შემთხვევაში კონტექსტის მიხედვით **მშობლიური ენა** იგულისხმება, ანუ **დედაენა**. იაკობის „**დედა ენა**“ ამ დროს ახალი გამოსულია...

ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნებულ წერილში (1881 წ.) „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ ილია **მშობლიური ენის** მნიშვნელობით მხოლოდ **დედაენას** გამოიყენებს. ერთი ამონარიდი:

„ყველამ, დიდმა და პატარამ, შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა **დედა-ენა** სკოლისათვის საერთოდ და საეროსათვის საკუთრივ. ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხეველად ვთხოულობთ **დედა-ენისათვის** სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, – ეგ მარტო **დედა-ენის** სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ **უდედა-ენოდ** გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგრვისა, გონების დახშვისა, დათრგუნვისა, გათახსირებისა, – და განა ეს სასურველია ვისთვისმე? ზემომოყვანილიდამ ცხადია, რომ **დედა-ენა** ცნობილია არამც-თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს“. ამავე წერილში ილია უშინსკის, კომენსკისა და სხვათა ამონარიდების თარგმნისას მხოლოდ **დედა-ენას** გამოიყენებს...

კიდევ ერთი ცნობილი აზრი ილიასი: „ქართველისათვის **„დედა“** მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც **„დედა-ენას“** ეძახის, უფროსს ქალაქს – **„დედა-ქალაქს“**, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას – **„დედა-ბოძს“**, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს – **„დედა-ბურჯს“**, სამთავრო აზრს –

„დედა-აზრს“... და, როგორც ვხედავთ, **დედაენა** მსგავსი სტრუქტურის სხვა სიტყვათა გვერდით და-
აყენა ჩვეულებრივ... ეს 1898 წელს დაიწერა...

პოეზიაში ილია ხუთჯერ გამოიყენებს სიტყვას **დედაენა** ლექსში „ორხმიანი საახალწლო ოპე-
რეტი“. იაკობ გოგებაშვილს ათქმევინებს:

„**დედა-ენა** მიჩს სახელად...“ „**დედა-ენითა** წვრთნა ყრმისა...“ „**დედა-ენა** პირველადვე...“ „**დედა-
ენა** მით არს კარგი...“ „**დედა-ენას** სთხრიდეს...“ ლექსი 1894 წელსაა დაწერილი.

იგივე ვითარება არის აკაკი წერეთელთანაც: იაკობის „**დედა ენის**“ გამოსვლამდე ამ ტერმინს
აკაკისთან ვერ ვხვდებით:

„**ქართულზედ** რომ ხელს იღებენ“...

„**ქართულ ენას** არად ხდიან...“ (1861 წ.)

„მათმა ჭკვიანურმა აზრებმა და მათთანაც **ქართული ენის** ზედმიწევნით ცოდნამ გამაკვირ-
ვა...“ (1867 წ.)

„არ ეთაკილებოდეს **ქართული ენა**...“

„ჯერ **ქართულიც** არ იცი...“ (1868 წ.)

1876 წლიდან კი, „დედა ენის“ გამოსვლის შემდეგ, აკაკისათვის **დედაენა** ჩვეულებრივი სი-
ტყვაა. აკაკი ჩვეულებრივ **დედა-ენას** გამოიყენებს:

„მაგრამ მე კი ვერ გავიგე, თუ რა ენა უნდა ყოფილიყო მათი **დედა-ენა**“... (1876წ.)

შ ე ვ ნ ი შ ნ ა ვ თ: იაკობი წერს ერთგან: „1875 წელს მე უკვე დამზადებული მქონდა „დედა-
ენა“ დასაბეჭდად“. ჩანს, აკაკი ხელნაწერში იცნობდა...

„იმათაც კი შერჩენიათ **დედა-ენა** ტკბილად სასაუბროდ...“ (1877 წ.)

„ძველად ჩვენში სამღვდელოებამ იცოდა საფუძვლიანად **დედა-ენა**...“ (1887 წ.). მსგავსი მაგალი-
თები მრავლადაა...

აკაკის პოეზიაში 10-ჯერ არის ნახმარი სიტყვა **დედაენა**:

„კრულია მისი ხსენება, ვინც დაგმობს **დედა-ენასა**“... (1880 წ.)

„რომ **დედა-ენაც** არ იცის“... (1889 წ.)

„**დედა-ენა** და ერობა ქრისტეს რჯულს უკავშირაო“... (1892 წ.)

„სამშობლო მხრისა და **დედა-ენის**“... (1901 წ.)

„არც მის სიწმინდეს, მის **დედა-ენას**“... (1909 – 1910 წ.)

„რომ შეგვრჩენოდა ჩვენ **დედა-ენა**“... (1909 – 1910 წ.)

„ნუ გადასცვლით უცხოზე ქართულ **დედა-ენასა**“ (1911 წ.)

„და გვირგვინი კი სწავლისა უფროსად **დედა-ენისა**“... (912 წ.)

„ალადგინა გორგასალმა **დედა-ენა** დაკარგული“... (1912 წ.)

„შკოლები მოსწავლეებსა უსპობენ **დედა-ენასა**“... (1912 წ.)

უფრო ადრე ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოიყენებს ტერმინებს „**მამეული ენა**“ და „**ბუნებითი
ენა**“... „დედაენაზე“ მსჯელობისას (რაზეც მე თვალი მიმიწვდენია) ამ ტერმინებისთვის არავის მიუქ-
ცევია ყურადღება. ესეც პირადი წერილიდან ნ. ბარათაშვილისა: „ლიტერატურა ჩვენი ღვთით დღე
და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცილილნი სამსახურიდან,
მყუდროებაში და მარტოობაში შეეწევიან **მამეულს ენას**, რაოდენცა ძალუძთ.“ იქვე სინონიმად
გვხვდება (ტერმინი) **ბუნებითი ენა**: „ესე საზოგადო სული **ბუნებითის ენის** ტრფიალების, ყმაწვილთ
კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა ჰმინავთ გონებითა“.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი მსჯელობა ადასტურებს იმას, რომ **დედა ენა** ი ა კ ო ბ გ ო -
გ ე ბ ა შ ვ ი ლ ს ს ი ტ ყ ვ ა თ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ა; და შედეგად მივიღეთ იმდენად
ბუნებრივი სიტყვა, რომ შექმნისთანავე **დედაენა** გვერდით დაუდგა მსგავსი სტრუქტურის სხვა ქარ-
თულ სიტყვებს: **დედამიწა, დედაბოძი, დედააზრი, დედაბურჯი, დედაქალაქი**...

* * *

ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი გ ე ნ ი ო ს ი ი ყ ო ო – ეს ვინფრიდ ბოედერმა თქვა, როცა
იაკობის „დედაენის“ თაობაზე საუბრობდა. თუმცა ღირს ამის შესახებ უფრო დაწვრილებითი მსჯე-
ლობა...

გერმანელი ენათმეცნიერი ვინფრიდ ბოედერი ქართული ენისა და კულტურის ცნობილი
მკვლევარია. მისი მეცნიერული ინტერესებიდან გამომდინარე არ არის შემთხვევითი ბატონი ვინ-
ფრიდის დაინტერესება იაკობ გოგებაშვილითა და იაკობის „დედაენით“; როდესაც ბატონი ვინფრიდ
ბოედერი გაეცნო ჩვენს სტატიას „დედაენა“ – იაკობ გოგებაშვილის სიტყვაშემოქმედების ნაყოფი“,

მან საინტერესო წერილი მომწერა. იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის მისეული შეფასება ჩვენთვის ძვირფასი; ვფიქრობთ, არც მკითხველთათვის უნდა იყოს უინტერესო ამ მიმოწერის გაცნობა:

„ძვირფასო ბატონო გიორგი,

ავთანდილ არაბულის წყალობით მივიღე იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების კონფერენციის მასალები და უდიდესი ინტერესით წავიკითხე თქვენი მოხსენება „დედაენაზე“. უნდა გითხრათ, რომ ძალიან მომეწონა და, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია იმ მიმართულებით, რომელსაც ძალიან საჭიროდ ვთვლი: **ქართული ენის მოლაპარაკეთა თვითშეგნების არაიდეოლოგიური და ისტორიული გაგება**. ეს, ჩემი აზრით, იმიტომ საჭიროა, ვინაიდან აქამდე ჭარბობს ასეთი ცნებების არაისტორიული შეხედულება, თითქოს დედაენის ცნება ქართველების მარადიული ხასიათის მემკვიდრეობა იყოს. ი. გოგებაშვილი გენიოსი იყო იმ გაგებით, რომ ზუსტ დროს სწორი სიტყვა იპოვა. **ქართული ენის დაცვამ იმ დროს მოითხოვა ასეთი ემოციური ცნება**.

ახლა მაინტერესებს, საიდან ჰქონდა ეს სიტყვა: 1994 წელს ერთ სტატიაში აღვნიშნე, რომ რუსული კალკი არ არის, არამედ რომანული და გერმანიკული ენების სიტყვის შესატყვისია. (წარმოშობით რომანულ სფეროში განვითარდა როგორც განათლებული ლათინურის საწინააღმდეგო ცნება: **ენა რომელიც დედისგან მივიღეთ როგორც დედის რძე** – ამიტომ იმდენად ემოციური ცნება ევროპაშიც იყო. რომანულიდან გერმანულში გადავიდა კალკად – მაგრამ ეს საკითხი დიდი კამათის საგანი იყო ვაისგერბერის და შპიცერის შორის). ვიცი, რომ ქართულის დედაენაში დედა „მთავარს“ ნიშნავს, მაგრამ ჯერ ერთი: **მე-19 საუკუნეში პროდუქტიული მნიშვნელობა იყო „დედა“ ამ გაგებით?** ხომ არ შეიძლება, რომ ი. გოგებაშვილს ორივე მნიშვნელობა უნდოდა: **დედა „ევროპული“ და ქართული გაგებით?**

ჩემი კონკრეტული კითხვაა: გოგებაშვილმა რამდენად იცოდა ევროპული ენები და ლიტერატურა?

გილოცავთ შობასა და ახალ წელს!

კეთილი სურვილებით
ვინფრიდ ბოდერი
20. XIII. 2009“

„ბატონო ვინფრიდ,

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. დიდი მადლობა ჩემს მოხსენებაზე გამოხმაურებისათვის.

თქვენი შეკითხვის პასუხად მოგახსენებთ შემდეგს:

ვფიქრობთ, იაკობთან „დედაენა“ „ქართული გაგებით“ იხმარება. ამის თაობაზე მიაწინებდა ილია ჭავჭავაძე: „ქართველისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს – „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას – „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს – „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს – „დედა-აზრს“...

ამასვე უნდა მიაწინებდეს ისიც, რომ იაკობი „დედაენის“ სინონიმად **მთავარ ენასაც ხმარობს**. ამის თაობაზე ვწერდი ერთ სტატიაში. ვფიქრობ, დაგაინტერესებთ ეს წერილი სხვა თვალსაზრისითაც, ამიტომ გიგზავნით წერილს „იაკობი და ქართველური ენობრივი სივრცე“ (გამოქვეყნდა ერთ-ერთი კონფერენციის მასალებში; შევიდა ჩემს წიგნშიც „ქართული სალიტერატურო ენა – ისტორია და თანამედროვეობა“, 2009 წ.).

რაც შეეხება უცხო ენათა ცოდნას: იაკობმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. როგორც ირკვევა, იმჟამად სემინარიაში ევროპული ენები არ ისწავლებოდა. სემინარიის შემდეგ ერთი წელი კიევში სწავლობდა (ავადმყოფობის გამო შეწყვიტა სწავლა). არანაირი ცნობა არ არსებობს ევროპული ენების ცოდნისა. იაკობი ერთგან წერს: თბილისის სემინარიაში ძველი ენები არ ისწავლებოდა, ამიტომ კიევში ამ ენების ცოდნა არ მოუთხოვიათო.

იაკობის ბიოგრაფები წერენ: „როდესაც იგი კიევის უნივერსიტეტის მოწინავე პროფესორთა ლექციებაც ისმენდა, გულდასმით სწავლობდა დარვინის, ჰუმბოლდტის, ფოხტის, კონტის, სპენსერის, კანტის, ჰეგელის და სხვათა ნაწერებს და გამოჩენილ პედაგოგთა – კომენსკის, პესტალოცის, დისტერვეგის, განსაკუთრებით – კ. უშინსკის, პიროგოვის და სხვათა მოძღვრებას“. სხვა ამ თემაზე ვერაფერს გეტყვით. ჰუმბოლდტისა და სხვათა ნაშრომებს რომ იცნობდა, ესეც კარგად ჩანს მისი შრომებიდან...

თუმცა ესეც საინტერესოა: იაკობი თავის ოპონენტებს როცა ეკამათება, წერს, ჩემი წიგნი „დედაენა“ თავისი ღირებულებით არ ჩამოუვარდება ევროპულ სახელმძღვანელოებსო. ევროპულ სახელმძღვანელოთა მაგალითს იგი არაერთგზის მიმართავს; თუნდაც ასეთ შემთხვევაში: „აი ია“-ს პრინ-

ციპი ანბანის შესასწავლად მოხერხებულია ქართული ენისათვის; არაა მოხერხებული ევროპული ენებისათვის, რადგან ქართულში ერთ ბგერას ერთი ასო შეესაბამებაო...

ბედნიერი ვიქნები, თუ კვლავ შევძლებ თქვენს შეკითხვებზე პასუხის გაცემას...

პატივისცემით
გიორგი გოგოლაშვილი
28. XII. 2009“

„ბატონო გიორგი,

უღრმესი მადლობა თქვენი ვრცელი პასუხის, ინფორმაციისა და მოხსენების ტექსტისათვის. თქვენი წიგნის ეს ნაწილი, რა თქმა უნდა, ვნახე, მაგრამ მოხსენების „რეზიუმე“ უფრო ვრცელი იყო და, რაც მთავარია, ის ფაქტი, რომ **ეს ტერმინი იაკობ გოგებაშვილის ნაპოვარია, უფრო აშკარაა ამ ვარიანტში.**

ამასობაში ბატონი ზურაბ კიკნაძის ძველი წერილი (16.X. 05) ვიპოვე. მან იცოდა, რომ **დედა ენა** ტერმინის ისტორია მაინტერესებს, და მომწერა: „ამას წინათ წავაწყდი ამონაწერს 1857 წლის ჟურნალ „ცისკრიდან“, რომელიც ჩემი სტატიისთვის („ილიას მამული“) მჭირდებოდა. ვინმე ირაკლი ლორთქიფანიძე, „იმერი თავადი“, როგორც ის თავის თავს უწოდებს, წერს: „მივსცეთ მათ კანონნი ჩვენისა დედა-ენისა თვისებისანი...“ ისე რომ, ცოტა სხვანაირი სიტუაცია გვაქვს. მაგრამ პრობლემა მაინც მხოლოდ გადაგდებულია, ვინაიდან არ ვიცით, იმ იმერელს საიდან ჰქონდა ეს ტერმინი და მისთვის რას ნიშნავდა და თუ ერთსა და იმავეს ნიშნავდა, როგორც გოგებაშვილისთვის. ყოველ შემთხვევაში თქვენი გზა უნდა გავაგრძელოთ!

მაპატიეთ, რომ უფრო ადრე არ მითქვამს, მაგრამ ბოლო წლებში სხვანაირი ინტერესები მქონდა და უბრალოდ დამავიწყდა ეს წყარო...

ახლა იმის მიხედვით, რაც მომწერეთ, უნდა გამოვირკვიო, თუ როგორ იხმარებოდა „დედა ენა“ მაგალითად გერმანულ პედაგოგიკურ სახელმძღვანელოებში. საინტერესო იქნებოდა, რა აზრები იყო გავრცელებული „დედა ენის“ შესახებ მაშინდელ რუსულ პედაგოგიკაში, რომელიც კიევში ან თბილისში წაიკითხა. „დედა ენა“ ტერმინისთვის, რა თქმა უნდა, გერმანულის ან ფრანგულის ძალიან მცირე ცოდნაც საკმარისი იყო.

მოგწერთ, როდესაც ახალი შედეგები მექნება! კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ძვირფასი ინფორმაციისათვის.

პატივისცემით
თქვენი ვინფრიდ ბოედერი
29 დეკემბერი, 2009“

გერმანელი ენათმეცნიერის კვლევის შედეგი „დედაენასთან“ დაკავშირებით უეჭველად საინტერესო იქნება... ჩვენთვის ამჟამად არსებითი ისაა, რომ ევროპელი მეცნიერი ადასტურებს, რომ **დედა ენა** იაკობის შექმნილი ტერმინია და აღიარებს იაკობის გენიოსობას!...

XIX საუკუნეში არსებულმა მძიმე ენობრივმა თუ ეროვნულმა პოლიტიკამ ერთიან სალიტერატურო ენას საფრთხე შეუქმნა. დაიწყო ინსპირირება მეგრულ და სვანურ ენებზე სკოლების გამართვის აუცილებლობისა. აქ იაკობ გოგებაშვილი, როგორც ყოველთვის, თავის სიმადლეზე აღმოჩნდა.

საჭირო გახდა გარკვევა-დასაბუთება იმისა, რა არის სალიტერატურო ენა და რა – არასალიტერატურო. ეს საკითხი ქართველოლოგიაში არასწორი ინტერპრეტაციის საგანიც გახდა; დღეს ასეთი აზრის დამკვიდრებას ცდილობენ: იაკობისთვის მეგრული და სვანური ისეთივე ენობრივი რეალობაა, როგორიც იმერული, კახური თუ ხევსურული, ანუ: იაკობის აზრით, მეგრული და სვანური ქართული ენის ისეთივე დიალექტებია, როგორიც იმერული, კახური და ა.შ. (გვანცელაძე 2006, ფუტყარაძე 2006). იაკობის ნააზრევს ასეთი გააზრება, მარტივად რომ ვთქვათ, სერიოზული შეცდომაა: იაკობი იმ დროისათვის ღრმად განსწავლული ლინგვისტია; იგი თავის ნაწერებში არაერთგზის მსჯელობს იმის თაობაზე, რა არის სალიტერატურო ენა, რა არის დიალექტი, რას წარმოადგენს ენობრივი ერთეულები მეგრული და სვანური... ასევე, საინტერესოა, ამ საკითხებთან დაკავშირებით რა ტერმინებს გამოიყენებს იაკობი და როგორია ამ ტერმინებით აღნიშნულ ცნებათა იაკობისეული გაგება.

იაკობს კარგად აქვს გაცნობიერებული საქართველოში არსებული ენობრივი რეალობა – მეგრული და სვანური მეტყველება განსხვავებულია ქართულისაგან; ზოგ შემთხვევაში სკოლებში ქარ-

თულის გასაგებად (განსამარტავად) მასწავლებლები ადგილობრივ მეტყველებას მიმართავენ: „ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია დედა-ენაზე და ადგილობრივს კილო-კავებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტავად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით“ (იაკობი, III. 321).

ერთ-ერთ წერილს იაკობი ასე იწყებს: „ცნობილია, რომ ყოველს ერს აქვს **მთავარი ენა**, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მისს **დედა-ენად**, და **თემიური კილო-კავები** (наречия), რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ“ (იაკობი, III. 320).

ქართველურ ენობრივ სივრცეში იაკობი სამი დონის ენობრივერთეულებს გამოყოფს:

ქართული სალიტერატურო ენა,

სვანური და მეგრული,

ქართული დიალექტები.

ამ პრობლემამ იაკობის მოღვაწეობაში მაშინ იჩინა თავი, როცა დაისვა საკითხი სამეგრელოს სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლებისა; მეგრელები და სვანები სხვა ხალხია, ქართველები- სხვაო. იაკობის წერილებში არის მტკიცება ამგვარი მსჯელობის უაზრობისა; იგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ქართული არის სალიტერატურო ენა ყველა ტომის ქართველთათვის, მთავარი დედაენა, ძირითადი დედაენა.

ქართული სალიტერატურო ენის სინონიმად იაკობი რამდენიმე ტერმინს გამოიყენებს (გუთითებთ მხოლოდ ხმარების თითო შემთხვევას):

ქართული სალიტერატურო ენა (იაკობი, III. 438),

ლიტერატურული დედა-ენა (იაკობი, III. 437)

ძირითადი ქართული ენა (იაკობი, III. 320),

ძირითადი მშობლიური ენა (დედა-ენა) (იაკობი, III. 439)

მთავარი ენა (იაკობი, III. 320),

მთავარი დედა-ენა (იაკობი, III. 477),

საერთო ენა (იაკობი, IV. 320),

ზოგადი დედა-ენა (იაკობი, IV.109),

ზოგად-ქართული კულტურული ენა (იაკობი, IV. 109),

სადმართო ენა (იაკობი, VI. 625)

(ტერმინს – სახელმწიფო ენა – იაკობი გამოიყენებს რუსული ენისათვის: „იგი ვერც სახელმწიფო ენის ცოდნას გაავრცელებს და დედა-ენაზედ წიგნის ცოდნასაც ააცდენს ბავშვებსა“ (იაკობი, III. 54).

მეგრულ-ჭანურისა და სვანურის აღსანიშნავად გამოიყენებს ტერმინებს:

ადგილობრივი კილო (იაკობი, III. 477),

ადგილობრივი დიალექტი (იაკობი, III. 439),

ადგილობრივი კილო-კავი (იაკობი, III. 321),

მშობლიური კილო (იაკობი, III. 439),

თემიური კილო-კავი (იაკობი, III. 320).

პროვინციული კილო (იაკობი, III. 439),

პროვინციალური კილო-კავი (იაკობი, III. 320).

კილო, კილო-კავი და დიალექტი ამ შემთხვევისათვის სინონიმებია. ქართველური ენობრივი სივრცის დასახასიათებლად ამ ტერმინების სინონიმად **ენის** გამოყენებას პუბლიცისტურ წერილებში ერიდება (ამის თაობაზე ქვემოთაც ვისაუბრებთ). ქართველური ენობრივი სიტუაციის უფრო ნათლად წარმოჩენისათვის მაგალითად მოიყვანს რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენობრივ სიტუაციას. ქართულისათვის ამ ტერმინების (კერძოდ **თემიური კილო-კავის**) განსამარტავად –ს მოიშველიებს. იმავე რუსულ ტერმინს აზერბაიჯანულის შემთხვევაში თარგმნის როგორც **ენა**:

– ადერბეიჯანური ენა (იაკობი, III. 320). ადგილობრივი დიალექტი ენად იწოდება ამ შემთხვევაში: „კავკასიის თათრებს აქვთ მაგალითად რამდენიმე **პროვინციალური ენა, ადგილობრივი კილო**, რომელიც დიდად განირჩევა მათის დედაენისაგან, რომელსაცა ჰქვია ადერბეიჯანური ენა“ (იაკობი, III. 477).

იაკობი ადგილობრივ კილო-კავს ენად მოიხსენიებს სომხურისა და რუსულის შემთხვევაშიც: „ასეთი წესია სომეხთა შორისაც. ამ ხალხსაც მთავარის სომხურის გარდა, აქვთ პროვინციალური ენებიც, მაგალითად, ზოკური, რომელნიც ისე განირჩევიან მათი დედაენისაგან, რომ ბევრგან ბავშვებს ძლიერ უჭირთ ამ უკანასკნელის გაგება“ (იაკობი, III. 321). „ასეთივე წესი არსებობს რუსეთის ხალხთა შორის“ (იაკობი, III. 477).

ფაქტია, **კილო // კილო-კავი // დიალექტი** „პროვინციალური ენაა“, „ადგილობრივი ენაა“. ეს, ცხადია, ამ ლოგიკიდანაც გამომდინარეობს: თუ არსებობს ძირითადი ენა, არსებობს არაძირითადი ენაც; თუ არსებობს მთავარი ენა, არსებობს არამთავარი ენაც.

ასე რომ, ერთ ენობრივ სივრცეში ენა შეიძლება იყოს:

მთავარი და არამთავარი,
ძირითადი და არაძირითადი,
ლიტერატურული და არალიტერატურული,
საყოველთაო და ადგილობრივი.

როგორც ვთქვით, ქართველური ენობრივი სინამდვილისათვის ენას უწოდებს მხოლოდ: **ლიტერატურულს, მთავარს, ძირითადს, საყოველთაოს, საერთოს, ზოგად-ქართულს...**

რაც შეეხება ტერიტორიულ დიალექტებს (იმერული, გურული, კახური, ქართლური...), მათ იაკობი ამგვარი ტერმინებით არ განმარტავს, არ მოიხსენიებს ამგვარად; ჩვეულებრივ მიაჩნძნებს: ასე იტყვიან იმერეთში, ქართლში, კახეთში... თუ ფაქტი ან მოვლენა საერთოდასავლურია ან საერთოაღმოსავლური, წერს: „ბავშვები სრული შეგნებით ითვისებენ **ამიერ** სინონიმებს და **ამიერი** მოსწავლენიც უნებლიედ სწავლობენ კითხვის დროს **იმიერ** სინონიმებსა“ (იაკობი, IV. 317); „... **აქეთა** და **იქითასაქართველოსი**“ (იაკობი, IV. 429).

როგორც ვთქვით, ეს მსჯელობანი გვხვდება, ეს ტერმინები გამოიყენება იმ წერილებში, რომლებიც იწერება გართულებული ეროვნული ვითარების გამო; წინააღმდეგ იმ მცდელობისა, რომელიც ქართულ ეროვნულ სკოლაში შეინიშნებოდა; კერძოდ, იყო მოთხოვნა სამეგრელოში სასწავლებელთა მეგრულ ენაზე გამართვისა, საღვთისმეტყველო ლიტერატურის მეგრულად და სვანურად თარგმნისა. მოკლედ რომ ვთქვათ, წმინდა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა თავშეკავებას, რომ მეგრულისა და სვანურისათვის ეწოდებინა ენა. ეს პრობლემა (პოლიტიკური) არ ედგა იაკობს „ბუნების კარში“, ამიტომ მისი მსჯელობა მეგრულისა და სვანურის შესახებ შესაბამისი ტერმინებით მიმდინარეობს:

იაკობის მტკიცებით, მეგრული და სვანური შტოებია ქართულისა (იაკობი, III. 447). „რაც მეგრელთა შტოს შესახებ ითქვა, სავსებით შეეხება ქართველი ხალხის მეორე შტოსაც – სვანებს, რომელთა არაქართველებად გადაქცევის ლამობენ იგივე გულმოდგინე, მაგრამ ხეპრე პოლიტიკანები, წინააღმდეგ ამ სიმპატიური მთიელი ქართველების სურვილისა, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნიდან დღემდე მხოლოდ ქართულ ენას და ქართულ ალფაბეტს ხმარობენ ეკლესიაშიც, სკოლაშიც და თავისი ცხოვრების ყველა სხვა სფეროშიც“ (იაკობი, III. 448).

ქართველური ტომების, ქართველური ენების ურთიერთდამოკიდებულებაზე უფრო ვრცლად და გახსნილად (პოლიტიკისაგან თავდაღწეულად) მსჯელობს იაკობი „ბუნების კარში“:

„მეგრელები შეადგენენ ქართველთა შტოსა, სხვა ქართველებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებიან“ (იაკობი, VI. 625); „ჭანები ძმები არიან მეგრელებისა, ძველის-ძველად ჭანები და მეგრელები შეადგენდნენ ერთს ერსა და გაბმით ეჭირათ მთელი აღმოსავლეთი ნაპირი შავის ზღვისა და სამხრეთი ნაპირი ნახევრობით, შემდეგში გურულები აღმოსავლეთით მიაწვნენ შავი ზღვის პირას, შუა გააპეს მეგრელ-ჭანების ტომი, დასახლდნენ ეხლანდელს საცხოვრებელს ადგილებზედ და გააცალკევეს დიდის ხნის ერთად მცხოვრები ძმები“ (იაკობი, VI. 647). „ქართველების ტომის უფრო შორეულს შტოს სვანები შეადგენენ“ (იაკობი, VI. 632). ეს რაც შეეხება ქართველ ტომთა ეთნიკურ ერთობას (წარმომავლობას).

ქართულ ენობრივ სივრცეს იაკობი „ბუნების კარში“ ასე წარმოგვიდგენს: მეგრელები „მარტო ენით არიან ცოტათი განცალკევებულნი, მაგრამ ეს ენაც ღვიძლი ძმა ქართულის ენისა, გარდა ამისა, თითქმის ყველა მეგრელებმა კარგად იციან ქართული ლაპარაკი და ქართული ენა ძლიერ უყვართ. იმათ ეს საღმრთო ენად მიაჩნიათ, რადგან წირვა-ლოცვა მთელს სამეგრელოში იმთავიდგანვე ქართულს ენაზედ სრულდებოდა და ახლაც სრულდება“ (იაკობი, VI. 625).

თუმცა მთლად ვერ თავისუფლდება პოლიტიკისგან და მოსწავლეებსაც მიაჩნძნებს მოსალოდნელ საფრთხეს „მეგრულ-ქართული განხეთქილების“ მოსურნეთაგან: „ოცის წლის წინად სასულიერო მთავრობამ მოინდომა მეგრულს ენაზედ წირვა-ლოცვის შემოღება და კიდევ გადაათარგმნინა ოქროპირის წირვა ამ ენაზედ, მაგრამ ყველა წოდებამ სამეგრელოში ერთ-ხმად უარ-ჰყვეს ცვლილება და არ დასთანხმდა ეკლესიაში მეგრულის კილოს ხმარებას ქართულის ენის მაგივრად“ (იაკობი, VI. 626). საინტერესო ფაქტია: როცა საუბრობს მეგრულზე, ენად მოიხსენიებს; როცა ქართული ენის გვერდით სჭირდება მეგრულის დასახელება, ზოგჯერ კილოს უწოდებს (ამით ქართულს მეგრულზე მაღლა აყენებს...); მაგრამ არასოდეს კილოს (დიალექტს) არ უწოდებს კახურს, იმერულს: რომ არ მოხდეს სვანურის (მეგრულის, ჭანურის) და იმერულის (კახურის, თუშურის...) ერთი დონის ენობრივ

ერთეულებად გააზრება... ასე რომ, **მეგრული ენა** (ჩვეულებრივ ხმარებული ტერმინი) და **მეგრული კილო** (იშვიათად ხმარებული ტერმინი) „ბუნების კარში“ **სინონიმებია**.

ჭანური და მეგრული იაკობისთვის ერთი ენაა „ცოტაოდენის განსხვავებით“: „**ჭანური ენა** იგივე **მეგრული ენაა** ცოტაოდენის განსხვავებით. **ქართული ენაც** ბევრმა ჭანმა ისევე კარგად იცის, როგორც მეგრელებმა“ (იაკობი, VI. 647). „სვანური ენაც **ქართული ენიდან** არის წარმომდგარი“ (იაკობი, VI. 632).

იმავე „ბუნების კარში“ საქართველოს ცალკეულ კუთხეებზე საუბრისას, განსხვავებით სამეგრელოს, სვანეთისა და ჭანეთისა, უმეტესად არას ამბობს მათს ენაზე; იგულისხმება, რომ ქართულია მათი ენა; მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში მიაწინებს: „ზემო თუშები **ქართულად** ლაპარაკობენ, ქვემო თუშები კი – თუშურად (იგულისხმება წოვა-თუშური – გ.გ.), მაგრამ ქართული ყველამ იცის“ (იაკობი, VI. 595); აჭარლები „შინ ოჯახობაში **ქართულად** ლაპარაკობენ, თათრული ენა მხოლოდ ხანშიშესულმა კაცებმა იციან“ (იაკობი, VI. 643. იაკობს მოჰყავს გ. ყაზბეგის ციტატა: „შავშელები ლაპარაკობენ წმინდა **ქართულ ენაზედ** და გამოთქმით ძლიერ ემსგავსებიან ხევსურებს“ (იაკობი, VI. 643).

როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი ქართველურ ენათა რაობისა და ურთიერთმიმართების თაობაზე ასეთ სახეს იღებს: მეგრულ-ჭანური ერთი ენაა („ცოტაოდენი განსხვავებით“). ქართული ეროვნული ენის ტოტებია (შტოებია) მეგრულ-ჭანური და სვანური („ბუნების კარის“ პირველ გამოცემაში ტოტებს ემახის, ბოლო გამოცემაში – შტოებს). სვანურის შტო უფრო ადრე გამოეყო ეროვნულ ხეს, ვიდრე მეგრულ-ჭანურისა. მეგრულ-ჭანური და სვანური ენების მოწყვეტა ეროვნული ხისაგან (რისი მცდელობაც იყო ამ ენებზე ანბანის შექმნა) დალუპავს ამ ენებს: „დაჰკნობა და გახმობა აუცილებელი შედეგია მათის მოწყვეტისა საერთო ნიადაგიდან... დიად, განცალკევება ჰლუპავს ეროვნულ ხესაც და მისგან მოშორებულს ტოტებსაც“ (იაკობი, III. 479).

შედარება ტოტებთან (შტოებთან) ხაზგასმია იმისა, რომ ეს ენები საერთო წარმომავლობისანი არიან, მონათესავენი არიან: „შტომ შეიძლება იხაროს მხოლოდ ახლოს ნათესავს ხეზე, მაგრამ თუ იგი ამყნეს სრულიდ სხვა გვარის ხეზე, ვერც გაიხარებს და ვერც იხარებს“ (იაკობი, III. 479).

ლინგვისტური თვალსაზრისით იაკობის აზრი სრულიად თანამედროვე და მისაღებია დღეს. თავად ტერმინები – მეგრული შტო ქართული ენისა, სვანური შტო ქართული ენისა – საგულისხმოა დღევანდელი სოციოლინგვისტური თვალსაზრისითაც.

წარმოდგენილ მსჯელობაში სრულიად გარკვეულია ქართული სალიტერატურო ენის როლი და მნიშვნელობა ქართველთა ეროვნულ ერთიანობაში.

ლიტერატურა:

იაკობ გოგებაშვილი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად: ტ. III, 1954; ტ. IV, 1955; ტ. VI, 1958.

თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, 2006.

ტ. ფუტყარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა, 2006.

Giorgi Gogolashvili *Gori State Teaching University* **THE HISTORY AND MEANING OF THE TERM დედაენა** **RESUME**

Jacob Gogebashvili created the compound დედა-ენა “mother tongue” as an analogy of the Georgian words such as დედა-მიწა “lit. trans. mother-land (the earth)”, დედა-ქალაქი “lit. trans. mother-city (capital)”, დედა-ბოძი “lit. trans. mother-pillar (pillar)”, დედა-აზრი “lit. trans. mother-thought (head stone, message). Jacob Gogebashvili used დედაენა as a term to name a Georgian alphabet textbook. The same word became synonymous with the Georgian literary language. The compounds of the similar structure can be found in European languages as well. The essential difference between the meanings of the European and Georgian versions of დედაენა is that in European languages this term denotes a language that is used by a mother (biological parent). As for the Georgian language, the term დედაენა means the main language – the literary language.

შენიშვნები ქართველ ებრაელთა ენობრივ იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში DI- 2016-32“ ფარგლებში

სამეცნიერო ლიტერატურაში იდენტობა სამართლიანადაა მიჩნეული პიროვნებისა და ჯგუფის შემაკავშირებელ ქსოვილად. იდენტობები ძალიან იშვიათად არსებობენ განცალკევებულად, პირიქით, ყველა ჩვენგანი ფლობს მთელ რიგს იდენტობებისას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი მთლიანი იდენტობის მრავალ წახნაგს. სწორედ ამიტომ, რომ არსებობს ურთიერთკავშირები ენასა და იდენტობას, ეთნიკურობასა და იდენტობას, რელიგიასა და იდენტობას, მოქალაქეობასა და იდენტობას და ა. შ შორის და ზოგჯერ რამდენიმე მათგანი ერთდროულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. პერსონალური და ჯგუფური იდენტობები ხშირად მოიცავს ერთმანეთს. ურთიერთკავშირები ენასა და იდენტობას შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ებრაული დიასპორების ენობრივი კვლევისას, რადგან შესაძლებლობა გვძლევს გავავლოთ ზღვარი ენის კომუნიკაციურ და სიმბოლურ ასპექტებს შორის. ებრაულმა, რომელმაც დაკარგა თავისი კომუნიკაციური ღირებულების დიდი ნაწილი, გარკვეულწილად ინარჩუნებდა სიმბოლურ ღირებულებას საქართველოში საუკუნეების მანძილზე. როგორც ედვარდი მიუთითებს, მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციურ და სიმბოლურ ფუნქციებს შორის არსებობს თუ არა კავშირი, სწორედ სიმბოლური მუხტი აქცევს მას ინდივიდუალური და ჯგუფური იდენტობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად (ედვარდცი, 2009:4).

სპოლსკი აღნიშნავს, ხშირად ენის სოციალური ცხოვრების შესწავლა ზედმეტადაა ენაზე ორიენტირებული. ენის ნებისმიერი ის გამოკვლევა, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ენას, ნაკლოვანი და შეზღუდულია. ვინაიდან მას ახასიათებს კვლევის ძალიან ვიწრო პერსპექტივა. დღესდღეობით აქტუალურია უფრო ფართო სურათის შექმნა, რომლის მნიშვნელოვანი და არა ერთადერთი ელემენტია ენა (სპოლსკი, 2004).

2014 წლის საყოველთაო აღწერის მოხედვით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 87 პროცენტს ქართველები შეადგენენ, ხოლო დანარჩენი 13 პროცენტი სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები არიან, რომელთა შორის ებრაელებს გამორჩეული ადგილი უჭირავთ როგორც ისტორიული, ასევე კულტურული და ენობრივი თვალსაზრისით.

როგორც საისტორიო წყაროებიდანაა ცნობილი, ებრაელებს საქართველოში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ებრაელები უკვე თითქმის მთელ საქართველოში მოსახლეობდნენ და მათ ძირითად საქმიანობას მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე ვაჭრობა და წვრილი ხელოსნობა წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ისინი საცხოვრებლად ირჩევდნენ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს, სადაც სავაჭროდ კარგი პირობები იყო. ქმნიდნენ კომპაქტურ დასახლებებს, რომლებსაც მოსახლეობა ებრაელთა უზნებს უწოდებდა.

ქართველ ებრაელთა მეტყველების კვლევისას ერთ-ერთი კარდინალური პრობლემაა ენის, რელიგიისა და იდენტობის ურთიერთმიმართება. ეთნონაციონალური იდენტობის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მარკერია ენა და რელიგია. ებრაული არასოდეს ყოფილა მკვდარი ენა. სამშობლოს გარეთაც ის განაგრძობდა არსებობას, როგორც რელიგიური ენა და ამ ფარგლებში ბევრმა იცოდა ებრაული. ებრაულის შემთხვევის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ რელიგიური ფაქტორი იყო ცენტრალური ორი მხრივ. პირველი: იმ ხანგრძლივი დროის მანძილზე, როცა ენამ შეწყვიტა არსებობა, რელიგიამ მისცა მას თავშესაფარი და მეორე, ებრაული სახელმწიფოს განვითარება გულისხმობდა ენისა და რელიგიის შეწყვილებასა და შეწვნას (ედვარდცი, 2009:100)

ისტორიული წყაროების მიხედვით უცნობია, თუ რომელი ენით მოვიდნენ ებრაელები საქართველოში. ებრაელებმა დაკარგეს სამშობლო და დაიფანტნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ფრიად საინტერესო საკითხია, როდის და რა ვითარებაში დაკარგეს მათ მშობლიური ენა. პირველი ნაკადისათვის, ანუ ბაბილონიდან დევნილი ებრაელებისათვის შესაძლებელია სალაპარაკო ენა ებრაული ყოფილიყო. ისტორიულ წყაროებში მითითებულია, რომ წმიდა ნინოს მცხეთის ებრაელებთან კონტაქტი გაუადვილდა იმიტომ, რომ მათ ებრაულად ესაუბრებოდა. ლეონტი მროველის მიხედვითაც, ჯერ კიდევ

ჩვენს წ/ად მე-6 საუკუნეში ქართლში ქართულის გარდა 5 ენაზე საუბრობდნენ: ასურული, ბერძნული, ებრაული, სომხური და ხაზარული. შემდეგი ტალღის ებრაელებს შესაძლებელია ებრაული აღარ ცოდნოდათ, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები ლოცვისას იყენებდნენ ებრაულს, თვით პალესტინაში, პირველი საუკუნისთვის ებრაული სასაუბრო ენა აღარ იყო, იგი არამეულმა ჩაანაცვლა იმის გამო, რომ არამეული, ასე ვთქვათ, საერთაშორისო ენად იქცა რეგიონში.

სამწუხაროდ, სტატისტიკური აღწერა საქართველოში არასოდეს გამოუყენებიათ ლინგვისტური აღწერისათვის. ამიტომ რამდენმა ებრაელმა იცოდა ივრითი, რომელი იყო მათთვის მშობლიური ენა, პირველი ენა და ა. შ. ჩვენთვის უცნობია. პროექტის „სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ თ. ლომთაძის მიერ საქართველოში ჩაწერილი მასალებიდან ირკვევა, რომ 10 გამოკითხული ებრაელიდან, მხოლოდ ერთი მიიჩნევს, რომ მშობლიური ენა ივრითია, თუმცა მან ეს ენა არ იცოდა. დანარჩენები მშობლიურ ენად ასახელებდნენ ქართულს (ან რუსულს). აღსანიშნავია, რომ რესპოდენტთა უმეტესად საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლები იყვნენ და იქვე დასძენდნენ, მშობლიური ენა ქართულია, რადგან საბჭოთა პერიოდში გვერძეობდა ივრითის შესწავლა, დახურეს იემიბები. ფაქტია, რომ საბჭოთა პერიოდამდე ებრაული ძალიან ცოტამ იცოდა, მას ძირითადად სწავლობდნენ რაბინები, ხახმები ან მათი ოჯახის წევრები. თუმცა ჩვენ არც ის ვიცით, ასეთ შემთხვევაში, რომელ ენას მიიჩნევდნენ მშობლიურად (ლომთაძე, 2010).

ზ. ჭიჭინაძე მეოცე საუკუნის დასაწყისის ქუთაისელ ებრაელებზე მიუთითებდა: „მათი ენა ქართულია, ყოვლის მხრივ ქართველობის ნაწილს წარმოადგენენ. ცხოვრება მათი ვაჭრულია... აქვთ ორი თორა, კარგი თლილის ქვით აღშენებული... ლოცვა ებრაულს ენაზედ აქვს და ქადაგება კი - საყოველთაოდ ქართულად“ (ჭიჭინაძე 1970:64). ამ ციტატას სჭირდება დაზუსტება. მართალია, ებრაელების ძირითადი სამეტყველო ენა ქართული გახლდათ, მაგრამ ისინი ენობრივად აშკარად განსხვავდებოდნენ სხვა ქართველთაგან. მათ მეტყველებაში დაჩნდებოდა გეოგრაფიული და სოციალური განსხვავებულებები, მაგრამ არსებობდა ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი საერთო ენობრივი ნიშნებიც, რითაც ისინი გამოიჯვნას ახდენდნენ საქართველოს სხვა მოსახლეობისაგან. ეს შეიძლება ერთ-ერთ განსაკუთრებულ ნიშნადაც ჩაითვალოს, რადგან საუკუნეების განმავლობაში ებრაელები სხვებისაგან გამოიჯვნას კვლავ ქართული ლინგვისტური მაჩვენებლებით ახერხებდნენ. „ხალხმა მშვენივრად იცოდა, რომ ებრაელთა მეტყველება განსხვავდებოდა საერთო ქართულისაგან, მაგრამ რით, რატომ - ეს დღემდე არ არის სათანადოდ გარკვეული, რადგანაც ამ მეტყველების შესწავლას სერიოზული ყურადღება, სამწუხაროდ თავის დროზე არ მიქცევია“ (ენოხი, 2013:173). საქართველოში მეტყველების ამ ნაირსახეობის აღსანიშნავად გავრცელდა ტერმინები: ჩვენებურული, ურიული, ყივრული. უფრო კონკრეტული სახე ჰქონდა მას ქუთაისში, სადაც ზეითქუური, ან შაუმიანური ნიშნავდა დაბალი ფენის ებრაელისათვის დამახასიათებელ მეტყველებას (მდრ. კ. წერეთელი 1979; აბულაძე, 1999).

1990-იან წლებამდე ჩაწერილი მეტყველებრივი ნიმუშები ქართველი ებრაელებისა არცთუ ბევრია (რ. ენოხის მიერ ბანძაში ჩაწერილი ტექსტები და თავსილი, თ. ლომთაძის მიერ ქუთაისში 1990-იან წლებში, ხოლო შემდეგ 2006 და 2013 წლებში ჩაწერილი ტექსტები. უკვე განთავსდა ქართულ დიალექტურ კორპუსში მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში როზა თავდიდიშვილის მიერ ქუთაისში 1940 წელს ჩაწერილი მასალა. ასევე მნიშვნელოვანია მხატვრულ ლიტერატურაში ებრაელ პერსონაჟთა მეტყველების ნიმუშები, რომლებშიც სწორედ ის სპეციფიკური ფორმები გამოყენებული, რომლებიც ქართველ ებრაელთა მეტყველებას ახასიათებდა. ამ მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ებრაელთა სხვა მოსახლეობისაგან განსხვავების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი იყო ენა. ქართველ ებრაელთა მეტყველება გახლავთ ქართული ენის ნაირსახეობა, მაგრამ მთლიანად არ ემთხვევა ქართული ენის არცერთ დიალექტს. ის წარმოადგენს სხვადასხვა დიალექტში პოვნირი ფონეტიკური და გრამატიკული ფორმების კონგლომერატს შეზავებულს ძველი ებრაულიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულებით. აღნიშნული მოვლენები იმდენად სისტემური ხასიათისა იყო, რომ შეგვიძლია ვთქვათ, სარწმუნოებასთან და ადათ-წესებთან ერთად, ებრაელთა იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი იყო ენა (თ. ლომთაძე, 2010).

ებრაიზმების გამოყენება ებრაელთა წრეში პროპორციულია მათი რელიგიურობისა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ლოცვა დღემდე ებრაულად აღესრულება სინაგოგაში. სწორედ ამიტომ, რომ თუ ყოველდღიურ ურთიერთობაში გამოყენებული ებრაიზმები გასაგები იყო ებრაელთა მეზობლად მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლებისთვისაც, ვიწრო რელიგიური ტერმინოლოგია მხოლოდ მორწმუნე ებრაელთა ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენდა და იგი სხვა ებრაელთათვისაც კი შეიძლებოდა გაუგებარი ყოფილიყო.

საქართველოში ებრაელები სოციალურად განსხვავებულ ჯგუფებს ქმნიდნენ. სოციალური ფაქტორები ებრაელებთან ხშირად განმაპირობებელი იყო ენობრივი სხვაობებისა. აქ გასათვალისწინებელია ასაკობრივი, პროფესიული და რელიგიური ასპექტები.

საქართველოში ებრაელთა მეტყველება სიტუაციების მიხედვით ძალიან განსხვავებული იყო. მაგალითად, 1) ოფიციალური ურთიერთობებისას მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს შეეძლოთ გამოეყენებინათ სალიტერატურო ქართული. 2) ყოველდღიურ ურთიერთობებში, ქართველ ებრაელთა მეტყველება გახლდათ ქართული ენის იმ დიალექტზე დაფუძნებული, რომელ კუთხეშიც ცხოვრობდნენ, მაგრამ მთლიანად არ ემთხვეოდა მას, რადგან ებრაელთათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მოვლენებიც ერთვოდა. 3) რელიგიურ თუ ტრადიციებთან დაკავშირებულ თემებზე ერთმანეთთან ურთიერთობისას ებრაელებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ქართულ-ებრაული ნაზავი, რომელშიც სიტყვების უმეტესობა ებრაული იყო, ხოლო გრამატიკული მარკერები კი - ქართული. აქ მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ქუთაისელ ებრაელებთან გავრცელებული ლექსი. ტრადიციის თანახმად, ქალის გადასახელებლად მისულ ვაჟსა და მის ახლობლებს სუფრას ახვედრებდნენ, მაგრამ არავის არაფერი არ უნდა ექამა, რადგან ეს ცუდის მანიშნებელი იქნებოდა. გადმოცემით, ერთი ბიჭი მივიდა გოგოს სანახავად, არ მოეწონა და თავისიანებს გადაულაპარაკა: **იაინი** (ღვინო) და **ლხეხი** (პური), **ბასარი** (ხორცი) **ტოხეთ** (კარგად) **თოხლეთო** (ჭამეთო), **ნაშა** (გოგო) **ზაყენი** (ცუდი, ბებერი) **იეშოხ** (არის) და **ბაითში** (სახლში) **დამალხეთო** (წამიყვანეთო). ამ ლექსში მხოლოდ გრამატიკული მარკერებია ქართული(სახელობითის ნიშანი -ი, მოქმედებითის -თ, სხვათა სიტყვის ნაწილაკი -ო, პირის ნიშანი -ს, თანდებული -ში) და ერთადერთი სიტყვა - და კავშირი (ენობი, ლომთაძე, 2016). რა თქმა უნდა, ეს მაგალითი გადაჭარბებულია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ რელიგიური თუ ტრადიციული წესების აღსანიშნავად, ებრაელები საკმაო რაოდენობის ებრაიზმებს იყენებდნენ. ეს მაგალითი ნათლად მიუთითებს, რომ საქართველოში ებრაული საკომუნიკაციოდ მკვდარი ენა იყო, მაგრამ ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, აქაც მას ჰქონდა სიმბოლური ფუნქცია, რადგან გამოიყენებოდა ლოცვებსა და რელიგიურ რიტუალებში.

ქართველ ებრაელთა მეტყველების ნაირსახეობის შესწავლას ბოლო წლებში რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა (იხ. გ. ბენ-ორენი, 1993; თ. ლომთაძე, 2005, რ. ენობი, 2015 და სხვა). ებრაელთა მეტყველებაში, დიალექტების შესაბამისად, თავს იჩენდა გეოგრაფიული სხვაობები, მაგ., სამეგრელოს საზღვრების გასწვრივ იყო სხვა გავლენები, ვიდრე აჭარის, ან თუნდაც სამცხე-ჯავახეთის, ან შიდა ქართლის ან ურბანული ზონების ებრაელთა მეტყველებაში. ამიტომაც, ებრაელთა იმ სპეციფიკურ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც მხოლოდ ებრაელებს ახასიათებთ, ემატება იმ დიალექტური არეალის დამახასიათებელი მოვლენები, რომელიც კუთხის წარმომადგენლებიც არიან. მაგალითად, ებრაელთა მეტყველებაში გავრცელებული ყველაზე ხშირი მოხმარების სიტყვა **დაგენაცვლე**, დასავლეთ საქართველოს იმ რეგიონებში სადაც **და-დე** ასიმილაციური პროცესია გავრცელებული, წარმოითქმის **დეგენაცვლე**. შეიძლება ითქვას, რომ ფონეტიკურ-გრამატიკული პროცესები ხშირად ანალოგიურია მათი განსახლების ადგილებში გავრცელებული პროცესებისა. მაგრამ გარდა ამისა, დაჩნდება მოვლენები, რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მცხოვრები ებრაელისათვის არის დამახასიათებელი. ზოგჯერ ებრაელებთან დადასტურებული ფონეტიკურ-გრამატიკული პროცესები სხვაობს მათ საცხოვრებელ კუთხეში გავრცელებული დიალექტური მოვლენებისაგან.

გავრცელებულია ხმოვნის დისიმილაცია ლაბიალურ თანხმოვანთა შორის. **ო** **ე** დისიმილაცია **მ**-თანხმოვნებს შორის (მომ **ე** **მამ**); **მო**- ზმნისწინა და პირველი ობიექტური პირის ან მიმღებობისეული **მ**-მორფემის (ასევე ფუძისეული ელემენტის) შეხვედრისას: **მამელა**. ეს პროცესი დადასტურებულია ზემოთხსენებულში, კახურში, ებრაელებთან, გარდა აღნიშნული რეგიონებისა, ქვემო იმერეთში, რაჭაში, (ჯორბენაძე, 1989).

ქართველ ებრაელთა იდენტობის ერთ-ერთი გამოვლინება გახლდათ მათი გვარები და სახელები, რომლებიც განსაკუთრებულ ფენას ქმნიან ენის ლექსიკურ სისტემაში. ფაქტების ამოურწყველი სიმრავლით, ფორმათა ნაირგვარობით, სპეციფიკური სემანტიკით და გრამატიკული სტრუქტურით ეს მეტად საინტერესო უზანია.

მართალია, ძალიან ხშირად საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს ქართული, ან საქართველოში გავრცელებული სახელები ერქვათ, თუმცა მათ ნათლობის სახელსაც აუცილებლად არქმევდნენ (სწორედ ეს უკანასკნელი დაიწერეს ოფიციალურ სახელებად ისრაელში დაბრუნების შემდეგ). ამიტომაც, მათ უმეტესობას ბიბლიიდან მომდინარე სახელები ერქვათ - მოშე, ფილხაზი, ისაკი (იგზაკი), შამუელი, რებეკა, აბრამი, არონი, შელეშვილი, სარა, საიდა, ფანი, ბაჩიბაყი ... რა თქმა უნდა, ფონეტიკური ტრანსფორმაციების თანხლებით. იყო შემთხვევები, როცა ბიბლიური სახელები ქართველებსაც ერქვათ და ებრაელებსაც. ასეთ შემთხვევებში ებრაელები ახდენდნენ თვითიდენტიფიკაციას. ქართველი თუ ბერძნულიდან შემოსულ ფორმებს ანიჭებდა უპირატესობას, მაგ, ისაკი, მოსე, სამოელი და სხვა (რადგან

ბიბლიური წიგნების უმეტესობა ქართულად ბერძნულიდან ითარგმნა, ებრაელი ივრითულ ფორმას გამოიყენებდა. მაგ., იცხაკი, ყინი, შამუელი, იაყოზი, ბაჩიზაყი და სხვა (ენოხი, ლომთაძე 2016).

გვარებიც ქართველებისაგან განსხვავებული ჰქონდათ. ქართული გვარები ძირითადად, ბოლოვდება -ძე-სა და- შვილზე (არსებობს -ია, -ვა -იან და სხვა დაბოლოებებიც), თუმცა როგორც მიუთითებენ, სტატისტიკურად ძე-ზე დასრულებული გვარები სჭარბობს -შვილზე დაბოლოებულს. ებრაელებთან პირიქითაა - შვილზე დასრულებული გვარები ყველაზე ხშირია.

საქართველოში გავრცელებული ებრაული გვარები ზოგჯერ კუთხეების მიხედვითაც განსხვავდებოდნენ. გვხვდებოდა საზიარო გვარებიც. მაგ., მეგრელიშვილი, თეთრუაშვილი და სხვა, რომლებიც შეიძლება ებრაელთა გაქრისტიანების შედეგიც იყოს.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული მოვლენა გავრცელებული გახლდათ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებთან გასული საუკუნის 90-იან წლებამდე. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, ხოლო შემდეგ 90-იან წლებში ქართველი ებრაელების ყველაზე დიდი ნაწილი ისრაელს (დაახლოებით 80 000) დაუბრუნდა საცხოვრებლად. სხვა დისპორული თემები ცხოვრობენ აგრეთვე ნიუ-იორკში, მოსკოვში, ვენასა და ანტვერპენში.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მორწმუნე ებრაელები (დათიმები, ხახმები) მალულად კვლავ იწყებენ ივრითის შესწავლას, ასწავლიან ოჯახის წევრებსაც და ცდილობენ მოიპოვონ სამშობლოში დაბრუნების უფლება. ყოველი ახალი წელი ებრაელისთვის იწყებოდა გამოთქმით: ...

, (be Shana haba'a biruShalaim...), რაც ქართულად ნიშნავს "მომავალ წელს იერუსალიმში", ხოლო ყოველი ებრაელი ხშირ-ხშირად იმეორებდა ფრაზას:

... ('im eshqaxex ierushalaim tishqax iamini), რაც ქართულად ასე ითარგმნება: "თუ დაგივიწყო იერუსალიმ, დამივიწყოს ჩემმა მარჯვენამ" (გულედანი, ლომთაძე, 2017)

სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეულ მრავალრიცხოვან ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი ტენდენციები კვლევის საგნად იქცა ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ. მეცნიერები სწავლობენ და იკვლევენ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველების ნაირსახეობებს და ანიჭებენ მათ შესაბამის სტატუსებს.

ისრაელში მცხოვრებმა ებრაელებმა საურთიერთო ენად შეინარჩუნეს ქართული. მათ შორის 70-იან წლებში დაბრუნებულებმაც, რომლებსაც საქართველოსთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდათ გასაგები მიზეზების გამო. მათ ქართული გადასცეს იქ დაბადებულ თაობასაც. ეს, ალბათ, არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან შენახვა მათ სჩვევიათ და მთელი მათი ოცდაექვსსაუკუნოვანი ისტორია ამის ნათელი დადასტურებაა.

თუ საქართველოში ქართველები იყენებდნენ ტერმინს ქართველი-ებრაელი, ხოლო ებრაელები თავის თავს ებრაელს უწოდებდნენ, ისრაელში ისინი თავს ქართველებს ეძახიან. როდესაც შეეკითხებით, ვისზე დაქორწინდა მისი შვილი, პასუხია - „ქართველზე“, დაკონკრეტებას თუ მოსთხოვთ, მაშინ დაყოლებენ „ქართველ ებრაელზე“.

ახალი თაობა ქართულს ძირითადად ბებია-ბაბუებთან სწავლობენ (მშობლები ძირითადად სამსახურებით არიან დაკავებულნი), მაგრამ თუ ძიძის საჭიროებაა, ცდილობენ ქართველი ძიძა მოძებნონ, რადგან ზავშმა ქართული თავიდანვე აითვისოს.

აღსანიშნავია, რომ ისრაელში დაბრუნების შემდეგ ქართველ ებრაელთა დიდმა ნაწილმა გვარი შეიცვალა. ძირითადი დასრულება (შვილი) შეცვალა ებრაულად ამავე მნიშვნელობის ბენ ან ზოგჯერ ბათ (იშვიათად) სიტყვებით, რომლებიც შვილმოკვცევილ ფორმებს წინ დაურთეს და მივიღეთ ბენ დავიდ, ბათ შამელ. ზოგჯერ, უბრალოდ, შვილ შეკვცევილი ფორმა გვხვდება. მაგალითად, თორენ. არის შემთხვევები, როცა ქართული გვარის კალკირების საფუძველზე შექმნეს ებრაული გვარი, მაგ., წიწუაშვილი. წიწვი ებრაულად არის ორენ და მივიღეთ ბენ ორენი. ქართველ ებრაელთა გვარებისა და სახელების დაწვრილებითი და გამოწვლილი მონოგრაფიული შესწავლა მომავლის საქმეა, რაც ეთნოისტორიული და ეთნოლოგიური საკითხების სრულყოფილ შესწავლას უკავშირდება. ამიტომაც გვარსახელების შესწავლა უნდა მოხდეს კომპლექსურად ისტორიული, ეთნოგრაფიული და ენათმეცნიერული ასპექტებითა და მეთოდებით.

ისრაელში მცხოვრები ებრაელების უმეტესობა დღემდე მშობლიურ ენად მიიჩნევს ქართულს, ზოგი თავს ბილინგვად თვლის, ქართულითა და ივრითით, დავადასტურეთ ბილინგვები ქართულითა და რუსულით. ახალგაზრდა თაობა მშობლიურ ენად მიიჩნევს ივრითს.

ამდენად, საენათმეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ, ქართველ ებრაელთა თემი გამორჩეულია თავისი ხანგრძლივი ისტორიითა (გიპერტი 2006) და გარემომცველი კულტურის ენის უწყვეტი გამოყენებით.

არსებული მონაცემთა ბაზების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ ქართველ ებრაელებს ახასიათებდათ ენობრივი იდენტობა, რაც ძირითადად, მართალია ქართულ ენობრივ საშუალებებს

ეფუძნებოდა, მაგრამ სოციო-კულტუროლოგიური ასპექტებით უფრო ებრაიზმების უხვ გამოყენებაზე იყო ორიენტირებული.

საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს სიმბოლური ფუნქციით ყოველთვის ჰქონდათ მიმოქცევაში ებრაული და ამ ენის სრული დავიწყება, დაკარგვა საქართველოში არასოდეს მომხდარა, ამიტომაც იყო ენა ებრაელთა იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი საქართველოში.

ლიტერატურა:

აბულაძე ქ., ებრაული ტერმინები "ებრაელი-ისრაელი-ურია (ებრაელთა გვარ-სახელები), თბილისის სახელმწიფო პედ. უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, 1999, ტ. 6

ბაბალიკაშვილი ნ., Еврейские эпиграфические в Грузии (XVIII-XIX вв.), Автореферат, 1971.

გ. ბენ-ორენი, 1993.

- [Special Characteristics of the Spoken Language of Georgian Jews]. Ph.D. dissertation, The Hebrew University of Jerusalem.

გაგულაშვილი ი., ქართველ ებრაელთა გვარების ლექსიკონი; თბილისი, 1998

ი. გიპერტი, წმინდა ნინოს ცხოვრება: განსხვავებულ წყაროთა კვალი, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, თბილისი 2006.

გულელაძე ლ., ლომთაძე თ., იერუსალიმში/ისრაელში ასვლა, თსუ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის კონფერენცია „ჩიქობავას საკითხავები 28“, თბილისი 2017

კ. დუმბაძე, ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში, ჯეჟანმარდი 2, თბილისი 1979

ჯ. ედვარდსი, Language and Identity, Cambridge, 2009.

რ. ენოხი, Relation of Literary Georgian, Imeretian Dialect and Speech of Jews from Kutaisi, or the Speech of Georgian Jews on the Crossroads of Linguistic Science and Sociolinguistics, International Scientific Conference "Language and Culture", 2, Kutaisi, 2013.

რ. ენოხი, ქართველ ებრაელთა მეტყველების რაობისათვის, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, გორი, 2015.

რ. ენოხი, თ. ლომთაძე, ებრაიზმები ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში, გორის მესამე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, გორი 2016.

თ. ლომთაძე - ქუთაისური ქართული, ქუთაისი 2005.

თ. ლომთაძე, თანამედროვე ქართული სოციოლექტები, თბილისი 2010.

პაპისმედოვი ი.. საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემის ისტორიისათვის, საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 3, თბილისი, 1945.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, 1978.

ზ. ჭიჭინაძე ქართველი ებრაელები საქართველოში, თბილისი, 1970.

კ. წერეთელი, "ებრაელის" აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინი ქართულში//თსუ-ს შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობა, ტ. 206, 1979.

ბ. სპოლსკი, Bernard. Language Policy. Cambridge: Cambridge University Press, 2004.

ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1989.

https://ka.wikipedia.org/wiki/საქართველოს_დემოგრაფია

Reuven Enokh

Ariel University (Israel)

Tamar Lomtadze

Akaki Tsereteli State University

SOME NOTES ON THE LINGUISTIC IDENTITY OF THE GEORGIAN JEWS RESUME

The Jews have a twenty-six-century's history of living in Georgia which is assessed as a long and successful coexistence of ethno-linguistic and religious minority with the local, dominant population in scholarly literature. While living in Georgia they were referred to as "Georgian Jews" but after returning to Israel they started to refer to themselves as "Georgians". The Georgian Jews possessed a number of identities or, to be more exact, facets of one overarching identity including alongside with religion, customs, traditions and the variety of the Georgian language spoken by the Jews (the so called Judeo-Georgian).

კეთილი და ბოროტი, სიკვდილი და სიცოცხლე ერთ კონცეპტში (ქართველური ენობრივი მონაცემების მიხედვით)

როგორც ცნობილია, კონცეპტი აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხის სემანტიკური წარმონაქმნია და წარმოადგენს აზრის ვერბალურ გამოვლინებას. კონცეპტის აზრის გასაგებად საჭირო ხდება ამ ენაზე მოლაპარაკეთა კოლექტიური ცნობიერების ანალიზი ანუ როგორი მნიშვნელობით იყენებენ ამ სიტყვას, როგორი ასოციაციებია დაკავშირებული ამ სიტყვით გამოხატულ ცნებასთან, როგორი იყო მისი არქეტიპული მნიშვნელობა, როგორ გამოიხატება მყარ სიტყვათშეხამებებსა და ფრაზეოლოგიზმებში, აგრეთვე, ლიტერატურასა და სასაუბრო მეტყველებაში.

პუბლიკაციის მიზანს წარმოადგენს გარკვევა საკითხისა, რამდენად სრულყოფილად, ტიპოლოგიურად ერთგვარად და შთამბეჭდავად აისახა ქართველურ ენებში ერთ კონცეპტუალურ ბუდეში სიკვდილ-სიცოცხლის, კეთილისა და ბოროტების ამსახველი ლექსიკა და ფრაზეოლოგიზმები; ქართველური ენების ლინგვოტიპოლოგიური აღწერა და ინტერპრეტაცია ხომ წარმოადგენს თითოეული ამ ენის – სვანურის, მეგრულისა და ლაზურის თავისებურებების დადგენასა და მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენას.

ქართველურ ენებში სიკვდილ-სიცოცხლის, არსებულისა და წარმოსახვითის, კეთილისა და ბოროტის ამსახველი ლექსემების, სიტყვათშეხამებებისა და ფრაზეოლოგიზმების აღნუსხვა, კვლევა, საერთო ტიპოლოგიის წარმოჩენა, ენობრივი მექანიზმის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული კვლევების გასამდიდრებლად, ისე სამყაროს ქართველური ენობრივი სურათის წარმოსაჩენად. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ზემოჩამოთვლილ მცნებებს ქართველურში აერთიანებს კონცეპტი **სული**.

ყველა ეროვნებისა თუ ხალხის წარმოდგენები სულზე თითქმის ერთნაირია, თუმცა ბევრ რამეში განსხვავებულიც, რადგან ასახავს ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ ტრადიციებს. ქართველურ ენებში კონცეპტი **სული** (ისევე, როგორც ბევრი სხვა კონცეპტი) გადმოიცემა ერთი ეტიმოლოგიის ძირების მქონე ლექსემებით. ქართულში, სვანურსა და ზანურში (მეგრულ-ლაზურში) წარმართული და ქრისტიანული წარმოდგენები სულზე შერეულია ერთმანეთში. სალიტერატურო ქართულთან მიმართებით უაღრესად საინტერესოა როგორც კონცეპტი **სული** ზოგადად, ასევე სულთან დაკავშირებული ლექსემები და ფრაზეოლოგიზმები ქართველურ ენებში. ამ კონცეპტის ამსახველი ლექსიკა საინტერესოდ არის წარმოდგენილი ქართველურ ენათა ლექსიკონებსა და ტექსტურ გამოცემებში.

შედარებისთვის განვიხილავთ სვანურისა და მეგრულ-ლაზურის მონაცემებს.

სვანური: ქუჩინ (ზს. ლნტ.) ქუნ (ლშხ.) – 1. სული. 2. სუნი; (თოფ., ქალდ., 2000: 789); ქართული **სულ**– ძირის შესატყვისი უნდა იყოს წარმოდგენილი სვანურ **ლი-შურ-რელ** („ამოხვრა“) საწყისში, რომლის თავდაპირველი შულ–>შურ– დისიმილაციით. ამავე ძირს უკავშირდება სვან. **ლი-შული** „ქოშინი“ (ფენრ., სარჯვ.: 1990: 287)

კონცეპტი **ქუჩინ** „სული“ ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე სვანურში აერთიანებს სიკვდილ-სიცოცხლის, კეთილისა და ბოროტების ამსახველ შემდეგ ლექსემებს და ფრაზეოლოგიზმებს: **ქუჩინილდ სურიი** „ნეტა, ნეტავ, ნეტამც“. **ლიქუნავალ** „აგონია, სულის ამოხდომის პროცესი“. **ქუჩინილიკედ** „ხმის ამორება“ **ქუჩინმეყჷზე** „სულწასული“, „უსუსური“. **ქუჩინლგენე** „სულდგმული“ გადატ. ხმაურიანი, მედეგი, მეზრდოლი“. **ქუჩინლგენე** „საქონელი“. **ქუნარჷ** ლისგუჯინე „სულების გაცილება“ „სულების გაბრძანება“. **ქუჩინი ლიტხე** „სულის მობრუნება“. **ქუჩინი ლიტხემი ლოც** „სულის მობრუნების ლოცვა“. **ქუჩინი ლიწეზურალ** „სულის ამოხდომა“. **ქუნარჷ** „სულები“. **ქუჩინი ლიხტჷნტი** „სუნთქვა“. **ქუჩინი ლისგუჯინე** „სულის ამობრძანება“. **ქუჩინილდ ჷუნდ გარ ხაბედარა** „სული ძლივს უდგას“. **ქუჩინილიჩედ** „სულის ამოხდომა“. **ქუჩინიჩადობ** „სულის ამოხდომა“. **ქუჩინილიგენე** „მოლონიერება“.

მუშუპნ მარა მეუარ ხანწამ ლდგარი ქტინ (სვან. პროზ. ტექსტ. I ბზ. გვ. 11) „სვან კაცს ძალიან სწამს მიცვალებულის სული“.

ქუნარს ლაფანაჟი“ სწამს ხასდიკ (ბქ. – „სულებს კურთხევის (საკურთხის) დროს ხმაური სწყინთ“. (თოფ., ქალდ., 2000: 789)

ქუნარს ეშუ ლდედ ლახორ ლოქ ხარხ (ლნტ.63) „სულებს ერთი დღე თავყრილობა აქვთო“.

კნინ. ქტინილდ (ზს.ლნტ.) ქუნულ (ლმზ.) გადატ. „ნეტავი“. „ქტინილდ ათხეუ ძარდ ემგენე შტუნს. (ბზ.) „ნეტავი ახლა ვინმემ სვანეთში დამსვას“. (თოფ., ქალდ., 2000: 789)

ქტინმეყტლე „ორგული, სულგაყოფილი, ბოროტი“.

ეჯა მეტარ ქტინმეყტლე მარე ლი „ის ძალიან ბოროტი კაცია“.

ქტინმეყტლე მარე დას ხალატ ბქ. „ბოროტი კაცი არავის უყვარს“.

ქტინმეყტლე/ქტინმეყტლე „სულწასული“

ქტინმეყტლე ამსტალდშ მგ ხოლამდ მეწტენი „სულწასული ადამიანის ყველაფერი ცუდად მეჩვენება“.

ქვინ – სული. ქუნარეში – მიცვალებულთა მოსახსენებელი კვირეული. ქვინ მგწლეები – სული კბილით უჭირავს; ქვინ ხანშგერა – სული ძლივს უდგას; ქვინ ხესკვანთი – სული ეხუთება; ქვინს დეშ აბეელე – ვერაფერს ბედავს; ქვინს იცხვანტე – სულს ითქვამს; ქვინს იჟნე – სულს ინარჩუნებს; ქვინს პერე – ძალიან სურს, უყვარს. ქვინს ხოჟნე – სულს ინარჩუნებს, თავი გააქვს; ქვინარ – სულები; ქვილგმგენე – სულდგმული. (ლიპარტ.: სვან.-ქართ. ლექსიკ. თბ. 2014: 259).

მეგრულ-ლაზური:

მეგრული:

შური-ი - სული.

დიდ კოს დიდი შური უღუნია. „დიდ კაცს დიდი სული უდგასო (აქვსო)“ (სახოკ., 246.).

ჩქიმი დინაფილი შურსუ ჟინ ბორია მომიგანს. „ჩემს დაკარგულ სულს ზევიდან ქარი დამიბერავს“ (ყიფშ., 139). მიწი: „შური, მუშენ დანთხი?...: „მითხარი: - სულო, რატომ დაეცი? (ყიფშ., 163).

შურიძალაფუ - სულთმოზრმავე, ვისაც სული ძერება, მომაკვდავი.

ქიდელახუ დო შურიძალაფუ გინირთ: „ავად გახდა და სულთმოზრმავად იქცა“ (ქხს, 2, 26). უჯინგნ, შურიშ ძალაფუ რე თე ცირა. „რომ უყურა, მომაკვდავია ეს ცირა (ხუბ., 279).

შურ-ძალაფე მუდგა ორდასგნი, ქოჩანქ-და, დასქილიდუანსია. „მომაკვდავი რაც არ უნდა იყოს, თუ დააღვინებ (წამალს), მოარჩენსო“ (ხუბ., 279).

შურიში ლაფა - სულის ამოხდომა

მაღას აჟი შურიშ ლაფა: - მაღე სული ამოხდება.

შურიშ აშალაფა/შურიში ეშალაფა - სულის ამოხდა - სიკვდილი.

შურიში აშალაფაშა ოკო დაზიარკონი - უნდა დაეზიარებინა სიკვდილამდე (სულის ამოხდომამდე). ამარ-ამარ შური გეშალუ - აგერ-აგერ სული ამოუვა, - მოკვდება.

შურიში გარყეა - სულის გაყრა (ამოხდომა), - სიკვდილი.

შური ამარი გერყეუ. „აგერ მოკვდება“ (ყიფშ., 164).

შურიში გოტება - სულის განტევება, ძლიერი ნდომა; გადატ. სიკვდილი: ძორი დიხას ჩააბარგ დო შური გოუტუე ეწერიშა: „ძმორი მიწას ჩააბარა და სული გაუშვა ეწერში (მოკვდა)“ (ყიფშ., 158). უმქური ქომირუნი, შური გოტუე დო ქომოყიდარაფუ. „ვაშლი რომ ნახა, ძალიან მოისურვა და მაყიდინა“.

შურიში(ი) გოფარსალუა - სულის განტევება, სიკვდილი; გადატ. რისამე დიდად მონდომება, სურვილი.

შური ხათე გოფარსალუე - მაშინათვე მოკვდა. შური გოფარსალუე დო ქიმაღალაფუ - ძალიან ინდომა და მოატანინა.

შურიშ ნთქალუა - სულის ღაფვა.

ჩხომსე პიჯი გუუნჯამუ დო შურსე ინთქარსგნი, ქომირგ. „თევზს პირი გაუღია და სულს რომ ღაფავს, ნახა“ (ცაგ., 28).

შურიში გოღვინტუა - სულის განტევება, -- სიკვდილი.

შურიში გოჟოთამა - სულის გაგდება, -- სიკვდილი; მოკვლა.

ნდემიში მორდილქე შური გააჟოთინაფუ ნდემცე. „დევის გაზრდილმა მოკლა (სული გააგდებინა) დევი (ყიფშ., 63).

შურიშ ფაცხუა - სულის განტევება, -- სიკვდილი:

შურს ფაცხუნს -- კვდება.

შურიში იშასორუა - სულის ამოძრობა, -- სიკვდილი

თემი გემასორუდას შური სქან მაჟყალს -- ისე ამოძრობოდე სული შენს

მაწყევარს.

შურიშ დგუმა/შურიდგუმა სულის დგმა, -- სიცოცხლე

ირფელი ჯგირი სქანი შური დგმასგ მიისური. „ყველაფერი კარგი შენს სიცოცხლეში (სულის დგმაში) მოისტუმრე“ (ცაგ., 96).

შურიში[დ]ინოდგუმა/დინოდგუმა-სულისდგმა/ჩამდგმელი -- გაცოცხლება // გამცოცხლებელი.

მუდგა დასუსტებული რდე, ქინოგიდგნც შურცია. „რაც გინდა დასუსტებული იყო, გამოგაცოცხლებსო (ჩაგიდგამს სულსაო) (სამუშ., ქხპს,143). ქიმი შურიში დინოდგუმა. „ჩემო სულისდგმავ (ჩამდგმელო, მაცოცხლებელო)“ (ქხს, 1, 44).

შურიშ მიზადგუმა - სულის ჩადგმა, -- გაცოცხლება.

ბრელი ხანიში უკული შურქ ქემზადგე. „ბევრი ხნის შემდეგ გაცოცხლდა (სული ჩაუდგა)“ (ხუბ., 184).

შურდგუმა სიცოცხლე -- სულდგმა (სულდგმის მანძილზე).

ჩქიმი შურ-დგუმას ვაშმოჰყორდუ მა თე ამბე. „ჩემსსიცოცხლეში (სულდგმის მანძილზე) არ დამავიწყდება მე ეს ამბავი“. მა შურდგმა მუშო მოკო. „მე სიცოცხლე (სულდგმა) რად მინდა“ (ქხს, 1 242).

შურიშ მოდგუმა - სულის მოდგმა, -- მომჯობინება, მომძლავრება. გადატ. ქონების შეძენა.

კოჩქე მიიდგე შური. „კაცი მომძლავრდა (სული მოითქვა); ეკონომიკურად მომძლავრდა, ქონება შეიძინა“ (ყიფშ. 19).

შურიშ შინაფა /შურიშ ჩხონაფა - სულის ხსენება. სულის ცხონება.

დაბადებუშე თაში ერჩქინელი, გურიშ მაღამა, შურიშ(ი) ჩხონაფა. „დაბადებიდან ასეა შექმნილი, - გულის მაღამოვ, სულის ცხონება“ (სამუშ., ქართ. ზეპ.,26).

შურიშ წაულა -სულის წახდომა:

მართალი ქომიწიით, შურქუ ვა წავირთასგნი! „მართალი მითხარით, სული არ წავიწყმდეს (წაგიხდეს)“ (ყიფშ.,4)!

შური წგრდგ - სული წმინდა:

უზადო შური წგრდგს ოჩხუპუ. „ბოროტი სული წმინდას ებრძვის“.

შურიშ ხირუა - სულის მოპარვა, -- გაკმენდა, გატვრინვა.

შურგოტებული - სულწასული, სულმოკლე.

მუს რე, ჯიმა, შურგოტებულო უჯინეიქე? „რასაა, ძმაო, სულწასულად რომ უყურებო?“ (ხუბ.,57)

შურდინაფილი - სულდაკარგული. გადატ. გველი (ტაბუა).

შურეთი შურეთის - სულეთი, საიქიო.

შურეთიშე დორთინელი მითა მიძირუ -- საიქიოდან დაბრუნებული არავინ მინახავს.

შურიგე - საალერსო-საფიცარი მიმართვა: სულს გაფიცებ; სული თუ გწამს; სულისჩინო!

ბაბა-შური - შორსდ. ფიცის ფორმულა: მამა-სულო. გამარჯობა, ბაბა-შური! - გამარჯობა, მამა-სულო!

ბაბაშ-შურუმე, ბაბაი-შურუმე - შორსდ. ფიცის ფორმულა: მამის სულს ვფიცავ. ბაბაშურუმე, ვადაინდენქ, ვამორთა ხოლოშა! - მამის სულს ვფიცავ, არ დაგინდობ, არ მოხვიდე ახლოს.

ლაზური:

ლაზურში შური/შუი/შუდ რამდენიმე გაგებას მოიცავს: უსხეულო არსება, ცალკეული ადამიანი, ადამიანის სულადობა, ზებუნებრივი ძალა, შინაგანი არსი - საპირისპირო ხორცისა, არაადამიანური არსება - კეთილი ან ბოროტი და სხვ. ლაზურში **შური** გადმოიცემა სხვა ლექსემებითაც, რომლებიც ნასესხებია ძირითადად თურქულიდან ან სპარსულ-არაბულიდან: **გორი, დიხნი, ჯანი** =სული; **ჯანლი** (სპარს.), **ნეჭერი** (თურქ.), **ნუჭუსი** = ცოცხალი, სულდგმული, არსება, ადამიანი.

თქვან ნაკო **შური** რეთ? -- „თქვენ რამდენი სული ხართ?“ არ **შური** ქომოიხინწუ -- „ერთი სული ამოიხენეშა“ (კარტ., ლაზ. ტექსტ., 83). „**შუი-ნა** ვა გედგინ ორდედი, ჩაქმაქსუზი ტოჭელითე დოპილით“ -- სული რომ არ უდგია იხვი, უჩახმახო თოფით მოვკალით (ჟღენტი, ჭანური ტექსტები, 96). „სქანი **შუი** დემაღეშა მოფთია (კარტ., ლაზ. ტექსტ., 25). „**შური** ნაქაჩუ“ -- სული შეეხუთა (ჩიქ., ჭან. გრამატ. ანალ., 135). „ოდას-თი **ჯანლი** ხაივანეფე ქამოყონაფემ-შკულუ, ხოლო ბირათათენ თითო-თითო გერი ქომეჩეს“ -- ოთახში ცოცხალი საქონლები რომ შემოაყვანიხეს მერე, ისევ სიმღერით თითო-თითო უკან მისცეს (ყიფშ., ჭან. ტექსტ., 10). „ოთხო **ჯანი** ტერენან“ -- ოთხი სული ყოფილან (ჩიქ. ჭან. ტექსტ., 7).

„**დიხნი** ქვაჰოფუ“ -- სული შეეხუთა (თანდ., 187)

შური/შურ ლაზურში გვხვდება კომპოზიტებშიც და ფრაზეოლოგიზმებშიც:

შუიოჰკვადუ - სულის დაფვა, სულის წყვეტა;

შურიგედგინერი - სულდგმული;

შურიოკონალუ - სულის ძრომა (სული ძვრება) (გადატ. მოუთმენლობა);

შურიდოლოლაფერი - აქომინებული, სულჩავარდნილი;

შურიჩხა - შაბათი, სულის დღე;
ჟურშურონი - ორსული;
შური ოქაჩუ, შური მედუ - სულის ხუთვა;
შური ქომეჩუ - სული მისცა, სული მიჰყიდა;
შური ჭკვიდომს - კვდება, სულს წყვეტს;
შუი ქიუხთეფს - სული ამოხდება, სული მიატოვებს...;
შური მედვალერი - სულდახუთული;
შურშოლფა - უშედეგო მცდელობა.

„დუნდას-ნა სქიდუნ შურიგედგინერი შერეფე მთელი ხოლოს ქოკუჯოხუ დო ჭელუკას ქოტოხუნუ“ - ქვეყანაზე მცხოვრებ სულდგმულს, ყველას დაუძახა და ნავში ჩასხა (ჟღენტ, ჭან. ტექსტ., 28). „შურიდულოლაფერი არ მკაფუ ქომოხთუ“ - ულჩავარდნილი ერთი ტურა მოვიდა (კარტ, ლაზ. ტექსტ., 182). „მასუმანი ნდღას შუი ვა მეგადუია?“ - მესამე დღეს სული არ შეგეხუთაო? (კარტ., ლაზ. ტექსტ., 67). „აქ შუი იეგილა-ნა ჯენენიშ ულუმა“ - აქ თუ სული ამოგხადე, ჯოჯოხეთში წახვალაო (კარტ. ლაზ. ტექსტ., 28). „ჰამო ნიჯე გომოშქვარე შური დოლოლაფერი!“ - ასე რამდენ ხანს უნდა მარონიო სულჩავარდნილი (ყიფშ.ჭან. ტექსტ., 43). „ჰებდენ შუი ქოგამაგალასერე“ - მთლიანად სული გაძვრა (ჩიქ. ჭან. გრამატ. ანალიზი, 87). „ოწედუ, ოწედუ, შური ქოდოლულუ“ - უყურა, უყურა, სული შეეხუთა (ჩიქ.ჭან. გრამატ. ანალიზი, 135). „ჰამუსნა დოსქიდუ ოხორჯა ჟურშურონი ტუდორენ“ - ამას რომ დარჩა ქალი, ორსული ყოფილა (დიუმეზ. IV, 1).

ლაზურშიც შური შესუნთქულ-ამოსუნთქულ ჰაერსაც ნიშნავს და სუნსაც: შუი მემიზარი =სული დამიბერე; შუი ქოდიშვანუ = ჩაისუნთქა, შურიდულოლაფერი - აქოშინებული, კოჩიშ შურა - კაცის სუნი...

კეთილი თუ ბოროტი არაადამიანური არსების სული ლაზურში გადმოიცემა ძირითადად ნასესხები სიტყვებით, რაც თურქული რწმენა-წარმოდგენების ძლიერი გავლენის შედეგია. ეზრელი/ეზაელი/ერზაილი - (არაბ.) სულთამხუთავი ანგელოზი მიქელ გაბრიელი:

ეჯილლი - (თურქ.) ავსული
იხი - ჯადოქარი, ავსული
იარიჯანლი - ნახევარსული
კონჯოლოზი - ავი სული
ფერი - ეშმაკი, ავი სული
ჯინი - ავი სული
ჰიზირი - (არაბ.) გადამრჩენელი, ანგელოზი
მელაელი/მელელი/მელეიელი - ანგელოზი
ფერი/ფეი - ფერია;

„ეზრელი მოხთუ დო შუქეი ქაფულუ“ - სულთამხუთავი ანგელოზი მოვიდა და სული აუღო (თანდ., 223). „მუჩითუჩქულუ: ეჯილლი ენი, დოქე ისა კოჩი ენ“ - გადარჩენის შემდეგ ავსულია, თუ ნამდვილი კაცი (მართალი კაცი) არის (კარტ., ლაზ. ტექსტ., 158). „რამიზიქ ხასანის უწუ-ქი სქანი ოხორჯა იხი სთერი მუთხანი რენ“ - რამიზმა ხასანს უთხრა, რომ შენი ცოლი ჯადოქარივით რაღაცაო (ჟღენტ., ჭან.ტექსტ., 40). „ბერე დოშქურინეი რენ, ბეჰიმდა, იხი ქაფონუ“ - ბავშვი შეშინებულია, შეიძლება, ავი სული აჰყვა (თანდ. 309). „იარიჯანლი ხოცქუტუ“ - ნახევარსულიანი კვდებოდა (ჩიქ., ჭან. ტექსტ., 91). „კულანი დეი, ვანა ჯინი დეია? - შენ გოგო ხარ, თუ ავი სულიო? (კარტ., ლაზ. ტექსტ., 68). „მინდიყონეს დიდო ჯინეფეში დეიშა“ - წაიყვანეს ბევრი ავი სულების ადგილს (კარტ., ლაზ. ტექსტ., 105). „ჰიზირიქ უწუმეს“ - გადამრჩენელი ეუბნება (კარტ., ლაზ. ტექსტ., 97). „ქალე-ბოზო, დივიდორენ მელელი“ - ქალიშვილო, გამხდარხარ ანგელოზი (ჟღენტ., ჭან. ტექსტ., 161). „არ ფერი ბოზო ქომოხთუ“ - ერთი ფერია გოგო მოვიდა (ჩიქ., ჭან. გრამატ. ანალ., 47);

საერთოქართველური სიტყვა ჭინკა ლაზურში შენარჩუნებულია. მას კუდიან პატარა არსებად წარმოიდგენენ, ტყეში წყლისპირას მცხოვრებს.

„ლიმჯიკელე ჭინკა მომხვადუ“ - საღამოხანს ჭინკა შემხვდა (ჩიქ., ჭან. ტექსტ., 128). „ქარმატეს ჭინკაფე ნა მოლობლუტეს ქუჩიტუ“ - წისქვილში ჭინკები რომ შეყრილიყვნენ იცოდა (დიუმეზ., IV, 85).

საყვარელი არსების ეპითეტად გამოიყენება ლაზური შურიმშინე და სპარსული ჯანუმ. შურიმშინე ნიშნავს სულის მხსენებელს, ასევე მიცვალებულის სულის მომხსენიებელს, ჯანუმ - სულო ჩემოს, ძვირფასოს.

ზემოაღნიშნული მაგალითებით დადასტურდა, რომ ქართველურ ენებში სულ ძირის შესატყვისია შურ, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სიტყვაწარმოებასა და ფრაზეოლოგიზმებში, თუმცა სვანურში მისი ხმარება გაცილებით მწირია. სვანური ნაყოფიერად იყენებს ქჷნ ძირს. გაცილებით ფართოა სულ

ძირის გამოყენების არეალი მეგრულ-ლაზურში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლაზურში, როგორც მოსალოდნელი იყო, გვაქვს თურქულ-არაბული ნასესხობანი. ქართველურში ამ კონცეპტის აღმნიშვნელი ლექსემები სიტყვაწარმოებასა თუ ფრაზეოლოგიზმების შედგენის თვალსაზრისით იდენტურია.

ამრიგად, პუბლიკაციაში წარმოდგენილია სვანურსა და მეგრულ-ლაზურში სიკვდილ-სიცოცხლის, კეთილისა და ბოროტის, არსებულისა და არარსებულის სემანტიკის გამაერთიანებელი კონცეპტის - სულის აღმნიშვნელი მდიდარი ენობრივი მასალა. პარალელურ ფორმატში წარმოდგენილი ეს ენობრივი მონაცემები საინტერესოა როგორც სტრუქტურა-აღნაგობის, ასევე სიტყვათწარმოებითი მოდელების, ეტიმოლოგიების, სემანტიკური ნიუანსების თვალსაზრისით. წინასწარი კვლევის საფუძველზე, სალიტერატურო ქართულთან მიმართებით იკვეთება საინტერესო სემანტიკური ნიუანსები.

ლიტერატურა:

1. ასათიანი ი., „ლაზური ლექსიკონი“, თბ., 2012;
2. დიუმეზილი ჟ., „ლაზური ზღაპრები და გადმოცემები“ (მ. ბუკია, ლექსიკონი), თბ., 2009;
3. თანდილავა ა., „ლაზური ლექსიკონი“, თბ., 2013;
4. თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბ., 2000;
5. კარტოზია გ., ლაზური ტექსტები, თბ., 1972;
6. ლიპარტელიანი ა., სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო) თბ., 2014;
7. ჟღენტი ს., ჭანური ტექსტები, თბ., 1936;
8. სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის საკითხები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1979;
9. სამუშია კ., ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშები, თბ., 1990;
10. სახოკია თ., მეგრული ანდაზები და გამოტყდებები: იკვ., XXVIII, თბ., 1989;
11. სვანური ენის ქრესტომათია, (ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა, ზ. ჭუმბურიძემ), თბ., 1978;
12. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990;
13. ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. მე-2, თბ., 1991;
14. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I-IV ტომები, თბ., 2001-2006;
15. ჩიქობავა არნ., I, „ჭანური ტექსტები“, ტფილისი 1929;
16. ჩიქობავა არნ., „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, 1936;
17. ყიფშიძე ი., რჩეული თხზულებანი, თბ., 1994;
18. ხუბუა მ., მეგრული ტექსტები, ტფ., 1937.

Marine Kakachia, Ketevan Margiani

Sokhumi State University

Marina Jgarkava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

KIND AND VICIOUS, DEATH AND LIFE IN ONE CONCEPT

(ON THE DATA OF THE KARTVELIAN LANGUAGES)

RESUME

The rich linguistic materials reflecting death and life, Kind and Vicious, united in the concept of „soul” in the Svani, the Megrelian and the lazi languages are shown in the presented article.

All the data of these languages given in the parallel format are interesting in respect to their structure, word-formation models, etymology and semantic nuances.

In the Kartvelian languages the research conducted on the expression of emotions, in this particular case, within the lexical and semantic sides of „soul” and on death and life, lexemes of semantics, phraseologies united in once concept, and emphasizing the common typology by studying the linguistic mechanisms is important for enriching theoretical researches on emotions and for showing the peculiarities of the Kartvelian languages in regard to this aspect.

იოანე ქართველიშვილის „მემუარების“ ენისა და სტილის ზოგი საკითხისათვის

იოანე ქართველიშვილის „მემუარები“ ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ძეგლია. ის ქრონოლოგიურად აგრძელებს იესე ოსეს ძე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძში“ წარმოდგენილ ისტორიულ მოვლენებს. იესე ბარათაშვილი 1786 წელს მძარცველმა ლეკებმა მოკლეს. იოანე ქართველიშვილის „მემუარები“ სწორედ ამის მომდევნო პერიოდის ისტორიულ ვითარებას გადმოგვცემს და მთავრდება საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი დღეებისათვის დამახასიათებელი ყოფისა და ისტორიული მოვლენების აღწერით (ა. იოსელიანი, 1952: 3).

იოანე ქართველიშვილს „მემუარების წერა“ დაუწყო 1801 წლის 10 სექტემბერს ქ. ქუთაისში და შეუწყვეტია 1802 წლის დეკემბრის დამდეგს ქ. თბილისში (იწერებოდა ერთი წლისა და ოთხი თვის მანძილზე). საანალიზო მასალად ვიყენებთ იოანე ქართველიშვილის „მემუარებს“, რომლის ავტოგრაფსაც ავთანდილ იოსელიანმა მიაკვლია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და, რომელიც მისი გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით დაიბეჭდა 1952 წელს.

იოანე ქართველიშვილი „მემუარების“ შესავალში წერს, რომ ამ ნაწარმოებს შვილებისათვის წერდა: „უკეთუ ჰნებავს ღმერთსა საკსოვრად რამედ გაქვდესთ თქვენ, ძეთა ჩემთა ... აღწერილი ესე“ (65). „მემუარები“ თავისი შინაარსით უფრო დიდაქტიკური ხასიათისაა. ეს არის შვილებისათვის დაწერილი მამის ანდერძი, ამასთანავე ავტობიოგრაფია და თავგადასავალი (ა. იოსელიანი, 1952: 33).

როგორც ცნობილია, ერთიანი სალიტერატურო ენის ანტონისეული ნორმები მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან უკვე თანდათან ირღვევა, მაგრამ არ გვხვდება არც ახალი ნორმები ჩამოყალიბებული. „ვისღა შეეძლო გაერჩია ერთმანეთისაგან მაღალი, საშუალო თუ დაბალი სტილით ნაწერი. სამი სტილის თეორია მხოლოდ თეორიულად არსებობდა, არსებითად კი საკითხი იდგა გაუგებრად და გასაგებად, წიგნიერად და უწიგნიურად წერის ურთიერთობისა მხოლოდ. თვით ანტონ კათალიკოსის თეორიის მიმდევართა ბანაკშიც კარგად ხდებოდნენ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა“ (ი. გიგინეიშვილი, 1989: 25). ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება იოანე ქართველიშვილის „მემუარების“ ენასა და სტილზე დაკვირვება. როგორ იცავს იოანე ქართველიშვილი ანტონისეულ ნორმებს?

ავტორი საქართველოს ისტორიის განსხვავებულ ეპოქებს, სხვადასხვა პიროვნებათა ზრახვებსა და მისწრაფებებს, პირადი თავგადასავალსა და საოჯახო მნიშვნელობის ამსახველ წვრილმან რეალიებს, თარიღებს, ოჯახის შემოსავლისა და გასავლის აღმნიშვნელი ციფრებს გადმოსცემს მარტივი ენით და შთამბეჭდავად. მწერლის ენა არ არის დამძიმებული და ხელოვნური ფორმებით გართულებული. ნაწარმოებში **ე, ზ, კ, ჯ, ჭ** გრაფემების გამოყენებას არა აქვს სისტემატური ხასიათი.

გვხვდება: სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებთან. მაგ.: „მომეგო საბოლოო რამე **მონა**“ (71). ნაცვალსახელებში მოქმედებითი ბრუნვის შემადგენლობაში. მაგ.: „**ვინაიდან** არა იყო ჰესოვნასა შინა ჩემსა სიცოცხლე მამისა ჩემისა“ (66); „თუ **ვინაი** არს ადგილთა ჩვენი“ (71). მე ნაწილაკიან კითხვით ნაცვალსახელებში. მაგ.: „რამეთუ უკუეთუ წარმოგვიღო **რამე** ქალაქით“ (74); „უკუეთუ მოჰქონდათ ქურდთა და ავაზაკთა **რამე**“ (76); „ნუ უკუფ ბარგისა **რამესა** ქვეშაგებისა, ანუ სხვა **რამსამე** შემეძლო მოტანა“ (75). ცა ნაწილაკის წინ. მაგ.: „არამედ გაუწყებ მოკლედ, რომელ **რამცა** დამრჩა“ (75).

ჭ ჩვეულებრივ შედის უმარცვლო უ-სთან კომპლექსში - **უჭ**. მაგ.: „აქა **უკუფ** მოვიგე მომღვრად მასწავლებლად ჩემდა“ (66); „თოვე ხუთი ვიყავ **უკუფ** ამისთანა საპატრიარხოსა ეზოსა შინა“ (68); „აქა **უკუფ** მოერთოთ რუსთა დაბარება **რუსეთით**“ (68); „**უკუფითუსა** ამას შინა ამა, აწ დაწყებულსა აგვისტოს ვ (6) [ვიმყოფები] ავლაბარში დედოფალ დარეჯანთან“ (92); „გარნა არა **წარვიკუფთ** სასოებასა და ველი რათა ნუგეშინის ცემა ჩემი შესრულდეს თვესა ამას შინა“ (92). ზურაბ სარჯველაძე აღნიშნავს, რომ X საუკუნიდან თავს იჩენს უჭ დაწერილობა უე-ს ნაცვლად (ვარლუფ, მარჯუწნე, მულუწლი, უკუწ, ნუუკუწ...). მისი შენიშვნით ზოგჯერ **ჭ** ზედმეტად არის დაწერილი უ-ს შემდეგ (შუწრებოდა [შურებოდა], ვარქუწ [ვარქუ] და სხვა (ზ. სარჯველაძე, 1997: 15).

კ გვხვდება რამდენიმე ფუძეში. მაგ.: „დიაკონად **კელდასმულ** ვიქმენ 1793-სა წელსა, სეკდემბრის 23-სა 20 დღესა ქალაქსა ტფილისს“ (94); „გულად მივიღე აღწერასა შემდგომთა განცხადებულ ვითარებათა ჩემთასა, რომელიცა არს **მეკსიერებას** შინა ჩემსა“ (65); „კვალათ უკეთუ ვინმე **კელყოთ**, თვინიერ ძეთა ჩემთა განხილვად, ამისა წერილისა“ (65); „გან[ვ]ვლე ზამთარი **ჰესენებულისა** მის წლისა“ (67); „გარდავწერე ლოცვები **მკედრულად**“ (69); „თავადისა როჰიკაშვილის იოსების პირით, **კლება** ჩემი

თვისთანა“ (71); „შესაფერისა **მოკელობით** ყოფნას ქართლსა შინა ყიზილბაშთასა და ფლობას მათსა“ (71); „უცხოვრებია კარსა ზედა თთვისსა მამა და ბიძა ჩემი, პატივითა და შესაფერთა **საჯელობითა**“ (21).

Φ გრაფემა გამოყენება შემდეგ შემთხვევებში: „ჟამს მას, ოდეს სმენოდა ძმისა თვისისა **ფარნაოზის** ქართლში წამოსვლა“ (79); „დაწინდულ მყო დედამან ჩემმან მისის უწმინდესობის ილუმენის **ტრიფილეს** ძმისწულსა ზედა“ (68); „მუნ ვპოვე წიგნები ჩემი: ღრამატიკა, ლოდიკა, **მეტაფისიკა**, ითიკა და **ფისიკა**“ (72); მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი და ყოველი **ფომილია** სამეფო“ (76). ზოგჯერ შეინიშნება პარალელური ფორმაც. მაგ.: **ფომილია...Φ** -ს შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: „ეგ ასო ახალი შემოღებულია, არ ვიცი კი რისთვის. ეგ ასო ქართულ ენაზე ფ-ად იცვლებოდა ხოლმე. მაგ. ფილოსოფია. ამას გარდა ქართველ გლეხკაცს (თუ ბატონთან არ არის ნამყოფი) მაგ ასოს ხმას ვერც კი გამოათქმევინებთ. Φ-ს მაგივრად სულ ფ-ს გამოათქმევინებს, მინამდის ბევრჯელ არ გაამეორებინებთ. ჰსჩანს ეგ ასო ჩვენის ენის თვისებისა არ არის და რაღათა ხმარობთ“ (ი. ჭავჭავაძე, 1909: 51).

იოანე ქართველიშვილი თავის გრამატიკაში 39 ასო ბგერას ასახელებს (ანტონთან გვეყონდა ორმოცი ბგერა), მაგრამ ყველას არ იყენებს. მაგ.: „მემუარებში“ არ დასტურდება **ჟ** გამოყენების შემთხვევები.

იოანე ქართველიშვილის მიმართავს ბგერათა მონაცვლეობის შემთხვევებს. მაგ.: **ფ თ:** „**ფებერვალს** ვ მოველი სურამს“ (91). **გ ღ-:** „მაისის 8 მოხდა ცერემონიით ტფილისში **ლუბერნიის** გახსნა“ (91). **ხ ქ:** „ივნისში მომივიდა ჰამბავი **ინსპექტორის** ტფილიში მოსვლისა“ (87); „რომელსა [ვ] უწოდეთ თეკლა, მოვანათვლინე ესე **არხიმანდრიტსა** ქვათახევისასა“ (70). **კ ქ:** თეკლა მიიცვალა 1795 წელს **სეკდემბრის** 6-სა დღესა შინა ტფილისს“ (94); ვწერცა **პუნეტსა** ამას“ (93); „შიო განწესებულ იქმნა სუდა (sie) ისპრავის **ეკსპედიციასი** პერეოდჩიკად იულისისა 2-სა 1810 წელს“ (97). ზოგჯერ ერთ სიტყვაში რამდენიმე ბგერის მონაცვლეობაც გვხვდება. მაგ.:

„ყოველივე რაცა აქენდა, **ქათალიკოზისა** ყოვლის შემოსლით და სვე/ტის ცხოველის სამკაულით“ (75).

დასტურდება ჰ-ს ზედმეტად ხმარების შემთხვევაც. მაგ.: „ივნისში მომივიდა **ჰამბავი** ინსპექტორის ტფილიში მოსვლისა“ (87).

იოანე ქართველიშვილი იყენებს ორმაგ თანხმოვნებს. მაგ.: „მეუწყებოდა დედისა ჩემისაგან შობა ჩემი **თთვესსა** სეკდემბერსა 20, დღესა დიდისა მოწამისა ევსტათისსა“ (66); „წმინდის დიდის მოწამის გიორგის კალოუზნად წოდებულის **ეკკლესიის** მღვდელი, იოანე, რომლისგანცა ვისწავლე წიგნნი **საეკლესიონნი**“ (69); „ამან უკუე მაწყებინაკითხვა **ღრამატიკისსა**“ (70).

იოანე ქართველიშვილი იყენებს უმარცვლო უ-ს. მაგ.: „თქუენცა **ლუთისათვის** რათა ლოცვა ჰყოთ ჩემ გლახაკისათვის“ (65); „აღზრდილ ვიყავცა **სამღუდელოდ**“ (66); „მეორე ტომი **ლუთისმეტყველება** მათხოვა“ (87). პარალელურად გვხვდება მარცვლიანი ფორმებიც. მაგ.: „ეცადენით რომ ეგენიც გაათხოვოთ, ან **სამღვდელოს** კაცს მისცეთ“ (89).

ყურადღებას იქცევს უკუმშველი და უკვეცელი ფორმები: მაგ.: „მოვაკლდი რა სიცოცხლესა **მშობელისა**“ (66); „უმჯობეს მოვიდა ჩემდა დროსა მას ცნობა **ქვეყანისა**“ (66); „გარდავწერე **ლოცვაები** მკედრულად“ (67). როგორც იოანე ქართველიშვილის გრამატიკიდან ვიცით, ის მრავლობითში ფუძის კვეცის საკითხზე არაფერს ამბობს და შესაბამისად ა-ზე გათავებული ფუძეები უკუმშველად აქვს წარმოდგენილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იოანე ქართველიშვილი ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში იყენებს **მ-ს**, მაგრამ დასტურდება პარალელური ფორმებიც. მაგ.: „მოაკლდა **ქვეყანა** საქართველოსა მწყემმსსა ამას დიდსა ღმრთისმეტყველსა“ (69); „რომელსა [ვ] უწოდეთ **თეკლა**“ (72); „განშორებულად **მამა** და **ბიძა** ჩემი და უცხოვრიათ თვის თვის, თვისად“ (71).

იოანე ქართველიშვილი ხშირად მიმართავს სახელობით ბრუნვაში თანხმოვანფუძიანი ადამიანთა სახელების ფუძის სახით ხმარების შემთხვევებს. მაგ.: „რამეთუ **ომარხან** ლეკის ჯარით ჭარში ჩამოსულიყო“ (31); „**ფებერვალში** მოვიდა კახეთის ჯარით ბატონიშვილი **დავით** გორს“ (31); „სამნი ძმანი: **იულონ, ვახტანგ და ფარნაოზ** ჩავიდნენ ჯარით ავჭალას“ (83).

„მემუარებში“ ხშირად გამოიყენება მოთხრობითი ბრუნვის ძველი **-მან** დაბოლოება. მაგ.: „დაწინდულ მყო **დედამან ჩემმან** მისის უწმინდესობის ილუმენის ტრიფილეს ძმის წულსა ზედა“ (68); „ჟამსა ამას გაიმარჯვა ყარაბაღელთა ზედა ჯარითა ქართველთათა მეფის **ძემან** იულონ“ (68); „კვალად დაწინდულ მყო **დედამან ჩემმან** ნებითა ჩემთათა“ (68); „ქმნა უჯერო **ერმან** დუშეთისაგან“ (72). დროდადრო თავს იჩენს თანხმოვანფუძიან სახელებთან **-მა**. მაგ.: „უფრო მალე დავწერდი, მაგრამ მეფის **ძემ ფარნაოზმა** მეორე ტომი ლუთისმეტყველების მათხოვა, იმას ვკითხულობდი და ეს კი დამრჩა“ (87); „ესრედ იპყსნა **ღმერთმა** საქართველო ოხრებისა მათისაგან“ (78); „**თავადმა** თამაზ **ორბელიანმა** მომცა 4 ადლი აგლინსკის მაუდი“ (99); „**თურქისტანოვმა** მომიტანა ერთი ოქრო“ (100); „ამ ჟამიდან კი, თავისთან დამაწყებინა სიარული მეფის **ძემ იულონმა** მწერლობის მიზეზით“ (81).

იოანე ქართველიშვილი ადამიანის სახელებსა და ადგილის სახელწოდებებს მიცემითში უსაზღვროდ ხმარობს. მაგ.: „ვიხილავდი დედასა ჩემსა თამარს და დასა ჩემსა **მარიამს** მზრდელად ჩემდა“ (66); „ვთხოვე სახლი უმაღლეს საქართველოს დედოფალს **დარეჯანს**“ (91); „ჟამს მას იყავით თქვენ **პატარეულს**“ (91); „თეკლა დაიბადა 1793-სა წელსა, სკედემბერის 23-სა 20 დღესა ქალაქსა **ტფილისს**“ (94). თუმცა აქაც შეინიშნება საზოგადოებრივი ფორმები. მაგ.: „რამდენიმე დღე **სვერსა** და გზად სოფლებში შევისვენეთ“ (86); „აწ უკვე დაყებასა შინა დედოფლის **დარიასა**“ (93).

ნათესაობითი ბრუნვა წარმოდგენილია **-ის/-ისა/ -ისი** ნიშნებით. მაგ.: „ვინათგანარა იყო ჰესოვნასა შინა ჩემსა სიცოცხლე **მამისა ჩემისა**, გარდა აჩრდილებრ **მოგონებისა**“ (66); „უმჯობეს მოვიდა ჩემდა დროსა მას ცნობა **ქვეყანისა** და სხვათა საზოგადო საქმეთა, **ჰასაკისა** ძლით“ (66); „ღირსი **ნეტარებისა** პატრიარხი ანტონი“ (69); „სამსახურსა შინა ყოფნითა უმაღლესის დედოფლისა **დარიასითა**“ (92); „მაისის 8 მოხდა ცერემონიით ტფილისში ღუბერნიის გახსნა“ (81); „მივაღწიე კითხვადმდე **პარაკლიტოსისი**“ (66). „მემუარებთან“ შედარებით იოანე ქართველიშვილის „ქართულ ღრამმატიკაში“ ნათესაობითი ბრუნვის პარადიგმებს უფრო მრავალრიცხოვანს წარმოგვიდგენს: **ისა, ისი, სი, ჯჷსა, სა, მსა, სი (ხელნაწერი, S-4432)**.

თანდებულიან ფორმებთან დაკავშირებითაღსანიშნავია:

1. ვით თანდებულის ნაცვლად გვხვდება **-ებრთანდებული**. მაგ.: „მტკიცედ მყოფი სარწმუნოებასა ზედა **ქრისტიანებრსა** მართლმადიდებლობითსა და ესრეთ სრულ იქმნა რა წელიწადიცა ესე“ (68); „ვინათგან არ იყო ჰესოვნასა შინა ჩემსა სიცოცხლე მამისა ჩემისა, გარდა **აჩრდილებრ მოგონებისა**“ (66).

2. ხშირია **შინა და ზედა** ცალკე მდგომი თანდებულების ხმარების შემთხვევები.

ა) **შინა**: „ჟამთა ამათ შინა, მყოფ ვიყავ...“ (68); „რა თთვე ესე ნოემბერი **დაწყებასა შინა**“ (68); „მეყვანდა ვინმე/ შემწე **კითხვასა შინა**“ (70); „ვმსახურებდი **ეზოსა შინა** თვისსა მღუდელობით“ (71); „წლისა ამას **რიცხვსა შინა**“ (68); „ამასვე ჟამსა მიერთო ჰამბავი **მუნვე ყოფასა შინა** მეფესა ირაკლის“ (68).

პარალელურად დასტურდება **-ში** თანდებულიც. მაგ.: „მარტის 10 ჩამოხვედით თქვენცა **ავლაბარში**“ (91); „მაისი 8 მოხდა ცერემონიით **ტფილისში** ღუბერნიის გახსნა“ (91); „შემოდგომას გამოვიდნენ **ადრიბეჯანში, მულალჩონში**“ (77); „**სკოლაში** განწესებულ ვიქმნე ქართული ენის პირველ მოძღვრად“ (96).

ბ) **ზედა**: „მტკიცედ მყოფი **სარწმუნოებასა ზედა** ქრისტიანებრსა მართლმადიდებლობითსა“ (68); „ვიქორწინე **დედისა თქვენსა ზედა** მარიამს“ (69); „**თავსა ზედა** ჩემსა ქმნილი საქმენი“ (87); „დაეცა შიში დიდი ყოველთა **ერთა ზედა**“ (72); „მოვიდა აღამახმადან იალღუჯასა ზედა“ (72).

„ზედას“ პარალელურად გვხვდება „**ზედ**“ სიტყვასთან შერწყმულად. მაგ.: „მე გამიმჟღავნეს ამავე თთვის 21-ს, **საღამოზედ**, ტფილისს, 1812 წელს“ (97); „**საღამოს ხანზედ** შევიტყვე“ (82); „**თქვენზედ** მოდიანო“ (84); „**მირიან არაგვზედ** წამოსასვლელათ დააბრუნეს“ (84). პარალელურად დასტურდება **-ზე-ც**. მაგ.: „შემოგვფიცეს იულონის **მეფობაზე**“ (85); „წავედით გელათს დღესასწაულზე“ (87).

3. გამოყენებულია **და** - თანდებულიანი ფორმებიც. მაგ.: „ვიხილავდი დედასა ჩემსა თამარს და დასა ჩემსა მარიამს მზრდელად ჩემდა“ (66); „აქ უკუწ მოვიგე მოძღვრად მასწავლებლად ჩემდა“ (66); „ვერ შემძლებელ იქმნა ღამესამას ქვეითადმოყოლად ჩვენდა“ (74); „ვინათგან ვერ ძალმიძს უპატრონოდ გაშვებად **თქვენდა**“ (91); „იგი არს სასო **მისდა**“ (92). ვფიქრობთ, ეს ფორმები უნდა იყოს ჩემად ან მიცემითის **დ**, რომელსაც იოანე ასახელებს კანკლედობისას (**დ, -ად**). ასეთ ფორმებს იოანე ქართველიშვილი მიიჩნევს მიცემით ბრუნვად. ალექსანდრე ფოცხიშვილი აზრით, **მისდა, მათდა** ფორმები იოანე ქართველიშვილს გაიოზისაგან აქვს აღებული (ა. ფოცხიშვილი, 1979: 296).

4. გვხვდება **-თვის** თანდებულიანი ფორმები: „განრინებულ ვიყავ ფრიადისა მწირობით ცხოვრებისაგან და თქვენ, ძეთა **ჩემთათვისცა**“ (71).

5. **-გან** თანდებულიანი მოქმედებითი წარმოდგენილია შემდეგი სახით სახით:

ა) **-ითგან/ -ითგან/ -ითგან/ -თგან**. მაგ.: **ვინათგან** აბდულაბეგს დასცალეზია მცირე ხანი მუნ“ (71); „**ვინათგან** შვიდეულისა უმეტესაცა ჟამსა, იყო წვიმა გარდულებელი“ (72); „ამავე წლის **დეკემბრითგან**, შიო განწესებულ იქმნა უეზდის სუდის პერეოჩიკათ სამსახურში დაწერით“ (96); „**ვინათგან** სახელითა მისითა წოდებულს არს თვე ესე“ (92); „1811-ს წელსა, ივნისის 16-ს, ჭირის მიზეზით ავიყარენით ქალაქითგან“ (97); „**დასაბამითგან** წელსა 7309, ქრისტეს აქეთ 1801, ქორონიკონს უპთ (489) (65).

ბ) შედარებით იშვიათია **-იდგან/-დგან/ -ისთგან**. მაგ.: „ამ **ჟამიდგან** კი, თავისთან დამაწყებინა სიარული მეფის ძემ იულონმა მწერლობის მიზეზით“ (81); „**ვინადგან** მოკლებულ ვარ მდღევარისა საზრდელისაგან“ (92); „ამავე დღეს შიომ მომცა თავის **ჯამაგირიდგან**“ (106); „ამავე თვეს შიომ მომცათავის **ჯამაგირისთგან**“ (106); „ამავე წელს სარაჯოვს გამოვართვი **თავნიდგან** ივ/ (106).

გ) გვხვდება **-იდან/ -იდან** ფორმებიც. მაგ.: „ეგოდენ იყო ხალხი იგი, რომელ **ანანურიდამ** ვიდრე მუხრანისმინდვრადმდე“ (74); „**დავბრუნდი ანანურიდამ**“ (74); „წამოვედით ნახლაიძის **კარიდამ**“ (75); „აქ

ვიპოვე დიახ მცირე რამ, ჩემის დაკარგულის ნივთებიდამ, წიგნებიდამ“ (76); „მოვედ მუნიდან კულადვე გორს“ (77); „წარვიდა ბელოთიდამ კა (21) (78) გორს, და თქვენც ჩაგიყვანე ტყვიავიდამ“ (78); „კულბ//ითიდამ ავიყარენით“ (80); „ქუთაისიდამ წაველ ოკდომბრის ზ(7) (89); „დავითის მემკვიდრეობიდან გადაყენების“ (87); „დავითის მემკვიდრეობიდან გადაყენების“ (87); „იქიდან კელი ამალეზინა“ (88).

დ) „მემუარებში“ დასტურდება „თურთ“ თანდებულის გამოყენების ერთადერთი შემთხვევა. მაგ.: „ალილო ალაფი, რამეთუ ყოვლითურთ მუნ დარჩა“ (73).

7. ვითარებითი ბრუნვა წარმოდგენილია -მდე /-ად-მდე/ -მდინ / -მდის თანდებულებით: „არა დასცხრა მუნამდე“ (79); „აღვწერე პუნქტი ესე, ვიდრე ამაღ ადგილადმდე“ (92); „ამის წერა შევასრულე აქამდინ“ (87); ზოგჯერ -მდე თანდებულის წინ შენარჩუნებულია ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -დ. მაგ.: „ანანურიდან ვიდრე მუხრანის მინდვრადმდე“; „აღვწერე პუნქტი ესე, ვიდრე ამაღ ადგილადმდე“ (92).

იოანე ქართველიშვილი ხშირად იყენებს უთანდებულო ფორმებს.

1. ადგილის ან დროის გარემოებას გამოხატავს უთანდებულო მიცემითი. მაგ.: „გაზაფხულს შეკრიბა კულადვე სრულად ლეკის ჯარი ქალაქში მეფემან გიორგი“ (80); „შობის დღესასწაული მეჯვრის ხევს გარდავიხადეთ“ (83); „იმ ღამეს მოველ ბელოთს“ (82); „დავითმა ჯარი დაშალა და ქალაქს წავიდა“ (82); „ჩავიდნენ ჯარით ავჭალას“ (83).

2. უთანდებულო მოქმედებითი აბლატივის ფუნქციითაა გამოყენებული. მაგ.: „შემდგომათ თთვეს ამას შინა იანვარს, ვიწყე მზადება იმერეთით ქართლს წამოსასვლელად“ (90).

იოანე ქართველიშვილის „მემუარებში“ დასტურდება ნაწევრის ინტენსიურად გამოყენების შემთხვევები. მაგ.: „ზამთარსა მას დაიბანაკა მუნ“ (67); „ესრეთ სრულ იქმნა რა წელიწადიცა ესე“ (68); „ესრეთ გან[ვ]ლე წელიწადი ესე მსსახურებით სხუათა“ (61); „რამეთუ ჟამსა მას, ვიდრემდის ჰსცნობდნენ წარსვლასა აღამამდხანისა, ქართლსა და კახეთსა შინა“ (73); „ღამე იგი და დღე პარასკევი სეკდემბრის იდ (14) დავყავ მუნ“ (74); „დღესა ამას კზ (27) ხუთსაბათს“ (75); „მოგვივიდა ესე ამბავი გორს“ (79); „განძრავლდა ცოდვათა ჩვენთა ძლით სენი იგი მომსვრელი“ (79); „მისცა ციხე იგი მძასა თვისსა ადრევე“ (79); „აქ ყოფნაში მიიღო დასასრული თთვემან ამაჲს ოკდომბერმან“ (89); „აწ კვალად დღესა ამას იანვრის ა (1) გარდამხდელი დღესასწაულისა“ (90); „თვესა ამის აგვისტოს დაწყებიდამ“ (92).

იოანე ქართველიშვილი ხშირად იყენებს ემფატიკურხმოვნაჲს ფორმებს.

ა) გავრცობილია მართული მსაზღვრელის საზღვრული. მაგ.: „და უკეთუ მოჰქონდათ, ქურდთა და ავაზაკთა რამე, თვინიერ ეკვლესიის ნივთისა“ (76);

ბ) გავრცობილია ატრიბუტული მსაზღვრელი: მაგ.: 3(6) სეკდემბერს წარმტაცა სიკვდილმან მცირე ყრმა ყრმა და თქვენი თევლა, მცირედლა ნაკლები ორისა წლისა“ (72); თთვესა ფებერვალსა კა (21) მომეცა ასულ“ (77); „არა ვარ მშოვნელი ექვსისა აბაზისა“ (99); „ვერსადა იხილავდი გზასა ცალიერსა“ (74);

გ) გავრცობილია მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი და მასთან დაკავშირებული საზღვრული. მაგ.: „რომელიც სარწმუნოება მიგიღიათ, მართლ მადიდებელთ აღმოსავლის ეკვლესიისა, მაგაზედ მტკიცეთ და შეურყევლათ იყვნეთ“ (88).

დ) ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილ ფორმებს ახლავს -თვის, -გან თანდებულები. მაგ.: „რათა ლოცვა ჰყოთ ჩემ გლაზაკისათვის“ (65); „მეუწყებოდა დედისა ჩემისაგან“ (66); „მდევარისა საზრდელისაგან“ (92).

ბრუნვის ნიშნის გავრცობილ ფორმებთან გვხვდება შინა, ზედა და თანა ცალკე მდგომი თანდებულები. მაგ.: „სრულ იქმნა რა თთვე ესე ნოემბერი დაწყებასა შინა“ [თ]თვისა დეკებერისასა“ (68); „ცვხოვრობდი ქალაქსა შინა თბილისსა“ (71); „დავრჩით ჭალასა შინა“ (75); „შეველო ქართლსა ზედა“ (73); „ჟამსა ამას გაისტუმრეს უმაღლესს კარსა ზედა რუსეთისასა დესპანი რომელ არს ელჩი“ (90); „რომელთა თანა ვიყავ მეცა“ (91);

დასტურდება გაუვრცობელი ფორმებიც. მაგ.: „ოდესმე მუნვე ფხვენისს და შინდისს, ოდესმე ქრცხინვალს და სხვაგანაც, მივალწიე კითხვადმდე პარაკლიტოსისი“ (66). წმიდის დიდის მოწამის გიორგის კალუბნად წოდებულის ეკლესიის მღვდელი“ (66); „უმაღლესს საქართველოს დედოფალს დარეჯანს“ (91); „სახლების ქირა ავიღე“ (98).

წრფელობითის ფორმები გამოყენებულია შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად. მაგ.: „შობილ ვარ მე1772-სა წელს , სეკდემბრის 20-სა დღესა, ქართლს, სოფელსა შინა ფხვენისს“ (94); „დიაკონად ჯელდასმულ ვიქმენ 1792-სა წელსა“ (94); „თვარა დამარცხებულ ჰყოფენ მას“ (67); „დაწინდულ მყოდედამან ჩემმან ნებითა ჩემითა“ (68); „რომელ დამარცხებულ იყვნენ ორნი მეფენი: მეფე ქართველთა და კახთ, ირაკლი და მეფე იმერთა სოლომონ“ (72); „გარნა არ ვიცი რომელ რიცხვში მომკუდარ არს“ (97); „შოი განწესებულ იქმნა“ (96).

იოანე ქართველიშვილის „მემუარებში“ შეინიშნება მრავლობითი რიცხვის თანაიანი ფორმების გამოყენების სიჭარბე. მაგ.: „შევექეც კითხუასა ამათ ორთა წიგნთასა“ (71); „ნივთთა ეკვლესიისათა“ (77);

„დაუშრეტელითა ცრემლითა“ (112); „ნივთა მოგონებისა“ (111). გამოყენებულია -**ეზიანი** მრავლობითის ფორმები. მაგ.: „ერისთვის **შვილები** მეჯვრისხევს შესულანო“ (65); „ამ დროს **მწუხარებაები** მომადგა“.

იოანე ქართველიშვილი იყენებს რიცხვის მითითების არქაული ფორმას. მაგ.: „**წელიწადსა 1784, ქორონიკონსა უოზ (472), თვესა ნოემბერსა**, ვიქმენ რა წლისა ათორმეტისა, წარმიყვანა დედამან ჩემმან ქალაქსა ტფილისს“ (66); „**წელიწადსა 1792 ქორონიკონს უზ (480) თთვესა იანვარს ექვსსა დღესა**, უფლისა ჩუენისა იესოს განცხადებისა, კელ დასხმულ ვიქმენ მღვდლად“ (70); „ამასვე წელსა, **თთვესა ფებერვალსა იზ (12) ხუთშაბათსა** ყველიერისასა, იშვე შენ, შვილო ჩემო შიო“ (70). განსხვავებულია რიცხვის გამოხატვის ფორმა „შემოსავლების ნუსხაში“ (თვე, წელი, რიცხვი). მაგ.: „**იანვრის 1 1808 წლისა თხუთმეტს** ოქროში დამრჩა“ (103); „**1810 წელს იანვრის პ(ირვე) ლითგან** (105); „**სახლის ქირა ავიღე**“ (108).

ზმნის ფორმებში შენარჩუნებულია მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს მრავლობითის -თ-სუფიქსის წინ. მაგ.: „რათა უკეთუ ჰნებავს ღმერთსა საკსოვრად რამედ **გაქვანდესთ**“ (65); „წელიწადში ერთხელ **შეგემლოსთ**, თუ ორჯერ, მიწირვინებდით, რომ არ დამივიწყოთ და მომიგონებდეთ ხოლმე“ (89); „ღმერთმა მშვიდობა **მოგცესთ**“ (89).

იოანე ქართველიშვილი იყენებს ძველ ზმნისწინებს. მაგ.: „**განუტევე** ნებითა ჩემითა და მისითა“ (68); „**გარდავწერე** ლოცვაები მკედრულად“ (67); „**წარვიდნენ** სახიზრად მთიულეთს“ (72); „ჟამსა ამას თუ რანი **გარდამვდენ** მე“ (73); „**წარვიყვანე** დედაცა თქვენი ქვეითათ“ (74); „**წარვიდა** თელავს სატირლად წმიდისა“ (79); „**განმრავლდა** ცოდვათა ჩვენთა ძლით სენი იგი მომსვრელი“ (79); „**ადიკლეს** დუშეთს“ (75); „**გარმოდგომილ ჰყვენს** დარუბანდი და **ადილეს** მაისის ცხრას“ (77).

გამოყენებულია არქაული კავშირები. მაგ.: **ვინათგან**: „**ვინათგან** არ იყო ჰქსოვნასა შინა ჩემსა სიცოცხლე მამისა ჩემისა, გარდა აჩრდილებრ მოგონებისა, მიზეზითა სიყრმითა“ (66).

რომელმან: „წელიწადსა 1785, ქორონიკონს უოზ (273), წმიდასა ორმოცსა შინა მეუფლა სენი საოფლედ წოდებული, **რომელმან** შემაქცია კვალად გარნა განვერი ძალითა ღმრთისა და კაცობრივ მხოლოდ მოვლითა დედისა ჩემისათა“ (67).

რამეთუ: „ჟამსა ამას ფრიადითა შრომითა მოვირეწდი საზრდელსა და ვცხოვრებდითაცა მწირობით, **რამეთუ** არა მაცალებდა კითხვა და წერა ზემო ჰქსენებულთა მათ სასწავლოთა, არცა მყვანდა ვინმე// შემწე კითხვასა შინა და სწავლასა ამათ წიგნთასა.-**რამეთუ** იციან ქართველთა ერმან ესე და აქვსთ მიღებული ანაგებად, უკეთუ ვისმე იხილვენ ტრფიალად სიბრძნისა მოყვარებისა, ნაცვლად შეწევნისა ზედა დასხმენ სიტყვათა გიობისათა და ჰყოფენ **საყვედრელ და საკიცხელ**“ (70). „მუნ იყო საკვირველ ხილვა ხალხისა მის, **რამეთუ** ვერვინ იხილვიდა სხვასა რამემსა ეგოდენსა ერსა ერსა შინა, გარნა დუმილსა და მოსწრაფედ სიარულსა“ (74);

რომელ: „ეგოდენ იყო ხალხი იგი, **რომელ** ანანურიდამ ვიდრე მუხრანის მიწდვრადმდე ვერსადა იხილავდი გზასა ცალიერსა, **რომელსა** ზედა არა ვიდოდნენ უმეტეს **ქვეითნი, ქალნი მორთულნი და ცოლნი წარჩინებულთანი**“ (74); **გარნა**: „ამა წლის ივნისის დაწყებაში, მოვიდა აღამამადხან შუშას, და ენება მუნიდამ შემოსევა ქართლსა და კახეთს შინა, **გარნა** მოხედა ღმერთმან მოწყალებით საქართველოს“ (78).

მწერალი უპირატესობას ანიჭებს წინადადებათა რთულ კონსტრუქციებს და პერიოდებს. მაგ.: „ვედარ გამეგო თუ რომელი მწუხარება მეწუნა: ქვეყნის წახდენა, რაც გვქონდა და მეზადა იმის დაკარგვა და აკლება, თქვენი მშვიდობის და ქვეითების სიარული, ჩემი სისამარის და სისდედრის, -პაპის შენის და ბებია შენის, დაკარგვა, რომქალაქში დარჩნენ და სრულებით დაიკარგნენ, თუ სხვა და სხვა შეწუხება?“ (76).

საინტერესოა იოანე ქართველიშვილის „მემუარებში“ გამოყენებული ლექსიკური ერთეულები. მაგ.: „**გარემზომობა**“ - წინააღმდეგობა, დაპირისპირება, მტრობა. „მეფეს გიორგისა და იმის ძმებში თუ **გარემზომებში** იშვა, შემდგომნი საქმენი აცხადებენ“ (80); „**გულადღება**“- გულში ჩანერგვა. „**გულად მივიღე** აღწერა შემდგომთა განცხადებათა ვითარებათა ჩემთასა, რომელიცა არს მეკსიერებასა შინა ჩემსა, ანუ ხილული ჩემგან და ანუ მოთხრობილი წინაპართა ჩემთაგან დღითგან შობისა ჩემისა, ვიდრე აქამომდე“ (65). „**გიობა**“ -ურიგოდ ხსენება. „რამეთუ იციან ქართველთა ერმან ესე და აქვსთ მიღებული ანაგებად, უკეთუ ვისმე იხილვენ ტრფიალად სიბრძნისა მოყვარებისა, ნაცვლად შეწევნისა ზედა დასხმენ სიტყვათა **გიობისათა** და ჰყოფენ **საყვედრელ და საკიცხელ**“ (70). „**მდღევარი საზრდელი**“ -დღიური საზრდო, ყოველდღიური საკვები. „**მდღევარი**“ საზრდელი-დღიური საზრდო, ყოველდღიური საკვები.„კვალად ვმწუხარებ ამას ზედა, ვინადგან მოკლებულ ვარ მდღევარისა საზრდელისაგან“ (92)

ყურადღებას იქცევს ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენების გამოყენების შემთხვევები. „მემუარებში“ დასტურდება ფუძისეული ვ-ს დაკარგვის რამდენიმე შემთხვევა. მაგ.: **გვეშოებოდა გვეშოვებოდა**. „არაფერი სასმელ-საჭმელზედ მოსახმარები ჭურჭელი არ **გვეშოებოდა** რა“ (ქართ., 76). **ვთხოვე ვთხოვე**. „**ვთხოვე** სახლი უმაღლესს საქართველოს დედოფალს დარეჯანს, მიბოძა, დავდექით ავლაბარში“ (91). ოვა და ოვე კომპლექსში ვ თანხმოვნი

იკარგება ქართული ენის დიალექტებში: კახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, მთიულურში, იმერულში, გურულში, აჭარულსა და მესხურში (გ. იმნაიშვილი, 1974: 144).

უ ხმოვნის წინ არ გვხვდება პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ. ამის შედეგად ერთმანეთს ემთხვევა პირველი და მეორე სუბიექტური პირის ფორმები. მაგ.: „უწოდე გაბრიელ“ (ქართ. 81); „მუნ ულოცე ცისკარი“ (ქართვ., 74). პირველი სუბიექტური პირის ნიშნის დაკარგვა ხმოვნების წინ საერთო ქართულ მოვლენად არის მიჩნეული და ამ მოვლენის სისტემატურ ხასიათზე მიუთითებს ვ+უ კომპლექსის გამარტივება ქართული ენის დიალექტებში (ბ. ჯორბენაძე, 1998: 170, 624).

მეორე სერიაში წყვეტილის მწკრივში ი და ე თავსართით ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნები წარმოდგენილია -ენ სუფიქსით. მაგ.: „შევიყარენით ერთად“ (ქართვ., 80); „ეცადენით ეს წიგნები დაისწავლოთ“ (ქართვ., 88). ანალოგიური ფორმები დასტურდება XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში (ა. მარტიროსოვი, 1953: 266). დავიზარდენით, დავიზარდენით, მოვერიდენით ფორმები ხშირად გვხვდება ცენტრალურ და ჩრდილო ქართლურში (იშვიათად დასავლურ ქართლურში). გრ. იმნაიშვილის აზრით, -ენ სუფიქსის დამკვიდრება ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში უდავოდ ქართლურისა და კახურის მეშვეობითაა მომხდარი (გ. იმნაიშვილი, 1974: 47). ვ. თოფურია -ენ სუფიქსს მიიჩნევს სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშნად სამივე პირისათვის (ვ. თოფურია, 1953: 524). ა. შანიძე -ენ სუფიქსს უკავშირებს ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნებში ნარიანი დამატების აღმნიშვნელ ნიშანს (ა. შანიძე, 1920: 12; 1980: 355).

გ. გოგოლაშვილი შენიშნავს, რომ დავიზარდენით ტიპის ფორმათა დადასტურება ქართულ დიალექტებში მორფოლოგიური არქაიზმის საინტერესო გამოვლენაა. თავისთავად ის ფაქტი, რომ ძირითადად ვნებითის პარადიგმაში გვაქვს და არა მოქმედებითში, იმის დასტური უნდა იყოს, რომ ძველ ქართულშივე „მოქმედებითიდან ვნებითში გადაყოლილად“ არ უნდა იქნეს მიჩნეული და, შესაბამისად, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნად გააზრებული (გ. გოგოლაშვილი, 2016: 427).

ამრიგად, გაანალიზებული მასალები გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ: იოანე ქართველიშვილის „მემუარების“ ენისა და სტილის თავისებურებას ქმნის ნაწარმოებში გამოყენებული საინტერესო ენობრივი მოვლენები: ბგერათა მონაცვლეობა, ორმაგი თანხმოვნების გამოყენება, უკუმშველი და უკვეცელი ფორმები, თანხმოვანფუძიან ადამიანთა სახელების სახელობით ბრუნვაში ფუძის სახით წარმოდგენის შემთხვევები, არქაული ლექსიკა. მწერალი უპირატესობას ანიჭებს წინადადების რთულ კონსტრუქციებს. ნაწარმოებში გვხვდება დიალექტური ფორმებიც. იოანე ქართველიშვილი „მემუარებში“ იყენებს ე, ფ, ჯ, ჳ, ღ გრაფემებს, მაგრამ მათ ხმარებას არა აქვს სისტემატური ხასიათი. ყურადღებას იქცევს პარალელური ფორმების გამოყენების შემთხვევები: ერთი ფორმა უფრო გავრცელებული, ანტონ კათალიკოსის წესების მიხედვით ნორმად მიჩნეული, ხოლო მეორე ფორმა - ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი. აღნიშნული ენობრივი მოვლენები სამომავლოდ კვლევისა და დაზუსტებას საჭიროებს.

ლიტერატურა:

1. გიგინეიშვილი ი., ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცხრე, თბ., 1989.
2. გოგოლაშვილი გ., S3-ა-ო-ს ნაცვლად: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბ., 2016.
3. იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.
4. იოსელიანი ა., იოანე ქართველიშვილის მემუარების გამოკვლევა, რედაქცია და წინასიტყვაობა: იოანე ქართველიშვილის მემუარები, თბ., 1952.
5. მარტიროსოვი ა., დიალექტიზმები XV-XVIII ს.ს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, თბ., 1952.
6. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
7. ფოცხიშვილი ა., ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.
8. ქართველიშვილი ი., მემუარები, თბილისი, 1952.
9. ქართველიშვილი ი., ქართული დრამატიკა, 1809, ხელნაწერი, ფონდი S 4432.
10. შანიძე ა., სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბ., 1920.
11. შანიძე ა., თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.
12. ჭავჭავაძე ი., პასუხი: კრიტიკული წერილები, ტფ., 1909.
13. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, 2, თბ., 1998.

Mariam Koberidze
Gori State Teaching University
**SOME ISSUES OF THE LANGUAGE AND STYLE OF IOANE KARTVELISHVILI'S
„MEMOIRS”
RESUME**

Ioane Kartvelishvili's „Memoirs” were written for one year and four months (September 10, 1801, C. Kutaisi - December, 1802, C. Tbilisi). There is presented author's personal life-adventure with the living of that time of Georgia in it. The linguistic-stylistic occasions used in the work are interesting: Alternation of vowels P T, G Gh, Kh Q, K Q, occasions of using double consonants (Month - [ttve], Grammar- [ghrammatika]), non-syncopated and non-elision forms, cases of presenting human names with consonant root in the nominative case in the form of the root

(Davit, Iulon..), archaic vocabulary, dialect forms, archaic form of number indication. The writer prefers difficult constructions of sentence. Ioane Kartvelishvili uses *ო, ზ, ჯ, ჳ*, grapheme in "Memoirs" but they are not systematically used.

The using of parallel forms attracts the attention: One form is more widespread, according to Anton Catholicos rules is considered normal, and the second form is characteristic for live conversational speech. Ergative case with mark - Man/Ma (Mother - [Dedam /Dedaman]); Prepositional (to the spring) and with no postposition (on the spring); Instrumental case with the postposition idan/idam (From Beloti [Belotidan/dam])...

Analyzed occasions are interesting to illustrate the processes that existed in live conversational speech and Ioane Kartvelishvili naturally used in the memoirs. The study of these forms will reveal significant occasions in the history of language for the future.

ლელა მახვილაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კონვერსიის საკითხისათვის გერმანულ ენაში

სიტყვაწარმოება გერმანულ ენაში რეალიზებულია (ან რეალიზდება) ოთხი ძირითადი სიტყვაწარმოებითი ტიპით (მოდელით): კომპოზიციით/თხზვით (Komposition/Zusammensetzung), აფიქსური წარმოებით/აფიქსური დერივაციით (Ableitung), კონვერსიით (Konversion/Nullableitung) და სიტყვის შემოკლება-შეკვეცით (Kürzung/Reduktion). კომპოზიტებსა და დერივატებს ახასიათებთ ბინარული სტრუქტურა, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კონსტიტუენტების (უშუალო შემადგენლების) სიტყვისუნარიანობით¹. ხოლო კონვერსიითა და შემოკლება-შეკვეცით ნაწარმოები სიტყვები არაბინარული სტრუქტურის სიტყვაწარმოებითი ტიპებია.²

კონვერსიაზე³ (სიტყვაწარმოების პროდუქტი: კონვერსიის პროდუქტი; „კონვერტატი“⁴) საუბრობენ იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვა იწარმოება ლექსიკურ-გრამატიკული კლასის (მეტყველების ნაწილის) შეცვლით სიტყვაწარმოებითი აფიქსების მონაწილეობის გარეშე „Wortartwechsel ohne Affigierung“ (Fleischer/Barz 2012: 87). უფრო კონკრეტულად: ამ ენობრივი პროცესით ამოსავალი ერთეულები - მარტივი ან კომპლექსური ლექსემები - ერთი მეტყველების ნაწილიდან გადადის მეორეში, ე.ი. სიტყვა იცვლის გრამატიკულ კატეგორიას: ზმნა შეიძლება გამოვიყენოთ როგორც არსებითი სახელი, არსებითი ან

¹ აღნიშნული სიტყვაწარმოებითი ტიპებისათვის ნიშანდობლივია ორშემადგენლიანი სტრუქტურა (UK-Struktur). კომპოზიტებთან გვაქვს ორი სიტყვისუნარიანი (ასევე: თავისუფალი), დერივატებთან კი - ერთი სიტყვისუნარიანი და ერთი არასიტყვისუნარიანი (ასევე: დაკავშირებული) უშუალო შემადგენელი/ კონსტიტუენტი.

² გარდა დასახელებული ტიპებისა სიტყვაწარმოებაში განიხილება ასევე უკუწარმოება (Rückbildung), კონტამინაცია (Kontamination), რედუპლიკაცია (Reduplikation), რომლებიც ნაკლებად მნიშვნელოვანია.

³ ტერმინი „კონვერსია“ მოდის ე. კრუისინგასგან (E. Kruisinga). მ. დოკულილი (M. Dokulil) აფართოებს კონვერსიის ცნებას და მისი თვალსაზრისით დევრბატივებიც (ზმნისგან წარმოქმნილი ერთეულები), როგორც, მაგალითად: Besuch < besuchen, Schnitt < schneiden, შესაძლებელია განიხილებოდეს როგორც კონვერსიის მოვლენა (შდრ. Fleischer 1976: 74 (სქოლიო)).

⁴ ტერმინს „კონვერტატი“ გამოიყენებს დონალიზი (Donalies 2005: 123).

ზედსართავი სახელი - როგორც ზმნა, ნაცვალსახელი - როგორც არსებითი სახელი და ა.შ., მაგ., schreien > der Schrei, die Bremse > bremsen, gleich > gleichen, grün > grünen, du > das Du (შდრ. Polenz 1980: 170); ასევე, სინტაგმის ან წინადადების - როგორც ამოსავალი ერთეულების - ცალკეული წევრების ერთ ლექსემად შერწყმით (უნივერსაციის მოვლენა), რომელიც ფიქსირდება როგორც ესა თუ ის მეტყველების ნაწილი (Fleischer/Barz 2012: 87), შდრ.: danke schön > das Dankeschön, auswendig lernen > das Auswendiglernen. კონფიქსები, გამომდინარე იქიდან, რომ მათ არ გააჩნიათ რომელიმე მეტყველების ნაწილის შესატყვისი მახასიათებელი, კონვერსიის მოვლენისთვის ამოსავალ ფუძედ არ მოიაზრება (Barz 2009: 667).

სპეციალურ ლიტერატურაში კონვერსიის ცნების ექსპლიკაციის არაერთ ფორმულირებას ვნახულობთ, მაგალითად: "მეტყველების ნაწილის შეცვლა სიტყვაწარმოებითი საშუალებების მონაწილეობის გარეშე"¹ („Wortartwechsel ohne formale Wortbildungsmittel“, Naumann 2000: 15), "სიტყვების კლასის შეცვლა თავისი ნორმალური ფორმის შენარჩუნებით" („Klassenwechsel von Wörtern in ihrer Normalform“, Henzen 1965: 245), "სიტყვებისა და სიტყვათა ჯგუფების, შესაბამისად, წინადადების ტრანსპოზიცია ... ფუძისეული ხმოვნის ცვლილების ან აფიქსაციის გარეშე" ("Transposition von Wörtern oder Wortgruppen bzw. Sätzen ... ohne Stammvokalveränderung oder Affigierung", Fleischer/Barz 1995: 48), ასევე: "გრამატიკული გადაყვანა" ("grammatische Umsetzung", Wellmann 1998: 426), "ფუძის გადაყვანა ახალ კატეგორიაში" („Umsetzung eines Stammes in eine neue Kategorie“, Eisenberg 2000: 201), (ასევე: „Umkategorisierung, Umsetzung“, Eins, in: Glück 2010: 366-367), "ნულოვანი მორფემით წარმოება" ("Derivation by a zero-morphem", Marchand 1969: 132-133) და სხვ.

სინტაგმების ან წინადადებების უაფიქსო ტრანსპოზიცია კომპლექსურ სიტყვებად სპეციალურ ლიტერატურაში განიხილება არაერთგვაროვნად. ხშირად ამ მოვლენას განიხილავენ როგორც „Zusammenrückung“ 'სიტყვათშეერთება/შერწყმა' (შდრ. Fleischer 1976: 61 და შემდ.). ტერმინთან დაკავშირებით ენათმეცნიერები აღნიშნავენ შემდეგს: „Der Terminus charakterisiert die spezifische Bildungsweise: Syntaktisch benachbarte Einheiten werden unter Beibehaltung ihrer syntagmatischen Abfolge zu einem Lexem verbunden, gewissermaßen „zusammengerückt“ (Fleischer/Barz 2012: 87). ერბენი (Erben 2006: 37) ტერმინს "Zusammenrückung" ("სიტყვათშეერთება/ შერწყმა") გამოიყენებს შედარებით ფართო გაგებით და ენობრივ მოვლენას განიხილავს როგორც კომპოზიციის განსაკუთრებულ შემთხვევას. შესაბამისად, აღნიშნულ კლასს მიაკუთვნებს იმ კომპოზიტებსაც, რომელთა პირველი კონსტიტუენტი (უშუალო შემადგენელი) სინტაგმაა (შდრ. Sauregurkenzeit). ასევე ნაუმანიც შერწყმას (Zusammenrückung) განიხილავს როგორც კომპოზიტის განსაკუთრებულ შემთხვევას (შდრ. Naumann 2000: 47). აიხინგერი ამ მოვლენისთვის გამოიყენებს ასევე ტერმინს Zusammenrückung და საუბრობს ენის სისტემაში მის პერიფერიულ ადგილზე („periphere Stellung“) სიტყვაწარმოებისა და სინტაქსის საზღვარზე და, შესაბამისად, მოვლენას განიხილავს როგორც კონვერსიის სპეციალურ შემთხვევას (Eichinger 2000: 73).

კონვერსიის საშუალებით ხდება არსებითი სახელების, ზედსართავი სახელების, ზმნების და ზმნიზედების წარმოება. ამასთან, როგორც ლინგვისტები აღნიშნავენ, „კონვერსიის პროდუქტის ლექსიკური მნიშვნელობა მორფოსემანტიკურად მოტივირებულია კონვერსიის ბაზისის მნიშვნელობის მიხედვით" (Fleischer/Barz 2012: 88), შდრ. neu > der neue Schüler > der Neue, gut > der/die/das Gute, grün > grünen; reif > reifen. კონვერსიის პროცესის დახასიათებისას სტეპანოვა გამოყოფს ორ - ლექსიკურ და გრამატიკულ - მომენტს: 1) ამ მოდელით იწარმოება ახალი ლექსიკური ერთეული ახალი მნიშვნელობით, თუმცა დაკავშირებული იმ სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობასთან, რომლიდანაც მოხდა ახალი ერთეულის წარმოება (მაგ., საგნის თვისების აღმნიშვნელი სიტყვიდან მივიღეთ თვითონ საგნის სახელწოდება); 2) ახალი სიტყვა იღებს სხვა მეტყველების ნაწილის გრამატიკულ კატეგორიებს (მაგ., გასუბსტანტივებული ინფინიტივი იღებს გრამატიკულ სქესს და იბრუნვის) (იხ. 1953: 62-63).

ბარცი განმარტავს, რომ კონვერსიის მიმართულება განისაზღვრება ნაწარმოები სიტყვის მოტივაციის მიხედვით. სიტყვა იმ შემთხვევაშია სეკუნდარული ერთეული, თუ მისი მნიშვნელობა მსგავსი ჟღერადობის სხვა კლასის სიტყვის (იგულისხმება ამოსავალი ბაზისური სიტყვა) მნიშვნელობით არის მოტივირებული, როგორც, მაგ., fischen 'თევზის ჭერა' მოტივირებულია არსებითი სახელით Fisch (Barz 2009: 667). ზოგჯერ წყვილ სიტყვებში - ბაზისსა და კონვერსიის პროდუქტს შორის - სინქრონიულ დონეზე კონვერსიის მიმართულება, ე.ი. ის, თუ რომელია პირველადი და რომელი სეკუნდარული/მეორეული სიტყვა, ცალსახად ვერ განისაზღვრება. სანიმუშოდ ბარცი ასახელებს შემდეგ სიტყვებს: Antwort – antworten, Teil – teilen, სადაც სინქრონიულ დონეზე გაურკვეველია, რომელი სიტყვა პირველადია და რომელი - ნაწარმოები (იქვე).

კონვერსია არ არის ერთგვაროვანი მოვლენა. სპეციალურ კვლევებში განასხვავებენ კონვერსიის ორ სახეს/ტიპს (შდრ. მაგ., Eisenberg 2000: 281-282; Erben 2006: 30-31): მორფოლოგიურსა და სინტაქსურ

¹ აქ და შემდგომში თარგმანი ჩვენია - ლ. მ.

კონვერსიას. მორფოლოგიური კონვერსიის დროს (ასევე: „ძირეული მორფემის პარადიგმატული გადაყვანა“ „paradigmatisches Umsetzen eines Grundmorphems“, Erben 2006: 30) გვაქვს ორი ფონოლოგიურად იდენტური ფუძე, რომლებიც მოტივაციურ მიმართებაში არიან ერთმანეთთან (Fleischer/Barz 2012: 88), მაგ., laufen > der Lauf, teilen > Teil და მისთ.; შდრ. ასევე: schlafen > Schlaf, Klasse > klasse (ein klasses Auto), Ernst > ernst, müssen > das Muss, nein > das Nein.

სინტაქსური კონვერსია კი მოვლენის ისეთი სახეა, როდესაც კონვერსიის პროდუქტებთან შესაბამისი „ამოსავალი რიგების/ერთეულების ფლექსიური მორფემებიც შენარჩუნებულია“ (Erben 2006: 31), როგორც, მაგ., treffen > das/ein Treffen; შდრ. ასევე დეადიექტიური სუბსტანტივი, რომელიც ინარჩუნებს ზედსართავი სახელის ფლექსიას: neu > der/das Neue, ein Neu-er/Neu-es (შდრ. Erben 2006: 31; მსგავსად: Eisenberg 2000: 281-182; Fleischer/Barz 2012: 88).

მორფოლოგიური კონვერსიის ფარგლებში განიხილება ასევე დევერბალური კონვერსიის შემთხვევები, რომლებთანაც ადგილი აქვს ფუძისეული ხმოვნის ცვლილებას (ხშირად მათ იმპლიციტურ დერივატებსაც უწოდებენ), როგორც, მაგალითად: binden > Band, werfen > Wurf.

სუბსტანტიური კონვერსია

სუბსტანტიური კონვერსია (substantivische Konversion, Substantivierung, აიხინგერის სიტყვებით „Kernfall der Konversion“ [„კონვერსიის ბირთვი“], Eichinger 2000: 168) წარმოადგენს კონვერსიის ძალიან მნიშვნელოვან და პროდუქტიულ ტიპს. ამასთან, იგი ახალი სიტყვების წარმოების არაერთ შესაძლებლობას გულისხმობს. გერმანულ ენაში ფაქტობრივად შესაძლებელია ნებისმიერი ენობრივი ერთეულის არსებითი სახელის კლასში გადაყვანა. კონვერსიის ამ ტიპისათვის ყველაზე ხშირად ამოსავალ ბაზისურ სიტყვად გამოიყენება ზმნა. მისი ფორმების სიმრავლიდან გამომდინარე, დევერბალური სუბსტანტიური კონვერსია გამოირჩევა სხვადასხვა სტრუქტურული ქვეტიპით (შდრ. Lohde 2006: 45-46):

მორფოლოგიური კონვერსია:

- ზმნის ფუძე: raten > der Rat, schreien > der Schrei, beginnen > der Beginn, besuchen > der Besuch, erfolgen > der Erfolg, vortragen > der Vortrag, versuchen > der Versuch;
- ზმნის ფინიტური (პირიანი) ფორმა: soll > das Soll, muss > das Muss;

სინტაქსური კონვერსია:

- ინფინიტივი: schreiben > das Schreiben, laufen > das Laufen, essen > das Essen, lächeln > das Lächeln;
- პარტიციპ/მიმდომა I და II (დეპარტიციპული სუბსტანტიური კონვერსია): lehren > der/die Lehrende(n), lernen > der/die Lernende(n), studieren > der/die Studierende(n).

კონვერსია ინფინიტივის ფორმიდან და ზმნის ფუძიდან ყველაზე გავრცელებული სტრუქტურული ტიპია. ამასთან, ამ ენობრივი მოვლენით შესაძლებელია ბაზისური სიტყვის სემანტიკის გაფართოება დამატებითი ნიუანსებით, გამოკვეთონ მოქმედების პროცესი და შედეგი (Lohde 2006: იქვე). სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ საკამათოა, უნდა განიხილებოდეს თუ არა სუბსტანტიური კონვერსიის პროდუქტი, რომელიც ნაწარმოებია ზმნის ინფინიტივის ფორმიდან (მაგ., das Gehen, das Singen), როგორც სიტყვაწარმოებითი მოვლენა.

სუბსტანტიური კონვერსია ზედსართავი სახელებიდანაც ხორციელდება, მაგ., deutsch > das Deutsche (კონვერსიის ბაზისი: ზედსართავი სახელი > კონვერსიის პროდუქტი: დეადიექტიური სუბსტანტიური კონვერსია); ასევე: grün > der/die/das Grüne(n), შდრ. die Linke (Süskind 1994: S. 16). ზედსართავი სახელებიდან კონვერსიით ნაწარმოებ სუბსტანტივებს აქვთ ჰიბრიდული ხასიათი: ასეთი სუბსტანტივები იბრუნვის როგორც ზედსართავი სახელები.

სუბსტანტიური კონვერსია ხორციელდება ასევე სხვა მეტყველების ნაწილებიდან, მაგალითად, ბაზისური სიტყვა შეიძლება იყოს:

ზმნიზედა: warum > das Warum (დეადვერბალური სუბსტანტიური კონვერსია/ გაარსებითებული ზმნიზედა);

ზმნიზედა: gestern > das Gestern (დეადვერბალური სუბსტანტიური კონვერსია);

წინდებული: aus > das Aus (დეპრეპოზიციონალური სუბსტანტიური კონვერსია/ გაარსებითებული წინდებული);

ნაცვალსახელი: du > das Du, ich > das Ich (დეპრონომინალური სუბსტანტიური კონვერსია/ გაარსებითებული [სუბსტანტიური] ნაცვალსახელი);

რიცხვითი სახელი: fünf > die Fünf (გაარსებითებული [სუბსტანტიური] რიცხვითი სახელი);

შორისდებული: ach > das Ach (გაარსებითებული [სუბსტანტიური] შორისდებული).

კონვერსიის სიტყვაწარმოებითი პროცესის ამოსავალი ერთეულები, როგორც ითქვა, შეიძლება გახდეს სიტყვათა ჯგუფები და წინადადებებიც კი. სიტყვათა ჯგუფები, რომლებიც ინფინიტურ ან ზმნის

ულეზად ფორმას შეიცავენ, სუბსტანტიური კონვერსიით (უმეტესად ენის ეკონომიის მიზნით) შეიძლება ერთ სიტყვამდე შემოკლდეს, მაგალითად, Fußball spielen > das Fußballspielen, auswendig lernen > das Auswendiglernen, danke schön > das Dankeschön. ძალიან გავრცელებულია ფრაზეოლოგიური სიტყვათა ჯგუფებიდან კონვერსიის პროდუქტის წარმოება, მაგ., jmdm. den Daumen drücken (ვინმეს წარმატება, ბედნიერება უსურვო) > das Daumendrücken; die Ohren spitzen > das Ohrenspitzen.

შესაძლებელია კონვერსიის ბაზისი (ამოსავალი ერთეული) იყოს წინადადება, მაგალითად, Vergissmeinnicht [”ცისანა” მცენარის სახელწოდება]: სუბსტანტიური კონვერსია < წინადადება; შდრ. ასევე: zwischen den Zeilen lesen > das Zwischendenzeilenlesen: სიტყვათა ჯგუფი/ფრაზა > სუბსტანტიური კონვერსია; drei Käse hoch > Dreikäsehoch (პატარა ბავშვი): სიტყვათა ჯგუფი/ფრაზა > სუბსტანტიური კონვერსია.

ენობრივი მოვლენის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ კიდევ რამდენიმე ერთეულის ანალიზს ტექსტებიდან:

„Es [das Kind] ist *den Duft* deiner Brust gewöhnt, mußt du wissen, und *den Schlag* deines Herzens.“ (Süskind 1994: S.13).

საანალიზო ერთეულები: der Duft (< duften); der Schlag (< schlagen): კონვერსიის ბაზისი: ზმნის ფუძე > კონვერსიის პროდუქტი: დევერბალური სუბსტანტიური კონვერსია.

„Ich sitze auf meine Warte und höre, weit entfernt, *Rufe*. Sie kommen näher und näher.[...] *Schreie* und *Flüche*.“ (von der Grün 1985: 100)

საანალიზო ერთეულები: der Ruf, -e (< rufen); der Schrei, -e (< schreien); der Fluch, die Flüche (< fluchen): კონვერსიის ბაზისი: ზმნის ფუძე > კონვერსიის პროდუქტი: დევერბალური სუბსტანტიური კონვერსია.

ადიექტიური კონვერსია

კონვერსიის ამ ტიპისათვის ბაზისური ამოსავალი სიტყვა მხოლოდ არსებითი სახელი და ზმნა შეიძლება იყოს. დესუბსტანტიური კონვერსია გერმანულ ენაში ხშირად არ გვხვდება. სპეციალურ ლიტერატურაში ამ სიტყვაწარმოებითი ტიპის საილუსტრაციოდ ვხვდებით შემდეგ ერთეულებს: ernst (mir ist es ernst), not, schuld, angst, ასევე საუბრ. spitze (etwas ist spitze = etwas ist sehr gut/toll), klasse (Lohde 2006: 47). სხვა მაგალითები: feind, freund, leid, pleite, schuld, not (ihm ist angst; sie ist schuld) (Donalies 2005: 130). მაგრამ მოყვანილი ერთეულების უმეტესობა არ იხმარება ატრიბუტულად.

დესუბსტანტიური ადიექტიური (ზედსართაული) კონვერსია დღეს პროდუქტიულია მოდის ენაში, კერძოდ, გვხვდება ფერების აღმნიშვნელ ზედსართავებთან, შდრ. Flieder > flieder, Sand > sand, Aubergine > aubergine, Rost > rost.

შედარებით ხშირია ადიექტიური კონვერსიის შემთხვევები, რომლებიც პარტიციპ/ მიმღეობა I და II-ის ფორმებიდან არის ნაწარმოები, ე.წ. დეპარტიციპული კონვერსია (departizipiale Konversion), მაგ., duftend > die duftenden Blumen; ზმნის ფუძეები კი, როგორც კონვერსიის ბაზისები, იშვიათად გამოიყენება, შდრ. wachen > wach (Lohde 2006: 48).

სხვა მაგალითები:

feiernde Stadt: *feiernde*: კონვერსიის ამოსავალი ბაზისი: პარტიციპ I > კონვერსიის პროდუქტი: დეპარტიციპული ადიექტიური კონვერსია.

fragender Blick: *fragender*: კონვერსიის ბაზისი: პარტიციპ I > დეპარტიციპული ადიექტიური კონვერსია; *Blick*: კონვერსიის ბაზისი: ზმნის ფუძე (blick-) > დევერბალური სუბსტანტიური კონვერსია.

zubereitetes Essen: *zubereitetes*: კონვერსიის ბაზისი: პარტიციპ II > დეპარტიციპული ადიექტიური კონვერსია; *Essen*: კონვერსიის ბაზისი: ზმნის ინფინიტივის ფორმა essen > დევერბალური სუბსტანტიური კონვერსია.

მოვლენის საილუსტრაციოდ კიდევ რამდენიმე ერთეულის ანალიზი ტექსტებიდან:

„Ein Säugling ist kein Mensch, sondern ein Vormensch und besitzt noch keine voll *ausgebildete* Seele.“ (Süskind 1994: S.14).

საანალიზო ერთეული: *ausgebildete* Seele: კონვერსიის ბაზისი: მიმღეობა/პარტიციპ II > კონვერსიის პროდუქტი: დეპარტიციპული ადიექტიური კონვერსია.

„Der Pater kramte mit dem Finger im Henkelkorb herum, bis er das Gesicht des *schlafenden* Säuglings freigelegt hatte.“ (Süskind: S.11)

საანალიზო ერთეული: des *schlafenden* Säuglings: კონვერსიის ბაზისი: პარტიციპ I > კონვერსიის პროდუქტი: დეპარტიციპული ადიექტიური კონვერსია.

„Fünf Franc sind ein Haufen Geld für die *untergeordnete* Aufgabe, ein kleines Kind zu ernähren!“ (Süskind S.14)

საანალიზო ერთეული: *untergeordnete* Aufgabe: კონვერსიის ბაზისი: პარტიციპ II > კონვერსიის პროდუქტი: დეპარტიციპული ადიექტიური კონვერსია.

„In schlichten, *überzeugenden* Worten erzählte er.“ (Feuchtwanger, in: Klappenbach)

საანალიზო ერთეული: *überzeugende Worte*: კონვერსიის ბაზისი: პარტიციპ I > კონვერსიის პროდუქტი: დეპარტიციპული ადიექტიური კონვერსია.

ზმნური კონვერსია

ზმნური კონვერსია, ისე როგორც სუბსტანტიური, მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩევა. ბაზისებად გვხვდება არსებითი და ზედსართავი სახელები. უმეტესად გვხვდება ე.წ. წმინდა კონვერსია, მაგ., Hagel > hageln, Bremse > bremsen, Butter > buttern, süß > süßen, Zelt > zelten, Zucker > zuckern.

bremsen: კონვერსიის ამოსავალი ერთეული: არსებითი სახელი (die Bremse) > დესუბსტანტიური ზმნური კონვერსია.

ზოგჯერ დესუბსტანტიური კონვერსიის პროდუქტები ავლენენ გარკვეულ მორფმატულ ცვლილებებს, მაგ., ზოგიერთი ზმნა იღებს ხმოვნის უმლაუტს (Futter > füttern). ბაზისი უმეტესად მარტივი სიტყვაა, თუმცა შეიძლება შეგვხვდეს ნაწარმოები ან რთული სიტყვაც, მაგ., malern (< Maler), frühstücken (< Frühstück) (Lohde 2006: 48).

როგორც ითქვამს, პრობლემატურია კონვერსიის მიმართულების განსაზღვრა. გამომდინარე იქიდან, რომ საქმე გვაქვს სიტყვის უაფიქსო წარმოებასთან, ხშირად რთულია დაადგინო: კონვერსიის მოვლენა განხორციელდა არსებითი სახელიდან ზმნისკენ, თუ ზმნის ფუძიდან არსებითი სახელისკენ. ლინგვისტები თვლიან, რომ ორივე სიტყვაწარმოებითი მოდელის მიხედვით შეიძლება განხორციელდეს კონვერსია. ამასთან აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ენაში ორივე მოდელის პროდუქტიულობა განსხვავებულია: კერძოდ, არსებითი სახელიდან ზმნის წარმოება მაღალპროდუქტიულია, ხოლო ზმნის ფუძიდან არსებითი სახელის წარმოება უფრო იშვიათად გვხვდება. კონვერსიის მიმართულების დასადგენად ენათმეცნიერები გვთავაზობენ შესაბამის კრიტერიუმებს (შდრ. Fleischer/Barz 2012: 268-269; Lohde 2006: 48-49):

- 1) იმ შემთხვევაში თუ კონვერსიის პროდუქტი შეიცავს ზმნურ პრეფიქსს, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამოსავალი ერთეული პრეფიქსული ზმნაა; ამდენად კონვერსიის მიმართულება შესაბამისად იქნება ზმნის ფუძე > არსებითი სახელი;
- 2) ზმნისა და არსებითი სახელის სემური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია კონვერსიის მიმართულების განსაზღვრა, მაგრამ არა ყოველთვის, მაგ., ზმნა *fischen* სემანტიკური თვალთახედვით მოტივირებულია არსებითი სახელით *Fisch* (იქვე).

ზედსართავი სახელებიდან მხოლოდ მცირე რაოდენობით თუ გვხვდება კონვერსიით ნაწარმოები ზმნა. გვაქვს როგორც წმინდა კონვერსია, ისე პრეფიქსული კონვერსია, შდრ., *gleich* > *gleichen*, *fern* > *ent-fern-en*, *ruhig* > *be-ruhig-en*. აქაც ადგილი აქვს გარკვეულ ბგერით ცვლილებებს: ხმოვნის გაუმლაუტება, ასევე სიტყვის ბოლოკიდურში მეორადი მახვილის მქონე *e*-ს დაკარგვა: *kutz* > *kürz-en*, *trocken* > *trockn-en*.

ამდენად, ჩვენ წარმოვადგინეთ სპეციალურ ლიტერატურაში კონვერსიის ცნების ექსპლიკაციის ზოგიერთი ფორმულირება. კონვერსიის მოვლენა არის სიტყვაწარმოებითი პროცესი, რომლის დროსაც ახალი სიტყვების წარმოება ხდება ტრანსპოზიციის გზით, კერძოდ, მეტყველების ნაწილის (სიტყვათა კლასის) შეცვლით სიტყვაწარმოებითი აფიქსების გამოყენების გარეშე. ამოსავალი ერთეულები - მარტივი ან კომპლექსური ლექსემები - ყოველგვარი აფიქსის დართვის გარეშე იცვლიან მეტყველების ნაწილს (*schreien* > *der Schrei*, *gleich* > *gleichen*, *fremd* > *der/die Fremde*, *grün* > *grünen*). დავინახეთ, რომ განსაკუთრებით ინტენსიური პროცესია სუბსტანტივაცია (გაარსებითება). განხილულია სინტაგმების, წინადადებებისა და ფრაზეოლოგიურ სიტყვათა ჯგუფების უაფიქსო ტრანსპოზიცია როგორც კონვერსიის სპეციალური შემთხვევა (*das Dankeschön*, *das Zwischendenzeilenlesen*, *das Daumendrücken*). გამიჯნულია მორფოლოგიური და სინტაქსური კონვერსია, განხილულია კონვერსიის ტიპები და ქვეტიპები. ენობრივი მოვლენა განხილულია შეგროვილი (მათ შორის მხატვრული ლიტერატურიდან) და გაანალიზებული ემპირიული მასალის საფუძველზე. მოვლენის განვითარების საილუსტრაციოდ გამოკვეთილია ენობრივი ერთეულის კატეგორიალური ცვლილება (ამოსავალი ერთეული/კონვერსიის ბაზისი > კონვერსიის პროდუქტი) და დადგენილია შესაბამისი სიტყვაწარმოებითი მოდელები.

სიტყვაწარმოება ისტორიული პროცესია და მისი ამოცანაა სიტყვათა ინვენტარის შექმნა ენაში. ენობრივი მოვლენის განხილვისას კიდევ ერთხელ გამოიკვეთა სიტყვაწარმოების მჭიდრო ურთიერთმიმართება ენათმეცნიერების სხვა დარგებთან (მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა).

ლიტერატურა:

1. Barz, I. (2009): Die Wortbildung. In: Duden (Hrsg.), *Duden. Die Grammatik. Unentbehrlich für richtiges Deutsch*. 8., überarb. Aufl., Bd. 4. Dudenverlag: Mannheim et al. S. 634-762.

2. Barz, I./Schröder, M./Hämmer, K./Poethe, H. (2007): *Wortbildung - praktisch und integrativ. Ein Arbeitsbuch*. 4., überarb. Aufl. Peter Lang: Frankfurt a.M. et al.
 3. Barz, I. / Schröder, M. (2001): Grundzüge der Wortbildung. In: Fleischer, W./Helbig, G./ Lerchner, G. (Hrsg.). *Kleine Enzyklopädie deutsche Sprache*. Peter Lang: Frankfurt a.M. S. 178-217.
 4. Donalies, E. (2005): *Die Wortbildung des Deutschen. Ein Überblick*. 2., überarb. Aufl., Gunter Narr: Tübingen.
 5. Eisenberg, P. (2000): *Grundriß der deutschen Grammatik*. Bd. I. Das Wort. J.B. Metzler: Stuttgart, Weimar.
 6. Erben, J. (2006): *Einführung in die deutsche Wortbildungslehre*. 5., durchges. u. erg. Aufl. Erich Schmidt: Berlin.
 7. Fleischer, W. (1976): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4., durchgesehene Aufl. Leipzig.
 8. Fleischer, W. / Barz, I. (1995): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. Unter Mitarbeit von M. Schröder. 2., durchges. und erg. Aufl. Max Niemeyer: Tübingen.
 9. Fleischer, W. / Barz, I. (2012): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4. Aufl.; völlig neu bearb. von Irmhild Barz unter Mitarbeit von M. Schröder. De Gruyter: Berlin.
 10. Glück, H. (Hrsg.) (2010): *Metzler Lexikon Sprache*. (4., akt. und überarb. Aufl.). Metzler: Stuttgart et al.
 11. გვენცაძე, მ. (2009): *ლინგვისტური გერმანისტიკა*. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა: თბილისი.
 12. Henzen, W. (1965): *Deutsche Wortbildung* (3., durchges. u. erg. Aufl.). Max Niemeyer: Tübingen.
 13. Lohde, M. (2006): *Wortbildung des modernen Deutschen. Ein Lehr- und Übungsbuch*. Gunter Narr: Tübingen.
 14. Marchand, H. (1969): The Categories and Types of Present-Day English Word-Formation. In: Readings in Modern English Lexicology. (, . / , . / , . . , . .), 111-144.
 15. Naumann B. (2000): *Einführung in die Wortbildungslehre des Deutschen*. 3. neubearb. Aufl. Max Niemeyer: Tübingen.
 16. Polenz, P. von (1980): Wortbildung. In: Althaus, H. P./Henne, H./Wiegand, H. E. (Hg.), *Lexikon der Germanistischen Linguistik*. 2., vollst. neu bearb. u. erw. Aufl., Max Niemeyer Verlag: Tübingen, S. 169-180.
 17. . . (1953):
 18. Wellmann, H. (1998): Die Wortbildung. In: Duden (Hrsg.), *Duden. Grammatik. der deutschen Gegenwartssprache*. 6., neu bearb. Aufl., Bd. 4. Dudenverlag: Mannheim et al. S. 408-557.
- წყაროები:
19. DUW (2001) = *Duden. Deutsches Universalwörterbuch*, 4. neu bearb. u. erw. Aufl., Mannheim, et al.
 20. von der Grün, M. (1985): *Zwei Briefe an Pospischiel*. Luchterhand: Darmstadt.
 21. Süskind, P. (1994): *Das Parfum. Die Geschichte eines Mörders*. Diogenes Verlag: Zürich.

Lela Makhviladze
Gori State Teaching University
THE PROBLEM OF CONVERSION IN THE GERMAN LANGUAGE
RESUME

In the presented work conversion phenomenon in German is discussed. There are presented some explications of conversion in the special research literature. Conversion is a process of word formation, which is carried out by transposition for the formation of words, namely, changing part of speech (class of words) without adding derivative elements (affixes). This means, that the input - simple or complex lexemes – are changing grammatical category without adding any lexical affixes (e.g. *gleich* > *gleichen*, *schreien* > *der Schrei*, *die Bremse* > *bremsen*, *du* > *das Du*). It is shown, that the Substantivation is a particularly intensive process. Transposition of syntagmas and sentences without affixes as a special case of conversion (*danke schön* > *das Dankeschön*, *zwischen den Zeilen lesen* > *das Zwischendenzeilenlesen*) is discussed. Morphological and syntactical conversions are defined and types and subtypes of conversion are analyzed. The language phenomenon is discussed due to the collected and analyzed linguistic materials. Transformation of words into a different category is discussed exemplary and appropriate word formation models are determined to illustrate the development of the phenomenon.

Word formation is a historical process and its purpose is the formation of the word inventory in the language. Close interrelation of word formation with other subareas of linguistics (morphology, syntax, semantics) while discussing the linguistic phenomenon is presented in the work.

ორი გვარის (გოგებაშვილი, ელიოზიძე) სიგელთა პალეოგრაფიულ-ენობრივი თავისებურებანი

აღნიშნული გვარების შესახებ რამდენიმე ნაშრომი გვაქვს გამოქვეყნებული, როგორც გორის უნივერსიტეტის შრომებში, ისე სხვა სპეციალურ ლიტერატურაში.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, გოგებაშვილის გვარი საქართველოს სხვადასხვა საფეოდალოში არის მოხსენებული, ასევე ელიოზიძე-ელიოზაშვილის გვარიც.

ვახუშტი ბაგრატიონი გოგებაშვილებს „ძუელის გვარი“ აზნაურთა შორის მოიხსენიებს (ქ.ც 1973, გვ.35).

1920 წელს ცნობილმა მკვლევარმა სარგის კაკაბაძემ საეკლესიო მუზეუმის სიგელ-გუჯრებში მიაკვლია საყურადღებო საბუთს, რომელიც მესხეთის თავადების სია აღმოჩნდა. დოკუმენტი მანვე გამოაქვეყნა 1920 წელს. ეს არის დოკუმენტი, რომელიც XIV-XVI საუკუნეების მესხეთის პოლიტიკურ ცხოვრებას ასახავს. დოკუმენტში ვკითხულობთ: „სამცხეს თავადნი და სოფელნი, სამძივარი მისითა სასაფლაოთა, მონასტრითა, კარის ეკლესიითა გოგებაშვილისა აქუს“ (ს.კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი, 1920). საბუთში ჩამოთვლილია მთელი რიგი გვარები, რომელთა უმეტესობა ქართლის სხვადასხვა კუთხეში დასახლდა. მათ შორის არიან გოგებაშვილებიც.

1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთრის მიხედვით გოგებაშვილები ყმა-მამულს ფლობდნენ შემდეგ სოფლებში: ნაბახტევში, ოქონაში, ტვისუბანში და ასევე სხვა დასახლებულ ადგილებში.

შიდა ქართლში მოსული გოგებაშვილები პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაწინაურებულან და კავშირი დაუმყარებიათ სამეფო და საეკლესიო წევრებთან. ამის ერთ-ერთი მაგალითია 1559 წელს შედგენილი სიგელი, რომელიც „მცხეთის სიგელის“ სახელით არის ცნობილი (ს.კაკაბაძე ისტორიული საბუთები, II ტ., 1913) დაწერილია ქაღალდზე მხედრული გრაფიკით. სიგელის შემდგენლები არიან: იოსაფე, ვახუშტი, ფალანხოსრო გოგებაშვილები, რომლებიც წერენ: „მას ჟამსა როდეს მეფემან, პატრონმან ლეონ შეგუიწყალა და მათი ქალი გუიბოძა ბატონი ქეთეონ ჩვენი ძმის ვახუშტისათვის, დიდად უზუგდრი და საკანონო იყო, მიუდევით კარსა შევეხვეწენით და დაუურვეთ“, ესე იგი ნასისხლად მისცეს (ს.საბა I ტ., გვ. 204) მცხეთას მთელი რიგი შესაწირავები.

ელიოზიძე-ელიოზიშვილი ერთ-ერთი ძველი აზნაურული გვარია საქართველოში. „ამ გვარის წინაპარია ურიასტანითგან მოსრულნი და მცხეთის ქალაქს შინა მოსახლენი. ხოლო ამ ელიოზის შვილმან აბიათარ მეფისა მირიანისაგან მიიღო ხარისხი აზნაურობისა, ოდეს ნათელ იდეს წმიდა ნინოსაგან მეფემან და სხვათა ქართველთა წელსა ქრისტეს აქეთ 317 და მღვდელმანცა აბიათარ და მამინ იწოდნენ აზნაურ ელიოზიშვილად“ (ი.ბაგრატიონი, აღწერა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, 70 გვ). დაწინაურებულ ელიოზიშვილებს და მათ განაყოფ გედევანიშვილებს მამულები ჰქონდათ ქართლის მთელ რიგ სოფლებში: ცხინვალში, დგვრისში, ხანდაკში, სასხორში, წეროვანში, მცხეთაში და სხვა ადგილებში.

ზემოხსენებული სიგელი, რომელიც ელიოზიშვილის გვარზეა მიცემული, ეკუთვნის ბაგრატ იმერეთის მეფეს, რომელიც გაცემულია 1457 წელს. როგორც სიგელშია აღნიშნული ის მხოლოდ პირია და დედანი შესრულებული ყოფილა ტყავზე, თავში დახატული ყოფილა მეფის სურათი სამეფო ტანისამოსით, რომელსაც ასომთავრული წარწერა ჰქონია: „მეფე ბაგრატ“.

სიგელი ვრცელია, სადაც არის მეფის ვალდებულება, რომ ის დაიცავს ელიოზიშვილებს ყველა განსაცდელისაგან და მათ დასაცავად სხვა წარჩინებულ პირებსაც მოუწოდებს. როგორც სიგელის ტექსტიდან ჩანს, ელიოზიშვილები ცხოვრობდნენ ცხინვალში, დგვრისში და, როცა მათ დაცვას იმერეთის მეფე კისრულობდა, უნდა დავუშვათ ის მოსაზრება, რომ ქართლისა და იმერეთის მოსაზღვრე ზონაში მეთხოთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ჰეგემონია უნდა ვიგულისხმოთ.

საისტორიო დოკუმენტების მნიშვნელობა ენის ისტორიისათვის, დიალექტოლოგიისათვის, ლექსიკისათვის ძალზე დიდია. დოკუმენტების ენა ცოცხალ მეტყველებას ემყარება და ენის ძირითადი თავისებურებანი კარგად აისახება. ზემოხსენებული დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია მეთხოთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში სტრუქტურულად უკვე სძლევს ძველ, დოგმატურ ტრაფარეტს, გზა გახსნილი აქვს დიალექტების მასალას, მაგრამ სრულიად უკუგდებული არ არის ძველი მწიგნობრული ენის ელემენტები ფონეტიკაში, მორფოლოგიასა და ლექსიკაში.

ორივე დოკუმენტში დასტურდება შემოკლებული სიტყვები, რომელთაც თავზე დასმული აქვთ ნიშანი (~), რასაც ქარაგმა ანუ (ტერმინი) პატივი ეწოდება. იგი ეფრემ მცირემ შემოიღო, რომელიც ბერძნულად „შუბლის ნაოჭს“ ნიშნავს. (საღინაძე, 2008, 20)

ორივე სიგელში სახელები დაქარაგმებულია. მაგალითები მოგვყავს ორივე ძეგლიდან:

წ ~სასა - წმიდასასა.

კ ~ ზ - კათალიკოზსა.

ყ ~ სა - ყოვლისა (გოგებაშვილის სიგელი, 44 გვ.).

ბ ~ გრატ - ბაგრატ.

ღ ~ თისაგან - ღვთისაგან (ელიოზიძის სიგელი, 16 გვ.).

ძველ ქართულში ჯ - ხარი ბგერა, რომელიც შედიოდა სიტყვის ძირში, ასევე გვხვდებოდა ნაწარმოებ სიტყვებში. ზემოხსენებულ ორივე სიგელში ჩანს აღნიშნული ბგერა, ასევე გვხვდება ჯ - ისა და ხ-ს დაპირისპირება. მაგალითად:

ვენაჯისა მუშაობა.

კელშეუვლად.

ჩუენი საჯსარი.

ხ ბგერა: გლეხი უკლებლად.

სათხოვარი და გამოსაღები (გოგებაშვილის სიგელი, 44გვ)

კელმწიფე მპყრობილობითა.

კელი მოგკვეთოს.

ხარჯისა მხთელთა (ელიოზიძის სიგელი, 44გვ).

უმარცვლო უ-ს ძველ ქართულში ნიშანი არ ჰქონდა და იწერებოდა, როგორც უ ხმოვანი. ძველში უ - ვ სახით არის წარმოდგენილი და ზემოხსენებულ დოკუმენტებშიც გვხვდება თანხმოვნის შემდეგ და გამოითქმის, როგორც -ვი, მაგალითები:

შეგუიწყალა და გუიბოძა.

შევეხუენენით ჩუენად.

ძუელთა სიგელთა (გოგებაშვილის სიგელი, 44გვ).

თქუენთა შვილთა შამოელსა.

ჩუენ ვქენით.

თქუენი გვარის კაცი (ელიოზიძის სიგელი 17გვ).

უმარცვლო უ-ს პარალელურად გამოყენებულია მარცვლიანი უ:

ჩვენგან შეწირული.

მტკიცე და შეუცილებელი.

აღმატებულმან, აღჭურვილმან.

ღვთისაგან შეწყალებულმან და სხვა.

სიგელში მოთხრობითი ბრუნვის წარმოება არქაულია -მან დაბოლოებით და ახალი ქართულისებური არცერთი შემთხვევა არ გვხვდება.

გოგებაშვილმან იოსაფათ ჩემმან ძმამან ვახუშტი.

მეფემან პატრონმან შეგიწყალეთ.

რამანცა გუარმან კაცმან (გოგებაშვილის სიგელი).

ბაგრატუნიანმან ძემან გიორგისმან, ძლიერმან, უძლეველმან, აღმატებულმან, აღჭურვილმან (ელიოზიძის სიგელი).

დოკუმენტებში მრავლობითი რიცხვის გამოხატვა მაწარმოებელი ელემენტების მიხედვით ორგვარია -ნ და -თ (ნართანინი), რომელიც გაბატონებული სახე იყო ძველ ქართულში, მაგალითად:

ყოველნი წმინდანნი.

წმინდანნი ღვთისანი.

ძუელთა სიგელთა (გოგებაშვილის სიგელი).

შვილნი ჩუენნი.

ვეზირნი და მოურავნი

თქუენთა შვილთა (ელიოზიძის სიგელი).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული „სავრცობი ა დაცულია ყველგან, სადაც მას ძველი ქართულის ნორმები მოითხოვს, მაშინაც კი, როცა სავრცობი ხმოვანი არ გვხვდება, ძველი ქართულის ნორმებთან გვაქვს საქმე და არა ამა თუ იმ ძეგლის თავისებურებასთან“ (ქ. მოწენიძე, 1956).

სავრცობი ა სიგელებში ძირითადად დაერთვის საზოგადო და საკუთარ სახელებს მიცემით ბრუნვაში. მაგალითები:

წმიდისა მობაძვისა ყოვლისა საქრისტიანოსა, მაკურთხეველისა და განმანათლებელისა და თქუნსა საჭეთმკჳრობელსა წმიდასა მეუფესა ყოვლისა საქართველოსა პატრიარქსა (გოგებაშვილის სიგელი).

გიბომეთ სიგელი თქუნ ელიოზისძესა, სეფიშვილსა, მამისთვალისა და შენსა ძმასა სეფისა, ისრაელისა და თქუნთა შვილთა სამოელისა, ისხაკასა, მოშისა, თაყნისა, მამისა, შალომასა, მიხაელსა (ელიოზიძის სიგელი).

სიგელებში ზმნისწინები წარმოდგენილია ახალი ქართულისებრ და არცერთი შემთხვევა არ გვხვდება ძველისა:

მოგახსენეთ, შეგუიწყალა, დაუურვეთ, მოიგონების, დაიწერების, მოგვიხსენებთან, შევეხვეწენით, დაიწერა (გოგებაშვილის სიგელი).

დაგვეაჯნეს, შეგიწყალეთ, მოიხუნეს, გაუახლეთ, შეაკუდეს, გაგიჩინეთ, დაგიმტკიცეთ, (ელიოზიძის სიგელი).

ძეგლების ტექსტებში ძირითადად გამოყენებულია ნათესაობითი ბრუნვის თანდებულები:

მწიგნობრისაგან დაიწერების.

ჩუენგან მიწურული. (გოგებაშვილის სიგელი).

ჩუენის წინაპართაგან.

მამაპათა ჩუენტაგან (ელიოზიძის სიგელი).

სიგელებში წარმოდგენილია ჩვენებითი ნაცვალსახელები გავრცობილი ფორმით -ესე, რომელიც ყველგან მსაზღვრელის როლშია:

ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი.

ესე ჩუენგან შეწირული.

ესე ქრონიკონსა (გოგებაშვილის სიგელი).

ესე სასისხლო სიგელი.

ესე სასისხლო, როგორც ჩუენგან გაჩენისა მართებს.

ესე ინდიქტიონსა მეფობის ჩუენისა (ელიოზიძის სიგელი).

ორივე სიგელში გამოკვეთილია დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებები, რომლებიც ენის ისტორიისათვის საყურადღებო მასალას გვაძლევენ. ასეთი საბუთების მონაცემების კვლევისას უნდა გავითვალისწინოთ ეპოქის სხვა წერილობითი ძეგლების მონაცემები, რომელთა კვლევა დღეს აუცილებელია ენის ისტორიული ფაქტების დასადგენად.

ლიტერატურა:

- ბაგრატიონი ვ., „ქართლის ცხოვრება“ 1973, 35 გვ.
- თაყაიშვილი ე., „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“ წიგნი პირველი, ტფ, 1907.
- კაკაბაძე ს., „ისტორიული საბუთები“ II ტ, ტფ, 1913, 44-45 გვ.
- კაკაბაძე ს., „საისტორიო მოამბე“ II ტ, ტფ, 1924, 17-18გვ.
- ორბელიანი ს.ს., „ლექსიკონი ქართული“ ტ I, 1994, გვ. 204.
- სარჯველაძე ზ., „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი“ თბ, 1984.
- სადინაძე რ., „ძველი ქართული ენა (V-XI სს)“ თბ, 2008, 20.

Nikoloz Otinashvili

Gori State Teaching University

TWO SURNAMES (GOGEBASHVILI, ELIOZIDZE) DEEDS PALEOGRAPHICAL-LINGUISTIC PARTICULARITY RESUME

In 1559 year is scheduled deed riding manuscript, which authors are Iosap, Vakhushti, Falankhosro Gogebashvili. This above surname in Meskheti was Lord quality. When they came in Kartli they have already been noble.

Deed which is issued by Eliaz's surname belong to Bagrat, which was king of Imereti. This deed is date 1557 years .

This deed executed been on the leather. Where drawn was a king royal robes and had inscription of the king Bagrat.

As other historical documents as this document value is large for Lexicology for dialectologists and for the History.

In the Deed is confirmed short words. It's out of the stock Biblical names.

Production of plural numbers is old Georgian. Yarn production and lion production are not produced.

The verb are represented by new Georgian and none of the old ones are found.

Deeds Linguistic data are important, we believe that the research is of necessity today.

სიტუაციონალურობა, როგორც ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის საკითხი

ტერმინი სიტუაციონალურობა, ანუ იგივე კონტექსტი მომდინარეობს ბოგრანდისა და დრესლერის მიერ [Baugrande R.A; Dressler W, 1982: 163], იგი გამოხატავს ტექსტში ასახული ინფორმაციის რელევანტურობას იმ გარემოსთან, რომელშიც ადრესატი იმყოფება, ასევე იგი გამოხატავს კომუნიკაციურ სიტუაციას, რომელიც აქტუალურად მოქმედებს მოცემულ კონტექსტში.

კონტექსტი, იგივე სიტუაციონალურობა, ლიტერატურულ მეცნიერებისა და ლინგვისტიკის დარგია. ტერმინის ეტიმოლოგია „context“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „contextus“ რაც ნიშნავს:

1. ტექსტის ნაწილს, რომელიც გარშემორტყმულია სიტყვებით ან მოკლე ტექსტებით, რომელიც განსაზღვრავს მის მნიშვნელობას.

2. გარემოება, სადაც რაიმე შემთხვევა იკვეთება, მაგ: ომის ისტორიული კონტექსტი, მთლიანი სიტუაცია, პერსონალურობა, შემოქმედებითობა და სხვა.

ენა არ წარმოადგენს ბგერების ერთობლიობას, წესებს და მნიშვნელობებს, ის არის მთლიანი კოჰერენტული სისტემა, რომელიც ერთმანეთთან ინტეგრაციაშია, რომელიც ძირითადად კონტექსტში აისახება [Kenneth I. Pike]. როგორც, მეცნიერი ალფრედ მარშალი განმარტავს, ყველა სიტყვას აქვს თავისი მნიშვნელობის ჩრდილი, რომელსაც ესაჭიროება ინტერპრეტირება კონტექსტის საშუალებით.

უკანასკნელმა კვლევებმა დასვა კითხვა კონტექსტის იგივე სიტუაციონალურობის დეფინიციასთან დაკავშირებით, რომელიც განიხილება უფრო დინამიურად ლინგვისტურ და არალინგვისტურ ურთიერთობებს შორის კომუნიკაციურ შემთხვევებზე დაყრდნობით. კონტექსტის განხილვისას, რომელიც სტატისტიკურად გარშემორტყმულია საუბრის ხაზებით, კონტექსტი და საუბარი ანუ ორივე ერთად განიხილება როგორც, რეფლექსიური ურთიერთობა ერთმანეთის მიმართ, საუბართან, ინტერპრეტირებულ მუშაობასთან, სადაც ფორმირებული კონტექსტი უფრო მეტია ვიდრე კონტექსტის ფორმით საუბარი. [Charles Goodwin and Alessandro Duranti, "Rethinking Context: An Introduction," in Rethinking Context: Language as an Interactive Phenomenon. Cambridge Univ. Press, 1992].

კონტექსტი, იგივე სიტუაციონალურობა ნიშნავს სიტყვებს, რომელიც მოიცავს სხვა სიტყვებს და ფაქტორებს, რომელთა გამო მოცემული ტექსტი შეიძლება შეესაბამებოდეს განსაზღვრულ სიტუაციას და კონტექსტს და იყოს ადეკვატურად აღქმული.

კონტექსტის ცნებები მოდის სხვადასხვა ფორმებიდან და ეს შეიძლება იყოს:

1. სიტყვის დეფინიციის მნიშვნელობა ტექსტიდან გამომდინარე;
2. სიტყვის სინონიმები ან ანტონიმები, ფრაზის, წინადადების, ან პარაგრაფის ირგვლივ;
3. მაგალითი, რომელიც გვხვდება სიტყვის უკეთ გაგებაში;
4. გამეორება სიტყვის ან აზრის.

კონტექსტის შესწავლამ და მისმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ კონტექსტის ცნება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სიტყვის მნიშვნელობა და სწორედ აქედან გამომდინარე ჩვენ ვსწავლობთ თავდაპირველად სიტყვას და შემდეგ მის მნიშვნელობას, როდესაც ვხვდებით მას ახალ და განსხვავებულ კონტექსტში. [Michael F. Graves, The Vocabulary Book: Learning and Instruction. Teachers College Press, 2006].

ჰალიდის და ჰასანის თანახმად „ტექსტი არ შეიძლება განხილულ იქნას კონტექსტის სიტუაციის აღქმის გარეშე, სადაც ტექსტი ტრიალდება და სადაც ისინი უნდა იყვნენ განმარტებულნი“ [ჰალიდი და ჰასანი 1985:12]. ისინი სამი ძირითადი პარამეტრებით ხასიათდებიან, რომლებიც დახმარებას უწევენ კომუნიკანტებს, რათა წინასწარ განსაზღვრონ მნიშვნელობის სახეობები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან, ესენია: დისკურსის სფერო, მნიშვნელობა და სახეობა.

სწორედ აქედან გამომდინარე კონტექსტუალურად დამოკიდებული სემიოტიკური პროცესები, ჩართული მისაღწევ ტექსტში და კულტურაში აღდგენადები არიან გარკვეული ღონისძიებით მხოლოდ ტექსტურ გამონათქვამებთან ერთად ანალიტიკური ჩართულობით. თითოეული მათგანი ჩვენს ერთობლივ ბუნებრივ ისტორიაში ერთიანდება, მაშასადამე, კონცენტრირდება გარკვეულ ანალიტიკურ მომენტებზე ინტექსტუალიზაციის /კონტექსტუალიზაციის პროცესში. „დისკურსის ბუნებრივი ისტორიები“-ს პერსპექტივა იღებს საკითხს „ტექსტი - როგორც - კულტურა“-ს ანთროპოლოგიურ იდეასთან ერთად იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ნებას რთავს კულტურის ანალიტიკოსს მოიპოვოს მიმდინარე საზოგადოებრივი მოღვაწეობის წილი და დახაზოს მატერიალური საზღვარი მის

გარშემო, სანამ გამოარკვევს მის სტრუქტურას და მნიშვნელობას (შეად. იდეა, რომ კულტურა არის ხორცშესხმული ტექსტების ნაკრებში, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა). რომ გავაიგივოთ კულტურა თავის შედეგად წარმოქმნილ ტექსტებთან ნიშნავს ზღვართან აცდენას, რომ ტექსტების არსებობა მხოლოდ ერთი ეტაპია მიმდინარე კულტურულ პროცესებში, თუმცა შესაძლოა ჩანდეს, რომ ამ არსებობას აქვს მოჩვენებითი-მუდმივი ფორმა (რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არის ყოველთვის გარემოება), იგი მოგზაურობს **კონტექსტიდან კონტექსტში** და შედეგად, იგი შევა ახალ განლაგებაში ტექსტებს შორის და გარშემოირტყმევა კომენტარის და განმარტების შეცვლილი გარემოებებით. დისკურსის ბუნებრივ ისტორიებზე მგრძნობიარობა იწვევს ყურადღებას ინტექსტუალიზაციის სტრატეგიების და ფორმების მიმართ (მაგ. ტრანსკრიფცია, ასლის გადაღება, პერიფრაზირება, ციტირება, რედაქტირება, ახალი საშუალებით ჩაწერა და ა.შ.) და რომ ისინი არიან (რე)კონტექსტუალიზაციის პროცესების განმსაზღვრელნი (მაგ. ახალი) **კონტექსტის** შექმნა).

ტექსტების და აგრეთვე კულტურის ცნება, წარმოშობილი ამ უკანასკნელის გააზრებიდან, არის ერთი არამდგრადი და მერყევი ილუზია, რომელშიც ტექსტი წარმოდგენილია თავისი ყოველთვის ახალი და ამჟამინდელი კონტექსტით. როგორც ჩანს, იგი კარგავს კავშირს თავის წარსულთან, საიდანაც, მართლაც, ხდება დაგეგმვა აწყობიდან. მაგრამ არის ტექსტი სავსებით ილუზია, როგორც სამგანზომილებიანი პროექცია ორგანზომილებიანი გამოსახულებიდან? შლის ტექსტუალობა სრულიად მისი ასახვის წინა კო(ნ)ტექსტების ნიშნებს? ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამასთანავე ყურადღების გადატანა, აზრის გამოთქმა, კონტექსტის გაუმჯობესება, რომელშიც ტექსტის არტეფაქტი წარმოიქმნება ან შეისწავლის ტექსტიდან ზეპირი შესრულების გაუმჯობესებას, ასევე ხელმეორედ შესრულების პრაქტიკებს, დისკურსის ბუნებრივ ისტორიებში ინტერესი, აგრეთვე იწვევს ყურადღებას საზოგადოებების მეტა-დისკურსიულ პრაქტიკებზე ყურადღების გადატანას, მათ შორის სხვა რამეებზეც, თუ როგორ ხდება ახალ **კონტექსტებში**, ტექსტუალური არტეფაქტების ჩანართის ჩასმის საქმიანობის გაცნობიერება. მაგალითად, ტექსტ-არტეფაქტებს შესაძლოა მოვეპყროთ, როგორც დენოტატიურად განსაზღვრულს და როგორც საზოგადოებრივ ურთიერთქმედებას მოკლებულს (მაგალითად, „ხმამაღლა კითხვის“ სავარჯიშოები საკლასო ოთახებში, რომელიც ორიენტირებულია გამოთქმის ტექნიკურობებზე. ან, ტექსტ-არტეფაქტები შესაძლოა წარმოდგენილ იქნან, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთქმედებიდან გამოსული და როგორც სტრატეგიულად ხელახლად ჩართვადი საზოგადოებრივ ურთიერთქმედებაში შეცვლილი **კონტექსტუალური** გარემოებების ქვეშ, მაგალითად, მაღალი საფეხური კითხვით პრაქტიკებში, სამართლის სკოლის ვითარებაში, ყურადღებას ამახვილებს პრეტენდენტებსა და საქმის ისტორიებზე, როგორც კონტექსტუალურად ცვალებად ტექსტუალურ არტეფაქტებზე.

მამსადადამე **კონტექსტი** იგივე სიტუაციონალურობა, რომელიც მომდინარეობს ბოგრანდისა და დრესლერის მიერ [Baugrande R.A; Dressler W, 1982: 163] გამოხატავს ტექსტში ასახული ინფორმაციის რელევანტურობას იმ გარემოსთან, რომელშიც ადრესატი იმყოფება, ასევე იგი გამოხატავს კომუნიკაციურ სიტუაციას, რომელიც აქტუალურად მოქმედებს მოცემულ კონტექსტში, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სწორედ ის საკითხები ეხება იმ ფაქტორებს, რომელთა გამო მოცემული ტექსტი შეიძლება შეესაბამებოდეს განსაზღვრულ სიტუაციას და კონტექსტს და იყოს ადეკვატურად აღქმული. ტერმინი „სიტუაციონალურობა“ ჩვეულებრივად იმ ფაქტორებზე მიგვითითებს, რომელთა გამოც ტექსტი შეესაბამება მიმდინარე მოვლენებს და იმ ფაქტორებს, რის გამოც მისი აღქმა შესაძლებელი ხდება. ტექსტის შესაძლებელი აღქმა კი შეიძლება იყოს დამოკიდებული ჩვენს ადრინდელ ცოდნაზე იმის შესახებ, თუ როგორ არის აგებული „რეალური სამყარო“.

ლიტერატურა:

1. Baugrande R.A; Dressler W.1982, An Introduction to text Linguistics.
2. Charles Goodwin and Allesandro Duranti, 1992, " Rethinking Context: An Introduction," in Rethinking Context: Language as an Interactive Phenomenon. Cambridge Univ. Press.
3. Mebuke, T. 2013, Reader in Text Linguistics and Discourse Analysis, Tbilisi. Publishing House "Technical University".
4. Michael F. Graves, 2006, The Vocabulary Book: Learning and Instruction. Teachers College Press.

Meri Tsutskiridze
Gori State Teaching University
SITUATIONALITY, AS THE STUDY OF TEXT LINGUISTIC
REZUME

The term situationality the same as context is a general designation for the factors which render a text relevant to a current or recoverable situation of occurrence. The accessible evidence in the situation is fed into the model along with our prior knowledge and expectations about how the „real world“ is organized. If the dominant function of a text is to provide a reasonably unmediated account of the situation model, situation monitoring is being performed. If the dominant function is to guide the situation in a manner favourable to the text producer's goals, situation management is being carried out.

ელენე ხოჯევანიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი - უპირველესი მოღვაწე ქართული ენის ქომაგთა დასში
(როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „ბურჯი ეროვნებისა“ მიხედვით)

„დედა ენა არის ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა“.
იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილის ცნობილი წერილის დასახელება - „ბურჯი ეროვნებისა“ ბიოგრაფიული რომანის სათაურად შეურჩევია როსტომ ჩხეიძეს. ავტორი ამ წიგნით იაკობის ცხოვრების და შემოქმედების სიღრმეებში ჩაგვახედებს, მის ფიქრსა და ღვაწლს გვაზიარებს.

რომანი იმ შემოქმედს ეძღვნება, რომელსაც მკვლევართა ყურადღება არ მოჰკლებია, ვის შესახებაც ბევრი დაიწერა და იწერება, მაგრამ ავტორმა საკუთარი რეფლექსიით, საარქივო თუ სამეცნიერო მასალებზე, სტატიებზე, პირად მიმოწერასა და ნარკვევებსა თუ გამოკვლევებზე დაყრდნობით სრულად გამოკვეთა იაკობის შინაგანი სამყარო, წიგნად აკინძა მისი ცხოვრების ქრონიკა და იაკობის სრულყოფილი, მონუმენტური, მრავალმხრივი სახის შექმნით შესაძლებელი გახდა ახლებურად აღქმულიყო აქამდე ცნობილი, უმნიშვნელო, თუ საერთოდ მკითხველის თვალისთვის შეუმჩნეველი ფაქტები და ნიუანსები.

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ურთულეს ხანას მოიცავს, ალბათ ამიტომაც, როსტომ ჩხეიძე წიგნში მხოლოდ იაკობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჩვენებით არ შემოიფარგლება, არამედ მთელს ეპოქას ხატავს, ერის სულიერი ცხოვრების ისტორიას გვაცნობს და ჩვენს თვალწინ აცოცხლებს ცნობილ ქართველ თუ უცხოელ ისტორიულ პირებსა და საზოგადო მოღვაწეებს. როსტომ ჩხეიძე რომანის ოცდაერთი თავით შთამბეჭდავად წარმოაჩენს იაკობ გოგებაშვილის ფართო მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს, მისი ცხოვრების და შემოქმედების ბევრ მნიშვნელოვან დეტალზე მოგვითხრობს, თუმცა ჩვენს სტატიამ მხოლოდ რამოდენიმე მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას.

რომანში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იმის გაშუქებას, თუ როგორი შეურიგებელი პოზიცია ეკავა იაკობ გოგებაშვილს მაშინდელ სასწავლო დაწესებულებებში არსებული უმძიმესი პრობლემების მიმართ. რომანიდან ვიგებთ, რომ როცა იაკობისთვის სასულიერო სემინარიის ზედამხედველის ადგილი შეუთავაზებდნენ, მას თავდაპირველად უარი განუცხადებია იმ მიზეზით, რომ ეს თანამდებობა ხელს შეუშლიდა იმ განზრახვაში, რომ ქართული ენის უკვე გამოცემული ორი სახელმძღვანელო გადაემუშავებინდა და გაემდიდრებინა სასწავლო თუ პოპულარული ლიტერატურით. იაკობს კარგად ესმოდა რა საგანმანათლებლო დაწესებულებათა მნიშვნელობა და როლი, ხშირად იმეორებდა: განათლება შეგვახსენებინებს სახელმწიფოებრიობის კარსო, ამიტომ შეთავაზებული თანამდებობა მაინც დაუკავებია და ოფიციალურად სემინარიის ზედამხედველად გამწესებულს ეროვნული იდეოლოგიის შექმნა-

განმტკიცების უშუალო მონაწილედ მიუჩნევია თავი და სკოლის სრული გარდაქმნა დაუსახავს მიზნად: ქართული ენა, როგორც ერთადერთი ძირითადი ენა, უნდა ჩანაცვლებოდა რუსულს, ხოლო ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებულ რეფორმას სკოლაში უნდა დაედო ბინა. იაკობამდე არავინ ცდილა სასწავლებელში გამეფებული დამთრგუნველი რეალობის გარდაქმნას. როსტომ ჩხეიძე გაიხსენებს, როგორ დარჩენია ჭოლა ლომთათიძეს მთელი ცხოვრება მოუშუმებელ ჭრილობად ერთ-ერთი მასწავლებლის მიერ ქართულის ძაღლის ენად მოხსენიება. იაკობის ზედამხედველად დანიშვნა კი „ნორჩ სულთა საჯალათოს სასწავლებელს დაამგვანებს“, [7:14] ამიტომ, სასწავლებლის ელვასავით განათებისთვის შეუდარებია ნიკო ლომოურს იაკობის მოვლინება სემინარიაში.

„სხვებს არ მიანდობდა თავის იდეათა ხორცმესხმას და სამირკვლის გაჭრიდან დაგვირგვინებამდე, ხუროთმოძღვარივით ადგა თავს ქართული სკოლის მშენებლობას და არც კალატოზობას თავილობდა“ - წერს როსტომ ჩხეიძე.

იმ ვითარების გასახსენებლად, რაც მაშინდელ სასწავლებელში სუფევდა, რომანის ავტორი არა ერთ ფაქტს მოუხმობს, კერძოდ, თუ როგორი მონდომებით ახორციელებდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი - იანოვსკი - საკაცობრიო იდეალების სამსახურის სახელით - ქართული სკოლების გარუსების პოლიტიკას, თუ როგორ დაწყებულა ქართველთ მოძულე - თეოფილაქტ რუსანოვის ხელმძღვანელობით სასულიერო სემინარიაში ყველა საგნის სწავლება რუსულ ენაზე და როგორ გაუქმებულა იქ ქართული ენის კათედრა.

იაკობი კი ამ დროს მოქმედი კანონის საწინააღმდეგოდ თავის საგნებს ყმაწვილებს ჯერ ქართულად ასწავლიდა, შემდეგ კი რუსულად. ამით კი ის მოუხერხებია, რომ ქართული, რომელსაც ერთი გაკვეთილიც არ ჰქონდა დათმობილი, ისე შეეყვარებინა მოსწავლეთათვის, რომ მათ არზა მიუერთმევიათ მთავრობისთვის, ქართული ენის კათედრის დაარსების მოთხოვნით. მსგავსი რამ სასწავლებლის არსებობის 60 წლის მანძილზე არასოდეს მომხდარა. ამიტომ მიუჩნევიათ ეს ფაქტი იაკობის მიუტეველ დანაშაულად და მისთვის პოლიტიკური ორგულობა და სეპარატიზმი დაუწამებიათ... იაკობის საქმიანობის შესწავლა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის რწმუნებულ კერსკის დავალება და მას იაკობისთვის ყველაზე მძიმე ბრალდებად ქართულ ენაზე ზრუნვა და სასწავლებლის გაქართულების მიზანმიმართული მცდელობა წაუყენებია! პოლიტიკურად არასაიმედოს ბრალდებით გაუთავისუფლებიათ სასწავლებლიდან, რაც მას სამუდამოდ უხშობდა პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობის გზას. სასწავლებლის მმართველობასთან ერთად მასწავლებლობაც ეკრძალებოდა. ეს უსასტიკესი განაჩენი წყალში ყრიდა იაკობის რამდენიმეწლიან დაუღალავ ბრძოლას სემინარიაში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აღარც ის გახსენებია ვინმეს, იგი ჯამაგირს უმეტესად ღარიბ მოსწავლეებს, ნათესავებსა და საზოგადო საქმეებს რომ ახმარდა...

დამაჯერებლად აღწერს როსტომ ჩხეიძე, თუ როგორ მიიყვანს ამ ყველაფრის შემდეგ უსაზღვროდ დიდი გულისტკენა იაკობს გამოსავლის საძებნელად მტკვრის ტალღებთან, რათა მის ფსკერზე დაასრულოს სიცოცხლე. ბედნიერი შემთხვევა იხსნის მას დაღუპვისაგან, ხოლო იმ მიზნით, რომ აღარასოდეს შესძლებოდა სახელმწიფო სამსახურში დაბრუნება, როგორც თავად ამბობდა, „უკან დასაბრუნებელი გემები“: სემინარიის ატესტატი, აკადემიის მოწმობა და ყველა სხვა საბუთი ცეცხლში დაუწვია, რათა მთელი სიცოცხლე და ძალ-ღონე ქვეყნისთვის მოეხმარებინა და მხოლოდ „საკუთარი ნების სიმტკიცის იმედად დარჩენილიყო“ [7:87].

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის - იანოვსკის - ინიციატივით, ქუთაისში გამართულ მასწავლებელთა კრებაზე სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოსს უთხოვია, სადაც მას აღუნიშნავს, რომ ყოველგვარი შრომა ფუჭია, თუკი სკოლაში სწავლა მშობლიურ ენაზე არ წარიმართება და უდიდესი შეცდომაა, როცა არა მხოლოდ სხვა საგნებს, არამედ საღვთო სჯულსაც უცხო ენაზე ასწავლიანო.

ეპისკოპოსის ამ გამოსვლას იაკობის მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე შედგენილი ილია ჭავჭავაძის კრიტიკული და შეუვალი გამოხმაურება მოჰყოლია და იანოვსკის ვერაგული გეგმები, მიმართული ქართული ენის წინააღმდეგ, მთლიანად ჩაუშლია.

რომანის ავტორი მოგვითხრობს იმ საყურადღებო ფაქტის შესახებ, რომ ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას ახალი სამოსწავლო გეგმის შედგენა საოსტატო ინსტიტუტის დირექტორ - ხაზაროვისთვის მიუხდია, რომელსაც, იმპერიის სხვა მოხელეთა მსგავსად, პირნათლად შეუსრულებია დავალება და სასწავლო გეგმიდან ქართული ენა სრულად გაუქრია. ეს ის ზახაროვია, რომელიც წერს, რომ „რაც და ვინც ქართულ ენას მეტ-ნაკლებობით აყვარებს ბავშვებს, ის მომაკვდინებელი მცოდნეა რუსული ენის წინაშე“ - [3-290].

ამ მოვლენისთვის უძღვნია იაკობს სტატია „ხე ნაყოფით იცნობება“, სადაც იგი დამაჯერებლად ასაბუთებდა ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების წარუმატებელ საქმიანობას და იმის მიზეზად, რომ ქრისტიანობის აღსადგენად დაარსებული საზოგადოება რეალურად მის შესუსტებას და დაცემას ემსახურებოდა და მეორეს მხრივ კი, ერთი შეხედვით „მოვლილი, ლაზათიანი და ყოველმხრივ

შემკული ხე სრულად დამპალსა და შხამიან ნაყოფს ისხამდა“, ამ სკოლებიდან ქართული ენის განდევნას ასახელებდა.

„ყველა სკოლა, განსაკუთრებით სახალხო, დედა-ენაზედ უნდა იყოს დაფუძნებული; დედა-ენით საზრდოობდეს... მით უნდა ხარობდეს. დედა-ენა სულია სკოლისა. თვით ლატაკი სკოლა მძლავრია, როცა მას ხალხში ფესვები აქვს გადგმული დედა-ენის შუამავლობით. თვით უმდიდრესი, ყოველი მხრით შემკული სკოლა უძლურია, როცა ამ ნიადაგს მოკლებულია“ [2, ტ. 1, 217] წერდა იაკობი ამ წერილში და აღშფოთებას ვერ მალავდა, თუკი სადმე ქართული ენის სწავლების დევნის თაობაზე მიაკვლევდა ინფორმაციას. მნიშვნელოვან ფაქტორადაა წიგნში მიჩნეული ის, რომ იაკობი, მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას სხვა ქვეყნების - ფინეთის, პოლონეთის, შუა აზიის - მაგალითების მარჯვედ მოშველიებითაც ასაბუთებდა.

სწორედ იაკობს მიუქცევია პირველად ყურადღება წერა-კითხვის საზოგადოების წესდების პროექტის მზადებისას იმის თაობაზე, რომ რუსულ დედანში არ არსებობდა მუხლი დედა ენაზე საგნების სწავლების შესახებ, ქართულისთვის კი ეს აუცილებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიუროკრატია ეძლეოდა უფლება სწავლება რუსულ ენაზე მოეთხოვათ, რაც, მისი აზრით, ქართველი ხალხის გონების დაზნელებას და გადაგვარებას ისახავდა მიზნად. ამიტომაც, როგორც როსტომ ჩხეიძე წერს, წესდებაში იაკობს თავისი ხელით შეუტანია პარაგრაფი: „საზოგადოება თავის საგანმანათლებლო მიზანს აღწევს მშობლურ, ბავშვისთვის გასაგებ ენაზე პირველდაწყებითი სწავლების ორგანიზებით“. რომანში ნათლადაა ნაჩვენები ისიც, რომ იაკობის გულისტკივილს ცარიზმის რუსეთის მხრიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი დევნა და ქართული ენის დამცირება კი არ იწვევდა მხოლოდ, არამედ იმაზე უფრო მეტად წუხდა, რომ ქართული ენა „მოდას აყოლილ“ ქართულ ოჯახებშიც პატივყრილი იყო და ყველაზე დიდ საფრთხეს გარუსებული ქართველები უქმნიდნენ ეროვნულ თვითმყოფადობასაც და ენის არსებობასაც.

იაკობისთვის დაუშვებელია მოზარდისთვის როგორც მოდურ გატაცებად ქცეული რამდენიმე უცხო ენის შესწავლა ერთდროულად, ისე ენათა სწავლების ბუნებრივი რიგის შებრუნება და ჯერ უცხო, შემდეგ კი მშობლიური ენის სწავლება, რადგან ყველაფერი ეს ყმაწვილთა მეტყველების გაღარიბებას, აზრის და გრძნობის განვითარების შეფერხებას იწვევდა და ამიტომ ყველა მოზარდი ქართულ ოჯახში დედა ენის ზეგავლენით უნდა გაზრდილიყო და განვითარებულიყო.

როსტომ ჩხეიძის მიერ ახალ მცნებად აღქმული იაკობის სენტენცია - „გიყვარდეს ერი შენი უმეტეს თავისა შენის“, კიდევ ერთი მოწოდებაა მშობლიური ენის და ერის დაცვისაკენ და რაკი ენა სასიცოცხლო ძაფებითაა დაკავშირებული ერის არსებობასთან და მისი მთავარი საყრდენი ბურჯია, იაკობს მიაჩნდა, რომ ამ პოზიციის უარყოფელი მშობლები თავისი ხელით უთხრიდნენ ძირს საკუთარი შვილების მომავალს, წყვეტდნენ რა კავშირს მათსა და სამშობლოს შორის.

რომანის ავტორი გოგებაშვილის იმ საყვარელ, საალერსო სიტყვებსაც შეგვახსენებს (შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენ გეთაყვანე, შენ შემოგველე...), რომელთა გაგების მადლს მოკლებული ქართველი ყმაწვილები სხვა ენაში მათ ვერასოდეს იპოვნიდნენ, მათ გარეშე კი მათ სულზეთან ერთად მათი ენა და მეტყველებაც ღარიბდებოდა.

იაკობის და მისი თანამოაზრეების დაბეჯითებით ასე თანმიმდევრულად იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მუხრან ბატონის და მის თანამოაზრეთა „რჩევას“ იმის თაობაზე, რომ სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ ენის დათმობა ჯობდა, იმ სუდარას გადააფარებდა, რომელსაც ისინი ქართულ ენას უმზადებდნენ.

„დედა-ენას ღრმა კავშირი აქვს ერის სულთან და ხორცთან, მის წარსულ ცხოვრებასთან, დედა ენის უარყოფას სწავლა-აღზრდისადმი მოსდევს დიდი დაქვეითება ადამიანისა ყოველ მხრივ“. ამას რომ არა ერთხელ შეგვახსენებდა იაკობი, რა თქმა უნდა, არც უცხო ენათა ცოდნის უდიდეს მნიშვნელობას ივიწყებდა და ამის უტყუარ დასტურად როსტომ ჩხეიძეს მის მიერ შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო - „Русское слово“ და მისივე სიტყვები მიაჩნია: „მხოლოდ მტერი თუ გირჩევს შეაქციეთ ზურგი უცხო ენებს და დარჩით მარტო დედა ენის ამარაო“. და მართლაც, მის თეორიულ თუ პრაქტიკულ შემოქმედებაში ერთმანეთს არასოდეს დაპირისპირებია ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებანი.

წიგნში მკითხველი ნათლად ხედავს, როგორ ამკვიდრებდა იაკობი ხალხში საღ, ეროვნულ თვითშეგნებას და შეურიგებელი იყო ყველაფრის მიმართ, რაც კი ამ საქმეში წინ გადაეღობებოდა.

იაკობს მხედველობიდან არ გამორჩენია დიალექტური ფორმებით ენის აჭრელება და ეს საშიშ ცდომილებად მიუჩნევია, თუმცა უფრო დიდ პრობლემად მას სკოლებიდან ქართულის გამოდევნა და მეგრულით და სვანურით მისი ჩანაცვლების მცდელობა მიუჩნევია, რადგან ამით იმპერია ამ კუთხეების სიკეთეს კი არა, მიზნად სამეგრელოსა და სვანეთის მოწყვეტას ისახავდა საერთო სამშობლოდან, ხოლო მეგრულის და სვანურის რუსულის მოკავშირედ გამოყენებას იმედოვნებდა. ამ ყველაფრის მიღმა იაკობი პროვინციული სეპარატიზმის და ქვეყნის დაქუცმაცების საფრთხეს ხედავდა და არაფერს იშურებდა

იმპერიის ამ მზაკვრული გეგმის გამოსაშვარავებლად და ხელის შესაშლელად. სწორედ იაკობის მართებულმა ენობრივმა პოლიტიკამ განსაზღვრა მნიშვნელოვანწილად ქართველთა ენობრივი თუ ეროვნული მთლიანობის შენარჩუნება. [3: 92]

რომანში საგანგებოდაა ხაზგასმული იაკობის სიმპათიები უშინსკის მიმართ და ამის საფუძვლად უშინსკის მიერ სხვათა მშობლიური ენის დაფასებაა მიჩნეული. იაკობ გოგებაშვილს სამაგალითოდ მიუჩნევია უშინსკის აზრი იმის თაობაზე, რომ პატარა, ქვეშევრდომი ხალხების დედა ენასაც ისეთივე მნიშვნელოვნად თვლიდა ამ ხალხისათვის, როგორც სახელმწიფო ენას რუსეთისათვის. იაკობი იმაშიც იზიარებდა უშინსკის მოსაზრებას, რომ იმპერიის საზღვრებში მოქცეულ ქვეყნებს რუსული ენის შესწავლას მესამე წლიდან ურჩევდა.

როსტომ ჩხეიძე შეგვახსენებს, რომ ქართულ ენას იაკობი მიაკუთვნებდა სრულქმნილად აგებულ ენათა დასს, შინაგანი ჰარმონიით აღვსილსა და გაფურჩქნულს ჯერ კიდევ საუკუნეთა წინათ. ამის დასადასტურებლად კი იგი უცხოელ ლინგვისტებსაც მოიშველიებდა, რომლებიც ქართული ენის ღირსებად მიიჩნევდნენ ბრუნვათა სიმარტივეს, გრამატიკულ სქესთა უქონლობას, თანდებულთა მოქცევას სიტყვის ბოლოში, სიტყვათა ხმოვნიან დაბოლოებას, ასამალღებელი ხმის დამორჩილებას განსაზღვრულ კანონზე, მრავალფეროვნებას და მოქნილობას ზმნის ფორმებისას, სინონიმთა და ლექსიკონთა სიმდიდრეს.

მწერალს, იაკობზე საუბრისას, ყურადღების მიღმა არც ერთი საგულისხმო დეტალი არ რჩება მისი მოღვაწეობიდან და, რა თქმა უნდა, სალიტერატურო ენის მომწესრიგებელ კომისიაში მის საქმიანობაზეც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ გოგებაშვილი გამუდმებით ზრუნავდა ენობრივი ნორმების დადგენაზე, კამათობდა, თუკი საორჭოფოს შენიშნავდა რაიმეს, ეძიებდა. მოვუსმინოთ თავად მწერალს: „მის თვალში რეფორმა სალიტერატურო ენის მოდერნიზებას გაიგივებოდა, ენის იდუმალი მადლისა და ცხოველმყოფელობის შეთანადებას სამწერლო ენობრივ ნორმებთან და მისი კალაპოტის ისეთ მოწესრიგებას, დროის გადასახედიდან კლასიკურ მოვლენად რომ შეირაცხებოდა“ [7:93].

როსტომ ჩხეიძე აკაკი წერეთლის თვალთა დანახულ იაკობსაც მოაგონებს მკითხველს, რომელიც „წარსულის შვილს, მომავლის მამას და მყოფადის გადიას“ უწოდებს იაკობს და ასე ახასიათებს მას: „ის სხვებზე უფრო შესამჩნევია: ისა ზრდის და ისა წვრთნის ქართველ ახალგაზრდობას! ენასაც ყველა მისგან სწავლობს და, მამასადამე, იმის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისასო“. [8:XIII.143]. და თავად ავტორიც საუბრობს იაკობის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე თითოეული სიტყვის თუ ფრაზის შერჩევისას, მკითხველი „ხედავს“, როგორი სულგანაბული აკვირდება გოგებაშვილი მოხუცებულთა მეტყველებას, მათს ენობრივ მიმოხვრას, თავის უცდომელ ალღოსაც მოიშველიებს და ასე ცდილობს ენის სიღრმეში შეღწევას.

წიგნის ავტორი იაკობის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროდ მის კორექტორულ საქმიანობას მიიჩნევს და გახაზავს, რომ განსაკუთრებულ სიფრთხილეს იაკობი საყმაწვილო წიგნების მიმართ იჩენდა, რათა მოზარდებს უმართებულო ფორმები არ ჩაბეჭდვოდათ მეხსიერებაში, თავად კი სანიმუშო გამოცემების შექმნით მაგალითი ხდებოდა სხვათათვის. დედა-ენას და ბუნების კარს ყოველწლიურად ახალი თვალთა გადახედვდა და ასწორებდა. მათი ბეჭდვისას კი საასოთამწყობოში შეუსვლელად ვერ ძლებდა, ახლომახლო ტრიალებდა და იქიდან იძლეოდა მითითებებს, რადგან „ისე მძაფრად განიცდიდა ყოველგვარ დამახინჯებას - ნაწერშიც, საუბარშიც, თითქოს სიტყვა კი არ გამოითქმის არასწორად, არამედ ცოცხალ სხეულს ჯიჯგნიან და ამახინჯებენო“ [7:155].

მრავლისმეტყველია წიგნში მოხმობილი 1910 წლით დათარიღებული იაკობის მიერ ნინო ნაკაშიძისადმი გაგზავნილი ბარათი, რომელშიც კორექტურის პრინციპებია გადმოცემული: სრულყოფილი კორექტურისთვის სამჯერ უნდა გადაკითხულიყო, სამჯერ გასწორებულიყო და სამჯერ შედარებულიყო ტექსტი და თუ ვინმე კვლავ აღმოაჩენდა შეცდომას, მისთვის ჰონორარად ჯერ ერთი, შემდეგ კი ორი შაური დაუწესებია იაკობს. და ეს იმ რწმენით, რომ „ყველა უკუღმართობის სათავე წვრილმანი დაუდევრობა და დარღვევაა“, რომლის გამოსწორება იაკობს საქმის ერთგულებით და თავდადებით მიაჩნდა შესაძლებლად. რომანში ყურადღებაა გამახვილებული იმ საკითხზე, თუ რაოდენ დიდ ადგილს უთმობდა იაკობი თავის სახელმძღვანელოებში ფოლკლორს და ეს ბუნებრივია, რადგან სწორედ აქ, ხალხური შემოქმედების ნიმუშებში ეგულებოდა მას სიბრძნეც და მახვილგონიერებაც. ეს არის „ერთად-ერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის“ - წერდა იაკობი [5:ტ II, 90]. ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ვარიანში შეუკრებია, ზოგი უცვლელად გადაუტანია სახელმძღვანელოს ფურცლებზე, ზოგი კი ჩვეული ოსტატობით შეუცვლია, რათა მაქსიმალურად მიესადაგებინა აღმზრდელობით მიზნებთან. როსტომ ჩხეიძე ხალხური შემოქმედების რამდენიმე საგულისხმო მაგალითს გვთავაზობს იაკობის სახელმძღვანელოდან, ჩვენ მხოლოდ ერთ, ყველასთვის საყვარელ და ნაცნობ ნიმუშს მოვიტანთ საილუსტრაციოდ:

„ბიჭო, ვისი ხარ ლამაზი, დაურჩი დედაშენსაო,

საქმე რომ არა გქონდეს რა, გადმოიბრუნდე ჩვენსაო.

მოგიხდი წითელ ღვინოსა, მეც მოგიჯდები გვერდსაო,

დავლევ და დაგალევინებ, პატარა აზარფეშსაო“.

იაკობი მოუხიბლავს ლექსის ინტონაციასა და პოეტურ ქარგას, თუმცა გულისყურით აუწონია თითოეული სიტყვა და პირველ რიგში „ლამაზი“ ჩაუნაცვლებია მსგავსი ფონეტიკური აგებულების მქონე სიტყვით - „მალხაზი“, რადგან, სწორედ ეს სიტყვა წარმოაჩენდა ყმაწვილის გარეგნულ მშვენიერებასთან ერთად მისი ხასიათის ღირსებასაც, შემდეგ კი ბავშვისთვის ღვინის შეთავაზებას წიგნის შეთავაზება უმჯობინებია, I სტროფი უცვლელად დაუტოვებია და ლექსსაც ასეთი სახე მიუღია:

„გადგიშლი წიგნსა პატარას, მეც მოგიჯდები გვერდსაო

გასწავლი წერა-კითხვასა, არაკებს გეტყვი ბევრსაო“.

ეს მაგალითი ნათელს ჰფენს მრავალ საგულისხმო მომენტს, კერძოდ, თუ როგორ ეკიდებოდა იაკობი ფოლკლორულ ნაწარმოებს, როგორ განსჯიდა, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თითოეული სიტყვის შერჩევას, როგორ ჩაანაცვლებდა ერთს მეორე ფორმით, რაც მისი უტყუარი ალღოს წყალობით საუკეთესო ვარიანტი აღმოჩნდებოდა ყმაწვილთა სულების საზრდოდ.

რომანში ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ თანამოაზრეთა შეკრებებზე არა ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ეყრებოდა საფუძველი. ასე გადაწყვეტილა ნიკო ღოდოშვილის სახლში ახალი სტამბის და ქართული გაზეთის დაარსებაც. შემდგარა ახალი მრგვალი შრიფტი. რა თქმა უნდა, კალიგრაფიის და შრიფტის სრულყოფილი ნიმუშების შექმნა მნიშვნელოვანი სფერო იყო იაკობის მოღვაწეობაში და წიგნში მოთხრობილია, როგორ ეძებდა კარდაკარ იაკობი საუკეთესო ქართული ხელწერის ნიმუშებს, რათა ქართული ანბანი მთელი თავისი სიდიადით წარმოეჩინა.

და ახლა, როცა უყურებ ქართულ ასოებს, როცა ეცნობი „როგორ ელოლიავენოდა იაკობი კალიგრაფიის ნიმუშებსაც და შრიფტსაც, ეფერებოდა თითოეულ გრაფიკულ მონასმს, ერთმანეთს დაუსრულებლად უდარებდა და ფარულ ნიუანსებსაც არ დატოვდა უყურადღებოდ“ [7:200] ხვდები, რაოდენ დიდია წვლილი იაკობ გოგებაშვილისა ქართული ანბანის არამატერიალურ კულტურულ ძეგლად აღიარების საქმეში.

დეტალურადაა აღწერილი რომანში, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ ხდებოდა იაკობის მიერ მისი საანბანო სახელმძღვანელოს შედგენის მეთოდების სრულყოფა და დახვეწა. ჯერ ბგერით-ანალიზური მეთოდის ბგერით-სინთეზურით შეცვლით, მანამდე შექმნილ ყველა წინა სახელმძღვანელოს გაემიჯნებოდა, შემდეგ ამ მეთოდსაც ანალიზურ-სინთეზურით შეცვლიდა, რაც სწავლას გაუადვილებდა ყმაწვილებს. კითხვის დაწყება მარცვლებით, ასოების ნაცვლად, სწავლის წადილს გაუმძაფრებდა მათ და სწორედ საკითხისადმი მეთოდის უნიკალურად მისადაგებამ განაპირობა დედა-ენის ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის მეთოდისათვის არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსის მინიჭება.

უნდა ითქვას, რომ სავსებით სამართლიანია, იაკობის სახელის დაკავშირება ძირითადად სკოლისა და განათლების სფეროსთან, მაგრამ საყურადღებოა, რომ მისი დამსახურება საზოგადოებრივ-კულტურული ყოფის სხვა მხარეების მიმართ ნაკლებადაა ცნობილი. „ბურჯი ეროვნებისა“ ნათლად წარმოაჩენს იაკობის მიზანმიმართულ ზრუნვას თეატრისადმი. წიგნში ჩანს ისიც, რომ თეატრი არ ყოფილა მისთვის მხოლოდ ხელოვნების ტაძარი, არამედ მთავარი მაინც ის იყო, რომ სცენიდან ყველა დაწესებულებიდან გაძევებული და უარყოფილი ქართული ისმოდა კვლავ.

და ბოლოს, აი ია - ეპოქალური მნიშვნელობის ფრაზაა... აღმოჩენა და თავად აღმოჩენის სიხარულით გასხივოსნებული. იაკობის სავიზიტო ბარათი - ასე რომ უადვილებს და უხალისებს ყმაწვილებს გზას ურთულეს სამყაროში შესაღწევად. დედა-ენა, წიგნი, რომელმაც, როგორც რომანის ავტორი გადაუჭარბებლად იტყვის, გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოში, პირველ რუსულ საუკუნეში, გარუსების გზაზე მდგარი ქვეყნის შემოზრუნებაში საკუთარი ვინაობის აღსადგენად, სულიერი ენერგიის მოსაკრებად... ამიტომაც ბრძანებს გ. გოგოლაშვილი, რომ დედა-ენამ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წინა ეტაპებზე „ოთხთავმა“ და „ვეფხისტყაოსანმა“.

„მე ჩემს მოღვაწეობაში სახეში მქონდა და მაქვს სიკეთე ჩვენი ტანჯული ერისა და სხვა არაფერი“ - წერდა იაკობ გოგებაშვილი. თავისი მისია პირნათლად აღასრულა: უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ენის უფლებათა თეორიულ დასაბუთებასა და მისი ნორმების დადგენაში, ახალი ქართული ენის დამკვიდრებაში. ქართული ენის ქომაგმა სკოლა გააქართულა და განათლების სისტემის რეფორმატორადაც მოგვევლინა.

ცხოვრებაში მრავალი ქართველის გადამტანი იაკობი ალბათ ვერ იფიქრებდა, რომ გავიდოდა საუკუნეზე მეტი დრო მისი მოღვაწეობიდან და ბევრი პრობლემა, რომლის წინაშე მისი დროის

საქართველო იდგა, რომლის გადაჭრისთვისაც იაკობი თავდაუზოგავად იბრძოდა თანამოაზრეებთან ერთად, დღეს, XXI საუკუნეში კვლავ იჩენდა თავს.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, ტექნიკურმა და საინფორმაციო გლობალიზაციამ, ახალი სიმწვავით წარმოაჩინა ენათა ურთიერთზეგავლენის და თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემა. დღეს მტკივნეულადაა შეცვლილი თაობათა დამოკიდებულება მშობლიური ენის მიმართ, რომელსაც უამრავი საფრთხე ემუქრება: ალქმა კი არ ხდება ადეკვატურად, უკონტროლოა, თვითდინებაზეა მინდობილი ენის ნორმათა რეგულირება, რაც უარყოფითად აისახება ჩვენს ენობრივ გარემოზე. სცოდავს მედია, მოუწესრიგებელია რეკლამები და აბრევიატურები, გამოწვევად რჩება პროვინციული პატრიოტიზმით ნასაზრდოებ ფსევდომეცნიერთა აქტიურობა... უჭირს საგანმანათლებლო სისტემას, მავანნი იაკობისეულ დედა-ენას იწუნებენ...

იზადება კითხვა: მამ სადღაა იმედი? იმედი ალბათ უპირველეს ყოვლისა ჩვენი ერის ძალმოსილება და ისევ და ისევ ჩვენი დიდი წინაპრები არიან. მხოლოდ ისტორიის გათვალისწინება დაგვეხმარება სწორ ორიენტაციაში. როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „ბურჯი ეროვნებისა“ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი წარსული ეპოქის ისტორიას მომავლისთვის შეგვახსენებს, რათა მომავალმა თაობამ წარსულის გაკვეთილების გათვალისწინებით შეძლოს მსოფლიოს ენობრივი არქიტექტონიკის გლობალურ სისტემაში ქართულ ენისთვის მისი კუთვნილი ისტორიულ-კულტურული ადგილის მიჩენა.

ლიტერატურა:

1. არაბული ა., ენა ჩვენი არსობისა, თბ., 2013.
2. გოგებაშვილი ი., თხზულებანი შვიდ ტომად. ტ. I. თბ., 1952; ტ. II. თბ., 1954.
3. გოგოლაშვილი გ., ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2013.
4. გოგოლაშვილი გ., საცნობლად თავისადაო, თბ., 2015.
5. იაკობის სამრეკლო, თბ., 1990.
6. შარაძე გ., ბედნიერების და სათნოების საუნჯე, თბ., 1984.
7. ჩხეიძე რ., ბურჯი ეროვნებისა, თბ., 2007.
8. წერეთელი აკაკი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIII, თბ., 1961.

Elene Khojevanishvili

Gori State Teaching University

JACOB GOGEBASHVILI-THE FIRST PUBLIC MAN AMONG THE SUPPORTERS OF THE GEORGIAN LANGUAGE (ACCORDING TO ROSTOM CHKHEIDZE'S BIOGRAPHIC NOVEL – “THE SUPPORTER OF NATIONALITY”) RESUME

Rostom Chkheidze makes us look into Jacob Gogebashvili's life and creation and gives us a sense of newness. The novel reveals that Jacob successfully fulfilled his mission: greatly contributed to the theoretical reasoning of the Georgian language rights, establishing its norms and new Georgian literary language. The Georgian language Fellow acquired the school and became a reformer of the education system. More than a century has passed since Jacob's activity, however, many of the problems faced by Georgia, which Jacob struggled to resolve, today, in the XXI century, still take place.

The current process in the modern world, technical and information globalization, have acridly shown the problem related to the interaction of languages and maintaining the identity. Nowadays, the young generation's attitude to the native language, which is under different kinds of danger, is painfully changed: perception is not adequate, it is uncontrolled, the regulation of the norm of the language is entrusted to self-indulgence, which negatively affects our linguistic environment. The Media makes lots of mistakes, advertisements and abbreviations are unbalanced. Pseudoscientists' activity who are full of provincial patriotism remains as a challenge... it is a hard time for the educational system, someone dislikes Jacob's the Language One...

The question arises: Where is the hope? Maybe, the hope is, first of all, our nation's power and our great ancestors again and again and once more. Only the history can help in the proper orientation. Rostom Chkheidze's biographic novel “The Supporter of Nationality” gains so much importance as it reminds us the past epoch history for the future in order that, the future generation, taking into consideration the lessons of the past, will be able to make a right historical-cultural place for the Georgian language in the world linguistic architectonic global system.

ლიტერატურათმცოდნეობა Literature Studies

ლევან ბებურიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მტრის კონცეპტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ქართველი მკითხველის ცნობიერებაში ვაჟა-ფშაველამ თავი დაიმკვიდრა, როგორც გამორჩეულად ჰუმანისტმა მწერალმა, რომლის შემოქმედებაშიც, „ჰუმანიზმი კოსმოსურ სიმაღლეზეა აყვანილი“ (ქიქოძე 1947: 269). ვაჟა-ფშაველას ჰუმანისტური იდეალების, მის მხატვრულ სამყაროში გამოვლენილი ღირებულებათა იერარქიის გასააზრებლად აუცილებელია იმის ნათელიყოფა, თუ როგორაა წარმოდგენილი ვაჟას შემოქმედებაში მტრის კონცეპტი. აღსანიშნავია, რომ პოეტი, ერთი მხრივ, გმობს მტრობის ყოველგვარ გამოვლინებას („ვისაც მტერობა მასწყურდეს, გააღოს სახლის კარია..“ და ა. შ. - „ალუდა ქეთელაური“), ხოლო, მეორე მხრივ კი, აღნიშნავს, - „მტერს მოვკლავ, ან შევაკვდები, - უპირველესი მცნებაა, ძველთაგან გადმოცემული, სისხლ-ცრემლით დანაბეჭდია“ („მოხუცის რაინდის სიმღერა“ 1903). საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ვაჟას არაერთ ნაწარმოებში თავს იჩენს შურისძიების მოტივიც.

საინტერესოა, ხომ არ არის ამ თვალსაზრისით რაიმე შინაგანი წინააღმდეგობა ვაჟა-ფშაველას ეთიკურ შეხედულებებში? აქვს რეალური საფუძველი ზოგიერთი ლიტერატორის თვალსაზრისს ვაჟას პოეტური ცნობიერების ერთგვარ გაორებაზე?

ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უკვე სადავო აღარაა ის ფაქტი, რომ ვაჟას ეთიკური მრწამსი ქრისტიანულ მოძღვრებას ეყრდნობა და „კაცობრიობის ისტორიას ვაჟა-ფშაველას სახით მოველინა ხელოვანი, რომელმაც ადამიანის სიცოცხლე შინაარსგამოცლილად მიიჩნია ქრისტიანული სულიერი იდეალების გარეშე (ევგენიძე 2003: 376).

ვაჟას შემოქმედებაში მტრის კონცეპტის გასააზრებლად აუცილებელია ქრისტიანული ეთიკის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება. ქრისტიანული თვალსაზრისით, ყოველი ადამიანი, მიუხედავად რასისა, რელიგიისა და ზნეობრივი სახისა, იმსახურებს თანაგრძნობასა და სიყვარულს. „გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა“ (მათე 5, 44) – ასწავლის მაცხოვარი მოწაფეებს. ქრისტიანული ეთიკა ადამიანს მოუწოდებს პირადი მტრების მიტევებისა და სიყვარულისაკენ. სწორედ ამას გულისხმობს „არა წინა-აღდგომად ბოროტისა“ (მათე 5, 39). მაგრამ როდესაც ბოროტება სოციალური საფრთხის ხასიათს იღებს და ემუქრება უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეს, ანდა უქადის მათ სულიერ დაღუპვას, მაშინ ქრისტიანი ვალდებულია არა მხოლოდ სულიერ სფეროში დაუპირისპირდეს ბოროტებას, არამედ ფიზიკურ ასპექტშიც შეებრძოლოს მას. ამიტომაცაა ეკლესიის მხრიდან კურთხეული თავდაცვითი ომი და მეომართა თავგანწირვა, რადგან „არავის აქვს იმაზე მეტი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მოყვასისათვის“ (იოანე 15, 13).

ვაჟა-ფშაველას ღრმად ქრისტიანული მრწამსი ცხადად ვლინდება ღვთისადმი მიმართულ პოეტურ ვედრებაში:

„ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა,
არ წამიხდინო, მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!“
(ვაჟა-ფშაველა 2006: 206)

ვაჟას შემოქმედებაში მრავლად მოგვეპოვება მაგალითები პერსონაჟთა მხრიდან პირადი მტრის, მოწინააღმდეგისადმი სულგრძელობის გამოვლენისა. გოგოთური არ იძიებს შურს აფშინაზე, არამედ სულგრძელობით ამარცხებს მას და ზნეობრივ გაკვეთილსაც უტარებს. ასევე ექცევა ივანე კოტორაშვილი მის შესაპყრობად მიგზავნილ ლევს. მოთმინებისა და მიტევების ქრისტიანული სათნოებები განსაკუთრებული სიცხადითაა თავჩენილი პოემა „უიღბლო იღბლიანში“. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, საბრალო, მთელი ცხოვრების განმავლობაში სულგრძელობით ითმენს პირად წყენას, უსამართლო გვემას და დევნას, რის შედეგადაც, წმინდანობის საზომს აღწევს, – მის საფლავზე აღმოცენებული წყარო მაკურნებელ თვისებებს ავლენს.

სხვაგვარია ვითარება, როცა საქმე სამშობლოს მტერს ეხება. ამ შემთხვევაში ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები მოწინააღმდეგეს თავდაუზოგავად უპირისპირდებიან. სამშობლოს მტრისადმი თავგანწირული ბრძოლისაკენ მოწოდება პოეტის შემოქმედების ერთი უძირითადესი მოტივია. ამასთანავე, საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ვაჟას გმირების ბრძოლას მტრის წინააღმდეგ ყოველთვის თავდაცვითი ხასიათი აქვს:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება“.
(ვაჟა-ფშაველა 2008: 101)

სამშობლოს მტერზე შურისძიება კაი ყმის ზნეობრივი კოდექსის ერთი უმთავრესი პრინციპია. ვაჟა-ფშაველას მიხედვით, „კარგ ყმას“ მუდამ „მტრის ჯავრის უდგას ლოგინი, მტრის ჯავრი საზნად ფარავს“. „ვაჟა-ფშაველასთან... პატრიოტული მოტივით გაპირობებული შურისძიების აქტი თავდაცვითი ინსტინქტიდან წარმოიშობა, ხოლო განვითარების პროცესში სოციალურ ფუნქციას იძენს და ეს უკანასკნელი იქცევა მის ძირითად მამოძრავებელ ძალად. ამიტომაც იგი ხდება საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი ნორმა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა“ (ბეჟიტაძე 1982: 182). შესაბამისად, თავდაცვით ბრძოლაში მტრის სისხლის დაქცევა, პოეტის აზრით, კურთხეული და მადლიანი საქმეა:

„ხმალი გალესე, ძმობილო,
მტერი გადმოდგა მთაზედა...
მადლია, კიდევე ეღირსოს
გორდას მტრის სისხლი ფხაზედა!
უფლის კურთხევა ანთია
სამშობლოს მცველის ფარზედა...
თამარ დედოფლის ნაკოცნი
ბეჭდად უსვია ხმალზედა“.
(ვაჟა-ფშაველა 2006: 221)

მტრის კონცეპტის გააზრების თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოემა „აღუდა ქეთელაურს“.

ნაწარმოების მიხედვით, შურისძიების გრძნობით ანთებული ქეთელაური მოულოდნელად მტერში ღირსეულ ადამიანს აღმოაჩენს. აღსანიშნავია, რომ პირველ ნაბიჯს მოწინააღმდეგის ღირსების აღიარებისაკენ მუცალი დგამს, როდესაც მომაკვდავი თოფს ალუდას გადაუგდებს და ისურვებს, რომ მომავალში მხოლოდ მისნაირი ვაჟკაცი იყოს მისი მფლობელი.

მუცალის ამ საქციელმა, მისმა გაუტეხელობამ, მეგრძოლმა ბუნებამ, მოწინააღმდეგეში ღირსების დანახვის უნარმა სულიერად შეძრა ალუდა. თუ აქამდე იგი ფიქრობდა, რომ ურჯულო მტრის სახით ძალს კლავდა, ახლა გააცნობიერა, რომ კაცი, სრულფასოვანი ადამიანი მოკლა. მუცალის ვაჟკაცობით გაოგნებულმა ალუდამ დაიტირა იგი, როგორც „უნდომლად მოკლული ძმა“, „მოუნათლავი გმირი“, არც მარჯვენა მოკვეთა და იარაღიც თან დაუტოვა.

ალუდას სულიერ სამყაროში მომხდარი ცვლილება ქვეცნობიერად აისახება მის უჩვეულო სიზმრებში. მას ეზმანება, რომ „რიგშია“, ზევსურებს წინ უდევთ მიცვალებული და სისხლის ასაღებად მიდიან ქისტეთში. ამ დროს ქეთელაურს უეცრად ეცხადება მუცალი, რომელიც სთხოვს: „მინდა სიკვდილი, არ ვკვდები, მამკალო...“. განსაკუთრებულად ამახსოვრდება ალუდას მუცალის სასიკვდილო

იარა: „გულზედ ემჩნია ნიშანი მე-დ იმის ბრძოლის წამისა“. ამის შემდეგ ალუდას მიაართმევნ კაცის ხორციტ „შანელეზულ“ წვნიანს, რის გამოც იგი საშინელ ტანჯვას განიცდის.

ალუდას სიზმრის იდეური ქვეტექსტი ისაა, რომ, შურისძიებაზე, მარადიულ მტრობაზე დაფუძნებული ცხოვრების წესი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ხორცის ჭამა, კანიბალიზმი. მტრობის საშინელებას სულისშემძვრელი სურათით აღგვიწერს პოეტი:

„ვისაც მტერობა მასწყურდეს,
გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში,
თვითანაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც იმას დაჰლეუდეს,
პურადაც მოსახმარია,-
სისხლშია ჰქონდეს ქორწილი,
იქ დაიწეროს ჯვარია...
შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ,
მკვლელს არ შარჩენს გვარია“.
(ვაჟა-ფშაველა 2009: 99)

აუცილებლად უნდა დაზუსტდეს ის გარემოება, რომ მტრობის წყურვილის ამგვარი შეფასება არ ნიშნავს, თითქოს, ალუდა ქეთელაური საერთოდ აუქმებს მტრის ცნებას და ყოველგვარ ბრძოლაზე უარს აცხადებს. აქ უარიყოფა მტრობა, როგორც საზოგადოების არსებობის ფუნდამენტური პრინციპი, მექანიკურ შურისძიებაზე დაფუძნებული ცხოვრების წესი („შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ, მკვლელს არ შარჩენს გვარია“). ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, საზოგადოებრივი ურთიერთობის პირველსაფუძველი სიყვარულის, სიბრალულის გრძნობები უნდა იყოს და არა შურისძიება. ამდენად, ალუდა უარყოფს შურისგებას, როგორც საზოგადოების საარსებო, ფუძემდებლურ წესს, თორემ, რა თქმა უნდა, იგი მომავალშიც აპირებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლას, თუ ამას მისი სამშობლოს თავდაცვითი ინტერესები მოითხოვს: „მტერს მოვკლავ, კიდეც არ მოვჭრი მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!“ - იქადის ხევსურებზე გამწყრალი ქეთელაური.

თემის თვითშეგნებისათვის გაუგებარი და მიუღებელია ალუდას მრწამსი. საზოგადოების კოლექტიური ცნობიერების არსი ვლინდება სულიერი წინამძღოლის – ხევისბრის – სიტყვებში. ბერდიას უკვირს, რომ ქეთელაურს მუცალის სულისათვის კურატის შეწირვის სურვილი გაუჩნდა, რადგან იცის, რომ მის ქაზე ურჯულოთა „ხელებ ჯღრდესავით ჰკიდა“. ხევისბრისათვის მოუნათლავი იმთავითვე ძალდია. წარმოუდგენელია, იგი იმსახურებდეს სიყვარულსა და სიბრალულს: „როგორ ვახვეწო უფალსა ძალდი, ძაღლების ჯიშისა“. ადამიანის ღირსება, მისი აზრით, ჯიშითა და რჯულითაა განსაზღვრული.

ალუდა ქეთელაურის სულიერი ამაღლების არსი კი ისაა, რომ მუცალთან ორთაბრძოლის შემდეგ იგი ნათლად აცნობიერებს ადამის ძეთა საერთო ხვედრს. იგი ხვდება, რომ „რჯულიანი“ თავისთავად არ აღემატება „ურჯულოს“ და ღირსების კატეგორია ძალა დგას რელიგიურ და ეთნიკურ ფაქტორებზე:

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი,
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი.
ამის თქმით ვწარამარაობთ,
ლთიშვილთ უკეთეს იციან.
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?“
(ვაჟა-ფშაველა 2009: 101)

პოემის მიხედვით, ის საზოგადოებრივი მორალი, რომლის საფუძველშიც სიძულვილი, შურისძიება დევს, წარმოდგება, როგორც კაციჭამიობა. სწორედ ამგვარ, მექანიკურ შურისძიებაზე დაფუძნებულ ცხოვრების წესს ემიჯნება ალუდა ქეთელაური.

აღსანიშნავია, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში შურისძიების მოტივი არაერთგან იჩენს თავს, ამიტომაც გასარკვევია, თუ რა შემთხვევაში მიიჩნევს მწერალი მიზანშეწონილად შურისგების აქტს. თავის ერთ წერილში ვაჟა ბრძანებს: „მოსათმენია განა - მე გემუდარებოდე შენ, ძალით და ღონით

შემოსილს: მზიან, შიშველი ვარ, მაჭამე, შემმოსეო, შენ კი სახლ-კარს თავზე მაქცევდე და ჩემ ცოლ-შვილს ჩემ თვალწინ აუპატიურებდე? განა ამისთანა მოთმენაც საქებარია? საქებარი კი არა, ღირსია წყევლისა და კრულებისა, დიდი ცოდვაა წინაშე ღვთისა და კაცისა, რადგან შენ შენის მოთმინებით ხელს უწყობ მტარვალის ბუნებას გაძლიერდეს და განვითარდეს იგი... შენ კი, უდანაშაულო ადამიანმა, ის სულ უბრალო გრძნობა თავმოყვარეობისა გულში ჩაიკლა და შენსავთ უბედურთ და დავრდომილთ ამით მისცე მაგალითი უმსგავსის მოთმინებისა, - თვის ადამიანობის გათელვისა და საკუთარი ფეხებით? არა და ასჯერ არა“ (ვაჟა-ფშაველა 1964ბ: 258). ერთი სიტყვით, მწერლის აზრით, მტრისადმი მტრულად მოქცევას, ამართლებს ადამიანის ღირსებისა და თავმოყვარეობის ისეთი შელახვა, რომელიც არავის ეპატიება.

ნაწარმოების სათაურშივეა მარკირებული, რომ შურისძიების მოტივი წარმართავს პოემა „სისხლის ძიებას“. აქ შურისმაძიებლად გვევლინება ქიჩირბე, რომელიც უპირისპირდება ჩერქეზთა მთავარ ასლანს. ქიჩირის ბრძოლა ასლანის წინააღმდეგ განპირობებულია არა პირადი გაბოროტების გრძნობით, არამედ პატრიოტული მიზანდასახულობით, რაც საჭიროების შემთხვევაში ადამიანს ავალდებულებს არა მხოლოდ გარეშე მტრის დასჯას, არამედ მოღალატეთათვის ანგარიშის გასწორებასაც. ასლანმა ჩერქეზთა ეროვნული ღირსების გათელავია. მტერთან შეკრულმა, გაუმაძღარმა მებატონემ თანამემამულეებს ყმობის უღელი დაადგა. სწორედ ამგვარ ვითარებაში ცდილობს ზნეობრივი გმირი საკუთარი ხალხის გამოფხიზლებას და დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებს მას:

„რად ჰმონებთ ასლანს, ჩერქეზნო,
ულელს რად იდგამთ კისრადა,
სხვისა ნაყმევი, ნალახი
გამოადგება ვის რადა?“
(ვაჟა-ფშაველა 2009: 356).

ნაწარმოებში ქიჩირი ორჯერ ადასრულებს შურისძიების აქტს. პირველად, როდესაც ასლანის მიერ მიგზავნილი მკვლელი მის მაგივრად შეცდომით სტუმარს მოუკლავს, იგი პასუხს აგებინებს დამნაშავეს. ამ შემთხვევაში ქიჩირი ჯოყოლას მსგავსად იქცევა და მისი შურისძიება გამართლებულია ოჯახის ღირსების ისეთი შელახვის ფაქტით, რომელიც, მთიელთა ადათების მიხედვით, მხოლოდ სისხლით განიბანება:

„ვინ შემარცხვინა თავხედმა
სირცხვილით მეტისმეტითა?
სახლში მომიკლეს სტუმარი,
როგორღა ავდგე მკვდრეთითა?“
(ვაჟა-ფშაველა 2009: 364)

– მძვინვარებს შეურაცხოფილი ქიჩირი და სიმშვიდეს მანამ ვერ ჰპოვებს, სანამ სტუმრის სისხლს არ აიღებს. მოგვიანებით იგი დიდსულოვნების საოცარ მაგალითს უჩვენებს, როცა, პირადი მტრობის მიუხედავად, მზადყოფნას გამოთქვამს, შეურიგდეს ასლანს და მის მხარდამხარ იბრძოლოს, თუ ამას ეროვნული ინტერესები მოითხოვს. მაგრამ სინამდვილეში ასლანს სხვა განზრახვა აქვს. იგი მოტყუებით შეიპყრობს ქიჩირს და სახალხოდ კოცონზე დაწვას დაუპირებს. უკანასკნელ წამს სიკვდილმისჯილი ვაჟკაცი ხელში აიტაცებს ასლანის შვილებს და აბრიალებულ კოცონში მათთან ერთად გადაიჭრება. ქიჩირის ასეთ საქციელს უმთავრესად აპირობებს ის ფაქტორი, რომ იგი აცნობიერებს, – მისი სიკვდილის შემდეგ ველარავინ შეძლებს, პასუხი აგებინოს ასლანს. ამდენად, უდავოდ გასაზიარებელია შეხედულება, რომ აღნიშნულ ნაწარმოებში „ვაჟა-ფშაველამ უჩვენა სისხლის აღების ის სოციალური ფუნქცია, რომელიც მას ერთ დროს ჰქონდა, სახელდობრ, მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქცია. ამიტომ ქიჩირის შემზარავი საქციელი ისე ჩანს, როგორც ტვირთი, რომელიც მან იკისრა საზოგადოებრივი სამართლის განხორციელების მიზნით“ (ბეჟიტაძე 1991: 168).

მტრისადმი მტრულად დახვედრის, დამპყრობელზე შურისძიების მოტივი თანმიმდევრულადაა გატარებული პოემა „ბახტრიონში“. ნაწარმოების გმირები ანთებულნი არიან შურისგების წყურვილით, ოღონდაც ეს გრძნობა უცხოტომელთადმი თავისთავადი სიძულვილის ნიადაგზე კი არაა წარმოშობილი, არამედ მათი არაადამიანური სისასტიკით, ქართველთა პიროვნული, ეროვნული და რელიგიური ღირსების გათელვის აურაცხელი ფაქტებითაა მოტივირებული: დამპყრობელთა მიერ სიწმინდეების ხელყოფის („ჩვენის საყდრების ტრაპეზთან ეხლა მოლები გალობენ“), მათი ძალადობისა და ზნედაცემულობის შედეგად „მთელი კახეთი ქცეულა ჩიქილამოხდილ ქალადა“.

ასეთ ვითარებაში თავმოყვარე ადამიანის წინაშე უცილობლად დგება მოთხოვნილება, იბრძოლოს პიროვნული ღირსების დაცვისა და საკუთრების ხელშეუხებლობისათვის. შურისძიების სწორედ ეს მოტივია წამოწეული კვირიას სიტყვებში:

„სიცოცხლეს აუგიანსა
სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.
როს ჩემი ბინა სხვას ჰრჩება,
ჩემი ცოლი და შვილები, -
თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს,
მე თვითონ გავიგმირები“.
(ვაჟა-ფშაველა 2009: 202)

შურისძიების ცნობიერებითაა გაჟღენთილი პერსონაჟთა მონოლოგებიც: (სანათა: „თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა, შვილთ არც კი მოვიგონებდი“; ლელა: „მტრის ჯავრი გულში მიდგია შავის ალაზნის გუბედა“; ზეზვა: „ვისაც ჩვენ არ ვებრალეებით, ჩვენ შავიბრალეთ რისადა?“). მაგრამ ეს სრულიად არაა სამაგიეროს გადახდის ინსტინქტს ბრმად აყოლილი ადამიანების სიტყვები. მათ მსჯელობაში საგანგებოდაა გაშლილი და დასაბუთებული ამგვარი მოქმედების მიზანშეწონილება. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პოემაში, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, სუნთქავს შურისძიებით, ღირიკული გადახვევის სახით მწერალს შემოაქვს თანაგრძნობისა და სიბრალულის მოტივი:

„მკვდარია უგრძნობი კაცი,
უსაზარლესი მკვდარზედა,
მით, რომე სიცოცხლე უგავ
სალის ყინულის ტარზედა.
არ ებრალება მოყვასი,
მის წინ რო აცვან ჯვარზედა.
ისე მოკვდება, ვერ შედგეს
ერთს წამს ტრფობისა მთაზედა...
საზარელია დადგომა
უგრძნობელობის გზაზედა“.
(ვაჟა-ფშაველა 2009: 225)

კაცთმოყვარეობისა და სიბრალულის გრძნობები ასხივოსნებს ბერი ლუხუმის მხატვრულ სახეს. გურამ ასათიანის სწორი შენიშვნით, „ლუხუმი თავისი ხასიათით ქრისტიანული კაცთმოყვარეობის განსახიერებაა“ (ასათიანი 2002: 386). ლუხუმი ის კაცია, რომელსაც თვით ურჯულო ლეკიც კი ებრალება სიკვდილისათვის. ძველი ძმობილი, ზეზვა გაფრინდაული, მოაგონებს მას, თუ როგორ „მოუწყლიანდა თვალები“ ერთ-ერთი ბრძოლის დროს ლეკის სიკვდილის ხილვისას. ზეზვასათვის გაუგებარია ლუხუმის ამგვარი მგრძნობელობა. იგი თავის პოზიციას ამგვარად ასაბუთებს:

„მე არ მებრალვის, ლუხუმი,
მოუნათლავი აროდის,
მაგათ სიწუნტის ნაღველი
ყელში დუღილით ამოდის.
ვისაც ჩვენ არ ვებრალეებით,
ჩვენ შავიბრალეთ რისადა?
სიკვდილი თვითონ უფალსა
გაუჩენია მტრისადა!“
(ვაჟა-ფშაველა 2009: 233)

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების, ბრძოლის სისასტიკე ამართლებს ზეზვას მორალს და ლუხუმიც არ ეკამათება მას, ამ უკანასკნელის თვალთახედვა უფრო ღრმაა, უფრო ჰუმანურია. ეს ცნაურდება ნაწარმოების ფინალში. ომში მძიმედ დაჭრილი ლუხუმის კენესა საზარელი არსების, „ჯაგრიტ მოსილი“, „ბევრი ცოდვების მოქმედი“ გველის ყურადღებას მიიპყრობს. ადამიანთა მოდგმის დაუნდობელ მტერში სულთმოზრმავი მეომრის ხილვისას მოულოდნელად იღვიძებს სიბრალულის განცდა:

„გველს შაებრალა ლუხუმი
 მისკე წავიდა ზღაზვნიითა...
 დაფიქრდა გველი ძლიერად,
 გული ევსება ბრალითა.
 ბევრის ცოდვების მოქმედსა
 გადაუბრუნდა გუნება:
 რა სიბრალულით იმსჯეალვის
 მისი გველური ბუნება!“
 (ვაჟა-ფშაველა 2009: 242)

ლუხუმის მხილველმა გველმა „ბოროტების გზა გაუშვა“, მოასულიერა დაჭრილი და უპატრონა მას, სანამ არ გამოაჯანმრთელა. პოემის აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით მართებულად გვესახება თამაზ ვასაძის თვალსაზრისი: „არ არის შემთხვევითი, რომ გველის სასწაულებრივ სიბრალულს იწვევს სწორედ ლუხუმი - ადამიანი, რომელიც სიბრალულის უჩვეულო უნარს ამჟღავნებს... ლუხუმს გველის იდუმალი თანაგრძნობა ერგო იმიტომ, რომ თვითონ ის თანაგრძნობის არაჩვეულებრივი ნიჭით არის აღსავსე.. „ბახტრიონის“ ფინალი „სტუმარ-მასპინძლის“ დასასრულის მსგავსია: ორივეგან ცხოვრებაში გამჯდარ მტრობას, აგრესიას, სისხლის წყურვილს და სისასტიკეს ფანტასტიკურ-მითოსურ, იდეალურ სფეროში გადაძალავს თანაგრძნობა და სოლიდარობა“ (ვასაძე 2010: 98-99).

ამგვარადაა გაშუალებული ნაწარმოებში შურისძიების მოტივი სიბრალულის გრძნობით. ვაჟა-ფშაველას რწმენით, დაუშვებელია, ადამიანი დააბრმავოს შურისგების წყურვილმა, იგი არ უნდა იქცეს საზოგადოების საარსებო პრინციპად. შურისძიების აქტს მხოლოდ ღირსების ისეთი შელახვა ამართლებს, რომელიც არავის ეპატიება. კაცის კვლა, მტრისათვის ანგარიშის გასწორება გამოუვალ ვითარებაში, თავდაცვითი ბრძოლის დროსაა გამართლებული. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს მორალური აზრი სისხლისღვრას. ასეთი რაინდული, ქრისტიანული ცნობიერებაა ლუხუმის ეთიკური მრწამსის საფუძველი. ამიტომაც, რომ ამ უმაღლესი ზნეობის ადამიანს კაცის კვლა სიხარულსა და ტკბობას კი არ ანიჭებს, არამედ დიდ შინაგან ტკივილს.

ვაჟა-ფშაველას გმირები მაღლდებიან მტრისადმი თავისთავადი სიძულვილის გრძნობაზე. მათ აქვთ უნარი დაინახონ და დააფასონ მოწინააღმდეგის ღირსება. ვაჟა-ფშაველა გვიჩვენებს ადამიანური ყოფის იმ ტრაგიზმს, რომ სამწუხაროდ ხშირად ღირსებითა და ვაჟკაცობით სწორფერი რაინდები მტრულ ბანაკებში ირიცხებიან. ამიტომაც შეგვახსენებს დიდი პოეტი „ერთუროთის დანდობის“ აუცილებლობას.

ლიტერატურა:

1. **ასათიანი 2002:** ასათიანი გურამ, თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 2002.
2. **ბეჟიტაძე 1982:** ბეჟიტაძე მარინე, შურისძიების მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, ვაჟას კრებული, ტ. II, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 1982, გვ. 172-202.
3. **ბეჟიტაძე 1991:** ბეჟიტაძე მარინე, ვაჟა-ფშაველას პოემა „სისხლის ძიება“, ვაჟას კრებული, ტ. III, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 1991, გვ. 159-169.
4. **ევგენიძე 2003:** ევგენიძე იუზა, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 2, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2003.
5. **ვასაძე 2010:** ვასაძე თამაზ, ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში, თბილისი, 2010.
6. **ვაჟა-ფშაველა 1964:** ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1964.
7. **ვაჟა-ფშაველა 2006:** ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. 1, თბილისი, 2006
8. **ვაჟა-ფშაველა 2008:** ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. 2, თბილისი, 2008
9. **ვაჟა-ფშაველა 2009:** ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. 3, თბილისი, 2009
10. **ვაჟა-ფშაველა 2010:** ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. 4, თბილისი, 2010.
11. **ქიქოძე 1947:** ქიქოძე გერონტი, ქართული ლიტერატურის ისტორია - XIX საუკუნე, თბილისი, 1947.

Levan Beburishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
THE CONCEPT OF ENEMY IN VAZHA PSHAVELA'S LITERARY WRITINGS
RESUME

For understanding Vazha Pshavelas ethical beliefs, it is important to consider the concept of Enemy in his literary writings. Vazha Pshavela declared the love to be the boundless feeling, which doesn't recognize the religious and ethnical borders, but at the same time the highly significant place is occupied by the theme of the revenge in his creative works.

The idea of meeting the enemy with hostility is clearly expressed in the poem "Bakhtrioni". Here the revenge is motivated by the fact of insulting the personal, national and religious dignity. In Vazha Pshavela's writings the act of revenge, having been conditioned by the patriotic motivation, is originated in the defensive instinct, but in the process of development it assumes the social function and the latter turns into the main driving force of its. That's why, it becomes the universally acknowledged moral norm, which is handed down from generation to generation. It's worth considering that in the same poem the sense of revenge is balanced by the motivation for the feeling of compassion: "The senseless man is dead, he is even much more horrific than the dead". "The end of "Bakhtrioni" and "Host and Guest" are similar: in both of the stories the hostility, the thirst of blood and cruelty existing in life are defeated by the sympathy and solidarity in the fantastic- mythical and ideal fields.

მაია ბოლაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ანდრეა პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
რუსუდან ბერიძე
საქართველოს უნივერსიტეტი

დიალექტი დედანსა და თარგმანში
(დ. ჰ. ლორენსის მცირე პროზის მიხედვით)

თარგმანმცოდნეობაში ნებისმიერი ენის დიალექტის დედნიდან (ST) სამიზნე ენაზე (TL) ტრანსფორმაციის საკითხი ერთ-ერთი რთული და გადაუჭრელი პრობლემაა, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ეროვნების თარგმანის თეორეტიკოსთა თუ პრაქტიკოს მთარგმნელთა უამრავი ნაშრომი მიეძღვნა, რომელთა შორის განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია ისეთ მეცნიერთა ფუნდამენტური კვლევები, როგორიც არიან დილერი და კორნელიუსი (1978), ჯ.ს. კეტვორდი (1965), ჰატიმ და მეისონი (1990), ჰენრი ტრუგილი (1990) და მონა ბეიკერი (1992).

ვიდრე მხატვრულ ტექსტებში და მათ თარგმანში დიალექტის გამოყენებისა და მისი თარგმნის შესახებ გამოვლენილ პრობლემებზე მსჯელობას შევუდგებოდეთ, საჭიროა განვმარტოთ თვითონ დიალექტის ცნება. დ. კრისტალის მიერ შედგენილ "The Cambridge Encyclopedia of Language" (1987)-ში ვკითხულობთ: "A language variety in which the use of grammar and vocabulary identifies the regional or social background of the user" ანუ „დიალექტი არის გარკვეული ლიტერატურული ენის არასტანდარტიზირებული ვარიანტი, მისი რეგიონალურ-კუთხური ან სალაპარაკო ფორმა, რომელიც ამავე ენის სხვა დიალექტებისგან გარკვეული რაოდენობის ლექსიკური, სინტაქსური თუ ფონეტიკური თვისებებით განსხვავდება. მას იყენებს მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილი, თუმცა იგი ძირითადად გასაგებია სტანდარტული ენის მატარებლისთვის“. აღნიშნული განმარტების მიხედვით დიალექტი ენის მრავალფეროვნებაა და უამრავი სახის ენის სხვადასხვაგვარობა არსებობს.

დილერი და კორნელიუსი თავიანთ წიგნში „ლინგვისტური პრობლემების თარგმანი“ ("Linguistische Probleme der Übersetzung", 1978), ენის მრავალსახეობის ორ ტიპს განასხვავებენ ერთმანეთისგან, სახელდობრ „მუდმივ და შემთხვევით სალაპარაკო ვარიანტებს“. მათი აზრით, „შემთხვევითი“ ვარიანტები წარმოთქმულის უშუალო პროცესში იზადება და მოსაუბრის სტანდარტული ენისთვის არ არის დამახასიათებელი. ჯ.ს. კეტვორდი დიალექტის ამგვარ განმარტებებს დროის განზომილებასაც უმატებს და ასეთი სახით წარმოგვიდგენს: "A language variety related to the performer's

provenance or affiliation in a geographical, temporal or social dimension” (85). „ენის სხვადასხვაგვარობა, რომელიც დაკავშირებულია მოსაუბრის წარმომავლობა-ცხოვრებასთან გეოგრაფიულ, დროებით ან სოციალურ განზომილებაში“. დროებითი დიალექტი ის ნაირსახეობაა, რომელიც ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდებთანაა შესაბამისობაში და მისი ნათელი მაგალითებია ძველი, შუა და თანამედროვე ინგლისური.

ზემოთ აღნიშნული ნაშრომის მე-13 თავში „ენის ნაირსახეობა თარგმანში“ („Language Varieties in Translation“), ჯ.ს. კეტფორდი ერთმანეთისგან განასხვავებს მარკირებულ და არამარკირებულ დიალექტებს. მარკირებულ დიალექტს სტანდარტული ენა მიეკუთვნება და აქვე დიალექტის თარგმანში ტრანსფორმაციის სამ შესაძლოა ხერხსაც გვთავაზობს: „თუ სამიზნე ენაში არამარკირებული დიალექტის შესაბამისი ეკვივალენტი არ არსებობს, მთარგმნელმა: 1) სამიზნე ენის რომელიმე გარკვეული დიალექტი უნდა შეარჩიოს; 2) ახალი „ლიტერატურული“ დიალექტი უნდა შექმნას; 3) ან სხვა მეთოდებს უნდა მიმართოს (ჯ.ს. კეტფორდი, 87). მის მიერ შემოთავაზებული პირველი ორი მეთოდი ასევე განხილული აქვთ ჰატიმსა და მისონს წიგნში „მჭერმეტყველება და მთარგმნელი“ („Discourse and the Translator“): „ორიგინალიდან სამიზნე ენაზე სტანდარტით თარგმნას თავისი ნაკლი აქვს, რადგან ის განსაკუთრებული ეფექტი რაც მას ორიგინალში გააჩნია, თარგმანში იკარგება, მაშინ როცა დიალექტის ისევე დიალექტით თარგმნამ შესაძლოა გაუთვალისწინებელი ეფექტების რისკი გაზარდოს“.

ჰატიმისა და მისონის აზრით, ევროპულ ენებზე დიალექტის ასევე დიალექტით ტრანსფორმაცია ძალზე იშვიათად გვხვდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიალექტი ჩვეულებისამებრ სამიზნე კულტურის სტანდარტული ენითაა ჩანაცვლებული. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა თავიდან გვაცილებს დიალექტის თარგმნის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს. ამ თვალსაზრისით აღნიშნული გადაწყვეტილება უსაფრთხო და სანდოა. თუმცა დიალექტის სტანდარტული მეტყველებით ჩანაცვლებამ შესაძლოა თარგმანის ხარისხზე საზიანო გავლენა მოახდინოს, რადგან თვით დიალექტის ეფექტი, რომელიც გარკვეულწილად ნაწარმოების მოქმედ პირთა სოციალურ მდგომარეობაზე, მათ ზოგად ინტელექტზე, ასევე ავტორის მსოფლმხედველობასა, მისი ოსტატობის უნარზე დაწერის განსაკუთრებულ სტილზე მიგვანიშნებს. მთარგმნელის უპირველეს მოვალეობად ზუსტადაც ამ განსაკუთრებულობისა და ეფექტისადმი ერთგულება მიგვაჩნია, რადგან დიალექტის გვერდის ავლით ან თარგმანში მისი სტანდარტული ენის ჩანაცვლებით, ეფექტები სავსებით იკარგება და შედეგად შესაძლოა სრულიად განსხვავებული, ახალი მხატვრული ტექსტი მივიღოთ.

თითოეული ენა და მისი ნაირსახეობაც მჭიდროდაა დაკავშირებული იმ კულტურულ ფესვებთან, სადაც მისი რეალიზება ხდება და ამის გათვალისწინება აუცილებელია მთარგმნელის მიერ, როცა გადაწყვეტს საერთოდ გამოტოვოს თუ რაიმე სხვა ხერხი ეძიოს დიალექტის თარგმნისას. დიალექტის ენა უამრავ ისეთ კულტურულ ნიშანს შეიცავს, რომლის გადატანაც სამიზნე ენაზე ხშირად შეუძლებელია. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მთარგმნელმა უარი თქვას და თავი აარიდოს ნებისმიერი დიალექტის თარგმნას.

შემდეგი ანუ მეორე მოსაზრება, დიალექტის სამიზნე ენაში არსებული ყველაზე შესაფერისი დიალექტით ჩანაცვლებაში მდგომარეობს: „როცა წყარო ენის ტექსტის დიალექტით დაწერილი ნაწყვეტები სტანდარტულით შესრულებულს აღემატება (მაგ; რომანის დიალოგები), მთარგმნელს შეუძლია, რომ სამიზნე ენაზე არსებული რომელიმე დიალექტი შეარჩიოს და ასე შეასრულოს თარგმანი“ (87). ამ პროცესში წყარო ენის დიალექტის ფუნქციის შესწავლა აუცილებელია. თუმცა, თუ ორიგინალის ტექსტში, მაგალითად, ჩრდილოეთ ინგლისური დიალექტია გამოყენებული, მაშინ თარგმანში სამიზნე ენის მხოლოდ იგივე მხირის დიალექტით ჩანაცვლება არ იქნება საკმარისი.

ჯ.ს. კეტფორდის მიერ შემოთავაზებულ დიალექტის თარგმანში ტრანსფორმაციის მესამე ხერხს მისი არარსებული, ლიტერატურული დიალექტით ჩანაცვლება წარმოადგენს, რომლის გამოყენება მაშინ შეიძლება, როცა მთარგმნელი სამიზნე ენაზე შესაფერისი დიალექტს ვერ მოძებნის.

დილერი და კორნელიუსი მიიჩნევენ, რომ ყველაზე რთული სათარგმნი გეოგრაფიული დიალექტებია. რეგიონალური დიალექტისთვის ეკვივალენტის შერჩევა ძალზე რთულია. მთარგმნელი ვერასდროს შეძლებს სამიზნე ენაზე რეგიონალური დიალექტის ყველა იმ ასპექტის მოძიებას, რომელიც წყაროენისთვისაა დამახასიათებელი და იძულებული გახდება, რომ ნათარგმნ ტექსტში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოს ან რეგიონალური დიალექტისთვის დამახასიათებელი ნიშნები საერთოდ გამოტოვოს. ქვეყნების უმრავლესობას სხვადასხვა რეგიონები და შესაბამისად სტერეოტიპები გააჩნია. მთარგმნელთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ სოციალური დიალექტის ტრანსფორმაცია იოლია. ბევრ კულტურაში სხვადასხვა სოციალური ფენების მეტყველება სტანდარტული ენისგან დიდად არც განსხვავდება. თუ რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელია მოსაუბრე და რომელ რეგიონში ცხოვრობს, - ამის გარჩევა სირთულეს არ წარმოადგენს. სწორედ ამიტომაცაა მართებული მთარგმნელის მიერ დიალექტის ფუნქციის შესწავლა, წყარო ენაში არსებული დიალექტის როლის გააზრება და შემდეგ

მისი სწორი ვარიანტის შერჩევა სათარგმნო ტექსტისთვის. სათარგმნო დიალექტზე მოქმედი პირი ლაპარაკობს და არა მთხრობელი. მაშასადამე, ის პერსონაჟის იდენტობის აღმნიშვნელი ნიშანია, რომელიც მწერლის მიერაა შექმნილი და სხვადასხვა მოქმედ პირებს ერთმანეთისგან განასხვავებს. ამგვარად, დილერსა და კორნელიუსს თარგმანში დიალექტების შენარჩუნება სრულყოფილი თარგმანის აუცილებლობად მიაჩნიათ, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ძალზედ საინტერესო მოსაზრებას გვიზიარებს თარგმანის ცნობილი ქართველი თეორეტიკოსი, პრაქტიკოსი მთარგმნელი, პროფესორი ნ. საყვარელიძე. აი, რას წერს იგი თავის ნაშრომში „თარგმანის თეორიის საკითხები“ (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები): „ენის ვარიანტულობის ისეთი სახეობის ტრანსპოზიცია თარგმანში, როგორიცაა ლოკალურ-ტერიტორიული დიალექტი, განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს. თუ, ერთი მხრივ, სასურველი არ არის ორიგინალის ნაციონალური სპეციფიკის სრული განეიტრალება, ასევე არასასურველია გადაჭარბებული ეგზოტიზმიც და მით უფრო სასურველია ორიგინალის დიალექტურ ფორმათა ანალოგიზაციის მიზნით თარგმანის ენის კილოკავთა ზედმეტი აქტივიზაცია და მკითხველისთვის უცხოური ეროვნული გარემოს ილუზიის შექმნის ნაცვლად, მშობლიური ეროვნული გარემოს სურათის დახატვა“.

ჩვენ არ ვიზიარებთ თარგმანის რამდენიმე თეორეტიკოსის მოსაზრებას ორიგინალში არსებული დიალექტის თარგმანში სრული იგნორირების შესახებ ან ასევე მისი სამიზნე ენაზე არსებული რომელიმე დიალექტით ტრანსფორმირების გადაწყვეტილებას, რადგან მისი უარყოფა მკითხველს სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეუქმნის ამ დიალექტით მოსაუბრე პერსონაჟის სოციალურ წარმომავლობასა თუ მის ხასიათზე. თარგმანს ვერ ექნება ის სასურველი და საინტერესო ელფერი მეტ-ნაკლებად მაინც, რაც მას ორიგინალში გააჩნია და მთარგმნელის დედნისადმი ერთგულების მოთხოვნაც დაირღვევა. რაც შეეხება მეორე ხერხს, რომელიც დიალექტის ისევ რომელიმე დიალექტით თარგმნას გულისხმობს, ამ შემთხვევაში, ქართული ენის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მართებულად არ მიგვაჩნია რომელიმე კუთხური მეტყველების, მაგ; ქართლის, კახურის, გურულის და ა. შ. კონკრეტულად რომელიმე დიალექტის გამოყენება, რადგან ენაში არსებული დიალექტებიდან არ შეიძლება, რომ რომელიმე მათგანი იყოს დანარჩენზე უპირატესი და დომინანტი. ამიტომაც, სავსებით ვიზიარებთ ქალბატონ ნ. საყვარელიძის მოსაზრებას, რომ „პერსონაჟის დიალექტური მეტყველების ტრანსპოზიციისას თარგმანში საჭიროა გამოინახოს ისეთი ზომიერი და ქართული კოლოროტით შეუფერავი საშუალებები, რომლებიც მარტოდენ მიგვანიშნებენ პერსონაჟის მეტყველების სუბსტანდარტულ ხასიათზე“ ანუ მთარგმნელმა რაღაც „ოქროს შუალედის“ მსგავსი რამ უნდა გამოძებნოს, რათა არ დაამახინჯოს დედნის ტექსტი, შეუნარჩუნოს მას წყარო ენის სტილისტურ-ესთეტიური მუხტი და მკითხველს მისცეს საშუალება მშობლიურ ენაზე წაკითხული ისევე აღიქვას და გაიაზროს, როგორც ორიგინალის მკითხველმა.

დიალექტის თარგმანში ტრანსფორმაციის პრობლემებზე მსჯელობისას და განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ევროპული ენებიდან, კერძოდ, - ინგლისური ენის რომელიმე დიალექტიდან ქართულ ენაზე თარგმნას, შეუძლებელია არ ავღნიშნოთ ცნობილი შექსპიროლოგის, ინგლისური ლიტერატურის მკვლევართა მეტრის, პროფესორ ნ. ყიასაშვილის ის უნიკალური მიგნება და ექსპერიმენტი, რომელიც მან ჯ. ჯოისის „ულისეს“ მშობლიურ ენაზე თარგმნისას გამოიყენა და პრაქტიკოს მთარგმნელთა ერთგვარ გზამკვლევად იქცა. გამოჩენილი ქართველი თეორეტიკოსი და გერმანული ლიტერატურის უზადლო მთარგმნელი ქ.-ნი დალი ფანჯიკიძე თავის უკვე სახელმძღვანელოდ ქცეულ წიგნში „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“, ვრცელ თავს უძღვნის ბატონ ნიკო ყიასაშვილის ფასდაუდებელ ღვაწლს ქართული მთარგმნელობითი სკოლის განვითარების, კერძოდ, ჯეიმს ჯოისის რომანის „ულისეს“, როგორც სათარგმნად ერთ-ერთ ურთულესად მიჩნეული ნაწარმოების ქართულ ენაზე ბრწყინვალედ ამეტყველების საქმეში: „ნიკო ყიასაშვილმა შექმნა ახალი სტილისტური სისტემა, ფაქტობრივად მან გაკაფა გზა ჯოისის თარგმნის სფეროში და მის მომავალ მთარგმნელებს დაუტოვა ზუსტად მიგნებული ორიენტირები“.

რაში მდგომარეობს ეს მიგნება თუ ექსპერიმენტი? იმ 32 მწერლის შესატყვისად, რომელიც ჯ. ჯოისის „ულისეში“ წარმოდგენილ უამრავ მოქმედ პირთა დასახასიათებლად და მათი მეტყველების უკეთ წარმოსაჩენად აქვს გამოყენებული, „ბატონმა ნიკომ ვასილ ბარნოვს, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერეკლე ტატიშვილსაც კი მიმართა“ (თ. კობახიძე, „ნ. ყიასაშვილი, -ჯ. ჯოისის „ულისეს“ მთარგმნელი“) და თითოეულ პერსონაჟს განსხვავებულ ქართველ მწერალთა სახასიათო ენა მოუძებნა. როგორც თავად ჯ. ჯოისი წერდა „დიალექტის, ჟარგონის, გაუნათლებელი მეტყველების, ირლანდიურის, პრიმიტიული წირვის, ამერიკანიზმებისა და მისთანათა საზარელნარევს“. აი, მოვუსმინოთ თუ როგორ ჟღერს ბაკ მაღიგანის, -ნაწარმოების ერთერთი საინტერესო

და არაორდინალური გმირის საუბარი: „მკლავგადასკვანჭულებმა, ყველამ ერთად მოხია და ყაყანით ჩაირიხინა ქუჩა, შევუბეროთ. ნადი მოგზაურები...“

ჩვენ კი დავძენთ, რომ ბატონ ნიკოს მიერ მიღებული მთარგმნელობითი მეთოდი და ჩატარებული ექსპერიმენტი არა მარტო ჯოისის სხვა ნაწარმოებების შემდგომში თარგმნისთვისაა ღირებული, არამედ ამ ხერხით ასევე სავსებით შესაძლებელია ითარგმნოს დევიდ ჰერბერტ ლორენსის ზედმიწევნით ეკლექტიკური, ისტ-მიდლენდურ-ნოტინჰემშიარული დიალექტებით დატვირთული, იდიომებით, ფრაზეოლოგიზმებითა თუ სტილისტური ალუზიებით გაჯერებული, თუმცა ესთეტიურად მომხიბლავი, დიდი თუ მცირე პროზის ნიმუშთა ტექსტობრივი ქსოვილებიც.

დევიდ ჰერბერტ ლორენსი 1885 წლის 11 სექტემბერს დაიბადა ისთვუდში, ნოტინჰემშიარში, რომელიც მდაროელთა დასახლებას წარმოადგენდა და აქ გავრცელებულ სალაპარაკო დიალექტსაც ისტ-მიდლენდური ან უბრალოდ ნოტინჰემშიარული დიალექტი ეწოდება. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მწერალი სწორედაც მდაროელი მამის ოჯახში გაიზარდა, მისი და მისი მეზობლებისა თუ ახლობლების სალაპარაკო ენასაც ეს დიალექტი წარმოადგენდა და ძირითადად ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილიც დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა ცხოვრების, მათი შინაგანი ფსიქიკური მდგომარეობისა თუ ყოფიერებისადმი თავისთავადი ფილოსოფიური მიდგომების ამბავს მოგვითხრობს. ასე, რომ ისტ-მიდლენდურ დიალექტს, რომელიც თავის მხრივ ნოტინჰემშიარული და დერბიშიარული ნაირსახეობებისგან შედგება, არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ სოციალურ-კონოტაციური მნიშვნელობაც გააჩნია და მისთვის შემდეგი თავისებურებებია დამახასიათებელი:

1. განსაზღვრული არტიკლი

განსაზღვრული არტიკლის შემოკლებული ფორმა, ჩვეულებრივ *th*;

“She orth *th*’best o’*th* bunch of ‘em”

“What d’yer stand gassin’ on *th*’causeway for?”

2. დამხმარე ზმნის გამოტოვება კითხვით წინადადებაში:

1) “You want to come out to Sydney with me, lad?”

2) “you’d marry her-getting a divorce -?”

3) “Going up? -he asked”

2. წინადადების არასწორი წყობა:

1) “There from the table under the window rose a tall, slim girl”;

2) “And there came into his bearing, into his eyes, the curious smile of passion.”

3. ნაცვალსახელები

ა) პირის ნაცვალსახელები:

მეორე პირის მხოლოდითი რიცხვის პირის ნაცვალსახელის მაგივრად გვხვდება ისეთი ფორმები, როგორიცაა **thou** (და შემოკლებული ფორმა **ter**), **thee**, **thy**, **thine**, **thysen**:

“Are **ter** coming, lad?”

ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელი **our**, როგორც ნათესაობის აღმნიშვნელი:

“**Our** sermon-lapping Adela and Maud”.

4. რიცხვითი სახელი

ზომის გამომხატველი არსებითი სახელების გამოყენება არამარკირებული მრავლობითი რიცხვითი სახელის შემდეგ:

“Not **four foot** of space, there wasn’t-yet it scarce bruised him”

“**That’s three of** ‘em gone!”

ასეთივე საინტერესო მაგალითები გვხვდება უარყოფის გამომხატველ სიტყვებსა და გამოთქმებში, ზმნის ფორმების, ხმოვნებისა თუ თანხმოვნების გამოყენებაში.

ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, აქვე გთავაზობთ ჩვენს მიერ არცთუ ისე დიდ ხნის წინათ ქართულ ენაზე თარგმნილ დევიდ ჰერბერტ ლორენსის ნოველას „ცთომილი წუთისოფელი“ (“The Primrose Path”), რომელიც სწორედაც რომ ბატონ ნიკო ყიასაშვილის მიერ შემოთავაზებული მთარგმნელობითი მეთოდის გამოყენების მცდელობაა, თუმცა რამდენად სრულყოფილი და ღირებული, - ამის გარკვევა მკითხველისა და ექსპერტთათვის მიგვინდია.

დავიწყოთ იქიდან, რომ ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი, დენიელ სატონი, საკუთარი ოჯახისგან ერთი გათამამებული, ფუქსავატი კაცია, რომელსაც დროსტარების, ქალების, ძაღლებისა და ჩიტების გარდა არაფერი ადარდებს. ორჯერ დაქორწინებული, ისევ ოჯახის გარეშეა დარჩენილი და თავისზე გაცილებით ასაკით პატარა გოგოსთან და მისდედასთან ერთად ცხოვრობს. ადამიანებისადმი მუდამ აგრესიული და რეალობის მიმართ უარყოფითად განწყობილი, სიკვდილის გაუნელებელი

შიშითაა შეპყრობილი, თუმცა ძალიანაც ცდილობს, რომ არ შეიმჩნიოს. მოთხრობის სათაურიც, - „ცთომილი წუთისოფელი“ (“The Primrose Path”) მთავარი მოქმედი პირის ცხოვრების წესიდან გამომდინარეა შერჩეული, რადგან იდიომატური გამოთქმა “The Primrose Path”, ფუქსავატურ ცხოვრებას ნიშნავს და ამ დატვირთვით უშექსპირის ორ პიესაში, - „ჰამლეტსა“ და „ლედი მაკბეტშიც“ გვხვდება. დენიელ სატონის მეტყველება ძირითადად ისტ-ვუდური დიალექტითაა გადმოცემული, რაც პერსონაჟის ხასიათსა და მის ცხოვრების სტილზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. მოთხრობის თარგმნის პროცესში ჩვენ აღმოვჩნდით გარკვეული პრობლემის წინაშე, კერძოდ, მთავარი მოქმედი გმირის საუბარი უნდა გვეთარგმნა ისე, რომ ორიგინალში არსებული ის განსაკუთრებული ელფერი და კოლორიტი, რომელიც სწორედამ რომ პერსონაჟის მეტყველების საშუალებითაა შექმნილი, რადგანაირად თარგმანშიც უნდა შენარჩუნებულიყო, რათა ქართველ მკითხველს დენიელ სატონის პიროვნებაზე სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, ორიგინალში წამკითხველის მსგავსი აზრი უნდა შექმნოდა. ამიტომაც, მივმართეთ ბატონ ნ. ყიასაშვილის მიერ მიგნებულ იმ მთარგმნელობით მეთოდს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და ჟარგონის დახმარებით გავართვით თავი ამ მეტად რთულსა და სერიოზულ საკითხს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ როგორც ცნობილი და საზოგადოდ მიჩნეულია, მხატვრულ თარგმანს იმ ეპოქის კვალი უნდა ეტყობოდეს, როცა შეიქმნა და ამიტომაც მივმართეთ თანამედროვე ქართულ ჟარგონს.

საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს აღნიშნული მოთხრობის ჩვენს მიერ ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანიდან:

1. შდრ: “And how ‘re you going on, lad? he said loudly”

„და რას შეგები, ბიჭო?“ უთხრა ხმამაღლა.

2. შდრ: “The one I went to Australia with”

„იმან, ვისთან ერთადაც ავსტრალიაში დავახვიე“.

3. შდრ: “She got in with another fellow on the ship.”

„სხვა ახალგაზრდა კაცი იშოვა გემზე“

4. შდრ: “I was bad, and got lower an’ lower-couldn’t think what was up. I could hardly crawl about.”

„ვიბრიდებოდი და სულ უფრო და უფრო ვსუსტდებოდი, ვერ ვხვდებოდი, რა მჭირდა. ძლივსა და ვხვდებოდი.“

5. შდრ: “I cleared out-went to Sydney-“

„გზიდან ჩამოვშორდი, სიდნეიში ავიბარგე-“

6. შდრ: “No, I’m in a house of my own.”

„არა, საკუთარი ბაიტი მაქვს“

7. “I was clean on her first time I saw her”.

„დანახვისთანავე დამეგასა.“

8. “Come in an’ have a drink”.

„წამო, შევიდეთ და გადავკრათ!“

9. ‘_____’ luck’ said Sutton.

„რა გამისწორდა“, თქვა სატონმა.

10. “I s ’ll be back in ten minutes”, said the uncle.

„ათ წუთში აქ გავიჩითები“, თქვა ბიძამ.

ამას გარდა, ასევე საინტერესოა ახალგაზრდა ქალის დედის მეტყველება, რომელიც ნაწარმოებში სულ ორიოდვე წინადადებითაა წარმოდგენილი. მწერალი მის შესახებ ამბობს: „ამჟამად იყო, რომ მისი გრინველი მუშათა კლასიდან იყო. ამიტომაც, მასპინძლობა და რაიმე ოფიციალური მიღება მისთვის უცხო ხილი გახლდათ.“ ამ შემთხვევაში ჩვენ ქალბატონ ნელი საყვარელიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება გავიზიარეთ, რომლის მიხედვითაც „თარგმანის ტექსტის პრაგმატულ-ფუნქციონალური მოდიფიკაცია, ამ შემთხვევებთან დაკავშირებით, მიზანმიმართულია ზოგადპროვინციული ან, უფრო სწორად, მდაბიოური, არანორმატიული მეტყველების ეფექტის შექმნაზე მეორე ენის საშუალებით“ და მოხუცის მიერ სტუმრისთვის ნათქვამს “Will you have some soup?” ქართულ თარგმანში „წვნიანს ხომ არ მიირთმევთ“-ის ნაცვლად ასეთი შესატყვისი მოვუძებნეთ: „წვნიანს ხო არ შეჭამდი?“ რაც ჩვენის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სოციალურ მდგომარეობას და უწიგნურობას.

ამგვარად, ჩვენს მიერ განხილული მაგალითები საშუალებას გვაძლევს თამამად განვაცხადოთ, რომ მე-20 ს-ის გამოჩენილი ინგლისელი მწერლის, დევიდ ჰერბერტ ლორენსის მცირე პროზის ქართულად თარგმნა სრულიად შესაძლებელია იმ რამდენიმე ხერხის თუ მეთოდის საშუალებით, რომელთა ავტორებიც თარგმანის ცნობილი ქართველი თეორეტიკოსები ბრძანდებიან და ქართული ენის უნიკალურად მოქნილი ბუნებიდან გამომდინარე შესაძლებელი ხდება იმ განსაკუთრებული მუხტის, აზრისა თუ ელფერის შენარჩუნება თარგმანში, რაც მხატვრულ ნაწარმოებს ორიგინალში გააჩნია.

ლიტერატურა:

1. საყვარელიძე ნ., „თარგმანის თეორიის საკითხები (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები“), თბ., 2001;
2. ფანჯიკიძე დ., „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“, თბ., 2005;
3. J.C.Catford, “A Linguistic Theory of Translation”, Oxford University Press, 1978;
4. Hatim & Mason “Discourse and the Translator”, Oxford, 1980;
5. D. H. Lawrence, “Selected Short Stories”, New York, 1993.

Maia Bolashvili
Gori State Teaching University
Rusudan Beridze
University of Georgia

THE DIALECT IN ORIGINAL AND IN TRANSLATION (ACCORDING D.H. LAWRENCE SHORT PROSE) RESUME

The present study deals with some peculiarities of dialect translation from English into Georgian based on D.H. Lawrence's short fiction. These items are analysed according to the translating methods of the famous Georgian translation theorists, professors Niko Kiasashvili and Nelly Sakvarelidze. The short story “The Primrose Path” presented in our paper, is very interesting with its varieties of speech discoursed by its personages who are the representatives of the lower social class and the East-Midland dialect is dominant in their speech. This is our first attempt of dialect translation and the research about this problem will continue again in future.

მაია გელიაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თავისუფლების პარადიგმა ოთარ ჭილაძის ჩანაწერებში

თავისუფლებისათვის ბრძოლა ქართველი ერისთვის საუკუნეების განმავლობაში თანმდევ მოთხოვნილებად გადაიქცა. პეტერბურგიდან დაბრუნებულ ილია ჭავჭავაძეს თავისი ქვეყანა მოწამებობრივი სახით შემოჰყურებდა. მონობის უკუნი გადაჭარებოდა ყველაფერს. ამიტომაც დაიბადა მოწოდება: „ჩვენნი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“. ამისთვის ბრძოლას შეეწირა „ცის დანიშნული“ ადამიანი. ილია დარჩა მუდამ თანამედროვე თანმდევ სულად: „ილია ჭავჭავაძე ჯერ ისევ ჩვენთან არის, ჯერ საქართველოს ბაღას მისი სისხლი არ შეშრობია, ჯერ არ ჩამქრალა მის კუბოსთან ანთებული სანთელი, ჯერ არ გაციებულია მისი ნათელი შუბლი“ (ოთარ ჭილაძე) [1, 15].

ქართველ ერს არც მე-20 საუკუნეში შენელება თავისუფლებისთვის ბრძოლის სურვილი. ილიას იდეებით ნასაზრდოვებ ჩვენს მწერლებს ყოველთვის ჰქონდათ უკეთესი მოლოდინის რწმენა. თავისუფლებადკარგული ერი დათრგუნულია, მისთვის აღარ არსებობს ის ღვთაებრივი სურნელი, რომელიც მაცოცხლებელ ძალას წარმოადგენს. იმპერიული რუსეთი შეცვალა სოციალიზმმა, რომელიც თეოდორ დოსტოევსკიმ უღმერთოდ აშენებულ ბაბილონის გოდოლს შეადარა. ასეთ პირობებში ნებისმიერ ერს ემუქრება სულიერ უდაბნოში ცხოვრება. ხსნა სიტყვიდან უნდა წამოვიდეს. მწერლობამ უნდა შეძლოს იმ ტაძრის აშენება, რომელშიც ხალხი იპოვის საზრდოს გადასარჩენად. საბჭოეთს თავისი მკაცრი კანონები ჰქონდა, ამიტომაც შემოქმედს ხშირად უხდებოდა სათქმელი ალეგორიულ საბურველში გაეხვია და წარსულში გადაეტანა. ოთარ ჭილაძემ თავისი ერთ-ერთი რომანი ბიბლიური ფრაზით დაასათაურა და „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ უწოდა. იქ აღწერილი მოვლენები მწერლის თანამედროვე საქართველოს ნათელი სურათი უფროა, ვიდრე დროთა სიღრმეში დარჩენილი ტკივილისა: „საწყალობლად იმზირებოდნენ მთებზე გადმომდგარი, უომრად წამხდარი, განუწყვეტელი

ბიძგებისგან საძირკველშერყეული ციხე-კოშკები, გუმბათდაზარული ტაძრები, საიდანაც სამუდამოდ გადახვეწილიყვენ ქვეყნის მფარველი წმინდანები და ანგელოზები და ახლა მარადიული ცის მხოლოდ ნარჩენებია იყუჩებოდნენ თაღებში, ბუდემორღვეული მერცხლებივით... ღვთის გლახებივით დარცხვენილნი და ხელგაშვერილნი იდგნენ კედელზე მიხატული მეფეები, დიდებულები და გმირები, აწ გადაშლილი ქვეყნის მამები. ქვეყანა სოლჰასობილი მორივით იპობოდა“ [2, 344]. დამეთანხმებით, ალბათ, რომ მწერლის ამ სიტყვებს მიღმა ნათლად იხატება საქართველო, რომელსაც, როგორც დიდი ილია იტყოდა, დაკარგული ჰქონდა „ქვეყნის მაღლი-თავისუფლება“.

ოთარ ჭილაძის შემოქმედებით მემკვიდრეობაში არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები „ცა მიწიდან იწყება“. მასში თავმოყრილია მწერლის ჩანაწერები, რომლებიც არა მხოლოდ მისი პირადი ცხოვრების ანარეკლს წარმოადგენს, არამედ „ამ წიგნში, როგორც ნიჟარაში, მისი ხმაა თითქოს ჩარჩენილი, რომელიც აკომპანიმენტად არის თითქოს ქცეული გულახდილობის იშვიათი წუთებისა“ (თამაზ ჭილაძე) [3, 4]. მწერლის მართალ სიტყვას კი დიდი ფასი აქვს, მხოლოდ მკითხველისთვის კი არა, არამედ მთელი ერისთვის. საინტერესოა ოთარ ჭილაძის პარიზული დღიურები. „რკინის თეატრის“ პარიზში გამოსვლასთან დაკავშირებით ფრანგ მკითხველს მიმართავს: „იმედი მაქვს, კიდევ ერთი თავისუფალი ქვეყნის გამოჩენა მსოფლიო რუკაზე, უფრო საინტერესო იქნება ყველასთვის, ვიდრე შემაწუხებელი. მე მგონი, ზედმეტად დრამატიზირებულად არ მოეჩვენება ფრანგ მკითხველს ჩემი ნათქვამი, მით უფრო, ამბად მაინც თუ გაუგია იმ ქვეყნის შესახებ, რომელიც თითქმის მთელი თავისი არსებობის მანძილზე ერთადერთ მიზანს ემსახურება. და, ალბათ, ესაა მთავარი გამოსარჩევი თვისება - განუწყვეტელი, თავგანწირული სწრაფვა თავისუფლებისაკენ“ [3, 149]. ოთარ ჭილაძე მიანიშნებს იმაზეც, რომ დღევანდელ ადამიანს მხოლოდ ბიოლოგიური არსებობის უფლება არა აქვს, მან ყველაფერი უნდა გააკეთოს „მეორე ადამიანის ადამიანობის გადასარჩენად, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენივე მეობის, ჩვენივე თავისთავადობის გადარჩენას ნიშნავს“ [3, 150].

თავისუფლებამოპოვებულ საქართველოს ბევრი პრობლემა ჰქონდა და აქვს. მასზე თვალის არიდება დანაშაულია. ხალხმა უნდა გამოიჩინოს გონიერება, სწორი ხედვა, ალღო, რათა სამშობლო არ გაიწიროს. რიცხობრივად პატარა ერების ბედი გლობალური აღზევების ჟამს არც თუ ისე სახარბიელოა. ამიტომ გადარჩენის ძალა ისევ საკუთარ წიაღში უნდა ვეძებოთ. 1990 წელს ოთარ ჭილაძეს თავის დღიურში ჩაუნიშნავს: „ჩვენ თუ მართლა თავისუფლებისთვის ვიბრძვით, ჩვენ შორის ნებისმიერი დაპირისპირება - სოციალური იქნება ის თუ ინტელექტუალური-დაუშვებელია. ჩვენ ყველანი ერთად და ერთნაირად უნდა გავთავისუფლდეთ: ურწმუნონიც და მორწმუნენიც, უვიცნიც და მცოდნენიც, უცოდველნიც და ცოდვილნიც, უპოვარნიც და მდიდრებიც, უნიჭონიც და ნიჭიერნიც, პატრონიანიც და უპატრონონიც“ [3, 117]. თავისუფლება ის ფენომენია, რომელმაც არ შეიძლება მხოლოდ მოსახლეობის რომელიმე ნაწილი მოიცვას, მისით უნდა განიმსჭვალოს მთელი ერი. ის გარკვეულწილად დიდი მოვალეობაცაა. ბრძოლა სჭირდება არა მარტო მოპოვებისთვის, არამედ შენარჩუნებისთვისაც. მონური ფსიქიკისგან თავის დაღწევა კი იოლი არაა. მართებულად შენიშნავს ოთარ ჭილაძე: „ჯერ კიდევ ბევრ ჩვენიანს უჭირს საუკუნოვანი მონობის ტკბილად აქოთებული ლოგინის მიტოვება და დღემდე სჯერა ორი სამშობლოსი და ორი მშობლიური ენის არსებობის შესაძლებლობა. ასე რომ, როგორც არ უნდა გვეტკინოს გული, როგორც არ უნდა გვიჭირდეს ამის აღიარება, მიუხედავად ოფიციალური (ალბათ, უფრო ფიქტიური) განთავისუფლებისა, ჯერ კიდევ მონებად დავრჩით, თუნდაც გააზატებულ მონებად. გარკვეული შეზღუდვები თითქოს მოგვეხსნა, მაგრამ ჯერ არ ჩამოყალიბებულა და არც შეიძლება ასე უცებ ჩამოყალიბებულიყო ჩვენში პიროვნება, რომელმაც იცის, როდის როგორ მოიქცეს, რა სჯობს, არა მარტო პირადად მისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც“ [4, 25].

ოთარ ჭილაძეს მიაჩნია, რომ ეროვნული თვითშეგნების ბრძოლისთვის გამოღვიძებას, ერის გონზე მოსვლა უნდა მოჰყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება „უდღეური რესპუბლიკის რესტავრაცია გამოგვივიდეს“. მწერალი გვირჩევს, „თუ ყოველთვის გვემახსოვრება, რომ ყველაზე დიდი ბოროტება საერთოდ-სულით მონების თავისუფლება!“ [3, 107] დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართველმა ერმა უამრავი სიდუხჭირე გადაიტანა. ბევრმა ვერ გაუძლო ასეთ ცხოვრებას და გაექცა საკუთარ სამშობლოს, სხვა ქვეყანაში უკეთ მოეწყო, ხვალისდელი დღის აღარ ეშინია. ამას ღალატად არავინ უთვლის, პირიქით თავის გადარჩენის საუკეთესო საშუალებად და გამართლებად თვლიან. ნუთუ გამოსავალი მხოლოდ გაქცევაა? მაშ, ვინ უნდა ააშენოს თავისუფალი, ძლიერი ქვეყანა, თუ ყველამ წასვლა გადაწყვიტა. ოთარ ჭილაძეს მიაჩნია, რომ „საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაზე ვერაგული გამოსავალი ნახა საქართველოს მოსასპოვად-ქართველი „გაანთავისუფლა“ ქართველობისაგან, ანუ თანდათანობით დაუჩლუნგა, მოუსპო ეროვნული ღირსების გრძნობა. აქედან გამომდინარე, ქართველის „გადაჯდომა“ ძირგაბურღული ნავიდან (საქართველოდან!) სხვა, უფრო საიმედო „ნავში“ (რუსეთი, კვიპროსი, გერმანია, შვედეთი...), სამშობლოს ღალატად კი არ ითვლება, არამედ გადარჩენად, „ხალხში

გარეგანად“ [3, 165]. თავისუფალი საქართველოს საუკეთესო შვილები ემიგრაციაში არიან. რიცხოვნად ჩვენნი პატარა ერისთვის ეს დამლუპველია. ცილისწამება იქნებოდა, ალბათ, გვეთქვა, რომ მათ სამშობლო არ უყვართ. იქნებ აქ აღარ დარჩათ არსებობის სხვა გზა, უცხო ცა აირჩიეს, საკუთარი თავი გაწირეს სხვათა ერში აღსარევად. დიდი ილიასი არ იყოს ესეც ერთი „წყევლა-კრულვიანი საკითხავია“, თანაც ძალიან მტკივნეული. ეს ჩანაწერი კი 1998 წლითაა დათარიღებული: „დღეს დედამ ნასადილევის, ჩემი და თამაზის ჩვეულებრივი, თითქმის დაკანონებული კამათის შემდეგ, თქვა: ცოდოა ოთარი, სამშობლო უყვარსო. „რა ქნას, კარგი ადამიანია“ - დაამატა ცოტა ხნის მერე. ყველაფერი თქვა ამ ორი სიტყვით - ჩვენი კამათის უაზრობაც, ჩვენი უმწეობაც, ჩვენი გამოუვალი მდგომარეობაც...“ [3, 229]. ვისი ხედურია სამშობლოს სიყვარული? „კარგი ადამიანის“. ალბათ, ასეა, რადგან ზოგჯერ ეს გრძნობა ტკივილთანაა ნაზიარები, მოვალეობის სიმძიმე არ გაგიშვებს არსად, საკუთარ მიწას არ გაგაცვლევინებს უცხოში. სამშობლოს სიყვარული შეზრდილია დიდ შინაგან თავისუფლებასთან, რადგან მსგავსი განცდა არც ერთ ქვეყანაში არა გაქვს. ოთარ ჭილაძეს სწამდა, რომ „სამშობლო ერთადერთია და განუმეორებელი! მას ვერ გამოიგონებ, ვერც სურვილისამებრ აირჩევ-დმერთის საჩუქარია და ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, გვევალება კიდეც, გავუფრთხილდეთ, არ დავკარგოთ, რაკი სიცოცხლესთან ერთად გვეძლევა და სისხლივით, სულივით გადაეცემა ჩვენს შთამომავალს“ [4, 35].

თავისუფლება ბრძოლას მოითხოვს, ხშირად სისხლის დაღვრასაც. ამაში დაგვემოწმება ჩვენი ისტორია. „მე რომ ნება მომცენ, ასე წავაწერდი სამასი არაგველის ძეგლს: ომი წაგებული იყო, მაგრამ მონობას სიკვდილი ვარჩიეთ“ [3, 26]. ასე სწამდა ოთარ ჭილაძეს თავისუფლება, მის სამსახურში ყოფნა. მწერლის ჩანაწერებში მთავარი პერსონაჟი საქართველოა, მასზე ფიქრი ტკივილად ასხმულა დღიურებში, ყველგან დაინახავთ „სოლჩასობილი მორივით“ გაპოზილი ქვეყნის ცრემლს. სევდას. მაგრამ სტრიქონებს შუა მაინც მძლავრობს იმედის სხივი: „კაცმა რომ თქვას, განა უკეთესის მოლოდინი არ მალაპარაკებს ამდენს?! დიახ, ერთხელ კიდე ვადასტურებ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შემრჩა უკეთესის მოლოდინი. ქართული ფენომენი იმდენად უნიკალურია, მისი გაქრობა, მხოლოდ და მხოლოდ, ვიღაცის ნებასურვილით, ვინც არ უნდა იყოს ის ვიღაცა, რასაკვირველია, გარდა უფლისა, ყოვლად შეუძლებელია. ყოვლად დაუშვებელიც“ [4, 25].

დიდი სულხან-საბა ორბელიანი ასეთ განმარტებას გვამღევს: „თავის-უფალი, არავისი მონა“ [5, 295]. გაზეთ „ქომაგის“ კორესპონდენტთან საუბრისას ოთარ ჭილაძე ამბობს: „რაც შეეხება ჩემს მოქალაქეობას, მეც აველუმის მსგავსად, ოღონდ აველუმზე მეტადაც და აველუმამდეც, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს თავისუფალ და სრულუფლებიან მოქალაქედ ვგრძნობ თავს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ვერ ვგრძნობ თავისუფალ, სრულუფლებიან სახელმწიფოდ“ [1, 299]. ეს იყო სწორედ მწერლის დიდი შინაგანი თავისუფლება, რომლის თანადგომითაც ქმნიდა ძალიან მდიდარ შემოქმედებით მემკვიდრეობას.

ლიტერატურა:

1. ო. ჭილაძე, ბედნიერი ტანჯული, თბ., გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2003;
2. ო. ჭილაძე, რჩეული თხზულებანი 3 ტომად, ტ. II, თბ., 1986;
3. ო. ჭილაძე, ცა მიწიდან იწყება, თბ., გამომცემლობა „ინტელექტი“, 2015;
4. გაზეთი „კვირის პალიტრა“, წინ მარადისობაა, თბ., 2008;
5. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., გამომცემლობა „მაცნე“, 1991.

Maia Geliashvili

Sokhumi State University

THE PARADIGM OF FREEDOM IN THE WRITINGS OF OTAR CHILADZE RESUME

The fight for freedom was the demand for Georgian people. Ilia Cavchavadze, who was coming Petersburg asked Lelt gunia to say that „Ourseleves should belong to ourself“. The pain of this great thinkers is going on our century. The hope of Georgians revival is among our writer's not only artistic creativity but also the their writing's.

According to this the most interesting for the readers is „the sky starts from the ground“. Where his see national pains.

How many things you should remember that you never obey the enemies says the outhier.

To his mind Georgian is one of the oldest among other nations and everyone should fight for freedom. The writings of Otar Chiladze should be hardily consider as one of the most interesting part of his creativity.

He speaks about the laws of freedom. Which keeps not only the personality, but also preserve deserving of nation.

ვაჟა-ფშაველა და კოსმიური ერთმთლიანობის იდეა

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა დიდი ნაწილი სამყაროული ჰარმონიულობის, კოსმიური ერთმთლიანობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. მისი შემოქმედება რეალობის გარღვევისა და იდუმალების წვდომის დაუძლეველი ჟინითაა აღბეჭდილი. ამგვარი მსოფლგანცდა გარკვეულ ესთეტიკურ მომხიბვლელობას ანიჭებს შორეულს, მიუწვდომელს, შეუცნობელს – ტრანსცენდენტულს.

სწრაფვა მიღმური სამყაროს შეცნობისაკენ, სოფლისა და ზესთასოფლის კავშირის შემეცნება და ამ გზით ადამიანის სამყაროული ერთმთლიანობის მონაწილედ მოაზრებაა ვაჟა-ფშაველას, როგორც მწერლური, ისე პიროვნული მსოფლგანცდის არსი. „მიწისა და ცის ერთიანი „შემოქმედებითი ჭერეტა“, თუნდაც ცაზე „ვარსკვლავთა აყვავება“ („ღამე მთაში“) ანდა ასტრალურ მიზანსცენათა თავისუფალი მხატვრული ინტერპრეტირებანი („დამსეტყვე ცაო“, „რამ შემქმნა ადამიანად“) მხოლოდ ცის ბილიკზე ღირსეულად შემდგარ პოეტს – ვაჟა-ფშაველას ხელეწიფება“ (ელაშვილი: 2011:84).

„ცის ბილიკისაკენ“ აღმავალ გზას ვაჟა ღვთაებრივი ჰარმონიულობის განცდით მიუყვება. ამ ჰარმონიულ სრულყოფილებაში მონაწილეობს მთელი მატერიალური, ხილული სამყარო:

*წყალი ჩქევს, ხევი ჩატირის,
განა ერთი და ორია:
აქაც, იქ, იმის იქითაც,
საცა ფერცხალა გორია,
ღამაზი მთების ასულთა
ხმა ხმისთვის შაუწონია,
მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
უფალო, დაუმონია;
ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია!..
ხევი მთას ჰმონებს, მთა – ხევსა,
წყალნი – ტყეს, ტყენი – მდინარეთ,
ყვავილნი – მიწას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცენარეთ...
(„ღამე მთაში“)*

როგორც მოცემული ლექსიდან ჩანს, უზენაესი შემოქმედის მიერ შექმნილი მთელი ემპირიული სამყარო ერთმანეთს ემონება და ემსახურება. ამ საღვთო სიყვარულის ეპიცენტრს კი ადამიანი წარმოადგენს დაუძლეველი მისწრაფებით – მოყვასისა და ბუნების ტრფიალში, მის მსახურებაში დაიხარჯოს და ასე მიაღწიოს სრულყოფილებას, ღმერთს მიმსგავსებულობას:

*და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზედ ოფლ-გადამდინარედ!*

ვაჟას შემოქმედებითი ენერგია ყოფიერების ხიბლში თავდაჯერებული კაცის განცდათა სიმმაფრით იკვებება. მწერალთან, რომლის ცნობიერება ერთნაირი სისავსით სწვდება, როგორც იმმატერიალურ, ხილული რეალობის მიღმა არსებულ სამყაროს, ისე ხილულ, მატერიალურ, ემპირიულ სინამდვილეს, ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა კოსმიურ სიმაღლემდეა აყვანილი, რაც პოეტის სულს სიამოვნების დაუშრეტელი გრძნობით აღავსებს.

ლექსში „**ჩემი ვედრება**“ ფშაველი მგოსნის ალტრუიზმი ადამიანურ სამანს სცილდება. მწერლის ზაროვნების ნაკადი ყოვლისმომცველი ტოლერანტობისაკენ არის მიმართული და **ღვთაებრივი მადლის** გამოხატვა-გამოვლენას ემსახურება, გამომდინარე იქიდან, რომ ღვთაებრივი სიყვარული სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის გადმოღვრა-განფენა, მისი ემანაცია.

პოეტის უპირველესი და უმთავრესი სათხოვარი უფლისადმი ერთადერთია – სხვათათვის გაწეული სიკეთით დამაშვრალობა, ოღონდ იმ პირობით, რომ ქვაზე დადებული მადლის მოლოდინი სამუდამოდ გაუქროს გონებიდან:

*ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდამ
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში
მამყოფე შეუდრეკლად;
ვფხიზლობდე მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველად.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;
არ წამიხდინო, მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი.*

როგორც ვხედავთ, ამ მეტაფორულ ტაეპში: „ბალახი ვიყო სათიბი/ არა მწადიან ცელობა/ ცხვრადვე მამყოფე ისევა/ ოღონდ ამშორდეს მგელობა“ – სახარებისეულ გამოძახილს ვპოულობთ; ათი მცნებიდან ერთ-ერთი კომპონენტის სეკულარიზაციას – ქრისტიანული სწავლების კონკრეტული სეგმენტის საერო ცხოვრებაში დანერგვის მცდელობას ვხვდებით. „ნეტარ იყვენენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“ (მათე, 5,9) – გვმოდვრავს მაცხოვარი და ჩვენი პოეტიც ამ მოძღვრების არსით არის მოცული.

ვაჟა-ფშაველა მოყვასის სიყვარულს „წმინდა ხელობას“ უწოდებს. იგი იმისათვის ზრუნავს, რომ თავისი მიზნობრივი დრო სიკეთითა და სათნოებით წარმართოს და, რაც მთავარია, არასდროს დაკმაყოფილდეს სხვათათვის გაღებული მადლით:

*გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძლე, მოვკვდე მშიერი...
ნუ დამასვენებ ნურა დროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული.*

რატომ უნდა მიაჩნდეს პოეტს თავი ბედნიერად მხოლოდ მაშინ, როდესაც „შეძრწუნებული“ და „შეწუხებულია“? – ეს მდგომარეობა მას სულიერ აქტივობასა და პიროვნულ თავისუფლებას ანიჭებს.

*როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა, –
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.*

ამგვარი ქმედება პოეტში ღმერთთან მიმსგავსებულობის განცდას ბადებს. ამდენად, ლექსის უმთავრესი აზრობრივი შინაარსიც სახარებას პასუხობს: „ვითა მამა ცისა, იყავნ შენც სრულ“ – იყავით თქვენ სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია თქვენი ზეციერი მამა (მათე, 3,48).

როგორც ითქვა, ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება სიკეთის კეთების დაუძლეველი სურვილისა და იგავმიუწვდომელი ჰუმანურობის პიკია. მისი ასეთი პათოსი ღვთაებრივი მადლით არის მოსილი. მის ნაწარმოებებში მოყვასზე ზრუნვა, ადამიანური სიყვარულისა და სათნოების გამოვლინება ყოველთვის პრიორიტეტულია, ზოგადეროვნული და ზოგადსაკაცობრიოა, სადაც უკანა პლანზე ინაცვლებს ვიწრო, პიროვნული თუ პარტიკულარული ინტერესები.

ვაჟას შემოქმედებაში „ნაციონალური ჰერმეტიზმის გარღვევასთან“ გვაქვს საქმე (გომართელი:1997:11). რელიგიური თუ ადამიანური ტოლერანტობის უმაღლეს გამოვლინებას ვხვდებით „სტუმარ-მასპინძელსა“ და „ალუდა ქეთელაურში“. სწორედ ვაჟამ მიმართა ჩვენი აზროვნება იქითკენ, რომ ცუდისა და კარგის გარჩევა ეროვნულობისა და რელიგიურ-კონფესიური ნიშნით არ განისაზღვრება. ამიტომაც გადაიტანა მოქმედება სამუსლიმანოში და ზნეობრივ გმირებად განსხვავებული რელიგიის წარმომადგენლები დაგვისახა. აღნიშნულ საკითხს ეხმიანება ნაწყვეტი პოემიდან „ალუდა ქეთელაური“, სადაც ალუდა ცდილობს, ხევსურები სხვა რჯულის/სარწმუნოების შეურაცხყოფასა და უმართებულობაში დაარწმუნოს:

*ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოდ ჩვენ გვზრდიან დედანი,
ჩვენა ვცხონდებით ურჯულოთ
კუპრში მიელისთ ქშენანი.
ამის თემით ვწარამარაობთ
ღვთის შვილთ უკეთეს იციან
ყველანი მართალს ამბობენ,
განა ვინაცა ჰფიციან?!*

მოყვასის ბედნიერებისათვის ზრუნვა პოეტის მასულდგმულებელი წყაროა. სწორედ სიკეთისქმნადობა ასაზრდოებს მის შინაგან ბუნებას და აღმაფრენითა და სასოებით აღავსებს, თუმც ამგვარი პათოსი და მსოფლგანცდა ვაჟასთან არაერთგვაროვანია, არცთუ იშვიათად ვხვდებით განწყობათა მონაცვლეობას. მაჟორულ ტონალობას ზოგჯერ სკეპსისი და პესიმიზმი ენაცვლება. პოეტს ხშირად ახელებს ემპირიული ყოფის სივერაგე, რის გამოც მკაფიოდ გაისმის ხელჩაქნეული კაცის მოთქმა: „გზაარული დავდივარ და გულზედ ცეცხლი მედება“ („მთას იქით მთვარე ამოდის“). ასეთი განცდა მაშინ ეუფლება, როდესაც მისი სული ღვთაებრივი რწმენისაგან არის დაცლილი. ამ დროს ბუნებასთან სისხლხორცეული კავშირი სიცოცხლის ჟინით კი არ აღავსებს მგოსანს, არამედ ოდენ სევდის ნისლით იბურება მისი პოეტური აღმაფრენა:

*გაზაფხულს ია ამოდის,
სთველში ირემი ჰყვირისო,—
ეს ჩემი გული ტიალი
ისევ და ისევ სტირისო.
(„გაზაფხულს ია ამოდის“)*

ზოგჯერ უფრო რადიკალურ განცხადებასაც ვაწყდებით:

*თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს
სიკვდილი მიჯობს ცდაშია.
(„ქეიფი“)*

სულიერი და ეგზისტენციალური კრიზისია გადმოცემული ლექსში „იას უთხარით ტურფასა“:

*იას უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭმს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო.
ნუ ნახავს, მზესა, ინანებს,*

*განა სულ მუდამ მზეაო!
მიწავ, შენ გებარებოდეს
ეგ ჩემი ტურფა იაო.*

დაბრუნება შთაგონების ექსტაზიდან, იმ მიღმური, მეტაფიზიკური სამყაროდან, სადაც მგოსნის მისტიკური ოცნება შლიდა ფრთებს და შეჯახება რეალურ ყოფასთან საყრდენს აცლის მიწიერი შემოქმედის – პოეტის – აღმაფრენას. ისეთი ბუნებისთანაზიარი კაცისთვის, როგორც ვაჟა-ფშაველას, ეს პროცესი მტკივნეულია. ამგვარ იმედგაცრუებას, რაც პოეტის სულიერი ტანჯვის მიზეზად იქცა, როგორც აღინიშნა, ღვთაებრივი რწმენისაგან დაცლა-დაშორებულობა იწვევს.

რწმენის სიმტკიცეშერყეული კაცის სკეპსისია ასახული ლექსში „მთას ვიყავ“, სადაც ლირიკული გმირი მტკივნეულად განიცდის სამყაროული ერთმთლიანობისგან, ყოვლისმომცველი ღვთაებრივი სიყვარულისგან გათიშულობას. აქ ვხედავთ ვაჟას, ტრანსცენდენტულისკენ მიმსწრაფავ პოეტს, რომლის ირაციონალური წვდომის უნარიც მას შემდეგ იმსხვრევა, როცა მისი რწმენის სიმტკიცეს ზზარი შეეპარება:

*მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,
თვალთ-წინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლამარაკობდი ღმერთთანა.
საკეთილდღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა:
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მქონდა მეორე რჯულადა.*

მოცემულ ლექსში ლირიკული გმირის მრწამსი ორ ნაწილად არის გაყოფილი: რწმენის კრიზისამდე, როდესაც მგოსანი კოსმიური მთლიანობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა თავს და რწმენის კრიზისის შემდეგ, როდესაც ამ ერთიანობასთან მისი სისხლხორცეული კავშირი გაწყდა და ორგანულად დაშორდა მას. მიწიერ შემოქმედს ახალგაღვიძებული სინდისივით ქენჯნის ამ გაორებული გრძნობის ზიდვა. ამიტომაც დაუცხრომელ ჭიდილს დაუსადგურებია მის არსებაში – სული ხორცს ეჭიდავება, გული – გონებას:

*ეხლა თავ-თავქვე მივდივარ,
ხევში მიმელის ბნელია,
თან მიმდევს ფიქრი მწუხარე
გულის, გონების მწველია.
მაღლიდამ დაბლა ჩამოსვლა,
ვაჰმე, რა მეტად ძნელია!
წამლობას ველარ გამიწევს
ეხლა ცრემლები ცხელია.
რად მოვალ, თავქვე რად მოვალ,
ჩემს თავს რად ვიხდი ტიალად?
იმ მთას თავს რისთვის ვანებებ,
თუნდ ვიქცე ტანჯვის ფიალად?!*

თუმც, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში წარმართველი მაინც არის რწმენა სამყაროული ერთიანობა-ჰარმონიულობისა. ამგვარი პათოსითაა გაჯერებული ლექსი „რამ შემქმნა ადამიანად“, სადაც პირველივე სტრიქონებიდან არის გაცხადებული, ერთი შეხედვით, უცნაური სინანული იმის გამო, რომ ამჟვეყნად ადამიანად მოვიდა და არა წვიმად:

*რამ შემქმნა ადამიანად?
რატომ არ მოვედ წვიმადა,
რომ ვყოფილიყავ მუდამა
ღრუბელთ გულ-მკერდის მძივად,
მიწაზე გადმოსაგდებად
ცვარად ან თოვლად ცივად?*

ისევე, როგორც ლექსში „მთას ვიყავ“, აქაც, ამ პოეტურ სტრიქონებშიც, მგოსნის სულიერი დაუკმაყოფილებლობის მიზეზი სამყაროული ერთიანობისგან გათიშულობა და მოშორებულობაა, რის გამოც „ოხერ-ტიალს“ უწოდებს საკუთარ თავს („არ გამწირავდა პატრონი ასე ოხრად და ტივლად!“), მაგრამ, მისივე ღრმა რწმენითა თუ თვითშეგნებით, რა მოხდებოდა მაშინ, თუ ის ქვეყანას ადამიანად კი არა, წვიმად მოველინებოდა? – სითბოთი და სიყვარულით აღვსილი სამუდამოდ გააწილებდა სიკვდილს, უკვდავებას მოიპოვებდა და ცისა და მიწის კავშირს, მათ განუყოფელ ერთიანობას მთელი არსებით შეიგრძნობდა:

*მზის მოტრფიალე ვივლიდი
სიკვდილის გამაწილად;
მალლა ცა, დაბლა ხმელეთი
მე მექნებოდა წილადა.*

პოეტის სურვილი ბუნების ყოველ არსში წვდომისა, კოსმიური ჰარმონიის ესთეტიკურად წარმოჩენისა, ნათლად არის გაცხადებული სტროფით:

*გავიხარებდი, მთა-ბარსა
ოდეს ვნახავდი მწვანედა,
მორწყულსა ჩემის ოფლითა,
ყვავილებს შიგნით, გარეთა.*

ლექსში მკაფიოდ ჩანს, რომ ჰარმონიული ერთმთლიანობის – ცისა და მიწის კავშირის – ცენტრში დგას ადამიანი, რომელმაც მიკრო და მაკრო კოსმოსის ურთიერთკავშირი შეიგრძნო და შეიმეცნა. პოეტი, რეინკარნაციის გზით, მარადიული დაბრუნების იდეასა და სოფლისა და ზესთასოფლის განუყოფლობაში გვარწმუნებს:

*თოვლად ქვეულსა გულშია
ცეცხლად იმედი მრჩებოდა,
რომ ისევ ჩემი სიკვდილი
სიცოცხლედ გადიქცეოდა
და განახლებულ ქვეყანას
ყელ-ყურზე მოეხვეოდა.*

სახეზეა ვაჟასეული პოეტური ინტერპრეტაცია კოსმიური ჰარმონიულობა-ერთმთლიანობისა. მოცემული ლექსის მაგალითზე მგოსანს თითქოს ხელისგულზე უდევს სქემა მატერიალური და იმმატერიალური (ხილული რეალობის მიღმა არსებული) სამყაროს განუყოფლობისა. ამ ამ მხრივ ვაჟა-ფშაველა ქართული აზროვნების იმ მაგისტრატულ ხაზს აგრძელებს, რომელიც რუსთველით იწყება და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის უდიდესი გავლენით, შეიძლება ითქვას, გაითავისა ქართულმა აზროვნებამ. როგორც რევაზ თვარაძე აღნიშნავს, ამგვარი მრწამსისა თუ მსოფლგანცდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ „სამყაროს მოდელი მთლიანად, ჰარმონიულად ისახება, სოფელი და ზესთასოფელი ურთიერთდაპირისპირებულად, გათიშულად, მტრულად ვერაფრით მოიაზრება“ (თვარაძე: 1997: 405)

ვაჟას პოეტური გენია სწორედ იმას ემსახურება, რომ, ხილულ რეალობასთან ერთად, წარმოაჩინოს სხვათათვის მიუწვდომელი ტრანსცენდენტული სამყარო, რამეთუ „პოეტის უკიდევანო ფანტაზია და ნიჭი თანაბარი ძალით გრძნობდა სულიერსა და უსულოს, ხორციელსა და უხორცოს, რეალურსა და ირეალურს, მიწიერსა და ზეციერს“ (ბაქრაძე: 2004:580).

ასე სცილდება გენიოსი პოეტი რაციონალობის ზღვარს და ხელშესახებად სწვდება ირაციონალურს – უცხო და შეუცნობელი განზომილების არსს, მატერიალურ სინამდვილეში გადამდნარსა და ბუნებასთან სტიქიურად შესისხლხორცებულს.

დამოწმებანი:

ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა. თხზულებათა რეკტომეული, ტ. II, თბ.: „ნეკერი“, „ლომისი“, 2004, გვ. 580;

გომართელი 1997: გომართელი ა. ქართული სიმბოლისტური პროზა, თსუ, თბ.:1997, გვ.11;

ელაშვილი 2008: ელაშვილი ქ. ქართული ფოკლორი 4 (XX), შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ.: 2008, გვ. 84.

თვარაძე 1997: თვარაძე რ. გადასახედი, საქართველო, თბ.: 1997, გვ. 405.

Tamar Gelitashvili
Gori State Teaching University
VAZHA PSHAVELA AND THE IDEA OF COSMIC UNITY
RESUME

Cosmic harmony is the most frequent part of Vazha Pshavela's writing. His poetry are completed by inspiration with unity of materialism and unreality.

In poet's ideology the most important places have following items: to break of realism and to find out transcendence, which gives them esthetic beauty.

თამარ გოგოლაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

„ძველი აღთქმა“ ბავშვებისათვის (XIX ს. 80-იანი - XX ს. დასაწყ.)
არქიმანდრიტ ნესტორის, გიორგი იოსელიანისა და იაკობ გოგებაშვილის ტექსტებში

ქართველ 60-იანელთათვის ილიასეული ფორმულირება, „ენა, მამული, სარწმუნოება“, იქცა „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის ძირითად დევიზად. თუმცა უკანასკნელი XIX საუკუნის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე სამრევლო სკოლებში, სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში, რუსულ ენაზე სწავლების გამო, მოწყდა პირველ ორ კომპონენტს ილიასეული დევიზისა. ამაზე ჯერ კიდევ 80-იან წლებში იაკობ გოგებაშვილი (სავარაუდოდ 1886-1887 წლებში უნდა იყოს დაწერილი) ხელნაწერის სახით შემონახულ სტატიამი, ეხებოდა რა თბილისის სასულიერო სემინარიის მძიმე მდგომარეობას, რასაც იწვევდა მისი კედლებიდან ყოველი ქართული ელემენტის და, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის განდევნა, მოსწავლეთა ეროვნულ ჩაგვრა, აღნიშნავდა: „ჯერ ერთი, მოსპეს ქართული ენის ხმარება სასულიერო სასწავლებლებში, აუცილებელ შემთხვევაში, საღმრთო ისტორიისა და კატეხიზმის სწავლება, მეორე - შევეცეს ქართული ლიტერატურის პროგრამა და შემოფარგლეს იგი ზოგიერთი საეკლესიო-ღვთისმსახურებითი ნაწარმოებით და, მესამე, სავალდებულოდ გახადეს ქართული სასულიერო ლიტერატურის უსათუოდ რუსულ ენაზე სწავლება, და აგრეთვე შეზღუდეს ქართული ენის ხმარება სასულიერო სასწავლებლებში ამავე ენის გაკვეთილებზე“. (გოგებაშვილი I 1989:415-416). აქვე იგი აუცილებლად მიიჩნევს და უსაბუთებს სინოდის ობერ-პროკურორს კ.პ. პობედონოსცევს სწორედ მშობლიური ლიტერატურული ენის ზედმიწევნით მცოდნე სემინარიადამთავრებულთა მიერ სამომავლოდ, როგორც ხალხისთვის სწავლება-ქადაგებისათვის საჭიროს, რათა „შექმნას რელიგიურ-ზნეობრივი თხზულებათა მთელი ლიტერატურა და ამგვარად ხელახლად აამაღლონ ქართველ ხალხში ძლიერად შერყეული სარწმუნოება“. (გოგებაშვილი I 1989:427). ალბათ, სწორედ ამიტომაც მწიფებოდა ქართულ ენაზე საღმრთო ისტორიის სახელმძღვანელოსა თუ საკითხავის შექმნის აუცილებლობაც 80-იანი წლების სასულიერო პირებსა თუ მასწავლებლებშიც. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, თვით 1914 წლამდე, იწყება საღმრთო სჯულის სასწავლებლად სახელმძღვანელოებისა თუ ადაპტირებული ძველი და ახალი აღთქმის წიგნების მომზადება ბავშვებისათვის. ბუნებრივია, იგი ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო დაწერილი ძველი და ახალი აღთქმის ტექსტების მიხედვით, რაც ხორციელდება კიდევ არქიმანდრიტ ნესტორის (ყუბანეშვილის), გიორგი იოსელიანისა და იაკობ გოგებაშვილის ტექსტების მეშვეობით. თუმცა ეს უკანასკნელი ხელნაწერის სახით არსებობდა მხოლოდ XX საუკუნის 80-იან წლებამდე. ამ ტექსტის მიხედვით გამოსცეს ე. გიუნაშვილმა, ზ. კალანდაძე, თ. ტონიამ, თ. ჩუბინიძემ 1989 წელს (გამომცემლობა „მერანი“) „ბიბლიური ისტორიის“ სახელწოდებით, ცნობილი შვედი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, სელმა ლაგერლოფის (1858-1940) „ქრისტეზე ლეგენდების“ თარგმანთან (თარგმანი მალიკო ხელაშვილისა) ერთად.

მოგვიანებით, 1900 წელს, გამოდის საღმრთო სჯულის წიგნი (რუსული ენიდან თარგმნილი), უწმ. სინოდის სამოსწავლო საბჭოს მეორე გამოცემიდან ან. ნატროშვილის მიერ. აშკარაა, ამ დროს იყო

მცდელობა რუსული ენიდან თარგმნილი საღმრთო სჯული მიეწოდებინათ ქართველი მოზარდებისათვის. თუმცა ჩვენს მოხსენებაში ვამახვილებთ ყურადღებას „საღმრთო სჯულის“ სახელმძღვანელოზე, მთავარი საკითხი მაინც „ძველი აღთქმის“ ადაპტირებული გამოცემა ქართულ ენაზე.

1885 წელს გამოდის (ჯერ ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის, შემდგომ საქართველოს საეგზარქოსოს ქუთაისის საკათედრო სობოროს დეკანოზისა და შემდგომ შუამთის მონასტრის წინამძღვრის) არქიმანდრიტ ნესტორის (ყუბანეიშვილის) „სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად, შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმების ისტორია“. ეს გამოცემები გრძელდება 1889, 1895 წლებშიც ქუთაისისა და ახალსენაკის სტამბებში, რასაც მოჰყვება „ძველი აღთქმის ისტორია“ (1908 წ.).

1916 წელს გამოიცემა „საღვთო სჯულის“ წიგნი საქართველოს საეპარქოსოს სახალხო სკოლებისათვის“ (მე-15 გამოცემის პირი 1990 წელს გამოვიდა კოოპერატიული გამოცემლობის „ივერთა მხარის“ მიერ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში), რომლის მეორე განყოფილება დათმობილი აქვს „საღვთო ისტორიას ძველი აღთქმისა“.

„საღვთო ისტორიაში ძველი აღთქმისა“, მოკლედ გადმოცემულია „ქვეყნისა და კაცის შექმნა“, „პირველ კაცთა შეცოდება. მაცხოვრის აღთქმა“, „ცოდვისთვის დასჯა“, „კაინი და აბელი“ და სხვ. (სულ 21 თავი) „ძველი აღთქმის“ იმ თავების დასახელებით, რის მიხედვითაც დაიწერა ისინი. მას თან ახლავს შავ-თეთრი ლითოგრაფიები. ტექსტში საკუთარი სახელები და წინადადების დასაწყისი შავი შრიფტითაა აწყობილი. თითოეული თავი მოკლეა, მაგრამ მართლმადიდებლურად, კანონიკურად მისაღები და მარტივად გასაგები მოზარდებისათვის.

1889 წელს გამოიცა ცნობილი ქართველი პედაგოგისა და პუბლიცისტის გიორგი იოსელიანის (1847-1919) „უმთავრესანი მოთხრობანი საღმრთო ისტორიიდან საერო და სამრევლო სკოლებისათვის“.

გიორგი იოსელიანი, ნიკო ცხვედაძისა და იაკობ გოგებაშვილის მეგობარი, მოსკოვის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდგომ თბილისის სასულიერო სემინარიაში იწყებს მუშაობას მასწავლებლად, შემდგომ ინსპექტორად. იმ არაკეთილსაიმედო პირთა შორის, რომლებიც საზოგადოებრივ სამსახურში არ გამოდგებოდნენ, დასახელებულია თომა ტურაშვილი, ნიკოლოზ ცხვედაძე, კონსტ. ცხვედაძე, გიორგი იოსელიანი და იაკობ გოგებაშვილი (მ. კეკელიძე).

როგორც სასულიერო სემინარიის ყოფილი მოსწავლე მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი იხსენებს, „იაკობს ეჭირა სემინარიის ზემო სართულში ბინა, აწინდელი ღორის მელიქოვის ქუჩის მხრივ. აქ, ამ სახლში, იაკობთან დაიარებოდნენ ტფილისში მყოფნი მწერალნი და ინტელიგენტნი: ს. მესხი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. იოსელიანი, თ. ტურიაშვილი, ა. ფურცელაძე, ლ. მღებროვი, ნ. ყიფიანი, და სხვ და სხვ.“ (მგალობლიშვილი 1938:46). ხოლო თომა ტურიაშვილის შემდეგ, სემინარიაში გიორგი იოსელიანი რომ დაინიშნა ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად, „რომელსაც იგი თითქმის ერთ წლამდე ასრულებდა ივანე კუვშინსკის დანიშვნამდე. მაშინ სემინარია სრულიად საქართველოს სასწავლებელს წარმოადგენდა, ქართული სული ედგა, ქართულად ჰფეთქავდა“. (მგალობლიშვილი 1938:47). სემინარიაში იგი ლოგიკის, რუსული სიტყვიერებისა და რუსული ლიტერატურის ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა, ხოლო 1873 წელს, სემინარიიდან დათხოვნის შემდეგ ასრულებდა საღვთო სჯულის მასწავლებლის მოვალეობას თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში („საისტორიო მოამბე“, 1950 წ. №5, გვ. 37-38).

აქაც ინსტიტუტის დირექტორ დ. კოლოვიჩს (იანოვსკის ქვისლს), რომელსაც დაუწყია ქართველების ძაგება და განუცხადებია მეგრელები ქართველები არ არიანო, მას შეჰკამათებია და იძულებული გამხდარა იქიდან წამოსულიყო. ერთხანს გ. იოსელიანი გიორგი მასწავლებლობდა სათავადაზნაურო სასწავლებელში და თბილისის პირველ გიმნაზიაში, სადაც ქართულ ენას ასწავლიდა.

„1916 წელს ჟურნალმა „განათლებამ“ (№8-9) აღნიშნა გიორგი იოსელიანის პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავი, ჟურნალში დაიბეჭდა მცხოვანი პედაგოგის ბიოგრაფია, რომელიც ლ. ბოცვაძეს ეკუთვნოდა და გიორგი იოსელიანის მოსწავლეთა მოგონებანი თავიანთ ღვაწლმოსილ მასწავლებელზე“ („სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“ I, 1953:190-91).

პედაგოგის ალლო, ცოდნა და ქართული მამულიშვილური სული გ. იოსელიანს სიყვარულით განაწყოდა თავისი აღსაზრდელებისადმი. სწორედ გ. იოსელიანი და ალ. ჭყონია იყვნენ ის პიროვნებანი, რომლებიც ქ.მ.წ.კ.გ ს დავალებით მონაწილეობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნემტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებაში 1893 წლის 25 აპრილს. გ. იოსელიანს ბავშვებისთვის გადმოუკეთებია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რასაც მოჰყოლია ლალიაგორელის ფსევდონიმით წერილი „პედაგოგიური შეცდომა“ („ივერთა“, 1893 წ. №44). გ. იოსელიანის პასუხში კარგად მოჩანს ბავშვებისათვის ქართულ ენაზე ადაპტირებული წიგნების გამოცემის მნიშვნელობა: „ამგვარ საყმაწვილო წიგნების შესახებ

პედაგოგიურ ჟურნალებში ქება ბევრჯერ წაგვიკითხავს და უარყოფა კი არასოდეს. მაშ რა ცოდვა და შეცდომა უნდა იყოს, რომ ასეთი საყმაწვილო წიგნები ქართულ ენაზედაც გამოიცეს, თუ გინდ მიბადვითაც იყოს ეს გამოწვეული? თუ კი იმ ქვეყნებში, სადაც ყმაწვილებს პატარაობიდანვე ასწავლიან დედა ენას ოჯახებში და სკოლებში, საჭიროდ მიაჩნიათ ასეთი წიგნების შედგენა და გამოცემა, ჩვენი ყმაწვილებისათვის რომ უფრო საჭირო უნდა იყოს, რათა ამ საშუალებით მაინც შეეძაწვიოთ დედა ენაზე წიგნების კითხვა“. (ჟ. „კვალი“, 1893წ. №11). ალბათ, სწორედ ამ მიზნით იწყებს გიორგი იოსელიანი სკოლებისათვის „ძველი და ახალი აღთქმის“ წიგნების გამოცემას. 1887 წელს გამოდის მისი „უმთავრესი მოთხრობანი საღმრთო ისტორიიდან საერო და სამრევლო სკოლებისათვის“, ხოლო 1905 წელს გამოდის მისივე „საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა სურათებით“.

სავარაუდოა, რომ სწორედ 80-იანი წლებიდან უნდა დაინტერესებული ყოფილიყო იაკობ გოგებაშვილი „საღვთო ისტორიის მიწოდებით ქართველი მოსწავლეებისათვის, მითუმეტეს, რომ არქიმანდრიტ ნესტორის „საღვთო სჯული“ სახელმძღვანელო იყო, რომელიც მოიცავდა ლოცვებთან ერთად 4 განყოფილებას და რომელშიც შედიოდა „საღვთო ისტორია ძველი აღთქმისა“, (II განყ.), ხოლო, გიორგი იოსელიანის „უმთავრეს მოთხრობათა საღმრთო ისტორიიდან“ გამოსვლის შემდეგ იგი დიდი პედაგოგის არქივში ჩარჩა ხელნაწერის სახით.

მაგრამ აქვს თუ არა ი. გოგებაშვილის „საღვთო ისტორიას“ სადღესოდ მნიშვნელობა ბავშვებისათვის. მით უმეტეს, რომ პირველი პუბლიკაციიდან (1989 წ.) რამდენიმეჯერ გამოიცა იგი და სულ ახლახანს, გასულ წელს, გამომცემლობამ „ქართული“ დასტამბა იგი გაფართოებული Swoet Publishing-ის ილუსტრაციებით (რედაქტორი ანასტასია ინასარიძე).

ჩვენ ამ ეტაპზე არ გვიწარმოებია გ. იოსელიანისა და ი. გოგებაშვილის ტექსტების შედარება. მხოლოდ რამდენადმე შევხებით არქიმანდრიტ ნესტორის „საღვთო სჯულში“ შესულ „საღვთო ისტორიას ძველი აღთქმისა“ და ი. გოგებაშვილის ხელნაწერს.

ბუნებრივია, სახელმძღვანელოს შედარება გამოუქვეყნებელ ტექსტთან საკმაოდ უხერხულობას ქმნის, მაგრამ ერთი კი ცხადია: თუ არქიმანდრიტი ნესტორი ძველი აღთქმის ადაპტირებულ ტექსტს აწვდის მოსწავლეებს შედარებით მშრალად, სასულიერო პირის მიერ კანონიკის დაცვითა და კონკრეტულობით, ი. გოგებაშვილის „საღვთო ისტორიის“ თავები ჭეშმარიტად პედაგოგიური, მოსწავლესათვის გასაგები, მარტივი, მაგრამ მხატვრული მანერითაა დაწერილი.

შევუდაროთ არქიმანდრიტი ნესტორის „საღვთო ისტორიიდან“: „მხოლოდ ერთი ღმერთი არის საუკუნო არსება. ის ყოველთვის იყო, არის და იქნება. მას არა აქვს არც დასაბამი, არც დასასრული.

ღმერთის გარდა ყველაფერს აქვს დასაბამი. ყოველმა ხილულმა და უხილავმა ღვთისაგან მიიღო დასაბამი, ესე იგი ღმერთმა შექმნა ყოველივე არარაისაგან. თავისი სიტყვით, ვინაიდან ის ყოვლის შემძლებელია“ (საღვთო სჯული 1990:16).

იაკობ გოგებაშვილი „საღვთო ისტორია“: ქვეყნის შექმნა

„ჩვენ ვიცით, რომ ყველა ადამიანი დედ-მამისაგან იზადება. აგრეთვე ვხედავთ, რომ ცხოველები ცხოველებისაგან ჩნდებიან, მცენარეები მცენარეებიდან მრავლდებიან. მაგრამ პირველი დედ-მამა როგორღა გაჩნდა? პირველი ცხოველები და მცენარეები როგორღა დაიბადნენ ქვეყანაზედ? ისინი შექმნა ღმერთმა. ღმერთი არის ყოვლის შემოქმედი, ყველაფრის დამბადებელი. მან გააჩინა ცა, მან შექმნა დედამიწა და მან დაბადა ყველაფერი, რასაც კი ქვეყნიერებაზედ ვხედავთ. თვითონ ღმერთი არავისგან არ შექმნილა და არავისგან არ დაბადებულა. იგი ყოველთვის იყო, არის და იქნება. ამიტომ ღმერთს ჩვენ ვუწოდებთ საუკუნო არსებას“ (გოგებაშვილი 2016:1).

ასე საინტერესოდ, მომხიბლავად ჰყვება ძველი აღთქმის ისტორიას ბავშვებისათვის დიდი პედაგოგი, რომელიც არც ამ კუთხით აკლებს მზრუნველობას „ახალი ტიპის ქართველს“.

სამივე ავტორის სახელმძღვანელოები, არქიმანდრიტი ნესტორის, გიორგი იოსელიანისა და იაკობ გოგებაშვილისა, მნიშვნელოვანია ერთი დიდი საქმის, მშობლიურ ენაზე სასულიერო მასალის მიწოდების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია და საგულისხმო, როგორც თეოლოგიის, ისე პედაგოგიკის, ლიტერატურათმცოდნეობისათვის.

ლიტერატურა:

- გოგებაშვილი II 1989: გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი, ტ.1, „განათლება“, თბილისი, 1989;
გოგებაშვილი II 1990: გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი, „განათლება“, თბილისი, 1990;
„საღვთო სჯული“ 1990: არქიმანდრიტი ნესტორი, (ყუბანიშვილი), „საღვთო სჯული“, „ივერთა მხარე“, თბილისი, 1990;
მგალობლიშვილი 1938: მგალობლიშვილი ს., „მოგონებანი“, ფედერაცია, თბილისი, 1938;

გოგებაშვილი 2016: გოგებაშვილი ი., „საღვთო ისტორია“, „ქართული“, თბილისი, 2016; სახალხო განათლების I 1953: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, პედ. მეცნ. ინს. გამომც. 1953;

ბიბლიური ისტორია 1989: „ბიბლიური ისტორია. ლეგენდები ქრისტეზე“, „მერანი“, თბილისი, 1989; ქართული წიგნი I 1941: ქართული წიგნი ბიბლიოგრაფია ტ.1, „წიგნის პალატა“, თბილისი, 1941;

Tamar Gogoladze

Gori State Teaching University

**"OLD TESTAMENT" FOR CHILDREN (80S OF THE XIX - BEGINNING OF THE XX CENTURIES) IN THE TEXTS OF ARCHIMANDRITE NESTOR, GIORGI IOSELIANI AND IAKOB GOGEBASHVILI
RESUME**

From the 80s of the 19th century the idea of giving theological books and textbooks in the native language to young generation is becoming stronger and stronger. Great importance is given to the "Old and New Testament" adapted for children. Archimandrite Nestor (Kubaneishvili), teacher and publicist Giorgi Ioseliani and a great teacher of Georgian pedagogical thinking Iakob Gogebashvili made great contribution to this patriarchal work. The "Holy Scriptures" by I. Gogebashvili was remained as a manuscript and it was published a hundred years later and in the XXI century as well.

The "Holy Scripture" by I. Gogebashvili is distinguished by his pedagogic approach to introduce the stories of "Old Testament" to the "new type of Georgians" in a simple and interesting way, to strengthen their faith in continuation of Ilia Chavchavadze's idea ("Language, Native Land, Faith") for every Georgian.

თეიმურაზ დოიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გალაკტიონ ტაბიძის მეორე პოეტური რეფორმის ერთი ასპექტი

გალაკტიონ ტაბიძის მეორე პოეტური რეფორმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ესთეტიკურად ნეიტრალური სიტყვის განპოეტურობის უნივერსალური პრინციპის – კონტექსტის პოეტიკის – მიგნებასა და დაუფლებას. კონტექსტის პოეტიკის ფუნქციონირებისას სიტყვას არც გარედან მოაქვს „მზა“ პოეტურობა და არც ტროპულ გარდაქმნას განიცდის. კონტექსტის მეშვეობით ყოფითი სიტყვა პოტენციურად იძენს პოეტური სიტყვის ყველა თვისებას: მრავალმნიშვნელოვნებას, ასოციაციურობას, კონკრეტიზაციისა და სიმბოლიზაციის უნარს. იგი ინარჩუნებს საგნობრიობას, მაგრამ, სიტუაციის შესაბამისად, აქვს მნიშვნელობის დავიწროების ან გაფართოება-განზოგადების შეუზღუდავი შესაძლებლობა. ამის შედეგად იხსნება დაპირისპირება და წინააღმდეგობა ლირიკურ და ყოფით-სასაუბრო სიტყვას შორის, სიტყვის საგნობრიობასა და მრავალმნიშვნელოვნებას, საგნის კონკრეტულ გამოსახვასა და იდეის გამოსახვას შორის.

თუ გავითვალისწინებთ გალაკტიონის მეორე პოეტური რეფორმის არსებით ნიშანს – პოეტის პრინციპულ ორიენტაციას სასაუბრო ენასა და სადა, ბუნებრივ სტილზე, სრულიად გასაგები გახდება კონტექსტის პოეტიკის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

გალაკტიონის ბოლო პერიოდის ლირიკისათვის ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ლექსია „ერთხელ მერიით თუ ხიდისთავით“ (1958), სადაც კონტექსტის პოეტიკის შესაძლებლობანი ხელშესახებად თვალსაჩინოა.

ლექსს მარტივი, ყოფითი ფაბულა აქვს: გზად მიმავალ პოეტს ყინვიან ამინდში უცნობმა ქალმა ქინძისთავით შეუკრა ხალათი. ასევე უბრალოა და ყოფითი ის საგანი, რომელსაც ლექსში ცენტრალური

ადგილი უკავია: ქინძისთავი. უფრო მეტიც, სიტყვა „ქინძისთავი“ თავისი შინაარსით კიდევ უფრო პროზაული წარმოდგენისაკენ გვეზიდება: „ქინძის თავი“. ეს ყოფითი, სტილურად ნეიტრალური, უბრალო სიტყვა პოეტურ ტექსტში უჩვეულოდ იფართოვებს შინაარსს, განზოგადდება, მაგრამ ამასთანავე არ კარგავს თავის კონკრეტულ, საგნობრივ მნიშვნელობას. ლექსის ექსპოზიციის „ქინძისთავი“ მხოლოდ ყოფითი საგანია, პოეტის მოგონების ერთი არაფრითგამორჩეული დეტალი:

„ერთხელ მერიით
თუ ხიდისთავით,
მახსოვს, უბრალო
ამ ქინძისთავით,
ერთხელ ხალათი
შენ შემეკარი,
რა ყინვა იყო,
რა ცივი ქარი.“

დამოწმებული მონაკვეთის ბოლო ორი სტრიქონი პირველი მინიშნებაა იმაზე, რომ ის, რაც ითქვა, პოეტისათვის ფაქტის უბრალო კონსტატაციაზე უფრო მეტს ნიშნავს. „ყინვა“ და „ქარი“, როგორც პოეტური ტრადიციის მქონე სიტყვები, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, გადატანით მნიშვნელობასაც ატარებენ, ამიტომ ჩნდება მოლოდინი ერთგანზომილებიანი თხრობიდან გასვლისა. მართლაც, პოეტი განაგრძობს:

„და რანაირად
ვიყავი ავად.
სად უნდა მევლო
უქინძისთავოდ?“

აქ პირველად ჩნდება „ქინძისთავის“ შინაარსის გაფართოების შეგრძნება სიტუაციის ჰიპერბოლიზაციის გამო: უბრალო საგნის ფიზიკური შესაძლებლობანი და ლირიკული სუბიექტის ავადობის ხარისხი ერთმანეთს არ ეთანადება. ამიტომ იბადება აზრი, რომ ტექსტში არც ფიზიკურ ავადმყოფობაზეა ლაპარაკი და არც ქინძისთავია უბრალო ყოფითი საგანი. ლექსის მომდევნო სტრიქონებში ეს აზრი დადასტურებას პოულობს:

„ვამბობდი: არის
მზიურთვალეა
ქალი, პოეტი
რომ ებრალება.
შენ, შეიძლება,
ეს არც კი გახსოვს!“

ამ სტრიქონებს თან მოაქვს ადამიანური თანაღმობის მოტივი და აშკარავდება, რომ პოეტის ავადმყოფობა სულიერი შეჭირვებაა, ხოლო „ქინძისთავი“ სიმბოლოა ადამიანისათვის გაწეული უანგარო სამსახურისა.

„ქინძისთავის“ აზრობრივი შინაარსი ლექსში სულ უფრო და უფრო ფართოვდება:

„ერთხელ რომ მომხვდა
საწყალს გულს ტყვია,
გადმიდგა შემდეგ
რომ ხანჯლით ვიღაც,
ეს ქინძისთავი
მინდოდა იქაც.“

კონტრასტი „ტყვია, ხანჯალი – ქინძისთავი“ სიტყვა „ქინძისთავს“ „ფარის“, „მფარველის“ სემანტიკას უკავშირებს.

პოეტს სიტყვა „ქინძისთავი“ კიდევ უფრო ფართო კონტექსტში შეაქვს; საგანი ხდება იმედის, რწმენის სიმბოლო. სიტყვა „ქინძისთავის“ შინაარსი იმდენად ფართოვდება, რომ პოეტი თითქოს საგანგებოდ გვაფრთხილებს: „გულთან უბრალო ქინძისთავია!“

გალაკტიონი პირდაპირ, შეუფარავად მიუთითებს არატროპული სიტყვის ორპლანიანობას:

„სხვისთვის არარას,
ჩემთვის კი მზის დარს –
ქებათა ქებას
ვუძღვნი ქინძისთავს.“

კონტრასტი „სხვისთვის არარა – ჩემთვის მზე“ თითქოს მინიშნებაა იმ საოცარ ცვლილებაზე, რაც უბრალო საგანმა განიცადა პოეტის სულში. „ქინძისთავი“ ყოფით პლანში მართლაც „არარა“, მაგრამ, პოეტური კონტექსტით გარდაქმნილი და განზოგადებული, პოეტისათვის მზეს, მნათობს ედარება.

ფინალის წინ ქინძისთავის განზოგადების ხარისხი იმდენად ძლიერია, რომ პოეტს სრულიად თამამად გავყავართ სიტყვის პროზაულზე პროზაული შინაფორმისაკენ:

„დე, სხვისთვის იყოს
ის ნამი ქინძის,
ჩემთვის ის რაა,
ქვეყნად, ვინ იცის?“

ლექსის ექსპოზიციის თხრობითი ინტონაცია ფინალში ჰიმნის ჟღერადობას იძენს:

„ვერას დამაკლებს
დღე და სოფელი,
მადლობელი ვარ,
ო, მადლობელი!“

ეს ინტონაციური ზედასვლა ზუსტად აირეკლავს იმ თვისებრივ ცვლილებას, რამაც მარტივი ყოფითი შემთხვევა ადამიანური თანაღმობის თემამდე განაზოგადა, უბრალო საგანი უფართოესი შინაარსის სიმბოლოდ აქცია.

სიტყვა „ქინძისთავი“ მთელი ლექსის მანძილზე არ კარგავს თავის პირდაპირ, საგნობრივ მნიშვნელობას, თუმცა კონტექსტის ზემოქმედებით მისი შინაარსი სხვადასხვა მოცულობით ფართოვდება და განზოგადდება. ყოფითი სიტყვა იძენს პოეტური სიტყვის ისეთ თვისებებს, როგორიცაა მრავალმნიშვნელოვნება, სიმბოლურობა, ასოციაციურობა. „ქინძისთავი“ კონკრეტულ საგნადაც რჩება და ზოგად იდეასაც გამოხატავს.

მე დეტალურად განვიხილე ეს ლექსი, რადგან აქ თითქოს საგანგებოდ ხდება კონტექსტის პოეტიკის შესაძლებლობათა დემონსტრირება. ყოფითი ამბისა და საგნის განზოგადების ის ხარისხი, რასაც გალაკტიონი აღწევს ამ ლექსში და სხვა ნაწარმოებებშიც, უახლეს ქართულ პოეზიაში თვისებრივ სიახლეს ქმნიდა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მას გენეტიკური კავშირი ჰქონდა რეალისტური პოეზიის ტრადიციებთან და, გარკვეული აზრით, მის რესტავრირებას წარმოადგენდა ახალ ისტორიულ სიტუაციაში.

პოეტი ფიქრობს საგნებზე და საგნების გამო და ამ გზით მოაქვს თავისი განცდა ჩვენამდე. ჩვენს თვალთა წინაშე წარმოიმართება უფაქიზესი სულის პიროვნება, ადამიანურ სიტბოს და ზრუნვას დანატრებული მარტოსული, რომლისთვისაც უბრალო თანაგრძნობის გამომხატველი ქესტი კოსმიურ მასშტაბებს იძენს და მოყვასისადმი თანაღმობის ნამდვილ ჰიმნად გარდაიქმნება.

Teimuraz Doiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ONE POINT OF VIEW OF GALAKTION TABIDZE'S SECOND POETICAL REFORM RESUME

The basic mark of Galaktion Tabidze's poetical reform is knowingly orientation on spoken language and simple, natural style. Therefore seeking the possibility of changing the aesthetically neutral words into poetical words became very important.

The poetic of context was very important in the process of creative adoption of Aesthetically neutral words. In the poetic of context an usual word gains the character of poetic word such as noun significance, associativity, ability for concretization and symbolization.

ქართული მწერლობის პროფესიონალიზაციის სათავეებთან

მწერლობის, როგორც პროფესიის, სათავეს ძებნა გაცილებით ახლო წარსულიდანაა შესაძლებელი, ვიდრე საერთოდ ლიტერატურის არსებობას ავითვლიდეთ. ფართო გაგებით, პროფესიონალ მწერლად შეიძლება მივიჩნიოთ ქართული ლიტერატურის ყველა სახელოვანი წარმომადგენელი – ჩვენამდე მოღწეული პირველი მხატვრული ნაწარმოების, „შუშანიკის წამების“ ავტორიდან, იაკობ ხუცესიდან დაწყებული დღემდე. მაგრამ ვიწრო გაგებით, სიტყვა „პროფესიონალი“ მწერლობაში გულისხმობს რამდენიმე რამეს. როგორც უილიამ ტოდი განმარტავს წერილში „დოსტოევსკი, როგორც პროფესიონალი მწერალი“ [ТОД 2002: НЛО №58], უპირველესად „პროფესია“ გულისხმობს „მოწოდებას“. სწორედ ამ ნიშნით (ერთადერთი ნიშნით) მივიჩნიეთ პროფესიონალებად ყველა ქართველი მწერალი, რადგან მწერლობა მათი უდავო მოწოდება გახლავთ. ეს ის საქმიანობაა, რომელსაც ცხოვრების გარეგნული მდინარეა კი არ მოითხოვდა მათგან, არამედ – სულის შინაგანი მდგომარეობა. უფრო მნიშვნელოვანი და ამავე დროს აუცილებელი ასპექტი მწერლის პროფესიონალად მისაჩვენად ის გარემოება გახლავთ, რომ სამწერლო საქმიანობა უნდა იყოს ავტორის შემოსავლის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) წყარო, არსებობის, ცხოვრების ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) საშუალება. ამ მეორე ნიშნის მიხედვით, დამეთანხმებით, პროფესიონალ მწერლებად ვერ მივიჩნევთ ძველი ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებს, რადგან უცნაურადაც უნდა ისმოდეს, თვით რუსთაველსაც – ვერა.

მიღებულია შეხედულება (და სამართლიანადაც), რომ მწერლობა, როგორც პროფესია, ბურჟუაზიული ეპოქის ნაყოფია (თუმცა პარადოქსული აზროვნების ოსტატი - ემილ ჩორანი - საწინააღმდეგოს ამტკიცებდა: „პროფესიონალი მწერალი - ბურჟუაზიული ეპოქის გამომგონებელი“, - წერდა ის [ჩორანი 2016: 172]).

ერთ-ერთ პროფესიონალ მწერლად ჩვენში მიჩნეულია აკაკი წერეთელი. ნონა კუპრეიშვილს აქვს მრავალმხრივ საყურადღებო წერილი: „აკაკი წერეთელი და ქართული მწერლობის პროფესიონალიზაციის პროცესი“ [კუპრეიშვილი 2016], რომელმაც დიდად შემიწყო ხელი კვლევაში.

სათავე მწერლობის პროფესიონალიზაციისა კი გაცილებით უფრო ადრეა საგულვეტელი, ვიდრე აკაკი წერეთლის მოღვაწეობის ხანაა.

საქმე ისაა, რომ მწერალს თავისი საქმიანობით მატერიალური სახსრების მოპოვებისთვის აუცილებლად უნდა ეხმარებოდეს სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტი – გამომცემელი, გამავრცელებელი, პრესა თუ სხვა. რადგან ეს ინსტიტუტები ჩვენში გვიან (XIX საუკუნის მეორე ნახევარში) ჩამოყალიბდა, ამიტომ, ერთი შეხედვით, გამოირიცხა პროფესიონალი მწერლის არსებობა მანამდე. და ეს მართლაც ასეა, თუმცა ჩანასახი მწერლობის პროფესიად ქცევისა XIX საუკუნის დასაწყისშივე შეინიშნება. ეს კი პრესის დაარსებასა და განვითარებას უკავშირდება. ერთ-ერთი სახეობა პროფესიული მწერლობისა სწორედ ჟურნალისტიკაა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენში მწერლობის პროფესიონალიზაციის დაწყება პრესის გაჩენასთან, ჟურნალისტური საქმიანობის დაწყებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

პირველი ქართული გაზეთი, მოგეხსენებათ, 1819 წლის 8 მარტს გამოიცა თბილისში, მაგრამ, რადგან არც რედაქტორი ჰყავდა და არც ჩვენი ხალხის ცხოვრებას ასახავდა, ცხადია, ამ გაზეთს ვერავინ გაიხდიდა ლიტერატურული შრომით მიღებული შემოსავლის წყაროდ. „საქართველოს გაზეთის“ (იმავე „ქართული გაზეთის“) შესახებ აქ ვრცლად აღარ შევჩერდებით, მისი დეტალური განხილვა არ გახლავთ ჩვენი მიზანი. 1828 წლიდან გამოსვლას იწყებს „ტფილისის უწყებანი“ სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით და 1832 წელს გამოდის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ იმავე სოლომონ დოდაშვილის თაოსნობითა და რედაქტორობით. თუ გაზეთი მაინც რუსული დედნის არსებითად მთლიანად თარგმანი იყო და ამდენად დიდად ზღუდავდა რედაქტორის საქმიანობას, პირდაპირ ხელ-ფეხს უბორკავდა მას და, ცხადია, სხვა ავტორებსაც, ჟურნალი იძლეოდა საშუალებას, სრულად გამოვლენილიყო სარედაქციო პოლიტიკა. კაცმა რომ თქვას, ერთი პიროვნების, სოლომონ დოდაშვილის ნება, გემოვნება, მიზანი, გამოცდილება... განაპირობებდა ჟურნალის მთელ შინაარსს. მამასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სოლომონ დოდაშვილი უკვე გვევლინება პროფესიონალ რედაქტორად და მწერლად.

უკვე ვთქვი, რომ „სალიტერატურონი ნაწილნი“ საქმიანობას მთლიანად წარმართავდა მისი რედაქტორი. მართალია, ჟურნალის გამოცემის იდეა მისთვის ელიზბარ ერისთავსა და ალექსანდრე ორბელიანს შთაუგონებიათ, მაგრამ არსად ჩანს, რომ ეს ადამიანები მერე ან შედგენაში, ან მასალების

მოძიებაში, ან გავრცელებაში ეხმარებოდნენ. თუმცა გამორიცხული არ არის, მცირე წვლილი მათაც მიუძღოდეთ თუნდაც წვრილმანი საქმეების მოწესრიგებაში. ძირითადად კი მაინც მარტო რედაქტორს უწევდა ჟურნალის იერსახის განსაზღვრა, განყოფილებების შემოღება, მასალების შერჩევა-მოძიება, ყველა ფინანსური საკითხის გადაწყვეტა. ზუსტად არ ვიცით, რა შემოსავალს აძლევდა ჟურნალი გამომცემელს. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ბევრს - არა. მეტიც, ფინანსური პრობლემები (ხელისმომწერთა სიმცირე) აღმოჩნდა საბოლოოდ ის მთავარი მიზეზი, რომელმაც ჟურნალის დახურვა გამოიწვია. თუმცა ის ხუთი ნომერი, რომელიც გამოვიდა, ჩანს, როგორც იტყვიან, საკუთარ ხარჯებს ინაზღაურებდა. ეს დაბრკოლება (ხელის მომწერთა სიმცირე) ვერც დოდაშვილმა გადალახა ისე, როგორც ვერც შემდგომი დროის რედაქტორებმა XIX-ის 60-70-იან წლებამდე. რატომ, რა მიზნით ისურვა და მოკიდა ხელი დოდაშვილმა ჟურნალის გამოცემას? პასუხი თითქმის ნათელია: ჟურნალს უნდა მოემზადებინა საზოგადოებრივი აზრი მომავალი აჯანყებისთვის. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც, ამჟამად ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი. საქმე ისაა, რომ თავის ერთ-ერთ ჩვენებაში სოლომონ დოდაშვილი აღნიშნავს: ჟურნალის გამოცემა სასარგებლოდ მიმაჩნდა... „იმიტომ, რომ ვფიქრობდი გამოვასწორებდი ჩემს უმწეო მდგომარეობას, რადგან ჩემს ჯამაგირს მუდამ წინასწარ ვართმევდი ოჯახის გამოსაკვებად“ [გოზალიშვილი 1970: 206]. მართალია, დაკითხვაზე გაცემული პასუხები, გასაგები მიზეზის გამო, ხშირად სანდო არ არის ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში არ გვაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ შეთქმულთა მეთაურის გულწრფელობაში.

დოდაშვილი არ გახლდათ არისტოკრატიული წრიდან, არც მამულები გააჩნდა და არც მემკვიდრეობით მიღებული სხვა რამ ქონება, რომ საარსებო სახსრით უზრუნველყოფილად ეგრძნო თავი. მიუხედავად ამისა, ლიტერატურისა და მეცნიერების სიყვარულმა იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიყვანა. იქ, პეტერბურგში, მფარველად, შემწედ, დამხმარედ გამოუჩნდა ცნობილი ქართველი მოღვაწე იონა ხელაშვილი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, მამობრივი მზრუნველობა გაუწია ახალგაზრდა სოლომონს. მატერიალური შეჭირვება იმდენად საგრძნობი იყო, რომ სტუდენტი დოდაშვილი, მიუხედავად ჯანმრთელობის კატასტროფულად გაუარესებისა, იძულებულია, კერძო მასწავლებლად იმუშაოს და ისე ირჩინოს თავი (იონა ხელაშვილის რეკომენდაციით, ზრდიდა ბაგრატ ბატონიშვილის სამ შვილს).

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე გაითქვა სახელი, როგორც მეცნიერ-ფილოსოფოსმა. სადიპლომო ნაშრომად დაწერილმა და გამოცემულმა მისმა „ლოგიკამ“ მაშინვე მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება, კრიტიკოსთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და დამტკიცდა კიდეც სახელმძღვანელოდ რუსეთის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის. ამ წიგნმა გაუთქვა სახელი მის ავტორს საქართველოშიც. პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებულ 24 წლის ყმაწვილს ფეხზე დაუდგა მთელი ქალაქი. გამარჯვებული მთავარსარდლის დაბრუნებას შეადარა სოლომონ დოდაშვილის საქართველოში ჩამოსვლა როსტომ ჩხეიძემ [ჩხეიძე 2016: 187]. ფაქტობრივად, ამ წიგნით უკვე მოიხვეჭა ის სახელი და ხალხის ისეთი სიყვარული, როგორიც აკაკი წერეთელს ჰქონდა 40-45 წლისას. ასე რომ, სოლომონ დოდაშვილს უკვე ჰქონდა დამწყები პროფესიონალი მწერლისთვის საჭირო ყველა ნიშანი: ნიჭი, განათლება, მოწოდება და ჯერჯერობით იონა ხელაშვილის ფინანსური დახმარება. ეს კულტურული და მატერიალური კაპიტალი კი საკმარისი აღმოჩნდა პროფესიონალი მწერლის კარიერის დასაწყებად.

სხვათა შორის, სწორედ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ესწრაფვოდა სოლომონ დოდაშვილი, როცა თავისი დაწერილი სახელმძღვანელოები გიმნაზიელებს შეაძენინა. ცნობილია, რომ დოდაშვილი გიმნაზიაში რამდენიმე საგანს ასწავლიდა. თვალნათლივ დაინახა სახელმძღვანელოების სიმწირე და ზოგჯერ სულაც არარსებობა, გაიცნობიერა სწავლებისა და მოსწავლეთა მხრიდან საგნის ათვისების მთელი სირთულე სახელმძღვანელოს გარეშე და ამიტომ ყველა საგნის (რომელსაც თვითონ ასწავლიდა) სახელმძღვანელო დაწერა. მთავარი მიზანი ამ წიგნების შექმნისა, რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო გახლდათ. ამით მასწავლებელმა გაუადვილა მოსწავლეებს სხვადასხვა მეცნიერების შესწავლა, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ რუსული და ევროპული ცხოვრების მცოდნე დოდაშვილმა ეს წიგნები შემოსავლის წყაროდაც გაიხადა. ეს ფაქტი კიდეც ერთხელ გვიდასტურებს, რომ მწერლობას დოდაშვილი უყურებდა, როგორც პროფესიას და ამ ფაქტს ვერ გააბათილებს ის, რომ იგი გიმნაზიის მასწავლებლად მუშაობდა. სხვათა შორის, შემოსავლის წყაროს, რომელიც მუდამ აკლდა, იგი სხვა რამეშიც ეძებდა. იონა ხელაშვილს უზიარებდა, რომ სიღნაღში კარგი იქნებოდა დუქნის (დუქნების) შეძენა და ზედ სასტუმროს დაშენება, რომ საკუთარი ეტლი დაუზოგავდა ფულსა და დროს და სხვა. და საწყისი თანხა რომ ჰქონოდა, ვინ იცის, დიდი კომერციული საქმიანობაც გაეშალა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მკითხველთა აუდიტორია მრავალრიცხოვანი არ იყო, თუმცა, როგორც თამაზ ჯოლოგუა აღნიშნავს, „სალიტერატურო ნაწილის“ ... გავრცელების გეოგრაფიული არეალი საკმაოდ ფართო იყო. დოკუმენტურად დასტურდება, რომ, გარდა თბილისისა, ჟურნალს იწერდნენ და კითხულობდნენ მოსკოვში, პეტერბურგში, გორში, მუხრანში, ქვათახევში, შუამთაში...“ [ჯოლოგუა 2011:

61]. დავძენ, რომ „ლოგიკის“ გავრცელების არეალი კიდევ უფრო ფართო გახლდათ, (მთელი რუსეთის იმპერია), ხოლო სახელმძღვანელოების მკითხველები, ძირითადად, გიმნაზიელები იყვნენ.

ამასთანავე, სოლომონ დოდაშვილი, ამჟღავნებდა პროფესიონალიზმის მესამე ნიშანსაც – როგორც რედაქტორი, ხაზგასმულ პატივისცემას ავტორის ტექსტისადმი და როგორც კრიტიკოსი, პასუხისმგებლობას მკითხველის წინაშე. ჟურნალში დაბეჭდილი არცერთი მასალა არ შეუცვლია, არ გადაუკეთებია საკუთარი შეხედულებისა და გემოვნებისამებრ. რადგან ჟურნალის იდეოლოგია იმთავითვე მტკიცედ (მყარად) იყო განსაზღვრული, ბუნებრივია, რედაქტორი გამოსაქვეყნებლად არჩევდა ეროვნული იდეოლოგიის გამომხატველ ნაწარმოებებს. ამით იყო განპირობებული თუნდაც ის ფაქტი, რომ დაიბეჭდა გიორგი ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობის“ მარტო პირველი, ისტორიული ნაწილი. რედაქტორი არსად, არასდროს ჩარეულა ავტორის ნაწერში (როგორც ამას სჩადიოდა ზოგი რუსი რედაქტორი, მაგალითად, სენკოვსკი, რომელიც სარედაქციო პოლოტიკის შესაბამისად ამატებდა, აკლებდა, ცვლიდა მხატვრულ ნაწარმოებებს, სამეცნიერო გამოკვლევებსა თუ პუბლიცისტურ წერილებს).

„სალიტერატურონი ნაწილის“... გამოცემამდე საქართველოში არავითარი ასპარეზი არ არსებობდა საჯარო კრიტიკისა და პოლემიკისა („საქართველოს (იგივე ქართული) გაზეთი“ და „ტიფლისის უწყებანი“ ამის საშუალებას არ იძლეოდა). სოლომონ დოდაშვილმა თავის ჟურნალში პოლემიკა გაუმართა „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ რედაქტორ გრიგოლ გორდეევს. ეს იყო საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ წამოწყებული ბრძოლა, რომელიც შემდეგ ღირსეულად განაგრძეს ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა. სოლომონ დოდაშვილის პროფესიონალიზმზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წერილი მკითხველთა ფართო მასისთვის იყო განკუთვნილი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით დაწერილი. მიუხედავად მწიგნობრული სტილისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს, ასე ვთქვათ, სახალხო წერილი გახლდათ. საქმე ისაა, რომ, როგორც პროფესიონალი, სოლომონ დოდაშვილი, რა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ ჟურნალი (და, საერთოდ, ლიტერატურა) მარტო სავაჭრო, გასაყიდი საქონელი კი არაა, არამედ უდიდესი, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ნებისმიერ პუბლიკაციას მკითხველზე სათანადო ესთეტიკური და იდეური გავლენა უნდა მოეხდინა, მოეზადებინა მომავალი აჯანყებისათვის – ეს გახლდათ რედაქტორის უპირველესი მიზანი და ამ მიზანს კიდევ ასრულებდა წარმატებით. ამას მოწმობს ბოლო, მეხუთე ნომერში გამოქვეყნებული ლექსი თადეოზ გურამიშვილისა, რომელიც ეხმიანება სოლომონ დოდაშვილის ზემოდასახელებულ წერილს და სიამოვნებასა და სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ უპასუხოდ არ დარჩა რუსი პუბლიცისტის სიყალბის შემცველი სტატია. თადეოზ გურამიშვილის ხმა ამ შემთხვევაში შეგვიძლია ხალხის ხმად მივიჩნიოთ.

სოლომონ დოდაშვილი ინტერესდებოდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებით, სწავლობდა, აკვირდებოდა და მწერლის თვალთახედვით გაიაზრებდა ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტს. სწორედ მწერლის ნიჭი, ალღო და ევროპული განათლება ეხმარებოდა მას, რომ გაერჩია და დაელაგებინა მეორეხარისხოვანი და უპირველესი. ათას წვრილმანში, მოგესხენებათ, მხოლოდ მწერალს აქვს უნარი, შეამჩნიოს ტენდენციის ამრეკლავი დეტალი და თავის მხრივ ან მხარი დაუჭიროს, ან სრულიად გაემიჯნოს ამა თუ იმ მოვლენას. ამ მსჯელობას ადასტურებს თუნდაც ძმასთან, სტეფანესთან მიმოწერა, რომელიც „სალიტერატურო ნაწილში“ გამოქვეყნდა. როსტომ ჩხეიძე ფიქრობს, რომ არ არის გამორიცხული, ლიტერატურულ მისტიფიკაციასთან გვექონდეს საქმე და სტეფანეს წერილიცა და საკუთარი პასუხიც სოლომონის შეთხზული იყოს. ასეთ შემთხვევაშიც (ამ შემთხვევაში უფრო) თვალსაჩინოდ იკვეთება სოლომონ დოდაშვილის, როგორც პროფესიონალი მწერლის თვისებები.

და შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. მისი სახელით სულ ორიოდე მოთხრობაა ჩვენამდე მოღწეული. ორივე ჟურნალში გამოქვეყნდა (გამოითქვა მოსაზრება, რომ შეიძლება „ჟინევრა“ ნათარგმნი იყოს). ორივე მხატვრულ ნაწარმოებს – მოთხრობებს „ჟინევრა“ და „ელენა“ – ატყვია პროფესიონალი ავტორის ხელი. „ჟინევრა“ აშკარად ამჟღავნებს მისტიფიკაციით, ფანტაზიით, ლიტერატურული თამაშით გატაცებას. „ელენაში“ კი დასმულია XIX საუკუნის ქართული (და არა მარტო ქართული) მწერლობისთვის საყურადღებო თემა ქალთა ემანსიპაციისა, ქალის უფლებებისა. მაშასადამე, სოლომონ დოდაშვილი, XIX საუკუნის ჩვენს მწერლობაში პირველია, ვინც ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს მიაქცია ყურადღება (იმაზე, თუ როგორ უნდა თხოვდებოდეს ქალი – საკუთარი თუ მშობლის სურვილით, ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი დაგვაფიქრებს. თუმცა იქ მარტო სამეფო ოჯახზეა საუბარი და ამიტომ საზოგადოდ ყველა ქალის მდგომარეობას, იქნებ, არც ასახავდეს).

აშკარაა, რომ დოდაშვილი ამჟღავნებს პროფესიონალი მწერლის ყველა ნიშანს, ოღონდ – სრულყოფილად ვერა. ამის შემდეგ (1832 წლის შემდეგ) ქართული კულტურის (ლიტერატურის) განვითარებაში ხანგრძლივი წყვეტა გვაქვს. ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მწერლობა, როგორც პროფესია, უკვე არსებობს და ვითარდება ჩვენში. თუმცა ის ჩანასახი უკვალოდ არ დაკარგულა და მწერლობის პროფესიონალიზაციის პროცესი კვლავ გაგრძელდა ოცი წლის შემდეგ. თუ ამ პერიოდის ჩვენი ყოფის თავისებურებებს გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება, რომ სრულყოფილად ეს მოვლენა ამ

დროსაც ვერ გამოვლინდა. მეტიც, ფაქტობრივად, ხელახლა დაიწყო და სოლომონ დოდაშვილის გავლილი გზა მხოლოდ მორალურ დახმარებას თუ გაუწევდა 50-იანი წლების მწერალსა თუ საზოგადო მოღვაწეს. რასაკვირველია, არც ესაა უმნიშვნელო და ამიტომაც მოხდა ისე, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში მწერლობის პროფესიონალიზაციის ხელახლა დაწყება დაკავშირებულია დოდაშვილის ყოფილ მოსწავლეებთან, დოდაშვილის ინტელექტუალური და მორალური საგანძურის მემკვიდრეებთან. აქ, უპირველესად, გიორგი ერისთავი უნდა ვახსენოთ და მისი დიდი ღვაწლი ქართული კულტურის განვითარებაში. თუმცა გიორგი ერისთავი უშუალოდ სოლომონ დოდაშვილის მოსწავლე არ ყოფილა გიმნაზიაში, მაგრამ, 32-ის სამზადისში მასთან დაახლოებულია (ერთად მონაწილეობდნენ 32 წლის შეთქმულებაში) მისი სასიკეთო გავლენაც განუცდია.

ორი წლის განმავლობაში (1852-54 წლებში) ედგა სათავეში და გამოსცემდა ჟურნალ „ცისკარს“ გიორგი ერისთავი. მასაც მოუხდა იმ წინააღმდეგობების გადალახვა, რომელთა დამლევსთვის ენერგიას არ იშურებდა პირველი ქართველი რედაქტორი. „ცისკარს“ რედაქტორსაც უამრავი საქმე აწვა კისერზე და მათ შორის, ფინანსური პრობლემების მოგვარებაც – ხელისმომწერთა მოძიება, ჟურნალის ფასის განსაზღვრა დედაქალაქსა და რეგიონებში და სხვა. საბოლოოდ ეს ჟურნალიც უსახსრობამ შეიწირა.

თავისი შემოქმედებითი შრომის, ინტელექტუალური პროდუქტის მატერიალურად გარდაქმნა სცადა ზურაბ ანტონოვმა. გიორგი ერისთავის სკოლის წარმომადგენელი ანტონოვი დღეს ნაკლებად დაფასებულია ჩვენში, ვიდრე იმსახურებს. იგი, რა თქმა უნდა, არ გახლდათ პროფესიონალი მწერალი ამ ტერმინის სრული (სამივე) მნიშვნელობით. ვერც იქნებოდა. იმდროინდელი საზოგადოებრივი ყოფა არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მწერლობა ცალკე პროფესიად ჩამოყალიბებულიყო. თუმცა ფაქტია, რომ შეგნებულად თუ შეუგნებლად, ანტონოვმა ხელი შეუწყო ამ პროცესს.

ვაჭრის ოჯახში გაზრდილმა დრამატურგმა ახალგაზრდობაშივე სცადა ვაჭრობა, მაგრამ ამ საქმეში ხელი მოეცარა. სამაგიეროდ, დიდი ნიჭი და უნარი გამოამჟღავნა და წარმატებასაც მიაღწია, როგორც დრამატურგმა. ხალხს მისი პიესები მოსწონდა (უნდა ითქვას, რომ უმრავლესობა, მასა პიესას სცენაზე წარმოდგენილი სპექტაკლის მიხედვით აფასებდა).

ზურაბ ანტონოვი ზრუნავდა საკუთარი ნაწარმოებების წიგნებად გამოსაცემად. ფიქრობდა, რომ წიგნების გაყიდვა გაეხადა შემოსავლის წყაროდ. სხვა საქმეა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს სრულად ვერ შეძლო, მაგრამ თვით ფაქტი მეტად საინტერესოა და, ვფიქრობ, ყურადღებას იმსახურებს. აი, რას იგონებს ივანე კერესელიძე: როცა „ანტონოვს ფრთები შეეკვეცა, ცხოვრების საღსარი აღარ ჰქონდა ის შეუდგა ეხლა თავის თხზულებების ბეჭდვასა. აგროვებდა მცნობებში ფულსა (და ვინ არ იცნობდა იმასა, მეტადრე მედუქნეები). ბეჭდავდა თავის თხზულებებსა, ამოიჩლიავენდა რამდენსამეს ილლიაში, დადიოდა მიგლეჯილ-მოგლეჯილი ბულვარზედ და მცნობებს ეხვეწებოდა, ვინც გზაზედ შეხვდებოდა, ეყიდნათ თითო – ოროლა წიგნი.“ როცა მომაკვდავი ანტონოვი შინ შეიყვანეს, იქ თურმე ქვის იატაკზე ეწყო „თავისგან გამოცემული წიგნები, რის გაყიდვა ვერ მოუწვდია“ [კერესელიძე 1893: #17] ვხედავთ, რომ ზურაბ ანტონოვს არც გამომცემელი ჰყავდა, არც რეალიზატორი, ყველაფერს თვითონ აკეთებდა ნაჩუქარი თუ ნასესხები თანხებით, მაგრამ ეიმედებოდა, რომ ასე ცხოვრების სახსარს გაიჩენდა. ასე რომ ანტონოვი, გარდა იმისა, რომ მოწოდებით მწერალია (სიახლეები შემოიტანა მწერლობაში, მის ზოგიერთ პიესას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და წარმატებით იდგმება ქართულ სცენაზე), ცდილობს, ლიტერატურული საქმიანობა გაიხადოს სტაბილური ფინანსური შემოსავლისა და არსებობის ძირითად წყაროდ. თუმცა ამას გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებს, ერთ-ერთი საფუძვლის დამდები მაინც არის მწერლობის პროფესიონალიზაციისა.

ლიტერატურა:

- გოზალიშვილი 1970 - გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II, თბილისი.
კერესელიძე 1893 #17 - ივ. კერესელიძე, ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი, ჟურნალი „ივერია“.
კუპრეიშვილი 2016 - ნონა კუპრეიშვილი, აკაკი წერეთელი და ქართული მწერლობის პროფესიონალიზაციის პროცესი, ლიტემისია, EKONOMIKURIKONCEPTBI. BLOGPOST.COM
ჩორანი 2016 - მილ მიშელ ჩორანი, ჟურნალი „საგურამო“, 2016, #1.
ჩხეიძე 2016 - რ. ჩხეიძე, მისიონერი, სოლომონ დოდაშვილის ცხოვრების ქრონიკა, თბილისი.
ჯოლოგუა 2011 - თ. ჯოლოგუა, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბილისი.
2002 #58 - . . .

Nino Vakhania
Sokhumi State University
AT THE BEGINNINGS OF PROFESSIONALIZATION OF GEORGIAN WRITING
RESUME

Origination of professions is related to the epoch of bourgeois, that is why writing as a profession is not known by old world with its narrow meaning. According to the professional writer's standpoint, for him/her author's work is vocation and at the same time one of the sources of income, one of the (if not the only one) means of life. One more symbol of writer's professionalism is special, emphasized respect to others text and as the responsibility of critic to the reader.

Due to clear reasons after Dodashvili's work was impeded formation of writing as a profession. One the one hand was anew begun the same process and on the other hand continued after twenty years by Giorgi Eristavi and his coeval Zurab Antonov.

მაკა კვარაცხელია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბავშვები და ბავშვობის თემა სტივენ კინგის შემოქმედებაში

ცნობილი ამერიკელი მწერლის, გროტესკის, ფანტასტიკური რომანისა და საშინელებათა რომანის საყოველთაოდ აღიარებული ოსტატის - სტივენ კინგის - შემოქმედება ძალზე აქტუალური აღმოჩნდა თანამედროვე მკითხველისთვის, რადგან მან ზუსტად ამოიგნო თანამედროვეობის ორი დიდი საფრთხე: ტოტალიტარიზმი და ტექნოლოგიური ინოვაციების დაუსაბამო პროგრესი. სტივენ კინგმა შეძლო სამყაროს ერთიანი მხატვრული მოდელის შექმნა მისი თანამდევი პრობლემებით, წინააღმდეგობებით, რომლებიც ეხმარება სინამდვილეს; რაც ასევე მნიშვნელოვანია, მან შემოგვთავაზა ამ პრობლემების გადაწყვეტის მისეული ხედეა და ამ პროცესში მიმართა არა რეალურ (თუმცა, არც ეს არის მისთვის უცხო), არამედ ფანტასტიკურ ელემენტებს, რათა გაეანალიზებინა ადამიანისა და საზოგადოების მოტივაცია. თავის ნაწარმოებებში კინგი წარმოაჩენს რეალურისა და ირეალურის, შესაძლებელისა და შეუძლებლობის/ფანტასტიკურის ზღვარზე არსებულ მოვლენებს; ექსტრაორდინალურ სიტუაციებს, მაგრამ ამის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, მაინც წყდება თანამედროვეობას, რადგან მწერლის ძირითადი საფიქრალი - კაცობრიობის ბედი, მისი მომავალია. ზოგადსაკაცობრიო საფიქრალი, ზნეობრივი პრობლემატიკა, პრობლემათა იდენტურობა სტივენ კინგს ერთ რიგში აყენებს მის წინამორბედებთან - მარკ ტვენთან, უილიამ ფოლკნერთან, შონ ო'კონერთან და სხვ. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ იგი აღიარებულია ამერიკელ კლასიკოსად, თუმცა სტივენ კინგის ფენომენის უგულვებელყოფაც, მისი გასაოცარი პოპულარობის გათვალისწინებით, უკვე შეუძლებელია. ლიტერატურის კრიტიკოსის, ბერნარდ გალახერის მოსწრებული შენიშვნით, „...მე არ მივიჩნევ, რომ კინგი შექსპირის ადგილს დაიკავებს; მაგრამ მიმაჩნია, რომ ასეთი კულტურული ფენომენი ნამდვილად იმსახურებს შესწავლას“ [Gallagher, 1987:35].

ბავშვობის თემა და მისი გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე წითელ ზოლად გასდევს კინგის შემოქმედებას; ზოგადად, როდესაც კინგი უარყოფით პერსონაჟებს გვიხატავს, ის ბოროტების სათავეებს ბავშვობაში ეძებს. მკვლელი მანიაკები, მოძალადეები და ფსიქოპატები სწორედ ბავშვობიდან მოდიან; ისინი ბავშვობაში თავად გახდნენ ძალადობის მსხვერპლი ან არაამქვეყნიურ საშინელებებს გადაეყარნენ. ამასთან ერთად, კინგის ნაწარმოებებში *ბავშვობა* ხშირად წარმოდგენილია საკრალურ გარემოდ, რომელშიც დაბრუნება შეუძლებელია.

მცირე ფორმატის მოთხრობაში „ბორანი“ [King, 1982] კინგი წარმოაჩენს ზრდასრული ადამიანებს ინფანტილური მდგომარეობიდან გაქცევის მცდელობას, რასაც საბოლოოდ ფატალური შედეგი მოჰყვება. სიუჟეტის თანახმად, ახალგაზრდები გადაწყვეტენ უნივერსიტეტიდან მოშორებით სასიამოვნო სადამოს მოწყობას. მათ სურთ თბილი ამინდით დატკბობა და სიყმაწვილესთან სიმბოლურად დამშვიდობება. შუა ტაში მყოფი ბორანი მათთვის ზაფხულის, უზრუნველობის პერიოდის სიმბოლოა, რომლის „მეხსიერების საკუჭნაოში“ შენახვა მომდევნო წლამდე სურთ. ისინი გადაწყვეტენ, ბორნამდე გაცურონ,

დაემშვიდობონ ზაფხულს და უკანვე გამოცურონ ნაპირისკენ. აღნიშნულ კონტექსტში ბორანი განასახიერებს საკრალურ ბარიერს უბიწოებასა და შემცენებას, ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის. როდესაც ახალგაზრდები ბორნამდე მიცურავენ, აღმოაჩენენ, რომ ბავშვობის ოაზისის ირგვლივ რაღაც საშინელი არსება მოძრაობს, რომლის გარეგნობა აპოკალიფს ადამიანს, მასთან შეხება კი - აუტანელ ტკივილს იწვევს. საბოლოოდ ეს არსება/ურჩხული ახალგაზრდებს დალუპავს.

მოთხრობაში წყალი *არაცნობიერის* სიმბოლოა და, ამდენად, „ბავშვობის კუნძული“ არაცნობიერით, ირაციონალურითაა გარშემორტყმული. რაც შეეხება წყალში მობინადრე ურჩხულს - ის სიყრმის ირაციონალურ ძალებს განასახიერებს, რომლის გამკლავება, არსებითად, ზრდასრულებს აღარ ძალუძთ. ბორანზე გაძლება მხოლოდ ბავშვს ხელეწიფება. გმირების მცდელობა, რომ დროის ნაკადი უკან შემოაბრუნონ, კატასტროფით მთავრდება. მხოლოდ პატარებს შეუძლიათ გაუმკლავდნენ ბავშვურ წარმოდგენებს ურჩხულებსა თუ მითებზე [Lawrence, 1962:182].

რისთვის დაისაჯნენ მოთხრობის პერსონაჟები? კინგის თანახმად, მათ სცადეს ინფანტილური მდგომარეობიდან თავის დაღწევა; ანუ ისინი დიდობის შიშს განიცდიან. მართალია, თავს იკატუნებენ, თითქოსდა დიდები არიან, მაგრამ ესაა მოჩვენებითი დიდობა და სექსუალობა. მათ ბავშვობა ენატრებათ, ანუ ის დრო, როდესაც ზაფხული მარადიულობამდე იწელებოდა და გრძელდებოდა. მოთხრობაში შესანიშნავადაა გადმოცემული ადამიანის შინაგანი რიტმის ცვალებადობა; ასაკის მატებასთან ერთად ადამიანები აღნიშნავენ, რომ დრო ჩქარდება და დღე მოკლდება; სინამდვილეში კი, ეს დროის სუბიექტური აღქმაა. დრო პატარებისთვის ისევ ტაატით გადის, როგორც ოდესღაც თითოეული ჩვენგანისათვის. სინამდვილეში ეს ნევროზის გამოვლინებაა, როცა არ გინდა იყო დიდი. კინგთან სწორედ ნევროზს უკავშირდება ბავშვური მოგონებები, რომელიც არასრულფასოვან, მოზრდილის ინფანტილურ პიროვნებას აყალიბებს და მას წარსულის შიშებთან კონფრონტაცია აქვს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

განსაკუთრებით კარგად არის გამოხატული ეს იდეა მოთხრობაში „The Library Policeman“ კრებულიდან „Four Past Midnight“ [King, 2013]. მთავარი გმირის ცნობიერებიდან განდევნილია მოგონება მანიაკზე, რომელმაც ის ადრეულ ასაკში გააუპატიურა. მთავარ გმირს გარეგანი ბოროტება ბიბლიოთეკის პოლიციელის სახით უბრუნდება, რომელიც მისით მანიპულირებს. რეალობის წვდომის შეუძლებლობა აიძულებს პროტაგონისტს ნევროზულ მდგომარეობაში ყოფნას და თამაშს ირაციონალური ბოროტების წესების მიხედვით. მხოლოდ ნებისყოფის გამოჩენით, ის შეძლებს სიტუაციის ხელში ჩაგდებას, გაკონტროლებას და ბოროტებას დაამარცხებს. ამგვარად, სიყრმეში მიღებული მოვლენების გადააზრებით/ცნობიერებაში მათი დაბრუნებით პროტაგონისტი ზრდასრულ პიროვნებად ყალიბდება.

გმირი პირველად მაშინ აწყდება ირაციონალური სამყაროს გამოვლენას, როდესაც ბიბლიოთეკის პოლიციელი „თუთიისფერი სადამოს ღრუბლის მსგავსი ლაბადით“ მოდის: კანის ფერი მკვდრის სითეთრეს გამოსცემს, სახე უმოძრაოა, თითქოსდა ნიღბის შთაბეჭდილებას ქმნის. ამ ადამიანმა არც სიკეთე იცის და არც დანდობა. მოკრუნჩხული ტუჩების უხეში ხაზი სემს უცებ მოაგონებს გრანიტის ფილაზე გაჩენილ ნახეთქს. პოლიციელის თვალები - გასისხლიანებული ქუთუთოებით, წამწამების გარეშე - ვერცხლისფერ ხერხელებს მოაგონებს სემს. საშინელება ისაა, რომ ეს სახე ძალზე ნაცნობი იყო, სემს ის უკვე ნანახი ჰყავდა. გონების მიკარგულ კუნჭულში სემს ჩაესმის ჩურჩული: „ბიჭუნა, წამოდი ჩემთან, მე პოლიციელი ვარ“. ეს სცენა მაშინვე ხორციელდება, როდესაც სემი შეეცდება საკუთარი წარსულის პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას და პრობლემის უგულვებელყოფას, რომელიც მას რეალურად უშლის ხელს არსებობაში.

რომანის „ჯერალდის თამაშის“ [King, 1992] მთავარი გმირიც მამამისის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება ბავშვობაში. მან თითქოს ამოაგდო მეხსიერებიდან ეს მოგონებები, მაგრამ ვერაფრით ვერ დააღაგა თავისი ცხოვრება მანამ, სანამ უნიკალურმა მოვლენებმა არ აიძულეს გადაეხედა თავისი წარსულისათვის და შეეცვალა მომავალი. ადრე მომხდარმა ამბავმა ის ჩამოაყალიბა სამუდამოდ მსხვერპლ ქალად. ქმარი - ჯერალდი - აირჩია გულწრფელი სიყვარულის ნიშნით, მამის სახედ და ხატად, რაც ფროიდისეული მშობლებისადმი ინფანტილურ ლტოლვას მოგვაგონებს. ერთხელ საზაფხულო სახლში ყოფნისას ის დათანხმდება ჯერალდის სექსუალურ თამაშს; ანუ, ქმარი თამაშობს ჯალათის როლს და თავის მსხვერპლს მიაბამს საწოლზე. ქმრის მოულოდნელი ინსულტის გამო, ცხადია „თამაშიც“ დასრულდება და დაბმულ ქალს დამოუკიდებლად ახსნა არ შეუძლია.

ამ უჩვეულო მდგომარეობამ აიძულა ყოფილ მსხვერპლს თავისი ცხოვრებისათვის გადაეხედა და ებრძოლა გადარჩენისთვის. გათავისუფლების შემდეგ მისი ცხოვრება კარდინალურად იცვლება. მომხდარი ამბავი, ფორმალურად, თანამედროვე ფსიქოტერეინინგს ჩამოჰგავს, რომლის დროსაც პაციენტს გარკვეული დროით ტოვებენ იზოლირებულ სივრცეში (მაგალითად, სპეციალურად გაკეთებულ კუბოში). უჩვეულო პირობები მგრძნობელობას ამწვავებს, რაც ადამიანს საშუალებას აძლევს, თავის ცხოვრებას სხვა კუთხით შეხედოს და ფსიქიკური რეალობა გამოასწოროს.

მოთხრობაში „მაიმუნი“ [King, 1980] ჰელა შელბორნისთვის სათამაშო მაიმუნი ხდება ადრეული ბავშვობის ტრაგიკული მოვლენებისა და მიყუჩებული გმობების სიმბოლო; ქალი თავს იდანაშაულებს ახლობლების სიკვდილში. მთელი მოთხრობა ზრდასრული გმირის ბავშვობისეული მოვლენების რემინისცენციაა, როდესაც მცირე დროის მონაკვეთში დაელუპა დედა, ძმის საუკეთესო მეგობარი, მოსამსახურე და ძალი. მომხდარ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე მან დასაქოქი მაიმუნი შეიძინა და საკუთარი თავი დააჯერა, რომ მორიგ სიკვდილსა და სათამაშოს ზარების რეკვას შორის უშუალო კავშირი არსებობს.

ბავშვის აზროვნებაში ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება და ყველაფერმა შეიძლება მიგვიყვანოს მოულოდნელ შედეგებამდე და ალუზიებამდე. შინაგანი ხმა თითქოს, შანტაჟს უწყობს ხელს და მთავარ გმირს აიძულებს, თვითონ მომართოს სათამაშო. ჰელა შელბორნს არ სურს ამის გაკეთება, რასაც შინაგანად ეწინააღმდეგება. სიკვდილის შიში და შვება იმის გამო, რომ მისი სიკვდილის დრო ჯერ არ დამდგარა, მთავარ გმირს დანაშაულის გრძნობას უღრმავებს. ბავშვობაში მას არავინ აუხსნა ტრაგიკული მოვლენების არსი და ქვეცნობიერად, ახლობლების დალუპვის გამო, პირად დანაშაულს გრძნობს. ასევე, საკუთარი თავის გადასარჩენად გმირმა ეს ყველაფერი სათამაშოზე გადაიტანა: იქ ეგულება დანაშაული, დარწმუნებითი ცოდნა იმისა, რომ სათამაშოს გამო იმ მზიან დღეს, სკოლის შემდეგ, თავისი დედა მოკლა.

გვიან, ზრდასრულ ასაკში ჰელის ცხოვრებაში სათამაშოს გამოჩენა (ისევე როგორც ფსიქიკური დაავადების შემთხვევაში, რომლის გამწვავება ცხოვრების კრიზისულ მომენტებში მოდის), უპირველესად შეპირობებულია სულიერი კრიზისით: მას უკვდება გამზრდელი მამიდა, ცოლთან დაძაბული ურთიერთობა აქვს, ასევე დაეძაბა ურთიერთობა უფროს ვაჟთანაც და გრძნობს, რომ რაღაც საშინელი რამ შეიძლება დაემართოს მის უმცროს ვაჟს - პიტს. ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ ზრდასრული ჰელ შელბორნი, როდესაც მაიმუნს დაინახავს, საშინელი სასოწარკვეთის გრძნობა ეუფლება და ერთ მომენტში ჰგონია, რომ დაიყვრება კიდევ. ამგვარად, ბავშვობის დანაშაულის გრძნობა მომხდარი ტრაგედიის გამო და სიკვდილის შიში გადატანილია ზრდასრულ ცხოვრებაში.

გარკვეულწილად, მაიმუნი წარმოადგენს ირაციონალურს, ჰელის ფსიქიკის დესტრუქციულ ნაწილს, იმას, რამაც ვერ გადაძლია ბავშვობის ტრაგიკული მოვლენები. ამგვარად, ჰელი სულ უფრო და უფრო გრძნობს უფროსი შვილის მიმართ გაუკონტროლებელ მტრობას; ნერვიული აფეთქებისას შვილს კედელსაც მიანარცხებს. ამ დროს კი, თითქოსდა თანხმობის ნიშნად, მაიმუნი ილიმება. მაიმუნსა და ჰელს შორის არსებულ კავშირს ერთი სცენა გვიდასტურებს, როდესაც ჰელი ჭაში იყურება, რომელშიც მან ოდესღაც სათამაშო ჩააგდო. ჭის სიღრმიდან მას საკუთარი სახე შესცქერის - მაიმუნი. მაშასადამე, მაიმუნი მის ინფანტილურ alter ego-ს წარმოადგენს. სიმპტომატურია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჰელს ზიზიდა აქვს სათამაშოს მიმართ და ეშინია კიდევ მისი, აღმოაჩენს, რომ ძილში ინსტიქტურად იხუტებს მას, რის შესახებაც უმცროსმა ბიჭმა უთხრა.

როდესაც კინგი აკრიტიკებს უფროსებს, ეს ერთდროულად ინფანტილური და ნარცისისტული საზოგადოების კრიტიკაცაა. კინგის პატარები/ბავშვები დიდების სოციაუმის ცოდვებისა და შეცდომების დემონსტრირებას წარმოადგენენ. კინგისთვის ბავშვობის უბიწობის წარმევა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე უნივერსალური ცოდვით დაცემის უზადლო გამეორება; ის გაფართოებულია საზოგადოებისა და კულტურის კრიტიკის გარკვეულ საშუალებად. ამის საუკეთესო მაგალითია „სიმინდის ბავშვები“ [King, 1978].

სიუჟეტის თანახმად, ახალგაზრდა უშვილო წყვილს დაშორებას ცოტადა აკლია. ნებრასკას შტატის უკაცრიელ და უკიდევანო ადგილებში მანქანით მოგზაურობისას ისინი დანაშაულის მოწმენი ხდებიან; მათი მანქანის საბურავთან ყელგამოჭრილი ბავშვი დააგდეს. ვიკი და ბარტი ადგილობრივ ხელისუფალთ მიმართავენ დასახმარებლად და ჩერდებიან უახლოეს ქალაქში, რომელშიც დრო, მათდა გასაოცრად, გაჩერებულია. ამ მიდამოებში, დაწყებული 1964 წლიდან, რაღაც დაემართა რელიგიას, სიმინდსა და ბავშვებს. ადგილობრივ ეკლესიაში ბარტი აღმოაჩენს ბიბლიას, რომლიდანაც ამოგლეჯილია დიდი მონაკვეთები. გადარჩენილია მხოლოდ ძველი აღთქმა. აღმოჩნდება, რომ ეკლესიის დაბადებისა და გარდაცვალების სააღრიცხვო წიგნიდან აღარავინ შემორჩენილა, გარდა ცხრამეტი წლის ბავშვებისა. სიკვდილის თარიღები ემთხვევა დაბადების თარიღებს. ვიდრე ბარტი ამ ვითარებას არკვევს, ბავშვებისა და მოზარდების ხროვა თავს დაესხმის მის ცოლს, რომელიც მანქანაშია დარჩენილი. მას მსხვერპლად სწირავენ სიმინდის მინდორში რაღაც ბოროტ არსებას, ე.წ. სიმინდის ღმერთს, რომელიც შთანთქავს ყველას, ვინც ცხრამეტ წელს მიაღწევს. საბოლოოდ ბარტიც ვერ დააღწევს თავს დევნას და მეუღლის ბედს გაიზიარებს.

„სიმინდის ბავშვები“ კინგის ერთ-ერთი უძლიერესი ალეგორიული ნაწარმოებია, რომელშიც აშკარად იკვეთება პარაბოლურობა. პარაბოლურობის ცნებაში ვგულისხმობთ რეალისტური ფილოსოფიური პროზის იმგვარ ხარისხს, როდესაც სულიერი და ფილოსოფიური თვალსაზრისით ნაწარმოები მოიცავს გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე მასში გადმოცემული მოვლენებით ფიქსირდებოდა.

პარაბოლურობის ცნება გულისხმობს ერთგვარ გარღვევას, გასვლას ძირეულ, ყოფით კანონზომიერებებზე; „პარაბოლურობა გულისხმობს კერძო მოვლენისგან დაშორებას, რათა შემდგომ კვლავ დაუბრუნდე მას ფილოსოფიური წვდომის დონეზე, დროით ასპექტში მარადიულობის წარმოჩენის მიზნით“ [მირესაშვილი, 2005:148].

ყველასათვის თვალჩინა, ზედაპირულ დონეზე მოთხრობა აკრიტიკებს ოჯახის ინსტიტუტს. ბარტიცა და ვიკი იმიტომ იღუპებიან, რომ ეკლესიაში ღმერთის წინაშე დადებულ და ერთმანეთისთვის მიცემულ ფიცს ღალატობენ; მათ უღალატეს ოჯახურ მოვალეობებს. იმავდროულად, მოთხრობაში თვალშისაცემია რელიგიური ფანატიზმის კრიტიკა ადგილობრივი მოზარდების სახით, რომლებიც გონებრივად, სულიერად ჯერ არ არიან ჩამოყალიბებულნი და მათი მართვა რელიგიურ საბურველში გახვეული სასტიკი დოგმებით სირთულეს არ წარმოადგენს. თუმცა, ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემატიკა გაცილებით ღრმად (სწორედ ამიტომ მივუთითებთ ნაწარმოების პარაბოლურობაზე). შემთხვევითი არ არის, რომ ამ ადგილას დრო მაინცადამაინც 1964 წელს გაჩერდა და *სიცოცხლის ხანგრძლივობის* ასაკობრივი ლიმიტი ცხრამეტი წლით განისაზღვრა. ამერიკის ისტორიაში 1964 წელი ვიეტნამთან აქტიური საბრძოლო მოქმედებების დასაწყისს უკავშირდება, როდესაც ქვეყნის მთავრობა ცხრამეტი წლის ჭაბუკებს დედამიწის მეორე ნახევარსფეროში აგზავნიდა საომრად. ვიეტნამი გადაიქცა ამერიკის კოლექტიურ გასვლად სამყაროში, რომელიც სავსე იყო ცოდვებითა და შეცდომებით. ვიეტნამთან წარმოებულმა ომმა ამერიკულ უცოდველობას/ამერიკულ ოცნებას ძლიერი დარტყმა მიაყენა.

იაპონიაში, ჰიროსიმასა და ნაგასაკიში, ატომური ბომბების ჩამოყრას არ გამოუწვევია ისეთი რეზონანსი, როგორც ვიეტნამის ომმა; მან ამერიკის საზოგადოება ორ ნაწილად გახლიჩა: ზრდასრულ კონსერვატორებად და ახალგაზრდა ლიბერალებად, მამებად და შვილებად. ეს იყო პირველი შემთხვევა ამერიკის ისტორიაში, როდესაც მოვლენათა განვითარებამ უკიდურესად რადიკალური ფორმა მიიღო, რაც გამოიხატა ახალგაზრდების მასობრივ გამოსვლებსა და ბუნტში; საქმე კინალამ რევოლუციამდე მივიდა. ამ პერიოდში, კინგის მტკიცებით, უფსკრული წარმოიშვა თაობებს შორის. ამიტომ არის, რომ მოთხრობაში ბავშვებს სასტიკი განაჩენი გამოაქვთ მამებისთვის; მათ სიცოცხლეს სწირავენ სიმინდის ღმერთს (სიმინდი, როგორც „წმინდა“ ამერიკული კულტურა, შესაძლოა თავად ქვეყნის სიმბოლოდაც განვიხილოთ). დიდების სამყარო ამ ისტორიაში მეტად ცოდვილად გამოიყურებოდა და დასჯას იმსახურებს. თითქოსდა, ძველი აღთქმის იაჰვემ კიდევ ერთხელ დასაჯა ცოდვილები და რჩეული ხალხის რანგში ბავშვები აირჩია. ბარტი და ვიკი, როგორც დიდების წარმომადგენლები, განწირულები არიან [Magistrale, 1988:82]. ცოლიც და ქმარიც ეგოისტები არიან, არ სწამთ ღმერთის, მათი ქორწინება დისჰარმონიულია. მათი სურვილი - ნებრასკას გავლით მზიან, ცოდვებით აღსავსე კალიფორნიაში მოხვედრა - კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ისინი დაცემულ, პოსტ-ვიეტნამის ამერიკას წარმოადგენენ და ამიტომაც ისჯებიან; ამდენად, თხრობის ლოგიკა განაპირობებს მათ ტრაგიკულ ბედს.

ტექსტში ხშირად გვხვდება კინგისთვის ესოდენ საყვარელი ალუზიები; უპირველეს ყოვლისა, ეს მიემართება უჩვეულო რადიოსადგურს, რომელსაც გზაში მიმავალი ბარტი და ვიკი იჭერენ, რომელზეც ბავშვი-მქადაგებელი მიანიშნებს ძველ ცოდვებზე. შემდგომ, როდესაც ვიეტნამის ომის ვეტერანი - ბარტი - იღუპალებით მოცული ქალაქის ამბებს იგებს, უჩნდება კითხვა: ხომ არ არის ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა დაკავშირებული იმ ფაქტთან, რომ სიმინდი მრავალრიცხოვანი ცოდვების გამო კვდებოდა; რომ მიწა სჯიდა ამერიკელებს იმის გამო, რომ მათ აქტიურად მოიხმარეს ქიმიური იარაღი ვიეტნამში. ბარტის მოსაზრებები დასტურდება, როდესაც იგი სასუქის სუნს იგრძნობს; მას იმწამსვე ახსენდება ვიეტნამი და სიკვდილის სუნი. ამგვარად, ბარტი ასოციაციურად აერთიანებს ვიეტნამის სიკვდილის ველსა და ნებრასკის სიმინდის ყანას. როგორ ვხედავთ, კინგის შემოქმედებაში პოლიტიკურ თემას, თუნდაც ალუზიურად (რაც კიდევ უფრო მეტ სიღრმესა და სიმბაფრეს ანიჭებს მას) საკმაოდ ადგილი უჭირავს. ვფიქრობთ, მწერლის თემატურ და პრობლემატურ მრავალფეროვნებას ეს მომენტი კიდევ უფრო აძლიერებს და დამაინტრიგებელს ხდის.

ამგვარად, სტივენ კინგი თავის პროზაში არცთუ იშვიათად მიმართავს ტრადიციული ღირებულებების ზოგად რევიზიას; აღნიშნული თვალსაზრისით იგი წინა პლანზე წამოსწევს ბავშვობის/სიყმაწვილის თემას, რომლის საშუალებით აკრიტიკებს როგორც ამერიკის წარსულს (მაგ., ვიეტნამის ომი), ისე ამერიკული საზოგადოების თანამედროვე სოციალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მის განსხვავებულ ასპექტებს (ეკლესიას, სკოლას, ოჯახს, ხელისუფლებას და ა.შ.).

ლიტერატურა:

1. Gallagher, B. G.. *Reading Between the Lines: Stephen King and Allegory*. In: *The Gothic World Of Stephen King: Landscape of Nightmares*. Ed. G. Hoppenstand and R. B. Browne, Bowling Green, Ohio, Bowling Green State University Popular Press, 1987.
2. King, Stephen. "Children of the Corn", USA, Publisher: Pocket Books, 1978.

3. King, Stephen. "The Monkey", USA, William B. Eerdmans Publishing Company, 1980.
4. King, Stephen. "The Raft", UK, Publisher London: Futura, 1982.
5. King, Stephen. "Gerald's Game", USA, Publisher, Viking, 1992.
6. King, Stephen. *The Library Policeman*, „Four Past Midnight“, Publisher: New English Library Ltd, 1990.
7. Lawrence, D.H. Collected Letters: In 2 vol / Ed. by T.H. Moore. – Heinemann, Vol. 1. 1962.
8. Magistrale, Tony. Landscape of fear. – Published by Bowling Green State University Popular Press, Bowling Green, Ohio, U.S.A. p.125-135, 1988.
9. მირესაშვილი მ., ისტორიული რომანის ჟანრული თავისებურებანი (XX საუკუნის II ნახევარი); თბ., გამომცემლობა: „ინოვაცია“, 2005. 282 გვ.

Maka Kvaratskhelia
Gori State Teaching University
CHILDREN AND CHILDHOOD THEME IN STEPHEN KING'S CREATIONS
RESUME

King elaborates a pernicious influence of regress and infantile condition from psycho-analytical point of view in some works. Such circumstances are included in the tradition of horror fiction, in which Thanatos energy (the desire of death, frequently connected with returning to childhood, gaining composure) is depicted. An adult's attempt to return to childhood is always linked to destructive and in some cases, fatal consequences; the desire of "moving" to another age group and obvious punishment are connected with each other. The genre of horror fiction is characterized with exemption of childish and adult world, inability of moving into another and even fatal consequences of the attempt.

მარიამ მარჯანიშვილი
 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

გიორგი კერესელიძის ეპისტოლეთა რემინისცენცია

„ჩემებრ გადმოხვეწილებმა კარგად ვიცით - წმინდანები არა ვართ; წინააღმდეგ, ცოდვილნი... ამ ცოდვების სათავე იქიდან მოდის, რომ საკუთარი ქვეყანა დავტოვეთ. ბორკილებში ჩაჭედილი ჩვენი ხალხი მტრის საგვემად დავაგდეთ და საკუთარი თავი უცხოეთს შევავარეთ, და შურისძიებით შეპყრობილი მტრის სიმძაფრე საქართველოს გულს დააწვა... რამდენი რამ გადაიტანა და აიტანა პატარა საქართველომ ამ 40 წელთა მანძილზე და წინ რამდენი ელის. ვინ მოსთვლის?... ჩვენი თაობის ლტოლვილებსაც აქვთ ბევრი სათქმელი და ვინც ამ თქმას კარგად მოისმენს, „ცოდვებს“ ცოდვებად არ ჩაგვითვლის ქვას არ გვესვრის“, - წერდა აკაკი პაპავა (**პაპავა 1962:5**).

სამართლიანი და მიუდგომელი ისტორია დღეს მაღალ შეფასებას აძლევს ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას, რომელთაც მარადისოფლად მხოლოდ და მხოლოდ მშობლიური მიწა-წყალი მიაჩნდათ, ხოლო უცხოეთში ყოფნას კი წუთისოფლად მიიჩნევდნენ და ამიტომ იყო, რომ ისინი მარადსაკუთარ კერაზე, ქართულ მიწაზე ოცნებობდნენ და ლოცულობდნენ.

უცხოეთის ცის ქვეშ მამა-პაპულ მიწა-წყალზე მიჯაჭვული გიორგი კერესელიძეც, მხოლოდ ხატად ქცეულ სამშობლოზე ოცნებობდა და მისი მოგონებებით ცხოვრობდა: „ახრისის გარდაქმნას მატყობინებ მე კი ისევ ისევ ის ძველი, ჭუჭყიანი, ჩვენ პაპათა ახრისის ნახვასა ვნატრობ. ის იყო ჩვენი ახალგაზრდობის აკვანი. ნეტა გორი ძალიან შეიცვალა? მახსოვს: ჩვენი ვახტანგის მშვენიერი წერილი გაზეთ „ქართლში“. მიშა ციციშვილი, სადაც ძალიან ნიჭიერ იუმორისტულ სურათს გვაძლევდა ჩემი დროის გორისას. მე ის გორი მიყვარს“, - წერდა საფრანგეთიდან თავის დას ელენე გლურჯიძეს (**ვეზინე 6 მარტი 1959**).

გიორგი კერესელიძე 1885 წელს დაიბადა ახრისში. იგი ლეო კერესელიძის უმცროსი ძმა გახლდათ, რომელმაც ცნობილი დუშეთის ამბის გამო, 1906 წელს, მასთან და დეიდაშვილთან ერთად სამშობლო

დატოვა. მათ თავი შევიცარიას შეაფარეს. გიორგი კერესელიძემ საზღვარგარეთ წაიყვანა ასევე თავისი ცოლ-შვილიც, მეუღლე თამარ ციციშვილი და რამოდენიმე თვის ბაბუას სეხნია მათე კერესელიძე.

„ჩემო ძვირფასო ელენე - მიბრძანე შენ მერამდენე იყავი ჩვენს ექვსში - საწყალი ბედუკა (ბავშვობიდანვე გარდაიცვალა) ვახტანგის მომდევნო იყო და ანგარიშს გამიადვილებ, იცი, რომ ჩვენ ყველა ორ-ორი წლით ვიყავით ერთი მეორეზე უფროსი... მე დავიბადე 17 (ძველი სტილით) მარტს 1885 წელს. შენ ჩემზე უმცროსი ხარ“ (პარიზი 15.07.1959).

კიევის სასულიერო აკადემიადამთავრებული მათე კერესელიძე ილიას თხოვნით გორში დასახლდა თეატრისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. „ეხლა მამაჩვენის სურათის შესახებ: მე მაქვს სურათი, სადაც მამა დედაჩვენთან არის გადაღებული (ლიზა ჩერქეზიშვილმა გამომიგზავნა). ამ სურათზე მამა ვერ არის კარგად გამოსული. კარგი იყო მოსე თოიძის მიერ ნახშირით დახატული, არ ვიცი თუ კიდევ არსებობს, ან ვისა აქვს. მამაჩემი კარგად არის გამოსული იმ სურათზედ, რომელიც გადაღებული იყო, როცა ჩვენ გორიდან თბილისში გადავდიოდით და მამაჩემის პატივსაცემლად გორის პატრიოტულმა წრემ მის გარშემო გადააღებინა ეს სურათი. მამა ზის შუაში - გარშემო: ზის მამას მარჯვნივ ნიკო ლომოური; მარცხნივ პავლე ბურჯანაძე; უკან დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ) კონსტანტინე ცხვედაძე, სიმონ გოგლიჩიძე, ა. თოხაძე, ა. დავითაშვილი; სურათის წინ წამოწოლილია - ს. მგალობლიშვილი.

ეს სურათი მოთავსებულია ჩრდილო ამერიკაში დაბეჭდილ „კრებულში“ გრიგოლ (გიგო) დიასამიძის მოგონებებთან ჩართული. ეს სურათი ჩვენცა გვქონდა. კრებულში გიგო დიასამიძე დიდი სიმპატიებით იხსენებს მამას, ჩვენს ოჯახს, ისევე როგორც ლეოს და მე“ (ვეზინე 22 ენკენისთვე 1959).

მათე კერესელიძემ გორში აზნაურის ქალი მარიამ ყანჩელი შეირთო. სოფელი ახრისი სადაც კერესელიძეები სახლობდნენ, მეჯვრისხევთან ახლოს მდებარეობს.

მათ სახლში თავს იყრიდნენ საქართველოს ბედ-იღბალზე დაფიქრებული ინტელიგენცია. თავად მარიამ ყანჩელიც აქტიურად მონაწილეობდა გორის სცენისმოყვარეთა წრეში. მის კალამს ეკუთვნის ასევე მოთხრობა „ნენე“.

„მგალობლიშვილის მოგონებებით კი დიდად გამახარებ თუ მიშოვნი. დედაჩვენი რა გარდაიცვალა, სოფრომმა კარგი ნეკროლოგი დასწერა. ალბათ, თავის მოგონებებში გორის ეპოქას შეეხება, სადაც და როდესაც მამაჩვენიც მოღვაწეობდა: მე თვითონ აზრად მაქვს დავწერო ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მოგონებანი და სოფრონისა თუ სხვათა მემუარები დიდ სამსახურს გამიწევენ“ (ვეზინე 20 მკათათვე 1958).

მომდევნო ეპისტოლეში გიორგი კერესელიძე ცდილობს აფორიაქებული დის ელენე გლურჯიძის დამშვიდებას და რამოდენიმე ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას: „შენ, ვხედავ მგალობლიშვილის მოგონებებს აუღელვებიახარ. ერთში ხარ მართალი - ავტორი (ე.ი სოფრომი) გამოუცდელი მემორიალისტია და ამიტომ ხშირად ჭორიკანას სახეს იღებს. შენი აღელვების მიზეზი უეჭველად ის ადგილია, სადაც ის შეეხება იმ ჭორს, რომელიც ვიდაცას გაუვრცელებია დედას სახელის გასატეხად.

ჩემო ელენე, ეს ისეთი ბუნებრივი მოვლენაა და განსაკუთრებით ისეთ პროვინციალურ პატარა ქალაქში, როგორიც, იმ დროს გორი იყო. რომ საწყენი აქ არა არის რა. ამ ამბავმა, სჩანს, ყველა პატიოსანი ხალხი ააღელვა: თვით სოფრომი, ანტონიც და ილიაც.

არა სჩანს ცხადად, თუ ის პამფლეტი ან პასკვილი, რომელზედაც სოფრომი სწერს, თუ მართლა დედას შეეხებოდა. ხოლო თუ მართლა დედას შეეხებოდა - გასაკვირველი არ არის რადგან, ალბად, ბევრი ვერ აპატივებდა დედას, რომ მას ბევრი მოტრფიალე და პატივისმცემელი ჰყავდა და რომ თვალსაჩინო როლსა თამაშობდა საზოგადოებაში. თვით სოფრომი დედას დიდი პატივისმცემელი იყო, ეს მე თვითონ ვიცი; ეს სჩანდა იმ ნეკროლოგიდან, რომელიც მან დედის ხსოვნას უძღვნა. ეს სჩანს თვით მემუარებიდან და ეგრეთვე დედას წერილიდან სოფრომის მიმართ.

ჯერ მარტო ის რადა ღირს, რომ ისეთი დიდად თვალსაჩინო მოღვაწე, როგორიც იყო დემურის მეუღლე, ჩვენმა დედ-მამამ გამოიყვანეს ასპარეზზე! ამას დაუმატე სხვა დიდი ღვაწლი მათი“ (ვეზინე 29.05.1959).

ოჯახი და გარემო პირობები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ ძმები კერესელიძეების თავისუფლების იდეალების ჩამოყალიბებასა და პატრიოტული სულისკვეთებით აღზდაზე.

1890 წელს მათე კერესელიძე ოჯახით თბილისში გადასახლდა, სადაც მათი შვილები აქტიურად ჩაებნენ ლიტერატურულ, პოლიტიკურ თუ მებრძოლთა წრეებში. თავდაპირველად ძმები „ცნობის ფურცლის“ ირგვლივ გაერთიანდნენ და საქართველოში მეფობის აღდგენაზე ოცნებობდნენ, თუმცა სოციალ-ფედერალისტური პარტია, რომლის ორგანოს ზემოხსენებული გაზეთი წარმოადგენდა ავტონომიისა და ფედერალიზმის მომხრე იყო, მაგრამ საბოლოოდ ყველა ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდა: „საქართველოს დამოუკიდებლობასა და რუსთა განდევნას“...

„მომავონდება ხოლმე გორი, სადაც შენ, ლეო, ვახტანგი და მე დავიბადენით. მახსოვს ის სახლი, გორში, იქ სადაც ფშანი ლიახვსა და ლიახვი მტკვარს ერთვიან. მაგონდება ხშირად ჩვენი აღმზრდელი

აკვანი, გადახობილი, ღარიბი, ჭუჭყიანი ახრისი და ვერ აღგიწერ რამდენ პოეზიასა ვპოულობ თუნდაც შემდეგ სურათში: წყლის „ბოჭკა“, საღორესთან ახლოს, „ბოჭკის“, კრანთან „გობი“, სადაც წინწკალ-წინწკალ წყალი გროვდებოდა, გადმოდიოდა და ქმნიდა პატარა წუმპეს, იხვისა და ბატის ჭუკების საბედნიეროთ. მახსოვს დედა, ახალგაზრდა, ლამაზი, ტანადი, კოხტა, ეშხით, მიმზიდველობით, საოცარი კეთილის ღიმილით დიდად დაჯილდოვებული. მისი ლიტერატურული და პოლიტიკური „სალონი“.

სტუმრობა, სახლი მთაწმინდაზე - იმედები მომავლისა - მამა, ილიასა და აკაკის რომ აღფრთოვანებით გვიკითხავდა და გვაყვარებდა. ყოველივე ეს და სხვა ბევრი რამ ღრმად და დიდის სილამაზით აღბეჭდილი არიან ჩემს გრძნობებში“ (**ვეზინე 4 ენკენისთვე 1957**).

გიორგი კერესელიძეს მეორე ვაჟი ლეო (ლულუ) ემიგრაციაში შეეძინა, რომელსაც თანამებრძოლი მმის საპატივცემულოდ მისი სახელი დაარქვა.

დუშეთის საქმის გამო უცხოეთში გახიზნულ ძმებს რუსეთის მთავრობამ მალე მიაგნო და შვეიცარიის მთავრობისაგან მოითხოვა სისხლის სამართლის დამნაშავეთა გადმოცემა, მაგრამ სასამართლოზე მოწვეულმა საერთაშორისო სამართლის ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ნისსმა ისინი გაამართლა იმ მოტივით, რომ „ყოველი მოქმედება ქართველთა ქვეყნის განთავისუფლებისათვის უკანონო უცხო ბატონობისაგან, პოლიტიკური აქტია და დუშეთის საქმეც. კერესელიძეებისა და მაღალაშვილის გადაცემა რუსეთისათვის ამიტომ უკანონო იქნებოდა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რადგანაც ისინი სისხლის სამართლის დამნაშავენი კი არ არიან, არამედ პატრიოტულ - რევოლუციონური აქტის ჩამდენნი“ (**„ბედი ქართლისა“ 1962:11-13**).

საერთაშორისო სამართლის ძალით განთავისუფლებული ძმები კერესელიძეები ჟენევაში დამკვიდრდნენ, სადაც პეტრე სურგულაძესთან ერთად „სეპარატისტთა ჯგუფი“ დაარსეს, რომლის ჟურნალი იყო „თავისუფალი საქართველო“. ჟურნალის რედაქტორი გახლდათ პეტრე სურგულაძე, ხოლო ავტორებად და თანამშრომლებად ითვლებოდნენ ლეო და გიორგი კერესელიძეები, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და ნესტორ მაღალაშვილი. პაპიროსის ქაღალდზე დაბეჭდილი ყოველთვიური ჟურნალი 24 გვერდიანი იყო. სულ 1913-14 წლებში ჟურნალის 4 ნომერი გამოვიდა.

ამ ჯგუფმა და მისმა ჟურნალმა მოამზადა ქართული აზრი მომავალ დიდ საქმეთა გასაგებად. „სეპარატისტთა ჯგუფი“, 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტად“ გადააკეთეს.

კომიტეტის წევრებთან ერთად გიორგი კერესელიძე ხან სტამბულში, ხან ლაზისტანში, ბოლოს ბერლინში მუშაობდა, სადაც 1916 წელს მათი ინიციატივით „ქართული გაზეთი“ დაარსდა. 1917 წლის დეკემბრიდან მის დახურვამდე 1918 წლამდე მას გიორგი კერესელიძე რედაქტორობდა.

1918-19 წლებში გიორგი კერესელიძე მუშაობდა ბერლინში დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოში. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წლებში იგი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აქტიურ პარტიულ საქმიანობას ჩამოშორებული გიორგი კერესელიძე, გერმანიიდან საბოლოოდ საფრანგეთში დამკვიდრდა და ფართო ლიტერატურული მოღვაწეობა გააგრძელა.

და, როგორც ემიგრანტი ვახტანგ ღამბაშიძე 1947 წლის 24 ივლისს შოტლანდიიდან გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „...მანინგ რამდენი მასალა დაიღუპა ამ შეჩვენებული ომის წყალობით: ლეო კერესელიძის ნაწერები და წიგნები, გიორგი კერესელიძის, ზურაბ ავალიშვილის, რეზო გაბაშვილის და რამდენი სხვა. აკაკი პაპავას წიგნთსაცავი მგონი გადარჩენილა, მაგრამ შეუძლია კი ვისმე მათი სარგებლობა? - მეეჭვება“ (**შარაძე 1992:106**).

გიორგი კერესელიძის ეპისტოლეებში სულის სიმღეზე გატარებული მრავალი სტრიქონია აჟღერებული: „შენი 3 თებერვლის წერილი დიდი ხანია მივიღე და უღრმესი ბედნიერებით წავიკითხე. მართალია, ბევრი სამწუხარო ცნობებია შიგ (ვ. ქართველიშვილისა, საშა ნათიშვილისა და სხვათა შესახებ), მაგრამ შენი ხელით დაწერილი წერილი, შენი სიტყვები, კვლავ მიბრუნებენ ბავშვობისას განცდილ გრძნობებსა და სურათებს. რამდენი ტკბილი და რამდენი მწარე მოგონებანი აღსდგებიან ხოლმე ჩემ თვალთა წინაშე და ჩემი გულის სიღრმეში. ჰო, ჩემო ელენე, 13 აპრილს შესრულდება 51 წელიწადი, რაც მე უცხოეთში დავხეტებოდი ქვეყნიდან ქვეყანაში. მაგრამ განა უკეთესთა უკეთესი ქვეყანა სამშობლოს ადგილს დაიჭერს?!

მწერ თბილისს ველარ იცნობო. და განა საერთოდ საქართველოს კიდევ ვიცნობ ღმერთმა რომ მისი ნახვა მაღირსოს?! ფიზიკურად შეიძლება ესა თუ ის კუნჭული კიდევ მეცნოს, მაგრამ მორალურად? ე.ი. ნათესავ-მეგობრები და საერთოდ მთელი ერი და მე, 51 წლის დაშორების შემდგომ კიდევ ვიცნობთ ერთიმეორეს. შენ კი ისეთივე იქნები ჩემთვის როგორც უწინ (ამას ნათლად შენი ბაასი მიმტკიცებს) მაგრამ სხვანი?! თურმე ლიზა კერესელიძის ქუჩაზე ცხოვრობს. ალბათ, ივანე კერესელიძის ქუჩა იქნება.

ჩემო ელენე, რომ იცოდე როგორ მინდა შენი და სხვა ჩემების ნახვა. ნახვა ჩემი ქვეყნისა! აი, 51 წელზე მეტია რაც მოვშორდი იმ მხარეს, სადაც ვშობილვარ, სადაც მეგულის მამა-პაპათა საფლავი. ალბათ, აღარც დედასი და აღარც მამას სამარეები აღარ არსებობენ. მახსოვს, ამ ოციოდე წლის უწინ, რომელიღაც გაზეთში გულისტკივილით წავიკითხე: კუკიის სასაფლაო მოსპესო და რაღაც გააშენესო. ახრისის სასაფლაოც, ალბათ, აღარ არსებობს. ხომ აღარა ყოფილხარ ახრისში. ნეტა როგორი სახე მიიღო? თუ დარჩა რამე ძველითგან? ყველა წვრილმანი ჩემთვის სასიამოვნოა. ვინიცის თუ მოვესწრები კიდეც მის ნახვას!“ (ვეზინე 4 ენკენისთვე 1956).

გიორგი კერესელიძე თავის ეპისტოლეებში შორიდან ელაცეობოდა ახრისს, გორს, თავის დედ-მამასა თუ ტოლ მეგობრებს, იგონებდა დედამამიშვილებიდან ყველაზე უმცროს დას და მის თმის ფერსაც ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგაც თვალნათლივ აღწერდა: „შენმა სურათმა დიდად გაგვახარა. შენ ისევე ლამაზი ყოფილხარ. მართალია, - სურათი გადაღებულია ამ 23 წლის უწინ, მაგრამ, როდესაც ადამიანმა განვლო ამა წუთისოფლის ზურგზედ 72 წელიწადი, აბა ერთი მითხარ: რა მნიშვნელობა აქვს 23 წელს?! გიმეორებ დიდად გაგვახარა შენმა სურათმა. ყველამ ერთხმად აღიარა, ლამაზი, მართლა ლამაზი ყოფილაო. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მე ხშირად გიქებდი სილამაზეს ყველას წინაშე. ამბობ: თმები ცოტა დამეფერვლაო. მახსოვს შენი თმები. შენ იცი რომ ბავშვობაში მთლად „ბლონდი“ იყავი. შენმა თმებმა ფერი იცვალეს შენი 8-9 წლის ასაკიდან და მართლაც საუცხოო სილამაზე მიიღეს“ (ვეზინე 29.05.1959).

მათე კერესელიძეების შვილებიდან მხოლოდ გიორგი და ელენე ცოცხლობდნენ. მათი უფროსი ძმა 39 წლის იასონ კერესელიძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხვა წევრებთან ერთად 1923 წლის 23 მაისს დახვრიტეს. ლეო კერესელიძე 1943 წელს ბერლინის დაბომბვისას დაიღუპა. თბილისში მცხოვრები ექიმი ვახტანგ კერესელიძე კი მისი ერთადერთი გოგონას დაღუპვას გადაჰყვა.

ემიგრაციაში მყოფი გიორგი კერესელიძე დას ერთ-ერთ ეპისტოლეში წერდა: „მაგონდები შენ, ჩემო ელენე, შენი კვკლუცი, ლამაზი სახე, ტანადობის ჰარმონია, იშვიათი სილამაზის თმა, შენ გრძნობათა სულიერი სიღრმე, - ვამაყობდი და ვამაყობ შენით, და როდესაც წარმომიდგები ხოლმე, როდესაც შენ მომეჩვენები, - ჩვენი ღვთაებრივი ნიჭის გრიგოლ ორბელიანის ლექსი, რუსეთიდან თავის დას ეფემიას რომ სწერდა, გაიელვებს ჩემს გულში:

„...დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ...
მისთვის ვლოც ცასა, შავნი დღენი ჩემთვის შთომილნი
არ შეწყდნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ არ გიხილონ,
და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მივლულიო თვალნი
მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარონ...“

თავდაპირველად, „სეპარატისტთა ჯგუფის“ სახელით დაიჭირა ლეო კერესელიძემ გერმანელებთან საქმე 1914 წელს ომის გამოცხადებისთანავე: „ჯერ ბერლინში გერმანელებთან და მერე სტამბოლში თურქებთან მან დასდვა პირობანი, რომელთა ძალითაც ქართველებს ჯარი უნდა შეედგინათ ოსმალეთის ტერიტორიაზედ და ებრძოლად თურქებთან და გერმანელებთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ,“ - წერდა მიხაკო წერეთელი (წერეთელი 1962:11-13).

პირობის თანახმად თუ რუსეთი დამარცხდებოდა ომში გერმანიასა და თურქეთს საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა ელიარებიათ იმ საზღვრებში, რომლებშიც სამაჰმადიანო საქართველოც შედიოდა. ამ ჯგუფს მალე გიორგი მაჩაბელი და მიხაკო წერეთელიც შეუერთდა და ერთობლივად „სეპარატისტთა ჯგუფი“ „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტად“ გადააკეთეს.

და, როცა პირველი მსოფლიო ომი გერმანელებმა წააგეს, კავკასიაში შემოსულმა ბრიტანელებმა მოითხოვეს ტყვეგერმანელების მათთვის გადაცემა.

„საქართველოს მთავრობამ სასტიკი უარი განაცხადა ამაზე, ვინაიდან ჩვენი დამოუკიდებლობის დროს გერმანია აქტიურად ეხმარებოდა საქართველოს ბევრ საკითხში. კერძოდ, გერმანელი და ქართველი ჯარისკაცები ერთად ებრძოდნენ თურქებს (მაშინ გერმანიის მოკავშირეს), როცა მათ საქართველოს საზღვარი გადმოლახეს. ამ პროცესში მონაწილეობდა გერმანელი დიპლომატი საქართველოს რესპუბლიკაში გრაფი ფონ შულენბერგი.

სწორედ, ეს მეგობრული ურთიერთობა არწმუნებდა მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველ ემიგრანტებს, რომ გერმანია კვლავაც პირველი მსოფლიო ომის დროინდელ პოლიტიკას გაატარებდა საქართველოს მიმართ. ამასთან ემიგრანტებს საქართველოს დამოუკიდებლობის იმედი გერმანელების მიერ ჩრდილო კავკასიის დაკავებამაც გაუძლიერა.

ამ იმედით იყო, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია მრავალ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში ჩაერთო და უსიტყვოთ მიემხრო გერმანიას, რადგან „მეორე მსოფლიო ომის დროს ასევე არსებობდა არაოფიციალური ალიანსი ანტიპიტლერულ გერმანელებსა და ანტისტალინულ ქართველებს შორის. მათთან იყვნენ აღმოსავლეთის ოკუპირებული ქვეყნების მნიშვნელოვანი ძალებიც. ისინი

ლავირირებდნენ ამ ორ ბოროტებას შორის. მათი საერთო სურვილი იყო, ეხილათ დაუჩაგრავი სამყარო“ (გაბლიანი 1998:11).

ბუნებრივია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელთა მხარე დაიჭირა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციამაც, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლეო კერესელიძე და მისივე თანამებრძოლი გახლდათ გიორგი კერესელიძე. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გიორგი კერესელიძემ მიატოვა პოლიტიკური მოღვაწეობა და ფართო ლიტერატურულ საქმიანობაში ჩაება. პარიზთან ახლოს ქალაქ ლოზანაში მან დაიქირავა რვა ოთახიანი ბინა, სადაც ცხოვრობდნენ მათი შვილები და შვილიშვილები. ოჯახის დიდი ტკივილი იყო გერმანელთა დავალების შესრულების დროს საქართველოში ტყვედ ჩავარდნილი მათე კერესელიძის ბედი, რომელმაც თითქმის 16 წელი გაატარა რუსეთის საპყრობილეებში. ამიტომაც გახლდათ გიორგი კერესელიძის მიერ დისადმი გაგზავნილ ეპისტოლეებში ამდენი მწუხრი გადმოცემული.

ეპისტოლეებში, ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ლიტერატურული პასაჟები, რომელსაც ავტორი ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა: „გრიგოლ ორბელიანი, ჩემო ელენე, მე მიმაჩნია მსოფლიო პოეზიის ერთ ულამაზეს ნიჭთაგან: ქართული სიტყვის სულთმპყრობელი, - დიდი ბატონი პოეზიისა, მუსიკალობისა, მხატვრობისა. მახსოვს, როდესაც მისი პოეზიისა და მამულიშვილობის დაფასებას ვწერდი - გარკვეულად მესმოდა ძახილი ჩემი სამშობლოსა. თითქოს მიკვივდა მისი ნიადაგი მორწყული მამა-პაპათა სისხლით, გაპოხიერებული მათი ძვლებით: „შენი გვამები მე მეკუთვნის, ისევე როგორც შენი აზრნი, შენი სული, შენი სიცოცხლე. მრავალტანჯულ გრიგოლს (სულიერად) - შვილთა იმედიც ადარა ჰქონდა, - სასტიკად შეუტია თერგდალეულებს. თაობამაც ვეღარ იცნო უცხო სამოსელში გამოწყობილი პატრიოტი; შემინდა უებარი ვაჟკაცი: „ვაჰ თუ რაც წახდეს - ვეღარა აღსდგეს, - სასოწარკვეთილი მგოსანი ღრმად ამოიოხრებს:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით“.

და განუტევა სული თვისი.

მე გრიგოლზე ბედნიერი ვარ, რათგან ღრმადა მრწამს რომ ჩვენნი შვილისშვილნი „ლამაზი და ვაჟკაცი ახალგაზრდობა“ მოუვლის ჩვენს ქვეყანას და მომავალს შეჰქმნის წარსულის ღირსად. აბა, სხვა ვინა ჰყავს პატრონად „ჩვენს მშვენიერ ქვეყანას!“ (ვეზინე 4 ენკენისთვე 1957).

გიგო დიასამიძე და მისი ასული ლოლა ჩრდილო ამერიკაში არიან. ნიუ-იორკში ერთი ქართული ჟურნალი გამოდის. ამ ჟურნალმა წერილი მთხოვა. მივაწოდე ვრცელი განხილვა გრიგოლ ორბელიანის პოეზიისა და მისი პატრიოტიზმისა. ამასწინათ მივიღე ხუთი ცალი. ჩემი წერილი ცოტა დამახინჯებულია. ამავე ნომერში მოთავსებულია გიგო დიასამიძის მოგონება გორის ეპოქისა.

აქვე მოთავსებულია გიგოს და ლოლას სურათი. გიგო 87 წლისაა, მაგრამ კარგად გამოიყურება“ (ვეზინე 16.05. 1958).

ეპისტოლეებში ყურადსაღებია ასევე გიორგი კერესელიძის დამოკიდებულება ილიას პიროვნებისა და მისი შემოქმედების მიმართ: „ცისკრის“ რამდენიმე წერილმა („ცისკარი“ N5, 1957) ილიას შესახებ დიდათ დამაინტერესა. ილია ჩემთვის ღვთაებრივი მოვლენაა. მან გადაგვირჩინა სიკვდილის პირზე მისული საქართველო. სამწუხაროდ, კიდევ მთელი სიღრმით ვერ ჩავწვდით მისი შემოქმედების უსაზღვრო განძს. ზოგიერთა ნაწერი, როგორც აქაური, ისე მანდაური ქართველებისა მცდარია, ღარიბი. თუნდ მისი „განდეგილი“ ავიღოთ მაგალითად. აქამომდე არ შემხვედრია არცერთი ისეთი განხილვა, რომელსაც ესმოდეს თუ რა რელიგიურ - ფილოსოფიური აზრი სდევს ამ გენიოსურ ნაწარმოებში.

ესეთი ორიგინალური, წმინდა ილიასებრი განხილვა კეთილსა და ბოროტის შორის ბრძოლისა, ვგონებ, არავისა აქვს. არც Flaubert'ს, არც Zola'ს; არც ტოლსტოის, არც ლერმონტოვს, არც anatol France'ს და არც სხვას“ (ვეზინე 11 მკათათვე 1958).

საქართველოში ახლობლების სახელზე გამოგზავნილ ეპისტოლეებში, ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებებისა და ქართული სულიერების გადმოცემის გარდა, ემიგრანტებისათვის დამახასიათებელი სამშობლოს მონატრებით გამოწვეული სევდა, ნალღელი და ტკივილიცაა ჩაქსოვილი, რომელსაც ავტორი წარსულის მოგონებებითა იქარვებდა: „... ნინო და მაია მათესთან წავიდნენ გერმანიაში, რადგან ოთახი თავისუფალია ნინოსი, - ჯიბო მოვიწვიეთ ჩვენთან და აქ იქნება ნინოს დაბრუნებამდის. ძალიან კარგად ვგრძნობთ ჩვენ თავს და ვიგონებთ ჩვენ ახრისს“ (ვეზინე 12 თიბათვე 1959).

„... ხო, ჩემო ელენე, ჩემი უდიდესი ბედნიერება იქნება, როცა ჩემი შვილები, შვილისშვილები და შენიც გადავხვებით სიყვარულით ერთმანეთს და აღვადგენთ ჩვენი ოჯახის კერას. ღმერთი მოწყალეა“ (ვეზინე 4 ენკენისთვე 1957).

გიორგი კერესელიძის წერილები ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ეპისტოლარული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებია და მასში იგრძნობა, ქართული სტუმართ-მასპინძლობის დიდი

ტრადიციები, რომლის პოსტულატია გრიგოლ რობაქიძის წერილი: „ჩემო აკაკი, მე დიდათ ვარ ნასიამოვნები ჰამბურგში გატარებული დღეებით. ნამდვილი ოჯახი შეგიქმნია ქართული და მერე სად? უცხოეთში გადმოხვეწილს. შენი ოჯახის ასეთ გამართვაში რასაკვირველია უფრო მეტი წილი თამარს უდევს. მე ასე მგონია შენ სახლში არამარტო „პირის გემო“ ქართული, არამედ ტვინის საზრისიც“ (რობაქიძე 2012:417).

გიორგი კერესელიძის ოჯახი ყველა ქართველი ემიგრანტისათვის ღია იყო, რადგან მისი თავკაცი გახლდათ ამხანაგთა და მეგობართა გამტანი, ერთგული, გულკეთილი, მუდამ დამხმარე, ხელ-მოკლე ქართველთა, რომელიც ნიმუში იყო კეთილშობილი ქართველის.

„რომ იცოდე ჩემო ელენე, რა ძლიერებით მიმიწევს თავისაკენ ჩვენი მშვენიერი ქვეყანა“ მისი მშვენიერი ახალგაზრდებით. იმედი ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისა ეს ახალგაზრდობაა. მათ უნდა მოუარონ, დაიცვან მისი წარსული და მომავალი. თუ უწინდელმა თაობებმა დაუშვეს შეცდომანი, მათ უნდა გამოსწორონ...

შენთან სათხოვარი მაქვს: იასონის ცოლ-შვილის სურათები თუ გაქვს, ნუ დაიშურებ, ერთი მათგანი მომაწოდე, - ეგრეთვე სანდროსი, ვახტანგის, ლიზასი. იასონის ერთი მშვენიერი სურათი გავადიდებინე უკეთესს ფოტოგრაფს და ვამაყობ ჩემ ნაცნობებსა და მეგობართა წინაშე მისი სილამაზით, მისი ტანის ახოვანებით (იგულისხმება უფროსი ძმა). მაქვს ეგრეთვე ვახტანგის გოგოს ფოტო. ბერლინში გავადიდებინე და ვინახავ როგორც განძს ოჯახისას. მაქვს ორი სურათი: ერთი ჩვენი დედ-მამისი, გორში გადაღებული მათი ქორწინების შემდეგ, - მეორე დედაჩვენი ჩვენ საწყალ მონიკასთან და სალომე (საშა) კერესელიძესთან ერთად. ყოველი სურათი ჩემთვის ძვირფასია, არა მხოლოდ როგორც გამღვიძებელნი ჩემი ახალგაზრდობის მოგონებებისა, არამედ კიდევ მიაღვიძლებენ უფრო ცოცხლად ვაგრძნობინო ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს სიტკბო და სითბო ოჯახური ბედნიერებისა“ (ვეზინე 4 ენკენისთვე 1957).

გიორგი კერესელიძის ოცნება იყო მისი საყვარელი დის საფრანგეთში სტუმრობა და სიზმრად ქცეული ახლობლების ერთმანეთისათვის გაცნობა. ელენე გლურჯიძემ ყველაფერი გააკეთა, რათა ტყვედ ჩავარდნილი მძიმეშვილი მათე კერესელიძე სულიერად გაემხნევეთა და ეკონომიურადაც უზრუნველყო.

სულის შემძვრელია გადასახლებიდან ქართულ ენაზე დაწერილი მათე კერესელიძის წერილები. ელენე კერესელიძეს მშობლიურ ენაზე წერდნენ ეპისტოლეებს გიორგი კერესელიძის უმცროსი ვაჟი ლულუ და შორეულ პერუმში მცხოვრები ლეო კერესელიძის ერთადერთი ქალიშვილი მარიამ კერესელიძე.

მათ ლეგენდად ქცეული სამშობლოს ხილვა სიკვდილამდე აუხდენელ ოცნებად დარჩა.

„...მათე, ლულუ, მაია და მე, - ჩვენ ვართ უფლებრივად „პატრიდები“ და ვიმყოფებით: მათე გერმანიის კანონების მფარველობის ქვეშ, - ჩვენ სამნი კი საფრანგეთის მფარველობით ვსარგებლობთ. ნინო და პატარა გიორგი საფრანგეთის სრულუფლებიანი მოქალაქენი არიან. მათე, ალბად მალე, გერმანიის მოქალაქე გახდება (მასთან მაიაც).

მე ქართველად დავიბადე და ქართველად წავალ საიქიოს“... (ვეზინე 17.01.1960).

ვფიქრობთ, ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანია გიორგი კერესელიძის არამარტო პოლიტიკური მოღვაწეობა, არამედ მისი ლიტერატურულ-კრიტიკული თუ ისტორიული ხასიათის შემოქმედება.

ლიტერატურა:

1. გაბლიანი გ., „ჩემი მოგონებანი“, ტ. I. ქუთაისი, 1998.
2. კერესელიძე გ., პირადი წერილები, ვეზინე, 1960,1956,1957,1958,1959.
3. კერესელიძე გ., პირადი წერილები, პარიზი, 1959.
4. პაპავა ა., „მოწამეთობა“, ნიუ-იორკი, 1962.
5. რობაქიძე გრ., „ნაწერები“, ტ. IV. თბილისი, 2012 .
6. შარაძე გ., „ამერიკელი ქართველები“, თბილისი, 1992.
7. წერეთელი მ., „ნეკროლოგი“, ჟურ. „ბედი ქართლისა“, N39-40, პარიზი., 1962.

Mariam Marjanishvili
Kutaisi State Historical Museum
REMINISCENCES OF GIORGI KERESELIDZE'S EPISTLES
RESUME

In the early XX century, Giorgi Machabeli, Mikhako Tsereteli, brothers Leo and Giorgi Kereselidze played a certain role in presenting Georgia, which was occupied by Russia, to Europeans.

Brothers Kereselidze established a “Group of separatists” and “Liberation committee of Georgia”, later they established “White Giorgi”; these were active party organizations, which did their best to liberate Georgia from Russia.

After the Second World War, Leo Kereselidze was killed during bombing of Berlin, which made Giorgi Kereselidze abandon political activity and he fully dedicated himself to literature.

Since 1956, in his letters addressed to his sister, Eelne Glurjidze, who lived in Tbilisi, Giorgi Kereselidze recollected his childhood and early adulthood spent in his native village of Akhrisi, he also expressed his ideas and opinions about culture, art and writing, which contributes to the Georgian emigrational literature.

მაია მელანაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პიკარესკული ჟანრი და მისი ქართული ნიმუშები

აღორძინების ეპოქის ესპანური ლიტერატურის ერთ-ერთი წამყვანი ქვეჟანრი თაღლითური (პიკარესკული, ანუ გაიდვერული) რომანი (ესპ. novela picaresca, ინგლ. picaresque novel, ფრ. roman picaresque, გერმ. Schelmenroman) ფორმირდება ესპანეთში XV საუკუნეში, აყვავებას იწყებს XVI ს-ის შუა პერიოდში, ხოლო XVII-XVIII სს-ებში დიდი სისწრაფით ვრცელდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურაში და დღემდე გავლენას ახდენს მსოფლიო მწერლობაზე. სატირული პროზის ეს მიმართულება, რომლის ცენტრში დგას მატყუარა მაწანწალა, თაღლითი და ავანტიურისტი, ცხოვრების მანკიერ მხარეებს რეალისტური და ხშირ შემთხვევაში იუმორისტული დეტალის მეშვეობით წარმოადგენს.

თაღლითურმა რომანმა, სრულ ჩამოყალიბებამდე, საკმაოდ გრძელი გზა განვლო. მან გამოიყენა ბევრი ელემენტი, რომელიც შემუშავდა წინა პერიოდში: ანტიკურ ლიტერატურაში, შუა საუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში. ამორალური, მოხეტიალე ადამიანის ტიპი კარგად იყო ცნობილი ჯერ კიდევ ანტიკურ ლიტერატურაში, მაგ: პლავტეს კომედიებში, პეტრონიუსის „სატირიკონში“, აპულეუსის „მეტამორფოზებში“, ლუკიანეს თხზულებებში.

შუა საუკუნეების ევროპული ლიტერატურა გვთავაზობს სოციალური სატირის მრავალ მოდელს. საინტერესოა ფაბლიოებისა და ფარსების პერსონაჟები. შთამბეჭდავადია წარმოდგენილი სატირული ელემენტები ფრანგი სატირიკოსის რიუტბეფის შემოქმედებაში. მწერლის ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა ე.წ. თქმების ნიმუშებში: „უნივერსიტეტზე“, „სიცრუეზე“, „პირმოთენობაზე“... რაც შეეხება მეორე ფრანგ პოეტს, ვიონს, მისმა ლირიკამ დააგვირგვინა შუა საუკუნეების მწერლობა. ჩვენთვის საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პოეტი რამდენჯერმე დააპატიმრეს ბოჰემური ცხოვრების გამო. დაახლოებული იყო ავაზაკებთან, ქურდებთან; მონაწილეობდა მარცვაში, ანუ კარგად იცნობდა თაღლითურ საზოგადოებას. პირადი გამოცდილების საფუძველზე, ვიონი იშვიათი ფერადოვნებით ძერწავს პარიზის დაბალი ფენების – მაწანწალების, მედუქნეების, ქურდების, ლოთების, მეძავი ქალების ცხოვრების სურათებს. ცნობილია მისი ციხეში დაწერილი „ჩამოხრჩობილთა ბაღადა“ (1462 წ.).

იტალიაში წინათაღლითური თემატიკა წარმოდგენილია პოეტ ლუიჯი პულჩის ეპიკურ პოემაში „დიდი მორგანტე“. მასში ერთმანეთს ერწყმის რელიგიური და საერო, სერიოზული და სახუმარო. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი ჯანეო მარგუტე ჰყვება თავისი ცხოვრების ეპიზოდს, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „პიკარესკული რომანი მინიატურაში“. თაღლითის ტიპი შთამბეჭდავადია წარმოდგენილი ბოკაჩოს ნოველებში.

ძალზე მნიშვნელოვანია გერმანელი მწერლისა და ჰუმანისტის, სებასტიან ბრანტის, გალექსილი სატირულ-ეპიკური, დიდაქტიკური ნაწარმოები „სულელების გემი“. მასში მხილებულია რაინდების ძალადობა, სამღვდელოების მომხვეჭელობა, დაგმობილია „ადამიანური სისულელის“ ნაირგვარი გამოვლენა: ეგოიზმი, ანგარება, ლოთობა, გაიდვერობა, მრუშობა. თხზულება ითარგმნა მრავალ ენაზე. მან ხელი შეუწყო სატირული ლიტერატურის, კერძოდ, გრობიანიზმის ნაკადის განვითარებას. მკვლევარ შანდლერის მიხედვით ლათინურ ენაზე დაწერილი „იბერ ვაგატორუმ“ „გერმანული თაღლითური რეალიზმის“ პირველი ნიმუშია (ნაწარმოები ითარგმნა 1528 წ. მარტინ ლუთერის მიერ),

რომელმაც ევროპაში შეიტანა დიდი დაინტერესება კრიმინალების მიმართ. „ტილ ულენშპიგელი“ (1483 წ.) ასევე მიჩნეულია პიკარესკულ რომანად (14:174).

ფრანგულ ლიტერატურაში თაღლითური რომანის გმირებთან ყველაზე ახლოს დგას ფრანსუა რაბლეს „გარგანტუასა და პანტაგრუელის“ პანურგი და გერმანული „ეროვნული წიგნების“ ზოგიერთი პროტაგონისტი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პერსონაჟი მთლად პიკარო არ არის, ამასთანავე, ამ თხზულებებში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა თაღლითური რომანის ძირითადი მოტივები: მძიმე სოციალური ფონი, მარტოსული გმირი – არსებითად ანტიგმირი – დეკლასირებული ელემენტი, მტრულად განწყობილი საზოგადოება და სხვ. პიკარესკული რომანის საბოლოო ფორმა მხოლოდ ესპანურ ლიტერატურაში ყალიბდება.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „თაღლითური რომანის პირველსაფუძვლად ანონიმი ესპანელი ავტორის ვრცელი მოთხრობა, „ლასარილიო ტორმოსელის ცხოვრება“ ითვლება“ (გომარტელი, 2005: 77).

პირველ ქართულ პიკარესკულ რომანს მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ წარმოადგენს. „ავტობიოგრაფიაში“ მწერალი აღნიშნულ რომანს იმ ნაწარმოებებს შორის იხსენიებს, რომლებიც მან თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მეორე პერიოდში დაწერა. როგორც ცნობილია, რომანის ცალკეული ნაწილები პირველად 1923 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „დროშა“ (№1, №2, №3, №4). მოგვიანებით მწერალმა ცალკეული სათავგადასავლო-ავანტიურისტული ეპიზოდები ერთ სიუჟეტურ ღერძზე აკინძა და მოთხრობების ციკლს რომანის სახე მისცა. ნაწარმოების თემისა და პრობლემატიკის აქტუალობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რომანის – „კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი თავგადასავალი“ – გამოსვლის შემდეგ არაერთი მცდელობა განხორციელდა მისი პიესად გადაკეთებისა.

რომანის მიხედვით, ნიკო შიუკაშვილმა დაწერა ორი პიესა: „ძიას გასაბჭოება“ და „ამერიკელი ძია“, რომელთა ადრეულ ვარიანტებში მთავარი მოქმედი პირი კვაჭის სახელით არის წარმოდგენილი. მიხეილ ჯავახიშვილის არქივიდან ასევე ჩანს, რომ კვაჭიზე პიესა დაუწერია შალვა დადიანსაც და, ბოლოს, 1927 წლის შემოდგომაზე, მიხეილ ჯავახიშვილს სანდრო ახმეტელისთვის – რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისთვის – წაუკითხავს სარეპერტუარო კომიტეტში წარდგენილი პიესა „ივერიუმი“, რომელიც მისივე რომანის მასალებზე იყო აგებული.

საინტერესოა, რომ მწერლის პირად არქივში ასევე, დაცულია რუსულ ენაზე დაწერილი კინოსცენარი „Жизнь и похождения Квачи Квачантирадзе“ (მანქანაზე გადაბეჭდილი 126 გვერდი), რომელსაც გადაღება არ დასცალდა.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში დამკვიდრებული თვალსაზრისით, მწერალმა კვაჭი კვაჭანტირაძის მეშვეობით შექმნა განზოგადებული სახე თაღლითისა, რომელიც დასახული მიზნის მისაღწევად, კარიერული წინსვლისა და საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის დასამკვიდრებლად არავის და არაფერს ერიდება. საგულისხმოა სიტყვები, რომლებიც მწერალმა რომანის პირველ 1925 წლის გამოცემის წინასიტყვაობას წაუძღვარა: „ვბედავ და ამ წიგნს წრფელი გულით მივუძღვნი ყველა მსხვილფეხა და წვრილფეხა კვაჭსა და კვაჭიკოებს, რომელნიც ჩემს კურთხეულ სამშობლოში ყოველთვის უხვად მოიპოვებოდნენ“ (შავგულიძე, 1988:22). მწერლის შენიშვნის კვალდაკვალ, რომ „კვაჭი ნარევი ტიპია“, ჯავახიშვილის შემოქმედების არაერთი მკვლევარიც შენიშნავს, რომ კვაჭი კვაჭანტირაძე უთუოდ გროტესკული, მხატვრულად გაზვიადებული სახეა, თუმცა ამით მისი რეალისტური ბუნება ოდნავადაც არ კნინდება; ავტორი ხომ თავისი გმირებისათვის ყოველთვის ირჩევდა რეალურ პროტოტიპებს, რომლებიც ეხმარებოდნენ მას ცოცხალი მხატვრული სახის შექმნაში.

პროტოტიპებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა მწერლის ქალიშვილის, ქეთევან ჯავახიშვილის, ერთი მოგონება: „1922 წელს მამამ ვინმე მეგრელიშვილი გაიცნო, რომელიც ვაჭრობის დარგში მუშაობდა. ლენინის მოედანზე, სამხედრო შტაბის გვერდით, მას ერთი პატარა ოთახი ჰქონდა, კანტორად წოდებული, სადაც თავის კომერციულ საქმეებს მართავდა. მეგრელიშვილი დაუმეგობრდა მამას და მისი ნდობა მოიპოვა. ერთ დღეს მან უთხრა მამას, რომ ისეთ საქმეს მოჰყიდა ხელი, რომელიც დიდ მოგებას ჰპირდებოდა და ამისთვის ფული სჭირდებოდა. მამა მას ენდო და მისცა, რაც გააჩნდა. მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. მამა მოთმინებით ელოდა, როდის დაუბრუნებდნენ მას ვალს. დრო კი გადიოდა და არაფერი საიმედო არა ჩანდა. მან სხვა მხრივაც მოუჭრა გზა. მეგრელიშვილს ლამაზი ცოლი ჰყავდა. ებრაელი იყო, კეკლუცი და მიმზიდველი. ისინი ხშირად პატიჟებდნენ დედას და მამას თავისთან ოჯახში და ამით მეგობრობას ამტკიცებდნენ. მეგრელიშვილი ამ დროს თავის საქმეებს აწესრიგებდა, მამას კი ტკბილი სიტყვებით ისტუმრებდა. მამა მინდობილი ადამიანი იყო და პირველ ხანებში სჯეროდა, რომ ის პატიოსანი კაცი იყო. ბოლოს, მის თაღლითობაში რომ დარწმუნდა, გული გაუტყდა და თავი მიაწება. დრო რომ გავიდა, გაიგო, რომ მეგრელიშვილი დიდი მასშტაბის კომერსანტი და კომბინატორი ყოფილა და დიდ საქმეებსაც ატრიალებდა თურმე. ვალი რომ არ გადაეხადათ, ცოლ-ქმარი ამაზეც კი წავიდა, რომ მეგობრული დამოკიდებულებით მამა

უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს და მან ვალის დაბრუნებაზე ვეღარა უთხრა რა. დრომ რომ გაიარა, მის გონებაში მომწიფდა თაღლითი ადამიანის პიროვნება და კვაჭის ტიპად თვალწინ დაუდგა. მწერალმა თვითონვე აღნიშნა, რომ ის ნარევი ტიპი იყო“ (ჯავახიშვილი, 1989:206). როგორც ვხედავთ, მწერლის ქალიშვილის თანახმად, კვაჭის სინთეზური სახის ერთ-ერთ კომპონენტად ვინმე კომერსანტი მეგრელიშვილი მოიაზრება.

განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა გერონტი ქიქოძეს, რომლის მოგონებათა თანახმად, კვაჭი კვაჭანტირაძის პროტოტიპი ვასილ დუმბაძე იყო. გერონტი ქიქოძე სამ ეპიზოდს იხსენებს ვასილ დუმბაძის „ხრიკებთან“ დაკავშირებით: პირველში აღწერილია, ლაიფციგის უნივერსიტეტში სწავლისას როგორ შეკრიბა დუმბაძემ ახალგაზრდები სადილად და როგორ გაითამაშა სცენა, თითქოს ზუგდიდიდან მიღებული დეპეშით (რომელიც სადილის დროს შემოუტანეს) ატყობინებდნენ მუშების გაფიცვის შესახებ და მას კი, საქმეების მოსაგვარებლად, სამშობლოში დასაბრუნებელი თანხა არ ჰქონდა. ერთ-ერთ გერმანელ სტუდენტს, კურტს, რომელიც მსხვილი მეწარმის სიმე იყო, შეეცოდა დუმბაძე და მეორე დღესვე „დიდძალი თანხის საბანკო ჩეკი მოუტანა“. გერონტი ქიქოძე აღნიშნავს, რომ სინამდვილეში დუმბაძეს არანაირი ქარხნები არ ჰქონდა და დეპეშაც ლაიფციგიდან იყო გამოგზავნილი ვასილის მეგობრის, იასონ მენაბდის მიერ. შევნიშნავთ, რომ გერონტი ქიქოძის მოსაზრებებს კატეგორიულად არ იზიარებენ ისტორიკოსები – ქველი ჩხატარაიშვილი და რუსუდან დაუშვილი, რომლებმაც საფუძვლიანად გამოიკვლიეს ვასილ დუმბაძის ცხოვრების გზა.

მკვლევართა ერთი ნაწილი, მაგალითად, პროფესორი, გერმანისტი ლეილა თეთრუაშვილი კვაჭის პროტოტიპად ცნობილ ქართველ ავანტიურისტს, სოლომონ აშორდიას მოიაზრებს. ცხადია, მისი სახელი და მოღვაწეობა ცნობილი იყო მიხეილ ჯავახიშვილისთვის, რადგან იგი პერსონაჟადაც შემოიყვანა რომანში სათანადო შენიშვნით: „აშორდია თავისი დროის განთქმული ავანტიურისტი იყო და ყალბი სიგელ-გუჯრების საშუალებით უხვად არიგებდა აზნაურობის საბუთებს“. ნიშანდობლივია, რომ რომანში სილიბისტრო კვაჭანტირაძემ და კვაჭიკომ აზნაურობა სწორედ მისი მეშვეობით მოიპოვეს. საზიარებო ვახშამზე აშორდიამ შემდეგი სიტყვებით მიმართა „ახლადგამოჩეკილ“ აზნაურს: „ჩემო პატარავ! მე გზა გაგიკაფე, ყველა კარი გაგიღე და დანარჩენი შენ იცი“. მწერალი იქვე ირონიულად დასძენს: „რა იცოდნენ მაშინ ნოტიომ ან პუპიმ, თუნდაც აშორდიამ, ან გაბლენძილმა სილიბისტრომ, რომ მომავალში პაწაწინა კვაჭიკო აშორდიას სახელს სრულიად დაჩრდილავდა, ქვეყანას მართლა ააფორიაქებდა და თავის გვარს ბრწყინვალე შარავანდედით შეამკობდა“. ამგვარად, მწერალი თავის პერსონაჟს აშორდიას „დიად“ საქმეთა გამგრძელებლად მოიაზრებს.

კომერსანტი მეგრელიშვილის, ვასილ დუმბაძისა და სოლომონ აშორდიას გარდა კვაჭის პროტოტიპად ზოგიერთი კრიტიკოსი მიხეილ ანდრონიკოვს (იგივე მიხეილ ანდრონიკაშვილი) მოიაზრებს. 2008 წელს გამოცემულ ვ. ბ. ლოპუხინის წიგნში – „საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის ჩანაწერები“ („Записки бывшего директора департамента министерства иностранных дел“) – აღნიშნულ პირზე მოტანილია შემდეგი ცნობები: მიხეილ მიხეილის ძე ანდრონიკოვი (1975-1919) – თავადი, ტიტულარული მრჩეველი, პუბლიცისტი და გამომცემელი – სწავლობდა პაჟთა კორპუსში, მსახურობდა სასულიერო საქმეთა დეპარტამენტში, კანცელარისტად. 1914-1917 წლებში იყო საგანგებო დავალებათა მოხელე წმიდა სინოდის ობერ-პროკურორთან.

მიხეილ ანდრონიკოვი გერმანოფილობის ბრალდებით, სამხედრო უწყების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ცნობილია, ანდრონიკოვის სიტყვა, რომელიც მან კაიზერთან დაზავებასთან დაკავშირებით წარმოთქვა: „ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, 1905 წელს. ჩემი აზრით, უმჯობესია, გერმანელებმა მოგვაჭრან კუდი, ვიდრე ჩვენმა გლეხებმა — თავი“. აქვე შევნიშნავთ, რომ მსგავსი ფრაზებით იგი ძალიან წააგავს კვაჭის და მის იდეოლოგიას უახლოვდება. მოგვიანებით ანდრონიკაშვილი გრიგორი რასპუტინს დაუახლოვდა და მისი უშუალო კონსულტანტი გახდა საკადრო დანიშვნებისა და სახელისუფლებო სტრუქტურებთან ურთიერთობის სფეროში. ანდრონიკოვი თავის ოთახს საგანგებოდ უთმობდა რასპუტინს ეპისკოპოს ვარნავასთან, შინაგან საქმეთა მინისტრ ხვოსტოვსა და საიდუმლო მრჩეველ ბელეცკისთან შესახვედრად. ანდრონიკოვი ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის ღვთისმოსავობას, რაც კარგ ტონად ითვლებოდა მეფის სასახლეში. საკუთარი რელიგიურობის ხაზგასასმელად ანდრონიკოვს საძინებელში სამლოცველო ჰქონდა მოწყობილი დიდი ჯვარცმითა და ნაკურთხი წყლით. იმავე საძინებელში კი, შირმის მეორე მხარეს, ორადგილიან საწოლზე საპროტექციოდ მოსულ მთხოვნელებს იღებდა. ამ ფაქტს თავის მოხსენებაში აღწერს ეკატერინოსლავსკის რაიონული სასამართლოს პროკურორი ვლადიმერ რუდნევი: „შირმის მეორე მხარეს, თავის ორადგილიან საწოლზე, ყველაზე გათახსირებულ, სამაგელ საქმიანობას ეწეოდა... ახალგაზრდა ადამიანებთან, რომლებიც მას ეალერსებოდნენ პროტექციის გაწევის სანაცვლოდ“ (, 2008:109).

XX საუკუნის 20-30-იან წლებში გასაბჭოებული რუსეთის პოსტიმპერიული სივრცის, მათ შორის საქართველოს, სამწერლობო წრეებში შეიქმნა ახალი, პოსტრევოლუციური რეალობის გააზრების მწვა-

ვე აუცილებლობა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში „ყოფიერების მოდელის“ ასახვის ერთ-ერთ ადეკვატურ ფორმად მწერლებმა, როგორც რუსეთში (ილია ილფი და ევგენი პეტროვი), ასევე საქართველოში (მიხეილ ჯავახიშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე) სწორედ პიკარესკა მიიჩნიეს, რომლის წინაპირობად, სხვა ფაქტორებთან ერთად, გარდამავალი პერიოდის სოციალური ფონი და კატაკლიზმები მოიაზრება:

1917 წლის რევოლუციამ ერთნაირად მოსპო ცხოვრების ყველა საფუძველი თუ სოციალური იერარქია. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები სულიერი და ფიზიკური გადარჩენის პრობლემის წინაშე დადგნენ. რევოლუციამ საცხოვრებელი ადგილებიდან „დამრა“ უზარმაზარი ქვეყნის მოსახლეობა. გაჩნდა დეკლასირებული ელემენტების მასა, „ყოფილი“ ადამიანები (მიხეილ ჯავახიშვილის ტერმინით, „ნაკაცარი“), რომლებიც გამოეყვნენ თავიანთ სოციალურ ჯგუფებს. ქვეყანა მაწანწალებითა და უსახლკაროებით, თაღლითებითა და კრიმინალებით აივსო (ეს უკანასკნელნი, როგორც ცნობილია, თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაათავისუფლეს ციხეებიდან).

XVI საუკუნის ესპანეთის მსგავსად, მაწანწალა და უკეთესი ცხოვრების მამიებელი საბჭოურ რეალობაში იმდენად ჩვეულებრივ, ყოფით მოვლენად იქცა, რომ ლიტერატურაშიც ჰპოვა შესაბამისი ასახვა. სწორედ ისინი გახდნენ საბჭოთა პიკარესკული (თაღლითური) მოთხრობებისა და რომანების მთავარი გმირები.

თაღლითური (პიკარესკული) თხზულებების მეშვეობით საზოგადოების დაცემისა და გახრწნის ასახვა ხდება. როგორც ამირან გომართელი აღნიშნავს, „კვაჭი კვაჭანტირაძე“ რუსეთის იმპერიის ზნეობრივ გახრწნილობასა და სოციალურ დაცემას ასახავს, მაგრამ მსგავსად ესპანური პიკარესკული პროზისა, ქართველი ავანტიურისტის, კვაჭი კვაჭანტირაძის, თავგადასავალიც ქართველი მწერლისათვის მძაფრი პროტესტის გამოხატვის საშუალებად იქცა. მიხეილ ჯავახიშვილმა ჩვენი საუკუნის პირველი ოცწლეულის რუსეთის იმპერიის უმძიმესი სოციალური და მორალური კრიზისი დახატა, ცხოვრების შინაგანი მხარე გვიჩვენა, „გადმობრუნებული“ სურათი მოგვცა. სწორედ ამ ნიშნით იძენს „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ღრმა რეალისტურობას, მაგრამ აუცილებლად უნდა დავძინოთ, რომ ამგვარი რეალიზმი მხოლოდ და მხოლოდ თაღლითური რომანის ჟანრული კანონების მაქსიმალური დაცვით მიიღწევა“.

პიკარესკული რომანისთვის უპირველესად მთავარია ხაზგასმა პერსონაჟის სოციალურ წარმოშობაზე. ამ ჟანრის ნაწარმოების პროტაგონისტი, უმეტესწილად, დაბალი სოციალური წრიდან არის, რომელიც თაღლითობითა და ავანტიურისტობით იკაფავს გზას მაღალი საზოგადოებისაკენ. სამტრედია-ხონის გზაზე დაბადებული კვაჭი კვაჭანტირაძეც არისტოკრატობას იჩემებს.

გარდა სოციალური წარმოშობისა, თაღლითურ თხზულებებში ხშირად საგანგებო ყურადღება ეთმობა პერსონაჟის დაბადებასაც. მაგალითად, ლასარილიო ტორმოსელი მამინ მოველინა ქვეყნიერებას, როცა დედამისი წისქვილის ღარზე იყო/ გადამდგარი და ახალშობილმა პირდაპირ წყალში მოადინა ტყაპანი, ხოლო, როცა კვაჭი კვაჭანტირაძე დაიბადა, იმ წელს, პირველ აპრილს, სამტრედიაში უცნაური ტაროსი იყო – დედამიწას კუპრივით შავი ღრუბელი დააწვა; ხან თოვლი მოდიოდა, ხან ხოშკაკალა, ხან წვიმა, ხან მზე გამოანათებდა, ხან გრიგალი ამოვარდებოდა და ხანაც ისეთი მყუდროება ჩამოვარდებოდა, რომ ცაში ღრუბელიც კი არ მოძრაობდა.

ლასარილიოს წისქვილის ღარზე დაბადების მსგავსად, კვაჭის ამგვარ უცნაურ ამინდში დაბადებასაც ფუნქციური დანიშნულება აქვს: იგი არაორდინალური პიროვნების, მომავალი ავანტიურისტის ქვეყნად მოვლინებას გვამცნობს.

პიკაროს განსხვავებულ ტიპოლოგიურ სახეს მიმართა პოლიკარპე კაკაბაძემ, რომლის საეტაპო პიესა – „ყვარყვარე თუთაბერი“ – „კვაჭი კვაჭანტირაძის“ პულიკაციიდან ხუთი წლის შემდეგ კოტე მარჯანიშვილმა დადგა ქართულ სცენაზე. ცხადია, გარდამავალი პერიოდის სოციალური კატაკლიზმებისთვის დამახასიათებელი ყველა ის ნიშან-თვისება და პრობლემა, რომელზეც ზემოთ ვიმსჯელებთ, აღნიშნულ პერიოდსაც მიემართება; ამდენად, პოლიკარპე კაკაბაძისთვის, როგორც მწერლისათვის, დრამატურგისათვის, უმთავრესი მის თანადროულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შექმნილი სიტუაცია, კერძოდ კი, „ყვარყვარიზმის“ პრობლემა იყო. პიესის მოქმედება 1917-1921 წლებში იშლება, თუმცა ზუსტი ქრონოტოპი სულაც არ არის იმის მიმანიშნებელი, რომ 1920-იანი წლების დასასრულს (ან თუნდაც, დღესაც!) პიესაში წამოჭრილი პრობლემა გადაჭრილია და ახალ ინტერპრეტირებას არ ექვემდებარება. ცნობილია, რომ საზოგადოებას პერიოდულად ქვეყნის ხელისუფლებად ერის მხსნელისა და ხალხის გადამარჩენის მანტიამორგებული ანტიგმირები ევლინებიან, რომლებიც საუცხოოდ გრძნობენ დროის პულსს; ისინი სარგებლობენ პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე შექმნილი მასობრივი ისტერიითა და ქაოსით, ზნეობრივი კრიტერიუმების ჩამოშლით და ამ სიტუაციაში დაბნეულ, უმწეო, დამფრთხალ ადამიანებს საკუთარ „კანონებსა“ და „ახალ წესრიგს“ ახვევენ თავს. ასეთ დროს ერთეულები უძლებენ ცდუნებას, რომ საზოგადო ინტერესები პირადულით არ ჩაანაცვლონ, ქვეყნის სამსა-

ხურზე მაღლა პირადი კეთილდღეობა არ დააყენონ. პოლიკარპე კაკაბაძის პიესის აქტუალობას სწორედ ის განაპირობებს, რომ ავტორმა ნაბიჯ-ნაბიჯ გვიჩვენა ერთი რიგითი ავანტიურისტის აღზევების ისტორია, რომელიც კაცობრიობის მაღალ იდეალებს ამოფარებული ნიღბით ქადაგებს უზნეობასა და ფარისევლობას;

პოლიკარპე კაკაბაძემ განსხვავებულ გზას მიმართა თანადროული ეპოქის პრობლემის წარმოსაჩენად; პიესის პუბლიკაციის შემდეგ არავის დაუწყია ყვარყვარეს ავთენტიკური პროტოტიპების ძიება (როგორც ამას ადგილი ჰქონდა მიხეილ ჯავახიშვილის რომანის პუბლიკაციის შემდგომ), არც რეალური ისტორიები გახსენებია ვინმეს, რადგან ავტორმა პიესის პირველსავე წინადადებაში მიუთითა თავისი გმირის წარმომავლობაზე, მის ფოლკლორულ ძირებზე: „რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზთან სოფლის წისკვილი. შუა ცეცხლთან ზის ყვარყვარე თუთაბერი, მეტსახელად ნაცარქექია, და ქექავს ნაცარს. მეწისქვილე ფქვილს მინდავს და ჩუმად ღიღინებს“.

ფოლკლორული თაღლითის ტიპაჟს განასახიერებს პოლიკარპე კაკაბაძის პიესის, „ყვარყვარე თუთაბერის“ მთავარი გმირი. ყვარყვარე თუთაბერი – ნაცარქექია, გაუნათლებელი, უტიფარი, ტლუ მედროვეა, რომელსაც ყოველთვის შეუძლია მღვრიე წყალში თევზის დაჭერა, რომელსაც სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ცვლილებათა ჟამს ყველგან, ყველა ეპოქაში შეუძლია აღზევება და მმართველობის სადავეების ხელში ჩაგდება. პოლიკარპე კაკაბაძემ „ყვარყვარე თუთაბერი“ 1928 წელს შექმნა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1929 წლის 30 იანვარს, პიესა კოტე მარჯანიშვილმა დადგა. მწერლის ქალიშვილის, მანანა კაკაბაძის, მოგონებითა თანახმად, პრემიერას საქართველოს კომპარტიის ცეკა სრული შემადგენლობით დაესწრო (მათ შორის, ლავრენტი ბერიაც): „მთელი დარბაზი ხარხარებდა, ერთმანეთს დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ: პოლიკარპე კაკაბაძემ ნიღაბი როგორ ჩამოგხადა, ყვარყვარე შენა ხარო“. აღსანიშნავია, რომ კოტე მარჯანიშვილმა იმთავითვე გაითვალისწინა, პიესის მამხილებლური პათოსი თანამედროვეთა გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა, ამიტომ წინასწარ იზრუნა და სპექტაკლის დადგმაზე ცეკადან აიღო ნებართვა. „ამით ყველაფერი დადგინდა. ცეკას თანამშრომლებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი სახეები იყო აღწერილი პიესაში, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ“.

საგულისხმოა, რომ მწერლური ოსტატობის წყალობით, პოლიკარპე კაკაბაძემ ქართული ფოლკლორის წიაღში შობილი ნაცარქექიას, ქოსატყუილას ნიღაბი ავანტიურისტის ზოგადსაკაცობრიო ნიღბად, თაღლითის არქეტიპად აქცია. ყვარყვარეს ფოლკლორულ საწყისებთან დაკავშირებით ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. 1980 წელს გურამ ასათიანმა წიგნში „სათავეებთან“ აღნიშნა, რომ პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერს და დემნა შენგელიას ბათა ქექიას, იმისდა მიუხედავად, რომ ერთმანეთის ანტიპოდები არიან, „ერთი ღერძი აქვთ. ქართულ ფოლკლორში მათი პაპისპაპა ნაცარქექიაა... რაღა თქმა უნდა, სიზარმაცე ნაცარქექიას ზღაპარში სიცილის მთავარი ობიექტია, მაგრამ, აბა, გამოასწორეთ ეს გმირი... სიზარმაცის გარეშე ნაცარქექია მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც დაკარგავდა თავის უნიკალურ მომხიზვლელობას“ (ასათიანი, 2002:59). კრიტიკოსის დასკვნით, ყვარყვარეც და ბათაც „ქართული ხასიათის შემადგენელი ელემენტებია“, თუმცა იქვე შენიშნავს: „ეს ხასიათი მეტად რთულია და მრავალფეროვანი. ის ერთი მთლიანი ქვისგან არ გამოუთლიათ. შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო მოზაიკური ხასიათია, ვიდრე სკულპტურული და ამ თავისებურ მოზაიკაში ყოველი კენჭის გამოკლება უთუოდ გაადარიბებდა საერთო კომპოზიციას, საბედისწეროდ დაარღვევდა ფერთა შეთანხმებულ გამმას, შეუესებელ ხარვეზად დაეტყობოდა ჩანაფიქრის მთლიანობას“ (ასათიანი, 2002:60). გურამ ასათიანის ხედვა კატეგორიულად უარყო აკაკი ბაქრაძემ. იმავე, 1980 წელს გამოქვეყნებულ წერილში „მკვახე შემახილი“ იგი შენიშნავდა: „ნუთუ სიზარმაცე და ბაქიობაა ნაცარქექიას თვისება? თუ ასე ვიფიქრეთ, მაშინ რუსული ზღაპრების გმირი ივანუშკა დურაჩოვიც ბრიყვად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ასე რომ არ არის. ივანუშკა დურაჩოვი ხომ ყველაზე გამჭრიახი, ჭკვიანი და გონიერია. გამარჯვებულიც ამიტომ გამოდის. მაშასადამე, „დურაჰობა“ მისტიფიკაცია ყოფილა, ნიღაბი ყოფილა ნამდვილი არსის დასამალავად. ასეთივე მისტიფიკაციაა, ნიღაბია ნაცარქექიას სიზარმაცე და ბაქიობაც. ჩვენს ზღაპრებში ნაცარქექია ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. იგი ყველას ამარცხებს. მათ შორის ბაყბადევსაც, რომელიც მრავალგზის უფრო ღონიერი და მძლავრია, ვიდრე ნაცარქექია. თითქოს დევმა ნაცარქექია ნიორწყლად უნდა აქციოს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხებული და გაცუცურაკებული რჩება იგი. ჭკუით, გამჭრიახობით, მოქნილობით, ეშმაკობით სჯობნის ნაცარქექია დევს. სწორედ ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა, ეშმაკობაა ნაცარქექიას თვისება და არა სიზარმაცე და ბაქიობა. სიზარმაცე და ბაქიობა მისტიფიკაციაა, მომარჯვებული იმისთვის, რომ მტერმა ნაცარქექიას ნამდვილი თვისება ვერ ამოიგნოს“ (ბაქრაძე, 1990:153). ამგვარად, აკაკი ბაქრაძის წერილის პათოსი მიმართულია იმ თვალსაზრისზე, რომ სწორედ შენიღბულობასა და მისტიფიკაციას უპირისპირებდა ქართველი ხალხი თავის მრავალრიცხოვან ისტორიულ მტრებს; ამ თვისებების დახმარებით შეძლეს ქართველებმა ისტორიის რთულ ლაბირინთებში გზის გაკვალვა და თავის გადარჩენა.

ზემოაღნიშნული მასალის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პიკარესკული ჟანრი ორგანულად ჩაეწერა XX საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში, რასაც ადასტურებს ორი შესანიშნავი ნაწარმოები: მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“. თემატიკის, პრობლემატიკისა და ქრონოტოპის ერთიანობის მიუხედავად, ზემოაღნიშნულ ნაწარმოებებში პიკაროების ტიპოლოგია რამდენადმე განსხვავებულია; გასული საუკუნის 20-იანი წლების „პოლიტკარნავალების“ წარმოსაჩენად მიხეილ ჯავახიშვილმა მიმართა ტიპურ ისტორიებს, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში ავთენტური ფიგურანტები ჰყავდათ; რაც შეეხება პოლიკარპე კაკაბაძეს, მან „ფოლკლორული თაღლითი“ – ნაცარქექია – გამოიყვანა თავისი პიესის გმირად, თუმცა ორივე ნაწარმოების პათოსი კეთილშობილურ ნიღაბს ამოფარებული ქარაქუცა მატყუარების მხილებაა და უნისონში ჟღერს: საზოგადოება ფხიზლად უნდა იყოს, რათა არ დაუშვას იმ ადამიანთა აღზევება, რომლებიც სარგებლობენ შექმნილი სიტუაციით და უტიფრად ცდილობენ ხელისუფლების სათავეში (ან ძლიერთა ამა ქვეყნისათა ახლოს) ყოფნას.

კვაჭიში და ყვარყვარიში ცარიელ ნიადაგზე არ წარმოიშობა, მათი წარმოშობი მიზეზი სულიერებისგან დაცლილი საზოგადოებაა, რომელიც მზად არის სიყალბეს, უპრინციპობასა და უზნეობას უკმის გუნდრუკი, შიშისა თუ ანგარების გამო გმირად/წინამძღოლად/ბელადად შერაცხოს სხვადასხვა ავანტიურისტული ხრიკით ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებული თაღლითი. ჩვენ ზემოთ მოკლედ შევხეთ გარდამავალი პერიოდის, „ნგრევის ხანის“, სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებს, როგორც პიკაროების წარმოშობის ხელშემწყობ მიზეზებს. ასევე მოკლედ გავანალიზებთ ქართველი პიკაროების – კვაჭისა და ყვარყვარეს – ტიპურ ქარაქტეროლოგიურ თვისებებს.

მნიშვნელოვანია მიხეილ ჯავახიშვილი მიერ პიკაროს ბავშვობის წლების წარმოჩენა, იმ სიტუაციისა, თუ ვინ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი მისი ხასიათის, ქარაქტეროლოგიური თვისებების ჩამოყალიბებაზე. ჯავახიშვილის რომანში პიკაროს აღმზრდელის, დამრიგებლის როლში ცალსახად კვაჭის მამა, სილიბისტრო გვევლინება. სწორედ სილიბისტრო იყო ინიციატორი აზნაურის წოდების მიღებასთან დაკავშირებული ავანტიურისა, რასაც „აუარებელი დრო და ფული“ დაახარჯა, რადგან გული ეთანადრებოდა იმის გამო, რომ პასპორტში სამარცხვინო და სათაკილო სიტყვა „გლეხი“ ეწერა, თუმცა სილიბისტრო, თავის ოცნებებშიც კი, „მთელი სამტრედიის, ხონისა და ქუთაისის“ მასშტაბებს ვერ სცილდებოდა და სწორედ ამ ლოკალურ სივრცეში წარმოედგინა, რომ მისი კვაჭიკო „ნათესავს გაახარებდა... და მტერს თვალს დოუყენებდა“.

საყურადღებოა სილიბისტროს შეგონებები, რომლითაც კვაჭის უნდა ეხელმძღვანელა ადამიანებთან ურთიერთობისას: „შვილო კვაჭი, აი, ქვეყანა ასეა მომართული: ზოგი უმფროსია, ზოგი უნცროსი; ზოგი მდიდარია, ზოგი ღარიბი; ზოგი ძლიერია, ზოგიც გლახაკი; ზოგი თავადია ან აზნაური, ზოგი კიდო ყაზახია, გლეხია. შენისთანა აზნაურიშვილმა ყველას თავი არ უნდა გოუყადროს... აზნაურს და მდიდარს დოუმეგობრდი, დოუახლოვდი... მდიდარი და ძლიერი ყოველთვის გამოგადგება: ერთი წინ წაგაყენებს, მეორე გაჩუქებს რასმე, მესამე ხელს მოგიმართავს...“ ცხადია, სილიბისტროს დარიგებებმა განსაზღვრეს, რომ „კვაჭი ჭკვიანთან ჭკვიანი იყო, დინჯთან – დინჯი... პირდაპირთან – ორგული, ფლიდი და ორპირი; ორგულთან – ათგული და ათპირი; მუხასთან – ლერწამი, ლერწამთან – მუხა; რკინასთან – ბამბა და ბამბასთან – რკინა“, რომ „სადაც პირდაპირი გზა დაკეტილი იყო და სხვა ვინმე უკან იხევდა, იქ კვაჭი ხუთიოდე მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს იპოვნიდა... ათიოდე ხვრელს აღმოაჩენდა“, რომ მისი ცხოვრებისეული დევიზი გახდა: „მამიავ, დეიხსომე: ღმერთს ცხვარი მოსაწველად და საკრეჭად გოუჩენია“. ამგვარად, კვაჭიც „წველიდა“ და „კრეჭდა“ სხვადასხვა სიტუაციაში მასზე მინდობილ ადამიანებს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა – სამტრედიით დაწყებული და ევროპის დედაქალაქებით დასრულებული.

ქართველ პიკაროებს გამორჩეულად იტაცებთ თავგადასავლები და ავანტიურა, მაგალითად: კვაჭის ბავშვობიდან იზიდავდა ზემოაღნიშნული, იმის მიუხედავად, რომ, ზოგადად, სწავლას დიდად არ სწყალობდა, „გატაცებით ჰკითხულობდა მოგზაურობას, ყოველგვარ თავგადასავალს, მსხვილფეხა და წვრილფეხა ავანტიურის აღწერას. ორჯელ-სამჯერ გადაიკითხა ჯერ მაინ-რიდი, კუპერი, გუსტავ ემარი, გორდონის მოგონებანი, ნატ პირკენტონი, შერლოკ ჰოლმსი და ათასგვარი დომხალი“. ზემოთ დასახელებული ავტორების მადლიერ მკითხველს, შესაძლოა, წიგნში აღწერილი მოვლენებიდან ზნეობრივი, კეთილშობილური გაკვეთილები აეთვისებინათ, მაგრამ კვაჭიმ მალევე გააცნობიერა, „რომ ამ ქვეყნის ღერძი და დედაბოძი მხოლოდ და მხოლოდ ფულია, ხოლო დანარჩენი, რაც კი არსებობს... უკლებლივ ყველაფერი მხოლოდ ფულის მტვერია, მისი ყურმოჭრილი მონამორჩილია“. სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ მწერალი გვიჩვენებს, რომ კვაჭის ბუნება, მისი ფულისადმი სიყვარული არ იცვლება; კორექტირებას განიცდის მხოლოდ მისი „საქმის გაიმასქნების“ მასშტაბები: იგი იწყებს ქუთაისში ნაშოვნი ვერცხლის მანეთიანით და შემდგომში მისი აფიორებიდან შემოსული თანხა რამდენიმე მილიონამდე

აღწევს, ხოლო მასშტაბურობით – პეტერბურგის, პარიზისა და ლონდონის მდიდრულ კვარტლებს სწვდება.

კვაჭის მსგავსად, ყვარყვარეც აცნობიერებს ფულის ძალას – კარგად იცის, თუ რა ენაზე ესაუბროს მის გარემომცველ საზოგადოებას – ეს არის ფულის, ქრთამის ენა. მეწისქვილესთან საუბარში იგი ღიად აცხადებს: „დიდი მოიჯარადრე ვიქნები, დიდისგან დიდი. აი, ნახავ, ქრთამს სულ ქერივით დავაბნევ დიდკაცობაში. თვალი დაგიბრმავდება, რომ გაგივლი და არ შეგხედავ“. კვაჭის მსგავსად, ყვარყვარეც იცის, ვისთან როგორ მოიქცეს: სუსტთან და უპოვართან – დიდგულობს, ძლიერთან – თავს ისაწყლებს, ენაჭრელობა და ტყუილის თქმა ამოურჩევია. ცრუპენტელობა ის ნიჭია, რომლითაც იგი სხვებს აღმატება და რომელსაც საგანძურივით უყურებს: „მე, ყვარყვარე თუთაბერს, ენით შენ შემომიარა?“. მისთვის ენა საკმარისი დასაყრდენია, რომ ყოველი საქმე ემშაკურად მოაგვაროს, ბრიყვს თვალები აუხვიოს, სუსტი დააშინოს, ძლიერთან კი თავი მოისაწყლოს.

ზოგადად, პიკარესკული გმირის მორალურ-ფსიქოლოგიურ ქარაქტეროლოგიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია პიკაროს დამოკიდებულება ქალების მიმართ. როგორც ცნობილია, ერთ-ერთ ტრადიციულ პიკარესკულ მოტივს, რომელსაც არც XX საუკუნის თაღლითურ/ავანტიურისტულ პროზაში განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილება, წარმოადგენს ქორწინება, ქალების მიმართ ანგარებიანი დამოკიდებულება. ფრანსისკო კევედოს რომანის – „გაიმვერა დონ პაბლოსის ცხოვრების ისტორიის“ – ერთ-ერთი გმირი აცხადებს: „განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არასდროს არავინ გვიყვარს ანგარების გარეშე, წესდება გვიკრძალავს მორალისტ ქალებთან ურთიერთობას, ამიტომაც დავდევთ დუქნის მიმტან ქალებს – სადილის გამო, დიასახლისებს – საცხოვრებლის გამო. თვრამეტი წლის კვაჭიც პრაგმატულად უდგება ქალებთან დამოკიდებულების საკითხს: „ჩვენს დროში ათი წლის ბაღანამაც ქე იცის, რომე ქალი წუთიერ სიამოვნებისთვისაა გაჩენილი... თუ თანასწორობაა, ყოლიფერში თანასწორობა უნდა იყოს. რათ ვათრიო ზურგით ოცი და ორმოცი წელიწადი ვიღაც სონია, ვარია, ანუ მარუსია?... ჭკვიანი კაცი დედაკაცს ძირიან-ფესვიანად ამოსწურავს და თვითონვე მოაჯდება მას ზურგზე, ვინაიდან, დამიჯერეთ, სხვის ზიდვას მე მირჩევნია, რომ სხვა ვინმემ მზიდოს. ასეა ეს ქვეყანა მომართული“. კვაჭის დამოკიდებულებას ქალებთან მიმართებით არც შემდგომში განუცდია კორექტირება, პირიქით, იგი დასცინის მათ, ვისთვისაც ქალი გატაცების, სიყვარულისა და თავყვანისცემის ობიექტია: „ქალიზა ფულს მხოლოდ გიჟი და მახინჯი ჰხარჯავს... ნასწავლსა და ახალგაზრდა ქალიშვილებს მხოლოდ ტუტუცები და პოეტები დასდევენ... ქალი მხოლოდ სიამოვნებისთვისაა გაჩენილი“. ამდენად, ქალების მიმართაც მუდავნდება „წველისა“ და „კრეჭის“ კვაჭისეული ფილოსოფია; მანაც დაუზარებლად ისარგებლა სხვადასხვა სიტუაციაში მასზე მინდობილი ქალებით.

საინტერესოა, რომ პიკარესკული პროზისთვის ნიშანდობლივი დიასახლისის არქეტიპი მიხეილ ჯავახიშვილთანაც იჩენს თავს; ვგულისხმობთ კვაჭიკოს პირველ ქუთაისელ დიასახლისს – ცვირის, რომლისგანაც პირველი ვერცხლის მანეთიანი იშოვა; ვოლკოვის ქვრივს, რომლის გულუბრყვილობით ისარგებლა, დაეპატრონა მის ქონებას და ხანდაზმული ქალი მისსავე სახლში მდგმურად აქცია. ზოგადად, კვაჭის ქალების სია შთამბეჭდავად გამოიყურება (კაპიტან სიდოროვის ქალიშვილი ვერაჰკა, რეზეკა იდელსონი, სოფიო შავიძე და სხვ.). მათ შორის გამოირჩევა ქართველი ქვრივი, ულამაზესი ელენე, რომელსაც კვაჭი პეტერბურგის საზოგადოებაში დეიდაშვილად წარადგენს. ელენე ქალი-პიკაროს სახედაც შეგვიძლია მოვიაზროთ; მაგალითად, ეპიზოდში, როდესაც კვაჭი მას სთავაზობს გრიგორი რასპუტინის მოხიბვლასა და საყვარლობას, ელენე შემდეგნაირად მსჯელობს: „რა თქმა უნდა, ფული კარგია, საჩუქარიც... ზემო სართულში გარევაგ... თუ საქმე გაიჩარხა, ბარემ ის პატარა სახლიც მიყიდე, მე რომ მომწონს“. სხვათა შორის, ელენემ კარგად იცის კვაჭის ბუნება და, როცა გრიშკა რასპუტინის წყალობით, სასახლის კარზე ფრეილინა ხდება, ყოფილ საყვარელზე გაბრაზებული, მას აშორდიას აზნაურობას წამოამახებს, რაზეც განაწყენებული კვაჭი პასუხობს: „შენ თვითონ ხარ აშორდიას აზნაური, თვარა კვაჭანტირადე ბაგრატ მეფის სარდალი იყო“. ასევე, განკერძოებით დგას რომანის პერსონაჟთა გალერეაში პარიზელი პრიმადონას, მადამ ლაპოშის ფიგურა; მან თავად გააცურა კვაჭი: სამი ათასი მანეთი დაახარჯვინა და მასთან გატარებული ერთი ღამის საფასურად ჯიბიდან 400 მანეთი ისე ამოუღო, რომ შაურიც აღარ დაუტოვა. მადამ ლაპოშიც ქალი-პიკაროს სახედ შეგვიძლია მოვიაზროთ, თუმცა, ელენეს მსგავსად, ისიც ეპიზოდური პერსონაჟია და რომანის სიუჟეტიდან და ავტორისეული კონცეფციიდან გამომდინარე, მათი სახეები სრულყოფილად არ არის გახსნილი.

საინტერესოა კვაჭისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების საკითხი. იგი არასოდეს ივიწყებს ხარიხაზე მჯდომი ბებერი თუთიყუშის „თილისმურ ფორმულას“: „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ... არც აქეთ, არც იქით... შენც მინდიხარ, ისიც მიყვარს“. სწორედ ამ პრინციპით მოქმედებდა ქუთაისის საიდუმლო კრებებზე, სადაც პირველად გამოავლინა თავისი ორატორული ნიჭი. აღსანიშნავია, რომ კვაჭის პირველი ავანტიურა და მსხვილი თანხის შოვნა პოლიტიკას უკავშირდება; კერძოდ, არეულობის ჟამს ქუთაისში „ცნობილი და პატივცემული“ კოლია არევადის დავალებით კვაჭი დაუახლოვდა შავი

ქვის მრეწველის, ბერძენი კაროპულოს ვაჟს – კიპრიანეს, ხელი შეუწყო მის გატაცებას, რასაც ოჯახის მხრიდან მემკვიდრის გამოსყიდვა მოჰყვა. ამგვარი „საქვეყნო“ საქმის „გაიმასქნებით“ იშოვა კვაჭიმ პირველად დიდი თანხა. მართალია, კვაჭი არც სრულიად „არასაქვეყნო“ საქმეების „გაიმასქნებას“ თაკილობდა (მაიზელსონის როიალის ავანტიურა, ვოლკოვის ქვრივის სახლის ხელში ჩაგდება, სედრაქას ყალბი ფულით თამაში, ვერცხლის კოვზების მოპარვა სასტუმრო „ევროპის“ რესტორნიდან და სხვ.), თუმცა კვაჭის ყველაზე დიდი მაქინაციები და მსხვილი აფიორები, რა თქმა უნდა, პოლიტიკური სიტუაციებისა და საჭირო ადამიანების სათავესოდ გამოყენებას უკავშირდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანგარებიანი ქორწინება ავანტიურისტული პროზის ერთ-ერთ ტრადიციულ მოტივს წარმოადგენს; პიკაროსთვის ეს უმარტივესი გზაა „ბუდის მოწყობისა“ და უმფოთველად ცხოვრებისა. აღნიშნულ სიტუაციაში პიკაროს ცინიზმი სრულად იჩენს თავს, რადგან მისთვის აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს „გულის რჩეულის“ გარეგნობას, ასაკსა და ხასიათს. „ლიზა-ხანუმი მეტად სქელი და ჩატიკნული ორმოცდაათი წლის დედაკაცია. შავად შეღებილ ბულულა თმაში ბრილიანტების მძივი აქვს გახლართული. ფაფუკ ყელზე მოთვალული მანიაკი აქვს შემოხვეული. იმ მანიაკს ორსართულიანი ღაბაბი დასწოლია. გოლიათურ შიშველ მკერდსაც, განიერ მაჯებსაც და შუშაკიტრისოდენა თითებსაც უხვად აყრია ლალი, ფირუზი, ზურმუხტი და ამეთვისტო“. ასე გამოიყურება კვაჭის უკანასკნელი „სატრფო“ – სტამბულის ერთ-ერთი საროსკიპოს მფლობელი ბერძენი დედაკაცი, რომელთანაც კვაჭი საბოლოო ნავთსაყუდელს პოვებს. ამგვარად, მიხეილ ჯავახიშვილის რომანი სწორედ ანგარებიანი ქორწინების მოტივით იკვრება.

ფინალში ავტორი ირონიულად მიმართავს თავის გმირს: „ვიცი, რომ ბოლოს და ბოლოს შენს ღირსეულს და ნამდვილ საქმეს მიაგენი. მაშ, არხეინად დაღპი მაგ ორმოში და მშვიდობით იყავი“.

პიესის ფინალში ყვარყვარეც თითქოს მარცხდება და ამბობს: „ეჰ, გათავდა შენი ჩალიჩი თუთა-ბერო. ამათ ხელში ჩემი ამინდი არ დადგება“-ო, მაგრამ ეს ის ძვალი იყო, რომელიც დრამატურგმა საბჭოურ ცენზურას გადაუდგო და რომლის წყალობითაც პიესა არასოდეს აუკრძალავთ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყვარყვარეს ტიპი მარადიულია, მისი თავგადასავალი კვლავაც გრძელდება. ნიშანდობლივი ისაა, რომ პიესაში ბოროტება არ ისჯება, სხვაგვარად მისი ფინალი გულუბრყვილო და არაბუნებრივი იქნებოდა. ყვარყვარე ამ ბოროტების „აისბერგის“ მწვერვალია, მისი ნამდვილი საძირკველი კი – საზოგადოებრივი აზროვნება – ხელუხლებელი რჩება. შესაძლებელია ქვეყანაში მრავალი მთავრობა და ეკონომიკური ფორმაცია შეიცვალოს, მაგრამ, თუკი თავად ადამიანი და საზოგადოება არ შეიცვალა, ბოროტების ფუძე ყოველთვის შეურყეველი დარჩება.

მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ ხშირად ადარებენ თომას მანის „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარებას“ და გი დე მოპასანის „ლამაზ მეგობარს“. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ მწერალი არასოდეს მალავდა მოპასანის გავლენას თავის შემოქმედებაზე, განსაკუთრებით მისი სამწერლო მოღვაწეობის პირველ პერიოდზე, რაც შესაბამისად დაფიქსირებულია მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ამასთან, როგორც ცნობილია, „ლამაზი მეგობარი“ მიხეილ ჯავახიშვილმა თარგმნა, რითაც შესაძლებელია ამ რომანების მთავარ პერსონაჟებს შორის გარკვეული ტიპოლოგიური თანხვედრის ახსნა. რაც შეეხება „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარებას“, იგი თომას მანის უკანასკნელი ნაწარმოებია.

ვფიქრობთ, აღნიშნულთან დაკავშირებით, საყურადღებოა პროფესორ ლეილა თეთრუაშვილის სტატია „ღირებულებათა გადაფასება“ მიხეილ ჯავახიშვილთან („კვაჭი კვაჭანტირაძე“ და თომას მანის „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარებანი“). სტატიაში ავტორს მოაქვს ამონარიდები დიმიტრი ბენაშვილის წიგნიდან „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, რომ კვაჭი „კაცუნა იყო და გმირის როლი ითამაშა“, „ფარსის პერსონაჟი ტრაგიკულ სახეს იღებდა“ და ბოლოს: „ეს დროის ნიშანი იყო და მისი ხელით დაღდასმული“, რის შემდეგაც გვთავაზობს თავის მოსაზრებას, რომ „ამ გამონათქვამებში უკვე კვაჭიც ჩანს და ნაწარმოების ადგილიც მსოფლიო ლიტერატურის მდინარეებში, ანუ ის, რომ კვაჭიმ ყველა დიდი ღირებულება ხელყო და თავის დონეზე „დაქვეითებული“, ღირსებაყრილი და გაუფასურებული მიუგდო ადამიანებს“. მკვლევრის აზრით, „მთავარი, რაც კვაჭის, როგორც ესთეტიკური ფენომენის, სახეშია მოცემული, არის თამაში. გავიხსენოთ: იგი სულ თამაშობს, ანუ არის იმიტატორი; თამაშობს გულწრფელ მეგობარს, ზოგჯერ თავგანწირულ მიჯნურს... თამაშობს ერთგულ სახელმწიფო მოღვაწეს, გენიალურ ფინანსისტს, ღირსეულ რაინდს თავისი ქვეყნისა... ხდება ისე, რომ ზოგჯერ სახელმწიფოს მექანიზმიც კია მასზე დამოკიდებული (გავიხსენოთ რასპუტინთან დაკავშირებული გრანდიოზული აფიორა)“ (თეთრუაშვილი, 2013, ელექტრონული ვერსია). სწორედ თამაშში, იმიტირებაში იჩენს თავს თომას მანის ყალთაბანდთან კვაჭის ტიპოლოგიური მსგავსების ასპექტი, თუმცა, ცხადია, განსხვავებაც არსებობს მათ შორის. კვაჭის მსგავსად, ფელიქს კრულსაც სხვისი ცხოვრებით უხდება ცხოვრება: „იგი მუდამ სხვა ადამიანების სამყაროშია გადასული. ის ხან ეპილეპტიკია, ხან სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, ზოგჯერ ლიფტიორი, ზოგჯერ კელნერი, ბოლოს მარკი-

ზი ვენოსატა. საექიმო კომისიის წინაშე ზუსტად ახდენს ბნედიანის შოკის იმიტაციას, ხატავს ისე, რომ არასოდეს ხატვა არ უცდია, თამაშობს ტენისს ისე, რომ აქამდე არ უთამაშია (ტოვებს კი შთაბეჭდილებას, თითქოს ძველად, ბავშვობაში ნათამაშები გადავიწყნია). იგი მუდამ ტოვებს საკუთარ თავს და სხვებში ესახლება ისევე, როგორც კვაჭი, რომელიც ხან ნაპოლეონ აპოლონის ძეა, ხან ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანსკი და ხან სხვა, ანუ კვაჭისა და ფელიქს კრულსა აქვთ გასაოცარი უნარი საკუთარი თავიდან განსვლისა და სხვათა ცხოვრებაში ჩასახლებისა. გარდასახვისა და სხვის ცხოვრებაში შინაგანი წვდომის ამ ნიჭით ჯავახიშვილის კვაჭიც და თომას მანის ფელიქს კრულიც ხელოვანს (მწერალს, მსახიობს, მხატვარს და ა.შ.) მოგვაგონებს, მაგრამ ორივე გმირს ყველაფერი პრაქტიკული მიზნებისთვის სჭირდება, რითაც ისინი „საქმის კაცებად“ რჩებიან, ხოლო ამათ „საქმეში“ ვლინდება.... პროცესი დიდ ღირებულებათა გადაფასების, კლასიკური სულიერების დევალვაციისა და რღვევისა, რაც საუკუნის კატასტროფად აღიქმება იმავე სულიერების პოზიციებიდან“. ლეილა თეთრუაშვილის დასკვნით, „ორივენი – მიხეილ ჯავახიშვილიც და თომას მანიც – ერთი და იმავე ეპოქის დიდი წარმომადგენლები, ევროპული რანგის გამორჩეულად მასშტაბური მწერლები არიან და მონათესავე პოლიტიკურ კლიმატზეც მიგვანიშნებენ; დიდი ეპოქის დასასრულის მიჯნაზე ტრაგედია ფარსით იცვლება და კლასიკური ეპოქის გმირის სულიერი ღირებულებების დევალვაციის ფონზე ანტიგმირი ჩნდება“ (თეთრუაშვილი, 2013, ელექტრონული ვერსია).

„კვაჭი ფარსის პერსონაჟი იყო და ტრაგიკულ სახეს იღებდა“, ეს კი „დროის ნიშანი იყო“. სწორედ ამიტომ ენათესავება იგი ყველაზე მეტად პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერს და თომას მანის ფელიქს კრულს. განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ ყვარყვარე სიტუაციას ნელ-ნელა უღებს ალღოს – თუ თავიდან რევოლუციონერებს ეხვეწება: თავი დამანებეთ, არ ვარ მე ის კაცი, თქვენ რომ გგონივართო, მერე რევოლუციონერობას შეიფერებს, მოგვიანებით – ეპოქის იმ კრედოს ამიშვლებს, „დროის ნიშანი [რომ]იყო“ და ბოლშევიზმის გაბატონებას უკავშირდებოდა, ანუ მეწისქვილის რევოლუციონერ ქალიშვილს ეუბნება: „ამათ ბოლშევიკური პროგრამა მომთხოვეს, მაგრამ ვერ დავუფქვი და დღეს პანდური მომაცოლეს. ახლა ცოტა ბოლშევიკური ლაპარაკი მასწავლე, ჩემო მოპოვებულო“.

ამგვარად, მიხეილ ჯავახიშვილისა და პოლიკარპე კაკაბაძის ნაწარმოებები ინარჩუნებენ პიკარესკული ჟანრისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ ეგზისტენციალურ პრობლემატიკას, რომელშიც ვგულისხმობთ ისტორიულ-სოციალურ კატაკლიზმებში ჩართული გმირის/ანტიგმირის პიროვნული ჩამოყალიბების მხატვრულად წარმოჩენისა და გააზრების პროცესს; გმირის/ანტიგმირისა, რომელიც მზად არის, ნებისმიერი ქმედების ფასად, გადალახოს დაბრკოლებები, გაიტანოს თავი, დამკვიდრდეს „მაღალ საზოგადოებაში“ და უზრუნველად გაატაროს ცხოვრება. რაც მთავარია, კვაჭი კვაჭანტირაძისა და ყვარყვარე თუთაბერის ავანტიურისტული თავგადასავლების მეშვეობით, მიხეილ ჯავახიშვილმა და პოლიკარპე კაკაბაძემ, სატირის, ირონიისა და გროტესკის მოშველიებით, შექმნეს მეოცე საუკუნის პირველი ოცწლეულის სინამდვილის ამსახველი მხატვრული ტილოები.

ლიტერატურა:

ასათიანი გ. სათავეებთან, „ნეოსტუდია“, თბ., 2002;

ბაქრაძე ა. რწმენა, „მერანი“, თბ., 1990;

გომართელი ა. ლიტერატურული წერილები და ესეები, „უნივერსალი“, თბ: 2005;

თეთრუაშვილი ლ. ღირებულებათა გადაფასება მიხეილ ჯავახიშვილთან, თბილისი-თელ-ავივი, 2013;

შავგულიძე ნ. ჩანჩურადან არსენამდე, „მეცნიერება“, თბ., 1988;

ჯავახიშვილი მ. თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1964;

„ , 2008.

Maia Melanashvili Gori State Teaching University **PICARESQUE GENRE AND ITS GEORGIAN SAMPLES** **RESUME**

As it is mentioned in the scientific literature, “The Life of Lazarillo de Tormes” is considered to be the first picaresque novel, written by the anonymous Spanish writer. The first Georgian picaresque novel is considered to be “Kvachi Kvachantiradze” by Mikheil Javakhishvili.

By means of picaresque works, it is possible to describe the society’s fall and debauchery. Mikheil Javakhishvili depicted the first two decades of the Russian Empire, the hardships of its social and moral crisis, showed us its inner side. It is of primary importance to emphasize the character’s social origin. The protagonist of this genre is mostly from the low social class, who paves the way to the high society by means of fraud and adventures.

ფილოსოფიური ლირიკის ასპექტები დავით გაბუნიაშ პოეზიაში („ვარდფურცლობის დღესასწაული“)

დავით გაბუნია ქართველ პოეტთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და გაბედულებით შეძლო თავისი სათქმელისა და პოზიციის გამოხატვა. და ეს მაშინ, როცა 70-იანი წლებიდან, როგორც კი ყინულის დნობამ საშიში სახე მიიღო, საბჭოთა ლიდერებს კვლავ გაუაქტიურდათ უცხო ხილის აკრძალვის ინსტინქტი. მძაფრდება საბჭოთა ხელისუფლების აგრესია ყოველგვარი სიახლისადმი, რაც ერთი მხრივ, იძენს უკიდურესად ხელოვნურ ხასიათს, ხოლო, მეორე მხრივ, არღვევს კომუნიკაციის ელემენტარულ ნორმებს, შედეგად მწერალი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიცირებული მომხმარებელი განიცდის ინფორმაციის დეფიციტს. პოლიტიკური მარწყხებით შებოჭილმა ამ ეპოქამ სამართლიანად შეიძინა „უძრაობის ხანის“ სტატუსი, ხოლო მწერლობა მოთმინებით შეუდგა რეპრეზენტაციის გზების ძებნას...

„უსასრულობასა და მარადიულობას ჩვენ ვიძენთ მხოლოდ ჩვენს ადგილზე და ჩვენთვის განკუთვნილ ჟამს, ჩვენს სამშობლოსა და ჩვენს ეპოქაში“. ესპანელი მწერლისა და მოაზროვნის მიგელ დე უნამუნოს ეს გამონათქვამი სავსებით ესადაგება დ. გაბუნიაშ თაობის პოეტთა შემოქმედებას. დრომ მათ საოცარი მისია დააკისრა: მოდერნიზმი, ავანგარდიზმი. თვისებრივი და ფორმისეული ნოვაციების ძიება მათთვის თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. ყალბი და ცრუ ყოფიერების პირობებშიც სულში დაგროვილი ტკივილის გადმოცემის აუცილებელ პირობასა და საშუალებას წარმოადგენდა... ეს მართლაც იყო „ახალი ქროლვა“, (დ. თევზაძის ტერმინი) რომელმაც ღრმად შეაღწია ქართული ლიტერატურის ლაბირინთებში, ყველა თაობის, თითქმის ყველა ცოცხალ ქართველ მწერალს შეეხო მისი სუნთქვა... აკი ეპოქის გავლენას ვერ გაექცევა ვერც გენიოსი და ვერც მჯღაზნელი. 30-50 -იან წლებში ოფიციალურ ხელისუფლების პოზიციებზე დგომა ყველას ევალებოდა და სხვანაირად გამორიცხული იყო მხატვრულ ნაწარმოებებს მზის სინათლე ეხილა.

ალბათ, ამით იყო განპირობებული რომ თვით ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებული მწერლები ცხოვრებას შეულამაზებელი სახით წარმოსახავდნენ. ამჟამად ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ამ საერთო ნაკლს ვერ ასცდა მხატვრული სიტყვის ვერც ერთი გამოჩენილი ოსტატი. რაღა თქმა უნდა, ხარკი აღნიშნულ მოთხოვნებს გადაუხადა მეტ-ნაკლებად ყველამ, მათ შორის აფხაზეთის ქართველმა შემოქმედებმაც, რომლებიც მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, მაინც ახერხებდნენ სიმართლის ერთგული ყოფილიყვნენ და სწორად, შეულამაზებლად წარმოესახათ ცხოვრების განვითარების ძირითადი ტენდენციები.

2012 – 2014 წწ. გამოიცა დ. გაბუნიაშ წიგნი - კიდობანი, პოეზია ოთხ წიგნად, შემდეგი სახელწოდებებით: „ვარდფურცლობის დღესასწაული“, „კვიანი სამრეკლოს ზარები“, „ფერიცვალების ველი“, „სიმორის ფერები“ - საერთო სათაურით - „ცისა და მიწის ოთხი ხეივანი“.

ვფიქრობთ, ოთხივე წიგნი ორგანულად შეესატყვისება და სათანადოდ წარმოაჩენს დ. გაბუნიაშ შემოქმედებითი ცხოვრების ოთხ დროს. საგულისხმოა ის, რომ წინამდებარე ტომეულებისათვის დავით გაბუნია დაჯილდოვდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პრემიით (2016 წ.).

„ვარდფურცლობის დღესასწაული“ წიგნის წინათქმაში პოეტი წერს: „წლის ყველა დრო თავისებურად ლამაზია, მაგრამ გაზაფხულს, ამ ზღაპრულ დედოფალს ვერაფერი შეედრება. მახსოვს: გაზაფხულის პირას, ბავშვობისას ნიავის ფაქიზი ფრთებით დარხეული ხეთა რტოებიდან მიწაზე დაღვრილ ფერად ყვავილებს ხელისგულზე ციციანთელებივით დავისვამდი და გულისტკივილით დედას ვუჩვენებდი. ის მეტყოდა: „შვილო, ნუ სწუხარ, მომავალში ისინი კვლავ აყვავდებიანო!“.

მოგვიანებით, როცა დიდ ჩინურ პოეზიას ვეცნობოდი, გენიალურ ვან ვეის ლექსებში ასეთ სტრიქონებს წავაწყდი: „ნუ ნაღვლობ ჟამით გაძარცვულ რტოებს, აყვავდებიან კვლავაც ისინი!“ - რამაც დედის ნათქვამი მომაგონა და სიამესთან ერთად, უჩვეულო, ფარული ტკივილი მაგრძნობინა!

ბავშვობიდან ვეტრფოდი გაზაფხულის ამ საოცარ იდუმალებას და შევეცადე დარწმუნებულმა პოეზიის ყოვლისშემძლობაში, ჩანგის სიმებზე გადამეტანა ნანახი და განცდილი!...“ (1, გვ. 23)

ჰოდა, „პოეზია უფრო მეტად წარმოადგენს სიცოცხლეს, ვიდრე თვით სინამდვილე“ (ბელინსკი).

ზაფხული (ძველი ქართულით გაზაფხული) საღმრთო სახელია „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევით ნეტავს სიმსუქნე“ (ფსალმუნი 6. 46.51). პროფესორი ტ. მოსია წერს: „მოსვლაი იესო ქრისტესი ვითარც ზაფხული“ (2, გვ. 6). ლუარა სორდია წერილში „გაზაფხულის

პოეტური ფორმულა გ. ტაბიძის შემოქმედებაში“, აღნიშნავს: „ადრიანი გაზაფხულის იმედით, ხარების სიხარულით, ყინულის ლოდების გადნობის მოლოდინით ცხოვრობდა პოეტი და გაზაფხულის სიმღერების უნაზეს მუსიკას გვაგრძნობინებდა მისი პოეზია“ (3, გვ. 6).

დ. გაბუნია გაზაფხული პოეტურ კრედოს დაუკავშირა. მისი პოეზია ესაა ორი ქვეყნის განსახიერება სიცოცხლის დამამკვიდრებელ იდეაში - გაზაფხულში, რომლითაც იწყება სიცოცხლე ამქვეყნად.

„ვარდფურცლობის დღესასწაული“ უჩვეულო ნათლითაა გალიცლიცებული. აქ ყველაფერი მაღალი ესთეტიკითაა გამორჩეული - ფორმაც და შინაარსიც. სჯერა პოეტს, რომ „ჭეშმარიტი აღმქმელის ხსოვნა ინახავს ნაწილებს და დროის სივრცეში კრავს მთლად“ (ესმა ონიანი). დ. გაბუნიას მიერ წარმოსახულ ბუნების სურათებში პოეტური საღებავები თითქოს კივიან. ერთმანეთს ებრძვიან და ამდენად რაღაც უჩვეულო განცდებით გვაფორიაქებენ. გაზაფხულის მშვენიერების მძაფრი განცდა და სახეების ორიგინალური გააზრება მისი ბუნებისადმი დამოკიდებულების უაღრესად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს...

„დ. გაბუნია თავის ლექსებში პოეტურ შემართებას და შთაგონებას ძალას არ ატანს. ამ კომპონენტებს პოეზიისას ბუნებრივად, ჰარმონიულად აზავებს და აფერადებს აზროვნებასთან, განსჯასთან“ (4, გვ. 4).

დ. გაბუნიას პოეტური ხმა ელასტიურია. საოცრად ფართო დიაპაზონით გამორჩეული. ეს მის ლირიკულ ქმნილებებში მოგვესმის ვარდფურცლობის ჟამს ფრინველების მომხიბლავი ჟივილ-ხივილი, ტყეებსა თუ ბაღებში ჩიტუნების იდუმალეზით მოცული გალობა. დიახ, აქ, ამ პოეტურ ქვეყანაში გაგაოცებთ მზის ამოსვლისას ზღვაზე მოფარფატე თოლიების ფრთების ტყლაშუნი. ვარსკვლავებით მოჭედული ცის სილამაზე, და კიდევ: ცისკრის ჟამს თეთრ ღრუბლებს შორის თვალებით მომზირალი ცის იდუმალეზა და უნდა დავეთანხმეთ პოეტს: „მიწა რა არის? - მზის გვირგვინი ლურჯი ტახტი და სიყვარულის ვრცელი სავანე!“

პოეტი ბუნებაში ეძებს ფერებს, მუსიკას, იდუმალეზას, ის ვაჟას თვალით იხედება ბუნების საიდუმლოებებში, ბუნება მისთვის მთელი სიცოცხლეა. დიდია და უნაპირო პოეტის სიყვარული ბუნებისადმი. მთების, მდინარეების, წყაროების, ნაკადულების, განთიადების, მზიანი დარების, ვარდ-ყვავილების სურნელით გაჟღენთილი არემარის, გვირილებით მოჩითული ეზოების მიმართ: „მზე მოდგება მაღალ გუმბათებს, სივრცეს წალეკავს ფერთა მორევი. სულში ლაჟვარდი შემოანათებს, მთებზე გადადის ნისლი ზმორებით. ზეცა ირწყვავს, როგორც მდინარე და მზე შემოდის უცხო მირაჟით!... სულში მინთია შენი სიმწვანე, შენი ლამაზი მინდვრის ფერები.“ („სამშობლოს დილა“). ან: „მინდორზე ფარფატებს პეპელა. მაისის ცვარ-ნამით სველი, ნიავე ყვავილებს ეფერა და სული ვერ ძღება ცქერით“ („პეპელა“) - იტყვის პოეტი და საამოდ ეფერება ჩვენს ამაღლებულ განწყობილებას. უსასრულოა მისი ხილვები, მისეული საოცარი ფერებით დახატული მარადიული სული. კოსმიური უნაზესი მუსიკის ხმა მოგვესმის მისი ლექსებიდან. ანგელოზური სულის სისუფთავე და სტილის სინატიფა. მისი შინაგანი ინდივიდუალობიდან გამომდინარე ნიჭის დიადი ძალა და ღირსება ანათებს. ყველა მოვლენას, ყველა საგანს თავისი ჯადო-ხიბლი აქვს. პოეტის თვალით დანახული ღამე, სიჩუმე, ნაღდი მუსიკის შესატყვისია... რამეთუ „მუსიკა შობს, პოეტი ანაყოფიერებს“ („ვაგნერი“).

„ლექსი და მუსიკა“... მხოლოდ იქ, სადაც პოეტი ქედს არ უხრის კომპოზიტორს, არ ემორჩილება ბრმად მუსიკის ჟინს, სტერეოტიპული ფრაზებისა თუ შტამმად ქცეული სახის ნაცვლად გვამღვებს ახალს, ღრმასა და მშვენიერს, სუნთქავს ლაღად, მაღალმზიანეთის წმინდა და გამჭირვალე ჰაერით, შემოაქვს მას მუსიკაში მაცოცხლებელი ნაკადი. გასაკვირია განა, რომ საუკეთესო სიმღერათა უმეტესობა პოეტურ ტექსტებზე იწერება? (5, გვ. 180). და უნებლიედ, ვფიქრობთ, პოეტური სიტყვა დღეს ფანტაზიისა და წარმოსახვის ჩუმსა და განმარტოებულ სენაკში უფრო ხშირად ისმის, ვიდრე მუსიკალურ აკომპანენტთან...

ღრმაზროვანი და ხატოვანია დ. გაბუნიას პოეზია, რაღაც იდუმალი, შინაგანი ენერგიით დამუხტული, ეროვნული სულით ამაღლებული, ისეთივე როგორც მშობლიურ ბუნებასავით მზიანი და მრავალფეროვანი ქართული მელოდიები. აი თუნდაც: „ლურჯად ხასხასებს მინდორი, ისმის გალობა ჩიტის აქ კი ბალახიც იტირებს, თუკი შეახე თითი! შეხედე როგორ უთქმელად გრძნობენ ყველანი ერთურთს, სულის ამგვარი მუსიკა, ჯერ არ მსმენია ღმერთო! („სულის მუსიკა“).

გურამ ასათიანი ტიციან ტაბიძის პოეზიის ანალიზისას წერს: „პოეტურ ოსტატობას სხვადასხვაგვარი გამოვლინება აქვს. არსებობენ ლექსის შინაგანი ლირიკული კომპოზიციის, სახეთა ფერწერული გააზრების, პოეტური ფერის მუსიკალური გამოსახვის ვირტუოზები, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს პოეზიაში იმ მაღალ ოსტატობას, რომელიც საშუალებას აძლევს პოეტს მთელი თავისი ცოცხალი მთრთოლვარე შეუზღუდავი ძალით გადმოღვაროს ქაღალდზე ჯერ კიდევ გაუფორმებელი,

მყარ კალაპოტში ჩამოუსხმელი, მაგრამ მით უფრო ცხოველი ემოცია და მას თავში პირვანდელი სურნელი შემოუნახოს“.

დ. გაბუნია თითქმის ყველა ლექსი მელოდიურია და, ვფიქრობ, ის უფრო ტიციანივით მძაფრი მსოფლშეგრძნების პოეტია. სამყაროსადმი დამოკიდებულების თავისებურება მის ღრმა ინდივიდუალობაშია. ბუნებაა მისი მხატვრული აზროვნების დაუშრეტელი წყარო, საიდანაც იღვრება ფერები, ზგერები, სახეები, ოქროთფერილი მეტაფორები. ეს მისი ლექსებიდან მოგვესმის გადარჩენილი ადამიანისა და ბუნების ერთიანობის მარადიული სიმღერა და მაინც მისი სისხლიანი ცრემლებით შექმნილი და ნასაზრდოები ლექსები, სულს სძრავენ და ჩაგვაფიქრებენ ყოფნა-არყოფნის მარადიულ პრობლემებზე: „შაშვი გალობს, ხიდან თოვლი სცვივა, მზეს თანდათან ემატება ძალა, მოდის გზაზე თეთრი ცირა და მე სევდა რატომ მომეძალა?! შაშვი გალობს, ცა სილურჯეს აღვრის და მზე ღრუბლებს აღარ უშინდება! ასე რატომ იცრემლება ბაღი, როცა უკვე გაზაფხული დგება“ („გაზაფხულის კართან“) ...სევდანარევი აღფრთოვანება ბუნების სილამაზისა ძალდაუტანებლად შემოდის მკითხველის სულში და ისიც პოეტთან ერთად იმსჭვალება სრული, ჰარმონიული თანაგრძნობით ენგურსგაღმა დარჩენილი საქართველოს მიმართ. ასეთ ხილვებში გამოვლინდა დ. გაბუნიას პოეტური გრძნობის სიფაქიზე. და დიდი რუდუნებით შერჩეული ენობრივი ფორმების თავისებური ხმარებით უმაღლ გამოარჩევ მის მხატვრულ ნააზრევს სხვა შემოქმედთა ხელწერისაგან. აი, თუნდაც: „დილით მზე მოღელავს“, „შეხედე ცის ხავერდს ო, როგორ თამთამებს!“, ...“და მზე ანათებს ფერების სანთელს!“ „შრიანებს ღრუბელთა ფერადი ფარდები“, „ვხედავ იდუმალ მირაჟებს“ ან „ვარდების ნაპირი“, „ოცნების მზე“, „პატარა გული ზამბახისფერი“, შინდისფერი ხარები, ურჩი ქარები, სამყაროს მუსიკა, ცისკრის საყვირი, ფერების შრიალი, მთვარის ჩქერები - ასეთი ესთეტიკური ინფორმაციის შემცველი მასალა გამოიყენა პოეტმა და შესაშური ექსპრესიულობით, მხატვრული ოსტატობით და მშობლიური ბუნების გულში ჩამწვდომი ლირიზმით მოჰინა საკუთარი სულიერი სამყარო.

და მიუხედავად შინაგანი ფორიაქის, ქარიშხალნი წინათგრძნობისა, პოეტი კვლავ მშობლიური ბუნების წიაღში ითქვამს სულს და გადარჩენილი ადამიანისა და ბუნების მარადიულ რწმენითაა აღვსილი: ...“ისევ ელვარებს ლურჯი თავანი და საოცარი შუქი მოღელავს, კრთის მთვარიანში იასამნი და ვარსკვლავების მათრობს სიმღერა!“ („კრთის მთვარიანში იასამანი“) ... და თუ მეტაფორა საგნის ცოცხალი და მკაფიო გამოსახვის უტყუარი საშუალებაა, მაშინ დ. გაბუნიას ლირიკას თავიდან ბოლომდე გასდევს უჩვეულო შეგრძნებები და განცდები, რომელიც უმაღლ გაგრძნობინებს, რომ პოეტის მიერ დახატული სამყარო ჭეშმარიტად დრამატული, დაუმომხმინებელი, პათეტიკური სულითაა აღბეჭდილი: „მივყურადებ ვარდფურცლობის სიმებს იდუმალს და ცა, როდესაც გადაუვლის რწევით ფშიარებს... და მთვარე, როცა ცას და მიწას მოახავერდებს... შეხედე წყაროს ლოცულობს და ცას ევედრება, სხვა რაღა გინდა ამ სინაზეს თუ ეზიარე?!“ („ვარდფურცლობის სიმები“). - ასე სულის სიღრმემდე განიცდის პოეტი გაზაფხულის სილამაზესა და მშვენიერებას. მარადიული სილამაზითა და ბუნების მშვენიერებით აღრფთოვანებული იტყვის: „შეხედე შუქი მოედო ჩემი ზავშვობის სანახებს. მაღლობელი ვარ უფალო, რომ ეს ზღაპარი მანახე“ („იცინის მზე და მინდორი“).

სიყვარულის სურვილითა და მისი თანამდევნი - მარადიული ექვით შეპყრობილმა სულმა არ იცის ნაფერები ატამივით გაშრილდეს, თუ გაზაფხულის ნუშებივით იფეთქოს. პოეტის სიყვარულმა თბილ და მწიფე ფერებშიც ჰპოვა გამოხატულება. და: ...“ო, ეს იდუმალი რხევა მიმოზების, მთვარემ მოგონება რატომ შეიერთა?! ციდან მოცურავენ ციციანთელები და სულს საოცარი შუქი ეფინება!... ზღვა კი შენეული მზერით ნაფერები, ამ დიდ სიყვარულზე ახლაც მეუბნება!...“ („ლურჯი ხეივანი“). ამ სტრიქონებმა გიორგი ლეონიძე გამახსენა: „შუქით ივსება ჩემთვის ქვეყანა, როცა ჩემთან ხარ სახემცინარი“.

და თუ გოგლას უმშვენიერესი მუზა ლელი ლორთქიფანიძე უხმობდა: „ნეტამც აქ იყო! ღამე ვარდად გაიშლებოდა, არ იქნებოდა ეს ქვეყანა ჩემთვის სამარე! შენმა მერდინმა შორს სივრცეში გაიფრიალა, მთვარის ნათელი სამოსელად შემოგვეხვევა, გულში დაგუბდა სიყვარულის ბედნიერება, გული ჩამიკვდა, ვით ყვავილში მთვრალი პეპელა. დამავიწყდება ლაპარაკი, ჩუმიად თავს დავხრი. მხოლოდ თვალები მოგასმენენ უთქმელ სიყვარულს“. („ღამის ჩვენება“).

დავით გაბუნია გულში „დაგუბებულ სიყვარულს“ მთელი არსებით გადმოღვრის და სიყმაწვილის, სიჭაბუკის ვნებიანი, სიყვარულის ცხოველ განცდას ასე დაასურათხატებს: „დავდივარ ტრფობით მთვრალი, ვუსმენ ვარსკვლავთა ქოროს, ეს ხეივანი მთვარის კვლავ შენსკენ მიმაქროლებს... ამ ტირიფების რხევას ციდან ეღვრება ოქრო, სიო კვლავ შემოგვეხვევა და მთვარის შუქი გოგო! ვარ ერთიანად გრძნობა და შენზე მეოცნებე, ქვეყნად ამგვარი ტრფობა არ ახსოვს მთვარეს ბებერს“ („დავდივარ ტრფობით მთვრალი“).

მისი პოეტური წარმოსახვა და ასოციაციები ესთეტიკური ელფერით აბრწყინებს მთელ ლექსს და უმთავრესი მაინც „მტრედით მოღულუნე მიწა!“; ციდან მოთვალთვალე ანგელოზი, მზეზე მოტაცუნე დაბრაწული ფოთოლი, თუ მოჟღერტულე ჩიტების წვიმა, ლაქვარდებში მოფართქლე „გულკალმახა“

მერცხლები, მეგრული ოდიდან სინათლის ტოტით გადმოცურებული გოგო, ცრემლებით დანამული ვაჟას ნუკრი... ეს ასოციაციები რაღაც უჩვეულო სინაზით გვაგვსებენ და მაღლა, მაღლა გვეწევა... ჰოდა, არავინ იცის რატომაც ცრემლებით დანამული სიჭაბუკის ბილიკი და არც ის, თუ რა მისტერიაა ფოთოლცვენის იდუმალეზაში: „ზღვის მოქცევის ჟამს შენ ისევ გავსებს ლურჯი შუქით სექტემბერის მთვარე და ფოთოლცვენის იდუმალეზას მიაყურადებ, როგორც ბუნების ცოცხალ აკორდს“.

„ვარდფურცლობის დღესასწაულის“ ციკლის ლექსებში ჩაღვრილია პოეტის განწყობილება, მისი სიყვარული და უანგარო ერთგულება ადგილის დედისადმი, მშობლიური ციხა და მიწით. გოლიათი მზითა თუ შიშველი მთვარით აღფრთოვანებული პოეტი ჰქმნის დიდებულ პოეტურ სურათებს, საიდანაც მაცდუნებელი ფერები იღვრება: ... „ჩემი ბავშვობის თეთრფრთიანი გაფრინდა მტრედი და ჩემი ლანდი დასდევს მოლზე ბოჩოლას ბლავილს. ალვების იქით, ახლაც ისმის სიმღერა ღამის და ცისკრის გოგო, როცა ღამით ვარსკვლავებს მოსწყვეტს, ჩემი ოცნების ბიბლიური ინთება ბუჩქი, ადგილის დედა დგას და ღელავს ყველაფრის მოწმე“ („ადგილის დედა“).

ოცნების ბიბლიური ბუჩქი სიჩუმის იდუმალ, უცნაურ მისტერიას იმარხავს „თვით ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისა და ვარგისიანობისას“ (ვაჟა-ფშაველა). ეს ფრაზა, ვფიქრობ, შეიძლება დ. გაბუნიას ბუნებასთან მიმართების, მისი მრწამსის გასაღებად გამოვიყენოთ. ბუნება მის პოეზიაში არ არის მხოლოდ ფლორა და ფაუნა, ან, საერთოდ, რეალობის, ყოფიერების სინდრომი, არამედ კაცთა ნებისგან დამოუკიდებელი შინაგანი ჰარმონიის მატარებელია.

დავით გაბუნიას ლირიკაში ყაყაჩოები იცინიან, ცისარტყელა თამაშობს, ყვავილები თვალებს იფშენენ. ბაღს ჭრელი კაბა აცვია, ია ილიმის, ცა საფირონის ფერია და „იღვრება ხავერდი თოვლის“, გაზაფხულის მზე ქალღმერთით ილიმის, თბილი ქარით აფეთქებული ატმები ფერთა ორნამენტებს ალვრის დედამიწას და გახსენდება ვაჟა: ბუნების გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრად აღემატება, ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებითა და ნაკლით. ჰოდა, ბუნება ცოცხალია, მეტიც გონიერია. და თუ ვაჟა-ფშაველა ადამიანის ხსნას (ამაღლების, სრულქმნილების გზა) თვით ბუნების შეცნობასა და მისდამი ერთგულებაში ხედავდა („ღამე მთაში“) დ. გაბუნიას რწმენით, ბუნება ღმერთმა შექმნა და, რადგან არსებობს, ამიტომ თავისთავადია, საკუთარი შინაარსის მქონე. ბუნებაში სიკეთესთან ერთად ბოროტებაცაა, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ ბუნება სიცოცხლის მშობელია, მუდმივად სიცოცხლის, სილამაზის, მშვენიერების შესაქმნელადაა მიდრეკილი.

გაზაფხულის ამ უმშვენიერესი დროთი იწყება პოეტისათვის უჩვეულო სიცოცხლე, რა საოცარი ხედვაა: „მზე ტრფობით ზეცას ხაზავს და სულს უნაწილებს სითბოს. ამ ვერეს შეხედე დაცვარულს და ჩიტს მზეზე რომ წივის. მე ვერსად ვნახე ამ დილით ბუნების თვალი ცივი, დრო მიდის არ დავიწყების და ლაჟვარდების კრთომა. სიცოცხლე ასე იწყება და ყვავილების თოვა!“... ან: „აშრილდება მზის წყარო და მოგაღვრის სიცილს, ლურჯი ტანიდან გაზაფხულის ამოყრის ფოთოლს და მზის თითები ამოქარგავს ჭრილობას სივრცის, დაიტვირთება ყვავილების გვირგვინით ტოტი! მზე გაზაფხულის გაგაბრუებს სიცოცხლის განცდით და სიყვარულის უნაპირო ფერებით დაღლილს! შენ პლანეტაზე ივლი მუდამ სიცოცხლის გასწვრივ და შენი სულის იშრიალებს ღამაში ბაღი“ („სიცოცხლის გასწვრივ“). ამ ლექსში პოეტმა ერთი ამოსუნთქვით გვაგრძნობინა, გაზაფხულის მობრძანებით აღფრთოვანებული განცდა და მიგვანიშნა საიდუმლოებით მოცულ თვალშეუდგამ ქვეყნიერებაზე, „სიცოცხლის გასწვრივ“ მოშრიალე სულის ბაღზე.

„ჩემთვის პოეტი მხოლოდ გულია“ - წერდა ტერენტი გრანელი პოეტის ფენომენზე. დიახ, ასეთია ტერენტი გრანელისეული პოეტის ფენომენის შეფასება, გული, მთელი კოსმიური სამყაროს დამტვევი.

დ. გაბუნიაც ცისა და მიწის შუა გამოკიდებული გრძნობს პოეზიის მარადისობასა და ადამიანის დანიშნულებასაც ყოფიერებაში. ჰოდა, გრანელისა არ იყოს, თუ ადამიანი არის არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა, ღვთიური და დიადი... დ. გაბუნიას რწმენით, სწორედ პოეტმა უნდა ეძებოს ეს რაღაც სხვა და თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით უნდა აჩვენოს ადამიანებს, ამქვეყნად არსებობის დანიშნულებაც. რამეთუ „დრო მიდის არ დავიწყების და ლაჟვარდების კრთომა, სიცოცხლე ასე იწყება და ყვავილების თოვა“ („სიცოცხლე ასე იწყება“).

რა არის ეს, თუ არა გადარჩენილი რწმენის, განწმენდილი და უბიწო სულის სიმართლე და მდგრადობა. „მოშრიალე სულის ბაღი“, ვფიქრობ, ერთერთი ულამაზესი პარადიგმაა, რომელიც სიცოცხლის მარადისობაში გვარწმუნებს და რწმენითა და ერთგულებით მიგვახედებს უფლისაკენ აქ არ შეიძლება ესმა ონიანი არ გაგვახსენდეს: „ჰემმარიტათვის სიცოცხლის მიწიერი გამოვლენა, საგანთ არსებობა - სახეები, საგნობრიობა დაბრკოლება კი არა, პირიქით, დიდი სიყვარულის, სინაზის საბაზია.

ეს ღმერთის მიერ შემოთავაზებული თამაშია, მისი წესებითა და კოდეზით ატარებენ რა სხვაზე მეტად ერთის, მშობლიურ-საწყისეულის გაუნელებელ ხსოვნა-მდგომარეობას, სხვაზე მეტად იმსჭვალეზიან ადამიანური სიყვარულით და აქაურობის გაგებით, ადამიანური ყოფა, საგნებისადმი

ბავშვური გაცემით, აღტაცებით, ძირისმიერი სული საგნისა „დაბადებამდელ ხსოვნაში იღებს სათავეს“ („ფიროსმანზე“, (6, გვ. 95).

დ. გაბუნია უყვარს მისტიკური, თუნდაც მიღმიერ სამყაროდან გადმოტანილ თემატიკასთან შეჭიდება, ღრმა და პოეტურია მისი შინაგანი სამყარო... ვარდფურცლობა პოეტისათვის ახალი ცხოვრების დასაწყისი, ახალი ტალღა, რწმენა, და იმედია, რომ ყველაფერი ამ მზისქვეშეთში ახლიდან იწყება. და უმთავრესი მაინც, პოეტი თავის ლირიკულ ქმნილებებში მუდმივად მშობლიური მიწის წიაღშია, ადგილის დედას-ოდაბადეს დასტრიალებს თავს. მისი რომანტიკული შემართებაც ამ მიწის სურნელითაა გაჟღენთილი. მის რომანტიკულ ბუნებას ძალუმს დედამიწაზე „სულის ბაღი“ ააშრიალოს და პოეზიის უჩვეულო სურნელით გააბრუნოს მკითხველი. თითოეული მისი ქმნილება ბუნების უმშვენიერესი სურათია. აკი „მარადიული სიცოცხლით დაჯილდოებული კითხვის - რა არის პოეზია?“ - ზუსტი და ნანატრი პასუხი, თვითონ პოეზიაა, ანუ ესა თუ ის პოეტური ქმნილება“ (7, გვ. 9).

„საწუთრო, როგორც მღვრიე ზღვა ღელავს, არისხებს ზარებს, ყველას თავისი მიეზლო, შენც მოგეზღვება მალე! მოვდივარ კარი გამიღე, დიდხანს ვეომე ქარებს! სადღაც ღრუბელი გაირღვა და მიქანაობს მთვარე, ვარსკვლავნი მითვალთვალევენ ვეღარ ვუჯერებ თვალებს. ყაყაჩოს რაღა ატირებს, რად სდის ცრემლები ცხარე?!“

კითხულობ და გრძნობ, როგორ საოცარ ხატებს ჰქმნის პოეტური ფანტაზია, ზეცაზე. მოქანავე მთვარის შუქფენილი სამყარო თითქოს ყაყაჩოს უნახეს ფურცლებშია გამოხვეული. ყაყაჩოს მოწანწკარე ცრემლები კი პოეტის სულს ამძიმებს და ამიტომაც ებადება კითხვა: „ყაყაჩოს რაღა ატირებს“... და მკითხველიც გრძნობს სამყაროს უზარმაზარი მისტიკური განძის არსებობას, რომელიც თავისთავად შეუვალი იდუმალბაა და პოეტიც თავისი მაღალი, ინდივიდუალური პოეტური ხელოვნებით გამორჩეული მარტოსულივით ილტვის მარადისობისაკენ... პოეტისათვის მთავარია ბუნების საიდუმლოებაში წვდომა, უპირველესად კი საკუთარ თავში მისტიკური ჩაღრმავება, საკუთარი არსიდან გამოსვლა კი საზღვრების გარღვევაცაა და სწორედ აქაა ფარული კავშირი სამყაროსთან, კოსმიურ იდუმალბასთან. აი, როგორ ახერხებს პოეტი თავისი წარმოსახვით თვალწინ გადაგვიშალოს ბუნების უჩვეულო სილამაზე და მშვენიერება: „მდინარის პირას კიპარისთა ჩრდილები კრთიან, მდინარის პირას ირწევიან მწვანე რტოები. მდინარის პირას სავსე მთვარე ამოდის გვიან. მუქი ტყეებით და მდუმარე სამრეკლოებით, მთვარის ჩრდილები ჩემს გარშემო როკავენ წყებად და თეთრი ფრთებით ეხებიან იდუმალ სიმებს. მდინარის პირას საოცარი სინაზე წვება და სული ჩემი უერთდება ვარსკვლავთა ღიმილს!“ („მდინარის პირას“). ლექსის ყოველი ბჭკარი ადამიანის ცოცხალი ნერვივით სუნთქავს და ვარსკვლავთა ღიმილთან შეერთებული სულიც უსასრულობაში განეფინება...

პოეტის თვალთ დანახული საგანი თუ მოვლენა აღქმულია საინტერესო კუთხიდან. სავსებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ დ. გაბუნია პოეტური ხილვები დიდი პოეზიაა, ბუნებასთან მიმართებაში დ. გაბუნია უფრო ფილოსოფოსია, ვიდრე პოეტი.

ამ ციკლის ყველა ლექსი მდიდარია ფერებით, სურნელით, მუსიკით. ყოველი პოეტური სახე მკითხველს ფიქრისთვის განაწყობს. ის თავისუფალია ყოფითი პრობლემებისაგან, რასაც ცხოვრება თავს ახვევს და ამქვეყნად თავის არსებობას მხატვრული სიტყვით „ახალ სამყაროში“ აღბეჭდავს.

ლიტერატურა:

1. გაბუნია დ. ვარდფურცლობის დღესასწაული, „უნივერსალი“, თბ., 2012.
2. მოსია ტ. საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1966.
3. სორდია ლ. გაზეთი „არე“, დეკემბერი, 2000.
4. გვარამია ა. მაძიებლური ბუნებით ნასულდგმულები, „საბჭოთა აფხაზეთი“, 1982, 24 მარტი.
5. ჟორდანია ს. კრიტიკის ფილოსოფია, თბ., 1988.
6. ხოშტარია გ. ესმა ონიანის შემოქმედება, ალბომი ესმა ონიანი (ფერწერა, პოეზია, ესეები), თბ., 2008.
7. ხორნაული ვ. მე სიყვარულის ტაძარში ვდგავარ, „ჩვენი მწერლობა“, 22, 29 მარტი, 2002.

Tsiala Meskhia

Sokhumi State University

THE ASPECTS OF PHILOSOPHICAL LYRICS IN DAVIT GABUNIA'S POETRY RESUME

D. Gabunia is one of the most interesting poets of Modern Georgian literature, talented and different. His poetry reflects the influence of the heritage of Nikolos Baratashvili, David Guramishvili, Georgian and French Symbolists.

There we meet deep metaphors and lyrical associations, fragments of the Past, physical and metaphysical themes and a reader feels that the author tries to find eternal.

In 2012 – 2014 the book of D. Gabunia – “Four Alleas of Heaven and the Earth” – was published (four vollumes: “Rose Fast”, “Tample’s Bells”, “Valley of Transfiguration”, “Colours of Fareuell”). All of them reflect the credo of the author.

The main charactteristical detail of the poetry of D. Gabunia is his different style, alliance of Time and Speace, musical background of the literary text.

By D. Gabunia the Universe was created to be reflected by colours and sounds. The poet connects with the past, present and furute of his native country, with his ancestovs, offspings, contemporaries.

In the poetry of D. Gabunia we meet different styles of the verses – lyrical, political, metaphysical. The poet himself is a chronographes, singer, political – he changes his literary masts to create different poetical forms. The “main mask “of the authors is “a phylosophes”. The poet’s romantical native is reflected in each text of the author.

მურად მთვარელიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ტიციან ტაბიძის დაბადების თარიღისათვის

მიღებული შეხედულებით გამოჩენილი ქართველი პოეტი ტიციან ტაბიძე დაიბადა 1895 წლის 2 აპრილს. როგორც ჩანს, ეს თარიღი მომდინარეობს პოეტის ავტობიოგრაფიიდან, რომელიც მას დაუწერია 1936 წლის 15 აპრილს. სადაც იგი წერს: „დავიბადე 1895 წლის 2 აპრილს, დასავლეთ საქართველოში, სოფელ შუამთაში, ორპირის მახლობლად“.¹

ამ რამდენიმე წლის წინ პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, სააქრივო მასალებზე დაყრდნობით, გამოთქვა სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი პოეტის დაბადების თარიღთან დაკავშირებით. მკვლევარი წერს:

„როგორც ჭყვიშის წმ. გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნის ჩანაწერებიდან ირკვევა, სინამდვილეში ტიციანი 1893 წლის 2 ივლისს (ძველი სტილით) ყოფილა დაბადებული.“²

მიუხედავად მკვლევარის მიერ მიკვლეული სერიოზული მტკიცებულებებისა, დღემდე ტიციან ტაბიძის დაბადების წლად 1895 წელია მითითებული. ვიდრე ამასთან დაკავშირებით ჩვენს დაკვირვებას წარმოვადგენდეთ, გვინდა შევხვთ პოეტის სწავლის წლებს, რომელიც ასევე ერთგვარი გაურკვევლობის საფუძველს იძლევა.

ჩვენ მიერ ციტირებულ ავტობიოგრაფიაში ტიციანი სწავლის დაწყებას და ქუთაისში ჩასვლას ასე იხსენებს: „1905 წელს მამამ კლასიკური გიმნაზიის პირველი კლასისათვის მოსამზადებლად ქუთაისში წამიყვანა“.³

ამასვე იმეორებს პოეტი წერილში „შეხვედრები ვლადიმერ მაიაკოვსკისთან“:

„1905 წლის ოქტომბერია. მამას სოფლიდან ქუთაისში მივყავარ. გიმნაზიაში შესასვლელად ვემზადები“⁴

პოეტის ამ თხრობიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის პირველად ჩადის ქუთაისში, სადაც მას დახვდა რევოლუციური განწყობილებების საზოგადოება.

ერთი შეხედვით აქ სადაო თითქოს არაფერია, რომ არა ტიციანის ერთი პირადი წერილი მშობლებთან, რომელიც 1904 წლით თარიღდება. ამ წერილში მომავალი პოეტი მშობლებს თავისი წარმატებების შესახებ ესაუბრება: „პირველად მოკითხვას მოგახსენებთ, ჩემო საყვარელო დედ-მამაო და თქვენს მშვიდობას ყოვლის შემძლებელს ღმერთსა ვთხოვ. გარდა ამისა, ჩემს ამბავს თუ იკითხავ, მე კარგად ვარ და კარგადაც ვსწავლობ, ღვთის წყალობით... ეგზამენები მყავდა - რუსული და სამღთო რჯული და ორივეში „ჩეთირე“ მივიღე და წარდგენაც 4-ეში მქონდა.

ეს წერილი ეკუთვნის ტაბიძეს იუსტინეს ძეს. ეს წერილი მიერთვას მის კურთხევას იუსტინე სტეფანეს ძე ტაბიძეს. 1904 წ. 11 მაისი.“¹

¹ ტ. ტაბიძე, თხზულებანი სამ ტომად, 1. თბ., 1966, გვ. 1

² ავთ. ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული მწერლობა“ ქუთ. 2002, გვ. 296

³ ტ. ტაბიძე დასახ. წიგნი, გვ. 2

⁴ ტ. ტაბიძე, თხზულებანი სამ ტომად, 2, 1966, გვ. 231

წინააღმდეგობა აშკარაა. მაშ რაშია საქმე?

პროფ. ავთ. ნიკოლეიშვილი კვლავ საარქივო მასალებზე დაყრდნობით ასკვნის:

„1901 წელს მშობლებმა მომავალი პოეტი სასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც 1901-1905 წლებში სწავლობდა თავის ბიძაშვილთან გალაკტიონთან ერთად.

ქუთაისის საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტური მასალა გვჩვენებს გავარკვევით გალაკტიონისა და ტიციანის მოწაფეობის ზოგიერთი აქამდე უცნობი დეტალი. როგორც ცნობილია, გალაკტიონ ტაბიძე 1900-1908 წლებში სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც არქიელის გორაზე, ბაგრატის ტაძრის გვერდით მდებარეობდა. ამავე სასწავლებელში 1901 წელს მიუბარებიათ ტიციან ტაბიძეც, რომელიც მხოლოდ ერთი კლასით ჩამორჩებოდა გალაკტიონს.

1902-1903 სასწავლო წელს, როგორც ეს არქივში დაცული დოკუმენტებიდან დგინდება, მათემატიკაში ჩამორჩენილობის გამო გალაკტიონი იმავე კლასში დაუტოვებიათ, ტიციანმა კი, რომელიც თავის ბიძაშვილს მხოლოდ ერთი კლასით ჩამორჩებოდა, წარმატებით ჩააბარა გამოცდები და მომდევნო ჯგუფში გადავიდა.

ასე რომ, 1903 წლის სექტემბრიდან 1906 წლამდე ტიციანი და გალაკტიონი ერთ კლასში თანაკლასელები ხდებიან და ერთად სწავლობენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1906 წლის თებერვალში კი ტ. ტაბიძე ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის პირველ კლასში ჩაირიცხა.²

ბუნებრივად ისმის კითხვა: სადაა სიმართლე. საარქივო მასალებში ეჭვის შეტანა ყოველად მიუღებელია, მაგრამ რატომ დაჭირდა პოეტს საკუთარი დაბადების თარიღის შეცვლა. ამის დადგენა, რასაკვირველია, გაძნელებულია, მაგრამ ტიციანი რომ 1893 წელსაა დაბადებული ამას საარქივო მასალასთან ერთად ამტკიცებს კიდევ ერთი გარემოება, რამაც მიიქცია ჩემი ყურადღება. ესაა გალაკტიონ ტაბიძის ერთი ჩანაწერი სახელწოდებით „ბიჭოლა ელისაბედი“, სადაც პოეტი საუბრობს ტიციანის დედის ელისაბედ ფხიკიძის შესახებ: „ბიჭოლა ელისაბედი ჩვეულებრივად შემოვიდა დედაჩემის სანახავად.

მე მას ვუჩვენე ტიციანის წერილი „კომუნისტი“, საქ. გასაბჭოების 14 წლის შესრულების გამო.

-ეგ ხომ თქვენი საქმეა -წერა! სიხარულით სთქვა მან.

შემდეგ დაუმატა.

შენ ხომ ჩემი ფერხავი იყავი ყოველ ახალ წელიწადს. გახსოვს ვერცხლის აბაზიანები? შენ ყოველთვის კარგი ფეხის იყავი.

-მახსოვს ორსულად ვიყავი. ტიციანი დაბადებული არ იყო. ვიწექი. ახალ წლის ღამეს ჩემ დედამთილმა შემოიყვანა გალაკტიონი, ჯერ პატარა, ფეხზე ვერ დადიოდა და ლოგინში შემომიგორა. კარგი ფეხის არისო! როდესაც გათენდა, მე წამოვდექი. რანაირადაც არ მიჭირდა ოთახში გავიარე. პირველად იმ ახალ წელიწადს დღეს ნელა დადგა ფეხზე და გაიარა გალაკტიონმაც. მან ფეხი აიდგა და ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.“³

როგორც ვხედავთ, ელისაბედი აქ საუბრობს იმის შესახებ, რომ იმ ახალ წელს, როდესაც ის ტიციანზე ფეხმძიმედ იყო, გალაკტიონმა ფეხი აიდგა, რეალობა უფრო თვალნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ გალაკტიონი 1891 წლის ნოემბერში დაიბადა. 1893 წლის დამდეგს 1 წლისა და ორი თვის იქნებოდა და სრულიად რეალურია, რომ მას ფეხზე გაევიღო, ხოლო თუ ტიციანის დაბადების წლად 1895 წელს დავტოვებთ, მაშინ გამოდის, რომ გალაკტიონს ფეხი 4 წლის ასაკში აუდგამს, რაც რეალურ საფუძველსაა მოკლებული.

ამასვე ადასტურებს ნიტა ტაბიძის დაბადების მოწმობა, გაცემული 1921 წლის იანვარში, რომლის მიხედვითაც, ნიტას დაბადებისას, მისი მამა ტიციანი 28 წლისაა.

რაც შეეხება დაბადების თვეს, გავრცელებული შეხედულებით პოეტი დაიბადა ძველი სტილით 21 მარტს, რაც ახალი სტილით შეესაბამება 2 აპრილს. პოეტის საყვარელი თვეც აპრილია. ტიციანი ხაზს უსვამს, რომ ის აპრილში მოველინა ქვეყანას: „მე დავიბადე აპრილის თვეში ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან“. („ლექსი მეწყერი“) „მე ასე გიწერ, შვილო, ორ აპრილს, არ ვიცი კიდევ რამდენი დამრჩა“ („ტანიტ ტაბიძე“).

შალვა აფხაიძე წერს: „ყოველ ადამიანს აქვს ალბათ, თავისი საყვარელი გამორჩეული დრო. ტიციანი იყო პოეტი გაზაფხულისა, როცა კვირტები სკდება, მიწა ხასხასა ბალახით იმოსება, მზე დიდდება და მეტ ძალას იძენს, ნელი სიო ღებოდა ჰაერს ყვავილთა სურნელებით ავსებს... განსაკუთრებით მას უყვარდა აპრილი, თვე, როცა ის დაიბადა“

ცნობილია, რომ საეკლესიო წიგნებში ახლადდაბადებულის გატარება ხდებოდა მოგვიანებითაც. შესაძლოა რამდენიმე თვის შემდეგ, მაგრამ იმავე წელს. ამგვარად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ტიციანი

¹ ტ. ტაბიძე, II, პროზა, მიმოწერა, თბ., 2015, გვ. 239

² ავთ. ნიკოლეიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 296

³ გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, XII, თბ., 1975, გვ. 210-211

დაიბადა 1893 წლის 2 აპრილს, ხოლო სასწავლებლად წაიყვანეს 1901 წელს, როდესაც მას რვა წელი შეუსრულდა. ფაქტობრივად, ამავე ასაკში წაიყვანეს სასწავლებლად მასზე ერთი წლითა და 5 თვით უფროსი გალაკტიონი.

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის ზოგიერთ პორტალსა და საინფორმაციო ცნობარში ტიცვიანის სწავლის დაწყების წლად 1901 წელია დასახელებული, მაგრამ დაბადების თარიღად კვლავ რჩება 1895 წელი, ასევე ეს თარიღი სასკოლო სახელმძღვანელოებშიც.

ვფიქრობ, ნაცვლად 1895-ისა, ტიცვიანის დაბადების თარიღად, საბოლოოდ უნდა დადგინდეს 1893 წელი!

Murad Mtvelidze
Gori State Teaching University
FOR THE DATE OF BIRTH OF TITSHIAN TABIDZE
RESUME

The view of Prof. Nikolaishvili who suggests 1893 as the date of birth of Titsian Tabidze may be approved by two other documents: one of them is the recording of Galaktion Tabidze and the other document is the Birth Certificate of the poet's daughter - Nita Tabidze.

ალექსანდრე მღებრიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დეკანოზ იროდიონ ოქროპირიძის მისიონერული საქმიანობა საინგილოში

1921 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებამდე, როდესაც გასაბჭოების შემდეგ ზაქათალის ოლქი აზერბაიჯანის შემადგენლობაში შევიდა¹, საინგილოს ტერიტორია საუკუნეების მანძილზე საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. აზერბაიჯანის შემადგენლობაში მოქცეული ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე² ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონებში ქრისტიანობის გავრცელება პირველივე საუკუნეებიდან ივარაუდება³. აქ მრავლად არსებული ეკლესია-მონასტრები ჯერ მცხეთის საკათალიკოსოს ექვემდებარებოდნენ, ხოლო ეგზარქოსობის პერიოდში ქართლ-კახეთის ეპარქიის ალავერდის საეპარქიოსო⁴ შემადგენლობაშია.

ალ. ხახანაშვილის მიერ „ხუცთანთ ოთხთავის“ მინაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საინგილოში, კერძოდ ლეჩეთის, კატეხის, ფიფანის და სხვა ტაძრებში, გაცხოველებული კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაა გაჩაღებული.⁵ მიუხედავად იმისა, რომ გვიან შუა საუკუნეებში ირანისა და ოსმალეთის მრავლობითი შემოტევებით ხსენებული კუთხის ქართველობა დიდად გახლდათ შევიწროვებული, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ფარულად ინარჩუნებდა ქრისტიანულ რწმენას. დიმიტრი ბაქრაძის მიხედვით, ხალხი ხშირად ბოდბის სამიტროპოლოს ტერიტორიაზე არსებულ ტაძრებს სტუმრობდა წირვა-ლოცვაზე დასასწრებად და სულის პურის მისაღებად.⁶

¹ ა. სონდულაშვილი, აზერბაიჯანის ქართული მოსახლეობა (ინგილოები), ჟურნ. „ანალები“, 2004, №2;

² ყოფილი ჰერეთის აღმოსავლეთი ნაწილი გვიანფეოდალურ ხანაში ჭარ-ბელაქანის სახელითაც მოიხსენიება;

³ დ. ჯანაშვილი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა, თბილისი, 2000, გვ. 68;

⁴ ეპარქია - მართლმადიდებლურ ეკლესიაში ეპისკოპოსის, არქიეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის თანაშემწე ეპარქიის მართვის სისტემაში.

⁵ . Хаханов, Экспедиций на Кавказ в 1892 г, т. VII (под редакцией грифини Уваровой), 1898, стр. 33;

⁶ დ. ბაქრაძე, ინგილოები, გაზ. „დროება“, 1866, №4;

ე. ბუბულაშვილის მოსაზრებით, ფარულად მოღვაწე ქრისტიანი ინგილოების¹ მდგომარეობა „ნაწილობრივ სასიკეთოდ შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1830 წელს რუსეთის ცარიზმმა საინგილოს მხარე შემოიერთა. შემდგომ, ისინი ქრისტიანობის გამო უკვე აღარ იდევნებოდნენ. შემოერთების დღიდანვე რუსეთის ცარიზმმა აქტიური სამისიონერო საქმიანობა დაიწყო მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანებისათვის. ამ მიზნით გააქტიურდა 1815 წელს დაარსებული „ოსეთის სასულიერო კომისია“ და 1860 წელს შექმნილი „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“. მართალია, საინგილოში სამისიონერო მოღვაწეობის დროს რუსეთის ცარიზმს თავისი კოლონიური ინტერესები ამომრავებდა, მაგრამ ობიექტურად ხელისუფლების ამ ნაბიჯმა კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ქრისტიანობის აღდგენა-განმტკიცებაში. მისიონერებად ძირითადად ინიშნებოდნენ ქართველი სასულიერო პირები, რომელთა შორის აღსანიშნავია ევტიხი მამიშვილი, ლეონიდე და იროდიონ ოქროპირიძეები, ტარასი და აპოლონ ივანიცკები და სხვები. ქართველ მისიონერთა მოღვაწეობის შედეგი იყო, რომ მაჰმადიან ქართველთა ნაწილი მამა-პაპისეულ რწმენას დაუბრუნდა, წირვა-ლოცვა აღდგა ქართულ ეკლესია-მონასტრებში, დაარსდა სასულიერო სკოლები და სხვა. აღნიშნულ პერიოდში საინგილოს ქართველთა წრიდან გამოვიდნენ გამოჩენილი სასულიერო პირები და საზოგადო მოღვაწეები: მოსე და დიმიტრი ჯანაშვილები, ტარასი², რაფიელ³, აპოლონ და ვლადიმერ ივანიცკები, მიხეილ⁴, ნიკოლოზ⁵ და მარკოზ ყულოშვილები, მათე ფიროსმანაშვილი და სხვები. დასახელებული პიროვნებები

¹ ტერმინ „ინგილოს“ წარმომავლობის შესახებ არსებობს აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა. ზოგიერთი მოსაზრებით, ეს ტერმინი ამ რეგიონში მცხოვრები ახლად გამაჰმადიანებული („ახლად მორჯულებული“) ქართველების აღსანიშნავად იხმარება (იხ. რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოლოგია, თბილისი, 2008), ხოლო მკვლევართა გარკვეული ნაწილი სიტყვას „ინგილო“ განიხილავს არა ეთნიკური, არამედ სოციალური მნიშვნელობით (იხ. თ. პაპუაშვილი, საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი 2008). მამა იროდიონის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ტერმინ „ინგილოზე“ საუბრისას იგი მკვლევართა პირველ კატეგორიას განეკუთვნება.

² ტარას ივანიცკის შესახებ მამა იროდიონ ოქროპირიძის ჩანაწერებში ნათქვამია, რომ 1895 წელს საინგილოსთვის კვლავ საგანგებო მისიონერი დაინიშნა. ეს გახლდათ ყაზანის სამისიონერო კურსდამთავრებული, ადგილობრივი მღვდლის შვილი, რომლის მამა ერთ დროს მოლა იყო, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო. რადგან ლეონიდე კავკასიის ყველა რაიონს ვერ სწვდებოდა, მისიონერ ივანიცკის ეგზარქოსისგან მიენდო რეკომენდაცია გადამდგარი ქრისტიანების კვლავ მართლმადიდებლად მოქცევის საკითხი. „მისიონერი ივანიცკი სამართლის მიმდევარი ვერ გამოდგა. თავისი წარჩინების გულისთვის მთავრობას ატყუებდა...“

ტარას ივანიცკის შესახებ „ივერია“ წერდა: „ეპისკოპოს დიმიტრის მაგივრად იქ გაამწესეს დეკანოზი ტარასი ივანიცკი, ისეთი კაცი, რომელიც ყოველთვის აშკარად იჩენდა ქართველების სიძულვილს...“ ნ. დურნოვო, ქართული ეკლესია, გაზ. „ივერია“, 1905, №36, გვ. 1;

³ რაფიელ ივანიცკი - 1921 წლის მესამე საეკლესიო კრების მონაწილე. მოითხოვდა ქურმუხის ეპარქიის გახსნას, მანამდე კი, მისი აზრით, ზაქათალის ოლქში მცხოვრებ ქრისტიანებზე მზრუნველობა უნდა ეტვირთა ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავარს (იხ. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, რაფიელ ივანიცკის ფონდი, საქმე №1315, ფურც. 69);

⁴ მიხეილ ყულოშვილი (1842-1918) - დაიბადა 1842 წელს საინგილოში, სოფ. კაკში. მამა - რაფაელი მუსლიმი იყო. მიხეილმა დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, დაამთავრა გორის პედაგოგიური სასწავლებელი. ერთხანს მოლად მსახურობს, მაგრამ 1854 წლის 17 აგვისტოდან იგი მართლმადიდებლურად მოინათლა და დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა. ფლობდა აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ და უდინურ ენებს, ხოლო ქართული წერა-კითხვა, გალობა და საეკლესიო ტიპიკონი ზაქათალის მთავარხუცეს სვიმონ ზეგიაშვილთან შეისწავლა.

1858 წელს პერეთში მისი თაოსნობით გაიხსნა პირველი ქართული სამრევლო საეკლესიო ორკლასიანი სკოლა. 1860 წლიდან ბელაქანის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის მედავითნეა, 1866 წლის 20 ნოემბერს მღვდელ პეტრე კენჭოშვილის წარდგინებით დიაკვნად ეკურთხა და გამწესდა კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. 1870 წლის 11 იანვარს საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ მიხეილ ყულოშვილი მღვდლად აკურთხა და ვართაშენის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინა. 1888-1904 წლებში აქტიურად მონაწილეობდა ქურმუხის ტაძრის აღდგენის საქმეში. 1892 წლიდან იგი თასმალის წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია.

უაღრესად ნაყოფიერი და აქტიური სასულიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობის გარდა მიხეილ ყულოშვილის პუბლიცისტური წერილები, „პერეთელის“ ფსევდონიმით, სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში.

მუსავატთა მიერ, ამგვარი თვდადებული საქმიანობისთვის, მიხეილი წამებით იქნა მოკლული. 2012 წლის 5 ივლისს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე ხორნაბუჯისა და პერეთის ეპისკოპოსის მელქისედეკის (ხაჩიძე) წარდგინებით, მღვდელი მიხეილ ყულოშვილი წმინდანად იქნა შერაცხული, ხოლო მისი ხსენების დღედ დადგინდა 5 ივლისი (აღნიშნული საკითხის შესახებ დეტალურად იხ. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2002, №27(181), გვ. 9; გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2007, №25(425), გვ. 19);

⁵ ნიკოლოზ ყულოშვილი - მღვდელ მიხეილ ყულოშვილის ვაჟი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი. მუშაობდა სოფ. კახის ვაჟთა ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებლად, თუმცა მალევე გარდაიცვალა. მისი მეუღლე - სოფიო ყულოშვილი დამსახურებული მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე, 50 წელი ეწეოდა პერეთში საგანმანათლებლო საქმიანობას. პერელ ქალებს ასწავლიდა წერა-კითხვას, მეფუტკრეობას, ოჯახის მოვლას, ზავშვის აღზრდას, ავადმყოფის მოვლას, მეზოსტნეობას და სხვ.

ბი ქართველ მოღვაწეებთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ ქართველი ხალხის წინაშე მდგარი სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტაში. მათი მოღვაწეობა იმედს იძლეოდა, რომ ისტორიული ბედუკუდმართობის მიუხედავად წარმატებით ხორციელდებოდა საინგილოს ქართველი მოსახლეობის ინტეგრაცია ქართულ სამყაროსთან.¹

ზემოხსენებული ავტორის ცნობით, დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, სხვა მოღვაწეთა გვერდით, აქტიურ მოღვაწეობას ეწევა საინგილოს ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

ჩვენის მხრივ დავძენთ, მამა იროდიონის საქმიანობა გრძელდებოდა მის ცხინვალის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში გამწესებამდე. როგორც უკვე ვამბობდით, ი. ოქროპირიძის მღვდლად კურთხევის² შემდეგ იგდირის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი ხდება. რამდენიმეწლიანი წარმატებული მოღვაწეობისთვის 1889 წელს ჯილდოვდება საგვერდულით, ხოლო 1891 წლის მაისიდან მის ცხოვრებაში დგება სრულიად განსხვავებული და ერთობ საპასუხისმგებლო პერიოდი. მომავალი კათალიკოს-პატრიარქის მღვდელ-მონაზონ ლეონიდეს³ თხოვნით მამა იროდიონი კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად იქნა დადგენილი. ჩვეულმა თავდადება და შრომისმოყვარეობამ მალევე განაპირობა მისი ზაქათალის ოლქის მთავარზუგესობა და სკუფიით დაჯილდოვება.⁴

ვიდრე იროდიონ ოქროპირიძის საინგილოში მოღვაწეობის პერიოდის ჩანაწერებზე განვაგრძობდეთ საუბარს, უნდა აღინიშნოს 1903 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე მიმდინარე ერთი პოლემიკის შესახებ.

„ივერიის“ 21 და 22 ივნისის ნომერებში (გაგრძელებით) „ვინმეს“ ფსევდონიმით იბეჭდება მასალა „მღვდელი ქრისტეფორე ბადრიძე და დღევანდელი სამღვდელოება“⁵. ავტორი ზოგადი შტრიხებით იხსენებს მღვდელ ქრისტეფორე ბადრიძის⁶ ღვაწლს და მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ მკაცრად აკრიტიკებს საქართველოში მოღვაწე ქართველ სამღვდელოებას იმ „სიხარბისა“ და „გაუმადლობის“ გამო, რომელსაც ისინი იჩენენ ინგილო მრევლში მღვდელმსახურების აღსრულებისას. ავტორის აზრით, ადგილობრივ მოძღვრებს იძულებით დაყავთ ხალხი ტაძარში, ესაუბრებიან მათთვის გაუგებარ ენაზე და ა.შ.

მსგავსი ტიპის ბრალდებები ყურადღების მიღმა არ დარჩენილა საზოგადოებრიობის მხრიდან. ფსევდონიმით „ისევ ის“⁷ იბეჭდება საპასუხო წერილი, რომელსაც ბრალმდებელი ავტორი ძალზე გაუნაწ-

¹ ე. ბუბულაშვილი, საინგილოს ქრისტიანი მოსახლეობა XX საუკუნის 20-40-იან წლებში, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თსუ, თბილისი, 2009, №2, (6), გვ. 270;

² ი. ოქროპირიძის მღვდლად კურთხევის ცერემონიალი შედგა 1885 წელს.

³ ეპისკოპოს ლეონიდეს შესახებ „ივერია“ წერდა: „არიან ადამიანი, თითქოს განგებისაგან გაჩენილნი რაიმე საქმისათვის. ამათგან არის დაშთენილი ხშირად ღრმა კვალი ცხოვრების ხნულში. ამ რჩეულთ ეკუთვნის, სხვათა შორის, უმაღლესად დანიშნული გორის ეპისკოპოსად, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, საქართველოს საექსარხოოს ვიკარი...“

აი, ეს ათი წელიწადია, რაც ყოვლად სამღვდელო ლეონიდე ჰმოღვაწეობს მწელს სამონაზონო ასპარეზზე. მისი მოღვაწეობა ამ სარბიელზე იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ ვცნობთ საზოგადოებას მისი მრავალ ფოთლიანნი და კეთილ ნაყოფიერნი შრომა და ბიოგრაფიული ცნობანი...

ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა იდო თავს მოღვაწეობა, რათა გაენათლებინა ნათლითა ქრისტეს სახარებისათა ეს მივარდნილნი საქართველოს კუთხენი. თავისის აზრის მისაღწევად მან აღირჩია ორი საშუალება: სკოლა და ცხოველი ქადაგებით სიტყვა.

თანამდებობაზე და დანიშნის უმაღლეს მას ვხედავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მთელის თვეობით სცხოვრობს იგი მთებში, სადაც ჰქადაგებს და არიგებს ხალხს ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე სოფელში. მას შეხვდებით თერგის ოლქში, თუშეთში, ხევსურეთში, ფშავში, აბხაზეთში, გაღმა-მხარეში ლეკებსა და ინგილოებს შორის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში და სხვა. ზოგს ადგილას ხსნის იგი სკოლებს, ზოგან ეკლესიის კრებულთათვის სადგომებს, ზოგან აღადგენს ნანგრევთაგან „ტაძართ შთენთ დიდებულთა და მონასტერთა აოხრებულთა“, სადაც ძველად ჰყვოდნენ და აღიზარდებოდნენ საქართველოს ერთგული მოღვაწენი.

მისის მეცადინეობით, სხვათა შორის, აღდგენს ნანგრევთაგან თვისთა ქურმუხისა და თასმალოს ეკლესიანი, ზაქათალის ოლქში, სადაც აშენებულ იქმნენ ეკლესიის კრებულთათვის სადგომები...“ (ა. ნატროშვილი, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ეპისკოპოსი გორისა, ვიკარი საქართველოს ქართლ-კახეთის ეპარქიისა, გაზ. „ივერია“, 1898, №90, გვ.1);

⁴ მამა იროდიონი სკუფიით დაჯილდოვდა 1897 წლის აღდგომას.

⁵ გაზ. „ივერია“, 1903, №133, გვ. 1, 2;

⁶ მღვდელი ქრისტეფორე კეჭერაშვილი-ბადრიძე - მეფე ერეკლე მეორის კარის ეკლესიის მომღვარი, რომელიც მეფეს ახლდა ერევანში ლაშქრობისას (1749). იერუსალიმში სასტამბო საქმის შესწავლის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულს მინდობილი ჰქონდა აღა მაჰმად ხანის მიერ გადამწვარი სტამბის აღდგენა. გადმოცემის მიხედვით, მის სახელს უკავშირდება 14000 საეკლესიო ხასიათის წიგნის ბეჭდვა.

⁷ ფსევდონიმით „ისევ ის“ იბეჭდებოდა იოსებ იმედაშვილი (1876-1952). ავჭალის და ავლაბრის მუშათა თეატრების პირველი რეჟისორი. რედაქტორობდა ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“, გაზეთებს „ხალხის ერთობა“, „ხალხის თავი-

ნაწყენები: „ქართლ-კახეთის სამღვდელოებას საინგილოსი სჯობიაო, გატაცებით აცხადებს „ისევ ის“, მაგრამ, სამწუხაროდ, ავიწყდება, რომ თუ ქართლ-კახეთის სამღვდელოება სასურველ ნიადაგზედ ვერა სდგას, ეს საზოგადო ცხოვრების ვითარებით აიხსნება, არა გარე შემთხვევითის მიზეზით. ნუთუ ბ-ნი „ისევ ის“ იტყვის, რომ ეს ვითარება ერთნაირი არ არის ქართლ-კახეთისა და საინგილოს სამღვდელოებისათვის?

როგორც ჩემი წერილის სათაურიდან სჩანს, მე საზოგადოდ დღევანდელ სამღვდელოებას ვუკიჟინებდი და საინგილოს სამღვდელოების ცხოვრებიდან ზოგიერთი ფაქტი მხოლოდ განსამარტავად მომყვანდა. თუ საინგილოს სამღვდელოებისა ქართლ-კახეთისას სჯობია, არც ეს უკანასკნელი სდგას სასურველს ნიადაგზედ, მაშასადამე, არც ერთი და არც მეორე არ ვარგებულა!“¹

ამ კამათს წერტილი დაუსვა მამა იროდიონმა. „წერილი რედაქციის მიმართ“ გამოქვეყნდა იმავე წლის 6 ნოემბრის ნომერში. ავტორი ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევს საინგილოში მოღვაწე სამღვდელოებისადმი წაყენებულ ბრალდებებს, დამაჯერებელი არგუმენტაციით და სათანადო მსჯელობით ააშკარავებს მათს უსაფუძვლობას. საზოგადოებისთვის რეალური სურათის ჩვენების და საინგილოში მათი მოღვაწეობის შესახებ გამოწვლილვითი ანგარიშის წარდგენის შემდეგ მამა იროდიონი დასძენს: „მამ, რათა კადრულობს ამისთანა სიცრუეს და ცილის წამებას? რათა გვწამებს „სიხარბესა და გაუმაძღრობას იმ ზომამდის, რომ ლანძღვა-გინებასაც კი არ ვერიდებით ხალხის წინ? არა ბატონო! ჩვენ, კახის მღვდლები ამ ორი წლის წინად, მართალია ვჩხუბობდით, მაგრამ ერთმანეთში კი არა, არამედ ვეჩხუბებოდით და ვდევნიდით ერთ ვინმეს, რომელიც მსახურობდა კახში და იმ ნაირი უკუღმართი მიმართულებისა იყო, რომ ანდაზისა არ იყვის, „წყალს დაინახავდა - თევზი იყო, მთას დაინახავდა, თხათ იქცეოდა“, ე.ი. თუმცა ტომით ქართველი იყო და ჩვენში ქართველობდა, მაგრამ სომეხთან სომეხი იყო, თათართან თათარი, რუსებთან რუსობდა და ქართველთ საქმეს ჰგომობდა და სხვა. ის ვინმე განვდევენეთ საზოგადოებიდან და იძულებული გავხადეთ კახიდგანაც წასულიყო. ეხლა უნდა ვიკითხო: ეს ჩვენი მლანძღავი და ცილის მწამებელი ბ-ნი „ვინმე“ ის ვინმე ხომ არ ბრძანდება? თუ ის არის, მამ, არ გვაკვირვებს ამ ნაირი მისი საქციელი და დაწრმუნებული ვართ, არა ერთხელ და ორჯერ გამოილაშქრებს ჩვენზე ამ გვარ ცილის წამებითა და ტყუილით, მანამ ჯავრს იყრიდეს და გულს გაიგრილებდეს და იქნება ფსევდონიმებიც ახალ-ახალი მოიგონოს. სწეროს რამდენიც უნდა, ჩვენ პასუხს აღარ გავცემთ. ის მაინც დაგმობილი იქნება, მანამ მაგ უკუღმართ მიმართულებას არ დააგდებს და ცოდვას არ შეინანებს, ვითარცა პეტრე მოციქულმა შეინანა“.²

უძველეს ქართულ მიწაზე, სადაც „ფეხის ყოველ გადადგმაზე გხვდებათ ქართველობის დიდებულების ნაშთი“³ მამა იროდიონი მთელი გატაცებით ერთვება ინგილოთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევისა და ტაძრების მშენებლობის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაუღალავი მოღვაწის ქადაგებებმა არაერთ ინგილო ოჯახზე იქონია კეთილისმყოფელი ზეგავლენა, აქაურ ქართველებს მაინც უმძიმეს ვითარებაში უხდებოდათ ქრისტიანული რწმენით ცხოვრება, რელიგიური რიტუალების შესრულება, წირვა-ლოცვებზე სიარული. ადგილობრივ მუსულმანთაგან შევიწროვებულთ ხშირად უხდებოდათ განადგურებული ეკლესიებიდან ხატების, საეკლესიო ნივთებისა და წიგნების საცხოვრებელ სახლებში გადატანა და ღვთისმსახურების ფარულად გაგრძელება.

საინგილოში მოღვაწეობის პერიოდის შესახებ მამა იროდიონის ჩანაწერები მნიშვნელოვან ცნობებს გვთავაზობს ამ ტერიტორიაზე ქრისტიანთა დევნის, მათი ყოფა-ცხოვრების და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა აღსრულებასთან დაკავშირებული წყალქვეშა რიფების შესახებ. ეს ჩანაწერები უაღრესად საინტერესო წყაროს წარმოადგენს აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

ქრისტიან ინგილოთა ტოტალური დევნის შესახებ არაერთი ცნობა მოგვეპოვება. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან მიუთითებენ მკვლევრები ამ პრობლემის შესახებ, იმ სანიშნუში გამირობის მაგალითების შესახებ, რომელთა წყალობითაც ქართველობამ შეუძლებელი შეძლო, ღია თუ ფარული ღვთისმსახურების გზით გადარჩენა მოახერხა. ერთი ასეთი ფაქტის შესახებ 1907 წელს დ. ჯანაშვილი წერდა, რომ 1832 წელს რუსეთის ჯარის კაპიტნის ციმერმანის ხელმძღვანელობით ზაქათალის ციხის მშენებლობის დასრულების ცერემონიაზე „6 იანვარს პოლკის მღვდელმა პირველად აკურთხა წყალი მდინარეზე. ყველა გარშემო მყოფ სოფლების მცხოვრებნი ინგილონი მოვიდნენ წყლის კურთხევის სანახავად. მშვენიერი იყო მათი ქცევა, როცა მღვდელმა ჩაასვენა წყალში ჯვარი, ისინი მისცვივდნენ მდინარეს. ზოგი წყალს სვამდა, ზოგი პირს იბანდა ნაკურთხი წყლითა, ზოგი ცას შეჰყურებდა და ჰმადლობდა ღმერთს, რომ ღირსნი გახდნენ

სუფლება“. 1906 წელს არჩეულ იქნა პირველ სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველად. სხვადასხვა წლებში კრებულზე-ბად გამოვიდა მისი მოთხრობები, ლექსები და პიესები. მასვე ეკუთვნის თეატრალური წერილები, მოგონებები, თარგმანები (სომხური და აზერბაიჯანული ენებიდან) და „ქართველ მწერალთა ლექსიკონი“ (მც. წ. IV - ახ. წ. XX ს.).

¹ გაზ. „ივერია“, 1903, №162, გვ. 3;

² ი. ოქროპირიძე, წერილი რედაქციის მიმართ, გაზ. „ივერია“, 1903, №237, გვ. 3;

³ მ. ჯანაშვილი, საინგილო, თბილისი, 1910;

წყლის კურთხევის ნახვისა, ზოგი კიდევ კოჭებით¹ წყალს იღებდნენ და ჯიბეში ჰმაღავდნენ შინ წასაღებად“.²

ირ. ოქროპირიძე საინგილოს პერიოდის თავის ჩანაწერებში ყურადღებას ამახვილებს სასულიერო პირთა ფარულ მოღვაწეობაზე, ბავშვთა ნათლობის შემთხვევებზე, მირონცხებისა და ზიარების საიდუმლოთა აღსრულების საკითხებსა თუ გარდაცვლილთათვის წესის აგების დროს აღსრულებულ რიტუალთა შესახებ.

მ. ნუროშვილის მოსაზრებით, საინგილოს ქრისტიანული მოსახლეობა სწორედ ფარული სამღვდელოების და ნასაყდრელების მეშვეობით ინარჩუნებდნენ ქართველობას. „გადმოცემის თანახმად, ამ ყველაფერს სამღვდელოების შთამომავლები პატრონობდნენ. წმინდა წიგნებსა და სხვა საეკლესიო ნივთებს კიდობნებში ფარულად ინახავდნენ, რის გამოც ასეთ სამლოცველოებს „ხუციანთ კიდობანი“ (ხუციშვილები-სა), „ქიტიანთ კიდობანი“ (ქიტიანებისა), „ბულუღიანთ კიდობანი“ (ბულუღაშვილები-სა), „ჟონგაანთ კიდობანი“ (დღევანდელი ოთარაშვილების გვარის ერთი ნაწილი, რომლებიც წინათ ჟონგაშვილები ყოფილან) ეწოდათ... მღვდელ იროდიონ ოქროპირიძეს, რომელიც საინგილოში, თუ არ ვცდები, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა, თავის ნაწერებში საოცარი ფაქტები აქვს აღწერილი იმისა, როგორ ეზიარებოდა, მარხულობდა და ინათლებოდა საინგილოს ქართული მოსახლეობა...“³

როგორც მივუთითეთ, მამა იროდიონი საინგილოს ბლალაჩინად მღვდელ-მონაზონ ლეონიდეს (ოქროპირიძე) შუამდგომლობით დაინიშნა. ეს გარემოება აორმაგებდა ახალგაზრდა მღვდლის პასუხისმგებლობას. წერდა კიდევ ამის შესახებ: „ყოველმხრივ ვცდილობდი, მათი იმედები არ გამეცრუებინა. ყოველ კვირა-უქმე დღეს წირვა-ლოცვას დაუზარებლად ვასრულებდი, წირვის დროს არ ვაკლებდი ქადაგებას, სახარების განმარტებასა და მოძღვრებას. ყოველივე ამას ვასრულებდი ხალხის გასაგები ენით.“⁴

სწორედ ლეონიდეს თხოვნით, მამა იროდიონი უდგება სათავეში ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობას. საკუთარ ჩანაწერებში იგი გარკვეულ ადგილს უთმობს ამ პრობლემის შესახებ მსჯელობას. წარმოაჩენს ეკლესიის ასაშენებლად შეთვალთქმულ ადგილს მდ. ქურმუხის ნაპირზე, ტყიან მაღალ გორაკზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს საინგილოს დაბალი ადგილები. მოთხრობილია იქაურთა მიერ „ქურმუხის გიორგის საყდრად“ წოდებული შავი კედლის შესახებ, სადაც ადგილობრივი მლოცველები მუხლმოყრით ანთებენ სანთლებს და ლოცვებს წარმოთქვამენ.

„ქურმუხის საყდრის“ დიდ ქვაზე სანთლების ანთების ტრადიციის შესახებ საგულისხმო მოსაზრება აქვს მ. ნუროშვილს, რომლის მიხედვითაც ის კვლავ და კვლავ ინგილოთა შეგნებულ ქრისტიანობაზე მიუთითებს. „საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველა აქაურ ქრისტიანს სჯეროდა, რომ დიდ საყდართან არსებული დიდი ლოდი მღვიმე-ეკლესიაა და რომ უწინ ამ ქვის მწვერვალზე სამრეკლო თუ საყდრის გუმბათი მდგარა. სულ რაღაც 40-50 წლის წინ, აბსოლუტურად ყველა ინგილოს სჯეროდა, რომ იმ მღვიმეში დედა მარიამი ანუ ღვთისმშობელი ცხოვრობდა და აქაურ ქართველებს მფარველობდა. სავსებით ნათელია, სანთლის ანთები ამ დიდ ქვასთან ვის ევედრებოდა და ვის სთხოვდა შველას. ასე, რომ ინგილოთა მხრიდან ხეებისა და ე.წ. ფირების თაყვანისცემის საკითხზე მრავალფეროვანი „მეცნიერული კვლევები“ მხოლოდ წინასწარ აკვიატებულის „დასაბუთების“ სამარცხვინო მცდელობაა!“⁵

ეპისკოპოსი ლეონიდე ქურმუხის ტაძარს ზაქათალის მკვიდრ ქართველთა ყველაზე დიდ სიწმინდედ მიიჩნევდა. მისი ჩანაწერების მიხედვით ქრისტიან ინგილოთა უდიდესი უმრავლესობა დიდი სიხარულით და მოუთმენლობით მოელოდა 10 ნოემბერს, ძლევამოსილი და დიდმოწამე წმინდა გიორგის ხსენების დღეს. დიდი გულმოდგინებით იწყებდნენ ამ დღის ღირსეულად შეხვედრის სამზადისს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ქურმუხზე ასვლა ყოველი ქრისტიანი ინგილოსათვის სავალდებულოა და ამიტომაც ქურმუხის მთა, რომელზედაც ამჟამად აღმართულია ზომით არც თუ ისე დიდი, მაგრამ უნატიფესი ფორმის ტაძარი, ამ ღამეს ძირიდან ვიდრე თხემამდე, მლოცველს ვერ იტევს, საუცხოო სანახავია ღამის მდუმარებაში ჩაძირული, მთვარის შუქითა და ათასობით სანთლით განათებული ამ მთის ხილვა. ერთ ნახვად ღირს, როგორ კმაყოფილებას, ნეტარებასა და სულიერ აღმაფრენას განიცდის ამ წმიდა ღამეს ყოველი მლოცველი...“

ერთობ სასიხარულო და სასიამოვნოა ყოველივე ეს, მაგრამ გული ტკივილისგან გეკუმშება, როცა უნებლიეთ გახსენდება, რომ ამ ქრისტიანების ახლობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი: მათი გამუსლიმებული პაპები, მამები, ძმები, ბიძები, ძმისშვილები და სხვ. გულგრილნი არიან მშობლიურ სიწმინდეთა მიმართ და, როგორც ჩანს, მშობლიურ ენაზე ხელის აღება გადაუწყვეტიათ, მხოლოდ თათრულად მეტყვე-

¹ ერთგვარი ქოთანია.

² დ. ჯანაშვილი, შპ-აბასის შემოსევა საქართველოში და საინგილო, თფილისი, 1907;

³ მ. ნუროშვილი, ფარული ქრისტიანობა საინგილოში, გაზ. „აი ია“, 2011, №4, გვ. 8;

⁴ ქურნ. „მნათობი“, 1989, №12, გვ. 108;

⁵ მ. ნუროშვილი, ფარული ქრისტიანობა საინგილოში, გაზ. „აი ია“, 2011, №6, გვ. 2;

ლებენ. მართალია, ჩვენ იმის მოწმეც ვიყავით, რომ იმ დამით ქურმუხში რამდენიმე თასმალეოლი და ალიაზადელი მუსლიმი ინგილო მოვიდა, თან სანთელ-საკმეველი მოიტანა და ქრისტიანებთან ერთად ლოცულობდა, მაგრამ მათი რიცხვი ძალზე მცირე იყო“.¹

ეპისკოპოს ლეონიდეს, მამა იროდიონისა და მსგავს მოღვაწეთა მისიონერული, ეროვნული და საზოგადო საქმიანობა უდიდეს როლს ასრულებდა ადგილობრივ ქრისტიანთა გადარჩენის და შენარჩუნებისთვის ყოველდღიურ უთანასწორო ბრძოლაში. მისიონერთა მოღვაწეობის გვერდით, მ. ნუროშვილი ვარაუდობს, რომ ქრისტიანობის გადარჩენაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ორმა ფენომენმა: „საყდრემა“ და „დადაშემა“. კახში „საყდრეს“ იმ ადგილებს უწოდებენ, სადაც დიდი ხეების ერთგვარი კუნძულებია, ხოლო „დადაშა“ ერთ-ერთი წმინდანის ან ეკლესიის სახელზე ნაკურთხი ქვევრი გახლდათ, რომელიც ამ წმინდანის დღეობაზე იხსნება. ასეთ ხანდაზმულ და ხელუხლებელ ხეთა ადგილები წმინდად ითვლება კახში. ადგილობრივი მოსახლეობა მათ დიდი მოწიწებით ეპყრობა. ასე გრძელდება დღემდე.²

საკუთარ ჩანაწერებში დეკანოზი იროდიონიც მიუთითებს ასეთი ტრადიციის არსებობის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით ინგილოების გარკვეული ნაწილი ფარულად ინახავდა ქრისტიანულ ტრადიციებს, მარხულობდა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულსაც ზეიმობდა, მაგრამ უცხო თვალის შიშით საკლავს ეკლესიის წინ მდებარე ტყეში შეიყვანდნენ, მუხლს მოიყრიდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ, „ღმერთო და ქურმუხის საყდარო, შენ შეგვეწიე“, - იტყოდნენ და პირუტყვს წამოაქცევდნენ.³

ზემოთ ვამბობდით, რომ მამა იროდიონის პირადი ჩანაწერები, ხსენებულთა გარდა, უამრავი საინტერესო დეტალის შემცველია. XIX საუკუნის ბოლო წლებისა და XX საუკუნის დამდეგის ინგილოთა ყოფის, წეს-ჩვეულებისა და ტრადიციების უკეთ წარმოჩენის მიზნით ჩვენ მოვიძიეთ ამ ჩანაწერების რამდენიმე ვარიანტი, რომლებმაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პერიოდის გამოცემების ფურცლებზე იხილეს მზის სინათლე. ეს ტექსტი ჯერ ოთარ ჩხეიძის რედაქციით გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიახვის“⁴ ფურცლებზე, მოგვიანებით გ. გოჩიტაშვილის რედაქციით დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში“⁵, ხოლო კიდევ უფრო მოგვიანებით ტექსტის შემოკლებული ვარიანტი შემოგვთავაზა ჟურნალმა „ჯვარი ვაზისა“.⁶

საინგილოში ქართველ მისიონერთა მოღვაწეობა XX საუკუნის 20-იან წლებამდე გრძელდებოდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ 1917 წლის პირველ საეკლესიო კრებას საინგილოს დელეგაციაც ესწრებოდა, ხოლო ამავე საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ზაქათალის, სამურის, არეშის, განჯის, ნუხისა და ყაზახის მრევლი ბოდბის ეპარქიას დაექვემდებარა⁷, თუმცა ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდებულა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით ზაქათალის ოლქი აზერბაიჯანს გადაეცა.

დასასრულ დავძენთ, რომ მამა იროდიონ ოქროპირიძის ღვაწლის შეფასებისას მოსე ჯანაშვილი წერდა, რომ მან თავისი ქადაგებებითა და კეთილშობილი მოღვაწეობით დიდი ამაგი დასდო საქართველოს შორეული კუთხის შვილებს - ინგილოებს.⁸

ოქროპირიძეების საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორიაში, ოქროპირიძეთა საგვარეულო სახლიდან გამოსულ მღვდელმთავართა შესახებ საუბრისას ზურაბ ოქროპირიძე ეხება მამა იროდიონის ღვაწლს, მისი აზრით, „მისმა ხატოვანმა ქადაგებებმა, ფრთხილმა და ფაქიზმა მოპყრობამ ქართველების (და არა მარტო ქართველების) დიდი ნაწილი დაუბრუნა მართლმადიდებლობას. იგი თანდათან ინგილოთა მფარველად იქცა“.⁹

საუკეთესო შეფასება მისცა საკუთარ მოღვაწეობას მამა იროდიონმა, ნათლად განსაზღვრა ის მნიშვნელოვანი მისია, ღვთიური დანიშნულება და უდიდესი გაცნობიერებული პასუხისმგებლობა, რაც ეკისრებოდა მას სამშობლოს და ერის წინაშე. მისივე სიტყვებით დავასრულებთ: „ახლა, ამ მოხუცებულობის ჟამს, ღვთის შეწევნით ბედმა მარგუნა ეს ნეტარება - პირნათელი ვარ ხალხთანაც და ჩემს სინდისთანაც. თავიდანვე ვცდილობდი, ჩემი წმინდა მოვალეობანი საქმით და ჩემი ცხოვრების მაგალითით, ზნეობრივი

¹ , 1892, №1;

² მ. ნუროშვილი, ფარული ქრისტიანობა საინგილოში, გაზ. „აი ია“, 2011, №5, გვ. 8;

³ ჟურნ. „მნათობი“, 1989, №12, გვ. 116;

⁴ ი. ოქროპირიძე, საინგილოში, ჟურნ. „ლიახვი“, თბილისი, 1963, გვ. 113;

⁵ ი. ოქროპირიძე, ქრისტიანობა საინგილოში და ინგილოთა ყოფა მეცხრამეტე საუკუნის მიმწუხრსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, ჟურნ. „მნათობი“, 1989, №12, გვ. 106;

⁶ ი. ოქროპირიძე, ქრისტიანობა საინგილოში. ინგილოთა ყოფა მეცხრამეტე საუკუნის მიმწუხრსა და მეოცის დასაწყისში (იბეჭდება შემოკლებით), ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 2003, №1, გვ. 77;

⁷ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა, ტფილისი, 1917, გვ. 4;

⁸ მ. ჯანაშვილი, ჟამი ძიების და განსჯისა, თბილისი, 2006, გვ. 392;

⁹ ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეთა საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, 2012, გვ. 69;

სიწმინდით შემესრულებინა, რაც შესაძლებელი იყო ჩემი ყმაწვილკაცობისათვის და რასაც სამსახური, ქრისტიანობის იდეა მოითხოვდა...”¹

ლიტერატურა:

1. ა. სონღულაშვილი, აზერბაიჯანის ქართული მოსახლეობა (ინგილოები), ჟურნ. „ანალები“, 2004, #2;
2. დ. ჯანაშვილი, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა, თბილისი 2000;
3. А. Хаханов, Экспедиций на Кавказ в 1892 г, т. VII (под редакции грифини Уваровой), 1898;
4. დ. ბაქრაძე, ინგილოები, გაზ. „დროება“, 1866, #4;
5. რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოლოგია, თბილისი, 2008;
6. გაზ. „ივერია“, 1905, #36;
7. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, რაფიელ ივანიშვილის ფონდი, საქმე #1315, ფურც. 69;
8. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2002, #27(181), გვ. 9; გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2007, #25(425);
9. ე. ბუბულაშვილი, საინგილოს ქრისტიანი მოსახლეობა XX საუკუნის 20-40-იან წლებში, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თსუ, თბილისი 2009, #2, (6);
10. ა. ნატროშვილი, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ეპისკოპოსი გორისა, ვიკარი საქართველოს ქართლ-კახეთის ეპარქიისა, გაზ. „ივერია“, 1898, #90;
11. გაზ. „ივერია“, 1903, #133;
12. გაზ. „ივერია“, 1903, #162;
13. ი. ოქროპირიძე, წერილი რედაქციის მიმართ, გაზ. „ივერია“, 1903, #237;
14. მ. ჯანაშვილი, საინგილო, თბილისი, 1910;
15. დ. ჯანაშვილი, შაჰ-აბასის შემოსევა საქართველოში და საინგილო, თბილისი 1907;
16. მ. ნუროშვილი, ფარული ქრისტიანობა საინგილოში, გაზ. „აი ია“, 2011, #4;
17. მ. ნუროშვილი, ფარული ქრისტიანობა საინგილოში, გაზ. „აი ია“, 2011, #6;
18. Духовный Вестник Грузинского Эгзархата, 1892, #1;
19. მ. ნუროშვილი, ფარული ქრისტიანობა საინგილოში, გაზ. „აი ია“, 2011, #5;
20. ი. ოქროპირიძე, საინგილოში, ჟურნ. „ლიახვი“, თბილისი, 1963;
21. ი. ოქროპირიძე, ქრისტიანობა საინგილოში და ინგილოთა ყოფა მეცხრამეტე საუკუნის მიმწუხრსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, ჟურნ. „მნათობი“, 1989, #12;
22. ი. ოქროპირიძე, ქრისტიანობა საინგილოში. ინგილოთა ყოფა მეცხრამეტე საუკუნის მიმწუხრსა და მეოცის დასაწყისში (იბეჭდება შემოკლებით), ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 2003, #1;
23. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა, ტფილისი, 1917;
24. მ. ჯანაშვილი, ჟამი ძიების და განსჯისა, თბილისი, 2006;
25. ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეთა საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, 2012;

Aleksandre Mgebrishvili
Gori State Teaching University

THE MISSIONARY WORK OF THE DEAN IRODION OKROPIRIDZE IN SAINGILO RESUME

Dean Irodion Okropiridze together with other figures actively worked in the business of promoting Christianity among Saingilo Georgians.

Dean Irodion Okropiridze`s activity continued until his appointment at Tskhinvali St. Mary Church. As it was mentioned before, after Irodion Okropiridze was ordained, he became a priest at Igdiri St. John the Theologian Church. From May 1891, a quite different and at the same time, extremely responsible period began in his life. At the request of future Catholicos-Patriarch, priest and monk Leonide, Father Irodion was appointed as the priest of Kakhi St. Giorgi Church.

On this ancient Georgian land, Father Irodion was ardently involved in the business of converting Ingilo people to Christianity and building churches. Despite the fact, that the preaching of this tireless activist had a positive influence on many Ingilo families, the Georgians that lived there had hard time living Christian life, performing religious rituals and attending services.

Father Irodion`s notes about the period spent in Saingilo gave important information about the persecution of Georgians on that territory, difficulties connected with everyday life and conduct of religious ceremonies. These notes are of utmost importance for the researchers who are interested in the mentioned issue.

¹ ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეთა საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, 2012, გვ. 68;

In Saingilo, the work of Georgian missionaries continued till the 20s of the XX century. After the restoration of Georgian Church autocephaly, attending the first Church Council was Saingilo delegation in 1917. By the decision of the same church council, the parish of Zakatala, Samuri, Areshi, Ganja, Nukhi and Kazakhi was subordinate to Bodbe Eparchy, though the situation did not continue for a long time. After the establishment of Soviet government in Georgia, by the decision from July 5, 1921 the region of Zakatala was given to Azerbaijan.

Together with the preaching and noble work, Father Irodion Okropiridze has a great contribution to the people of the furthest part of Georgia – the Ingiloi.

ლანა ნადარეშივილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პატრიკ ზიუსკინდის „სუნამო“ ჟანრული განსაზღვრისთვის

პატრიკ ზიუსკინდის რომანი „სუნამო“¹ („Das Parfüm“-1985) ლიტერატურის თეორეტიკოსების მიერ პოსტმოდერნიზმის პროგრამულ ნაწარმოებად არის აღიარებული. 1985 წელს გამოცემულმა წიგნმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა; მხოლოდ გერმანიაში რომანის ტირაჟმა ორ მილიონს გადააჭარბა; იგი ითარგმნა ოცდათერთმეტ ენაზე და რომანის ეკრანიზაციაც განხორციელდა. თავდაპირველად გერმანიის ფილოლოგიურ წრეებში ზიუსკინდის რომანს საკმაოდ გულგრილად შეხვდნენ და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყო მასზე კრიტიკული სტატიებისა და კვლევების გამოქვეყნება. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურის კრიტიკოსთა შეფასებები ურთიერთსაწინააღმდეგო, ზოგჯერ პოლარული რეზიუმირებით გამოირჩეოდა: „კიჩიდან“, „ეპიგონობიდან“ და „სტილისა და მოტივების ხელოვნური აღრევიდან“ ვიდრე „მკითხველის გაოგნებამდე“, „ფენომენალურ ჩანაფიქრამდე“ და „ილბლიან შემთხვევამდე“ გერმანულენოვან ლიტერატურაში.

კრიტიკოსები თანხმდებიან, რომ ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, ზიუსკინდის „სუნამო“ პირველი პოსტმოდერნისტული გერმანული რომანია, რომელიც იმავდროულად, სიმბოლურად განასახიერებს მოდერნთან და „გენიოსის კულტთან“ საბოლოო განშორებას. სხვადასხვა მკვლევრის მიერ რომანში აღმოჩენილია ბიბლიის, ევრიპიდეს, გოეთეს, ნოვალისის, კლეისტის, შამისოს, ჰოფმანის, ბოდლერის, თომას მანის და ა.შ. „ნაკვალევები“. ზიუსკინდის მიერ პაროდირულად გააზრებულ ტექსტებს შორის დომინირებენ ევროპული რომანტიზმის, სიმბოლიზმისა და მაღალი მოდერნიზმის (High Modernism/High Modernity) ნაწარმოებები; ანუ ავტორს აინტერესებს კულტურის ისტორიის ის ეპოქები, რომლებშიც ხელოვნება აყვანილ იქნა საკრალურ რანგში, ხოლო მისი სუბიექტი - მხატვარი-შემოქმედი - აღიარეს ხან *მედიუმად*, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მოვლენებისა და არსებების სამყაროებს, ხან კი ღვთაებრივი შემოქმედის *კონგენიალურ კონკურენტად*.

გერმანელი ლიტერატურის თეორეტიკოსის, უვე ვიტმტოკის აზრით, აღნიშნული რომანი ლიტერატურის ისტორიაში ელეგანტურად შენიღბულ მოგზაურობას წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, ავტორს აინტერესებს ხელოვანის, შემოქმედებითი ინდივიდუალობის, გენიოსის კულტის პრობლემები, რომელიც რომანტიზმიდან მოყოლებული, არაერთი გერმანელი მწერლის ნაწარმოების კონცეპტუალური ბირთვი გამხდარა [Wittstock, 1995:23]. ცხადია, გენიოსის კულტის პრობლემა აღელვებდა ინგლისელ და ფრანგ რომანტიკოსებსაც და უნდა აღინიშნოს, რომ „სუნამოში“ ამ ქვეყნების ლიტერატურულ ნაწარმოებებზეც იძებნება ალუზიები; თუმცა, გერმანულ ლიტერატურაში *გენიოსი* საკულტო ფიგურად იქცა. გერმანელი მწერლების ნაწარმოებებზე დაყრდნობით შესაძლებელია ეტაპობრივად მიაღწევოთ თვალი *გენიოსის* მხატვრული სახის ევოლუციას, მისი განვითარების პიკსა და დეგრადირებას.

საქმე ის არის, რომ გერმანიაში გენიოსის კულტი უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომელმაც საბოლოოდ, XX საუკუნეში მილიონობით გერმანელთა აღქმაში ავბედით და ბოროტებით

¹ შევნიშნავთ, რომ რომანის ქართული თარგმანი - *სუნამო* - არასწორად მიგვაჩნია, რადგან პარფიუმერი არის პირი, ვინც სუნამოს ამზადებს, ანუ სუნამო მისი ქმედების საბოლოო პროდუქტია.

მოცულ ჰიტლერის ფიგურაში პოვა განსახიერება და იდეოლოგიად გადაიქცა. ომისშემდგომმა მწერალთა თაობამ გააცნობიერა დანაშაული, რომელთანაც გერმანული ლიტერატურაც იყო წილნაყარი (მხედველობაში გვაქვს *ბოროტების გენიის* შექმნა). ზიუსკინდის რომანში დარღვეულია, დანგრეულია გენიოსის/ბოროტების კულტი და ამ მიზნით ავტორი პოსტმოდერნიზმის ცნობილ ხერხს - “use and abuse” („გამოყენება და შეურაცხყოფა“) - მიმართავს. ეს ხერხი პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ მარკერს წარმოადგენს და გულისხმობს რომელიმე თემის, სტილის, ტრადიციის *გამოყენებას* და იმავდროულად მასში ეჭვის შეტანას, მისი წარმატებულად განხორციელების *შეუძლებლობის დემონსტრირებას*. ზიუსკინდი მიმართავს გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი მწერლების ნაწარმოებებს, რომლებიც ხელოვანის გენიალობის თემას უკავშირდებიან და მათივე დახმარებით აკრიტიკებს ტრადიციულ წარმოდგენებს შემოქმედებითი პიროვნების ორიგინალურობის, *გამორჩეულობის* შესახებ. ზიუსკინდი თავის რომანს *გენიოსის კულტის* ლიტერატურულ ტრადიციებში განათავსებს, თუმცა „შიგნიდანვე“ არღვევს და ანადგურებს ამ ტრადიციებს.

„სუნამო“ პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი მრავალდონიანი რომანია. სხვა პოსტმოდერნისტული ნაწარმოებების მსგავსად, „სუნამოს“ ჟანრის ცალსახად განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან პოსტმოდერნიზმში ჟანრული საზღვრები მყიდვია და ხშირად დარღვეულია. გარეგნული ნიშნებით იგი შეიძლება მივაკუთვნოთ ისტორიულ და დეტექტიურ ჟანრებს. ამ უკანასკნელზე მიაწვდის ქვესათაური - „ერთი მკვლელის ისტორია“ და ყდაზე გამოტანილი მე-18 საუკუნის ფრანგი მხატვრის - ანტუან ვატოს - ნახატის რეპროდუქცია - გარდაცვლილი ახალგაზრდა შიშველი ქალი. რომანის დასაწყისში მითითებულია მოქმედების ზუსტი დრო და ადგილი იმდროინდელი პარიზის ყოფა-ცხოვრება, რაც ნაწარმოებს ისტორიულ ჟანრთან აახლოვებს. ავტორისეული თხრობა მკითხველთა ინტერესების ფართო სპექტრს მოიცავს: მაღალმხატვრული ენა, სტილისტური ვირტუოზულობა, ირონიული თამაში მკითხველთან, ყოფითი სურათების მონაცვლეობა პარიზის დანაშაულებრივი სამყაროს სურათებთან და ა.შ. შესაძლოა, რომანის მთავარი გმირის - ჟან-ბატისტ გრენუის დაბადების, აღზრდისა და განათლების მიღების გადმოცემამ ე.წ. აღზრდის რომანთანაც (*Bildungsroman*) გადაგვამისამართოს, თუმცა ავტორის მუდმივი პედალირება გრენუის არაორდინალურობასა და გამორჩეულ ნიჭზე, რომელიც განსაზღვრავს მის ცხოვრებას და იქვემდებარებს ახალგაზრდა კაცის ყველა დანარჩენ თვისებას, გვაფიქრებინებს, რომ „სუნამო“ არის რომანი ხელოვანზე (*Künstlerroman*).

თუმცა, მკითხველის არც ერთი მოლოდინი, გამოწვეული ამა თუ იმ ჟანრზე მიწინააღმდეგა, არ მართლდება. იმის მიუხედავად, რომ ზიუსკინდის რომანის ძირითად სიუჟეტურ ხაზს ქმნის *მკვლელობა/გამოძიების მოტივი*, „სუნამო“ არ არის დეტექტივი. დეტექტივისთვის აუცილებელია, რომ დამნაშავე გამოაშკარავდეს, ბოროტება დაისაჯოს, სამყაროში წესრიგი აღდგეს. რომანში არც ერთი ეს პირობა არაა შესრულებული; მეტიც, მასში ჩამოშლილია ფასეულობათა სისტემა. ასევე არის ჩამოშლილი აღზრდის რომანის ფასეულობათა სისტემა. გრენუის „მასწავლებლებს“ მის მიმართ სხვა არანაირი გრძნობა არ ამოდრავს, გარდა სიძულვილისა. გრენუის განათლება დაყვანილია სურნელების ამოცნობამდე, დამახსოვრებამდე და წარმოსახვაში მათ აღრევამდე. სასიყვარულო, მეგობრული, ოჯახური ურთიერთობები, როგორც პიროვნების ფორმირების ფაქტორები, რომლის გარეშე შეუძლებელია აღზრდელობითი რომანის წარმოდგენა, ზიუსკინდთან საერთოდ არ არის წარმოდგენილი; გმირი სულიერად იზოლირებულია გარე სამყაროსაგან. გარკვეულ დრომდე გრენუი საერთოდ არანაირ გრძნობებს არ განიცდის, თითქოსდა ყველა აქმის ორგანოებიდან მას მხოლოდ ყნოსვა გააჩნია. სიყვარულის, თანაგრძნობის, მეგობრობის და სხვა ადამიანური გრძნობების თემა გრენუიმ იმთავითვე უარყო, როცა თავისი პირველი შემახილით ხმა მისცა „სიყვარულის წინააღმდეგ და მაინც სიცოცხლისთვის“. ერთადერთი გრძნობა, რომელიც ყალიბდება გრენუიში - ეს არის ადამიანებისადმი ზიზღის გრძნობა. გარკვეულ ეტაპზე, ადამიანებისგან განდგომილი, მახინჯი გრენუი არომატების/სურნელების დახმარებით ცდილობს, მათი სიყვარულის მოპოვებას, თუმცა შემდგომ აცნობიერებს, რომ მას ისინი ეზიზღება; ამიტომაც მათი სიყვარული არ სჭირდება. გრენუის ტრაგედია ისაა, რომ თავადაც ვერ გაურკვევია, ვინ არის და საკუთარი შედევრითაც კი ვერ ტკბება. იგი აცნობიერებს, რომ ადამიანები მას კი არ აღიქვამენ, არამედ მოსწონთ მისი არომატის ნიღაბი. როგორც ვხედავთ, ჟანრული თვალსაზრისით „სუნამო“ არის დაუნდობელი პაროდია გერმანული ლიტერატურის ტრადიციულ ჟანრზე - *Künstlerroman*-ზე (რომანი ხელოვანზე); ამავდროულად, პასტიში-პაროდია ისტორიულ და დეტექტიურ რომანებზე, აღზრდელობით რომანზე, რომანტიზმისა და სიმბოლიზმის სხვადასხვა ჟანრებზე თავისუფლად, მკითხველის აქმისთვის ყოველგვარი სირთულის გარეშე „გადადის“ ერთმანეთში. საბოლოოდ, პაროდია აღზრდელობით, დეტექტიურ, ისტორიულ რომანებზე იმსხვრევა ფანტასტიკურ, დიონისურ ფინალში, სადაც ირაციონალური იმარჯვებს კრიმინალური რომანის გონივრულ, კონცეპტუალურ სქემაზე.

„სუნამოში“ კარგი ლიტერატურული ენისა და დახვეწილი ნარატიული ფორმის მეშვეობით პოსტმოდერნიზმის თითქმის ყველა ძირითადი განწყობა და მარკერი იკვეთება. აქ აღინიშნება თხრობის მრავალფენიანი დონე, განმანათლებლობის, ორიგინალურობისა და იდენტურობის კრიტიკა, მკითხველთან თამაში, მოდერნიზმთან და შესაბამისად, მასთან დაკავშირებულ ყოვლისმომცველ წესრიგთან, მთლიანობასთან, ესთეტიკურ პირინციპებთან დამშვიდობება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სინამდვილის ქაოსს და, რა თქმა უნდა, ინტერტექსტუალობა - ალუზიები, ციტატები, ნახევრადციტატები და სტილიზება. რომანში უარი ეთქვა გონების ტოტალიტარულ ძალაუფლებას; აღიარებულია წარსულისადმი/ ისტორიისადმი თავისუფალი მიდგომა, სიცრუის/გამონაგონის აღიარება ლიტერატურულ ნაწარმოებში.

რომანის მთავარი გმირის, გრენუის, არაავთენტურობა/გამოგონილობა პირველსავე აბზაცშია ხაზგასმული: „Weil sich sein Genie und sein einziger Ehrgeiz auf ein Gebiet beschränkte, welches in der Geschichte keine Spuren hinterlässt“ („მისი გენიალურობა და ფენომენალური პატივმოყვარეობა განისაზღვრებოდა სფეროთი, რომელიც ისტორიაში კვალს არ ტოვებს“) [Süskind, 1994:4]¹. ცხადია, გრენუი ვერც დატოვებდა კვალს, რადგან რომანის ფინალში იგი ბრბომ დაგლიჯა და ბოლო ნაჭრამდე შთანთქა. ავტორი თავიდანვე აცხადებს თავისი გმირის გენიალურობის შესახებ, რომელიც ბოროტებასთან არის წილნაყარი, გრენუი - „გენიალური ურჩხულია“ („Genialer Scheussale“) [Süskind, 1994:4]. ზოგადად, გრენუის სახით ავტორი აერთიანებს გენიოსის მრავალ თვისებას, რომელიც წარმოდგენილი იყო რომანტიზმიდან მოდერნიზმამდე - მესიდიდან ფიურერამდე. გამორჩეული ინდივიდუალურობისთვის დამახასიათებელ თვისებებს ავტორი სესხულობს სხვადასხვა ნაწარმოებებიდან - დაწყებული ნოვალისიდან ვიდრე გიუნტერ გრასამდე და ჰაინრიხ ბიოლამდე. ამ თვისებების გროტესკული გაერთიანება ექიმი ფრანკენშტეინის მიერ მონსტრის შექმნას გვახსენებს.

თავის ლიტერატურულ ქმნილებას ზიუსკინდი „ურჩხულს“ უწოდებს; ეს არის არსება, რომელიც სიძულვილის გარდა, პრაქტიკულად ყველა ადამიანურ თვისებას არის მოკლებული; რომელსაც ყველამ ზურგი აქცია (და თავადაც შეაქცია ზურგი ადამიანებს); რომელიც საკუთარი გამორჩეული ნიჭით ცდილობს კაცობრიობის დაპყრობას. ის ფაქტი, რომ გრენუის საკუთარი სურნელი არა აქვს, მიუთითებს ინდივიდუალურობის, საკუთარი „მე“-ს არქონაზე. გრენუის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ შინაგანი, სულიერი სიცარიელის აღმოჩენისას, იგი არ ცდილობს საკუთარი „მე“-ს პოვნას (განსხვავებით პოსტმოდერნისტული რომანებისთვის დამახასიათებელი მოტივისა - საკუთარი იდენტობის, ფესვების, „მე“-ს ძიება). პოსტმოდერნისტული კანონით, არომატის/სურნელის ძიება უნდა გადაქცეულიყო საკუთარი „მე“-ს შემოქმედებითი ძიების სიმბოლოდ, მაგრამ გრენუის ტალანტს მხოლოდ ადამიანური სურნელის ოსტატური ნაყალბევის შექმნა შეუძლია. ის არ ეძებს თავის ინდივიდუალურობას, მის არარსებობას ოსტატურად ნიღბავს, რაც რომანის ფინალში თვითგანადგურებით შემოუბრუნდება. გრენუის სრული დეზინტეგრაცია ირონიულადაა წარმოდგენილი ფინალურ სცენაში, როგორც მისივე სუნამოების შემოქმედებით კანიზალბად ქცეული მაწანწალების მიერ მისი შეჭმა.

გრენუის მხატვრულ სახეზე დაყრდნობით მკვლევარი და კრიტიკოსი ვერნერ ფრიცენი გვთავაზობს *გენიოსის ავადმყოფობის ისტორიის* საკუთარ ხედვას. მისი აზრით, პირველ რიგში, გენიოსი *გარეგნულად* უნდა გამოირჩეოდეს ბრბოსგან, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს რაღაც ფიზიკური ნაკლი. მართლაც, ზიუსკინდის გმირი დეგენერირების გროტესკულ თვისებებს ატარებს, იგი კუზიანია, დამახინჯებული აქვს ფეხი, ბავშვობაში გადატანილმა მძიმე ავადმყოფობებმა მის სახეზე დატოვა კვალი, და ბოლოს, „... Er war noch weniger als ein Nichts“ („ის არაფერზეც პატარა იყო“) [Süskind, 1994:131].

მეორე განმასხვავებელ ნიშნად გამოყოფილია *გენიოსის ანტირაციონალურობა*; იგი ყოველთვის ბავშვად რჩება, მისი აღზრდა შეუძლებელია, რადგან ის თავის შინაგან კანონებს მიჰყვება. მართალია, რომანტიკოსების გენიოსს აღმზრდელი მაინც ჰყავდა - ეს იყო ბუნება; მაგრამ გრენუი - საკუთრივ, თავისი ქმნილებაა. ის დაიბადა, ცხოვრობდა და გარდაიცვალა ბუნებისა და ბედისწერის ყველა კანონის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ საკუთარი სურვილით.

ფრიცენის აზრით, *გენიალურობა და ინტელექტი* - სხვადასხვა რამ არის. გრენუის გააჩნია უნიკალური ნიჭი - ყნოსვა, თუმცა ეს ნიჭი გარშემომყოფთათვის არ იყო ცნობილი; პირიქით, მას ყველა გონებასუსტად მიიჩნევდა. მხოლოდ ოთხი წლის ასაკში ისწავლა გრენუიმ ლაპარაკი, თუმცა აბსტრაქტულ, ეთიკურ და მორალურ ცნებებთან მიმართებით მას პრობლემები ჰქონდა: „...Recht, Gewissen, Gott, Freude, Verantwortung, Demut, Dankbarkeit usw. was damit ausgedrückt sein sollte, war und blieb ihm schleierhaft“ („...სინდისი, ღმერთი, სიხარული, მაღლიერება... მისთვის ბურუსში იყო და დარჩა“)[Süskind, 1994:31].

¹ აქ და შემდგომ ციტატების დამოწმებისას მივმართავთ ორიგინალის ენას და საკუთარ თარგმანს, რადგან რომანის ქართული თარგმანი ზოგჯერ სცილდება შესაბამის ფრაგმენტს ორიგინალიდან.

ამასთან ერთად, გენიოსს ახასიათებს შემოიღობისკენ, მინიმუმ ექსცენტრიულობისკენ მიდრეკილება; მისთვის მიუღებელია რიგითი ობიექტების ცხოვრების ნორმები. ამიტომაც, ბიურგერის თვალში გენიოსი-რომანტიკოსი ყოველთვის შემოიღობილია, ბუნების შვილია, რომელიც არ ცნობს საზოგადოებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის დასასრულს *კავშირი* გენიალურობასა და სიგიჟეს შორის მეცნიერული შესწავლის საგანი ხდება. ნიცშესთვის გენიოსი სახეობათაშორისი არსებაა, რადაც შუალედური დამნაშავესა და შემოიღობ შორის. გრენუი - a priori დამნაშავეა; მისთვის განაჩენი ქვესათაურშივეა გამოტანილი - „ამბავი ერთი მკვლელისა“. სიკვდილი/მოკვლა გრენუისთვის ბუნებრივ, ყოველგვარ მორალურ შეფერილობას მოკლებულ აქტად იქცევა. გარდა ოცდაექვსი მკვლელობისა, რომელსაც გრენუი გაცნობიერებულად ჩაიდენს, მას მაგიურად მოაქვს უბედურება ყველასთვის, ვინც მასთან რაღაც კავშირშია: იღუპება გრიმალის და ბალდინის, გაუჩინარდება მარკიზი, სიკვდილით დასჯიან დრიუოს. გრენუის ამორალურად ვერ მიიჩნევ, რადგან მისთვის უცხოა ნებისმიერი მორალური ცნება; შესაბამისად, იგი მათ ვერ უარყოფს; იგი - ზემორალურია, მორალის გარეშეა. თავიდან სუნამოების მეშვეობით შენიღბული გრენუი არ უპირისპირდებოდა გარემომცველ სამყაროს; ანუ რომანტიკულმა კონფლიქტმა (დაპირიდპირებამ სუბიექტსა და გარე სამყაროს შორის) გადაინაცვლა სულიერ/შინაგან სფეროში - გრენუი უპირისპირდება საკუთარ თავს, უფრო სწორად, საკუთარ არარსებობას, რაც პოსტმოდერნისტულ კონფლიქტზე მიანიშნებს.

ფრიცენს მეხუთე ნიშნად გამოაქვს გენიოსების *აუტსაიდერობა*; ისინი *საზოგადოებისგან განდგომილნი* არიან. გენიოსი ცხოვრობს გამოგონილ, თავისი ფანტაზიების სამყაროში. მაგრამ გრენუის აუტსაიდერობა აუტიზმში გადადის. სურნელის არქონის გამო გრენუის ან უბრალოდ, ვერ ამჩნევენ ან მის მიმართ რაღაც გაურკვეველ ზიზღს გრძნობენ; თუმცა, მოგვიანებით გრენუის „ადამიანის სურნელებით“ მოტყუებული ხალხიც ღებულობს მას.

გენიოსს სჭირდება *ავტონომიურობა, დამოუკიდებლობა*. ამას მოითხოვს გენიოსის ეგოცენტრიზმი: მისთვის შინაგანი „მე“ ყოველთვის უფრო ფასებულია და მდიდარია, ვიდრე გარე სამყარო. მარტოობა გენიოსს სჭირდება სრულყოფილების მისაღწევად, მაგრამ თვითიზოლირება მას დიდ პრობლემებსაც უქმნის. რომანტიკული გმირი - გენიოსი ადამიანთა საზოგადოებასთან იძულებით განშორებას ტრაგიკულად აღიქვამს. მისგან განსხვავებით, გრენუის გარემომცველი სამყარო როდი აიძულებს საკუთარ თავში ჩაკეტვას; ეს მისი შინაგანი მოთხოვნაა. გრენუის შვიდწლიანი ყოფნა მთებში, სადაც ის საკუთარ ეგზისტენციას უღრმავდება, წარმოადგენს აბსურდამდე მიყვანილ ალეგორიას შემოქმედის აპოლიტიკური, უპასუხისმგებლო და ზემორალური არსებობისა.

და ბოლოს, გრენუის სახით შეიძლება გამოიყოს ისეთი თვისებაც, როგორიცაა გენიოსის *გამორჩეულობა, მესიანურობა*, რომელიც ხაზგასმულია მთელი თხრობის განმავლობაში. გრენუი დაიბადა დიდი მიზნისთვის, კერძოდ, მან უნდა „...განახორციელოს რევოლუცია სურნელების სამყაროში“ („Die Welt der Düfte zu revolutionieren“) [Süskind, 1994:54]. პირველი მკვლელობის შემდეგ მან გააცნობიერა თავისი გენიალურობა; მიხვდა, საით უნდა წარემართა თავისი ბედისწერის მიმართულება. ფრიცენი აღნიშნავს, რომ ზიუსკინდის გმირის სახით რემინისცენცირდება მითი მიგდებული ბავშვის შესახებ, რომლისგან თავისი ერის მხსნელი უნდა გაიზარდოს, მაგრამ გაიზრდება ურჩხული, დემონი [Frizen, 1996 :30]. ამგვარად, გრენუი პრაქტიკულად ყველა იმ თვისებას აერთიანებს, რომელიც მწერლებმა - რომანტიზმიდან მოდერნიზმამდე - გენიოსებს მიანიჭეს. ამასთან, მკითხველის თვალწინ გრენუი განვითარების რამდენიმე სტადიას - რომანტიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე - გაივლის. მთებში წასვლამდე გრენუის პერსონაჟი სტილიზებულია მხატვარი-რომანტიკოსის მიმსგავსებით. თავიდან იგი აგროვებს, შთანთქმავს სურნელებს, თავის წარმოადგენაში მუდმივად ქმნის არომატების ახალ კომბინაციებს; მაგრამ ამას აკეთებს ყოველგვარი ესთეტიკური პრინციპის გარეშე: „...როგორც ბავშვი, რომელიც კუბიკებს თამაშობს, გამომგონებლურად და დესტრუქტიულად, არანაირი შემოქმედებითი პრინციპის გარეშე“ [Süskind, 1994:46].

გრენუი-შემოქმედი ვითარდება და თავის პირველ მსხვერპლთან შეხვედრისას, პოულობს უმაღლეს პრინციპს, რომელზეც უნდა აეწყოს დანარჩენი არომატები. მისი მკვლელობით, მან საკუთარი თავი გენიოსად შეიცნო, სცნო საკუთარი უმაღლესი დანიშნულება: „მას სურდა გამოეხატა თავისი შინაგანი „მე“, რომელსაც უფრო ღირსეულად თვლიდა, ვიდრე ყველაფერი ის, რისი შემოთავაზებაც შეეძლო გარე სამყაროს“ [Süskind, 1994:133]. ამიტომ გრენუი შვიდი წლით განმარტოვდება მთებში. მაგრამ იქ მას არ გაეხსენება არც სამყაროს შექმნის საიდუმლოება და არც თვითშემეცნების გზა. განახლების ნაცვლად გრენუი საკუთარი პიროვნების არარსებობას მიხვდება. ამდენად, სიკვდილის მეშვეობით აღორძინება ვერ შედგა, რადგან არ იყო „მე“, რომელსაც შეეძლო ხელმეორედ დაბადება. შინაგანმა კატასტროფამ დაანგრია გრენუის ფანტაზიების სამყარო და აიძულა, რეალურ სამყაროში დაბრუნებულიყო. ამჯერად იგი განახორციელებს საპირისპირო გაქცევას - საკუთარი „მე“-დან რეალურ სამყაროში. როგორც ვ. ფრიცენი შენიშნავს, მთებში გრენუი მიდის როგორც რომანტიკოსი, ხოლო ბრუნდება იქიდან, როგორც

დეკადენტი: „თავის „ჯადოსნურ მთაზე“ ორიგინალური მხატვარი დაბერდა, მხატვარ-დეკადენტად გადაიქცა“ [Frizen, 1996:71].

თაღლით მარკიზთან მოხვედრისას, გრენუი ითვს ილუზიის ხელოვნებას, ქმნის ადამიანის არომატს, ნიღაბს, რომელიც დაფარავს მისი ინდივიდუალობის არარსებობას და გაუხსნის გზას ადამიანების საზოგადოებაში. გრასში გრენუი პარფიუმერიის მეცნიერებას, სურნელის გამოყვანის ტექნიკას ეუფლება; პირველმა წარმატებულმა შედეგმა იმდენად განუმტკიცა გრენუის საკუთარი გენიალობის რწმენა, რომ იგი უკვე აღარ კმაყოფილდება მიღწეულით; მას სურს, რომ აიძულოს ხალხი, შეიყვაროს იგი, როგორც ღმერთი. გენიოსი-დეკადენტის დეგრადირების მომდევნო ნაბიჯი კიდევ უფრო სახიფათოა: მას სურს, თავისი არომატების საშუალებით ტოტალიტარული კონტროლის დაწესება. ბაკჰანალიის სცენაში გრენუიში მარტივად ამოიცნობა ნაპოლეონი, ბისმარკი და ჰიტლერიც.

მონარქიის დაშლის შემდეგ საზოგადოებას სურდა გენიოსი-ფიურერის ხილვა, რომელიც ქვეყანას ქაოსიდან გამოიყვანდა, გააერთიანებდა. ვ. ფრიცენი რომანის ცალკეულ ეპიზოდებში აშკარა პარალელებს გამოკვეთს ჰიტლერთან მიმართებით; მას მოყავს ნაწყვეტი გებელსთან საუბრიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ „გენიოსი ახალ სამყაროს აშენებს“ [Frizen, 1996:75]. ჰიტლერის საჯარო გამოსვლების დოკუმენტური კადრებიც მეტყველებენ მასობრივ ექსტაზზე, რომელშიც ის აგდებდა თავის მსმენელს; მასა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჭკუას კარგავდა ფიურერზე და ღიად უცხადებდა სიყვარულს.¹ ბაკჰანალიის სცენაში გრენუი, რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი ინდივიდუალობა, სხვებსაც აიძულებს მის დაკარგვას; ადამიანები ცხოველების ხროვას ემსგავსებიან. ხელოვნების ნაწარმოები უნდა დაუპირისპირდეს სინამდვილის ქაოსს, ხოლო გრენუი, პირიქით, თავის ირგვლივ თესავს ქაოსს, დესტრუქციასა და განადგურებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ჟან-ბატისტ გრენუი - პოსტმოდერნისტული გენიოსია. იგი თავის შედეგებს ქმნის როგორც ჭეშმარიტი პოსტმოდერნისტი: ბუნებისგან და სხვა პირებისგან მოპარულის შერევით, თუმცა რაღაც ორიგინალურის მიღებით. გრენუის გენიოსობის პოსტმოდერნიზმი იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი აერთიანებს გენიოსის კულტის ყველა ისტორიულ ფაზას. შემთხვევითი არ არის, რომ „სუნამოს“ მისამართით გაისმა ბრალდებები ეპიგონობაში, ეკლექტიკურობაში თუ მოდურ სტილიზირებაში თუნდაც იმიტომ, რომ ავტორმა პოსტმოდერნიზმის კონცეფციის გადასახედიდან განიხილა გენიალური ინდივიდუალობისა და ორიგინალურობის იდეა.

ლიტერატურა:

1. Frizen W. Patrick Süskind, Das Parfüm: Interpretation. München, „Oldenbourg“, 1996
2. Wittstock U. Leselust. Wie unterhaltsam ist die neue deutsche Literatur? München, „Luchterhand“, 1995.
3. Süskind P. Das Parfum - Die Geschichte eines Mörders. Zürich, „Diogenes“, 1994.

Lana Nadareishvili

Sokhumi State University

ABOUT DEFINITION OF GENRE PATRICK SUSKIND'S ROMAN "PERFUME" RESUME

Post modernism is characterized by the "total anti-trust toward the meta-stories". So the author of "Perfume" disapproves the idea of the genius creation which with his own creation/activity transforms the world. Disapproves the ideology as the meta-story which itself contains the large danger. "With the usage of the multiple coding Suskind roman addressed the large area of the readers; "Perfume" can be determined not only as the virtual literature play or philosophical tale but also as the adventure-avanturism roman having detective and erotic thriller elements. Exactly the post modernism large sets and perfect literature language and taste determined the "Perfume's" popularity as in elite readers circles but also in the admirers of the trivial literature.

¹ მაგ., მიხაილ რომის ფილმში „ჩვეულებრივი ფაშიზმი“ (რომელშიც, ძირითადად, გერმანელი კინოდოკუმენტალისტების კადრებია გამოყენებული და ამდენად, მათ ავთენტურობაში ეჭვს ვერ შეიტან) ფიქსირებულია კადრები, რომელშიც ახალგაზრდა, ბიურგერულ ოჯახებში აღზრდილი გოგონები სკანდირებენ: „მინდა შეილი ადოლფისგან“.

იაკობ გოგებაშვილი და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს ეროვნული და ეკლესიური თავისუფლების უხეშმა ხელყოფამ უმძიმეს ვითარებაში ჩააყენა ქართველი ერი. ამიერიდან საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია რუსეთის ეკლესიის ნაწილად - საეგზარქოსოდ იქცა, რომელსაც იმპერიის მესვეურთაგან დანიშნული ეგზარქოსი განაგებდა. უცხო, ანტიქართული ძალის გაბატონების, ღვთისმსახურებისა და სკოლებში მშობლიური ენის აკრძალვის შედეგად, ეპისკოპოს ლეონიდის თქმით, „სარწმუნოებაც დაეცა, ზნეობაც შეირყა, ცოდნაც დაქვეითდა...“ [15, 57] იძარცვებოდა და ცარიელდებოდა დიდებული მონასტრები, საიდანაც „ნაზი გალობის ნაცვლად ყვავ-ბუთა ჩხავილი ისმოდა მხოლოდ“ (კ. კეკელიძე). მთელი საუკუნის მანძილზე ერი და ბერი ცხადად თუ ფარულად იბრძოდა ამ „ხელიდან წაგლეჯილი საუნჯის“ (ეპ. ლეონიდი) დასაბრუნებლად. ამ ბრძოლამ ახალი მასშტაბები შეიძინა XX ს-ის პირველივე წლებიდან. ქართველმა სამღვდელოებამ რუსეთის უწმინდესი სინოდისგან პრინციპულად მოითხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. მთავარი ავტოკეფალისტი მღვდელმთავრების - ლეონიდისა და კირიონის, არქიმანდრიტ ამბროსის, დეკანოზ კ. ცინცაძისა და სხვათა გვერდით ჩვენი ერისა და ეკლესიის უფლებების დასაცავად ხმა აღიმართა ქართული აზრის გიგანტებმა - ილიამ, იაკობმა, აკაკიმ. მათ საჯაროდ გამოუცხადეს თანადგომა 1905 წლის 31 მაისს ავტოკეფალიის მოთხოვნით შეკრებილ და რუსი ჯარისკაცებისგან სასტიკად დარბეულ ქართველ სასულიერო პირებს. იმ ხანებში წმ. ილია მართალი მზად იყო თავად გაძლოდა საპროტესტო დემონსტრაციებს [7, 1108]. თავის მოხსენებაში ავტოკეფალიის შესახებ იგი უგუნურებასა და დიდ შეცდომას უწოდებს „მართლმადიდებელი ქართველებისათვის თავისუფლების შეზღუდვას“ [6, 257]. აკაკი წერეთელი ერის ზნეობრივი სიმტკიცის განმსაზღვრელად რჯულის სიმტკიცეს, ავტოკეფალიის აღდგენას მიიჩნევდა. დიდი პოეტის აზრით, ავტოკეფალიის უქონლობამ გამოიწვია ის, რომ „ქართველს აღარც ხატი სწამს, არც ჯვარი...“ [14, 41]. მგოსანი მოუწოდებდა ქართველობას ყველა ღონე ეხმარათ ეკლესიის გასათავისუფლებლად.

ეროვნულ-ეკლესიური თავისუფლებისათვის ბრძოლაში ფრიად მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი. „დედაენის“ ავტორი ილიასა და აკაკის, სხვა ქართველ მოღვაწეთა მსგავსად ამ ორი იდეის - ეროვნული თავისუფლებისა და ავტოკეფალიისათვის ბრძოლას ერთ მთლიანობად განიხილავდა. მან კარგად უწყოდა, რომ ავტოკეფალური მოძრაობა ნაციონალური ბრძოლის ორგანულ და ამავე დროს ავანგარდულ ნაწილს წარმოადგენდა მუდამ. ეკლესიის როლი ერის სულიერ-ზნეობრივი საწყისების ჩამოყალიბებასა და გათვითცნობიერებაში ისტორიულად გადამწყვეტი იყო. იგი იყო ერის სახელმწიფოებრიობის აკვანი. ამ იდეათა განუყოფლობა კარგად წარმოაჩინა ეპისკოპოსმა ლეონიდმა (ოქროპირიძე): „ყოველივე ის, რაც ასუსტებს და არღვევს საქართველოს ეკლესიას, ასუსტებს და არღვევს საქართველოს მთლიანობასაც და სახელმწიფოებრიობასაც...“ [13, 28].

სასულიერო პირის ოჯახში აღზრდილმა იაკობმა ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეები. ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში (მანამდე დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი) სრულიად ყმაწვილი ცდილობდა გაერკვია ეკლესიისა და სამღვდელოების არსი, ნამდვილი დანიშნულება. იგი ურთიერთობდა ისეთ ადამიანებთან, რომელთა ხედვა-აზროვნება მის შინაგან მსოფლხედვას შეესაბამებოდა. ამიტომ ბუნებრივი იყო ნორჩი სემინარიელის დაახლოება იმხანად სემინარიის პედაგოგთან, იმერეთის მომავალ ეპისკოპოსთან წმ. გაბრიელ ქიქოძესთან. წმინდა მოღვაწემ მასში დიდი მომავალი დაინახა. მისივე კურთხევით იაკობი ღვთისმეტყველებაში უკეთ გარკვევის მიზნით 1861 წელს კიევის სასულიერო აკადემიაში შევიდა. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო მან ვერ დაასრულა აკადემია, თუმცა, იქ გატარებულმა წლებმა, გაბრიელ ეპისკოპოსის სულიერმა მოძღვრობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მის აზროვნებაში-მსოფლმხედველობაში ჩამოყალიბებაში და უპირატესად განუსაზღვრა სამოღვაწეო სარბიელი. წმ. მღვდელმთავარი მთელი ცხოვრების მანძილზე ზრუნავდა იაკობზე. მისთვის უმძიმეს 70-იან წლებში იცავდა ეგზარქოსთა თავდასხმებისაგან. თავის მხრივ დიდი პედაგოგი სიცოცხლის ბოლომდე მადლიერი იყო სულიერი მოძღვრისა, რომელსაც „საზოგადოება პირდაპირ ეთაყვანებოდა...“ [3, 228]. მის ხსოვნას მიუძღვნა იაკობმა შესანიშნავი ნაშრომი „ბურჯი ეროვნებისა“ (1903 წ.), მოგონება „40 წლის წინათ“ (1910 წ.)...

ახალგაზრდა იაკობის მოღვაწეობის ეროვნულ-ქრისტიანული ხასიათი და ახალი პედაგოგიური ხედვა შეუმჩნეველი არ დარჩენია წმ. ალექსანდრე ეპისკოპოსსაც (ოქროპირიძე). 1869 წელს იგი თბილისის სასულიერო სასწავლებელში დასწრებია მე-4 კლასის გამოცდას გეოგრაფიაში. მას „ასწავლის იაკობ გოგებაშვილი. შევადარე რა წარსული დრო აწმყოს, მე შევნიშნე ეგზამენებში დიდი ცვლილება... ძრიელ შორს წასულან მოწაფენი... ისინი უპასუხებდნენ არა ძველი დროისა სახისაებრ - დაღეჭითა და ზეპირად ხსომით, არამედ საკუთარი განმსჯელობითა...“ [16] მღვდელმთავრის თქმით, საზოგადოებამ პატივი უნდა მიაგოს „შრომის მოყვარესა და საქმის მცოდნე მასწავლებელს“. ილიას მოძღვარი პედაგოგებს მოუწოდებდა მიებაძათ იაკობისთვის - „მამინ მოწაფენი შორს წაიწვევენ სწავლაშიდ...“ [16]. საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ცინცაძე, აწ წმინდანად შერაცხული) აზრით, იაკობ გოგებაშვილი უადრესად მორწმუნე იყო. იგი წერდა, რომ „იაკობი ჩვენი ერის ძველი ცხოვრების მოთხოვრებით ამტკიცებს, რომ სანამ ჩვენი ერი ღვთის მოშიში იყო, მანამ არ გამოჰლევია ზაგრატ-დავით-თამარები...“ [5, 218].

ეკლესიასთან ერთად იაკობ გოგებაშვილი ერის ზნეობისა და მომავლის ქვაკუთხედად ეროვნულ სკოლას მიიჩნევდა. დიდმა მოღვაწემ იგი წმ. ილიასეულ ტრიადას (მამული, ენა, სარწმუნოება) ამოუყენა გვერდით. ასეთ სკოლას უნდა აღეზარდა ერის უპირველესი ჭირისუფლის ეპოქალური ფრაზის - „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ - აღმსრულებელი „ახალი ტიპის ქართველი“. იაკობის მიერ მშობლიური ენის არსის სიღრმისეული ანალიზი და მისი უფლებებისათვის ბრძოლა, მისი მეთაურობით ეროვნულ-ქრისტიანული და ჰუმანური მოტივებით გამთხარა ახალი საბავშვო ლიტერატურის ფორმირება, სწავლა-აღზრდის ეროვნულ-მეცნიერულ ნიადაგზე მოწყობა ნაციონალური და ავტოკეფალური მოძრაობისათვის მტკიცე ფუნდამენტად იქცა.

ქართველ ხალხში სარწმუნოებრივი გრძნობების შესუსტების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იაკობი სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების სავალალო მდგომარეობას ასახელებს. თავის წერილებში („თბილისის სასულიერო სემინარიის მდგომარეობის საკითხისათვის“, „მირაპოლსკის რევიზიის გამო“, „მთავარნი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“ და სხვა) ავტორი მოურიდებლად ამხელს მშობლიური ენის განდევნას იმ სასწავლებლიდან, რომელნიც ქართველ მრევლს სასულიერო პირებს უმზადებენ. ეროვნული ენის აკრძალვა, არამიზანშეწონილი და უმინარსო აღზრდის სისტემა ფიტავდა მოსწავლეთა გულსა და გონებას. იაკობი საგანგაშოდ მიიჩნევს ფაქტს, რომ სემინარიის კურსდამთავრებულთაგან თითქმის არავინ ილტვის ბერობისკენ. მათი უმეტესობა მოკლებულია სულიერ-ზნეობრივ ხედვას. სულიერებისგან დაცლილ და მშობლიურ ენაზე ვერ მქადაგებელ მოძღვარს იგი „უსარგებლო მოჯამაგირეს“, „უხმო მომდერალს“, „უფრთო ფრინველს“ ადარებს [3, 346]. ბუნებრივია, ასეთი ტიპის სემინარია დამთავრებული მოძღვრებისგან მრევლი ვერ იღებდა სულიერ საზრდოს, შესაფერის დამოძღვრა-ქადაგებას და თავადაც უცხოვდებოდა ეკლესიისგან. იმდროინდელი სასწავლებლები სრულიად აცდენილნი იყვნენ ერის საჭიროებებს და ზუსტად მორგებულნი იმპერიის ინტერესებს - სწრაფად გაერუსებინათ ჩვენი ერი. მისი აზრით, მხოლოდ „ნაციონალურ ნიადაგზე დამყარებულ აღზრდას შეუძლიან ქართული ეკლესია გააცოცხლოს და დაუბრუნოს ის მნიშვნელობა, რომელიც მას ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში...“ [3, 352]. მშობლიური ენისა და სარწმუნოების ურთიერთმიმართების ბრწყინვალე ფორმულირება მოგვცა დიდმა პედაგოგმა გენიალურ ქმნილებაში „ბურჯი ეროვნებისა“. კაცობრიობის განვითარების ვერცერთ ერაზე ვერავინ შესძლებს ეჭვი შეიტანოს ამ დებულებათა სისწორეში: „უძღურია ეცხო ენა აღზარდოს ის მაღალი და ღრმა მოძრაობა სულისა, რომელსაც ჰქვია სარწმუნოებრივი გრძნობა... ის გამოიხატება მხოლოდ დედა-ენით... მხოლოდ დედა ენაზედ შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ... დედა ენა არის ენა სულისა და გულისა... [2, 210].

შეიძლება ითქვას, რომ იაკობ გოგებაშვილის ბრძოლა ეროვნული სკოლის შექმნისა და მშობლიური ენის უფლებებისათვის პირდაპირ იყო დაკავშირებული ქართული ეკლესიის მომავალთან. მისი მართებული დასკვნით, სამღვდელოების მშობლიურ ენაზე განათლება, სასულიერო ლიტერატურის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობა, წირვა-ლოცვა-ქადაგების ქართულ ენაზე შესრულება შესაძლებელს გახდიდა ქართველთა სულის დაუფლებოდა „სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, რომელზედაც დაშენებულია მთელი ღვთაებრივი სწავლა მაცხოვრისა ჩვენისა...“ [4, 526]. ქართველთათვის უდიდესი საგანძურის - „დედა ენის“, „ბუნების კარის“, „ბიბლიური მოთხოვრების“ შემქმნელი ბუნებით არ იყო პესიმისტი, თუმცა, შიშობდა, ისედაც რწმენაშერყეულ ქართველობაში სოც-დემოკრატების საყოველთაო უღმერთობის ქადაგებას „ზნეობის დაცემა და ერის გადაგვარების გზაზედ დადგომა არ გამოეწვია... აღფრთოვანდებოდა, თუ შეამჩნევდა სარწმუნოების დაცვის ნიშნებს... [5, 219].

იაკობ გოგებაშვილი თავისი მართალი და გაბედული სიტყვით დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა ავტოკეფალურ მოძრაობაში. ამიტომ ეპისკოპოსები - კირიონი და ლეონიდი ამ ბრძოლაში ილიასთან და აკაკისთან ერთად მასში ხედავდნენ ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს. 1906 წელს კირიონი პეტროგრადიდან

მღვდელ ჩიჯავაძის პირით სთხოვდა ილიასა და იაკობს „შეადგინონ დეპუტაცია ვორონცოვ-დაშკოვთან და სთხოვონ საქართველოს ბედკრულ ეკლესიას უშველოს“ [8, 123].

ჯერ კიდევ 80-იან წლებში იაკობი აღაშფოთა ორი უძველესი - გურიისა და სამეგრელოს ეპარქიების შერწყმამ (ანუ გაუქმებამ - ზ. ო.) და საეპარქიო ცენტრის ფოთში გადატანამ. დიდი მამულიშვილის თქმით, მანამდე ორივე ეპარქიის ხელმძღვანელი თავ-თავის მრევლთან იყო და მშობლიურ ენაზე ალაველდნენ ღვთისმსახურებას. ფოთი კი, იაკობის აზრით, იმიტომ შეირჩა გაერთიანებული ეპარქიების ცენტრად, რომ მწყემსმთავარი ძირითადად მოწყვეტილიყო მრევლს და მეორეც - ფოთში მოსახლე რუსების მიზეზით ქართველ ეპისკოპოსსაც ღვთისმსახურება სლაფურად შეესრულებინა [2, 172]. ქართველი ხალხის სახელით იგი მოითხოვდა ეპისკოპოსებს ტრადიციულად ეცხოვრათ ეპარქიების შუაგულში, სამწყსოსთან ერთად. ცნობილი მოღვაწე რუსეთს ქართული ეპარქიების მიზანმიმართულ შემცირებაში ადანაშაულებს: „როდესაც საქართველოს ეკლესია რუსულ სინოდს დაუმორჩილეს, მასში 24 ეპარქია იყო... საქ-ოს მღვდელმთავრები თავის სამწყსოსთან ერთად იტანდნენ ყოველგვარ გაჭირვებას, სიცოცხლესაც კი სწირავდნენ სამშობლოს“ - წერდა იაკობი [2, 170].

1904-06 წლებში ავტოკეფალიისათვის ბრძოლა მწვავე ფორმებში გადაიზარდა. უწმინდესი სინოდი ექვექვემ აყენებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურობას, მის მოციქულებრივ დაფუძნებულობას. ამ ვითარებაში იაკობ გოგებაშვილმა დიდი ივანე ჯავახიშვილიც გააკრიტიკა, რატომ გამოთქვა ექვი ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ყოფნის შესახებ. ისე გამოდისო, წერს იაკობი, თითქოს ქართული ეკლესია მოკლებულია ღირსებას სამოციქულო ეკლესიისა...“ [18]. იმავე ხანებში გოგებაშვილმა დროულად მიიჩნია ქართული საზოგადოებისთვის (და არა მხოლოდ ქართული) მიეწოდებინა აუცილებელი ცნობები ჩვენი ეკლესიის წარსულის შესახებ. ავტორი შესაშურ ცოდნას ავლენს საქართველოს ეკლესიის ისტორიისა. წერილში „ქართული ეკლესიის ბედის საკითხისათვის“ იგი იდეოლოგიურად ასაბუთებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სამართლიანობას. აღსანიშნავია, რომ ეს პუბლიკაცია (დაიბეჭდა რუსულ გაზეთში „Возрождение“, 1905, N19) უფრო რუსი მკითხველისთვის იყო გამიზნული, რათა მას გაეგო სიმართლე საქართველოს ეკლესიის შესახებ. იაკობს პროგრესული რუსული საზოგადოების იმედიც ჰქონდა ამ ბრძოლაში, რაც რუსეთისთვისაც სასარგებლო იქნებოდა. ავტორი მიმოიხილავს რა ქართული ეკლესიის ისტორიას საქართველოში ქრიატიანობის დამკვიდრებიდან მე-19 საუკუნის ბოლომდე, ხაზგასმით აღნიშნავს ავტოკეფალიის დიდ მნიშვნელობას ერის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ სრულყოფაში.

იგი სამ პერიოდს გამოყოფს საქართველოს ეკლესიის ისტორიაში: ანტიოქიურს (V ს), ნაციონალურს (VI-XVIII) და რუსულს (XIX). ანტიოქიური ეტაპი იაკობისთვის ბიუროკრატიულია, რადგან საქართველოს ეკლესიის მეთაური ინიშნებოდა გარეგანი ძალის მიერ... ბერძენთაგან...“ [21] დიდი პედაგოგისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია ვახტანგ გორგასლის მიერ ქართული ეკლესიისათვის ავტონომიური მმართველობის მოპოვება. თუმცა იმის გამო, რომ „ანტიოქიის პატრიარქმა დაიტოვა უფლება თვითონვე დაენიშნა კათალიკოსი... მუდამ ბერძენი“ [21], მასაც (მმართველობის ფორმას) „ჩინოვნიკურად“ მიიჩნევს ავტორი. გოგებაშვილის პოზიცია სრულიად ნათელია - ეკლესია მაშინაა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, როდესაც მისი სამღვდელოება და მრევლი თავად ირჩევენ სულიერ საჭეთმყრობელს. ერისა და ბერისათვის ასეთი ჟამი V საუკუნიდან იწყება. ამაგდარი მოღვაწე შენიშნავს, რომ არჩევითობის დემოკრატიულმა პრინციპმა გააცოცხლა საქართველოს ეკლესია - „ეს ორგანიზმი აღავსო ძალითა და ენერგიით...“ [21] იაკობის შეფასებით, რუსული საეკლესიო მმართველობის ხანა ყველაზე უხეში და ტრაგიკული იყო ქართული ეკლესიის ისტორიაში. მისი აზრით, უწმინდესი სინოდი „ძალად მმართველი“ და „ბიუროკრატიული კოლეგია“, რადგან მის წევრებს კი არ ირჩევენ, არამედ ნიშნავენ. დანიშნულ სინოდს დაქვემდებარებულმა ასევე დანიშნულმა ეგზარქოსმა და მისმა ბიუროკრატიულმა აპარატმა მრავალსაუკუნოვანი ქართული სამოციქულო ეკლესია დაღუპვის პირამდე მიიყვანა. კატასტროფულ ნიშნულამდე ქართული ეკლესიის მისვლას, იაკობის აზრით, იმანაც შეუწყო ხელი, რომ „1819 წლიდან საქართველოს ეგზარქოსად ერთჯერად არ ყოფილა დანიშნული ქართველი... წესად შემოვიდა ქართული სასულიერო სემინარიის რექტორის პოსტზე არ დაენიშნათ ქართველი...“ [21]

იაკობი ყოველი გზით ცდილობდა შეეწოდა მშობლიურ ეკლესიას. 80-იან წლებში (როდესაც ავტოკეფალიის ხსენებაც აკრძალული იყო) ეგზარქოსის ინსტიტუტისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, იგი მისი უფლებების გაზრდის მოთხოვნით ცდილობდა ქართული ეკლესიის უფლებების დაცვას. XX საუკუნის დასაწყისში კი „მძლავრი დემოკრატიული მოძრაობის ფონზე ავტოკეფალიისათვის ბრძოლა სრულიად რეალურად ესახებოდა“ [10, 140-147]. აკაკის მსგავსად იგიც ხსნას მხოლოდ ავტოკეფალიის აღდგენაში ხედავდა. მცოვანი მოღვაწე მიზნის მისაღწევად ყველაზე რეალურად რევოლუციურ გზას თვლიდა. შეახსენებდა ერს, რომ საუკუნეების წინ ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა არა შუამდგომლობა-მოლაპარაკებებით (თუმცა არ გამოირიცხავდა მასაც), არამედ „ნახევრადრევოლუციური გზით“ [21]. იგი გადაწყვეტი ბრძოლისკენ მოუწოდებდა ერსა

და ბერს, რადგან ავტოკეფალიას თავისი ნებით ის არ აღადგენდა, ვინც იგი „მალით წაართვა... სამღვდელოებამ თვითონ უნდა აღადგინოს უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალია სამწყსოს მხნე მონაწილეობით“ [4, 48]. თუ წლების წინ „დედა ენის“ ავტორისთვის ქართველი ეგზარქოსი, თუნდაც რუსი ეგზარქოსისთვის უფლებების გაზრდაც სანატრელი იყო, ახლა მისთვის ქართველი ეგზარქოსის იდეა კატეგორიულად მიუღებელი გახდა. იგი განუმარტავდა საზოგადოებას დანიშნვითი პრინციპის გარყვნილებას - „დღეს თუ რიგიან ქართველს დანიშნავენ, ხვალ ჯამუშს წამოასკუპებენ“ [19], რომელიც დამნიშვნელის სურვილებს მოემსახურება. იაკობმა ასევე უარყოფითად შეაფასა საეგზარქოსოს ნაცვლად კავკასიის მიტროპოლიის დაარსების იდეა, რომელიც, მისი აზრით, საქართველოს ეკლესიის საბოლოო მოსპობის ცდა იყო.

ეროვნული პედაგოგიკის ფუძემდებელი მიზანმიმართულად ცდილობდა რუსული საზოგადოების შეგნებული ნაწილის სიმართლეში გარკვევას. რუსულენოვან გაზეთში („Справедливость“, 1906, N4) დაბეჭდილ პუბლიკაციაში „საქართველოს ავტონომიის საკითხისათვის“ იგი კვლავ საქართველოს ეროვნულ-ეკლესიური თავისუფლების საკითხს ეხება. ავტორი დიდ ბოროტებად მიიჩნევს მართლმადიდებელი რუსეთისაგან ერთმორწმუნე საქართველოს სამეფო ტახტისა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას [22]. სხვა წერილში იაკობი მოუწოდებს რუს ხალხს, ნუ შეეგუებიან ერთმორწმუნე ქართველთა დამონებას, რადგან ეს რუსულ მმართველობას დაასრულებსო კავკასიაში [1, 422].

ავტოკეფალური მართვა-გამგეობის სიკეთეში ქართველთა უკეთ დასარწმუნებლად გოგებაშვილი ერთმანეთს ადარებს საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებს. ჩვენი მეზობლები ეკლესიურად თავისუფალნი არიან. ისინი თავისი წიაღიდან თავად ირჩევენ ყველაზე ღირსეულთ - ეკლესიის თავსა და ეპისკოპოსებს. საქართველოს ეკლესიას კი, აგრძელებს ავტორი, ჰყავს ბატონად და მზრდნებლად უცხო მამინაცვალი... ბიუროკრატიის დანიშნული...“ [19]. აღნიშნულ წერილში („დღევანდელი მომენტი ქართველთა და სომეხთა ეკლესიისა“. იგი არ ეხება აღმსარებლობით მხარეს) ავტორი მკვეთრად რადიკალურია: „ბედი ჩვენი ეკლესიისა უსათუოდ ჩვენი ხალხის ხელში უნდა იყოს... თუ იგი უფლება არ დაგვიბრუნდება, მთელი ქართველობა უარყოფს მართლმადიდებლობას, რომელიც სწორედ შავ ჭირად ევლინება მას და უშლის მოიპოვოს სრული თავისუფლება ეკლესიისა...“ [19]. ფრაზა „შავი ჭირის“ ასეთმა კონტექსტმა (თითქმის მართლმადიდებლობასთან მიმართებაში) მძაფრი პოლემიკა გამოიწვია მკვლევართა შორის. ე. ჭელიძის აზრით, იაკობ გოგებაშვილი მართლმადიდებლობას უწოდებს „შავ ჭირს“, რომელიც წინ ედგება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას [11]. ეს ბრალდება კატეგორიულად უარყო პროფ. გიორგი გოგოლაშვილმა. მეცნიერის თქმით, სიტყვები, „შავი ჭირი“, „ბიუროკრატიული“, „ჩინოვნიკური“ და სხვა ახასიათებს არა მართლმადიდებლობას, საქართველოს ეკლესიას, არამედ იმ პერიოდს, „ბედს, მდგომარეობას ქართული ეკლესიის XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე“ [9, 28]. სინოდის ჩინოვნიკურმა მმართველობამ მიაღწია საქართველოს ეკლესიის პარალიზებას: „საქართველოს ეკლესია სულ დაიმონეს... რუსული სინოდის კანცელარიადა აქციეს...“ [3, 96]. ქართველებს ტრადიციული მართლმადიდებლობის ნაცვლად ფორმალური, მექანიკური სარწმუნოება შერჩათ ხელთ. ამიტომ მათ „აღარ უნდოდათ რაიმე კავშირი ჰქონოდათ ასეთ ეკლესიასთან და აქედან - ასეთ სარწმუნოებასთან...“ [9, 26]. იაკობ გოგებაშვილისთვის მიუღებელია სიყალბის მართლმადიდებლობად შემოსაღება და ქართველებისაგან საყოველთაო წინააღმდეგობას მოითხოვს, რათა ერმა მოიშოროს „შავი ჭირი“ (სიყალბე) და მოიპოვოს ავტოკეფალია, ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა. თითქმის იგივეს წერდა აკაკი წერეთელი: „რუსულმა სამღვდელოებამ შეურაცხყო ხალხის რელიგიური გრძნობები. ქართველებს მოეჩვენათ, რომ რუსული ეკლესია არ არის მართლმადიდებლური...“ [12, 31]. ტერმინის - „შავი ჭირის“ - მიმართების ობიექტი რომ ერის უნუგეშო მდგომარეობა, ქართველი ხალხია, გვარწმუნებს ავტორის გვიანდელი სტატია: „ეროვნული შავი ჭირი იმიერ და ამიერ საქართველოში“ („განათლება“, 1912, N2, გვ. 81). წერილს წამდგვარებული აქვს ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსის სტრიქონი: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?“, რომელიც ზუსტად გამოხატავს წერილის სულისკვეთებას. პუბლიკაციის მიხედვით, „ქართველ ხალხს გადაგვარების შავი ჭირი აქვს შეყრილი“ [17, 81], რადგან საკუთარ ენას თავადაც უარყოფს და მტერსაც აბუჩად აგდებინებს. მას სამიშ ეროვნულ შავ ჭირად მიაჩნია ქართულ სკოლებში საღვთო რჯულის რუსულ ენაზე სწავლება, მოჩვენებითი რწმენა. განზოგადებული სახით ეს ფრაზა იაკობის ნაწერებში ახასიათებს იმ სენს, რომელიც ქართველობას ხელს უშლის ეროვნული და ეკლესიური თავისუფლების მოპოვებაში, საკუთარი ეკლესიის მეთაურის არჩევაში, მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურებასა და სწავლა-განათლების წარმართვაში...

იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობისა და მასზე ქართველ მოღვაწეთა შეფასებებით თუ ვიმსჯელებთ, იგი იყო ჭეშმარიტი აღმსარებელი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, ღრმად სწამდა სახარების გავლენა ადამიანის გულზე. ქართული აზრის კორიფე ზუსტად განსაზღვრავდა სამღვდელოების ვალდებულებასა და ავტოკეფალური ეკლესიის მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში. მისი თქმით, მოძღვარი

„უნდა იყოს ჭეშმარიტი მქადაგებელი, მთესველი მაცხოვრის მაღალის სწავლისა, განმასპეტაკებელი თავისი სამწყსოს სულისა...“ [3, 346]. დიდ ქართველს იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს ეკლესია, რომელმაც ქართველებში შეაერთა ჯვარცმული უფლისა და უფლისთვის ჯვარცმული მამულის სიყვარული, მალე ააფრიალებდა ავტოკეფალიის დროშას. იაკობის რწმენით, ავტოკეფალიის მოპოვება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნული თავისუფლების მოპოვების წინაპირობა, ერთგვარი „მოსამზადებელი სკოლა“ იყო. მართლაც, დიდი მამულიშვილის გარდაცვალებიდან ხუთიოდე წლის შემდეგ მოვლენები მისი ნამოძღვრი „რევოლუციური“ გზით განვითარდა. ქართველმა სამღვდელოებამ სამწყსოს თანადგომით ბრძოლით მოიპოვა ავტოკეფალია, რასაც მალე მოჰყვა ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ეროვნული პედაგოგიკის, ახალი ქართული საბავშვო ლიტერატურისა და ეროვნული სკოლის ფუძემდებელი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი, არაერთი სასწავლო სახელმძღვანელოს, მშობლიური ენის სამარადისო ძეგლის - „დედაენის“ ავტორი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ავტოკეფალური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი... ასეთი ჰეროიკული ღვაწლით წარმოჩინდა იაკობ გოგებაშვილი შთამომავლობის წინაშე. წმ. კალისტრატე ცინცაძის აზრით, „იაკობი იყო ვითარცა ერთი მოწაფეთაგანი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.

დამოწმებანი:

1. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. I, თბ., 1955.
2. გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ., 1954.
3. გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი, ტ. III, თბ., 1990.
4. გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1955.
5. ცინცაძე კ., ი. გოგებაშვილის სახსოვრად, მოგონებები, თბ., 1913.
6. ტყეშელაშვილი ლ., საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძირითადი საკითხები, ქუთ., 2014.
7. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 2009.
8. გამახარია ჯ., წმ. კირიონი და აფხაზეთი, თბ., 2006.
9. გოგოლაშვილი გ., „არა ცილი სწამო“, თბ., 2001.
10. ჯაფარიძე შ., ი. გოგებაშვილი და ქართული ეკლესიის საკითხი 1905-07 წლების საქართველოში, კულტურის ისტორიის საკითხები, თსუ, V, 1998.
11. ჭელიძე ე., იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, თბ., 2011 (edisheri.wordpress.com).
12. ბუბულაშვილი ე., აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ზოგიერთი საკითხი, „რელიგია“, N1, 2011.
13. ჯაფარიძე შ., ქართველი სამღვდელოება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში (1905-1907 წწ.), „საპატრიარქოს უწყებანი“, N27-28-29, 2005.
14. ლაშხი ც., „დამეხსენი ჩრდილოელ“, ანუ აკაკი და რუსეთი, თბ., 2012.
15. „ჯვარი ვაზისა“, N3, 1990.
16. „დროება“, N32, 1869.
17. „განათლება“, N2, 1912.
18. „ცნობის ფურცელი“, N2481, 1904.
19. „შრომა“, N51, 1906.
20. „Кавказ“, N83, 1869.
21. „Возрождение“, N19, 1905.
22. „Справедливость“, N4, 1906.

Zurab Okropiridze

Gori State Teaching University

IAKOB GOGEBASHVILI AND ISSUE OF THE GEORGIAN CHURCH AUTOCEPHALY RESUME

Along with other Georgian figures I. Gogebashvili stood at the head of the struggle for the national-church freedom. He believed that autocephaly restoration of the Georgian Church were a ground for restoration of national statehood. The author of "Deda Ena" considered Russia's holy synod as forcible ruler. His artistic-publicistic point of view has significantly determined the clarification essence of autocephaly, national-religious awareness of Georgians, especially for future generations.

მტერი როგორც აბსტრაქტულ-ფილოსოფიური სუბსტანცია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ დანახული მტრის ხატი, რადგან ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისაგან განსხვავებით, რენესანსის ეპოქამ გადააფასა მანამდე არსებული ფასეულობანი, გარემო შეიცვალა და ქრისტიანობას არავინ გვართმევს, პირიქით, საქართველო ახლო აღმოსავლეთში საქრისტიანოს მცველად წარმოდგენილია და მის მნიშვნელობას ქრისტიანობის დაცვაში თავად რომის წმინდა ეკლესიაც აღიარებს, რასაც მოწმობს რომის პაპის ელჩების სტუმრობა საქართველოში და პაპის წერილის შინაარსი, როდესაც ის სთხოვს დახმარებას ქართველებს მუსლიმებთან ბრძოლაში.

სწორედ ამიტომ მტრის შეფასების კრიტერიუმი ქართულ მწერლობაში აბსოლუტურად განსხვავებულია ჰაგიოგრაფიული ხედვისგან, მტერი ჰაგიოგრაფიაში არის ის, ვინც ერჩის სარწმუნოებას და ცდილობს გადაგულარძნოს ქართველი ერი ჭეშმარიტი რელიგიისაგან, ამით დააკარგვინოს თვითმყოფადობა. „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაში არავინ არ ცდილობს რელიგიის წართმევას, საქართველო ძლიერი ქვეყანაა, ის არაა დაპყრობილი ამიტომ ძალით ვერავინ მოახვევს თავს რელიგიას, ვერც დასაპყრობად შემოსევას გაბედავს ვინმე, ამიტომ ვეფხისტყაოსნის ავტორის თვალთახედვით მტერი ბიბლიურია, უხილავი და თან ძალიან ახლობელი, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ერთი მთავარი ფრაზა: „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერიაო“ გვიხსნის პოემის ფილოსოფიას, მტერი არის ბრაზი, აგრესია, სიძულვილი, უმეგობრობა და ეს მტერი ჩვენშია ჩასახლებული, მტრობა სიძულვილია და ეს სიძულვილი საკუთარ თავში უნდა სძლიო.

როგორც უმბერტო ეკო ამბობს: „მტრის ყოლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმისთვის, რომ განსაზღვროთ ჩვენი მეობა, არამედ იმისთვისაც, რომ შევქმნათ დაბრკოლება, რომლის პირისპირ საკუთარ ფასეულობათა სისტემასაც გამოვცდით და ჩვენს საკუთარ ღირებულებასაც წარმოვაჩინოთ, ამიტომ მტერი თუ არ არსებობს, ის უნდა შევქმნათ.“ (უმბერტო ეკო 2015: 15) აქედან გამომდინარე მტრის არსებობა და დაბრკოლებების ღირსეულად გადალახვა ადამიანს სულიერად და ზნეობრივად ამაღლებს და კიდევ უფრო ხაზგასმით აჩვენებს განსხვავებას კეთილსა და ბოროტს შორის.

პოემაში რამდენიმე კონკრეტული მტერია ხაზარები, ხატაელები, ქაჯები. პირველი ორი ფიზიკური მტერია, რომელსაც ასევე ფიზიკური ძალით შეიძლება შეებრძოლო, რომლის მოგერიება და უკუგდება რთული არ არის მამაცი მეომრისათვის, მარტო ტარიელსაც კი ადვილად შეუძლია მათთან გამკლავება, პოემაში არაერთი სტრიქონი ადასტურებს ზემოთქმულს:

„ახლოს მივე, შემომხედნეს, შმაგაო ესე თქვესა,
მუნ მივმართე მკლავმაგარმან სად უფროსი ჯარი დგესა:
კაცს შუბი ვკარ ცხენი დავეც, მართ ორნივე მიხდეს მზესა,
შუბი გატყდა ცხენი დავეც ვაქებ ხმალო ვინცა გლესა“ (107)
„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;
კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი,
ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძი რაზმი ორი.“

აქ, რა თქმა უნდა, ჰიპერბოლიზებულია გმირის შესაძლებლობები, მაგრამ ეს სიმბოლურად სწორედ იმას განასახიერებს, რომ ეს არის ჩვეულებრივი კონფლიქტი ადამიანებს შორის და ამ კონფლიქტში გამარჯვება მარტო ერთი ადამიანისათვისაც შესაძლებელია, მაგრამ სხვა ქაჯები, „ვეფხისტყაოსნის“ სამყარო ერთი მთლიანი და განუყოფელი სამყაროა: სამეფოებით, ბრძოლებით, დევნებით, ქაჯებით... ეს სამყარო თანაარსებობს.. პოემის პერსონაჟებმა იციან „ქაჯთა სამყაროს“ არსებობა, ამიტომ დიალოგში ხშირად არის აპელირება მათ თვისებებზე (გრძნეულებაზე), რაც ნიშნავს, რომ მათთვის ეს სამყარო უცხო არ არის, არამედ კარგად ნაცნობია:

„ყოვლინ არსნი ცათ ქვეშეთნი ერთობ სრულად მომივლიან,
მაგრა საქმე მის კაცისა ვარასადა შემიგნიან;
უღონიოდ მართალ იყვნეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან“ (64 გვ.)

გრძნეულებით განთქმული ქაჯებისთვის არაფერია მიუღწეველი. მათ შეუძლიათ საშინელი ქარების გამოწვევა, ისე სიარული წყალზე, როგორც ხმელეთზე, დღის ღამედ გადაქცევა და ღამის განათება და სხვა:

„იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრძობენ,
ქართა აღძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ,
სწადდეს – დღესა ბნელად იქმენ, სწადდეს – ბნელსა ანათობენ.

„ქაჯს შეუძლია ჰაერში გაუჩინარება. იგი წყალში არ იძირება, ფეხით გაივლის ხოლმე მდინარეზე. ბაბუაჩემისგან ვიცი, რომ ქაჯები დაფრინავენო, წყალზე რომ გადიოდნენ არ იძირებოდნენ, ბაბუაჩემისგან გამიგია რომ ქაჯებს შეეძლოთ მდინარის დაშრობა და მზის დაჭერა“. (ქართული მითოლოგია 1992: 69) „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებიც დაფრინავენ მაგალითად, როდესაც ასმათი გრძნეულ მონას ატანს წერილს ნესტან-დარეჯანთან:

„ფატმან მისცა დაწერილი მას გრძნეულსა ხელოვანსა.

„ესე წიგნი მიართვიო ქალსა, მზისა დასაგვანსა!„

მან გრძეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა,

მასვე წამსა დაიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა.“

სიტყვა ქაჯი მარადიული ბნელის სომბოლოა „ვეფხისტყაოსანში“, ეს ჩვეულებრივი ფიზიკური ძალა არ არის, ეს არის საზოგადო, კრებითი სახელი ყველა იმ ბოროტებისა რომელიც დასაბამიდან არსებობს, მარადიული ჭიდილის სიმბოლო კეთილსა და ბოროტს შორის. შოთა ბევრ ადგილას ახსენებს ქაჯებს და ყველგან, სადაც ისინი მოიხსენიებიან იგულისხმება, რომ მათ მაგიური ძალა გააჩნიათ, ალბათ, შემთხვევითი არც ისაა, რომ მზეს უწოდებს რუსთველი ნესტან-დარეჯანს, რომელიც ქაჯებმა დაატყვევეს რათა ადამიანებს სინათლე წაართვან. „მზე რომ არ იქნებოდა კაცი ვერც აქეთ წავიდოდა და ვერც იქით, მზეს მიეპარებოდნენ დაიჭერდნენ და თავიანთ ტოპრაკში ჩასვამდნენ.“ (ქართული მითოლოგია 1992: 70)

ნესტან-დარეჯანი თავის წერილში უამბობს ტარიელს, რომ ქაჯები ძნელად საომარნი არიან და არავის არ გვანან, რომ მათთან ჩვეულებრივი ბრძოლის წესი არაფრად გამოდგება, ამიტომ სთხოვს, რომ არ გარისკოს ქაჯებთან შებმა, არამედ ინდოეთში დაბრუნდეს და მეფეს და სამშობლოს გამოადგეს. ნესტანი ფიქრობს, რომ ტარიელის ძალა ვერ იქნება საკმარისი, მისი გმირობა და ვაჟკაცობა აქ ვერაფერს შეძლებს, რადგან ქაჯნი უხორცონი არიანო, ანუ ეს არის ბოროტი სუბსტანცია და მასთან ბრძოლა მარტოსული ადამიანისთვის შეუძლებელია, ბოროტება სიკეთემ უნდა დაამარცხოს, სიკეთე კი სიყვარულია და მოყვასისთვის თავგანწირვა, მხოლოდ ერთგული მეგობრების წყალობით, რომლებიც მზად არიან თავიც კი გაწირონ ტარიელის გამო, ახერხებს ტარიელი ქაჯთაგან გამოიხსნას თავისი სიყვარული და დაიბრუნოს სულის სიმშვიდე.

„მტრის ხატი – ესაა დამანგრეველი ფსიქიკური ძალა, იმიტომ რომ მტერი კი არ იწვევს ეჭვს, ეჭვი შობს მტერს. ეჭვი ჯერ უსაგნოდ არსებობს. ეჭვი ჩემი უძლურებაა – მე მეშინია ყველაფრის, როცა უძლური ვარ. მტერი არის განსხეულება იმისა, რაც ჩემშივეა ფესვგადგმული, როგორც უძლურება“, – ამბობს მერაბ მამარდაშვილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს უძლურებაა ტარიელის მთავარი მტერი, მისი ეჭვები, რაც გაურკვევლობითაა გამოწვეული, იწვევს მის უმოქმედობას, ტარიელი გზასაც ვერ ხედავს როგორ უნდა მოძებნოს ან დაიბრუნოს სატრფო, ის უმოქმედოა, მხოლოდ გლოვობს და აგრესიას გამოხატავს ყველას მიმართ ვინც მისით დაინტერესდება, ასმათის კითხვაზე, მეგობარი რომ გყოლოდა, უკეთესი იქნებოდაო, ტარიელი პასუხობს:

„ვის ძალ-უც ყოფნა კაცისა, თვით სოფლად არ-მოსრულისა?“

საგულისხმოა რომ ტარიელი ნესტან-დარეჯანის დაკარგვამდეც უმოქმედოა, მალე ყრის ფარ-ხმალს, როცა საქმე სიყვარულს ეხება, ყოველთვის ტირის და გლოვობს იმის მაგივრად, რომ იმოქმედოს, სწორედ ესაა მისი მტერი, ეჭვი, რომელიც აფიქრებინებს, რომ ამ პრობლემის მორევა არ შეუძლია, მაშინ, როდესაც მთელი ჯარისთვის მარტოს შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა და ეჭვი არასოდეს შეაქვს საკუთარ ძალაში, მაგრამ, როცა საქმე სიყვარულს ეხება, ის არასოდესაა თავდაჯერებული და იწყებს გლოვასა და ტირილს. ამ ეჭვის დასაძლევად მას ჭირდება ადამიანი, რომელიც შესძლებს დაეხმაროს ამ ეჭვის დამლევაში, მტერი ეჭვია, გაორება და სიყვარულის ნაკლებობა, უყვარს ტარიელს ნესტანი, მაგრამ მრისხანება უბინდავს გონებას, რომ იყოს უფრო რაციონალური. მაინც სჭირდება შესხენება: რომ ვაჟკაცს ტირილი არაფრად შეშვენის და ყველაზე რთულ დროსაც კი არ უნდა კარგავდეს მოქმედებისა და აზროვნების უნარს და საგულისხმოა, რომ ამას ნესტანი ახსენებს ტარიელს;

„ბნედითი ბნედა, სიკვდილი რა ვაჟკაცობა გგონია“

დიდი სიყვარული საკმარისი არაა იმისათვის რომ ტარიელმა მოქმედება დაიწყო, სინათლე ჭირდება ტარიელს, ძლიერი სინათლე, რომელიც მისი ეჭვის ღრუბლებს გაფანტავს და ასეთ სინათლედ ევლინება მას ავთანდილი. ავთანდილი ტარიელისაგან განსხვავებით მოქმედი სუბიექტია, ის ყველანაირ

შემთხვევაში პოულობს გამოსავალს და პესიმიზმს არ ემორჩილება, თუ ტარიელი ძალაა, ავთანდილი არის გონება, ფრიდონი ერთგულება და ეს სამივე ერთად შობს სიკეთეს, ძალა გონიერების გარეშე კეთილი ვერ იქნება და იდეის გარეშე (იდეის ერთგულება) შედეგს ვერ მოიტანს, სამი გმირის გაერთიანებით ვიღებთ ერთ კეთილ სუბსტანციას, რომელიც თითქმის უბრძოლველად იხსნის ჭეშმარიტებას ბნელეთისაგან.

საგულისხმოა, რომ ქაჯებთან ბრძოლაში არაა აღწერილი ისეთი კონკრეტული პასაჟები, როგორც მანამდე, არსად ჩანს რანაირი არიან ეს ქაჯები, მხოლოდ წერია, რომ მკვდრები გამრავლდნენ მზის სიტკბოს დაკარგვის გამო და რომ მხოლოდ ტარიელის ხმა ხაფი საკმარისი იყო მტრის დასაბნედად:

„მამინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღვთისა:

კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოაშორვა სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა,
ველნი მკვდართა ვერ იტევდის, გადიადდა ჯარი მკვდრისა“
კაცსა უკრავად დაბნედიდის ხმა ტარიელის ხაფისა,
აბჯარსა ფრეწდის გაცუდდა სიმაგრე ჯავშან-ქაფისა“ (გვ. 281)

საინტერესოა ის პასაჟი, როდესაც სამი გმირი განიხილავს ბრძოლის გეგმას იქ, ქაჯებთან, მომავალ ბრძოლას ფიზიკური ძალის იმედით გეგმავენ და თითქოს ეს ჩვენს ზემოთმოყვანილ მსჯელობას ქაჯების, როგორც არაფიზიკური მტრის შესახებ, მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სამმა მეგობარმა ტარიელის მიერ დევების ორმოცოთახიან გამოქვაბულში ნაპოვნი განმიდან ერთი ზანდუკი გახსნა და იქ უცხო საჭურველი იპოვა :

„იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო გატენილი.

პოვეს ერთი ზარადხანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი;

მუნ აბჯარი ყოვლი-ფერი ასრე იდვა, ვითა მწნილი,

შიგან ერთი კიდობანი დაბეჭდილი, არ-გახსნილი.

ზედა ეწერა: “აქა ძევს აბჯარი საკვირველიო,

ჯაჭვ-მუზარადი, ალმასი, ხრმალი ბასრისა, მჭრელიო;

თუ ქაჯნი დევთა შეეზნენ, დღე იყოს იგი ძნელიო!

უმისჯამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკლველიო”.

ყველაზე მნიშვნელოვანი განმი კიდობანში აღმოაჩინეს: „სამი ტანი აბჯარი“ უბრალო არ ყოფილა, სასწაულმოქმედი იყო, ხრმალი რკინას ისე სჭრიდა, როგორც ბამბას; გმირებმა ქაჯებთან ბრძოლის წინ ამ განმის აღმოჩენა კარგი ბედის ნიშნად მიიჩნიეს:

კიდობანი გახსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,

რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი:

ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი, –

ზურმუხტისა ბუდეებითა იყვნეს ვითა ლუსკუმანი.

თვითომან თვითო ჩაიცვეს, თავის თავს გამოსცდიდიან,

ჯაჭვ-მუზარადსა, აბჯარსა მართ ვერა ვერ მოჰკიდიან;

ხრმალი რკინასა მოჰკრიან, ვით ბამბის მკედსა სჭრიდიან,

მათ უღირს ყოვლად ქვეყანად, შევატყევ, არ გაჰყიდიან.

თქვეს: “ესე ნიშნად გვეყოფის, ვართო კარგითა ბედიოთ;

ღმერთმან მოგვხედნა თვალითა, ზეგარდმოთ მონახედიო”.

აიღეს იგი აბჯარი თავის-თავისა ქედიოთ,

თვითო მათ, ერთი ფრიდონის სამღვწილად შეკრეს ღვედიოთ.“

პოემის ამ ნაწილიდან ცხადი ხდება, რომ გმირებმა ქაჯებთან შესაბამელად ისევ მაგიური ძალა გამოიყენეს, ამ შემთხვევაში დევების აბჯარი, რომელიც სიმბოლურად ისევ მეტაფიზიკურ განზომილებას უკავშირდება და კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქაჯების დასამარცხებლად ადამიანური, ფიზიკური ძალა ნამდვილად უძლურია. ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდში, როგორც უკვე ვთქვით, არ გვაქვს ბატალური სცენები, მაგრამ ჩანს, რომ მცველები ძირს ყრია უკვე გარდაცვლილები, სხვა კონკრეტულ შემთხვევებში, სადაც აღწერილია, როგორ დახოცა ტარიელმა როსტევანის მონები, როგორ გადაუპო თავი ხატაელ ძმებს და ა.შ. როგორ დაამარცხა ხატაელები, როგორ მოკლა ხატაელი უფლისწული, ყველგან არის საბრძოლო სცენები აღწერილი მაგრამ ქაჯებთან უშუალო შებრძოლების სცენა არ გვაქვს, ქაჯები თითქოს თავისით გაქრნენ, მხოლოდ ერთგან ჩანს, რომ:

„ციხისა მცველი ყველაი იდვა მართ ვითა სნეული,

თავით ფეხამდის დაჭრილი, აბჯარი მუნ დახეული,

ციხისა კარნი გართხმულნი, კართა ნალეწი სრეული“

არავის შეუსწავლია სრულყოფილად „ვეფხისტყაოსნის“ და ქართული მითოლოგიის კავშირი ერთმანეთთან, მაგრამ, ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ტარიელი ვეფხეს ებრძვის და სამოსადაც მის ტყავს ირჩევს ამ სიმბოლოს ზვიად გამსახურდია უკავშირებს წმინდა გიორგის: „გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანში“ მთავარი გმირის ბრძოლა ლომთან და ვეფხთან. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ წმინდა გიორგი ზოგიერთ ქართულ ბარელიეფზე, მაგალითად მრავალძაღვის ბარელიეფზე გმირავს არა დრაკონს, არამედ ვეფხს. ვეფხი არის სინონიმი დრაკონისა, რომელსაც გმირავს წმინდა გიორგი, ე.ი. სიმბოლო ქვეყნის ინსტიტუტებისა რომელსაც ამარცხებს ადამიანის „მე“ ინიციატივის გზაზე.“ („საქართველოს სულიერი მისია“ 1991: 210) სწორედ ასე თრგუნავს და ამარცხებს ადამიანურ ვნებებს ტარიელი, რასაც საბოლოოდ მიჰყავს იმ ალიანსამდე რომელიც რომელიც სამმა გმირმა შექმნა და რომელიც სიმბოლურად წმინდა სამებას განასახიერებს, იქ, სადაც სიყვარულია, ბოროტება თავისით უთმობს ადგილს სიკეთეს, სწორედ ამიტომ დიდი ბრძოლაც არაა საჭირო, ყველაფერი თავისით გვარდება, როდესაც ტარიელი გადაწყვეტს გლოვა და მრისხანება მიატოვოს და მეგობრების ერთგულებითა და სიყვარულით გააგრძელოს მიჯნურის ძებნა, ბოროტებიდან იხსნას მზე, სინათლე, ჭეშმარიტება.

„ვინც მახვილი აღმართოს მახვილითვე განიგმიროს“ ამბობს სახარება, ბოროტება ბოროტებით არ ითრგუნება და სწორედ ამიტომ უნდა ეძებოს კაცმა მოყვარე, და სიყვარული საკუთარ თავში.

- რუსთაველის აზრით მთავარი მტერი ფიზიკური არაა, დანარჩენი ყველა მტერი, რომელიც ფიზიკურად გემუქრება უმნიშვნელოა და ადვილი დასამარცხებელი მამაცი გმირისაგან, მაგრამ მეტაფიზიკური მტრის დასამარცხებლად მხოლოდ ფიზიკური ძალა არაა საკმარისი.
- შოთა რუსთაველის პოემის მიხედვით მტერი უხილავი სუბსტანციაა, რომელიც სამყაროს მარადიულ ბნელ მხარეს განასახიერებს, იგი ძნელად აღმოსაჩენია და ასევე ძნელად დასამარცხებელი.
- მტერი შეიძლება ყველგან იყოს, როგორც გაუცნობიერებელი ფსევდოსიკეთე, ასევე პიროვნული გაორების სინდრომი, როდესაც ადამიანს უჭირს გაარჩიოს სიკეთე და ბოროტება ერთმანეთისაგან.
- მტერს ჩვენ ვეძებთ და ჩვენვე ძალგვიძს მისი განადგურება.
- შოთა რუსთაველის ეპოქა იძლეოდა საშუალებას ლიტერატურის ფილოსოფიზაციისა, ეს იყო ოქროს საუკუნე, როდესაც ქართველ ერს ფიზიკური განადგურების საფრთხე არ ედგა და ქონდა საშუალება სულიერ საზრდოზე ეზრუნა, სწორედ ამიტომ მტრის ხატი „ვეფხისტყაოსანში“, სულიერ, რელიგიურ ჭრილშია დანახული და ზოგადსაკაცობრიო მარადიულ სახეს ატარებს.

ლიტერატურა:

1. გამსახურდია ზვიად, საქართველოს სულიერი მისია, თბილისი, 1991.
2. ქართული მითოლოგია, თბილისი, 1992.
3. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1988.
4. უმბერტო ეკო, „მტრის ხატის შექმნა და სხვა ტექსტები“, დიოგენეს ბიბლიოთეკა, 2015.

Neli Petriashvili

Sokhumi State University

THE ENEMY AS AN ABSTRACT AND PHILOSOPHICAL SUBSTANCE IN SHOTA RUSTAVELI “THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN” RESUME

According to Shota Rustaveli's poem, the enemy is an invisible substance that represents the eternal dark side of the universe. It is difficult to find the enemy and hard to defeat him as well.

The enemy can be everywhere as an unidentified pseudo geniality or a double personality syndrome too when people aren't able to distinguish good and evil from each other.

We create the enemy ourselves and we can destroy it.

The era of Shota Rustaveli was the golden age when the Georgian nation was not in danger of physical extermination and mental food was the only concern that's why “the enemy icon” is found in a spiritual and religious context and it is a common and eternal face.

ნათია სიხარულიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი,
გალაკტიონის კვლევის ცენტრი

„ახალ ტალღას“: რეალობასა და მისტიფიკაციას შორის

გალაკტიონ ტაბიძის 1909 წლით დათარიღებული ლექსი - „ახალ ტალღას“ ნიკოლოზ ბარათაშვილის გავლენით შექმნილად ითვლება: ეს ნაწარმოები „საინტერესოა არა მარტო იმით, რომ აქ ბარათაშვილი პირველად გვხვდება როგორც დიდი ავტორიტეტი ახალგაზრდა პოეტისათვის, არამედ იმითაც, რომ ეს ლექსი ბარათაშვილის ლექსის - „ფიქრნი მტკვრის პირად“ - პირდაპირი და უშუალო შთაგონებითაა დაწერილი“ (ჭილაია 1951: 44).

გალაკტიონი ეპიგრაფით - „იქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით“ – მიგვანიშნებს რომანტიკოსი პოეტის ნაწარმოებზე. ლექსის პირველი სტროფიც „ფიქრნი მტკვრის პირას“ გვახსენებს: ლირიკულ გმირს „მუდამ თან მსრბოლი ფიქრი“ წვავს, ტანჯავს. იგი ცდილობს, ბუნებაში, წყლის პირას იპოვოს შვება. გალაკტიონს თავის ნაწარმოებში თითქმის უცვლელად გადმოაქვს ბარათაშვილისეული პეიზაჟიც – წყალში არეკლილი ცის სურათი:

„მუდამ თან მსრბოლი ფიქრი მწვავდა, ფიქრი მტანჯავდა,
გამოვექეცი გულის დამწველ მშვიდ არემარეს;
ნაპირი ზღვისა იმაც სევდით მშვიდად სუნთქავდა,
ცას შესცქეროდა ზღვა ლაჟვარდი გულცივს, მდუმარეს.“ (ტაბიძე 1966: 76)

„წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით;
ნელად მოდელავს მოდუღუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.“ (ბარათაშვილი 1968: 95)

ამ სტრიქონების მსგავსებას სალექსო საზომთა იგივეობაც განაპირობებს. გალაკტიონს გამოყენებული აქვს თოთხმეტმარცვლედის ის სახეობა (5/4/5), რომლითაც დაწერილია „ფიქრნი მტკვრის პირზედ“.

ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ „ახალ ტალღას“ ნამდვილად ნ. ბარათაშვილის გავლენით არის შექმნილი. გარდა მსგავსებისა ნაწარმოებებს შორის არის საყურადღებო განსხვავებაც: რომანტიკოს პოეტთან ბუნება ადამიანის განწყობილების თანაზიარია: პიროვნება სევდიანია, არემარე – მოწყენილი.

გალაკტიონის ლირიკულ გმირს ადიზიანებს გულცივი და მდუმარე ცა, წყნარი სივრცე და ზღვის ნაპირი, რომელიც „იმაც სევდით მშვიდად სუნთქავს“ (ტაბიძე 1966: 76). მას უჩნდება „ერთფერობასთან“ დაპირისპირების სურვილი:

„არ მინდა, არა! სულს მოსწყინდა ეგ ერთფერობა,
სული ეძიებს ქარიშხალს და ბობოქარ ტალღებს...“ (ტაბიძე 1966: 76)

კონტრასტი ადამიანის განწყობილებასა და ბუნებას შორის უცნობია ნ. ბარათაშვილის პოეზიისათვის. იგი გალაკტიონის ადრეული ლირიკის არაერთ ნიმუშში იჩენს თავს („მომაკვდავი“, „გაზაფხულის მოლოდინში“ და სხვა). გავიხსენოთ, თუნდაც, „მგზავრის სიმღერა“:

„არე მიდამოს ღვთაებრივი
ატკბობს სიმშვიდე.
ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე
ვერც სიტკბოება,
ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო
და სანეტარო.“

დაჰქროლე, ქარო... მე არ მიყვარს
ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შეგმა მინდა,
დაჰქროლე, ქარო!“ (ტაბიძე 1966: 193)

„ახალ ტალღაში“ ეს დაპირისპირება უფრო მძაფრია და შთამბეჭდავი, რასაც ლექსის პირველი სტროფიც განაპირობებს. იგი იმდენად ჰგავს „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ დასაწყისს, რომ ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებში ასახულ ბუნების ჰარმონიულ განცდას გვახსენებს. მკითხველი ნაცნობი სიტუაციის ჩვეულებრივ გაგრძელებას ელოდება, სწორედ ამ დროს გვიმხელს ლირიკული გმირი: „მუდმივ დუმილში ვერ თავსდება ტანჯულის გრძნობა“. ამგვარი პოეტური ხერხის გამოყენებით გალაკტიონი გვარწმუნებს, რომ მის ლირიკულ გმირს უკვე აღარ შეუძლია თანაგრძნობის პოვნა ბუნებაში, იმ გარემოში, რომელიც რომანტიკოსებს ანუგეშებდა.

კონტრასტს პოეტი სალექსო საზომებითაც გამოხატავს: ბუნების სევდას, სიმშვიდეს, ფრთაძალი, უზრუნველი სიო უპირისპირდება, „ერთფერობას“ კი ლირიკული გმირის ნაზი სიმღერა. შესაბამისად, თოთხმეტმარცვლედს ხუთმარცვლადი ენაცვლება. ამის გათვალისწინებით, ალბათ, დასაზუსტებელია გ. ტაბიძის ადრეული ლირიკის მეტრიკაზე დაკვირვების შემდეგ გაკეთებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც „...არ შეიძლება ვისაუბროთ პოეტის წინასწარგანზრახულ დამოკიდებულებაზე ამა თუ იმ საზომის მიმართ... პირობითი ხასიათისაა იმის მიება, თუ რა განაპირობებს ავტორისეულ არჩევანს ამა თუ იმ შემთხვევაში, რატომ მიმართავს იგი ტრადიციულ ანდა განსხვავებულ საზომს“ (ქურთიშვილი 2000: 74).

გალაკტიონის ლირიკულ გმირს არ აწუხებს კითხვა: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი“. „ახალ ტალღაში“ ნ. ბარათაშვილის ლექსისათვის დამახასიათებელი პოეტური განსჯა ემოციით არის შეცვლილი. ნაწარმოები „გულში აღძრული ნაზი სიმღერით“ მთავრდება:

„შენს მოლოდინში
გულს ნუ მიდაგავ,
დაჰკარ, დაჰქუხე,
ახალო ტალღავ!“ (ტაბიძე 1966: 76)

ყურადღებას იქცევს გალაკტიონის ლექსის ერთი თავისებურება: აქ ლირიკული გმირი ზღვის ნაპირზე იმყოფება და არა მდინარის, როგორც ეს ნ. ბარათაშვილთანაა.

ათწლეულების შემდეგ გალაკტიონი ერთ-ერთ ჩანაწერში აღნიშნავს: „...ზღვის თემატიკა ქართულ ლიტერატურაში რუსთაველს შემდეგ არა სჩანდა, ეს მოძრაობა დაიწყო მხოლოდ მეოცე საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ. ჩემს შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ ეს მოტივები არის პირველ წიგნში (1914)...“ (ტაბიძე 1975: 143).

გ. ტაბიძის ადრეულ ლირიკაში ზღვის თემის არსებობა, მისი დამკვიდრების ცდა შეფასებულია, როგორც ჰაინრიკ ჰაინეს პოეზიიდან მიღებული შთაბეჭდილების კვალი (კავთიაშვილი 2006: 39). ზოგადად, ალბათ, ასეთი ვარაუდის არსებობა დასაშვებია, მაგრამ კონკრეტულად „ახალ ტალღას“ გერმანელი ავტორის შემოქმედებასთან სიახლოვეს არ ამჟღავნებს: მდინარის ზღვით ჩანაცვლებას ამ შემთხვევაში სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს. კონკრეტულად, გ. ტაბიძის თორმეტტომეულის პირველი ტომის კომენტარების მიხედვით ეს ნაწარმოები პირველად 1910 წელს, ალმანახ „ახალი ტალღის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულა (ტაბიძე 1966: 379). ალმანახის სახელწოდებისა და ნაწარმოების სათაურთა იგივეობა, ვფიქრობთ, უნდა მიგვანიშნებდეს, რომ პოეტმა სწორედ ამ გამოცემისათვის დაწერა ლექსი.

როგორც ვხედავთ, გ. ტაბიძისა და ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. გალაკტიონი გარკვეული მიზნით იწყებს ლექსს ისე, რომ მისმა სიტყვებმა რომანტიკოსი პოეტის სტრიქონები გაგვახსენოს. ტექსტებს შორის მსგავსება მხოლოდ ამით შემოიფარგლება. რის გამოც, ვფიქრობ, მართებული იქნება, „ახალ ტალღას“ პოეტურ ტრადიციასთან დაპირისპირების მცდელობად, სიახლისაკენ მოწოდებად თუ ჩაითვლება, და არა ნ. ბარათაშვილის შედევრის „პირდაპირი და უშუალო შთაგონებით“ დაწერილ ნაწარმოებად.

* * *

გალაკტიონ ტაბიძის ახალ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობისას „ახალ ტალღას“ კიდევ ერთხელ მივუბრუნდი. ვარიანტებისა და შენიშვნების მოსამზადებლად, უპირველესად, ნაწარმოების ხელნაწერი და ნაბეჭდი ტექსტები უნდა შემეგროვებინა. გ. ტაბიძის თორმეტტომეულის პირველი ტომის მიხედვით „ახალ ტალღას“, როგორც უკვე აღვნიშნე, პირველად 1910 წელს, ალმანახ „ახალი ტალღის“ პირველ

ნომერში დაიბეჭდა. ეს ინფორმაცია მეორდება გალაკტიონის ოცდახუთტომეულის პირველ წიგნშიც (ტაბიძე 2005: 394). მიუხედავად ხანგრძლივი ძიებისა, საქართველოს ბიბლიოთეკებში ამ ალმანახის პოვნა ვერ მოვახერხეთ, უფრო მეტიც, გაჩნდა ეჭვი, არსებობდა თუ არა საერთოდ ამგვარი გამოცემა.

გ. ი. ბაქარაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ მიხედვით, არც 1910 წლამდე და არც შემდეგ ალმანახი „ახალი ტალღა“ საქართველოში არ გამოუციათ. აღნიშნული ბიბლიოგრაფიის მიხედვით, დაახლოებით ამავე პერიოდში – 1909 წელს გამოდიოდა მოსწავლეთა პერიოდული ორგანო „პირველი ტალღა“ (გამოიცა მხოლოდ ორი ნომერი: პირველი 1909 წელს, ნოემბერში, მეორე კი – იმავე წლის დეკემბერში). სავარაუდო იყო, რომ გ. ტაბიძის თორმეტტომეულში და ოცდახუთტომეულშიც არასწორად მიუთითეს ალმანახის სახელწოდებაც და გამოცემის თარიღიც.

„პირველ ტალღაში“ მართლაც დაიბეჭდა გალაკტიონის ნაწარმოებები „ფანტაზია“ (პირველ ნომერში) და „მწუხარება“ (მეორე ნომერში), მაგრამ ამ ალმანახში არ გამოქვეყნებულა ლექსი „ახალ ტალღას“.

საკითხის გარკვევისა და პრობლემის გადაწყვეტის მიზნით საგანგებოდ შევისწავლე გალაკტიონის დღიურები და უბის წიგნაკები, ყველა ის ჩანაწერი, სადაც „ახალი ტალღა“ ან „პირველი ტალღა“ იყო ნახსენები. ამგვარმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ პოეტის ჩანაწერებში ეს ორი სახელწოდება ერთმანეთს ენაცვლებოდა ან კიდევ, რეალურად არსებულ ალმანახს „პირველი ტალღა“ გალაკტიონი მოიხსენებდა, როგორც „ახალი ტალღა“. მაგალითად, პოეტი წერს, რომ ს. მინაშვილის წერილი, მოსწავლეთა თვითმკვლელობის შესახებ, დაიბეჭდა ალმანახში „ახალი ტალღა“, მაშინ, როცა ეს სტატია გამოქვეყნებულია „პირველ ტალღაში“. ამავე დროს, გალაკტიონის არქივში ვერ ვნახეთ ისეთი ჩანაწერი, სადაც ორივე სახელწოდება („ახალი ტალღა“, „პირველი ტალღა“) ერთად იქნებოდა ნახსენები და რაც, დაადასტურებდა, რომ ორივე ალმანახი ნამდვილად არსებობდა.

ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა გარემოებამ: როგორც წერილის დასაწყისში ითქვა, გალაკტიონის ეს ლექსი დაკავშირებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის შედევრთან. ტექსტებს შორის სიახლოვე მრავალი ასპექტითაა თვალსაჩინო, იქნება ეს ეპიგრაფად წამმღვარებული ნ. ბარათაშვილის ფრაზა, თუ სხვა არაერთი თავისებურება, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ. ნაწარმოებებს შორის არსებული ამგვარი კავშირის მიუხედავად, ამ ლექსების მიმართებაზე 1949 წლამდე არავის გაუმახვილებია ყურადღება. ეს ფაქტი კიდევ უფრო უცნაური ჩანდა იმ ფონზე, როდესაც გ. ტაბიძის შემოქმედების შესახებ ჯერ კიდევ 1910-იანი წლების დასაწყისიდან გამოქვეყნებულ წერილთა უმეტესობაში ავტორები საგანგებოდ მსჯელობენ გალაკტიონის ნიკოლოზ ბარათაშვილთან მიმართებაზე.

უნდა გაგვეთვალისწინებინა ის ფაქტიც, რომ ლექსის ჩვენამდე მოღწეული ორივე ავტოგრაფი გვიანდელი იყო, დაახლოებით 40-50 წლებს მიეკუთვნებოდა, ისევე როგორც, ნაწარმოების კიდევ ერთი ვარიანტი, მანქანაზე ნაბეჭდი, ავტორის მიერ ნასწორები ტექსტი.

ამ და სხვა გარემოებათა გამო გაჩნდა ვარაუდი, რომ „ახალ ტალღას“ გალაკტიონისათვის ჩვეული მისტიფიკაციის შედეგს წარმოადგენდა: პოეტმა ლექსი 40-იანი წლების ბოლოს დაწერა და 1909 წლით დაათარიღა. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ არაერთი ფაქტი მეტყველებდა, მაგრამ ამასთანავე, პასუხგაუცემელი რჩებოდა რამდენიმე კითხვა. უპირველესად, ახსნას მოითხოვდა შემდეგი გარემოება:

თხზულებათა თორმეტტომეულის პირველი ტომის კომენტარების მიხედვით A ვარიანტად – ძირითად ტექსტად აღებულია გალაკტიონის 1957 წელს გამოცემულ თხზულებათა მერვე ტომში გამოქვეყნებული „ახალ ტალღას“, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან მერვე ტომში დაბეჭდილი ლექსი სამი სტროფისაგან შედგება და არა ხუთისაგან, როგორც ეს თორმეტტომეულის პირველ ტომშია. ასევე, არცერთ ავტოგრაფში არ არის წარმოდგენილი ლექსის მეორე-მესამე სტროფები:

„და უზრუნველად
სიო ფრთამალი,
თავისუფალი
ჰქროდა მთა-ველად.

ფიქრს მისცემოდა სივრცე წყნარი, ვრცლად გადამლილი,
მზის მკვეთრი სხივი ზღვას მოწყენილს დასციმციმებდა,
კამკამს სევდიანს დასცქეროდა ნორჩი ყვავილი,
გედი ყივილით წრფელ მეგობრებს ცისკენ იწვევდა.“

ამ ვითარებაში უნდა გვეფიქრა, რომ არსებობდა რაღაც, ჩვენთვის უცნობი წყარო (ნაბეჭდი ან ხელნაწერი), სადაც ნაწარმოების ტექსტი სრულად იყო წარმოდგენილი და რომლითაც აკადემიური გამოცემის შემდგენლებმა ისარგებლეს.

გალაკტიონის ერთ-ერთ ჩანაწერში ნათქვამია, რომ ლექსი „ახალ ტალღას“ დაიბეჭდა ალმანახში „პირველი ტალღა“ (დღიური 610). მართალია, ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, მაგრამ ჩანაწერი იმის საფუძველს მაინც გვაძლევდა, მითითებული ალმანახი ყურადღებით რომ შეგვესწავლა, მით უფრო, რომ გალაკტიონი ამ გამოცემას, მასში დაბეჭდილ მასალას აუცილებლად გაეცნობოდა, თუნდაც იმის გამო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ალმანახში მისი სხვა ნაწარმოებები იყო გამოქვეყნებული. ალმანახ „პირველი ტალღის“ შესწავლისას გაირკვა, რომ გალაკტიონის „ახალ ტალღას“ გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებდა მასში გამოქვეყნებულ ორ ლექსთან:

ზღვას

„ზღვაო მღელვარევ! მომხვიე შენი
სიცოცხლით სავსე სწრაფი ტალღები;
გამომაშორე მდუმარ ქვეყანას
მისივე შვილი განაწვალე.
და იქ მაცურე ჩემს ობოლ ნავით, –
სად მშფოთვარ ზვირთთა გორა დგებოდეს,
სად მქუხარე ხმით მგრგვინავი ტალღა
შენს კლდის ნაპირებს ეკვეთებოდეს.
სად ბანს გეტყოდეს მრისხანე ქარი,
მძლავრსა ფრთას სცემდეს შენს მღელვარ მკერდსა,
და შენი ძალა, ძალა სიცოცხლის,
აპობდეს ზღუდეს, აპობდეს კლდესა.
რადგანც მე მიყვარს, ზღვაო, მედგარი
და ბოზოქარი შენი ტალღები;
შენი უსაზღვრო აზვირთებული
გულისა ბრძოლის ტკბილი წამები!“ (ი.-ქსი 1909: 10)

პირველ ტალღას

„დაჰბერე, ქარო, აგორებულ ზღვას
მსურს ჩავურიო ტანჯვის ფიალა
და ქაფად ქცეულს გიჟმაჟსა ტალღას
ვამცნო გულისა მწვავე იარა!
აგორდი, ტალღავ, შენს თეთრ ზვირთებში
ჰკრთის მისწრაფება თავისუფალი;
მსურს ჩავეხუტო მას გიჟურ მკერდში
და მით აღვიგზნო გულში ტრფიალი.“ (დემონი 1909: 3)

პირველი ნაწარმოების ავტორი უცნობია (ხელმოწერილია ფსევდონიმით ი.-ქსი), მეორე კი – დემონის, ქუჩუ ქავთარაძის კალამს ეკუთვნის. ეს პოეტი, გალაკტიონის შეფასებით, წერდა „მშვენიერ, გრძნობიერ“ და „მთაბეჭდილების მომგვრელ“ ლექსებს (ტაბიძე 1975: 245).

გალაკტიონის ნაწარმოებს პირველ მათგანთან საერთო აქვს „მდუმარ ქვეყანასთან“ განშორების მოტივი, ხოლო მეორესთან – სათაურთა მსგავსება და ტალღისადმი მიმართვა.

პარალელურად, საგანგებოდ ვაკვირდებოდი „ახალ ტალღას“ სტილური თვალსაზრისით. გაირკვა, რომ ეს ნაწარმოები ლექსიკისა და სალექსო საზომის მიხედვით სიახლოვეს ამჟღავნებდა გალაკტიონის 1910 წლით დათარიღებულ ლექსთან „ტყეში“. შევადაროთ:

„ახალ ტალღას“:

„შენს მოლოდინში
გულს ნუ მიდაგავ,
დაჰკარ, დაჰქუხე,
ახალო ტალღავ!“

„ტყეში“:

„ეოლ, მთა-ბარი
ნუ შეაწუხე...
ტყეს ტალღა ჩქარი
დაჰკარ, დაჰტუხე!
ზვირთი დასმარი.
ჰა, ჩემი ქნარი!“

ამასთანავე, გალაკტიონის პოეზიაში შესიტყვება „ახალი ტალღა“ მხოლოდ ერთხელ გვხვდება, 1915 წლით დათარიღებულ ლექსში „სანთელი“ („ყოველდღე მოდის ახალი ტალღა/ მყვირალა, სუსტი და დღევანდელი“).

ეს ფაქტები მიგვანიშნებდა, რომ გალაკტიონის „ახალ ტალღას“ პოეტის შემოქმედების ადრეულ პერიოდს მიეკუთვნებოდა, ამდენად, კვლავ განვაახლე პირველნაბეჭდი ტექსტის ძიება, რის შედეგადაც, სრულიად მოულოდნელად, გაირკვა, რომ რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება ალმანახ „ახალი ტალღის“ ერთადერთი ეგზემპლარი. ელექტრონულ კატალოგში წარმოდგენილი აღწერილობა არ იძლეოდა იმის საშუალებას, გაგვერკვია, ნამდვილად იყო თუ არა მასში დაბეჭდილი გალაკტიონის ტექსტი. მოხდა ისე, რომ დაახლოებით ამ პერიოდში, პეტერბურგში მივლინებით იმყოფებოდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, ქალბატონი ირმა რატიანი. ქალბატონმა ირმამ, ჩვენი თხოვნით, რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკიდან ჩამოგვიტანა ამ ალმანახის ქსეროასლი. აღმოჩნდა, რომ „ახალი ტალღაში“ დაბეჭდილი იყო ლექსი „ახალ ტალღას“ - გალაკტიონის ნაწარმოების სრული, ხუთსტროფიანი რედაქცია.

საბოლოოდ, ამ ტექსტის თავგადასავალი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1909 წლის მიწურულს ალმანახ „ახალი ტალღისათვის“ გალაკტიონი წერს ლექსს „ახალ ტალღას“. ნაწარმოები წარმოადგენს ახალგაზრდობისადმი, ახალი თაობისადმი მიმართვას. შემდეგ ეს ლექსი გალაკტიონს არცერთ კრებულში აღარ შეაქვს (როგორც ჩანს, კონკრეტული ალმანახისათვის დაწერილი ნაწარმოების განმეორებით პუბლიკაციას აღარ თვლის საჭიროდ). 40-იანი წლების ბოლოს ს. ჭილაია ვრცელ ნარკვევს უძღვნის გალაკტიონის XIX საუკუნის მწერლობასთან მიმართებას, იმოწმებს ამ ნაწარმოებს და აქცენტს აკეთებს მასში არსებულ „ბრძოლის მოტივზე“. აღნიშნულ ნარკვევს ეცნობა გალაკტიონი და ახსენდება ათწლეულების წინ დაწერილი ლექსი... პოეტს, რა თქმა უნდა, ხიბლავს 1909 წელს შექმნილი ნაწარმოების ამგვარი, თანამედროვეობის შესაბამისი ინტერპრეტაცია და 1950 წელს უბის წიგნაკში ჩაინიშნავს, რომ ეს „ახალ ტალღას“ უნდა მოძებნოს, იქვე ახსენებს ს. ჭილაიას:

„საჯარო ბიბლიოთეკაში - მონახვა ჟურნალ „განათლების“ იმ ნომრების, რომლებშიაც მოთავსებულია: „მასწავლებლო, განახლების ჩამოჰკარ ზარი“. „ყვითელი ფოთოლი“ (თუ შემოდგომა?), აგრეთვე პოემა „მწყემსი“ გაზ. „თემში“, ლექსი „ახალი წელი“ გაზ. „თემში“, „ახალი ტალღა“... (შეიძლება ეს ლექსი აქვს ს. ჭილაიას?). სულ - 4 ლექსი და ერთი პოემა“ (დღიური 610).

გალაკტიონმა, როგორც ჩანს, მოიპოვა თავისივე ნაწარმოების ტექსტი. „ახალ ტალღას. გადაწერილია“, - ვკითხულობთ 1950-იანი წლების უბის წიგნაკში. თუმცა, გადაწერის დროს პოეტმა ტექსტი შეცვალა - ხუთი სტროფის ნაცვლად, მხოლოდ სამი დატოვა; უარყოფილია ის სტროფები, რომლებიც პეიზაჟს გვიხატავს და, რაც მთავარია, სევდიან განწყობილებას გამოხატავს, რის შედეგადაც ლირიკული გმირის „მებრძოლი სულისკვეთება“ კიდევ უფრო იკვეთება. ამის შემდეგ გალაკტიონი გადაწყვეტს, რომ „ახალ ტალღას“ წარმოაჩინოს, როგორც საუკუნის დასაწყისის ახალგაზრდა თაობის პოეტური მანიფესტი. სწორედ ამ მცდელობას ასახავს 1950 წლის თებერვლით დათარიღებული მისი ერთი ჩანაწერი:

„1. მთავარია: რა სიახლე მოაქვს ახალგაზრდობას?

2. ერთი დამახასიათებელია თვისება: XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში იფეთქა არაჩვეულებრივმა სიახლემ ქართულ პოეზიაში.. „პირველი ტალღა“, „პირველი ნაბიჯი“, „მოწაფე“, „შუქი“ და სხვ.] გამოვიდნენ [ალმანახები] ახალგაზრდა ძალები. ეს იყო ნახევარი საუკუნის წინად.... ორივე ალმანახი ჩემის ლექსებით იხსნებოდა: „პირველი ტალღა“, „კოლხიდა“.

ეს იყო ალმანახები, რომლებითაც აღინიშნა ამ საუკუნის დასაწყისი.

მედროშე, მეკვლე მე ვიყავ. ორივე ალმანახი ჩემის ლექსებით იხსნებოდა:

[შავზნელი დროი]
[შენის] ლოდინით შენით
გულს ნუ გვითალხავ...

დაჰკარ, დაჰქუხე -
ახლო ტალღავ!

[გაიძახოდენ] გაისმა ტფილისის ქუჩებში ჟურნალ-გაზეთების გამყიდველების ხმამაღალი ძახილი: მომეცით „პირველი ტალღა“, მომეცით „პირველი ნაბიჯი“. [ერთმანეთს] ხელიდან სტაცებდენ ახალგაზრდა მკითხველები - აღმანახებს გამყიდველს და [მართლაც რომ] დაიდრა ახალი ტალღა. ჩვენი ძველისძველი და <...> სემინარია - მაშინ ხომ უნივერსიტეტი არა გვქონდა, საქართველოში ყველაზე მაღალ სასწავლებლად ითვლებოდა. რომ დრო მქონდეს და ავსწერო ის წლები, დასაწყისი XX საუკუნის.

„ხრისტუს რეზურექციის დე მორტუის, მორტე, მორტე კოლკავიტ! ეტენტიბუს სილსე პულხაროს... ვიტა დონავიტ!“ - გალობდენ ლათინურად. ჰვიქრობდენ და სწერდენ ქართულად:

„ლოდინით შენით გულს ნუ გვითალებავ,
დაჰკარ, დაჰქუხე, ახლო ტალღავ!“

სწორედ ამ თაობას მოუხდა ჯერ სიმვოლისტებისა და დეკადენტების, შემდეგ უნიჭო ფუტურისტების თავდასხმის მოგერიება. მათ რომ გაემარჯვნათ - ეს სამარცხვინო დადი იქნებოდა XX საუკუნის ლიტერატურისათვის, მაგრამ ყველაფრის კარგად მცოდნემ ქართველმა საზოგადოებამ არ მიიღო მათი მსოფლმხედველობა” (დღიური 250).

ვფიქრობ, ამ ჩანაწერის ბოლო სტრიქონები აშკარად მიგვანიშნებს, რომ „ახალ ტალღასთან“ დაკავშირებული ისტორია პოეტის კიდევ ერთი მისტიფიკაციაა: ამჯერად ავტორის მიერ ადრეული ნაწარმოების ტექსტისა და კონტექსტის შეცვლით განხორციელებული მისტიფიკაცია. ჩვენი მოხსენება კი ერთგვარი ნიმუშია იმისა, თუ რამდენ სირთულესთან იყო დაკავშირებული გალაკტიონის თუნდაც ნაკლებადმნიშვნელოვანი ტექსტების დათარიღებისა და კომენტარების პროცესი პოეტის ახალ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობისას.

ლიტერატურა:

- ბარათაშვილი 1968: ბარათაშვილის ნიკოლოზ. თხზულებანი, თბილისი: 1968.
დემონი 1909: დემონი, პირველ ტალღას. აღმანახი „პირველი ტალღა“, 1909, #1.
დოიაშვილი 1999: დოიაშვილი თეიმურაზ. ვერსიფიკაციული პორტრეტები. თბილისი: 1999.
ი.-ქსი 1909: ი.-ქსი, ზღვას. აღმანახი „პირველი ტალღა“, 1909, #1.
კავთიაშვილი 2006: კავთიაშვილი ვენერა. გერმანული ლიტერატურულ-ესთეტიკური რეცეფციები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. თბილისი: 2006.
ტაბიძე 1966: ტაბიძე გალაკტიონ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I. თბილისი: 1966.
ტაბიძე 1975: ტაბიძე გალაკტიონ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII. თბილისი: 1975
ტაბიძე 2005: ტაბიძე გალაკტიონ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, წიგნი პირველი. თბილისი: 2005.
ქურთიშვილი 2000: ქურთიშვილი შორენა. ათ და თოთხმეტმარცვლიანნი საზომები გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში. „სჯანი“, I, 2000.
ჭილაია 1951: ჭილაია სერგი. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, თბილისი: 1951.

Natia Sikharulidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

BETWEEN REALITY AND MYSTIFICATION

RESUME

The paper analysis Galaktion Tabidze's verse "To New Wave" dates 1909 that is considered to be an influence of N. Baratashvili's well-known verse "Thoughts at the Mtkvari Bank". In the authors's view Galaktion begins his verse with special aim in order to remind us N. Baratashvili's verse. Similiarity between the verses is limited only on this. "To New Wave" is an appeal towards the seminar's pupils, young poets and it will be reliable to consider Galaktion's verse an attempt of conforming with poetic traditions and appealing of the novelty.

Problem of Dating of this verse is also solved in our article. We may suppose that "To New Wave" is Galaktion's poetical mystification and it is the result of changing the text and the context of the verse.

ირლანდიური თემა ჯორჯ მურის მოთხრობების კრებულში „მოუხვნიელი ველი“

ცნობილი ინგლისელი მწერლის ჯორჯ მურის შემოქმედების მნიშვნელოვანი პერიოდი უკავშირდება ირლანდიურ ლიტერატურულ აღორძინებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს. მიუხედავად იმ იმედგაცრუებისა, რაც წილად ხვდა მწერალს, როგორც ირლანდიური თეატრალური მოძრაობის მონაწილეს, მას ფარ-ხმალი არ დაუყრია და ლიტერატურული მოღვაწეობა არ შეუწყვეტია. იგი პროზაულ თხრობას დაუბრუნდა.

უმეტეს მკვლევართა აზრით, ჯ. მურის საუკეთესო ნაწარმოებები სწორედ ირლანდიურ თემას ეძღვნება. მათ შორის აღსანიშნავია მოთხრობების კრებული „მოუხვნიელი ველი“. ირლანდიასთან დაკავშირებულ მოთხრობებს, როგორც თავისი შინაარსით, ისე მხატვრული ფორმით, განსაკუთრებული ადგილი უკავია მურის შემოქმედებაში. ისინი მოწმობენ, თუ რამდენად ღრმად შეიგრძნო მწერალმა თავისი სამშობლო და რამდენად მკაფიოდ წარმოადგინა მან ირლანდიური სოფელი და მისი მცხოვრებნი. „თითოეული მოთხრობა... მეხმარებოდა მე უფრო კარგად გამეგო ჩემი ქვეყანა“,¹ – წერდა მური. ირლანდიაში გატარებულმა დრომ, პირადად დაკვირვებებმა და შეხვედრებმა შესაძლებლობა მისცა მას სამშობლოში ბევრი რამ ახლებურად დაენახა. ამ მხრივ მწერალზე დიდი გავლენა მოახდინა მხატვარმა კლარა ქრისტიანმა, რომელიც დაეხმარა მას შეეგრძნო ირლანდიური ბუნების სილამაზე. მური არაერთხელ აღნიშნავს კლარას დამსახურებას: „იგი ამჩნევდა წლის დროთა ყველა ცვლილებას, უყვარდა ისინი და მეც მასწავლიდა მათ სიყვარულს“.² ამიტომაც თუ ადრე მურთან პეიზაჟებს აქა-იქ თუ შეხვდებით, ირლანდიურ პერიოდში პეიზაჟი და წელიწადის დროთა ცვალებადობა მისი შემოქმედების ორგანული ნაწილი ხდება. მხატვრის საუბრები პეიზაჟებზე ახალ-ახალ თემებს აწვდიდა მწერალს, მაგრამ რაც მთავარია, ჯ. მურის აზრით, კლარამ ყურადღება მიაქცევინა მას გლეხური მეტყველების სილამაზეზე. ხალხური მეტყველების ეს მომხიბვლელობა მწერალმა უხვად გამოიყენა თავის მოთხრობებსა და მოგვიანო რომანებში. კლარა ქრისტიანის დამსახურება ისიცაა, რომ ჯ. მურს მიუთითა ხალხური მეტყველების ინტონაციურ თავისებურებებზე. ამ გარემოებამ შემდგომ დიდი როლი ითამაშა მწერლის სტილის ჩამოყალიბებაზე.

თვით კლარა ქრისტიანი ცოცხალი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა განეხორციელებინა მურს დიდი ხნის პრობლემა ისეთი მხატვრული მეთოდის პოვნისა, რომელიც სულის „ქვე-ცხოვრებას“ გამოხატავს: გმირის შთაბეჭდილებების გადმოცემა მის გარე სამყაროზე, თუ როგორ და რა გზით აღიქვამს იგი ყველაფერს, ისე რომ მწერალს საშუალება ეძლევა ჩაიხედოს გმირის შინაგან „მე“-ში. ცნობილია, რომ ჯ. მურმა განიზრახა მცირე ფორმატის მოთხრობების დაწერა. ამ მოთხრობების თემა იყო ირლანდიელი გლეხების ცხოვრება. ეს მოთხრობები გელურ ენაზე უნდა ეთარგმნათ და გელური ენის სახელმძღვანელოში შეეტანათ. ამ კეთილ საქმეშიც კლარა ქრისტიანის ხელი ურევია. მანვე დაუმოწმა მურს, რომ ტურგენევის „მონადირის ჩანაწერები“ შესანიშნავი ნიმუში იქნებოდა იმ მოთხრობებისათვის, რომლებმაც შემდეგ შეადგინეს კრებული „მოუხვნიელი ველი“.

ჯორჯ მური იყო პირველი, ვინც დაანახა მის თანამედროვე ირლანდიელ მწერლებს, რომ საუკეთესო მოკლე მოთხრობა სათავგადასავლო კი არ უნდა იყოს, არამედ ადამიანის სულის მოძრაობას უნდა იკვლევდეს, ღრმად და ნათლად წარმოადგენდეს უბრალო ადამიანების ყოფა-ცხოვრებას. და, მართლაც, ძირითადი თემა, რომელიც ჟღერს ამ კრებული მოთხრობებში, ესაა ადამიანის სულიერი მხარე, კერძოდ, მარტოობის პრობლემა, რასაც თვითონ აღნიშნავდა თავისი მოთხრობების ერთ-ერთი კრებულის „მარტოხელების ცხოვრებები“ შესავალში და, რაც ასე აღელვებდათ მის შემდგომდროინდელ მწერლებს, კერძოდ, მოკლე მოთხრობების ავტორებს. ცნობილი ირლანდიელი მწერალი და ლიტერატურული კრიტიკოსი ფ. ო'კონორი თავის გამოკვლევაში მოკლე მოთხრობის შესახებ „მარტოხელა ხმა“ აღნიშნავს: „მოკლე მოთხრობაში არის რაღაც განსაკუთრებით დამახასიათებელი, რასაც ჩვენ ხშირად ვერ ვპოულობთ რომანში – ესაა ადამიანური მარტოობის ინტენსიური შეგრძნება“. მარტოობის სწორედ ასეთი ყოვლისმომცველი შეგრძნება გამოსჭვივის ჯ. მურის მოთხრობებში.

საინტერესოა ამ კრებული წარმოშობის ისტორია. 1903 წლის თაუხნიცის გამოცემის შესავალში, რომელიც ჯ. ეგლინტონისადმი მიმართული, მური აცხადებს: „თქვენ შემომთავაზეთ დამეწერა

¹ Moore G. Hail and Farewell, Salve. p. 168.

² Moore G. Hail and Farewell, Vale. London. 1914, p.196-197.

მოთხრობების კრებული ირლანდიურ ცხოვრებაზე. ეს კრებული, თქვენი თქმით, იქნებოდა მოგონებების წიგნი, რომელსაც სიცოცხლეს მიანიჭებდა სამშობლოში დაბრუნებული ადამიანის დაკვირვება და კრიტიკა”.¹ ეს შემოთავაზება მართალი უნდა იყოს, თვით ეგლინტონმა დაადასტურა იგი. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ კრებული „მოუხვნიელი ველი“ ამ წინადადების შედეგად წარმოიშვა. 13 მოთხრობიდან, რომლებიც 1903 წლის პირველ ინგლისურ გამოცემაშია, სამი დაბეჭდილი იყო ადრეც 1887-1893 წლებში, მაშინ როცა ჯ. მური ჯერ კიდევ არ იცნობდა ჯ. ეგლინტონს. რადგან მოთხრობების უმეტესი ნაწილი დაწერილი ან გადაწერილი იყო 1901-1902 წლებში, შესაძლებელია მურს ახალი ფორმა მიეცა ძველი მოთხრობებისათვის, გადაეკეთებინა ისინი ჯ. ეგლინტონის რჩევის შესაბამისად, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია.

ყურადღებას იმსახურებს კრებულის სახელწოდება. ირლანდიაში ჩასულ ჯ. მურს, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა თავისი წვლილი შეეტანა სამშობლოს აღორძინებაში, თვალწინ გადაეშალა „მოუხვნიელი ველი“. მკვლევარი კ. ომანი ამ სათაურში ხედავს კრებულის მთავარ იდეას – იგი სიმბოლოა იმ საშინელი დუხჭირი მდგომარეობისა და ჩამორჩენილობის, რომელშიც იმყოფებოდა ირლანდია.² ა. ფეროუ აკავშირებს მას შელის ცნობილ სონეტთან „England in 1819”.³ რაც შეეხება მ. ბრაუნს, იგი ამ სახელწოდებაში ხედავს ჯ. მურის პირადი ხასიათის საინტერესო ნიუანსს: მწერალი ერთ-ერთი პირველი იკვალავს გზას ირლანდიური ხელოვნების მოუხვნიელ ველზე.⁴

ჯ. მურის კრებულში „მოუხვნიელი ველი“ მოთხრობების ორი სახესხვაობა შეიმჩნევა – მამხილებელი მოთხრობები, რომლებშიც ნაჩვენებია უშინაარსო, მოსაწყენი ცხოვრება ირლანდიაში, ქვეყანაში, სადაც ყოველგვარი სასიცოცხლო ძალა დაცემისა და დაქვეითების გზაზეა, და ლირიკული მოთხრობები, რომლებიც ფსიქოლოგიურ მომენტებზეა აგებული.

აღსანიშნავია რომ მკვლევართა უმრავლესობა ფსიქოლოგიური ხასიათის მოთხრობებს მეორეხარისხოვნად მიიჩნევს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოთხრობებს, რომლებშიც სოციალური თემატიკა ჟღერს. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მკვლევარი ჰ. ჰოვარტი, რომელმაც სხვა ეპითეტები ვერ მოძებნა ამ მოთხრობებისათვის, გარდა „სენტიმენტალურისა“ და „ფილანტროპიულისა“,⁵ და რაც, ჩვენი აზრით, სათანადოდ ვერ აფასებს მათ მხატვრულ ღირებულებას. ამაში ჯ. მურის ფსიქოლოგიური მოთხრობების განხილვა დაგვარწმუნებს.

„საქორწინო კაბა“ - ეს მოთხრობა მოხუცი ქალის შესახებაა, რომელიც, როგორც ამბობენ, ერთ დროს მეტად ლამაზი და მდიდარი ყოფილა; მეუღლეც ჰყოლია, რომელსაც უყვარდა და რომელიც უყვარდა... მაგრამ ახლა ყველაფერი წარსულს ჩაბარებულა. ჩვენ ვცნობით მას ღრმა მოხუცებულობაში, როცა იგი ნათესავებს შეჰკედლებია და არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ სიკვდილს დაელოდოს. თუმცა არსებობს ერთი რამ, რაც მას ამ ცხოვრებასთან აკავშირებს. ესაა მისი საქორწინო კაბა, რომელიც 65 წელია სასოებით სკივრში უდევს, და როგორც იტყვიან, ცივ ნიავეს არ აკარებს. მური, რომელიც კარგად იცნობდა ქალის ბუნებას, დამაჯერებლად აჩვენებს ცვლილებებს, რასაც მისი გმირი ქალები განიცდიან. ეს ტრანსფორმაცია კარგად ჩანს მოხუცის საქციელში. ახალგაზრდა ქალიშვილი მოლი, რომელიც დღედაღამ მასთანაა და ბავშვივით თავს დასტრიალებს, მოხუცს საკუთარ ახალგაზრდობას მოაგონებს. იგი გულიდან იგლეჯს ყველაზე ძვირფასს, რაც მას ამ ცხოვრებაში შერჩენია, საქორწინო კაბას და აძლევს მოლის. მოლი ხომ კაბის უქონლობის გამო წვეულებაზე ვერ წასულა. არც მოლის ხასიათი რჩება სტატიკური; მისი თავდაპირველი, არც თუ ისე კეთილშობილური მიზეზით ნაკარნახევი გრძნობა მოხუცისადმი, ნამდვილ ადამიანურ გრძნობაში გადაიზრდება.

მკითხველი გულგრილი ვერ დარჩება ამ ღრმა ფსიქოლოგიური ამბავისადმი, რომელიც მოკლე მოთხრობის ფარგლებში ვითარდება და ესოდენ შთამბეჭდავია.

ასევე ემოციური და შთამბეჭდავია მოთხრობა „კლერკის ძიება“. ბანკში მომუშავე კლერკი, რომლის ცხოვრება სამუშაოსთვის განკუთვნილი სივრცით შემოიფარგლება და გამოირჩევა თავისი შრომისმოყვარეობითა და პუნქტუალობით, უეცრად საოცრად იცვლება. მისი მიძინებული ადამიანური გრძნობები გამოავლინა იმ სუნამოს სურნელმა, რომელიც მუდამ ასდიოდა ვინმე ჰენრიეტ ბრაუნის მიერ გამოგზავნილ ჩეკებს. ამოტივტივდნენ უკვე მივიწყებული ოცნებები. არსებობისათვის ბრძოლას იწყებს უცნობი იმედი, რომელიც ცხოვრების მკაცრ წესს დიდი ხნის წინ ჩაუხშვია მასში. მან არ იცის ამ მანდილოსნის არც ასაკი, არც შეხედულება, არც ოჯახური მდგომარეობა, მაგრამ არაფერს არა აქვს მისთვის მნიშვნელობა. ეს სახელი და სურნელი კლერკისთვის საკმარისია, რომ თავით ბოლომდე მიეცეს

¹ Moore G. The Untilled Field. Leipzig. 1903. p.5.

² C. Ohmann. George Moore's "Esther Waters", p.186.

³ Farrow A. George Moore. Boston, Massachusetts, 1978, p. 113. შელის ამ სონეტში შემდეგი სიტყვებია: "A people starved and stabbed in the untilled field".

⁴ Brown M. George Moore: A Reconsideration, p. 158.

⁵ Howarth H. Dublin 1899-1911, The Enthusiasms of a Prodigal, p.85, in George Moore's Mind and Art.

ამ მოულოდნელ გრძნობას, რომელიც ასე უეცრად შემოიჭრა მის ცხოვრებაში. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, იგი სტოვებს სამსახურს, მიდის ჰენრიეტის საძიებლად და ქურდების მიერ გამარცხვლი იღუპება. მისი უკანასკნელი სიტყვაც „ჰენრიეტი“ იყო.

მოთხრობა „და ასე ცხოვრობს იგი“ – პატარა ბიჭის ულიქ ბრუქის შესახებაა. ბიჭს დედის სასტიკი მოპყრობა აიძულებს დატოვოს სახლი და მშობელი დედა, რომელიც სძულს. წლების შემდეგ იგი ერთხელ კიდევ ესტუმრება თავის მშობლიურ სახლს, მაგრამ დედისეული შეხვედრა ანანებინებს დაბრუნებას. ერთადერთი, რასაც ახლა იგი შეიგრძნობს, ესაა საოცარი ტკივილის გრძნობა. კიდევ გაიფიქრებს – თავს დავიხრჩობო, „მაგრამ მხოლოდ ბავშვები იხრჩობენ თავს, როცა დედის სიყვარული აკლიათ.“¹ ცხოვრებამ გამობრძმედა იგი.

როგორც ხედავთ, ყველა ამ მოთხრობას თან სდევს მარტოობის ის თემა, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ.

მოთხრობა „მოწყალების გაცემა“ განსხვავდება ყველა განხილული მოთხრობისგან. მასში ბრმა მათხოვარი ისეთ ჭეშმარიტებას ასწავლის ჯენტლმენს, რომელსაც ამ უკანასკნელის აზრით, ვერც ერთ წიგნში ვერ ამოიკითხავ. ჯენტლმენს მეტად რთული გრძნობები ამოძრავებს მათხოვრის მიმართ. ერთი მხრივ, მას ეცოდება მათხოვარი, რადგან ამ საბრალო არსებისათვის წუთისოფელი ბნელს მოუცავს. მეორე მხრივ, ეჯავრება და უკვირს თუ რატომ ეხმარება ამ გლახაკს, რომელსაც აქამდე თავი არ მოუკლავს, რათა ბოლო მოუღოს თავის დაუსაბამო და დაუსრულებელ მარტოობას. მაგრამ მალე ირკვევა, რომ ბრმა არც ისე უმინაარსო ცხოვრებით ცხოვრობს: ჰყავს ოჯახი, შვილები, რომელთა დასასვენებლად გასაშვებადაც კი ზრუნავს; ჰყავს ამხანაგები, რომლებიც საღამოობით მასთან იკრიბებიან და ა.შ. სწორედ ეს ბრმა ასწავლის ჯენტლმენს, რომ ადამიანი არასოდეს არ უნდა მოეშვას, არასოდეს არ უნდა დაყაროს ფარ-ხმალი, რადგან ამას აშკარა დაღუპვა მოჰყვება.

როგორც ვხედავთ თავის ფსიქოლოგიურ მოთხრობებში ჯ. მური რაიმე გარკვეული სოციალური წრითა თუ ჯგუფით არ ისაზღვრება. მას აინტერესებს როგორც შინაგანი ბუნება მოხუცი ქალისა, რომელსაც დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია, ისე პატარა ბიჭისა თუ ახალგაზრდისა, რომლებიც ახლახან შეუდგნენ ცხოვრების რთულ გზას. მწერლის კვლევის საგანია ბანკში მომუშავე „პატარა“ ადამიანი, რომელიც გვიან გაღვიძებულმა გრძნობებმა დაღუპვამდე მიიყვანეს, და მათხოვარი, რომლის ოპტიმიზმი მართლაც შესაშური და ჭკუის სასწავლებელია. ცხოვრებისეული რწმენა, ცოცხალი სახეები, ემოციური დაძაბულობა, რაც ამ მოთხრობებში აღწერილ სიტუაციებს ახლავს, ნამდვილი ადამიანური გრძნობები, რაც მათ გმირებს ამოძრავებთ – ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს მაღალი შეფასება მივცეთ ამ მოთხრობებს.

რაც შეეხება დანარჩენ მოთხრობებს, ყველა ისინი მამხილებელი ხასიათისაა. მათში აშკარაა ავტორის მკაცრი პოზიცია იმ პრობლემებისადმი, რომლებსაც იგი აღწერს და რომელთა გადაჭრა აუცილებელია, მიუხედავად მათი უკიდურესი სირთულისა. ჩვენს წინაშე იშლება თანმიმდევრული ინგლისური ტირანიისა და ამაო ირლანდიური პროტესტის ხანგრძლივი რთული ისტორია, რაც გვეხმარება გავიგოთ ამ კრებულის ემოციური თუ მორალური ფონი. სილატაკისა და გავერანების მძიმე ატმოსფერო, ყოველგვარი იდეალებისა და იმედების გაცრუება, ინდივიდუალური აზროვნების დათრგუნვა ეკლესიის მიერ, ისტერიული შიში სექსისა, როგორც უდიდესი ბოროტებისა, რომელიც კი ძალუძს ადამიანს, მონური ქედმოხრისა და მორჩილების აღრევა – ყოველივე ამას დიდი ოსტატობით გადმოგვცემს ჯორჯ მური და ამის პირველმიზეზად მიიჩნევს რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენას ირლანდიაზე.

ყველა მოთხრობაში ხაზი ესმება ირლანდიის გადატაკებულ, მძიმე მდგომარეობას. მწერალი არ ერიდება ყოველგვარი შელამაზების გარეშე დახატოს ირლანდიური სანახევროდ აყრილი სოფელი, სადაც რამდენიმე ნორმალურ სახლს თუ დაინახავთ, მაგრამ ისინიც, როგორც ირკვევა, ლენდლორდების მიერაა მიტოვებული. რაც შეეხება გლეხთა საცხოვრებელ პირობებს, ქოხებს, მათ თვალნათლივ წარმოსადგენად შემდეგი სიტყვები კმარა: „ბევრი ფიქრობდა, რომ ადამიანებსა და ცხოველებს ერთად არ უნდა ეცხოვრათ; მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა თუ ისინი ბედნიერები იყვნენ“.²

ჩვენს წინაშე იშლება ღარიბი ირლანდიური მრევლი, სადაც ასე ხშირია შიმშილობა. არაფერი საინტერესო არ შეიძლება ითქვას ამ მრევლზე გარდა იმისა, რომ იგი სულ უფრო და უფრო ღარიბდება. და ეს არცაა გასაკვირი. სოფლის მოსახლეობას არ გააჩნდა ელემენტარული პირობები, რაც მას ოდნავ გაუადვილებდა არსებობისათვის ბრძოლას. „ის ფაქტი, რომ ყოვლად ძლიერმა ღმერთმა უზრუნველყო კილმოსი ასობით მთის წყაროთი, არ ათავისუფლებს ხელისუფლებას იმ მოვალეობისაგან, რომ

¹ Moore G. The Untilled Field, Leipzig. 1903, p.215.

² იქვე, გვ. 151.

მომარაგოს სოფელი ტუმბოთი“.¹ ირლანდიაში არ არის ნორმალური გზები. ლენდლორდებს არ აქვთ მათი შეკეთების არც საშუალება და არც სურვილი. ხალხსაც არ აძლევენ შეკეთების უფლებას, რადგან ამ შემთხვევაში გზა საზოგადოებრივი გახდება. ამის დაშვება კი მათ კუთვნილ მიწაზე გამორიცხულია. მართალია, ზოგჯერ ხელისუფლება გასცემს სახსრებს გზების შესაკეთებლად, მაგრამ ეს თანხა ყოველთვის ისე მცირეა, რომ არც ერთი დაწყებული გზა ბოლომდე არ მიიყვანება. ეს კი არავითარ შედეგს არ იძლევა.

ჯორჯ მურის მიერ დახატული სურათი არც თუ ისე სახარბიელოა: ტყეს საქონელი შესევია, წყალსადინარს სარეველა ბალახი მოსდებია, დამდგარ წყალს დაუტბორავს მინდვრები... ასეთ გარემოში და ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის ირლანდიელ გლეხთა გარეგნული მხარე; მათი სახე, რომელსაც ხშირი შიმშილობისგან ყვითელი ფერი დაჰკრავს; დახეული ტანსაცმელი, რომელიც მთლიანად ვერ ფარავს სხეულს, მათი განუყრელი ატრიბუტია.

გლეხთა გარეგნობას შეესაბამება მათი შინაგანი ბუნება, ინტელექტის განვითარების დონე. „რამდენიმე სოფელი შემოვიდა. მათი გარეგნობა მეტად მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებდა... ისევე როგორც მათი საუბარი“.² ხშირია შემთხვევა, როცა ისინი მთხრობელისა ან გარეშე პერსონაჟის თვალში ცხოველებთან ასოცირდებიან. მძიმე პირობებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, არ შეეძლოთ ასეთი დადი არ დაესვათ მათზე. ამიტომაც სავსებით უსარგებლოა მათთვის სასულიერო პირის მიერ აშენებული თეატრი; ისევე უსარგებლოა როგორც გზა, რომელსაც არსად არ მივყავართ.

ირგვლივ საშინელი უვიცობა დასადგურებულა, რაც აუტანელია ოდნავ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისათვის, ვისაც ერთხელ მაინც ჩაუყლაპავს სუფთა ჰაერი ირლანდიის დახშული სამყაროს მიღმა. ამ უვიცობის თანამგზავრია ცრუმორწმუნეობა, რომელსაც სადამდე არ დაჰყავს ადამიანი. ირლანდიელ გლეხთა უმრავლესობას სჯერა საეკლესიო პირთა ყოვლისშემძლეობა და ეს რწმენა იმდენად დიდია, რომ იმის შიშით, რომ სასულიერო პირმა ისინი კურდღლებად არ აქციოს, ხმას არ სცემენ სოფლიდან მოკვეთილ ქალიშვილს.³

მოთხრობაში „საქორწინო ნადიმი“ ლაპარაკია სასულიერო პირზე, რომელიც სარგებლობს ქალის უვიცობითა და ცრუმორწმუნეობით; ემუქრება, რომ რქებიანი შვილი გაუჩნდება და აიძულებს ზემოქმედება მოახდინოს ქმარზე, რათა მან ხმა მისცეს სასულიერო პირისათვის სასურველ კანდიდატს. ამ ცრუმორწმუნეობას ბიდი მ'პეილი – საკმაოდ შეძლებული ქალი, რომელსაც წიწილების გაზრდით გარკვეული თანხაც კი დაუგროვებია – იქამდე მიჰყავს, რომ რელიგიურ ექსტაზში შესულს, ყველაფერს ავიწყებინებს: სახლს, თავის საქმიანობას და ბოლოს იგი სხვათა სარჩენი ხდება.⁴ ამ დონემდე დასულ ხალხს, რა თქმა უნდა, ადვილად განაგებენ სასულიერო პირები, რომელთა წინააღმდეგ არის მიმართული მოთხრობების უმრავლესობა.

როგორც მკვლევარი ჰ. ჰოვარტი აღნიშნავს, ჯ. მურს ყველა ირლანდიელი სასულიერო პირი დესპოტური ხასიათის და შეზღუდული გონების რომ გამოეყვანა, მისი მოთხრობები ძლიერ პოლემიკას გამოიწვევდნენ. ამიტომაც ერთი სასულიერო პირის სულმდაბლობას, უნამუსობას და არაადამიანურობას მწერალი უპირისპირებს მეორის კეთილშობილებასა და შემწყნარებლობას. ასეთი დადებითი სასულიერო პირია გამოყვანილი მოთხრობებში „წერილი რომში“ და „თეატრი ვერან ადგილზე“. კათოლიციზმის მომავლით შემფოთებული მაკ ტურნანის რომის პაპს წერილს წერს. იგი წინადადებას იძლევა გაუქმებულ იქნეს საეკლესიო პირთა დაუქორწინებლობის კანონი, რადგან მხოლოდ მათ აქვთ საკმარისი სახსრები შვილების აღსაზრდელად. მისი აზრით, ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ერის შევსებას, განამტკიცებს რელიგიას და უფრო სტაბილურს გახდის მას. მაკ ტურნანმა, მას შემდეგ, რაც საეკლესიო პირთა დაქორწინების კანონის სიკეთე აღმოაჩინა, თავისი მრევლის ერთ ქალს შეხედა, როგორც სავარაუდო მეუღლეს. „თავის თავს ჰკითხავს, ნეტავი ისეთი დღე თუ გამითენდება, რომ მე ნორა ფლინის პირისპირ ვიჯდე სავარძელშიო – და ამის გაფიქრებაზე გაწითლდა. ხოლო, როცა საძინებელ ოთახს შეავლო თვალი, მუხლი მოიყარა და ლოცვა დაიწყო“.⁵

მაგრამ ძირითადად მურის სასულიერო პირები არც თუ ისე სახარბიელოდ გამოიყურებიან; თვალშისაცემია მათი სისასტიკე და შეუწყნარებლობა. ისინი იჩემებენ არა მხოლოდ ხალხის წინამძღოლის უფლებას, არამედ სრულ ბატონობას მათ სიცოცხლეზე. ამ პირთა უმრავლესობა ჭირვეულია და ჭინჭელი; სდევნიან ცეკვას, გულწრფელ გრძნობებს, ეჯავრებათ გულწრფელობა; აბუჩად იგდებენ ხალხს, აწყობენ მათთვის ხელსაყრელ ქორწინებებს, თანაც არც თუ ისე უანგაროდ; სიკეთე

¹ იქვე, გვ. 67.

² იქვე, გვ. 42.

³ იქვე, გვ. 171.

⁴ იქვე, გვ. 105.

⁵ იქვე, გვ. 142.

მხოლოდ მქადაგებელთა კათედრიდან ეხერხებათ, უზოდშიოდ განაგებენ სხვათა ბედ-იღბალს, ყველა მოვლენას თავად ადებენ ფასს. საეკლესიო პირთა სწორედ ამ თვისებებს უსვამს ხაზს ჯორჯ მური თავის მოთხრობებში „მრევლი“, „ორმოტრიალი“ და „სამშობლოს სევდა“.

აი ამ დახავსების თემასთან ერთად თანაარსებობს მეორე თემაც – ესაა გადასახლების, გაქცევის თემა, კერძოდ ამერიკაში, იმ საოცნებო ქვეყანაში, სადაც თითქოსდა შესაძლებელია ადამიანის მისწრაფებათა ხორცშესხმა. ეს თემა მამხილებელ მოთხრობებში მეტ-ნაკლებად ყველგანაა გატარებული. ირლანდიიდან ემიგრაციას ბევრი მიზეზი აქვს, რომელთა შორის აღსანიშნავია სასულიერო პირთა ძალმომრეობა; ხალხის უვიცობა და ამით შექმნილი სიტუაცია; ყოველგვარი იმედგაცრუება, პირადი თუ საზოგადოებრივი. ვერავინ ვერ აღუდგება საეკლესიო პირთა მრისხანებას. ემიგრაციას, რაც ყოველნაირად აუძლურებს ქვეყანას, ხელს უწყობს სასულიერო პირთა დესპოტიზმი.

ჯულია კაპილი მოთხრობაში „ჯულია კაპილის წყევლა“ – საოცრად ლამაზი გოგონაა, რომელიც საღად აზროვნებს და ამდენად არ ემორჩილება სასულიერო პირს, რომელსაც სურს რომ იგი ერთ ჟერმერს მიათხოვოს. საქმე ისე გამწვავდება, რომ ქალს საზოგადოებას მოჰკვეთენ. გაძევებული ჯულია სწყევლის მათ და ამერიკას მიაშურებს. ახალგაზრდა ლამაზი ქალის გაქცევას მძიმე შედეგი მოჰყვება. მისი მშობლიური მრევლი იქცა „ყველაზე ეულ, მივარდნილ მრევლად ირლანდიაში“. იქ დაისადგურებს მურის სხვა გმირებისათვის ნაცნობი მარტოობა და სევდა. სასულიერო პირის მიერ მშვენიერების გაძევებამ გამოჟიჭა ირლანდიის მიწა.

ჯ. მური ხაზგასმით აჩვენებს საეკლესიო პირთა გადაწყვეტილებას ჩაახშონ ან ქვეყნიდან განდევნონ ინდივიდუალობის ნებისმიერი გამოვლინების ყველა მცდელობა. მოთხრობაში „სამშობლოს სევდა“ მური არა მარტო აჩვენებს იმას, თუ რამდენად ახშობს კლერიკალური ავტორიტეტი ადამიანურობას, ყოველივე ჯანსაღსა და ბუნებრივს, არამედ უპირისპირებს კიდევ ერთმანეთს ირლანდიურ უგერგილობასა და სიზანტეს ამერიკულ საქმიანობას და სიმარდეს. ჯეიმს ბრაიდენი ჯანმრთელობის აღსადგენად ბრუნდება ამერიკიდან ირლანდიაში და აქ შეუწყვარდება მარგარეტ დირკენი. როდესაც გარშემო მიმოიხედავს, თავზარი დაეცემა. შეძრწუნებულია ირლანდიელთა მორჩილებით სასულიერო პირისადმი, ამ უკანასკნელის უსაზღვრო ძალაუფლებით. შიშმა ამ დახშული სამყაროს მიმართ, რომლის ცენტრშია სასულიერო პირი – აიძულა ბრაიდენი დაეტოვებინა ირლანდია, დაეტოვებინა მარგარეტ დირკენი. იგი გაექცა ირლანდიურ სოფელს და ამერიკაში ხმაურიან ბარს მისცა უპირატესობა.

ცნობილი ირლანდიელი ლიტერატურული კრიტიკოსი ფ. ო'კონორი ნარკვევში „ირლანდიური ლიტერატურა“ წერს, რომ საექვოა ირლანდიურ ლიტერატურაში მოიპოვებოდეს უკეთესი მოკლე მოთხრობა, ვიდრე „სამშობლოს სევდა“. იგი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ირლანდიური მოთხრობაა, რადგანაც გადასახლება, გაქცევა ისეთივე ნაწილია ირლანდიური ცხოვრებისა, როგორც დაბადება, სიყვარული და სიკვდილი. და ეს კარგად ჰქონდა შეგნებული ჯ. მურს. თუ „გადასახლების“ გმირის ჯეიმს ფელანის წასვლის მიზეზი ამერიკაში პირადულია, ნედ კარმადის (მოთხრობა „გარეული ბატი“) მიერ სამშობლოს დატოვების მიზეზი როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ხასიათისაა. მოთხრობაში მური აღწერს, თუ აღმაფრენა როგორ გადაგვარდა უმოქმედობაში, დახავსდა, ღვთისმოსავი ქრისტიანობა კი განვითარების შემაფერხებელ ძალად მოგვევლინა. ავტორი ლაპარაკობს ნედ კარმადის მეშვეობით, რომლის პოლიტიკური მისწრაფებანი ირლანდიის შესახებ ჩახშული იქნა მორწმუნე ცოლისა და საეკლესიო პირების მიერ. თავდაპირველად იფიქრებს, მე ის ადამიანი ვარ, რომელიც ირლანდიას სჭირდება და ცოლის მიერ გამხნეებული მთელი სულითა და გულით პოლიტიკას მიჰყოფს ხელს. მაგრამ მალე აითვალისწინებენ, როგორც კი შეამჩნევენ მის ანტიკლერიკალობას და ირლანდიაში ახალი სულიერი თუ პოლიტიკური წესრიგის დამყარების სურვილს. ბოლოს, ყოველმხრივ ხელმოცარული ნედი სტოვებს ირლანდიას. ამ საქციელით კარმადი გამოხატავს არა მარტო თავისუფლების წყურვილს, არამედ ირლანდიისადმი ზიზღსაც.

ჯორჯ მურის მოთხრობები ნოვატორული მოვლენაა როგორც კომპოზიციური, ისე მხატვრული თავისებურებების თვალსაზრისით. ირლანდიურ ნიადაგზე წარმოშობილი ეს მოთხრობები, შედუღებული ერთიანი აზრით, საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ მწერლის სულ უფრო მზარდ ინტერესს თავისი ქვეყნისადმი.

„მოთხრობა მოთხრობას მისდევდა და ყოველი მათგანი ისე ყალიბდებოდა ჩემს გონებაში, რომ წინა მოთხრობა ჯერ დასრულებული არ მქონდა“, „თითოეული მოთხრობა მეხმარებოდა გამეგო ჩემი საკუთარი ქვეყანა“.¹ არიან მწერლები, რომლებსაც მხოლოდ წერის პროცესში უყალიბდებათ ის, თუ რა უნდა დაწერონ, როგორ უნდა განავითარონ მოქმედება. კრებული „მოუხვნიელი ველი“ ამის ნათელი დადასტურებაა.

¹ Moore G., Hail and Farewell, Salve, p. 123-125.

მუშაობის ეს მეთოდი თავის კვალს ტოვებს კრებულის კომპოზიციაზე. მოთხრობები დაკავშირებულნი არიან არა მარტო საერთო განწყობილებით, არამედ გმირებითაც, რომლებიც ერთი მოთხრობიდან მეორეში გადადიან. ყველა მოთხრობა ირლანდიური სოფლის ნიადაგზეა წარმოშობილი. ერთ მოთხრობაში აღწერილი ფაქტი მოიხსენიება მეორეში. ბიდი მ'ჰეილის ამბავი მოთხრობაში „ფანჯარა“ მოხსენიებულია „გარეულ ბატმიც“.

რაც შეეხება მწერლის ენას, იგი მარტივი და ნათელია. ჯ. მურის დაინტერესება ირლანდიელი გლეხების ცხოვრებითა და მისი ლიტერატურული ფორმით ჩამოყალიბების სურვილი ნათელს ხდის მწერლის დაახლოებას ირლანდიელ ხალხთან, რამაც თავისი კვალი დატოვა ამ მოთხრობების კრებულის ენობრივ მხარეზე. მარტივ, შეულამაზებელ თხრობაში აშკარად შეიგრძნობა კავშირი ხალხურ მეტყველებასთან. როგორც წესი, მოქმედ პირთა საუბარი შორსაა მაღალფარდოვნებისგან. სწორედ ამან – მარტივმა თხრობამ, დეტალების ეკონომიურმა და ზუსტად გამოყენებამ დაატყვევა ლონდონის მიმომხილველები, როცა ეს კრებული დასრულებული სახით იხილეს 1903 წელს.

მოთხრობების გარკვეულ ნაწილში მთხრობელი გაიგივებულია პერსონაჟთან (მაგალითად, მოთხრობა „მოწყალების გაცემა“), ზოგან ავტორი უბრალოდ მთხრობელის როლში გამოდის (მაგალითად, მოთხრობები „გადასახლება“, „სამშობლოს სევდა“ და სხვ.). ორივე შემთხვევაში ნაჩვენებია ავტორისეული პოზიცია, მისი დამოკიდებულება აღწერილი ფაქტებისადმი. ჯ. მური არასოდეს არ ღალატობს ობიექტური მეთვალყურის როლს, რაც ეხმარება მას კრიტიკულად შეხედოს ირლანდიურ სინამდვილეს, მისი მოთხრობების ძირითად თემას.

ამ მოთხრობების კრებულში არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით ბუნების სურათებს, თუმცა აქ ეს ისეთ დიდ მასშტაბებს არ იძენს, როგორც მის შემდეგ ნაწარმოებებში.

ჯ. მურის მოთხრობების კრებული „მოუხვნელი ველი“ ირლანდიური მოკლე მოთხრობის მნიშვნელოვანი ნიმუშია. უკლებლივ ყველა მკვლევარი, ვინც კი შეხება ჯ. მურის ამ ნაწარმოებს, ხაზს უსვამს მის მხატვრულ და სოციალურ ღირებულებას, აღიარებს მის წვლილს ანგლო-ირლანდიური ლიტერატურის განვითარების საქმეში.

Nona Kometiani

Sokhumi State University

IRISH THEME IN GEORGE MOORE'S COLLECTION OF STORIES "THE UNTILLED FIELD" RESUME

G. Moore's collection of stories "The Untilled Field" is an innovative phenomenon, both in terms of composition and artistic value. These stories, arisen on the Irish soil, and welded together by one idea, provide an opportunity to trace the growing interest of the writer to his homeland. "The Untilled Field" is truly Irish work, reflecting the painful aspects of the country's life. At the same time, Moore's collection should be considered to be an important stage in the development of the genre of the Irish short story. In this respect, Moore's innovation was manifested in the fact that, instead of bright events and exciting development of the plot, he places emphasis on psychological analysis and reveals the idea of the work through the emotional experiences of his characters. George Moore showed his contemporaries - the Irish writers that the best short stories should not be adventurous, but should explore the movements of the human soul, deeply and truthfully portray the life and life of the common person. Therefore, this collection had a significant impact on the subsequent development of the Irish story.

მარინე ცერცვაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

„ჩავიხედოთ ჩვენი შვილების სახელმძღვანელოებში“

ნაშრომი დავიწყეთ ვახტანგ ჭელიძის წერილის სათაურით „ჩავიხედოთ ჩვენი შვილების სახელმძღვანელოებში“, რომელიც ავტორმა 1975 წელს დაწერა და სხვა წერილებთან ერთად სკოლას და სკოლაში სწავლებას მიუძღვნა. 1975 წელს განათლების სისტემა ჯერ ისევ „სოვიეტურია“ და ვახტანგ ჭელიძეც, საუბრობს რა მშობლიური ლიტერატურის სწავლების შესახებ, აღნიშნავს იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, ამ სისტემის დროს რომ იჩენდა თავს და მიაჩნია, რომ სხვა სერიოზულ მიზეზებთან ერთად ამაში გარკვეული წვლილი სახელმძღვანელოსაც მიუძღვის.

მშობლიური ლიტერატურის სწავლებისა და სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობის შესახებ საკითხი ადრეც დასმულა, განსაკუთრებული სიღრმით და სიმახვილით კი იაკობ გოგებაშვილის მიერ არის დამუშავებული. პრინციპულად ასაბუთებდა რა რეალური, ენციკლოპედიური განათლების მიწოდების იდეას, იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ საშუალო სასწავლებელში „სასარგებლოა და საჭირო ენციკლოპედიური შინაარსი საკითხავი წიგნებისა“ [7. გვ.22].

იაკობ გოგებაშვილმა თავადაც შეადგინა სახელმძღვანელოები, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს საყმაწვილო ლიტერატურის ისტორიაში, ამიტომაცაა ეს ამაგდარი ადამიანი აღიარებული ქართული საყმაწვილო ლიტერატურის კლასიკოსად. მის მიერ „მსუბუქი ქართულითა და მიმზიდველი ფორმით დაწერილი მოთხრობები“ დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა და დღესაც ტოვებს მკითხველზე. მისი ღვაწლს ასე აფასებს აკაკი წერეთელი: „შენ წარსდგები პირ-ნათლად ჩვენ სახელოვან წინაპართა წინაშე... აქ კი ილაღადებენ შენი ნაშრომნი და დარჩება სამარადისოდ შენგან გატკეპნილი გზა და ვინც იმ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება“ [4. გვ. 474].

ბაკალავრიატის სტუდენტთა უმრავლესობა ისწავლის სრულყოფილ ცოდნა იმ კუთხით, რომ მოიპოვონ საშუალო სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაცია, ამიტომ სწავლების დროს უნდა გავაკეთოთ პარალელები იმის შესახებ, თუ როგორაა წარმოდგენილი „ქართული ლიტერატურა - 4“ - ის პროგრამით გათვალისწინებული ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოები საშუალო სკოლაში და რა მოთხოვნებს უყენებს განათლების სამინისტრო, თუ სახელმძღვანელოს შემდგენელი საგნის მასწავლებელს.

განხილვისათვის ავიღოთ თამაზ ვასაძის, ნუგზარ მუხაშვილის, ნიკოლოზ ჩუბინიძის მიერ შედგენილი „ქართული-12“, მოსწავლის წიგნი, რომელიც რეკომენდირებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ და წარმატებით გაიარა პილოტირება საქართველოს სკოლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საშუალო სკოლებში სახელმძღვანელოების ფართო არჩევანია. მასწავლებელს უფლებას აძლევენ ასწავლოს ერთ-ერთით, თავისი სურვილის მიხედვით. ვფიქრობთ, ეს პროცესი ახალი დროის მონაპოვარია და მისასალმებელია, თუმცა საკითხს ახლავს მეორე უკიდურესობა: ყველა სახელმძღვანელო ერთი სირთულისა არ არის და იქმნება საფრთხე, რომ მასწავლებლებმა მიანიჭონ უპირატესობა შედარებით მარტივ სახელმძღვანელოს.

1975 წელს დაწერილ სტატიაში ვახტანგ ჭელიძე გულისტკივილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ „დღეს თითქოს სახელმძღვანელოს შექმნისათვის ნამდვილად არის კარგი პირობები“ [5. 484], რომ სახელმძღვანელოს შედგენას და გამოცემას ემსახურება გამოცდილ ავტორთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი რომელიც განათლების სამინისტროს და გამომცემლობებს ჰყავს შემოკრებილი. „აქვე უნდა აღინიშნოს ამ საქმის დიდი ტრადიცია. მხედველობაში გვაქვს არა მარტო იაკობ გოგებაშვილის შესანიშნავი სახელმძღვანელოები-მისი განთქმული „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, რომლებითაც ყველა განათლებული ერი იამაყებდა, არც მხოლოდ მისივე პედაგოგიურ-თეორიული წერილები, არამედ, აგრეთვე, მომდევნო თაობების პედაგოგთა და მწერალთა თეორიული წერილებიც და სასწავლო წიგნებიც“ [5. 485], თუმცა, ყველაფერი ამის მიუხედავად, ამ დროის სახელმძღვანელოები, სამწუხაროდ, ვერ უპასუხებენ ვერც პროგრამით გათვალისწინებულ ფართო ამოცანებს და ვერც იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რაზეც საუბრობს ავტორი და დასკვნის - მიუხედავად იმისა, რომ ყველა პირობაა შექმნილი, იგრძნობა შემდგენელთა და რედაქტორთა უყურადღებობა, გულგრილობა, რომ ისინი სრულად ვერ გრძნობენ დაკისრებული მოვალეობის სერიოზულობას.

ამას ვერ ვიტყვით სამეულის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს შესახებ. ვფიქრობთ, წიგნი აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომელთა ნაკლებობაზე დაწვრილებით მსჯელობს ვ. ჭელიძე, მოწოდებულია ასწავლოს სწორი მეტყველება, კითხვის კულტურა, ფრაზის სადად და ლოგიკური სისწორით აგება და, რაც მთავარია, წიგნი მოწოდებულია და ხელს უწყობს იმას, რომ საშუალო სკოლადამთავრებული ადამიანი, სულერთია, რა გზას აირჩევს იგი ცხოვრებაში, იყოს „განათლებული მოქალაქე“. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ წიგნი გამოცემულია მაღალმხატვრულ პოლიგრაფიულ დონეზე.

ჩვენს მიერ განსახილველი წიგნის პირველ ნაწილში ექვსი თავია: 1. კითხვა, 2. ბანალური კითხვები, 3. ქალი და მამაკაცი, 4. სტუმარი, 5. არჩევანი, 6. ჭეშმარიტების შესახებ.

ეს საკმაოდ ფართო სპექტრია იმ ცნებებისა, რომელთა შესახებ მსჯელობა უნდა შეეძლოს მეთორმეტე კლასის მოსწავლეს.

ნიკო ლორთქიფანიძე წარმოდგენილია მეხუთე თავში „არჩევანი“. ამ მწერალზე დღეს ბევრი იწერება, განიხილება მისი თითოეული ნაწარმოები, მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილია უამრავი კრიტიკული წერილი. მაღაზი ხარბედია, გაიხსენებს რა სიმონ ჩიქოვანის აღწერას: „ძალზე

შეუცნობელი და თავისებური გარეგნობა ჰქონდაო“, თავის მხრივ დაამატებს, რომ „დღემდე ნიკო ლორთქიფანიძის მარტო გარეგნობა კი არა, შემოქმედებაც ასეთივე შეუცნობელი რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ლამის ყველა ქართველი კალმოსანი მოვალეობად მიიჩნევს, რაღაც მაინც დაწეროს ამ უცნაური მწერლის შესახებ“ [2. გვ. 97]; ოთარ ჩხეიძე კი გვაფრთხილებს: „როგორღაც ასე, თავისებურად უნდა წაკითხვა ნიკო ლორთქიფანიძესა, ასეთია მისი ხელოვნება, რთულია, რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ ხელოვნებაც არ არის მარტივი, ცხოვრებაც არ არის მარტივი“ [6. გვ. 136].

ცხოვრება რომ არ არის მარტივი და ადვილი, მოსწავლეთათვის სწორედ ამის ახსნას ცდილობენ ამ თავში სახელმძღვანელოს ავტორები. რომ მუდამ არჩევანის წინაშე დგას ქართველი ერი და ამ არჩევანის გაკეთება არ არის ადვილი საქმე. წარმოდგენილია აკაკი ბაქრაძის, ნიკოლაი ბერდიაევის, მერაბ მამარდაშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის, გურამ ასათიანის ესეები, სადაც არჩევანი უნდა გაკეთდეს ევროპას, აზიას და რუსეთს შორის, თუმცა ისიცაა აღნიშნული, რომ „საქართველოში, მოყოლებული მე-19 საუკუნიდან, არჩევანის თვალსაზრისით, ევროპულ კულტურას რაიმე სერიოზული ალტერნატივა არასოდეს ჰქონია“ [1. გვ.253]. მოსწავლემ უნდა არგუმენტირებულად იმსჯელოს, თუ პირადად თვითონ როგორი დამოკიდებულება აქვს დასავლური სამყაროს მიმართ.

ამ მწვავე და დამაფიქრებელი ესეების შემდეგ ოქტავ მირბოს „მუქთამჭამელებია“, სადაც საუბარი უკვე თითოეული ადამიანის არჩევანსა და ამ არჩევანის თავისუფლებაზეა.

ტექსტის დამთავრების შემდეგ იწყება გააზრება და დავალებები. შევეცადოთ გავიაზროთ სტუდენტებთან ერთად თითოეული მათგანი.

1. ტექსტი და მკითხველი. აქ მოსწავლის ყურადღებას ამახვილებენ თარგმანის ენაზე-ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ფრანსუას ცოლის მეტყველება: „-უი, მომიკვდეს თავი, შეიცხადა ქალმა, - რა ფული, კაცო, ჰკუიდან ხომ არ შეიშალე! იმ ფულის ხელის ხლება როგორ იქნება, ბიჭი რას იტყვის, აკი იმას ვუგროვებდით! არა, არა, მითქვამს და კიდევ გიმეორებ: იმუშავე, ხომ კარგი-გაჭმევ, არ იმუშავე და ვერაფერსაც ვერ მიიღებ! აი, ეგ არის სამართალი! [1. გვ. 255]“. როგორც ვხედავთ, თვალში გვხვდება ფრაზების „გაქართულება“, მაგრამ თუ ვახტანგ ჭელიძეს დავუჯერებთ, და უფლება არ გვაქვს არ დავუჯეროთ, ის გვეუბნება, რომ „თუ თქვენ ქართულად თარგმნით ამა-თუ იმ თხზულებას, და არა, ვთქვათ, რუსულად ან გერმანულად, უნდა გააქართულოთ კიდევ. თარგმნილი თხზულება უკვე იმ ენის საკუთრებაა, რა ენაზეც თარგმნით“ [5. 288], ესე იგი, მოთხრობა „მუქთამჭამელები“ უკვე ქართული ენის საკუთრებაა და სახელმძღვანელოს ავტორებმა მიზნად დაისახეს მასზე ახალგაზრდათა მთელი თაობები აღიზარდოს, რადგან თუ არ გაქართულდაო, - განაგრძობს ვ. ჭელიძე, - მას არ გაითავისებს მკითხველი.

თუმცა, არც ის დარჩა აღუნიშნავი, რომ მავნთა აზრით, ნაწარმოების გაქართულება არ შეიძლება, ამ აზრს მთარგმნელთა ის ნაწილი იზიარებს, რომელთაც თარგმნა არ ეხერხებათო, რადგან „ქართულად გადმოღებული თხზულება რომ ბუნებრივი ქართულით იყოს თარგმნილი, და „ქართულად აჟღერდეს“, - ეს უპირველესი და აუცილებელი პირობაა“. ფრანსუას ცოლის „ქართული მეტყველება“ იმას ადასტურებს, რომ მთარგმნელმა კარგად გაართვა თავი სირთულებებს და მაქსიმალურად „გააქართულა“ ფრანგული მოთხრობა.

2. დეტალების ხელოვნება.

ამ მოთხრობით მოსწავლეს ამზადებენ ნიკო ლორთქიფანიძის პროზის წასაკითხად, პროზისა, „რომელშიც არა მხოლოდ წინადადებაში, ერთ სიტყვაშიც კი ნაწარმოების მძაფრი გულისცემა ისმის“, ამიტომ ყურადღება გამახვილებულია იმ საკითხზე, რომ „მწერალი ერთ ზედმეტ სიტყვასაც არ ხარჯავს“.

დავალება ასეთია-დეტალებზე დაყრდნობით წერილობით დაახასიათეთ ფრანსუას ცოლი.

ფრანსუას ცოლი, მუნწის მოელვარე თვალებიანი, გამრჯე და ყაირათიანი დედაკაცი, ქმარზე ბევრად ჯეელი, სასიკვდილო განაჩენს უბოროტო ხმით რომ გამოუტანს; ქალი სახლს გულდაგულ ალაგებს, რადგან იცის - მეორე დღიდან ორმაგი ჭაპანის წვეა მოუწევს, მაგრამ შეგუებულია, ისევე, როგორც შავი პურის და მკვახე ვაშლების ჭამას. ავტორი ნათლად ხატავს, რომ ვერანაირი ხვეწნა-მუდარა, ვერანაირი განსჯა ვერ მოსტეხს ამ დედაკაცის ქვაზე უმტკიცეს ნებისყოფას.

ფრანსუასათვის, ეს ყველაფერი, რაც მის თავს ხდება, ახალი არ არის, რადგან ცოლი ნელ-ნელა, მეთოდურად აღწევს სასურველ შედეგს, ეს პროცესი დიდი ხნის დაწყებული აქვს: ჯერ ხორციანი კერძი შეუწყვიტა - კვირაობით, ხუთშაბათობით, მერე ბოსტნეული, ახლა-კი შავი პურიც.

კვირას, როცა ფრანსუას სიკვდილისა არაფერი ეტყობა, ცოლი მღვდელს მოიყვანს და აიძულებს აზიაროს: „დრო მოუვიდა, რას იზამ, მამაო, ამ საცოდავის ჟამმაც ჩამოჰკრა“

და მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მეორე დღეს ფრანსუას ხრიალიც კი აღარ ისმის, ცოლს გული აუჩუყდა და „ხმაში ღრმა პატივისცემა გაერია. ქმარს ცერა თითის სწრაფი მოძრაობით თვალები დაუხუჭა“ და ახლდა დასცქერის ცხედარს დაფიქრებული.

ახლდა აღიარებს, რომ ფრანსუა დინჯი, ყაირათიანი, მშრომელი კაცი იყო, ეცოდება კიდეც საწყალი. ამ მუნწი მონახაზებით, ზედმეტი მეტაფორების და ეპითეტების გარეშე, იხატება პორტრეტი ქალისა, რომელსაც ქმარიც უყვარს და ბიჭიც, რომელსაც ფულსაც უგროვებს, მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგება, ისევ გაიმეორებს საქციელს, რომლის შედეგი თავზარს გვცემს. ეს არის ქალი, რომელიც ცხოვრების სასტიკ კანონზომიერებებს იღებს ისე, როგორც ამას ცხოვრება სთავაზობს, ქალი, რომელზეც არავითარი ხეწნა-მუდარა და განსჯა არ მოქმედებს.

შემდეგი ორი დავალება: ტექსტის ანალიზი და დისკუსია გვთავაზობს კითხვებს, რომლებზეც ბავშვებმა უნდა გასცენ პასუხი და რომლებიც სასურველია შესრულდეს ბავშვებთან ერთად. (სტატიის ეს ნაწილი შესრულდება საშუალო სკოლის მასწავლებელთან ერთად).

წერით დავალებაში ბავშვებმა უნდა შეაფასონ და განსაზღვრონ, რასთან გვაქვს საქმე: გროტესკთან, ცინიზმთან, თუ ეს თავისებური თანაგრძნობაა. წერით მსჯელობას უნდა მიეცეს ესეს ფორმა (სათაური თავად შეარჩიეთ).

„რაღა კაცი და რაღა თხა“.

ხალხური ზღაპრები ყურადღებას ამახვილებენ და პარალელს ავლებენ მამასა და შვილს შორის: ერთი მამა დაბერდა, ზედმეტი ბარგია, მეორე მამა გოდორს ამზადებს და შვილი ურჩევს, არ გადაადგოს გოდორი, რომ თვითონაც ამ გოდორით აღასრულოს ტრადიცია, რაც გადმოეცა მამა-პაპისგან.

რა გზას ირჩევს ოქტავ მირზო? ის პარალელს ბებერ თხასა და პატრონს შორის ატარებს - დაბერდა თხა - უნდა დაიკლას, დაბერდა კაცი - უნდა მოიკლას. მოიკლას -სხვა რა შეიძლება ეწოდოს ქალის საქციელს ქმარს მეთოდურად, შიმშილით რომ კლავს. უმტკიცებს კიდეც - ეს ასეც უნდა იყოს, ვაკეთებ იმას, რაც შენ თვითონაც გააკეთე. ის თუმცა თხა იყო, მაგრამ რაღა კაცი და რაღა თხა. ასეთია ამ ცოლ-ქმრის ლოგიკა, არ მუშაობს - არც საჭმელი ეკუთვნის და სიკვდილის ღირსიც არის, თუმცა: „მშრომელი კაცი იყო...არ სვამდა, ქალებში არ დადიოდა, შრომაში გალია წუთისოფელი“. საინტერესო მხოლოდ ის არის, რას იტყვის ბიჭი, როცა მამის სიკვდილის ამბავს გაიგებს, მარტო იმაში არ დაეთანხმება დედას, რომ მდიდარივით დამარხონ ფრანსუა, თუ აგებინებს დედას პასუხს უღირსი საქციელისთვის. შეიძლება შეაქოს კიდეც, მოუწონოს საქციელი, თუმცა კარგად იცის ხვალ თვითონაც ასე მოექცევიან და არავითარი ხეწნა-მუდარა აღარ უშველის, მაგრამ, რას იზამ, ასეთია ცხოვრება და ვერაფერს შეცვლი.

მაგრამ რა ვუყოთ გულამოჩუყებას, ღრმა პატივისცემას, თანაგრძნობას, გაპატიოსნებას, მდიდარივით დამარხვას, ეს ხომ უკვე ქრისტიანი, მოყვარული ცოლია, რომელიც ზრუნავს ქმრის სულზე, მის მიღმა სოფელში ცოვრებაზე და შეუსრულებს კიდეც ყველაფერს, „თუ ბიჭი დამეთანხმა“.

ამ შესავლის შემდეგ უკვე „თავსაფრიალი დედაკაცის“ სევდიანი და ტრაგიკული თავგადასავლის შესწავლა იწყება. ტექსტის გაცნობის შემდეგ, „საუბარში“ აღინიშნება ის უმთავრესი, რომ ფრანგი და ქართველი ავტორი, ორივე აჭარბებს, რომ არც საფრანგეთში და არც საქართველოში ყველა მოხუცს ასე არ ექცევიან, მაგრამ რადგანაც „გადაჭარბებას თავისი წესები აქვს“, ავტორებიც ამით „ცდილობენ წარმოაჩინონ ზოგიერთი ისეთი ტენდენცია, რომლებიც ბევრ რამეს განსაზღვრავენ“ [1. გვ. 263]. მთავარი კი ის არის, რომ ფრანგ დედაკაცს არ აღელვებს საზოგადოების აზრი, აკეთებს იმას, რაც თვითონ მიაჩნია მართებული; ქართველი დედაკაცის შვილები კი, უკიდურესი შერცხვენისა და მწუხარების დროს, როცა უგზო-უკვლოდ დაკარგეს ამაგდარი დედა, მხოლოდ ხალხის წინაშე იმართლებენ თავს და მათი აზრი აწუხებთ.

დავალებების ბოლოს დასმული კითხვა აერთიანებს ამ დიდ ტკივილებს: „თქვენი აზრით რატომ ენიჭება ჩვენში ასე დიდი მნიშვნელობა „სხვების აზრს“? მოთხრობის დაწერიდან თითქმის ასი წელი გავიდა, შეიცვალა რამე ამ თვალსაზრისით ჩვენში? ნათლად გამოჩნდება, რომ ბევრი არაფერი. ისევ ისმის უაზრო ფრაზა: „რას იტყვის ხალხი?...“, მაშინ, როცა ფრანგულ მოთხრობაში ეს სხვები (მეზობლები) არ ჩანან“ [1. გვ. 265].

თავს ასრულებს ამონარიდი კრიტიკოს გურამ ასათიანის ესეიდან ქართული ბუნების თავისებურებების შესახებ, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ქართველებს არა აქვთ ერთმანეთისადმი გულგრილობის გრძნობა, ისინი, მართალია, მწარედ მტრობენ ერთმანეთს, მაგრამ უერთმანეთოდ გაძლება არ შეუძლიათ, ყველაზე მეტად მაინც ერთმანეთის აზრი აინტერესებთ. ერთმანეთს უნდათ აჯობონ, თავი მოაწონონ“ [1. გვ. 267].

ასეთი სრული სახით არის წარმოდგენილი ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიალი დედაკაცის“ შესწავლა ნუგზარ მუხაშვილის, თამაზ ვასაძის და ნიკოლოზ ჩუბინიძის წიგნში „ქართული 12“.

საკითხის კომპლექსური შესწავლა და საუბრები სახელმწიფოებრივი ორიენტაციის არჩევანის თავისუფლებისა, თუ პირადი არჩევანის თავისუფლების შესახებ, ხელს უწყობს იმას, რომ საშუალო სკოლადამთავრებული ადამიანი, სულერთია, რა გზას აირჩევს იგი ცხოვრებაში, იყოს „განათლებული მოქალაქე“.

ლიტერატურა:

1. თ. ვასაძე, ნ. მუზაშვილი, ნ. ჩუბინიძე - ქართული 12, დიოგენე, 2008.
2. მ. ხარბედია, - პირადი ბიბლიოთეკა, არეტე, 2006.
3. ზ. ცუცქერიძე, ქართული საყმაწვილო ლიტერატურის კრიტიკის საწყისები, „ნაკადული“, 1977.
4. აკაკი წერეთელი, თხზ. სრული კრებული, ტ. XIV, 1961.
5. ვახტანგ ჭელიძე, - მკვრივად სილუეტები, „მერანი“, 1989.
6. წერილები XX საუკუნის ქართულ მწერლობაზე - ოთარ ჩხეიძე - ხატი ნიკო ლორთქიფანიძისა (შემდგენელი მ. გიგაშვილი), მერანი, 2006.
7. აკ. თოფურია, - ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია, თსუ გამომცემლობა, 1991.

Marine Tsertsvadze
Gori State Teaching University
LET'S LOOK AT OUR CHILDREN'S TEXTBOOKS
RESUME

The work deals with the fact that most of the undergraduate students strive to gain the knowledge of the qualification of the secondary school teacher, so that during the course we should make parallels about how is represented the each author's works at school by program "Georgian Literature-4" and what is the requirements of the Ministry of Education or the textbook compiler to the teacher of this subject.

გიორგი ხორბალაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მავთულხლართი - ახალი პრობლემა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების მიხედვით)

ეპოქები და მნიშვნელოვანი მოვლენები, ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავენ ლიტერატურულ მიმდინარეობებს და ძირითად თემატიკას, რომელიც შემდეგ უმრავლეს მწერალთა შემოქმედებაში ამა თუ იმ ფორმით წარმმართველ ადგილს იკავებს და უდიდესი მასალით ასაზრდოებს ლიტერატურულ ასპარეზს. „ეპოქას მოაქვს თავისი რითმი, თავისი ინერცია. მწერალმა უნდა იგრძნოს ეპოქის პულსაცია, ეპოქის სული. მწერალი არ არსებობს ინდივიდუალური მწერლური თვისებების გარეშე, მაგრამ, თუ ეს თვისებები ეპოქის რიტმსა და ინერციაში არ ზის, ყოველთვის იქნება ანაქრონიზმი ნაწარმოებსა და ეპოქას შორის“ [1, 517]. ბუნებრივია, რომ ოცდამეერთე საუკუნის ლიტერატურაში, გარდამტეხი ძალით შემოიჭრა აგვისტოს ომის ტკივილიანი თემატიკა და თითქმის ყველა თანამედროვე მწერალი ცოტად თუ ბევრად შეეცადა ამ ტკივილს შეხებოდა. რა თქმა უნდა, ამ პროცესში უჩვეულო არაფერი დაგვინახავს, პირიქით, სრულიად გასაგებია, რომ ვერც მკითხველის და მით უმეტეს, ვერც მწერლის ემოციური ბუნება თავის თავში ვერ დაიტევს ისეთ ძლიერ განცდას, რომელიც ასეთი მასშტაბის ტრაგედიის შემდგომ სრულიად გასაგები მოვლენაა. შესაბამისად, ომის თემა მწერლისთვისაც და მკითხველისთვისაც ბევრი ფიქრისა და განსჯის საგანია. ძირითადი ხაზი ნოველისა თუ მოთხრობისთვის თითქოს მზაა, მაგრამ ისევ თემატიკიდან გამომდინარე, მწერლისთვის საფრთხილო და სარისკოც არის ომთან შემოქმედებითი მიახლოება, ვინაიდან, არსებობს საშიშროება, რომ ერთი და იგივე მოცემულობაში მრავალი შემოქმედის

ტრიალი, უბრალოდ ერთი ამბავის მრავალჯერ მოყოლას დაემსგავსოს, რაც ლიტერატურას მაინცდამაინც არ უხდება. სტატიაში „ომი და ლიტერატურა“ სოსო სიგუა აღნიშნავს: „თუ გერმანული მწერლობა ომის აგრესიას უმდეროდა, ქართველს თავდაცვა და თავის დახსნა, დაკარგულის მოპოვება აინტერესებდა.“

ომის ჰეროიკას ნერგავდნენ რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა, კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე.

...ტიციან ტაბიძემ ომის ჰეროიკა ქართველი ერის ნაციონალურ თვისებად მიიჩნია და თანამოკალმეებს მოუწოდა, ეგრძნოთ მის სული და არ ეფიქრათ „ომის ბოროტებაზე“ [2, 70].

გიორგი სოსიაშვილი ის მწერალია, რომელიც ხშირად ეხმაურება აგვისტოს ომის თემატიკას და ომის ჰეროიკას სრულიად განსხვავებულად აღიქვამს, ის ომით გაციებულ გულებში მონატრებულ სიყვარულს დაემებს და მთავარი აქცენტი უბრალო ადამიანების განცდებზე გადააქვს, საიდანაც ომის საშინელების ღრმად ფილოსოფიური მხარეები უაღრესად საინტერესოდ იკვეთება. „მწერალმა უნდა დაიცვას თანაფარდობა თხრობის, თავშესაქცეობასა და დამაჯერებლობას, ესთეტიკურობასა და ფილოსოფიურობას შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში გაქრება მხატვრული სამყაროს „რეალურობის“ ილუზია. აღნიშნულთან დაკავშირებით ლევ ტოლსტოი შენიშნავდა: „ყოველი ჩვენგანისთვის ნაცნობია უნდობლობისა და პროტესტის ის გრძნობა, რომელსაც მკითხველში ბადებს მწერლის პოზიცია, თავს მოგახვიოს თავისი აზრი. საკმარისია, ავტორმა (მთხრობელმა) წინასწარ გვამცნოს: მოემზადეთ, ახლა ტირილი მოგიწევთ ანდა მოემზადეთ, ახლა გაგაცინებთ და ჩვენ ტირილის ან გაცინების სურვილი გაგვიქრება“ [5, 83].

იმდენად, რამდენადაც გიორგი სოსიაშვილი აღწერილი სიუჟეტების ძირითადი ნაწილის რეალური საწყისების თვითმხილველიც არის, მისგან დახატული პერსონაჟებისა თუ სიტუაციების დამაჯერებლობა თავისთავად იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას. აშკარაა, ავტორიც ამ განცდათა თანაზიარია და სწორედ ამიტომაც, რომ ლამის არის დოკუმენტალისტიკაში გადადის საკუთარ მოთხრობებში, დამაჯერებელი და რეალურ საწყისებზე აგებული ამბების თხრობით. საინტერესოა, რომ აღნიშნულ თემაზე მის მოთხრობებში დასურათხატებული ყველა ამბავი, მიუხედავად მთავარი თემატიკის ერთიანობისა, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან და ორიენტირებულია სრულიად განსხვავებულ ემოციურ ნიუანსებზე. „ქართული ნოველა ქმნის, თუ აღწერს ქართულ სამყაროს, ერთდროულად თვითგმარსაც და „ღიასაც“, ყოვლისმომცველსაც და უნიკალურსაც, ასევე განსხვავებულს „სხვათა“ ქვეყნებისგან და ასე მსგავსს [3, 12]. გიორგი სოსიაშვილი ზედმიწევნით ერგება ქართული ნოველის ხასიათს და საინტერესოდ აგრძელებს ქართული ნოველისტიკის ტრადიციებს.

აღნიშნულის სადემონსტრაციოდ გვინდა მიმოვიხილოთ მისი ორი მოთხრობა: „მძახლები“ და „ბაღები“, რომლებიც გორის უნივერსიტეტის ჟურნალში „ჩვენი უნივერსიტეტი“, 2015 წლის პირველივე ნომერში დაიბეჭდა და წაკითხვისთანავე მიიპყრო ჩვენი ყურადღება. „მძახლების“ ბოლო წინადადების წაკითხვისას უკვე ჩამოყალიბებული ვიყავით, რომ ამ მოთხრობის თაობაზე აუცილებლად უნდა გაგვემახვილებინა მკითხველის ყურადღება და დაგვეწერა გამოხმაურება, რათა ის ფრიად საინტერესო ნიუანსები, რომელსაც მოთხრობა შეიცავს მკითხველის ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო. ეს მოსაზრება მოთხრობამ „ბაღები“ კიდევ უფრო განამტკიცა და შესაბამისად, ვეცადეთ ორივე მოთხრობა ისე მიმოგვეხილა, რომ შემდგომისდაგვარად ამოგვეცნო მწერლის აქცენტები და დაგვეკვალიანებინა მკითხველი, რომელსაც ხშირად, ახალი, ჯერ კიდევ მისთვის უცნობი, საკითხავი ლიტერატურა უამრავ და არცთუ ღირსეულ კონკურენციაში აქვს ასარჩევი.

თანამედროვე მარკეტინგული მიდგომები შეჭრილია ყველა სფეროში და არც ლიტერატურას დაკლებია მისი დათვური სამსახური, ზოგიერთი „აღიარებული“ მწერალი, ვისი სახელიც მავანს შესაძლოა დღენიადაგ პირზე ეკეროს, რეალურად, მწერლობასთან მწყრალადაც კი იმყოფება. ზოგჯერ დაბეჭდვამდე ინათლებიან „ბესტსელერად“ წიგნები და მკითხველიც ეგება ეშმაკურად დაგებულ მახეში, აიძულებს რა ცნობისმოყვარეობა აჰყვეს მარკეტინგის დინებას და „გასაღოს“ ფერად ყდიანი მაკულატურა, განსაკუთრებით მაშინ, როცა წინასწარ და სასწრაფოდ იგეგმება „სახელგანთქმული“ ავტორების გამოჩეკვა. ილუზიონისტივით დაატრიალებენ ერთი-ორ თვალის ასახვევ ტრიუქს პიარ-მენეჯერები და „კლასიკოსი“ დროებითი ეფექტით, მომზადებულია. აკაკი ბაქრაძის აზრით: „გაუგებრად, ბუნდოვნად მხოლოდ ორ შემთხვევაში წერენ, ერთხელ, როცა ის ცუდათ იციან, რაზეც წერენ. მეორედ, როცა დემაგოგიური მიზნით წერენ და სიტყვების კორიანტელით მკითხველს თვალში ნაცარს აყრიან“ [4, 392]. გიორგი სოსიაშვილი სწორედ ის მწერალია, რომელმაც კარგად იცის რაზეც წერს და ამიტომ მისი მოთხრობებიც იოლად არის გასაგები. მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილ ნიჭიერებას რთული და აღმართიანი გზა აქვს გასავლელი, წარმატებაც ნაბიჯ-ნაბიჯ მოდის და სახელიც. ასე აღმართ-აღმართ მიიწევს შემოქმედებით გზაზე მწერალი გიორგი სოსიაშვილი. მისი შემოქმედებისთვის საქართველოს ბედ-იღბალი, შორეული თუ ახლო წარსული და აწმყო განუყოფელი საზრუნავია. „მწერლის მიზანია

ცხოვრებისეული სინამდვილის ასახვა და წარმოჩენა (ცხადია, მისი თანმხლები კონფლიქტების გათვალისწინებით). ჩანაფიქრი მომავალი მხატვრული ნაწარმოების პირველსახეს წარმოადგენს. მასში მოიაზრება შინაარსის ძირითადი ელემენტების, კონფლიქტების, სახეობრივი სტრუქტურის წყაროები“ [5, 80]. 2008 წლის აგვისტო, მისი წინარე თუ პოსტ პერიოდებით, გიორგი სოსიაშვილს უზადო პროფესიონალიზმითა და მაღალმხატვრული ოსტატობით აქვს ასახული შემოქმედების ერთ ნაწილში და ვინმემ ამ ინერციით იქნებ ეს ორი მოთხრობაც ომის თემატიკას მიათვალოს, თუმცა ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რადგან ორივე მათგანის მთავარი თემა ომი და კონფლიქტი კი არ არის, არამედ სიყვარული და ერთგულებაა. სიყვარული და ერთგულება სამშობლოსადმი, მეგობრისადმი და ბოლოს, იმ სანუკვარი ერთადერთისადმი, რომელსაც პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში მილიონნაირი სახელი შეიძლება ერქვას, გულში კი თავად სიყვარული ჰქვია, ყველგან და ყველა ვითარებაში.

მოთხრობაში „მძახლები“, ქართველების მძახლები იმ ოსი გოგოს მშობლები არიან, მავთულხლართებში რომ გამოძვრა და შეყვარებულ ქართველ ბიჭს გაჰყვა ცოლად. თავისთავად ამბავი უკვე სამოთხრობე მასალაა და მაქვს რა ფუფუნება მწერლის ცხოვრებისეულ გარემოს არცთუ ცუდად ვიცნობდე, ავტორის სანაცნობო წრეში განვითარებული თითქმის იდენტური ამბავის რეალური ვერსიაც მაქვს მოსმენილი თავის დროზე. შესაბამისად, სიუჟეტიც მარტივად ამოვიცანი. მაგრამ სინამდვილეში საქმე სულ სხვა რამეშია, როგორ დაინახა და რაზე მოახდინა ემოციური დატვირთვის მინიჭება თავად ავტორმა, აი რა გახდა ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, მთავარი სიურპრიზი.

ამბის მოთხრობელი ბიჭის მამაა, ცოტა შეშინებული, ცოტა აფორიაქებული, ცოტა გაურკვევლობაში ჩავარდნილი, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც გამარჯვებული, ამაყი და კმაყოფილი. თუმცა, შვილის მისამართით საყვედურს გამოთქვამს „რა გინდა, შვილო, რასა მრევ შარში. ძლივს რაღაცას მოვეწიე.“ სტრუქტურულად შორის ილანდება როგორ ამყობს, რომ მისი შვილისა და რძლის გამბედაობაზე ტაში დაუკრეს, რომ „იდგა დარბაზი და გუგუნებდა“, როცა „ვიღაც დიდი კაცი გამოსულა თურმე სიტყვითა“ და მისი შვილების საქციელი თვალსაჩინო მაგალითად მოუშველიებია, „როგორც არ უნდა ჩაერიოს რუსეთით, როგორც არ უნდა ჩაყოს ცხვირი და არეულობა სცადოსო, არაფერი გამოუვაო, ჩვენ ისევ ძმებად დავრჩებით“. მერე, საკუთარი სიყვარულის ამბავს აგონებინებს ავტორი მოთხრობელ მძახალს და ხაზს უსვამს, რომ „ჯაგასთვისაც“ (ქართველი ბიჭის მამის პერსონაჟის მეტსახელია), სინამდვილეში სრულიად მისაღებია სიყვარულისთვის ბრძოლა და ის საყვედურები რომელსაც შვილის მისამართით გამოთქვამს, ვალის მოხდა უფროა ცივი გონების წინაშე, რომელიც მოცემულ სიტუაციაში ცხელ გრძნობებს გაუნაპირებიათ. მაგრამ მთავარი ისევ წინ არის: მავთულხლართების დამრღვევი შეყვარებულებისთვის და მათი ოჯახებისთვის რეალურად უფრო მკვეთრდება და გაცილებით მეტი ეკლით ნაყოფიერდება მავთულხლართი, თავს მოხვეულ საზღვარს აქეთ-იქით დარჩენილებს ერთად ყოფნა სწყურიათ, მათთვის ურთიერთლტოლვა და სიყვარული უსაზღვროა და უსამანო, ამიტომ რადგან ერთმანეთთან საახლობლოდ არ უშვებენ „მშვიდობისმყოფელები“, უცნაური გამოსავალი მოაფიქრდათ მძახლებსაც, (გაჭირვება მაჩვენებო როგორც იტყვიან) ბატკანი დაკლა „ჯაგამ“ ახალი ნათესავების საპატივსაცემოდ და სუფრა პირდაპირ მავთულხლართების ძირში გააწყობინა ოჯახობას. გასაოცარია ავტორის მიერ დახატული სურათი, მავთულის ღობის გასწვრივ გაშლილ, მავთულხლართზე ასი ათასჯერ მოკლე სუფრას განუსაზღვრელად უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ქვემეხებითა და ავტომატებით გამაგრებულ ღობეს.

შეუძლებელია მოთხრობის ამ მეტად ემოციურმა პასაჟმა ღრმად არ დაგაფიქროს და არ გაიძულოს მომავალზე სიყვარულით იფიქრო. შვილისა და სიძისკენ მიმართული ცრემლებმოწოლილი მზერა ახალდაოჯახებული გოგოს მამისა, უცნაურად არის ტრაგიკულიც, დრამატულიც, სევდიანიც, მაგრამ ამავდროულად იმედიანი, ვინაიდან, მავთულხლართის ეკალნარი სიყვარულს ვერ აკავებს, ამ პათოსს კი ავტორი ერთი მშვენიერი, ალეგორიული ფრაზით გადასცემს მკითხველს, მოთხრობის საფინალო მომენტში - ალადასტურით სავსე ჭიქაში გამძვრება მზის სხივი, ჭიქის ორივე მხარეს ეფინება ნათელი და ადვილი წარმოსადგენია რა კეთილშობილი ფერით ააპარპალებს ჭიქაში მოქცეულ ალადასტურს. იქნება, ალადასტური საქართველოა, ჭიქა - მავთულხლართი, გამჭოლი სხივი კი უტყუარი ნიშანი თბილი და მზიანი მერმისისა. აკი ეუბნება კიდეც დანადვლიანებულ მძახალს ჯაგა: „მალე ჩავიხუტებთ ერთმანეთს, მალე. ...ჩვენი გამარჯვებისა იყვეს“-ო.

მეორე მოთხრობა „ბალები“ კი, თითქოს ერთგვარი ლოგიკური განვითარებაა ზემოთ განხილული მოთხრობისა. მძახლები თუ სიყვარულის ირგვლივ ირახმებიან, „ბალები“ მეგობრობის საოცარ მაგალითს გვიჩვენებს. ორი, ეთნიკური ნიშნით ხელოვნურად დაშორებული, ქართველი და ოსი მეგობარი, „მშვიდობისმყოფელების“ იარაღის ჟღარუნის პირობებში ინარჩუნებს ძმობას და იმ ფორმას პოულობს ერთგულების გამოსახატავად, რომელიც არსებულ რთულ რეალობაში ხელეწიფებათ. სხვა დროს იქნება არც დაინტერესებულიყვნენ ერთმანეთის ბაღ-მოსავლის არსებობა-არარსებობით, ახლა კი, უადგილო საზღვარმა ჯერ ოსი მეგობრის ნაფერებ-ნალოლიავეები ბაღი მოახვედრა ღობის აქეთ, მერე პირიქით,

მავთულხლართი ისე შემოწიეს, რომ ქართველის ბაღი აღმოჩნდა იმავე უადგილო საზღვარს მიღმა. ბუნებრივად კი მხოლოდ „ერთი პატარა საწური კანაო“ ჰყოფს ოსი გაბისა და ქართველი ნიკოს ბაღებს.

ვიდრე გაბის არც სამეგობროდ უშვებენ და არც სამუშაოდ მავთულს გაღმა, ნიკო საკუთარ ბაღზე მეტად მეგობრისას უვლის, მეგობრის მოსავალზე ზრუნავს და რეალიზებული მოსავლით მიღებულ ფულსაც ჩუმად უგზავნის გაბის. შემდეგ გაბი პასუხობს იგივე ერთგულებით ნიკოს. ეს ჟესტი არ არის ვიწრო გაგებით მხოლოდ ბაღის მოვლა, ეს ურთიერთსიყვარულისა და მეგობრობის საოცარი მაგალითია, სინამდვილეში ხომ ნიკოც და გაბიც, საკუთარ წარმოდგენაში მეგობრის ხეხილს კი არა, ამ ხეხილში განსხეულებულ ძმობას ესათუთებიან. შვილივით უვლიან ერთმანეთის ნაამაგარს მიუხედავად იმისა, რომ არ უწყიან „რამდენი ხანი ექნებათ გაშვილებული“.

ნიკოს აქეთ დაატარებენ გამომძიებელთან ოსი მეგობრის გამო, გაბის ალბათ იქით, რადგან „ვის დააჯერებ, რომ ...ასეთი ძმაცაცობა აქვთ?“ ავტორი კი ისეთი დამაჯერებელია ამ მოთხრობის ფარგლებში, რომ გაკვირვებას მკითხველში სწორედ ასეთი მეგობრობის დაუჯერებლობა უფრო იწვევს, ვიდრე თავად ეს ისტორია და ძმობის წარმოდგენელი მაგალითი.

მკითხველსაც სჯერა, სჯერა და იმედით ივსება, ისეთი თვალსაჩინოდ აბრიალებული, ლამაზი და რეალური იმედით, როგორც „ალადასტურით სავსე ჭიქაში გამძვრალი მზის სხივი“.

როგორც სამართლიანად შენიშნავდა ზურაბ ჭავჭავაძე - „მწერლობა განცალკევებული კუნძული ხომ არ არის! იგი ეროვნული ინტელიგენციის ორგანული ნაწილია. როგორც ერი, ისეთი ბერო, - ნათქვამია. გულუბრყვილობა იქნებოდა, ზნეობრიობის, თუ მოქალაქეობრიობის თვალსაზრისით მწერალს სხვაგვარი მოთხოვნები წაუყენოთ და მუსიკოსს, მეცნიერსა და მასწავლებელს კი - სხვაგვარი, მაგრამ, ამასთანავე, მწერლობა ინტელიგენციის ყველაზე „მეტყველი“ ნაწილია და, ამდენად, ყველაზე უფრო თვალნათლივ ასახავს საზოგადოების სულიერ მდგომარეობას“ [6, 224].

გიორგი სოსიაშვილის ეს ორი მოთხრობაც სულიერი მდგომარეობაა, მავთულხლართის ორ მხარეს დარჩენილი საზოგადოების ყველაზე ჯანსაღი ნაწილისა, მათი ვისაც ესმის, რომ ძალით გაციებულ გულში სიყვარულის ცეცხლი არ დანაცრდება, იქნებ დანაკვეთილად კიდევ, მაგრამ ნაკვეთილად ხომ მხოლოდ პატარა მონატრების სიო ეყოფა, ისევ ცეცხლად რომ აგიზგიზდეს. ასეთია გიორგი სოსიაშვილის მრწამსიცა და იმედიც, ასეთია ჭეშმარიტი მწერლის პოზიცია და შეუძლებელია არ დაეთანხმო, შეუძლებელია ამ კეთილგონიერმა დამოკიდებულებამ გავლენის ქვეშ არ მოგაქციოს, ამიტომ რაც უფრო მეტი მკითხველი ეყოლება ნიჭიერ მწერალს, მეტი ადამიანი დაინახავს იმ ღრმად ფილოსოფიური და ამავედროულად მარტივ-ადამიანური დამოკიდებულების უალტერნატივობას. მიგვაჩნია, რომ არა მხოლოდ დასახელებული ორი ნოველა, არამედ გიორგი სოსიაშვილის მთელი შემოქმედება, უდაოდ იმსახურებს როგორც მკითხველთა ფართო საზოგადოების, ისე ლიტერატურის კრიტიკოსთა განსაკუთრებულ ყურადღებას, ჩვენ კი შევეცადეთ ამ ნაშრომის ფარგლებში წარმოგვეჩინა განხილული ორი მოთხრობის მეტად საინტერესო და პრობლემატური ასპექტები და ასევე, ერთი თანამედროვე მწერლის შემოქმედების მაგალითზე, მცირე წვლილი შეგვეტანა მიმდინარე სალიტერატურო პროცესის კვლევის საკითხში.

ლიტერატურა:

1. ფანჯიკიძე გურამ, რჩეული თხზულებანი 3 ტომად, რაციონალიზმი, რიტმი, ფსიქოლოგიზმი, ტ. II, თბ; 1986, 604 გვ.
2. სიგუა სოსო, მოდერნიზმი, თბილისი, 2014, 612 გვ.
3. კუცია ნანა, ქართული ნოველის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის (XX საუკუნის 80-იანი წლები), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2009, 211 გვ.
4. ბაქრაძე აკაკი, „სკოლას“, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2013, 460 გვ.
5. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2008, 480 გვ.
6. ჭავჭავაძე ზურაბ, ლიტერატურათმცოდნეობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, თარგმანი („რას ვაკეთებთ?! რასა ვშვრებთ?!“) თბილისი, 1993, 336 გვ.
7. ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“ (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალი) №1 (27) 2015, გვ. 9-14

Giorgi Khorbaladze
Gori State Teaching University
BARBED WIRES - A NEW PROBLEM IN MODERN GEORGIAN LITERATURE
(ACCORDING TO GIORGI SOSIASHVILI'S STORIES)
RESUME

Giorgi Sosiashvili is a writer who frequently responds to the theme of August war 2008 and completely differentiates heroism of the war, he seeks for love in the frozen hearts caused by war, and he mainly emphasises the mood of ordinary people, from where deeply philosophical sides of the horrors of war are very interestingly revealed.

This time we will discuss the two stories of the writer: "In-laws" and "Gardens", which were printed in the first issue of Gori University Journal "Our University", 2015, and immediately drew our attention. We tried to review both stories so that we can identify the writer's accents as much as possible.

In the story "In-laws" the in-laws of Georgians are the parents of the Ossetian girl, who crept out of the barbed wire and married her Georgian boyfriend. The story itself is a material for a novel, but in fact the case is something different, how the writer himself saw the emotional emphasis, that's what became for me, as the reader, the main surprise.

The barb of the wire can't stop love, and the author transfers this pathos at the final moment of the story by a wonderful, allegorical phrase - a ray of the sun will squeeze through a glass full with Aladsturi, sunbathing on both sides of the glass, and it is easy to imagine what a noble color is made into the glass. Who knows, maybe Aladsturi is Georgia, a glass - barbed wires, and a draught beam is a clear sign of warm and sunny future. Jaga tells his woeful in-law "Soon we'll hug each other, soon... Long live our victory".

The second story "Gardens" seems to be a logical development of the story above. While the in-laws gather round love, "Gardens" show an amazing example of friendship. Georgian and Ossetian two friends, artificially distracted by ethnic origin, maintain their brotherhood in the conditions of the "peacekeepers'" weapons and find the form of loyalty that can be found in a difficult reality. First the untimely border brought Ossetian friend's garden on the side of the fence and then on the contrary, the barbed wires were moved so that the garden of Georgian turned out to be beyond the same untimely border. Naturally, only one narrow canal separates Ossetian Gabi's and Georgian Niko's gardens. As Gabi is not allowed to work beyond the wire, Niko is looking after his friend's garden more carefully than his own one, he cares about his friend's harvest and secretly sends the money received from the realized harvest. Then Gabi responds with the same loyalty to Niko. This gesture is not just a care of the garden, but in fact, Niko and Gabi, in their own imagination, show affection not to the fruit trees, but to the brotherhood embodied in the same fruit trees.

These two stories of Giorgi Sosiashvili are spiritual conditions, the most healthy part of the society remaining on the two sides of the barbed wire, those who understand that the fire of love in the frozen hearts is not lost. Such is the creed and faith of Giorgi Sosiashvili, such is the position of a genuine writer and it is impossible not to agree and not to be influenced by this reasonable attitude, so the more readers will have a talented writer, the more people will see the deeply philosophical and simultaneously the simple human dependence.

პედაგოგიკა
Pedagogics

ლუიზა ბერუაშვილი

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტირძნისის საჯარო სკოლა

ერთი მივიწყებული ქართველი მოღვაწეთაგანი

ჭირისუფლის მოლოდინში დადუმებულ, ოკუპირებულ მშობლიურ სოფელში, ერედველებს დაგვრჩა ყველაზე ღირებული, შეუცვლელი – წინაპართა დიდებული სული. როგორც დიდი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ეს სული აცოცხლებს, ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა“ [1], რადგან მომავლისკენ მიმავალი გზა წინაპართა ნაკვალევზე გადის, ჩემი თაობის მოვალეობად მიმაჩნია მავთულხლართებში მოქცეული საფლავების ჭირისუფლობა, იქ დარჩენილ მარადიულ სულთა კვალში ჩადგომა და მათი ნაღვაწის ახალი თაობებისადმი წარმოჩენა.

ამ თვალსაზრისით წინამდებარე ნაშრომში ჩვენი ყურადღება შევაჩერეთ XIX საუკუნის ერედველ მწერალსა, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეზე, რევაზ ალექსანდრეს ძე ფავლენიშვილზე.

რევაზ ფავლენიშვილი იმ შემოქმედთა თაობას ეკუთვნის, რომლებიც ქართველ განმანათლებელთა ცოცხალ მაგალითზე იზრდებოდნენ და აღფრთოვანებულები მათი „მაღალის კაცთმოყვარულის აზრებით, მამულისა და ხალხის სიყვარულით“ [2], თვითონაც თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით მამულის სამსახურში ჩადგნენ.

რევაზ ფავლენიშვილის მოთხრობები: „თავადი ცეცხლაშვილი“, „ევა“, „ამინდამაც ჩვენზე მოიცალა“, „მოტყუებული“, „გიორგი ქელეხსაშვილი“, „ბუნებაც ჩვენი წინააღმდეგია“, ნათარგმნი მოთხრობა „ტიერი და ვერონიკა“, ათობით პუბლიცისტური წერილი, რომლებიც იბეჭდებოდა მწერლის დროინდელ პრესაში, საზოგადოების ყურადღებას იმსახურებდა.

სხვადასხვა დროს მისი შემოქმედების შესახებ წერდნენ: ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე (გაზ. „ივერია“, 1894, №4, გვ.4), პროფ. ალ. ხახანაშვილი („ქართული სიტყვიერების ისტორია“, 1906, ტ.4, გვ.2), კრიტიკოსი, ფილოლოგი და ენათმეცნიერი პეტრე ჭარაია (ჟურნალი „კვალი“, 1896, №181), გ. სიდამონიძე („რევაზ ერედველი“ გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1964, №131, გვ.2), პროფესორი ვახტანგ ცოტნიაშვილი (გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 8.V-1968, 21.X).

სულ ახლახანს პროფესორმა ალექსანდრე მღებრიშვილმა წიგნში - „ლიტერატურისა და ისტორიის საკითხები“ და ნატო ფავლენიშვილმა წიგნში „მხარგრძელ-ფავლენიშვილთა ფეოდალური სახლი და როსტომ რაჭის ერისთავის ასული“ გარკვეული ადგილი დაუთმეს ერედველი მწერლის მოღვაწეობას.

ჯერ კიდევ 1990 წლის 16 აგვისტოს (№154) გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ გამოვაქვეყნეთ ვრცელი წერილი სათაურით „რევაზ ფავლენიშვილი (ერედველი)“. წინამდებარე სტატიაში კი ყურადღებას გავამახვილებთ იმ ღვაწლზე, რომელსაც რევაზ ფავლენიშვილი ეწეოდა ცხინვალის რეგიონისა და საკუთრივ სოფელ ერედვეში კულტურულ-საგანმანათლებლო კერების დაარსების საქმეში, მის თეატრალურ საქმიანობაში.

რევაზ ფავლენიშვილი დაიბადა 1864 წლის 8 თებერვალს, გორის მაზრის სოფ. ერედვეში. დედა პახო (ევექსია) ქსოვრისელი აზნაურ რატიშვილის ქალი, კეთილი, სათნო, ბუნებისა და ქართული ლიტერატურის მოყვარული ადამიანი ყოფილა.

მამა, ალექსანდრე ფავლენიშვილი, კარგი მომღერალი და მოქეიფე კაცი იყო. თანასოფლელებს მისთვის „ჭრიჭინა“ შეურქმევიათ.

წლინახევრის მომავალ მწერალს დედა გარდაეცვალა. ობოლი ბავშვი აღსაზრდელად მამიდა ეკატერინეს, ნიკოლოზ მაღალაშვილის მეუღლეს, წაუყვანია სოფელ თურთალეთში, ორი წლის რევაზი დააბრუნეს სახლში, სადაც დახვდა დედინაცვალი. „შავ ბნელით შხამ-გესლით არის ეს ხანა მოცული ჩემს ცხოვრებაში“ - იხსენებდა რ. ფავლენიშვილი [3].

მამიდის, ქეთევან შუბლაძის, თაოსნობით რ. ფავლენიშვილი მიაბარეს თბილისის ანჩისხატის სასულიერო სასწავლებელში. მიუხედავად ნაჭიერებისა და მასწავლებელთა მცდელობისა, რევაზმა უსახსრობის გამო სწავლა ვეღარ გააგრძელა. იგი იძულებული გახდა საარსებო წყარო ეძებნა. თუმცა მას თვითგანვითარებისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია: „ბევრი ღამეები გამითენებია კითხვაში... თეატრმა... დამატყვევა და დღედაღამ თეატრი მედგა თვალწინ“. ქართულ თეატრში მან გაიარა შემოწმება და პიესა „სამაგელში“ მეზაღე იმერელის როლი ისე კარგად ითამაშა, რომ წარმატება სხვებთან ერთად მაჩაბელმაც მიულოცა“ [4]. როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელმა უზადლო მსახიობის, ნატო გაბუნias ბენეფისისთვის დაწერა პიესა „კინტო“.

გაზეთ „ივერიაში“ ასე აღნიშნა ახალგაზრდა მსახიობის წარმატება: „სამშაბათს, 4 აგვისტოს, საკომერციო კლუბის სადგომში, ვასილევის ბაღში, ქართული წარმოდგენა იყო გამართული სცენის მოყვარულთა მიერ წარმოსადგენად დანიშნული იყო აკაკი წერეთლის სამმოქმედებიანი კომედია „კინტო“...

საზოგადოდ კინტომ კარგად ჩაიარა, მშვენიერი იყო ფავლენიშვილი იმერელი აღმასხანას როლში“. [5]

უსახსრობის გამო ხან გამყიდველად იდგა, ხან მეკარედ ქარვასლაში, კახელ მევენახეთა საზოგადოების „კახეთი“-ის ბაქოს განყოფილებაში „კანტორჩიკად“. „დღეს დიდათა ვწუხვარ, რომ დავკარგე ტყუილ-უბრალოდ და ამაოდ ათი წელიწადი, მაგრამ რაღა დროს?! ათი წლის განმავლობაში წერა კი არა, ხშირად პურის ჭამის დროც არა მქონდა“ - წერდა დაავადებული მწერალი. 1903 წელს რევაზ ფავლენიშვილმა გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ სამი თვის სამსახურის შემდეგ ისევ უმუშევარი დარჩა.

რ. ფავლენიშვილი სხვადასხვა დროს იყო ვერის სახალხო წარმოდგენების ამხანაგობის წევრად, ცხინვალის წიგნთსაცავ-სამკითხველოს კომიტეტის წევრი და, ამავე დროს, მცველიც. სიცოცხლის ბოლოს, დაავადებული მწერალი თანამშრომლობდა ჟურნალ „კლდეში“. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული რევაზ ფავლენიშვილი, მიუხედავად მატერიალური თუ ფიზიკური გაჭირვებისა, იბრძოდა უმეცრების, უსამართლობის, გაუტანლობას. სამკითხველოების, სკოლების დაარსებისა და მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ამას მოწმობს მისი კორესპონდენციები და მოთხრობები, რომლებსაც ქართულ პრესაში ბეჭდავდა ფსევდონიმით: „რ. ერედველი“, „რაე და ფარ“, „ვინც გგონივართ, ის არა ვარ“, „კვიმატი“.

სიცოცხლის ბოლო წლებში ავადმყოფი მწერალი, სასტიკად შეურაცხვეს ჯავაში ანტიქართულად განწყობილმა ოსებმა.

ამის შემდეგ, რ. ფავლენიშვილმა მხოლოდ სამი დღე იცოცხლა.

რევაზ ალექსანდრეს ძე ფალენიშვილი დაკრძალულია ცხინვალის, ზღუდრის სასაფლაოზე. „რევაზ ფავლენიშვილი იყო კარგი და ფრიად უწყინარი და პატიოსანი, მოყვარული თავის ერის და სამშობლოსი, შეძლებისდაგვარად ყოველგვარ დახმარებას უწევდა გლეხობას ყოველ კარგ საქმეში“ [7].

„თვალსაჩინო ბელეტრისტი, მოთხრობა-ამბავთა მწერალი, ქართული ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი... ზოგი მისი მოთხრობა გარჩეულია, თითო-ორი რუსულად თარგმნილი. მისი მოთხრობები დაბეჭდილია: „ივერიაში“, „მომბეში“... ძველად მონაწილეობდა სცენაზედაც, თვით ნასწავლ-განვითარებული იყო.. ღარიბად სცხოვრობდა. ქართველ მწერლობის წინაშე ამაგი მიუძღვის“ [8] – იუწყებოდნენ მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მაშინდელი გაზეთები.

რევაზ ფავლენიშვილის შემოქმედებას ცხადად ეტყობა ავტორის მიზანსწრაფვა, კვალში ჩასდგომოდა თავისი დროის მოწინავე წარმომადგენლებს და საკუთარი წვლილი შეეტანა, განათლების გავრცელების გზით, „ახალი ქართველის“ ჩამოყალიბების საშურ საქმეში.

„...პირველი მტერი არის ჩვენი უსწავლელობა, უვიცობა, მეორე მტერი სიღარიბეა, აი, ამ უვიცობას და სიღარიბეს უნდა ვებრძოლოთ ისეთივე მხნეობით და თავგამოდებით, როგორითაც ებრძოდნენ ჩვენი წინაპრები გარეშე მტრებსა. მხოლოდ მაშინ ვეღირსები წარმატებას, კეთილდღეობას, ბედნიერებას“ [9] – წერდა იაკობ გოგებაშვილი. დიდ მამულიშვილთა ნამოწაფარი რევაზ ფავლენიშვილი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ცდილობდა უსწავლელობისა და სიღარიბის დამარცხებას.

„...არ შეიძლება ჩუმად, აუღელვებლად ვუცქიროთ, როგორ მიისწრაფვის უმეცრებისაკენ ჩვენი ხალხი“ [10] – წერდა ერედველი მწერალი, ეცნობოდა თავისი მხარის ადგილობრივ პრობლემებს და ეძიებდა გზებს მათ აღმოსაფხვრელად.

მისი კორესპონდენციების უმრავლესობა სკოლებისა და სამკითხველოების დაარსების საქმეს ეძღვნება. „მას სწამს, რომ სწავლა და საერთოდ, ეს დიდებული ფენომენი – წიგნიერება, ის მანათობელი ვარსკვლავია, უმეცრების წყვდიადიდან უცილობლად რომ გამოიყვანს ცრუმორწმუნოების ფანატიზმით შეპყრობილ ხალხს, გონებას გაუნათლებს და უკეთესი გზით ატარებს... ცდილობს თავისი კალმით სამზეოზე გამოიტანოს საზოგადოებაში გამეფებული მანკიერებანი და შეძლოს „სიტყვა საქმიანი“ გახადოს“ [11].

იაკობ გოგებაშვილიც, ხომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ უპირველეს საქმედ მიიჩნევდა რეგიონებში სკოლების დაარსებას, რადგან „განათლება დედა ბოძია, მთავარი ბურჯია ქვეყნის კეთილდღეობისა – სკოლა არის უპირველესი და უძლიერესი წყარო ხალხის განათლებისა“ [12] – წერდა „დედაენის“ ავტორი.

მამულიშვილთა ნააზრევით აღფრთოვანებული რევაზ ფავლენიშვილი ახალ წელსაც აღარ ისვენებს, მისი ფიქრი, ოცნება მშობლიურ სოფელში სკოლის გახსნის საქმეს დასტრიალებს „როგორც სხვა დაბა-სოფლებში, ჩვენც გავისტუმრეთ ძველი, არა სასიამოვნო წელიწადი, მხოლოდ ძველებურად, ქართველურად, თითქო დაწყევლილ-დაქოლავილები ვართ. ჩვენთვის არც სკოლაა, არც საქველმოქმედო საქმე. ისეა გაყინული ჩვენი გული, რომ არა ეკარება რა. და ყველა იმას, რაც-კი ადამიანის სულსა და გულს ნათელს ჰყვანს, ისხლტავს... მიდის ერთგვარად ჩვენი ცხოვრება: შურით, ჭორით და ვაი-ვაგლახით. ისე შემდგარ-შეგუბებულია და კარ-დახშულია ჩვენი აზროვნება, რომ წარმოდგენაც კი მნელია შეგნებულს ადამიანისთვის ხმა დადის, ვითომ სოფელმა სამრევლო სკოლა გაჰმართოსო, ღმერთმა ინებოს!“ [13].

მშრომელი ადამიანის ქომაგი, ქვეყნის ავ-კარგზე დაფიქრებული ერედველი მწერალი ნათელი მომავლისათვის არ ერიდება „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპს და ამხელს იმ ადამიანებს, რომლებსაც დავიწყებით ქვეყანაზე, მოყვასზე ზრუნვა. ვინ თუ არა „მაღალი წოდება“, რომლის ღვიძლ შვილს თავად მწერალი წარმოადგენდა არის ვალდებული ქვეყნის პატრონობისა მისი

პირუთენელი სიტყვა ბევრის გულისწყრომას იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ მოკრძალებული, მშვიდი ბუნების ადამიანი „დამნაშავეთა“ შორის თავის თავსაც წარმოგვიდგენდა: „ბეჩავ გლეხობამაც კი შეიგნო, რომ პირუტყვობა ვერაფერი ღირსებაა ადამიანისა და ამ ატეხილ ავაზაკობის დროს, კვირაუქმესაც აღარ ისვენებს, არც თვითონ და არც საქონელს ასვენებს, დაუნებებია თავი თავის ღარიბ-ღატაკ ცოლშვილს და სახლ-კარისათვის და ეზიდება მასალას სკოლის ასაშენებლად; ჩვენ-კი ესრედ წოდებულ მაღალ წოდების წარმომადგენელთ, თვალთაც მხედველობა, ყურთა-სმენა, გულ-კეთილობა, გაჭირვებულთ შებრალება დაგვიკარგავს და ჩვენი ძალა და გონება მიმართულია მარტო იმაზე, რომ ათასი არაკაცობა ჩავიდინოთ. ოღონდ-კი ჩვენი მამული გაფართოვდეს; მამულები დავიჩემოთ ურთიერთისა. წყალი ვტაცოთ ერთმანეთს... თვითონ გლეხები იხვეწებიან, გზა გვიჩვენეთ, ცოტაოდენი შემწეობა მოგვეცით და დანარჩენი ჩვენს კისერზედ იყოსო...“

არც წყლის საქმეში, არც სკოლის საქმეში ხმას არ იღებენ ჩვენი დარბაისლები, თითქოს ყოველ კეთილ საქმისთვის ისინი მეტნი ბარგნი არიანო.

რა ესმის ბეჩავს ხალხს, რანაირი სკოლაა იმათთვის საჭირო, როგორ უნდა წარიმართოს მისი საქმე და სხვა. განა სასიხარულოდ კი არ უნდა მიაჩნდეს ბეჩავს ხალხის რიგიან გზაზე დაყენება?...“

დროა მგონი... გავახილოთ ჩვენც თვალი და ვიზრუნოთ საერთოდ, საყოველთაოდ...“ [14].

რ. ფავლენიშვილის შემდგომი კორესპონდენციებიც ერედვის სკოლის დაარსების გარშემო გვაწვდის უტყუარ ცნობებს: „... ერთხელ სიხარულით მივეგებნეთ, იმას რომ მოზრმანდა გორის მასწავლებელი ბატონი დავითაშვილი, მოუყარა თავი გლეხობას და მოხერხებულის რჩევა-დარიგებით დაითანხმა სკოლის დაარსებისათვის. მერე მოუყარა თავი თავადიშვილებს, რომელთაც იკისრეს შემწეობა ყოველ-წლივ ზოგმა თუმანი, ზოგმა ხუთი მანეთი“. სამწუხაროდ, არც ამჯერად მოხერხდა სკოლის მშენებლობის დაწყება. მომზადებული მასალა დაიფანტა. სკოლის მშენებლობისათვის თავის მოსაზმელად ერედვს ეწვია სოფლების სკოლების მზრუნველი მღვდელი მ. კონტრიძე. ამოურჩევიათ 4-5 გლეხი, რომლებსაც დაავალეს ენკენის თვემდე სკოლის შენობის დამთავრება. სკოლის მშენებლობისათვის კონტრიძემ 25 თუმანი აღუთქვა, რევაზ ფავლენიშვილი გაკვირვებას გამოხატავს იმის გამო, რომ გამართულ შეკრებაზე ადგილობრივი თავადიშვილები არ დაისწრეს: „საჭირო კი იყო იმათი დასწრება. მით უმეტეს რომ აუცილებლად საჭიროა მათი დახმარება და მზრუნველობა. უამათოდ კი გლეხებს ისედაც გადატაკებულთა გაუჭირდებათ სკოლის გაძღოლა“. ეს წოდებრივი განსხვავება ერედველ მწერალს არ უშლიდა ხელს ბოლომდე გაეთავისებინა ცხოვრებისაგან დაბეჩავებული ადამიანების ტკივილი თუ სიხარული. კაცთმოყვარე, ზნემაღალი პიროვნული ღირსებების მქონე, ცდილობდა სხვებშიც გაეღვიძებინა სიკეთის ქმნის, მოყვასის თანადგომის, სამშობლოზე ზრუნვის სურვილი. „იმედია, არც ერთი ერედველი თავადიშვილი უკან არ დაიხევს და აღუთქმულს შემწეობას არ მოაკლავს. ასე და ამგვარად იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემოდგომაზედ ერედველებს სამრევლო სკოლა გვექნება და ჩვენი გლეხის შვილები, დღემდის ბეჩავად დატოვებულნი დაიწყებენ სკოლაში სიარულს და ისწავლიან წერა-კითხვას მაინც“ - დაკვირვებული, გლეხის ფსიქოლოგიის მცოდნე რევაზ ფავლენიშვილის აზრით, „კარგი იქნება, ეხლავე რიგიანი, გამოცდილი მასწავლებელი იქნას დანიშნული, თორემ თუ ჩვენს გლეხს იმედი გაუტრუვდა იმისი, რასაც იგი მოელის სკოლისაგან. თქვენი მტერია, გადაიქცევა ურწმუნო, თომად და პირველი მტერი ის იქნება სკოლისა“ [15].

იმდენად საყურადღებოდ თვლის რევაზ ფავლენიშვილი სკოლის ფუნქციონირებას, აღსაზრდელთათვის და სწავლებისათვის სათანადო პირობების შექმნას, რომ არაერთ წერილში უბრუნდება ამ თემას. ისე, რომ მკითხველისაგან პატიებასაც კი ითხოვს: „...იმდენად საყურადღებოდ მიგვაჩნია ერედვის სკოლის საქმე, რომ მანიად გადაგვექცა. დღესაც იმის შესახებ უნდა გავაბათ ლაპარაკი... მკითხველი გვაპატიებს, რომ, ვიდრე სათანადოდ არ დავინახავთ სკოლის საქმეს არ მოვიშლით წერას“. – მწერალი ჩივის, რომ სკოლის მშენებლობა დაევალა საქმის უცოდინარ გლეხებს, „რომლებსაც მთელი ცხოვრება ქვატალახა მიწური სახლების მეტი არა უნახავთ რა“. სასკოლო შენობისთვის გამოყოფილი ადგილის ზომა და მდებარეობაც სასწავლო პროცესისთვის სახარბიელოდ არ მიაჩნია. „...წინ უძევს ერთი ურმის გზა სოფლის, ისიც ხევი... სად უნდა გავიდნენ მოსწავლე ბაღლები?!“ [16]. „მეტად მოუხერხებელი და საშიშლი ვიწრობაა და ბავშვს-კი პატარა ფართო ადგილი სჭირდება. მერე იქნება, ღმერთმა ხელი მოგვიმართოს, შევიძლოთ და დღევანდელი სამრევლო სკოლა ორ-კლასიან ან სამეურნეო სკოლად გადავაქციოთ. ამას დასჭირდება ფართო შენობა და სადღა წავიდეთ?!“

თუ-კი მართლა მოგვიწადინებია სკოლის აშენება და შვილების აღზრდა, მაღლის ჩადენას მარილიც მოვყაროთ... რა ვქნათო, მკითხავენ?! აი რა, ქვეყანა დიდია და ამ დიდ ქვეყანაში მაღლიანი ადამიანიც ბევრია. ჩავიცვათ რკინის ქალამნები, დავიჭიროთ რკინის ჯოხები, ვითხოვოთ ნუ ვითაკილებთ, ქვეყანა ერთურთის შემწეობით გამოდის და ნუთუ ორასი კომლი ღარიბი ხალხი

ქვეყანაში არ ვურევით და მოწყალე თვალთ არ გადმოგხედვენ?! თვითოეულმა ქართველმა რომ თითო კაპიკი გვაჩუქოს, ჩვენს ღარიბს ქოხს ააშენებენ და თავის სახსენებლადაც უკვდავს ძეგლს აიშენებენ!...

ყოველგვარი შემოწირულობა დიდის მადლობით მიიღება. აი ადრესიც, ვინც კეთილ ინებებს და მოგვაწვდის რასმე:

ცხინვალი, ერედვის მღვდელს ანტონ ლომოურს და თ. რევაზ ალექსანდრეს ძე ფავლენიშვილის“. [17].

ასევე ექომაგებოდა ერედველი მწერალი სოფელ ნიქოზის სამრევლო სკოლას, რომელიც ყოველად უსაღმდეგოესის ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის, ჩაგონებით და შემწეობით დაუარსებიათ. „სკოლის მზრუნველობა იკისრა საკმაოდ შეძლებულმა თავადმა რ. ფავლენიშვილმა. სკოლაში დაიარება და სწავლობს 37 ბავშვი, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს სკოლა დიდს გაჭირვებაშია: სხვა მრავალ ნაკლულოვანებასთან ერთად არა გვაქვს ერთი წვირი შეშა, რომ პატარა ბავშვებმა სიცივე-ყინვაში სული მოითბონ“ [18].

გულისტკივილით ატყობინებდა მკითხველს რევაზ ფავლენიშვილი იმ პრობლემების შესახებ, რომელსაც იაკობ გოგებაშვილიც აღნიშნავდა და ეხმარებოდა თავის წერილებში. ეს პრობლემა ქართულ სკოლებში რუსულ ენაზე სწავლებას ეხება. ერედველი მწერალი ამჯერად ცხინვალის ორკლასიანი სკოლის შესახებ წერდა, რომ „...ცხინვალში – კი ერთადერთი ორკლასიანი ნორმალური სკოლაა, სადაც ქართულ ენას არ ასწავლიან. უმეტეს წილად ისეთი ღარიბ-ღატაკის შვილები სწავლობენ, რომელთაც არა აქვთ საშუალება სწავლა გააგრძელებინონ თავიანთ შვილებს... ავიწყდება ისიც, რაც იცოდა და რჩება ისევ უსწავლელი, რაც იყო თავდაპირველად... სახელის და გვარის მოწერა თავის სამშობლო ენაზე არ იცის, რომ საქმე ან ხელობა აწარმოვოს...“

ნუ-თუ დრო არ არის, თვალი ავახილოთ... ნუთუ არ შეუძლია აქაურ მამა ბლადოჩინს სამრევლო სკოლა მაინც ითავოს, რომ აქაურ ღარიბთა შვილებმა ქართული წერა-კითხვა მაინც ისწავლონ?!... დღეს ისეთი დროა, ჩვენდა ფრიად სამწუხაროდ, რომ მღვდელი, ბერი, თუ ერის კაცი, სულ საკუთარ „მე“-ს მომტირალია და ჩვენი მაჭირვებელი ძმები უვიც-ბეჩავნი. ღარიბ-ღატაკნი, უცოდინრობით უკან ჩამორჩენილნი, ვიღას ახსოვს...

არავითარი გონებრივი, ესთეტიკური და საზოგადო საქმის ინტერესების ჩამიჩუმი აქ არ ისმის“. [19].

იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთ წერილში გამოხატავდა თავის სიხარულს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამკითხველოების დაარსების გამო. „...ახლაც არსდება პატარა გონებრივი საღაროები, მართლაც ეს სამკითხველოები დიდს სარგებლობას მოიტანენ ხალხში“ – წერდა დიდი მამულიშვილი. ცხინვალის წიგნთსაცავ-სამკითხველოს მუდმივად ქომაგობდა მისივე მცველი რევაზ ფავლენიშვილი. როგორც კორესპონდენციებიდან ჩანს, ერედვის მწერალი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის ფუნქციონირებაში. იმ სალიტერატურო სადამოებში, რომლებიც იმართებოდა ცხინვალის სამკითხველოში.

„...6 მარტს გვქონდა სალიტერატურო სადამო სამკითხველოს სასარგებლოდ. წაკითხულ იქნა რამდენიმე ადგილი „ოთარანთ ქვრივისა“, „ელისო“, ალ. ყაზბეგის და მრავალი ლექსები და სცენები ჩვენის წარჩინებული მწერლებისა, წაკითხულ იქნა რამდენიმე რუსული ლექსი, იმდერეს საუკეთესო სიმღერა ქართულად, ვანათის მასწავლებლის ბ.ა. ჯალიაშვილის ლოტბარობით.

დიდად ასიამოვნა საზოგადოება ზოგიერთმა სიმღერამ და მეტად თ.ნ. ერისთავის წაკითხულმა ლექსებმა და იმერულმა სცენებმა. აქაური საზოგადოება სულ უფრო ეტანება ლოტოსა და ქაღალდის თამაშობას და აი, ეს გახლავთ მიზეზი, რომ ცხინვალელთაგან სულ არ დაესწრო სადამოს ათი კაცი. დანარჩენი საზოგადოება სულ წევრები იყვნენ სამკითხველოსი და თ. მაჩაბლები. ამ სადამოზე დასწრება ღირდა ექვსი შაური იმ აზრით, რომ ხალხისათვის გაგვეადვილებინა მოსმენა ჩვენის წარჩინებულის მწერლების ნაწერებისა...“ [20]

რევაზ ფავლენიშვილი არ ივიწყებდა და სახალხოდ მადლიერების გამოხატავდა იმ ადამიანთა მიმართ, ვინც სხვადასხვა დროს დახმარების ხელს უწვდიდა ცხინვალის სამკითხველოს: „ცხინვალის სამკითხველოს კომიტეტის უგულითადეს მადლობას უძღვნის ბ.ფ.ტ. ბოგდანოვს თანაგრძნობისათვის. და აგრეთვე ყველა იმათ, ვინც მხურვალე მონაწილეობა მიიღო სადამოში. გლეხს სოლომონ ზანგალაძეს, რომელმაც კითხვა არ იცის, მაგრამ, გაიგო რა მნიშვნელობა სამკითხველოსი, შემოსწირა ორი მანეთი. იმედია, ჩვენი საზოგადოება არ დასტოვებს ცხინვალის ღარიბ სამკითხველოს უყურადღებოდ და მიაწვდის ხელს დასახმარებლად“. [20].

ერედველი პუბლიცისტის ერთ-ერთ წერილიდან ვიგებთ, რომ იაკობ გოგებაშვილი ისე, როგორც ყველა სხვა სამკითხველოს, ცხინვალის სამკითხველოსაც უწვდიდა დახმარების ხელს.

„ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უგულთადესი“ მადლობა გამოვუცხადო იმათ, ვინც დაბა ცხინვალის სამკითხველოს აღმოუჩინა დახმარება, პატივცემულ იაკობ გოგებაშვილს, რომელმაც შესწირა თავისი ნაწერების გარდა, სამი მანეთისა სხვა წიგნებიც ყველა სამკითხველოს და, რასაკვირველია, დაბა ცხინვალის სამკითხველოსაც ხვდა წილად. მწყემსის რედაქტორს მამა ღამბაშიძეს, რომელიც ეს მეორე წელიწადია უსასყიდლოდ უგზავნის თავის გაზეთს: „ივერიის“, „კავკაზის“ რედაქტორებს. არსენ კალანდაძეს, რომელმაც შესწირა შოთა რუსთაველის სურათი, ნატალია ვლოსოვსკასამ 2 მანეთი, როსებ მაჭავარიანმა 2 მანეთი, აღუთქვეს ორ-ორი მანეთი იოსებ ბასიევმა და სიკო ვასაძემ. ყველა ზემოთ აღნიშნულის დამხმარებელი უგულთადეს მადლობას მოახსენებენ დაბა ცხინვალის სამკითხველოს კომიტეტის წევრნი“ [21].

ცხინვალის სამკითხველოს არსებობას საფრთხე ექმნებოდა, ერედველი მწერალი აფრთხილებდა საზოგადოებას: სამკითხველო დღეს გადაიქცეულა საყმარბაზო დარბაზად... დღეს თუ ხვალ სამიკიტნოდ გადაიქცევა! აქაური საზოგადოებაც ისე გულგრილად ეპყრობა ამ კეთილს საქმეს, გეგონებათ, სამკითხველო სათაკილო რამ იყოს. ასეთი უხეირო, უხალისო და ქარაფშუტა ახალგაზრდობა არ გვეგულება არსად... კეთილი საქმე, გონების განვითარება, ხალხის გამოფხიზლება მიუწვდომელი საგანია“ [22].

არ უშველა ცხინვალის სამკითხველოს გადასარჩენად წარმოდგენის გამართვამ „რომლიდგანაც შემოვიდა ხუთი თუმანი ფული ხარჯ გარეთ“ ვერც წიგნთ –საცავი აღსდგა და ის ფულიც... ყრია უმოდრაოდ და უქმად.

ასრულდა რევაზ ფავლენიშვილის წინათგრძნობა, არსებობა საბოლოოდ შეწყვიტა ცხინვალის წიგნთ-საცავ-სამკითხველომ. ეს მაშინ, „როცა ცხინვალს გარშემო ახვევია სულ ცოტა ოცამდე ოჯახი თავაზ-აზნაურისა, რომელთაც ადვილად შეეძლოთ მისი გაძლოლა, მაგრამ... ჯერ ისევ საღათას ძილითა სძინავს ჩვენს საზოგადოებას. თუ ეს ესე არ არის, მაშინ რას მივაწეროთ ასეთუ უყურადღებობა – საქმისა?! დროა, დრო ბატონებო, ურთიერთმანეთის მტრობას, პირად „მეს“-ს თავი დავანებოთ და მივხედოთ საერთო საქმეს“ – წერდა ქვეყნის წინსვლაზე, უკეთეს დღეზე ორიენტირებული ერედველი მწერალი. იგი არაფერს და არავის სტოვებდა უყურადღებოდ, რაც საზოგადოებას გამოაფხიზლებდა ღირსეული მომავლის შესაქმენლად.

„...ბ-ნ გუგუშვილის მოსვლამდე ცხინვალის ბუდე იყო ყოველგვარი სიბინძურისა, ავაზაკ-ქურდ-ბაცაცებისა და გონების სიღატაკისა. დაინიშნა აქ თუ არა, იგი მხნედ შეუდგა თავის საქმეს... ცხინვალის უწინდელთაგან სამოთხედ გადაიქცა... გააშენა მშვენიერი ბაღი, თავის კოხტა „როტონდა“-ს სცენით. სამკითხველოს შესძინა წიგნები, სურათები ჩვენის მოღვაწეებისა, სკამები, ფარდები, დიდი გრძელი მაგიდა, ლამპები, ერთი სიტყვით, ყოველი მისი დაწყებული საქმე, დღითი დღე წარმატებაში მოდიოდა...“

გადაიყვანეს გუგუშვილი და მონასტერიც აირია“. [24].

ეს მაგალითი იყო იმისას, თუ რამდენად ბევრს განაპირობებს პიროვნების პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისადმი.

რევაზ ფავლენიშვილი წუხდა, რომ უმეცარ ხალხს მოკლე მახსოვრობა აქვს და მადლიერების გრძნობაც დიდხანს არ გასტანს. ასე მოიქცა ცხინვალის საზოგადოება ალექსანდრე როინიშვილთან დაკავშირებითაც. „...ცხინვალის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს აწ განსვენებულმა ჩვენმა დაუვიწყარმა მამულიშვილმა ალექსანდრე როინიშვილმა შესწირა ძვირფასი წიგნები; „ვეფხისტყაოსანი“ - ძვირფასი გამოცემა, „ქადაგებანი“ გაბრიელ ეპისკოპოსისა, „ნარკვევი“, „საქართველოს ისტორია“, დ. ბაქრაძის „ისტორია ვახუშტისა“ და სხვა მრავალი ამისთანა ღირებული არა ნაკლებ ხუთი თუმანისა. მერე როგორ მიეგებნენ ამისთანა შემწირველის გარდაცვალებას, ცხინვალელი მეთაურნი?! არც როგორ! მისთვის სულ ერთია, იყო და აღარ არის! იმათთვის რა დიდი ბედენაა, რომ ერთი მოღვაწე დაგვაკლდა“ [24].

ასეთი საზოგადოებისაგან გასაკვირი არ არის რომ „...სამკითხველო – წიგნთ-საცავი მეტ ბარგად მიაჩნია“. სიკეთე მაინცა ჰქმნან, რომ ფული (სამკითხველოს აღსადგენად შენახული-ლ.ბ.) რომელსამე საქველმოქმედო, სასარგებლო საქმეს გადასცეს, მაგალითად ღარიბ სტუდენტების ანუ დედათა მომავალ სკოლის ფონდის გასაძლიერებლად „თუ არა-და, ვისთვის რა სასარგებლოა, რომ ზოქაულის სამართველოში ყრია ფული?“ [25].

„...ვისაც საზოგადო საქმე, გინა კერძო საქველმოქმედო საქმის მოთავეობა გულით არ უნდა, იმან ხელი არ უნდა მოჰკიდოს და ჩამოგვეცალოს მაინც იმათ, ვინც შეიძლებენ და ვინც მართლა გულით და სულით მოწადინებულნი არიან, თავი არ დაჰზოგონ საქმისათვის... სულით და მთელის ძალღონით უნდა ექიდებოდეს საქმეს და მხოლოდ მაშინ გაკეთდება რამე...“ [26], - წერდა რევაზ ფავლენიშვილი და მართალიც იყო.

რევაზ ფავლენიშვილი მთელი ცხოვრება „თავს არ ზოგავდა საზოგადო საქმისათვის“. სიტყვით და საქმით მხარში ედგა გაჭირვებულ ადამიანებს და ზრუნავდა საზოგადოების განვითარებისათვის, სამართლიანობისათვის.

თავი მხატვრულ შემოქმედებაში რ. ფავლენიშვილმა, ერთ-ერთმა პირველმა, სცადა შეექმნა პირველი მასწავლებლის სახე მოთხრობაში „ევა“.

„ტურფად შემკული ქვეყნის შვილნი ძალად ვიმახინჯებთ თავსა? ჩვენი უგუნურობით გონიერთაც ვადუხჭირებთ“ [27] – წერს ავტორი მოთხრობის დასაწყისში – სწორედ, ამ უგუნურობა-უცოდინრობას ებრძოდა ევა, როცა მიზნად დაისახა ორი აზრის განხორციელება სოფელ №-ში სკოლის დაარსება და მეორე – რიგიან წრეზე დაყენება ოჯახისა“[27].

ახალგაზრდა ბელეტრისტს უნდოდა დაეხატა საზოგადო მოღვაწე ქალის ტიპი ჩვენში. ამიტომაც ჩვენ მიერ დიდი მადლობელი უნდა ვიყოთ – სწერდა კრიტიკოსი პეტრე ჭარაია [28].

მოთხრობის მთავარი გმირის, ევას, ბინის აღსაწერად მწერალს გამოუყენებია საკუთარი მამა-პაპისეული სახლის აღწერა.

ამ სახლს მოსახლეობა „ბატონიანთ“ სახლს უწოდებდა. გასაბჭოების შემდეგ იქ ფუნქციონირებდა ერედვის სკოლა.

საყურადღებოა, რომ ერედვში შვიდწლიანი სკოლის დამაარსებელი და პირველი მასწავლებელი იყო რ. ფავლენიშვილის ძმისშვილი შალვა ფავლენიშვილი, რევაზ ფავლენიშვილის შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი.

რევაზ ფავლენიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობა იძლევა სრულ საფუძველს დასკვნისათვის: ერედველი მწერალი აგრძელებდა დიდი მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის გაკვალულ გზას.

ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი ი., რჩეული თხზ. ტ. II, „განათლება“, თბილისი, 1990, გვ. 312;
2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, №95;
3. წოწელია ვ. „მოთხრობები“, „ნაკადული“, თბილისი, 1965, გვ. 302;
4. წოწელია ვ. „მოთხრობები“, „ნაკადული“, თბილისი, 1965, იქვე;
5. გაზ. „ივერია“, გვ. 4, №162, 1887;
6. „ილიას სამრეკლო“, „განათლება“, თბილისი, 1987, გვ. 203-204;
7. გაზ. „სახალხო საქმე“, №15, გვ. 2;
8. ფავლენიშვილი ნ. „მხარგრძელ-ფავლენიშვილთა ფეოდალური სახლი და როსტომ რაჭის ერისთავის ასული“, „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 116;
9. გოგებაშვილი ი., „თავდადებული მღვდელი თევდორე“, „საგანძური“, „განათლება“, 1982;
10. გაზ. „ივერია“, №126, გვ. 2, 1898;
11. ფავლენიშვილი ნ. „მხარგრძელ-ფავლენიშვილთა ფეოდალური სახლი და როსტომ რაჭის ერისთავის ასული“, „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 117;
12. გოგებაშვილი ი., „მიმართვა“, „რჩეული თხზულებანი“, ტ. II, თბილისი, 1990, გვ. 138;
13. გაზ. „ივერია“, №2, გვ. 2, 1891;
14. გაზ. „ივერია“, №160, გვ. 2-3; 1891;
15. გაზ. „ივერია“, №98, გვ. 1-2; 1898;
16. ერედველი რ. გაზ. „ივერია“, №131, გვ. 2; 1898;
17. გაზ. „ივერია“, №111, გვ. 3; 1898;
18. რაე და ფარი!, გაზ. „ივერია“, №29, გვ. 3; 1900;
19. რაე და ფარი!, გაზ. „ივერია“, №130, გვ. 3; 1900;
20. ფავლენიშვილი რ., გაზ. „ივერია“, №53, გვ. 2; 1894;
21. ფავლენიშვილი რ., გაზ. „ივერია“, №35, გვ. 2-3; 1894;
22. ფავლენიშვილი რ., გაზ. „ივერია“, №146, გვ. 3; 1897;
23. რაე და ფარი!, გაზ. „ივერია“, №32, გვ. 2; 1901;
24. ერედველი რ. გაზ. „ივერია“, №126, გვ. 2; 1898;
25. რაე და ფარი!, გაზ. „ივერია“, №32, გვ. 2; 1901;
26. რაე და ფარი!, გაზ. „ივერია“, №130, გვ. 3; 1902;
27. წოწელია ვ., „მოთხრობები“, „ნაკადული“, თბილისი, 1965, გვ. 308;
28. ჭარაია პ. ჟურნალი „კვალი“, №181, 1896;

Luiza Beruashvili
LEPL Gori Municipality Village Tirdznisi Public School
ONE OF THE FORGOTTEN GEORGIAN FIGURES
RESUME

Iakob Gogebashvili had great merit in front of Georgian people. His way was continued by Georgian young men, who fought with pen and their work in order to form new sort of Georgians.

One of them was a son of a village, a writer - a publicist R. Pavliashvili (1854-1918), who continued that way which one Iakob Gogebashvili paved.

Revaz Pavlenishvili with publicistic letters and stories, which ones he published in that period of press, helped a Region of Tskhinvali, especially the village of Eredvi. He formed an educational center and places for reading in order to get the villagers the perfect education. Which is told by the previous article.

ლატავრა ზუკია

საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

**იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ - სწავლა-აღზრდის საკითხები თედო სახოკიას
„როგორ ვიზრდებოდით ძველად“ - ის მიხედვით /დაწყებითი განათლება/**

XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის პირველ ნახევარში საზოგადოებრივ სამსახურში მოღვაწე ქართველებს, ერთიანად უხდებოდათ ბრძოლა, ქართველი ერის სულიერების აღორძინების, საუკუნეებამოვლილი ქართული ცნობიერების, ქართული იდეალების, ქართული ენის დაცვა შენარჩუნებისათვის.

თედო სახოკიასა და იაკობ გოგებაშვილს - საუკუნის მეოთხედი ამორებდათ ასაკობრივად ერთმანეთთან, თუმცა, ეს სრულებით არ იყო მთავარი განმსაზღვრელი, მათი ურთიერთობისა, ორივე მათგანმა, საქართველოს ქართული ხალხისადმი, მსახურებაში გალია ცხოვრება. იაკობ გოგებაშვილის ძირითადი პრინციპი სწავლა-აღზრდის მხრივ ეფუძნებოდა მშობლიურ ენაზე სწავლებას, ამასთან რუსული ენის შესწავლის აუცილებლობასაც.

იაკობ გოგებაშვილმა საქართველოში პირველმა წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ხოლო სწავლების უმთავრეს პრინციპებად — მიიჩნევდა შეგნებულობას და აქტიურობას, მისაწვდომობასა და თვალსაჩინოებას. სწავლისა და სწავლების, პედაგოგიკისა და ცალკეულ საგანთა მეთოდის, ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა, იაკობ გოგებაშვილმა მოგვცა შრომებში: „ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში“, „ბრმა წინამძღოლობა ხალხის განათლებაში“, „ახალი სამოსწავლო გეგმის შესახებ“, „სახალხო მასწავლებლის ღვაწლი და უკიდურესი გაჭირვება მისი“, „განათლების მდგომარეობა საქართველოში“, „მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები“ და სხვა.

თედო სახოკია თავისი თანამედროვეების მსგავსად ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა თავის შემოქმედებაში სწავლა-აღზრდის საკითხებს, საინტერესოა, მისი წერილები, საგაზეთო სტატიები, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ ემიგრაციიდან გამოგზავნილი.

თედო სახოკია სამეგრელოში დაიბადა, მაგრამ შემდგომში საცხოვრებლად ოჯახი გადავიდა აფხაზეთში. საზოგადოებრივი საქმიანობაც იქ გააგრძელა. თავისი სიტყვით, ებრძოდა რუსულ იმპერიალისტურ პოლიტიკას აფხაზეთში, საერო და სასულიერო სფეროში, ქართული ენის სწავლის აკრძალვის, (წირვა-ლოცვის) მშობლიურ ენაზე მოსმენის მოთხოვნისა თუ სხვა.

1890-იანი წლებიდან ვიდრე გადასახლებაამდე ის იყო აფხაზეთში „ქართული პარტიის“ სახელით ცნობილი პარტიის ხელმძღვანელი. თედო სახოკია ერთ-ერთი იმათაგანია, რომელიც ყველაზე მეტად ხედავდა იქაურ მკვიდრთა ქართული სულიერებისაგან მოწყვეტას, იბრძოდა რუსული ბიუროკრატიზმის მხრიდან საქართველოს ამ მხარის გარუსების წინააღმდეგ.

თედო სახოკიას თავის ავტობიოგრაფიულ /მოგონებანში/ „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, ძალიან ვრცლად აქვს აღწერილი, თავისი ბავშვობა. სწავლის პროცესი, სასწავლებლის მასწავლებლები, ცხოვრების პირობები, და ა.შ. „მოგონებანი“ შეეხება ავტორის ბავშვობის პერიოდს, დაბადებიდან მარტვილის სასულიერო სასწავლებლის დამთავრებამდე /1876-1884წწ/ და შედგება ორი ნაწილისაგან. „მოგონებანის“ პირველ ნაწილში მოთხრობილია ავტორის აღზრდა განვითარების პირობები, სასულიერო სასწავლებელში შესვლამდე, /8წლის ასაკამდე/ დაბადება, გამძაფრება, აფხაზეთში ცხოვრება, ომის საშიშროების გამო ოჯახის მობრუნება და სამეგრელოში ცხოვრება. მეორე ნაწილში მარტვილის სასულიერო სასწავლებელში შესვლისა და სწავლების შესახებ მრავალფეროვანი სურათებია გადმოშლილი.

„მოგონებანის“ პირველ ნაწილში მოცემულია ბავშვის თვალთ XIX საუკუნის მიწურულს, სამეგრელოს სამღვდლოებისა და გლეხობის ცხოვრება, ხალხის ადათ-წესები, ბავშვის აღზრდის პირობები, რელიგიური რწმენა-შეხედულები. დაწვრილებითაა აღწერილი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მუშაობის პირობები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შემადგენლობა. მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის სისტემა, პირობები და სულიერი განცდა-მისწრაფებანი.

„მოგონებანში“ - გადმოცემულია მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, სამეგრელოს მცხოვრებთა ცხოვრების პირობების შესახებ, წარმოდგენილია ბავშვის განვითარებისა და აღზრდის შესახებ, სასულიერო სასწავლებელში შესვლამდე დამკვიდრებული აღზრდის წესები: /გამძაფრება, განსაწმენდელში ანუ მღვდლის ოჯახში ყოფნა, სწავლის დაწყებამდე და ა.შ./

სამეგრელოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, სამეგრელოში პირველი მარტვილის სასულიერო სასწავლებლის შესახებ ისტორია, სასწავლებლის სასწავლო პროცესი, ძირითადი ნაწილი, მით უფრო დასახელებული სასწავლებლის ისტორია, სარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგან სასწავლებელი ორჯერ დაიწვა. მასალაც თითქმის მთლიანად მოგონებებს ემყარება.

თავის მრავალფეროვან და მდიდარ „მოგონებებს“ მეტად მოხდენილი მხატვრული ლიტერატურული ენით, გადმოგვცემს, რაც კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ინტერესითა და ხალისით იკითხება.

თედო სახოკიას „მოგონებანის“ უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, ბავშვთა სწავლა-აღზრდის მდგომარეობის გასაცნობად XIX საუკუნის 70-80-იან წლებში და იგი მდიდარ მასალას შეიცავს ბავშვობის ბუნებისა და ფსიქიკის გასაცნობად.

თედო სახოკიას წერა-კითხვის შესწავლა უკვე 5 წლის ასაკში დააწყებინეს. სწავლის დაწყებამდე თავად აღწერს ქალაქ სოხუმის იმდროინდელ მდგომარეობას. „იმ დროს სოხუმში ქართულს ვერ გაიგონებდით, მამაჩემს უხაროდა კიდევ რომ რუსულს ვისწავლიდი, ე. ი. იმ ენას, რომელიც იმან არ იცოდა და ძალიან კი უნდოდა ესწავლა, საყველპუროდ მაინც, რადგან მის მრევლში მეგრელებს გარდა რუსობაც ერია და დიდი სურვილი ჰქონდა ეკლესიაში, როცა ქართულად სწირავდა, ზოგიერთი ასამაღლებელი სლავიანურად ეთქვა, ზოგჯერ სახარებაც წაკითხა. ამიტომ რუსული ანბანის სასწავლად ერთ პოლონელ ქალს ინდო-ევროპულ ტელეგრაფში მოსამსახურე პოლონელის ცოლს მიმაბარა. შემდეგ ერთი რუსული პოლკის უფროსის დასთან დამაწყებინა მეცადინეობა. ერთმაც და მეორემაც მასწავლეს წერა-კითხვა უშინსკის <<Родное слово-ს საშუალებით. ამის შემდეგ მამამ შემიყვანა აფხაზეთის დაარსებულ ერთადერთ რუსულ ორკლასიან სკოლაში. აქ აფხაზებთან ერთად რუსი ბავშვებიც სწავლობდნენ და მეც იმათთან! თანდათან მეგრული მაგიწყდებოდა, ტენდენცია მქონდა გარუსებისა, ამისთვის პირობებიც ხელს მიწყობდა. მამაჩემს ძალიან უხაროდა და თავისი თავი ბედნიერად მიაჩნდა, რომ შვილი რუსული ენის მცოდნე და რუსულ სკოლაში მოსიარულე ვყავდი¹.

სკოლა, რომელშიც თედო სახოკიამ სწავლა დაიწყო, მთელ აფხაზეთში ერთადერთი იყო, სადაც მხოლოდ აფხაზ ბავშვებს იღებდნენ, „მთიელთა სკოლა“ (Горская школа) ამ სკოლას პანსიონი ჰქონდა და აფხაზ ბავშვებს სახელმწიფო ხარჯით ზრდიდნენ. „სწავლა რა თქმა უნდა, რუსულად წარმოებდა. ვერც-კი წარმოედგინათ, თუ არა რუსულით, სხვა ენის საშუალებით წერა-კითხვის სწავლება შესაძლებელი ყოფილიყოს“²

თედო სახოკიას ხელნაწერში, რომელიც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, თედოს პირად არქივში, აღწერილია - „მთიელთა სკოლის“ ისტორია, მთიელთა სკოლა, მოგახსენებთ, ამ სკოლისა და მისი როლის შესახებ აფხაზეთის მკვიდრთა შორის და, კერძოდ, სოხუმელთა მიზნად, თაობის გარუსებისა და გონებრივად დამახინჯების საქმეში.

დაარსდა ეს სკოლა 1863 წელს აფხაზების მკვიდრთა გარუსების მიზნით, შესდგებოდა ორის ძირითადის და სამის მოსამზადებელის კლასისაგან. სწავლობდნენ აფხაზეთის სოფლებიდან

¹ თ. სახოკია - მოგონებანი „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, 1955 წ. გვ. 19.

² იქვე. გვ. 204

ჩამოყვანილი ბავშვები. სკოლაში ჰქონდათ პანსიონი, სადაც უზრუნველყოფილი იყვნენ, როგორც კვებით, ასევე ტანისამოსით, ისე ბინითაც და სწავლით. შიგ მოსწავლეთ ფორმის ტანისამოსი ეცვათ შავის მაუდისა. სალდათის ტანსაცმლის სახისა, ატარებდნენ სკოლაში მოყვანის დღიდან, ესმოდა მხოლოდ და მხოლოდ რუსული ენა, ენატრებოდათ თავისი დედაენის გაგონება, თავისიანებთან ყოფნა. ამ ანტიპედაგოგიურ ატმოსფეროს, იშვიათად თუ ვინმე უძლებდა ბოლომდე, უმეტესობა ბავშვების მეორე მესამე მოსამზადებელიდან გამოდიოდა და აღარ უბრუნდებოდა სატანჯველად მოვლენილ მასწავლებლებს. განსაკუთრებული ნებისყოფისა და ნიჭის მქონე ბავშვი თუ ახერხებდა „მთიელთა სკოლის“ კურსის დამთავრებას, ამ სკოლაში კურსდამთავრებულებს, გიმნაზიაშიც გზავნიდნენ, მაგრამ არა მახლობელ ქუთაისის თუ თბილისის გიმნაზიაში არამედ შორს რუსეთში სტავროპოლის გიმნაზიაში, რომ სოხუმში დაწყებული გარუსება, აფხაზეთის ბავშვებისა რუსეთის გიმნაზიაში დამთავრებულიყო. შედეგი ასეთი სწავლისა იყო, საქართველოში ჩამოსული რუსი მოხელეების მსგავსად, ადგილობრივი მკვიდრნიც ძალაუვნებურად შეიქმნებოდნენ რუსეთის ხელმწიფის სამსახურისა და საიმპერატორო კარის ინტერესების დამცველნი თავიანთ მშობლიურ, მკვიდრ ქვეყანაში.¹

თედო სახოკიას ამ აღწერიდან აშკარაა, თუ როგორი მდგომარეობა იყო იმ პერიოდის სოხუმის სინამდვილეში, სწავლა-განათლების მხრივ, როგორი უნდა ყოფილიყო თედო სახოკიას მომავალი.

თედო სახოკიას სწავლის დაწყებისას თუ იმავე პერიოდში, ასევე მცირეწლოვანს, 1874 წელს (6 წლის ასაკში), გარდაეცვალა დედა და დედით ობლობის ტკივილით გააგრძელა თედომ და ოჯახმა ცხოვრება. ტიმოთე სახოკიას ჯერ კიდევ ახალგაზრდას (41 წლისას) დარჩა, 6 შვილი (4 ქალი და 2 ვაჟი).

თედო სახოკია სწავლას იწყებს სოხუმის მთიელთა სკოლაში, სადაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ეს კი ნიშანი იყო იმისა, რომ საერთოდ ჩამოშორებოდა ქართულ სწავლა-განათლებას. „მამაჩემმა იფიქრა: კარგია, რომ ჩემი შვილი რუსულად სწავლობსო, მაგრამ ცუდი არ იქნება, ქართულიც ისწავლოსო, მასწავლებლობა მიაწოდო თავისსავე დიაკვანს. რის გაჭირვებით იმოვნეს ფურცლის მეოთხედზე დაბეჭდილი ქართული ანბანი. დიაკვანმა სახლის კიბეზე გვერდით მომისვა და მითხრა: ეს არის ანი, ეს არის ბანი, და ესეც განიო. ისწავლე ასე ანბან, გან და რო დაგვრუნდები, გკითხავ და თითოეულ ანბანის სახელი უნდა მითხრაო. მე ღიმილით ვუპასუხე: დიაკვანი რომ წავიდა, დიდხანს ვათვალიერე ანბანის პირველი ასოს, გავუზომე სიგრძე სიმაღლე, მერე მომბეზრდა მათი ყურება, ვიფიქრე რაკი რუსული ვიცი ეს სრულებით ზედმეტად მივიჩნიე დავხიე და ნაფლეთები ქარს გავატანე. პასუხი ჩემი საქციელისა, იყო ანბანი კატამ დამიხია-მეთქი, ჩემი საქციელი დიდად არ უნაღვლიათ, ასე გადავურჩი ქართული ანბანის სწავლას“....²

1876 წელს გამოცხადებულ რუსეთ-ოსმალეთს შორის ომის დაწყების გამო სოხუმის მოსახლეობა გააფრთხილეს და დაიწყო მოსახლეობამ საცხოვრებელი ადგილის დროებით დატოვება, რადგან ამ ადგილებში უნდა მომხდარიყო დესანტი ოსმალეთის ჯარის, დაიცალა არა მარტო სოხუმი არამედ მისი მიმდებარე დაბები, ოჩამჩირესა და გუდაუთაში.

1876 წლის დასასრულისათვის მოსახლეობამ სოხუმი დატოვა, და რადგანაც სოხუმის მოსახლეობის ძირითად ნაწილს მეგრელი, მოსახლეობა შეადგენდა, დროებით ყველამ სამეგრელოს, თავიანთი წინაპრებისა და ახლობლების სოფლებს შეაფარეს თავი. თედოს მამა სამეგრელოში ბრუნდება ხეთაში დროებით საცხოვრებლად, სადაც ცხოვრობდა თედოს ბიძა (დედით) ექვთიმე, ღვთისმსახურებაც ხეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გაუგრძელებია. 1878 წელს გაზეთ „დროება“-ში გამოქვეყნებული წერილიდან ირკვევა სოხუმის დატოვებისას თედოს მამას თან საეკლესიო სამკაულებიც წამოუღია. „1876 წელს, დეკემბრის თვეში, სოხუმის სამხედრო მაზრის უფროსის გამოცხადების ძალით, მოსალოდნელი ომიანობის შიშისა გამო გადადიოდნენ სოხუმის მცხოვრებლები უშიშარ ადგილებში.

ამ დროს მე ჩემდამი რწმუნებულის სოხუმის სასაფლაოს წმ. გიორგის ეკლესიის საეკლესიო სამკაულები, აფხაზეთისა და სამურზაყანოს ეკლესიების უფროსის ბლალოჩინის მაჭავარიანის ბრძანებით, წამოვიღე ყოველივე, სიით აღწერილი ჩემის საკუთარს ხარჯით და დიდის წვალეებით, ეს ზემოთხსენებული ეკლესიის სამკაულები მაქვს ამჟამად დაცული უკლებლად სამეგრელოში ჩემს მხედველობის ქვეშ, სოფელ ხეთაში“ მღვდელი სახოკია.³

თედო სახოკიას ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილება უნდა მომხდარიყო, ზემოთ აღწერილი თედოს გარუსების საშიშროება უკვე აღარ იყო, მას უნდა დაეწყო სწავლა უკვე სამეგრელოში. სოფელში სადაც, მამამ თედო დროებით სკოლაში მიიყვანა თედოს სახლიდან $\frac{3}{4}$ კილომეტრის მოშორებით იდგა, იყო ერთადერთი სამგანყოფილებიანი, საეკლესიო სამრევლო სკოლა, რომელიც 1872 წელს გაუხსნიათ. მასწავლებლად ზოსიმე ჩიჩუა, რომელსაც უნდა ესწავლებინა რუსულის მცოდნე პატარა თედოსთვის

¹ კ. კვეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი N 73, ფ. 125.

² თ. სახოკია. 1956 წ. გვ. 205.

³ წარსულის ფურცლები 2015 წ. გვ. 17.

ჩვენებური („ჩქინობურა“) ქართული. მაგრამ მოხდა კი პირიქით „მასწავლებელიცა და მოწაფეებიც ერთგვარ შურით მიყურებდნენ, როგორც რუსული წერა-კითხვის მცოდნეს და ამ ენაზე მოლაპარაკეს!... მე სხვებს ვასწავლიდი რუსულს, ხოლო ყველას ავიწყებოდა, რომ ჩემთვის, ქართული ესწავლებინათ. ორ თვეზე მეტი დავყავი ლარჩვის სკოლაში მაგრამ ქართული მაინც ვერ ვისწავლე.“¹

სამეგრელოს სასწავლებელში შესვლამდე თედო სახოკიამ, ერთი წელი გაატარა ქართულის შესასწავლად, მღვდლის შიო იოსავას ოჯახში, რადგანაც ჭყონდიდის რეზიდენციაში - მარტვილის სასულიერო სასწავლებლის პირველ განყოფილებაში შესასვლელად საჭირო იყო ქართულის ცოდნა. აქაც ვერ მოახერხა, თედომ ქართულად წერა-კითხვის სწავლა. „ჩემმა პაპამ შიო იოსავამ, გამოიყენა ჩემი ზეპირად ცოდნა რუსულის ელემენტარული ლოცვებისა, რუსულისავე ელემენტარული გალობისა და გამიხადა პატარა დიაკვნად, სტუმრებთან საუფლო ლოცვას - „მამაო ჩვენო“ რუსულად მათქმევინებდა და თავი ექებოდა... ასე გაგრძელდა, ყველას დავიწყებული ჰქონდა, რისთვისაც ვიყავ მიყვანილი“.² სამაგიეროდ აქ სამეგრელოში გატარებულ დღეებს იქაურ საუცხოო ადგილებს ათასნაირი ფანტაზიით ავსებს წარმოდგენები, „ოჩოკოჩზე, ტყის მეფეებზე, ჭინკებზე“... და ასაკში ყოფნის დროსაც კი წარუშლელად ჩარჩენილან მხცოვანი მოღვაწის გონებაში.

სამეგრელოში სწავლა განათლების ცენტრი იყო მარტვილში. მარტვილი უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც განათლებისა და კულტურის დიდი კერა. სწორედ, ამ დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის გამო გადაწყდა აქ სასწავლებლის დაფუძნება. 1878 წელს გაზეთი „დროება“, წერდა „სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი, სრულიად ბუნებრივად, უნდა გახსნილიყო მარტვილში, ჭყონდიდის ტაძრის გვერდით, ჭყონდიდის მონასტრის გავლენის ქვეშ, რადგან სამეგრელოში მარტვილს ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც რომის ქალაქს ფრანგთა შორის დასავლეთის ეკლესიაში“.³

1877 წელს, უკვე ცხრა წლის თედო ამ სასწავლებელში იწყებს სწავლას. და რადგანაც თედომ უკვე იცოდა, რუსულად წერა-კითხვა, უნდა დაესვათ მეორე მოსამზადებელში, მაგრამ ქართული წერა-კითხვის არცოდნის გამო ისევ პირველ მოსამზადებელში დასვეს.

მარტვილის სასწავლებელში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. „სხვადასხვა პედაგოგიური ხერხების მაგიერ უნდა უმთავრესად მიემართნათ ფიზიკური შთაგონებისათვის: ცემა-ტყეპით უნდა შეეთვისებინათ ცოდნა, იმის შიში, რომ გაკვეთილების უცოდინრობისათვის გაწყვეტა, სხვადასხვა სახის ფიზიკური სასჯელი მოელოდა, მოწაფეს ჭკუაზე შლიდა, თუთიყუშით ზეპირობას ფართო გასავალი ჰქონდა, მოწაფენი მასწავლებლებს ისე უყურებდნენ, როგორც მტრებს, ამას ემატებოდა დედ-მამის სახლიდან შორს ყოფნა, მარტვილის მცხოვრებთა, სამეგრელოს სხვა კუთხის მცხოვრებლებთან შედარებით, უკიდურესი სიღარიბე, სასწავლებელი და მარტვილი სინონიმები იყო გოლგოთისა. იშვიათი ბუნების მოწაფე უძლებდა აქაურ რეჟიმს, აქურ პირობებს უმეტესობა პირველ წელსვე ანებებდა თავს სწავლას.“⁴

თედო სახოკიას მარტვილის სასწავლებელში სწავლის დროს ახლად გამოსული იყო იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“, რასც ერთგვარი ხალისი და დიდი საოცრება იყო ბავშვებისათვის მისი, ხელში ალება და შესწავლა ქართული ლექსებისა და მოთხრობების, იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“-ით სამირკველი ჩაეყარა, ქართული ენის გადარჩენას, რუსეთის იმპერიალისტური გარუსების პოლიტიკის კლანჭებისაგან.

თედო სახოკიას მარტვილის სასწავლებელში სწავლისას, სწავლების მეორე წელს, იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ სწავლამ მოუწია. მეტად საინტერესოდ აღწერს თედო აღნიშნულ მოგონებებში - „როგორ ვიზრდებოდი ძველად“, სასწავლებლის და იქაური სწავლის შესახებ, „დედაენის“ - პირველად გამოცემისა და ამ „დედა-ენით“ სწავლის დაწყებაზე.

„იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, რომელზედაც აღიზარდა ჩემი შემდგომი თაობა, პირველად 1876 წელს გამოვიდა და ბავშვებს სულზე მოგვისწრო მეორე მოსამზადებელში. ეს იყო პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ქართული ენისათვის შედგენილი, ქართულ ცხოვრებაში ან შეფარდებით. როცა მასწავლებელმა თბილისიდან ჩამოიტანა და ორ-ორ აბაზად დაგვირიგა ეს წიგნი, ყველას უზომოდ გვიხაროდა. გვახარებდა მისი ყდა და სურათები. გვიხაროდა მისი ფურცლა. სოფლის ნაცნობი ცხოვრების სურათების ნახვა, თუმცა როგორც პირველი გამოცემა, ძალიან განსაზღვრულ რიცხვს შეიცავდა სურათებისას. გარეკანს მაშინვე ქაღალდი შემოვაკარით გარედან და ასე სათუთად ვინახავდით. ადვილად და ხალისით ვკითხულობდით შიგ მოთავსებულ მოთხრობებსა და ლექსებს, თუმცა ბევრი

¹ თ. სახოკია - კრებული. 1969 წ. გვ. 206.

² იქვე, გვ. 207.

³ ნ. ნიკოლაძე. თბილისი 1968 წელი.

⁴ თ. სახოკია - მოგონებანი „როგორ ვიზრდებოდი ძველად“, 1955 წ. გვ. 46.

სიტყვისა არა გვესმოდა, ასეთები იყო ქართლში ხმარებული ქართლელ ბავშვებისათვის საყველპურო სიტყვები, განსაკუთრებით საოჯახო და სამეურნეო იარაღების სახელები, მაგალითად: გუთანი, არნადი, კვერი, კალო, ხვაი და სხვა. რაც სახელმძღვანელოში საზეპირო იყო, ვზეპირობდით, „დედაენის“ საზეპიროსაც არ გავუბოდიტ, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი უფრო გასაგები იყო, თუმცა ვერ ვიტყვით, ხალისიანად ვსწავლობდით მეთქი”.¹

სასწავლებლის მასწავლებელთა შორის, თედო სახოკია განსაკუთრებული სიყვარულით, სითბოთი იხსენებს - პოლიევკტო კვიცარიძეს, ვასილ ბარნოვს, ამბროსი ხელაშვილს, „ეს სამი კაცი სრულებით გვაიწყებდა ამ გრძნობას და გვიტკობდა იმ ტანჯვას, რომელსაც მაშინ „სწავლას“ ეძახდნენ და რომელიც გვიხშობდა ყოველგვარს ადამიანურს სახიერებასა და გონებას, გვაძულებდა საერთოდ სწავლას, გვაძულებდა სასწავლებელს, საცა ყველა საგანს რუსულის საშუალებით გვასწავლიდნენ, ე. ი. უცნობი უცნობის საშუალებით შეგვეთვისებინა“.²

1881 წელს მარტვილის სასწავლებელი დაიწვა, ხანძრის შემდეგ აღდგენა არ მომხდარა და სასწავლებელი გადატანილ იქნა სამეგრელოს შუაგულში, სენაკში. ესე იგი თედო სახოკია უკვე მესამე კლასის მოსწავლეა. სასწავლებლის სენაკში გადმოტანასთან დაკავშირებით ირკვევა, რომ „სამღვდელოებას სენაკში, კრება მოუწვევია მარტვილის სასწავლებლის გადმოტანის შესახებ სენაკში“, რომელიც დადებითად გადაუწყვეტიათ, აქაურ პირობების აღწერისას თედო განსაკუთრებით აღნიშნავს სენაკის უპირატესობას მარტვილის სასწავლებელთან შედარებით და აღნიშნავს მის უპირატესობაზე; სასწავლებლის აქ გადმოტანამ დიდად შეუწყო ხელი დაბა სენაკის წინსვლას, აღებ-მიცემობის განვითარებას. 350-სულამდე შეგირდი, მათი ხშირად ჩამომსვლელი მშობლები, სასწავლებლის მასწავლებლობა, რა თქმა უნდა, ისე დიდ საზოგადოებას ქმნიდა, რომელსაც შეეძლო დაბის ზრდა-განვითარებისათვის საგრძნობლად ხელი შეეწყო. აქ ხშირად იმართებოდა სამღვდელოების კრება სასწავლებლის საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. სულ უკანასკნელი, ასი მღვდელი მაინც მოიყრიდა თავს სენაკში სამი-ოთხი დღით”. „გარემო პირობები თითქო ხელს გვიწყობდა, უკეთესი ცხოვრებისათვის, წარმატებით მეცადინეობისათვის, ხალხიც უფრო შეძლებულად ცხოვრობდა, ბუხრიანი სახლები გლეხებში იშვიათი არ იყო, იყო დუქნები, სადაც ყველაფრის შოვნა შეიძლებოდა, ნავთით გასანათებელი ლამპები შემოვიღეთ, ეს კი დიდი პროგრესი იყო მოწაფეების ცხოვრებაში“.³

სენაკში სწავლა-აღზრდის მხრივ უკეთესი მდგომარეობა იყო. ამავე პერიოდს უკავშირდება თედო სახოკიას მიერ სწავლის დასრულება. ძველი სენაკის სკოლაში სწავლება რუსულ ენაზე იყო. თედოს მიერ სასწავლებლის დასრულების წელს უნდა მომხდარიყო ამ სკოლის, /1884 წელს 28 ოქტომბერს/.

სკოლა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. ამიერიდან სკოლაში სწავლა ქართულ ენაზე უნდა წარმოებულყო. ამავე სკოლის კურთხევას დასწრებია, აკაკი წერეთელი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით, მისი ცნობილი სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს გახსნისას, ე.ი. 1885 წელს “ვალდებულნი ვართ შევისწავლოთ ჩვენი წარსული, – გავიცნოთ ჩვენი მამა-პაპანი და მათი ღვაწლი, არავითარი გონიერება ამას წინ არ აღუდგება!... ის ვინც თავისი ვინაობა არ იცის და თავის თავს ვერ იცნობს, სხვას როგორ-ღა შეისწავლის?... საჭიროა, რომ მარტო აწმყოზე არ შევჩერდეთ. ეს აგვამალლებს ჩვენ ზნეობრივად, აგვეცხება გული სიმართლითა და სიყვარულით... მაშინ შეგვეძლება ის სიყვარული სხვასაც გავუზიაროთ: ვინც გვეძმობა – ვეძმოთ.

სად უნდა შევიძინოთ ესეები ყველა? იმ ახალ ტაძარში, რომელსაც ჩვენ სასწავლებლებს ვეძახით და ერთი რომელთაგანი დღეს აქ ვაკურთხეთ. დიალ, აქ უნდა შეისწავლონ ჩვენმა შვილებმა თავისი თავი და მიხვდნენ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, ძმები ვართ, სამის ძლიერის, უხრწნელის კავშირით საუკუნოდმეზობოცებული. ვიმეორებთ, აქ, ამ სკოლაში მიხვდება იმერელი, რომ ის კერძოდ, თუმცა იმერელია, მაგრამ საზოგადოდ კი იგივე ქართველია; აქ გაიგებს მეგრელი, რომ კერძოდ ის მეგრელია, თავის საკუთარი ფერის მექონი, მაგრამ საზოგადოდ კი, ძირეულად, იგივე ქართველია და თავისი კერძო მეგრელობით მხოლოდ აფერადებს ქართველობას”⁴

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი თედო სახოკიას 1883/4 წლებში /მეორე მოწაფედ/ დაუმთავრებია. ამის შემდგომ სწავლა უნდა გაეგრძელებინა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, მაგრამ ასაკის გამო, არ იქნა მიღებული, ამიტომ სწავლა უკვე თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. თედო სახოკია, როგორც სკოლის პირველი ხარისხის კურსდამთავრებული, უგამოცდოდ ჩარიცხეს სემინარიის პირველ კლასში.

¹ იქვ. გვ. 77.

² თ. სახოკია 1969 წ. გვ. 210.

³ თ. სახოკია. მოგონებანი „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, 1955წ. გვ. 174.

⁴ მამული ენა სარწმუნოება თბილისი 2010 წ. გვ. 115-116.

თედო სახოკია უკვე გამოეთხოვა იმ ასაკს, რასაც ბავშვობა ჰქვია, მას სულ სხვა, ახალი იმედით უნდა გაეგრძელებინა მომავლის გზა, თავისი მომავალი ეძღვნა ქართველი ხალხისათვის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე.

ამდენად, მოგონებანი „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, შესანიშნავი ნაშრომია სწავლა-აღზრდის მხრივ სამეგრელოს რეალური სურათის წარმოსაჩენად, საკუთარი ცხოვრების ფონზე გადმოსცემს ისტორიულ რეალობას, წარმოაჩენს კუთხის ისტორიას, ეთნოგრაფიას და ა.შ.

საკონფერენციო ნაშრომის დასასრულს მინდა მოვიყვანო მცირე ამონარიდი ალექსანდრე მიქაბერიძის გამოუქვეყნებელი მონოგრაფიიდან, რომელიც იწახება გიორგი ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმში და დათარიღებულია, თედო სახოკიას ჯერ კიდევ, ცხოვრების წლებით - 1942 წლით, /მოგონებანი თედო სახოკიაზე ხ. – N 11154/ ეს მოგონება იძლევა მთლიან წარმოდგენას, სამეგრელოს ისტორიული რეალობის სურათს, ბავშვის ძიძის სახლში ყოფნაზე, მის აღზრდაზე, მთლიან სურათს იმ გარემოზე, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ბავშვის აღზრდასთან. სწავლა-აღზრდისა და სწავლების შესახებ, სამეგრელოს იმდროინდელი რეალობის ფონზე. ეს მოგონება დაწერილია ნიჭიერად, სხარტად, ფიგურალურადა და გადმოსცემს, სოფლის ცხოვრების სურათს. შეიძლება ითქვას, ეს ნაწარმოები, როგორც ლიტერატურული, ასევე ეთნოგრაფიული ხასიათის შედეგად ჩაითვალოს.

ლიტერატურა:

1. თედო სახოკია - კრებული. გამომცემლობა „მეცნიერება“ თბილისი, 1969.
2. თედო სახოკია, მოგონებათა ფურცელი - ჩემი საუკუნის ადამიანები, თბილისი 1969.
3. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო სახოკიას ფონდი №73.
4. თედო სახოკია - მოგონებანი - „როგორ ვიზრდებოდით ძველად“ თბილისი. საბლიტგამი 1955, გვ. 77.
5. თედო სახოკია - მოგონებათა კრებული „ჩემი საუკუნის ადამიანები“. თბილისი 1985, გვ. 49.
6. თედო სახოკია - კრებული; თბილისი 1956, გვ. 204.
7. გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი. ხ. – N 11154.
8. ენა, მამული, სარწმუნოება. - თბილისი 2010, გვ. 382.

Lataavra Bukia

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia **IAKOB GOGEBASHVILI “DEDAENA” – QUESTIONS ON TEACHING AND UPBRINGING ACCORDING TO TEDO SAKHOKIA “HOW WE GREW UP IN THE PAST” RESUME**

Tedo Sakhokia worked in the ninety years of the XIX century and the first half of the XX century. Great is his role as a historian in Historiography and he opposed actively the political regime.

In the history of Georgia Tedo Sakhokia is known as a worker of the soviet period as a historian, an ethnographer, a lexicographer, a translator, a folklorist and etc.

Tedo Sakhokia - I.Gogebashvili relations represent permanent value in our history. Our homeland, native language and national schools were main wealth, defended by Sakhokia.

His devotion to the country improved the quality of our knowledge.

Tedo Sakhokia fought against Russian imperialistic policy with his pen, word and social activities in Abkhazia. He was against the ban of Georgian language in secular and religious fields as well as Georgian territory unity infringement.

Those people took a special place in our history through their creation including: "deda ena" (mother language) and protection of our native (national) language.

პედაგოგის როლი უცხო ენის სწავლებისას

შესავალი

საგანმანათლებლო პროცესი პედაგოგისა და სტუდენტის ურთიერთობას გულისხმობს. თანამედროვე სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო ამ ურთიერთობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს.

პედაგოგის განსაკუთრებული გავლენის მოხდენა შეუძლია შემსწავლელის წარმატებაზე. პედაგოგის ფაქტორი ასევე დიდ გავლენას ახდენს შემსწავლელის მოტივაციაზე.

პედაგოგის როლი უცხო ენის სწავლებისას

როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოენოვანი არაერთი ნაშრომი ეძღვნება სასწავლო პროცესში პედაგოგის როლის განსაზღვრას. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

გაგუას (გაგუა, 1996) აზრით, სწავლება ხანგრძლივი და რთული პროცესია, მას თავისი კანონები და კანონზომიერებები აქვს. პედაგოგს კი განსაკუთრებული როლი უკავია სასწავლო პროცესში. იგი ეწევა სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში.

ჰარმერი (Harmer, 2007, გვ.109-110) განიხილავს პედაგოგის სტილს, მის ფუნქციებს და აღნიშნავს, რომ პედაგოგი უნდა ირგებდეს ამა თუ იმ როლს სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებით. ზოგიერთი სტუდენტი შესაძლებელია საჭიროებდეს დომინანტ პედაგოგს (შემმოწმებელს), ზოგიერთი სტუდენტი კი შესაძლებელია დამხმარე მასწავლებლით იყოს კმაყოფილი ანუ საჭიროებდეს პედაგოგს, რომელიც ასრულებს რესურსის ფუნქციას. ასევე ჰარმერი (Harmer, 2007, გვ.109) მიიჩნევს, რომ უცხო ენის ან მეორე ენის სწავლებისას პედაგოგი მოკარნახე - მას უწევს წახალისოს, უკარნახოს შემსწავლელებს პასუხები, როდესაც ისინი ვერ ბედავენ პასუხის გაცემას მის სისწორეში დაურწმუნებლობის გამო. ჰარმერი ასევე თვლის, რომ პედაგოგის კარნახს უნდა ჰქონდეს წამახალისებელი ხასიათი.

დოლონადე, ფიფია (2010) განიხილავს პედაგოგის როლს და მას შემდეგ ფუნქციებს აკისრებს:

- პრეზენტატორი - იყენებს პრეზენტატორის უნარ-ჩვევებს შესასწავლი მასალის ასახსნელად;
- მედიატორი - ასრულებს მედიატორის როლს სილაბუსს, სახელმძღვანელოსა და მოსწავლეს შორის;
- მისაბამი მოდელი - მისაბამი მაგალითია სტუდენტებისათვის;
- ორგანიზატორი - გეგმავს ლექციას ლექციის თემის, შესასწავლი მასალის, შესაფერისი მეთოდების, აქტივობების, რესურსების და დროის გამოყენებით;
- კულტურული მედიატორი - უზრუნველყოფს კავშირს ორ განსხვავებულ კულტურას შორის.

ასევე საინტერესოა თუ რა ფუნქციებს აკისრებენ პედაგოგებს რიჩარდსი და ლოკჰარტი (Richards & Lockhart, 1994) და ბრაუნი (Brown, 1995). ეს ფუნქციებია:

- საჭიროების ანალიტიკოსი. პედაგოგი არკვევს სტუდენტთა საჭიროებებს. მათი სწავლების სტილს, აგროვებს ინფორმაციას, რისი ანალიზიც აძლევს მას საშუალებას დაგეგმოს სასწავლო პროცესი;
- სასწავლო მასალის შემქმნელი. პედაგოგი ადგენს სასწავლო მასალებს არჩევს სხვების მიერ შექმნილ მასალებს და ახდენს მათ ადაპტირებას თავის ასახსნელ მასალასთან;
- სტუდენტების ცოდნის მონიტორი. პედაგოგი აფასებს სტუდენტთა ცოდნას იმისათვის, რომ დააკვირდეს სტუდენტთა პროგრესს ან წარუმატებლობას. ამ დაკვირვების საფუძველზე დაგეგმოს თავისი შემდგომი მოღვაწეობა ეფექტურად.

რაც შეეხება ჰარმერს (Harmer, 2001) მისი შეხედულება უცხო ენის პედაგოგის როლის შესახებ, შესაძლებელია გადმოვცეთ შემდეგნაირად:

ჰარმერი (Harmer, 2001) უცხო ენის პედაგოგის როლის შესახებ

პედაგოგის როლი	პედაგოგის დახასიათება
ორგანიზატორი	აწესრიგებს სტუდენტებს, ამზადებს მათ სხვადასხვა ტიპის დავალებების შესასრულებლად.
შემმოწმებელი	ასწორებს სტუდენტების შეცდომებს და აფასებს მათ.
მოკარნახე	კარნახობს სტუდენტებს სიტყვებს, წესებს კონკრეტული დავალების

	შესასრულებლად. მის კარნახს აქვს წახალისების ფორმა და არ შეიცავს უარყოფით ელემენტებს. პრექტებზე მუშაობის ან დებატების დროს შესაძლებელია ასრულებდეს მოკარნახის და რესურსის როლს ერთდროულად.
მონაწილე	მონაწილეობს გარკვეული დავალების შესრულების პროცესში ერთ-ერთი სტუდენტის მსგავსად და არა როგორც მასწავლებელი.
რესურსი	აწვდის სტუდენტებს საჭირო მასალას - მაგალითად, სიტყვებს ან ფრაზებს, რომლებიც სტუდენტებს ესაჭიროებათ რომელიმე კონკრეტული დავალების შესასრულებლად. პრექტებზე მუშაობის ან დებატების დროს შესაძლებელია ასრულებდეს მოკარნახის და რესურსის როლს ერთდროულად.
დამკვირვებელი	აკვირდება სტუდენტების საქმიანობას, განსაკუთრებით კომუნიკაციური დავალებების შესრულების დროს. აძლევს სტუდენტებს შეფასებას ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობის დროს; აკვირდება სტუდენტების მუშაობას არა მხოლოდ მათი შეფასების მიზნით, არამედ აკვირდება მათ მიერ სხვადასხვა რესურსის გამოყენების და სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოების შესრულების პროცესს.

ლიი, ნგ და ჯაკობსი (Lee, Ng & Javcobs, 1998) და ჰედჯი (Hedge, 2000) პედაგოგის მთავარ ფუნქციად შემმოწმებლის და რესურსის ფუნქციას მიიჩნევენ. ლიი, ნგ და ჯაკობსი (Lee, Ng & Javcobs, 1998) თვლის, რომ შემმოწმებელი პედაგოგი არ არის მართველი ძალა სწავლების პროცესში. თუმცა ბევრი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას სწავლების დროს, როდესაც პედაგოგმა შესაძლებელია შეასრულოს შემმოწმებლის ფუნქცია. მაგალითად, როდესაც ხდება ახალი მასალის ახსნა. ხოლო ჰედჯის (Hedge, 2000) აზრით პედაგოგი შესაძლებელია ასრულებდეს რესურსის ფუნქციას სწავლების პროცესში. ეს ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც სტუდენტს სჭირდება ახალი ლექსიკა და პედაგოგი აწვდის მას ამ ლექსიკას.

მხედველობაში მისაღებაა მკეის (McKay, 2002) აზრი, რომ ინგლისური ენის, როგორც საერთაშორისო ენის წარმატებით სწავლებისათვის გადამწყვეტი როლი პედაგოგს აკისრია. სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის პედაგოგებს განუწყვეტლივ უწევთ სწავლა.

ერაუთი (Eraut, 1994) აცხადებს, რომ უცხო ენის, კერძოდ ინგლისური ენის დამწყებ მასწავლებელს, ისევე როგორც „ვეტერან“ მასწავლებელს ესაჭიროება სხვადასხვა პროფესიული უნარები აუდიტორიაში თავიანთი მუშაობის წარმატებით წარმართვისათვის. მათ ესაჭიროებათ:

- *ენობრივი უნარების განვითარება.* პედაგოგებს თავიანთი გამოცდილების მიუხედავად ესაჭიროებათ ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება, რათა შეიძინონ მეტი თავდაჯერებულობა საუბრის უნართან დაკავშირებით;
- *სწავლების უნარის გაუმჯობესება.* მათ სჭირდებათ პედაგოგიური უნარების განვითარება, რომ ასწავლონ ინგლისური ენა ეფექტურად;
- *სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის და მათი გამოცდის უნარის გაუმჯობესება;*
- *ადაპტირება სხვადასხვა/ახალ კურიკულუმთან.* კურიკულუმში შეაძლებელია შეიცვალოს და პედაგოგს უხდება გამოიყენოს სხვადასხვა კურიკულუმი, გაეცნოს მის მოთხოვნებს.

რაც შეეხება მოტივაციას, მოტივატორი არის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი პედაგოგისათვის. პედაგოგმა დიდი როლი უნდა შეასრულოს სტუდენტის მოტივაციის ამაღლებაში, რადგან მოტივაციის ქონა აკადემიური წარმატებისათვის აუცილებელი პირობაა.

ბროფი (Brophy, 1998) მიიჩნევს, რომ მოტივირებული შემსწავლელები არიან ენთუზიაზმით სავსეები, მიზანდასახულები, თავდაჯერებულები. მათი სურვილია იმუშაონ ბეჯითად, რათა მიაღწიონ მიზანს და ადვილად არ უშინდებიან სირთულეებს. ისინი იჩენენ მეტ ყურადღებას სწავლების პროცესში. ვლოდკოვსკი (Wlodkowski, 1999) აღნიშნავს, რომ მოტივირებული სტუდენტები ხშირად უსვავენ შეკითხვებს პედაგოგებს, როდესაც პედაგოგის ახსნა-განმარტება არ არის ნათელი. ვლოდკოვსკი (Wlodkowski, 1999) ასევე მიიჩნევს, რომ ინსტრუქტორის როლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლია მასწავლებლისათვის.

პედაგოგის გავლენა შემსწავლელის მოტივაციაზე

პედაგოგის როლსა და შემსწავლელის მოტივაციაზე მის დადებით გავლენაზე ამახვილებენ ყურადღებას ქსიზერი და დორნიეი (Csizer & Dörnyei, 2005), დორნიეი და ქლემენტი (Dörnyei & Clement,

2001), დორნიეი და ოთო (Dörnyei & Otto, 1998), ოქსფორდი და შეარინი (Oxford & Shearin, 1994) და მიიჩნევენ, რომ პედაგოგს განსაკუთრებული როლი აკისრია ენის შესწავლის პროცესში.

კიკუჩი (Kikuchi, 2009), საკაი და კიკუჩი (Sakai & Kikuchi, 2009) და თანაქა (Tanaka, 2005) განიხილავენ პედაგოგის როლს და მიაჩნიათ, რომ მას შეუძლია გაზარდოს სტუდენტების მოტივაცია, წარმატებით ჩართოს ისინი სასწავლო პროცესში.

ბევრი ნაშრომი არსებობს, სადაც განხილულია თუ როგორ ახდენენ პედაგოგები გავლენას სტუდენტების მოტივაციაზე. დორნიეი და ქსიზერმა (Dörnyei & Csizer, 1998), შეისწავლეს თუ როგორ ახდენენ პედაგოგები გავლენას სტუდენტების მოტივაციაზე სწავლების სტრატეგიების დახმარებით უნგრელი მასწავლებლების მაგალითზე. მათ მოიძეს 51 სტრატეგია სტუდენტების მოტივირებისათვის და აკვირდებოდნენ თუ როგორ იყენებდნენ პედაგოგები თითოეულ სტრატეგიას გაკვეთილზე.

დორნიეი და ქსიზერმა (Dörnyei & Csizer, 1998) ამ კვლევის ჩატარების შემდეგ ათი რჩევა მისცეს პედაგოგებს, რომლებიც დაეხმარებიან მათ სტუდენტების მოტივაციის გაზრდაში. ესენია:

1. ხშირად მოიყვანონ საკუთარი დადებითი მაგალითი;
2. შექმნან მეგობრული და სასიამოვნო ატმოსფერო საკლასო ოთახში;
3. მიაწოდონ სტუდენტებს მასალა მათთვის გასაგებ ენაზე;
4. დაამყარონ კარგი ურთიერთობა სტუდენტებთან;
5. იმუშაონ სტუდენტების თავდაჯერებულობის ამაღლებაზე;
6. მიაწოდონ სტუდენტებს მათთვის საინტერესო ენობრივი მასალა;
7. გახადონ სასწავლო პროცესი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი;
8. ხელი შეუწყონ სტუდენტების ავტონომიას სწავლის პროცესში;
9. გაზარდონ სტუდენტების სასწავლო მიზნები;
10. დარწმუნებულები იყვნენ, რომ ენის შემსწავლელი სტუდენტები იცნობენ შესასწავლი ენის კულტურას.

დორნიეი (Dörnyei, 1994) ასევე მიიჩნევს, რომ პედაგოგს მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სტუდენტის მოტივაციაზე და ასახელებს შემდეგ ფაქტორებს:

- სტუდენტების სურვილი ასიამოვნონ პედაგოგს;
- პედაგოგის სწავლების სტილი;
- სტუდენტების შეფასება პედაგოგის მხრიდან.

ვილიამს და ბერდენი (Williams & Burden, 1997) ყურადღებას ამახვილებენ პედაგოგის მნიშვნელოვან როლზე სტუდენტების მოტივაციის გაზრდის საქმეში და მიიჩნევენ, რომ სტუდენტების მოტივაციის გაზრდაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია:

- სტუდენტების და პედაგოგის ინტერაქციას;
- პედაგოგის სწავლების გამოცდილებას;
- პედაგოგის მხრიდან სტუდენტების შეფასებას, შექებას, ჯილდოს და დასჯას.

ოქსფორდი და შეარინი (Oxford & Shearin, 1994) აძლევენ რჩევას პედაგოგებს, რაც დაეხმარებათ მათ სტუდენტების მოტივაციის გაზრდაში:

- გაარკვიონ, რა მიზნით სწავლობენ სტუდენტები უცხო ენას;
- დაეხმარონ სტუდენტებს შეიმუშაონ მისაღწევი მიზნები;
- შექმნან უსაფრთხო, მეგობრული ატმოსფერო საკლასო ოთახში;
- წახალისონ სტუდენტები.

განხილული კვლევები საშუალებას იძლევიან პედაგოგის ფუნქციასთან დაკავშირებული ფაქტორები სამ კატეგორიად დავეყოთ. ეს კატეგორიებია:

- შესასწავლი მასალა და მეთოდები;
- პედაგოგის პიროვნება;
- პედაგოგის ხელთ არსებული საშუალებები ჩაერთოს სტუდენტებთან ინტერაქციაში.

სწორედ ამ ფაქტორებზე ამახვილებენ ყურადღებას დორნიეი და ქსიზერი (Dörnyei & Csizer, 1998), როდესაც ასახელებენ პედაგოგის როლთან დაკავშირებულ მამოტივირებელ კომპონენტებს, რომლებიც ასევე სამ კატეგორიად იყოფიან:

- პედაგოგის საქციელი;
- პედაგოგის პიროვნება;
- პედაგოგის სწავლების სტილი.

დორნიეი და ქსიზერი (Dörnyei & Csizer, 1998) აცხადებენ, რომ მათ კვლევაში, რომელშიც 200 უნგრელი ინგლისური ენის პედაგოგი მონაწილეობდა, პედაგოგების ქმედება და საქციელი გავლენას ახდენდა სტუდენტების მოტივაციაზე. ალისონის და ჰოლიველის (Alison & Halliwell, 2002) აზრით, დადებითი ატმოსფეროს შექმნისათვის აუცილებელია არსებობდეს ნდობა და პატივისცემა

სტუდენტებსა და პედაგოგს შორის. პედაგოგის პიროვნულმა თვისებებმა, მასსა და სტუდენტებს შორის არსებულმა ინტერაქციამ შესაძლოა განავითაროს მათ შორის ნდობა და პატივისცემა.

დორნიეი და უშიოდა (Dörnyei & Ushioda, 2011) ასევე ენთუზიაზმს მიიჩნევენ მნიშვნელოვან ფაქტორად, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შემსწავლელის მოტივაციაზე. მათი აზრით, პედაგოგი ენთუზიაზმით უნდა შეუდგეს შესასწავლი საკითხის ახსნას. როდესაც სტუდენტები შეამჩნევენ, რომ პედაგოგი ავლენს ენთუზიაზმს შესასწავლი საკითხის მიმართ, ისინიც ენთუზიაზმით შეუდგებიან სწავლას.

სასწავლო გარემო მოტივაციის საკითხთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. დორნიეი (Dörnyei, 2007) უსაფრთხო საკლასო გარემოს მიიჩნევს აუცილებელ პირობად სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩასართველად. მისი აზრით, სტუდენტები არ ერიდებიან გამოხატონ საკუთარი აზრები და აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, როდესაც იციან, რომ არ დასცინებენ.

ერმანს და დორნიეის (Erman & Dörnyei, 1998) მიაჩნიათ, რომ ასევე ერთ-ერთი მთავარი პირობა სტუდენტების მოტივირებისათვის არის სტუდენტების ჯგუფის შექმნა, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ნორმებით. ისინი სამართლიანად თვლიან, რომ ჯგუფური მუშაობისათვის ნორმები სტუდენტებმა და პედაგოგმა ერთად უნდა შეიმუშაონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მუშაობა წარუმატებელი იქნება. თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფური მუშაობისათვის. იმ ჯგუფებში სადაც არ ხერხდება ურთიერთთანამშრომლობა, სწავლის შედეგი ყოველთვის დაბალია.

დორნიეი (Dörnyei, 2003) სთავაზობს პედაგოგებს სტუდენტებთან ერთად შეადგინონ ჯგუფური მუშაობის ნორმები, აუხსნან მათ ამ ნორმების მიზნები. ასევე პედაგოგებმა სტუდენტებთან ერთად უნდა იმსჯელონ იმ დასჯის მეთოდებზე, რასაც ექნება ადგილი მათ მიერ ერთად შემუშავებული წესების დარღვევის შემთხვევაში. მათი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია პედაგოგმა გამომჟღავნოს ტოლერანტობა სტუდენტების მიერ დაშვებული შეცდომების მიმართ.

დასკვნა

ამრიგად, პედაგოგს განსაკუთრებული როლი აკისრია უცხო ენის სწავლების დროს. იგი არის: პრეზენტატორი, მედიატორი, მისაბამი მოდელი, ორგანიზატორი, კულტურული მედიატორი, საჭიროების ანალიტიკოსი, სასწავლო მასალის შემქმნელი, სტუდენტების ცოდნის შემფასებელი, რესურსი, დამკვირვებელი.

პედაგოგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტების წარმატებაში და სტუდენტების მოტივირებისათვის მის ხელთაა უამრავი სტრატეგია, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- ხშირად მოიყვანონ საკუთარი დადებითი მაგალითი;
- შექმნან მეგობრული და სასიამოვნო ატმოსფერო გაკვეთილზე/ლექციაზე;
- მიაწოდონ სტუდენტებს მასალა მათთვის გასაგებ ენაზე;
- დაამყარონ კარგი ურთიერთობა სტუდენტებთან;
- იმუშაონ სტუდენტების თავდაჯერების ამაღლებაზე;
- მიაწოდონ სტუდენტებს მათთვის საინტერესო ენობრივი მასალა;
- გახადონ სასწავლო პროცესი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი;
- ხელი შეუწყონ სტუდენტების ავტონომიას სწავლის პროცესში;
- გაზარდონ სტუდენტების სასწავლო მიზნები;
- დარწმუნებულები იყვნენ, რომ ენის შემსწავლელი სტუდენტები იცნობენ შესასწავლი ენის კულტურას;
- გაარკვიონ, რა მიზნით სწავლობენ სტუდენტები უცხო ენას;
- დაეხმარონ სტუდენტებს შეიმუშაონ მისაღწევი მიზნები;
- წაახალისონ სტუდენტები.

ლიტერატურა:

1. გაგუა, ვ. (1996). პედაგოგიკა. თბილისი.
2. დოლნაძე, ნ., ფიფია, ე. (2010). Teacher Materials for Certification Exams in English and English Language Teaching (vol 1-2). (გ. ნოზაძე, რედ.). თბილისი, გამომცემლობა "მერიდიანი".
3. Alison, J, & Halliwell, S. (2002). *Challenging Classes: Focus on Pupil Behavior*. Centre for Information on Language Teaching and Research.
4. Brophy, J. (1998). *Motivating students to learn*. New York: McGraw-Hill.
5. Brown, G. (1995). Dimensions of difficulty in listening comprehension. In D. J. Mendelsohn & J. Rubin (Eds.), *A Guide for the Teaching of Second Language Listening*. Carlsbad: Dominie Press, Inc.

6. Csizér, K., & Dörnyei, Z. (2005). The internal structure of language learning motivation and its relationship with language choice and learning effort. *Modern Language Journal*, 89, 19–36.
7. Dörnyei, Z. (1994). Motivation and motivating in the foreign language classroom. *Modern Language Journal*, 78, 273–284.
8. Dörnyei, Z. (2003). Attitudes, orientations, and motivations in language learning: advances in theory, research, and applications. *Language Learning*, 53, 3–32.
9. Dörnyei, Z. (2007). Creating a motivating classroom environment. In J. Cummins, & C. Davidson (Eds.), *International Handbook of English Language Teaching*. New York, NY: Springer, pp. 219–231.
10. Dörnyei, Z., Clément, R. (2001). Motivational characteristics of learning different target languages: results of a nationwide survey. In Z. Dörnyei & R. Schmidt (Eds.), *Motivation and second language acquisition*. Honolulu, HI: Second Language Teaching & Curriculum Center, University of Hawaii, pp. 399–432.
11. Dörnyei, Z., & Csizer, K. (1998). Ten commandments for motivating language learners: results of an empirical study. *Language Teaching Research*, 2, 203–229.
12. Dörnyei, Z., & Otto, I. (1998). Motivation in action: a process model of L2 motivation, *Working Papers in Applied Linguistics*, 4, 43–69. London: Thames Valley University.
13. Dörnyei, Z., & Ushioda, E. (2011). *Teaching and researching motivation* (2nd ed.). Harlow, England: Pearson Longman.
14. Ehrman, M., & Dörnyei, Z. (1998). *Interpersonal Dynamics in Second Language Education: The Visible and Invisible Classroom*. Thousand Oaks, CA: Sage.
15. Eraut, M. (1994). *Developing professional knowledge and competence*. London: Routledge.
16. Harmer, J. (2001). *The practice of English language teaching* (3rd Ed.). London: Longman.
17. Harmer, J. (2007). *The practice of English language teaching* (4th ed.). Harlow: Pearson Education Limited, p. 109–110.
18. Hedge, T. (2000). *Teaching and learning in the language classroom*. Oxford: Oxford University Press.
19. Kikuchi, K. (2009). Listening to out learners' voices: what demotivates Japanese high school students? *Language Teaching Research*, 13, 453–471.
20. Lee, C., Ng, M., & Jacobs, G. M. (1998). Cooperative learning in the thinking classroom. In Quah & W. K. Ho (Eds.), *Thinking processes: Going beyond the surface curriculum*. Singapore: Simon & Schuster, pp. 223–237.
21. McKay, S. L. (2002). *Teaching English as an international language*. Oxford: Oxford University Press.
22. Oxford, R. & Shearin, J. (1994). Language learning motivation: expanding the theoretical framework. *The Modern Language Journal*, 78, 1: 12–28.
23. Richards, J. C. & C. Lockhart. (1994). *Reflective Teaching in Second Language Classroom*. Cambridge: Cambridge University Press.
24. Sakai, H., & Kikuchi, K. (2009). An analysis of demotivators in the EFL classroom. *System*, 37, 57–69.
25. Tanaka, T. (2005). Teacher influence on learner motivation. *System*, 37, 57–69. Retrieved December, 15, 2013 from http://www.wilminam.ac.jp/ojc/kiyo_2005/kiyo_35_PDF/2005_06.pdf
26. Williams & Burden, (1997). *Psychology for language teachers: a social constructivist approach*. Cambridge: Cambridge University Press.
27. Wlodkowski, R. J. (1999). *Enhancing Adult Motivation to Learn*. San Francisco, CA: Jossey-Bass Publishers.

Nino Davitashvili

Gori State Teaching University

A TEACHER'S INFLUENCE ON TEACHING/LEARNING A FOREIGN LANGUAGE RESUME

The work deals with a teacher' influence on teaching/learning. It presents a teacher as a controller, organizer, assessor, promoter, participant, resource, tutor, observer, teaching aid.

The work also encourages teachers to motivate students and reminds them that they have many strategies to achieve their aims.

მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები

ვიდრე უშუალოდ დასმულ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, მოკლედ განვიხილოთ, რა არის მოტივაცია და რა მნიშვნელობა აქვს მას სწავლა-სწავლების პროცესში. მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებული და მნიშვნელოვანი ტერმინია თანამედროვე პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. ის მოიცავს მოსწავლის ქმედებისა და ქცევის განმაპირობებელ ფაქტორებს, რომლებიც მას შიდა (ემოციები, გრძნობები, განცდები...) და გარე (გარემო) სტიმულებზე საპასუხო რეაქციისკენ უბიძგებენ. საზოგადოდ, ადამიანის ქმედება უმეტესად მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული და მას განსაზღვრული მოტივები უდევს საფუძვლად. აქედან გამომდინარე, მოტივაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც სასურველი მიზნის მიღწევისკენ მიმართული პროცესი. პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლის მოტივაციას და მის განმაპირობებელ ფაქტორებს. აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გააზრება როგორც პედაგოგის, ასევე მოსწავლის მიერ გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მომავალ წარმატებაში. სწავლის მოტივაცია სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება. განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან შიდაპიროვნულ ფაქტორს, რომლებიც სწავლის მოტივაციას განაპირობებს:

1. ცნობისმოყვარეობა

ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა. ის გამუდმებით ეძებს ახალ გამოცდილებას, თავსატეხს, ცდილობს, გადაჭრას ახალ-ახალი პრობლემები და ა.შ., რის შედეგადაც მას ისეთი უნარები და კომპეტენციები უვითარდება, რომლებიც ხელს უწყობს გარემოსთან ადაპტაციასა და შინაგანი წონასწორობის დამყარებაში. სწავლა-სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის ინტერესებისკენ არის მიმართული. მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოსწავლეებს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ. ცნობისმოყვარეობა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია და, ამდენად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლა-სწავლების პროცესში. ის გონებას მიმართავს პასიურობიდან აქტიურობისკენ, ახალი იდეების აღმოჩენისა და ჰიპოთეზების წარმოდგენისკენ, ახალი მოვლენებისა და ფაქტების შემეცნებისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობისმოყვარეობა მოსწავლეს კვლევა-ძიებისკენ უბიძგებს. სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა აღუძრას ნაცნობი გამოცდილების კონტექსტში, გამოიყენოს ისეთი სტიმულები, რომლებიც არ იქნება მათთვის სრულიად უცხო. საჭიროა ბალანსის დაცვა მოსწავლის უკვე არსებულ კოგნიტურ სქემასა და ახალი დავალების სირთულეს შორის – წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მოსწავლემ დაუძლევლად მიიჩნიოს ამოცანა და პასიურ მდგომარეობაში გადავიდეს. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა აღუძრას: პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიწოდებით; რეალური ფაქტის გაცნობამდე მასში წარმოდგენილ პრობლემურ სიტუაციაზე მსჯელობით; ვარაუდის გამოთქმაზე ორიენტირებული კითხვების დასმით; ახალი, უცნობი ფაქტებით; რაციონალური და ემოციური ფაქტორების თანხვედრით; მხატვრული ლიტერატურისა და ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით; ვიზუალური და აუდიომასალით; მოკლე ისტორიული ექსკურსით და ა.შ.

2. თვითრწმენა

თვითრწმენა მნიშვნელოვანი მოტივია სწავლისადმი პოზიტიური განწყობის შესაქმნელად. იმისთვის, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს, ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასახული მიზნის მიღწევაში. წარმატების განცდა მოსწავლეს, საზოგადოდ, ადამიანს ხშირად აღუძრავს სურვილს, აღმოჩნდეს მსგავს მდგომარეობაში, რაც თავისთავად იქცევა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორად. როგორ განვუმტკიცოთ მოსწავლეებს თვითრწმენა? ამისთვის მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლეების ცოდნის დონისა და კომპეტენციების, სასწავლო პროცესისთვის ხელსაყრელი თუ არასასურველი რწმენის შესახებ. მას შეუძლია ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნეგატიური რწმენის პოზიტიურით შეცვლას. საწყის ეტაპზე სასურველია, მასწავლებელმა მათ ისეთი დავალებები მისცეს, რომლებსაც იოლად დაძლევენ – ეს უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ წარმატების განცდას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შესრულებული საქმიანობის ადეკვატურად შეფასება, მისი პოზიტიური მხარის აღიარება და საჭიროების შემთხვევაში – კონსტრუქციული შენიშვნების მიცემა. სასწავლო პროცესი, რომელიც დაფუძნებულია ეფექტურ უკუკავშირზე, მოსწავლეს აგრძნობინებს

საკუთარ პროგრესს და წარმატებას, თანდათანობითი სტიმულირება კი ხელს შეუწყობს მას, ობიექტურად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები და განიმტკიცოს თვითრწმენა.

3. დამოკიდებულება

დამოკიდებულება შეიძლება განიმარტოს როგორც ადამიანის მიერ მოვლენების, ფაქტების, იდეების, პიროვნებების და ა.შ. პოზიტიური ან ნეგატიური შეფასება. ის დამოკიდებულია გარე სამყაროს ინდივიდუალურ აღქმაზე და მომდინარეობს ადამიანის ფიქრებიდან, ემოციებიდან, გრძნობებიდან და გამოცდილებიდან. პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უმთავრესად ის გარემო, საზოგადოება, რელიგია, კულტურა და ტრადიცია განაპირობებს, რომელშიც ადამიანი იზრდება და ვითარდება. აქვე უნდა ითქვას, რომ დამოკიდებულების შეცვლაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი გარემო, სადაც ღირებულებების, კულტურული და საზოგადოებრივი ნორმების შეფასება-გადაფასება სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, საინფორმაციო საშუალებები და სხვ. რთულ ინფორმაციულ გარემოში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეასრულოს გზამკვლევის როლი მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. ვიდრე უშუალოდ სწავლის მიმართ მოსწავლის დამოკიდებულების განხილვას შევუდგებოდეთ, გავეცნოთ მის შემადგენელ კომპონენტებს, რომელთა გააზრებაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს, ადეკვატურად დაგეგმოს და გამოიყენოს შესაბამისი სტრატეგიები მოსწავლის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად.

დამოკიდებულება სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

1. აფექტური კომპონენტი მოიცავს ადამიანის ემოციურ რეაქციას კონკრეტული ობიექტების მიმართ. ის გამომდინარეობს ადამიანის ემოციური გამოცდილებიდან. ასეთი დამოკიდებულება ლოგიკური აზროვნების შედეგი კი არ არის, არამედ ადამიანის შინაგანი მიმართებების, გრძნობებისა და განცდების გამოხატულებაა.

2. ქცევითი კომპონენტი კონკრეტულ ქმედებებში აისახება. მოსწავლემ არ იცის, მისაღებია თუ არა მისთვის კონკრეტული ქცევა, სანამ თავად არ გამოსცდის მას პრაქტიკაში. ასეთი დამოკიდებულება უმეტესად საკუთარ ან სხვების ქმედებებზე დაკვირვების შედეგად ყალიბდება.

3. კოგნიტური კომპონენტი ეფუძნება რაციონალურ გამოცდილებასა და ფაქტებს. ასეთი დამოკიდებულება საშუალებას აძლევს ადამიანს, მოვლენები, პიროვნებები, ფაქტები თუ მოსაზრებები შეაფასოს ლოგიკაზე დაყრდნობით, არსებული გამოცდილების საფუძველზე. მნიშვნელოვანია ასევე მასწავლებელმა იცოდეს, რომ მოსწავლეთა დამოკიდებულება გარკვეული საკითხების მიმართ და მათი ქცევა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ის, რომ მოსწავლე უმეტესად მომზადებული მოდის გაკვეთილზე, შესაძლოა სულაც არ ნიშნავდეს, რომ მას პოზიტიური დამოკიდებულება აქვს სწავლის მიმართ. მისი ეს ქმედება შესაძლოა სულ სხვა მოტივით იყოს განპირობებული – დასჯის შიშით ან/და საჩუქრის მიღების დაპირებით. მასწავლებლის მთავრი ამოცანა კი ის არის, რომ მოსწავლეთა მოტივაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და განვითარებისკენ მიმართოს.

როგორ განვსაზღვროთ მოსწავლეთა დამოკიდებულება და როგორ შევუწყოთ ხელი სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?

ამისათვის:

- . შევქმნათ მოსწავლეთათვის უსაფრთხო სასწავლო გარემო;
- . შევიტანოთ ურთიერთობაში მეტი სიცხადე და სიზუსტე;
- . გამოვიყენოთ ეფექტური კომუნიკაცია, როგორც ნდობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტი;
- . მივცეთ მოსწავლეებს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება;
- . გამოვხატოთ პატივისცემა მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და იდეების მიმართ;
- . შევეცადოთ განსაზღვროთ, დამოკიდებულების რომელი კომპონენტი უდევს საფუძვლად მოსწავლის შეხედულებას;
- . ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ჩავრთოთ მოსწავლე სასწავლო პროცესში და დაანახეთ საკუთარი მნიშვნელობა;
- . მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, მსჯელობითა და დისკუსიებით თავად განსაზღვრონ პირადი დამოკიდებულება სწავლის მიმართ; გაიაზრონ არსებული დამოკიდებულების გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები;
- . მათ უნდა იმსჯელონ იმის შესახებ, როგორ დაეხმარებათ პოზიტიური დამოკიდებულება სასწავლო ამოცანების დაძლევისა და მათ მომავალ წარმატებაში;
- . მათ უნდა იმსჯელონ იმის შესახებ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მათ განვითარებასა და მომავალზე;
- . წავახალისოთ ისინი, რათა განუმტკიცდეთ თვითრწმენა.

4. მოთხოვნილებები

მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები შესაძლოა ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული იყოს. ამის შესახებ ყველაზე ცნობილ კლასიფიკაციას ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ გვთავაზობს. ის ადამიანის მოთხოვნილებათა ხუთ კატეგორიას გამოყოფს: 1. ბიოლოგიური (კვების, წყურვილის დაკმაყოფილების, ძილის...) მოთხოვნილებები; 2. უსაფრთხოების (სტაბილურობის, დაცულობის განცდის...) მოთხოვნილება; 3. კუთვნილებისა და სიყვარულის (ოჯახის, გუნდის, ურთიერთობების, ემპათიის...) მოთხოვნილება; 4. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემისა და აღიარების (ამა თუ იმ სტატუსის ქონის, წარმატების, რეპუტაციის მოპოვების...) მოთხოვნილება; 5. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიულ მოდელში ბიოლოგიური, ანუ საბაზისო მოთხოვნილებები ყველაზე დაბალ საფეხურზე განიხილება, ხოლო პიროვნების განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მოთხოვნილებები – ყველაზე მაღალ საფეხურზე. განათლების მიზნები ორიენტირებულია უფრო მაღალი მოთხოვნილებების ყოველდღიურ აუცილებლობად ქცევაზე. მოსწავლეებს ისეთი უნარები და დამოკიდებულებები უნდა ჩამოუყალიბდეთ, როგორც არის გუნდურად მუშაობის უნარი, სოციალური აზროვნება, სხვისი აზრის მოსმენა და გაზიარება, თვითრეალიზება და ა.შ.

რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოთხოვნილებების დადგენას სწავლის მოტივაციისთვის?

ეფექტური სწავლება მოსწავლეთა მოტივაციის დონეზეა დამოკიდებული. მასლოუს იერარქიის მიხედვით, სწავლის მოთხოვნილების განმსაზღვრელი შეიძლება განსხვავებული დონის მოტივაცია იყოს. მაგალითისთვის მივუბრუნდეთ ზემოთ განხილულ სიტუაციას, რომელიც სწავლის მიმართ მოსწავლის დამოკიდებულებას ეხებოდა. მოსწავლის მიერ დავალების კარგად შესრულება შესაძლოა განპირობებული იყოს: დასჯის შიშით, საჩუქრის მიღების დაპირებით, აღიარების მოთხოვნილებით, ინტერესით და სხვ.

მასწავლებელმა ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის უნდა შეძლოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილების დადგენა, განსაზღვროს, იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე და რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას. შედეგად მან უნდა შეიმუშაოს ადეკვატური სტრატეგიები, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართვასა და მათი მოტივაციის ამაღლებას.

როგორც განხილული ფაქტორებიდან ჩანს, მოტივაციის წყაროები მრავალფეროვანია და თითოეული მათგანი გადაწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათ წარმატებაში. თუ გსურთ, ხელი შეუწყოთ მოსწავლეთა სწავლის უნარის განვითარებას, ამისთვის აუცილებელია მოტივაციის პრინციპების გააზრება და სასწავლო პროგრამების შედგენისას, ასევე – უშუალოდ სასწავლო პროცესში მათი გათვალისწინება. ეს საშუალებას მოგვცემთ, მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე დაყრდნობით შექმნათ ეფექტური და შემოქმედებითი სასწავლო გარემო და უზრუნველყოთ სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის აქტიური და ხალისიანი ჩართვა.

მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების მეთოდები და აქტივობები

სწავლების მეთოდი გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზებს, სტრატეგიებს. მეთოდი და აქტივობა ერთმანეთისაგან განირჩევა. აქტივობას დაესმის კითხვა რას ვაკეთებ? - მეთოდს კი როგორ ვაკეთებ? გასათვალისწინებელია შეესაბამება თუ არა მეთოდი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას, შეესაბამება თუ არა სასწავლო აქტივობასა და კლასის ორგანიზების ფორმას, ტექნიკურად მისი განხორციელება შესაძლებელია თუ არა. მეთოდის შერჩევისას უნდა განისაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი.

მეთოდები ორ ჯგუფად იყოფა: მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და მეთოდები, რომლებიც ავითარებს ზოგად/ტრანსფერულ უნარებს. ეს დაყოფა პირობითია. ძირითადად, მეთოდები მაინც ზოგადი კომპეტენციის განვითარებას ეხმარება საგნობრივთან ერთად.

ზოგიერთი მეთოდის მოკლე აღწერა.

-ლექცია წინასწარ დაგეგმილი შეცდომებით. მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს, რომ ლექციაში დაშვებული იქნება შეცდომები (სასურველია, ზუსტად დაუსახელოს შეცდომების რიცხვი, შეცდომების ტიპები). შეცდომები კარგად უნდა იყოს შენიღბული. ლექციის დროს მოსწავლემ უნდა გააკეთოს ჩანაწერი და აღნიშნოს, რა მიაჩნია შეცდომად. ლექციის ბოლოს დაიწყება განხილვა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს ჩამოწერილი ფორმატზე სწორი პასუხები და გამოაკრას თვალსაჩინო ადგილზე. დადებითი მხარეები ქმნის დადებით ემოციას უზრუნველყოფს ყურადღებას, კონცენტრაციას, უვითარებს ანალიზისა და შეფასების უნარს.

- ლექცია პრესკონფერენცია - მასწავლებელი მოსწავლეებს წინასწარ უსახელებს ლექციის თემას თითოეულმა წუთის განმავლობაში უნდა მოიფიქროს თემის შესახებ მისთვის საინტერესო კითხვები, დაწეროს სტიკერებზე და გადასცეს მასწავლებელს. მასწავლებელი ახარისხებს კითხვებს და იწყებს

ლექციას, ეს არ იქნება პასუხები ცალკეულ კითხვებზე, არამედ თემის გაშლა. დადებითი მხარეებია - მოსწავლეთა წინარე ცოდნის დადგენა, ჩართულობა, ინტერესების დადგენა.

- დაკარგული სიტყვები: კითხვის პროცესი ორგანოა - ხელმძღვანელობითი და დამოუკიდებელი. დამოუკიდებელი კითხვის გასამრავალფეროვნებლად ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია დაკარგული სიტყვები: მოსწავლეებს სთავაზობენ ტექსტს, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები. ისინი, იძულებულნი არიან წაიკითხონ ტექსტი დაკვირვებით და შეავსონ გამოტოვებული ადგილები. მუშაობენ ინდივიდუალურად, შემდეგ წყვილებიან და განიხილავენ ერთმანეთის ნამუშევრებს აქ შეიძლება დაგროვდეს სხვადასხვა ვერსია მათი პასუხებისა მაგ. სინონიმები. შემდეგ მასწავლებელი კითხულობს ტექსტის სწორ ვარიანტს, განიხილავენ საინტერესო ფორმებს, მსჯელობენ რატომ შეარჩიეს მაინცდამაინც ეს დადებითი მხარეები - ამ მეთოდით ვახდენთ ცოდნის გააქტიურება, გაგება-გააზრებას და ჩართულობას.

ინტერვიუ სამი ნაბიჯი: მასწავლებელი არჩევს თემის საკითხს, აყალიბებს მიზანს და აცნობს კლასს. მოსწავლეებს ავალეს მოიფიქრონ სამ სამი კითხვა მოცემულ თემატიკასთან. ისინი მუშაობენ ინდივიდუალურად, შემდეგ ჯგუფებიან სამ სამად და ინაწილებენ როლებს. ინტერვიუ მიდის წრეზე. ერთი მოსწავლე ინტერვიუერია, მეორე - რესპოდენტი, მესამე - დამკვირვებელი. როლებს ინაწილებს სამივე წევრი საბოლოოდ სამივეს უწევს თითოეული როლის შესრულება. თითო ინტერვიუსთვის განკუთვნილი უნდა იყოს მაგ.: 5 წუთი - ჯამში 15 წუთი. შემდეგ გაიმართება პრეზენტაციები. ბოლოს მასწავლებელი შეაჯამებს და შეაფასებს დადებითი მხარეებს. ამ მეთოდით ვითარდება აქტიური მოსმენა, კითხვის დასმის სტრატეგიების დაუფლება, კომუნიკაციის უნარის გამოყენება, წინარე ცოდნის შემოწმება, დროს გაკვეთილის გამოკითხვისას, შეჯამებისას და სხვა.

- სიტუაციური თამაში: სიტუაციური თამაში შეიძლება მივცეთ შემდეგი სახით დავალება, წარმოიდგინეთ, რომ სეირნობთ ქარიან და წვიმიან ამინდში. მოსაფიქრებლად ეძლევათ დრო. პირველი ჯგუფი წარმოადგენს პანტომიმას, მეორე და მესამე ისაუბრებენ დაკვირვების შედეგებზე, შემდეგ მასწავლებელი სამივე ჯგუფს მისცემს დავალებას აღწერონ, (სიტუაცია ან შეასრულონ წერითი დავალება, შეიძლება შეადგინონ მოთხრობა). მეთოდი ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას მასწავლებლისა და მოსწავლეების თანამშრომლობას, მასწავლებლის დასახული მიზნის მიღწევას.

ამრიგად, ზემოთხსენებული მეთოდებისა და მრავალი სხვა სტრატეგიის გამოყენებით მასწავლებელი შეძლებს ეფექტურად დაგეგმოს გაკვეთილები, გაამრავალფეროვნოს სწავლების პროცესი, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, ცოდნის შეძენასა და სხვადასხვა უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას.

ლიტერატურა:

1. edu.aris.ge საგანმანათლებლო ინტერნეტ-პორტალი.
2. „სწავლების მეთოდები“ მასწავლებლის სახლის სატრენინგო მასალები სასკოლო საზოგადოებისთვის 12.04.214 წელი

Khatuna Doliashvili
LEPL Gori #7 Public School
THE STRATEGIES OF INCREASING STUDENT MOTIVATION
RESUME

Motivation is one of the most actively used and important term in modern pedagogical psychology. Motivation can be interpreted as a process aimed at achieving the desired goal. In pedagogical psychology, special attention is paid to the motivation of learning. Motivation plays a decisive role in the future success of the students. Motivation of learning consists of several important internal factors, such as:

1. Curiosity
2. Self-confidence
3. Dependence
4. Requirements

As we have already mentioned the sources of motivation are varied and each of them plays a decisive role in raising motivation of students and their success. If you want to help students to develop learning skills, it is necessary to understand the principles of motivation draw them to educational programs and take them into the learning process directly. This will enable you to create effective and creative learning environment based on psychological needs of pupils and ensure their active involvement in the learning process.

•

•

•

•

•

180

6. ? ? (,)).
7. ? (,)).
8. , 60% .

1. : (, ,) .

2. ; ; ; ;

3. , ?

4. ?

5. ?

6. ?

7. ?

8. , ;

9. ;

10. .

1. : // . , 1999
2. . . . , 2004
3. . . . , 2008
4. . . . , 1996
5. . . . , 1993

Lia Inaishvili
Batumi Shota Rustaveli State University
TEACHER'S READINESS TO HAVE A RELATIONSHIP WITH A FAMILY
RESUME

The present paper deals with the study and analysis of the criteria and levels of teachers' readiness to have a relationship with parents based on the research made in pedagogy. The effectiveness of this issue is directly connected to the introduction of the models of gaining abilities how to get in touch with parents via technology in the system of preparation of teachers.

შინაგანი კონტროლის როლი პიროვნების ფორმირებაში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით

ცნობილია, რომ პიროვნებად ჩამოყალიბება, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ძირითადად საკუთარი თავის შეცნობაზეა დამოკიდებული. საკუთარი თავის შეცნობისკენ და მოგვიწოდებს ბიბლია, როგორც ძველი ასევე ახალი აღთქმა. შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიური, ღვთიური სწავლებანი ძირითადად ამ საკითხს ეძღვნება. საკუთარი თავის შეცნობა მეტად მნიშვნელოვანია აღმოსავლურ ფილოსოფიურ მოძღვრებებშიც, ამის მაგალითად თუნდაც ლაო-ძის მოძღვრება შეძლება ვიგულისხმოთ: „ვინც შეიცნო სიცოცხლე და დაითმინა: მისთვის არ არსებობს სიკვდილი“, „შეიცან თავი შენი და შეიცნობ ყველას“ (3, 124).

საკუთარი თავის შეცნობის ფილოსოფიასა და დიდაქტიკაში დიდად გვეხმარება ადამიანის ცნების გარკვევა: რა არის ადამიანი? აქ შეიძლება მოძიებული იქნას მრავალი განმარტება, რომელთაგან ჩვენ გამოვყავით შემდეგი: „ადამიანი არის ცოცხალი არსება, რომელსაც არა მხოლოდ აქვს გამოცდილება, არამედ, რომელსაც ასევე შეუძლია თავისი თავი გააუმჯობესოს“ (კანტი), „არსება, რომელსაც სურს“ (შილერი), „არას თქმის შემძლე (ვაიცი, შილერი), „ადამიანი არის არსება, რომელიც თრგუნავს თავის ლტოლვებს“ (ფროიდი), (4, 5).

რაც შეეხება პიროვნების რაობის გაგებას, აქაც არაერთგვაროვნად წარმოგვიდგება საქმე. არსებობს მრავალი მოსაზრება, რომელთაგან ჩვენი აზრით, სრულყოფილების თვალსაზრისით დიდად საინტერესოა ამერიკელ ფსიქოლოგ უილიამ ჯეიმსის მოსაზრება. იგი ერთმანეთისგან გამოჰყოფს პიროვნებას და „მე“-ს - რაზეც არ უნდა ფიქრობდეთ, ამბობს ჯეიმსი, ამავე დროს საკუთარი თავის პიროვნულ არსებობასაც შევიცნობთ. ამ მხრივ, ჩემი თვითშემეცნება რაღაცნაირად გაორებულია - ერთი ნაწილი შემეცნებელია, მეორე - შემეცნებადი, ერთი ობიექტი, მეორე სუბიექტი. ერთ ნაწილს ჯეიმსი პიროვნებას უწოდებს, ხოლო მეორეს - „მე“ - ს პიროვნულ ცნობიერებაში შემეცნებით ნაწილს და მას „მე“-თ მოიხსენიებს. ჯეიმსი პიროვნებას სამ ნაწილად ყოფს: ა) ფიზიკური; ბ) სოციალური; გ) სულიერი. მის მიხედვით პიროვნულთან უფრო ახლოს დგას ემოციები, ვიდრე შეგრძნებები (6, 27). იგულისხმება შეგრძნებები უფრო ემპირიულ მესთან არის კავშირში.

ადამიანის და პიროვნების ცნების საფუძვრებრივი დაყოფის შესახებ ასევე საინტერესოა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი პარაფსიქოლოგის, ჰარმონიული აღზრდის სკოლის ფუძემდებლის გიორგი გურჯიევის ზოგიერთი მოსაზრება. მისი აზრით, ადამიანი შესდგება სამი ნაწილისაგან: ფიზიკური სხეული, არსი ანუ ბუნება და პიროვნება. პიროვნებას ის ინდივიდუალობასაც უწოდებს. გურჯიევის მიხედვით ადამიანისათვის მეტად მნიშვნელოვანია მემკვიდრეობითი საფუძვლები, საკვები და მოძრაობა. ეს უკანასკნელი ნაკლებ ზემოქმედებას ახდენენ პიროვნულზე. პიროვნულის ფორმირება ხდება მთელი ცხოვრების მანძილზე და ზემოთ ნახსენებთან ერთად იგი მრავალ სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადია სურვილებზე კონტროლი. რაც შეეხება ადამიანის არს იგი სოციალური ხასიათის ფენომენია. მასში მოცემულია, ის რაც მემკვიდრეობით გადმოვიდა ადამიანში პიროვნებად ჩამოყალიბებამდე. (7, 10, 16).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ფროიდის მიხედვით ადამიანი არის არსება, რომელსაც შეუძლია სურვილების დათრგუნვა, ანუ რაც იგივეა აკონტროლოს თავისი სურვილები. ანალიტიკური ფსიქოლოგის ფუძემდებელმა ზ. ფროიდმა ეს მოსაზრება გადმოგვცა თავის მიერ ჩამოყალიბებულ ფსიქანალიზში. მის მიხედვით ადამიანის ორგანიზაციაში შეიძლება გამოიყოს სამი ფსიქიკური დონე: 1. ცნობიერი; 2. წინაცნობიერი; 3. არაცნობიერი. ფროიდმა ასევე გამოჰყო ადამიანის სტრუქტურაში სამი ნაწილი: „ID“, „EGO“, „Super-EGO“. ID ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „იგი“-ს ის მთლიანად არაცნობიერია, მას გააჩნია სურვილების წარმოშობის უნარი. EGO ნიშნავს „მეს“ - ს ის ყველაზე მეტად ცნობიერია მოცემული სამი შემადგენელიდან და პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე. რაც შეეხება SUPER EGO - ს ის განაპირობებს კურტურულ ნორმებსა და ღირებულებებს და გვეკლინება, როგორც ლტოლვებისა და სურვილების მაკონტროლებელი ცენზორი. (იხილეთ, ზ. Фрейд. „Я и „ОНО“ Москва, 1991.)

სურვილების შეკავებაზე, კონტროლზე და შეზღუდვებზე მიუთითებდა წარსულის მრავალი სწავლული და ბრძენი, ლაო-ძი გვასწავლის - „მარადიულობას ეზიარება მხოლოდ ის ვინც გაიბუზუნებს სიწმინდესა და უბრალოებას, შეზღუდავს სურვილებს და დაიცხრობს ვნებებს“ (3, 137). „სურვილების

შეზღუდვის უდიდესი ნაყოფი თავისუფლებაა“ ეპიკურე. აქვე ეპიკურე გვასწავლის, რომ სურვილები სხვადასხვა სახისა მათგან შეზღუდვას არ ექვემდებარება ყველანაირი ადამიანური სურვილები, რადგან ადამიანი ისევე, როგორც ყველა ცოცხალი არსება ფლორა და ფაუნა ბუნების ნაწილია. ამიტომ, როგორც ყველა ისინი, ადამიანიც უნდა ვითარდებოდეს ბუნებასთან შესაბამისობაში: „ბუნებაზე ძალდატანება არ შეიძლება, მას უნდა დაემორჩილო, აუცილებელი სურვილები უნდა შეასრულო, ასევე უნდა შეასრულო ბუნებრივი სურვილებიც, თუკი ისინი არაფერს ვნებენ, ხოლო მავნე სურვილები და გატაცებები მკაცრად უნდა დასთრგუნო“. (იხილეთ, Материалисты Древней Греции. Собрание текстов Гераклита, Демокрита и Эпикура / АН СССР/ Ин -Т Философии общ. ред. и вступ. статья М. А. Динника, Москва, Госполитизат. 1955. ст. 233, 237). უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ პირველ რიგში ლაპარაკია ადამიანის შინაგან თავისუფლებაზე. ე.ი. ადამიანის შინაგანი თავისუფლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა „მავნე“ ლტოლვებისა და სურვილების შეკავება. გავიხსენოთ, როგორ არის გაგებული თავისუფლების საკითხი ქრისტიანულ მოძღვრებაში. ჭეშმარიტად თავისუფალი ქრისტეს მიხედვით არის ის, ვინც თავისუფალია ცოდვებისაგან, ხოლო ცოდვა, როგორც ცნობილია, შედეგია გარკვეული „მიწიერი“ სურვილების დაკმაყოფილებისა ან მისკენ ლტოლვისა. აი რას გვასწავლის ამის შესახებ მაცხოვარი „შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგანთავისუფლებთ თქვენ“ - შემდგომ „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნევით თქვენ: ყველა ცოდვის ჩამდენი ცოდვის მონაა“ - ამიტომ თუ მე გაგათავისუფლებთ ნამდვილად თავისუფალი იქნებით“ (1, სახარება იოანესი, 176). სურვილებისგან, რაც იგივეა ცოდვებისაგან თავის შეკავება მოთმინებასთან, არის დაკავშირებული „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს (1, მათეს სახარება, 3) ცნობილია, რომ მთელი ქრისტიანული მოძღვრება ეძღვნება ასეთი განთავისუფლების გზას და ამ რთულ გზაზე წარმატების მოპოვების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სურვილთა შეზღუდვა. სურვილების შეზღუდვისათვის აუცილებელია ადამიანის საღი აზროვნება და ძლიერი ნებისყოფა. ხსენებულის საილუსტრაციოთ დაუბრუნდეთ გიორგი გურჯიევის ადამიანის ჰარმონიული აღზრდის კონცეფციის ძირითად მომენტებს. გურჯიევის აზრით ადამიანის ჰარმონიული აღზრდა ნიშნავს მისი შემადგენელი სამივე ნაწილის (სხეულის, არსისა და პიროვნულის) ურთიერთშეთანხმებულ, შეპირისპირებულ განვითარებას. ადამიანის ამ სამი ნაწილის განვითარება მიმდინარეობს ცალ-ცალკე, აღზრდის ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აღსაზრდელს გააცნოს, ასწავლოს ის გზები და მეთოდები, რომლის მიხედვითაც ეს სამივე შემადგენელი ნაწილი ჰარმონიულად განვითარდება. აქ ყველაზე მთავარია აღზრდის შედეგად მივაღწიოთ იმას, რომ ზემოთხსენებულ (ფიზიკურს, არსსა და პიროვნულის) ცენტრებს შორის იყოს სათანადო კავშირები. ეს კავშირები ისე კი არ უნდა განვითარდეს, რომ ერთმა მეორე ჩაახშოს, არამედ მათ ერთმანეთი უნდა შეავსონ და გააძლიერონ. ამის მისაღწევად გურჯიევი იძლევა შემდეგ რჩევებს და რეკომენდაციებს: 1. საკუთარი თავის დაყენება სხვის ადგილზე; 2. კონცენტრაცია; 3. ჩვენი თავის გამოყოფა ჩვენივე „მე“ - სგან. მისი აზრით რადგან „არსი“ უფრო ახლოა სხეულებრივთან, ანუ ფიზიკურთან, ამიტომ ამ უკანასკნელის გავლენით ის უფრო ცვალებადია, ვიდრე ადამიანის აზრი, აზროვნება. აზროვნება უფრო ახლოს არის სულთან. აქედან გამომდინარე გონს შეუძლია იმუშაოს ადამიანის ბუნების (არსისაგან) დამოუკიდებლად, მაგრამ ამავე დროს მას ახასიათებს თვისება, გადაედინოს ადამიანის არსში და იქცეს მის ფუნქციად. ამ შემთხვევაში ადამიანის აზროვნება მოქმედებს ემოციების კარნახით, რაც ხშირად ქვენა სურვილების, ანუ ადამიანის ბუნების (არსის) სურვილების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება მხოლოდ (7, 15, 68, 79). ზემოთქმულიდან გამომდინარე იმისათვის, რომ ადამიანის აზროვნება და მასზე დამოკიდებული ქმედება არ წარიმართოს ქვენა სურვილების კარნახით, აუცილებელია პიროვნებაში ძლიერი ნებისყოფის აღზრდა. ახლა ვნახოთ ყოველივე ეს როგორ არის რუსთველის მიერ წარმოდგენილი პოემა „ვეფხისტყაოსანში“. შოთა რუსთაველს კარგად ესმის ადამიანის სურვილების შეკავების პრობლემატიკა. მის მიხედვით სურვილები გულიდან მოდის. გული ანუ სურვილთა წყარო აუცილებელი მამოძრავებელი ძალა ადამიანის ცხოვრებაში. მის გარეშე კაცი ვერ გაიხარებს:

„უგულო კაცი არ ხარობს, კაცთაგან განაჰიდა“.

ე.ი. უგულო კაცი საზოგადოებაში განწირულია მარტოობისათვის, ის გარიყულია. ეს რომ არ მოხდეს, ამისათვის ადამიანს ჭირდება სხვა ადამიანებთან ნორმალური საღი კომუნიკაცია, რისთვისაც აუცილებელია, პოეტის თქმით, ენა. ენის, სიტყვის გამოყენებას ადამიანთა ურთიერთობაში დიდი ხელოვნება ჭირდება, ამისათვის აუცილებელია ჩვენი გულისთქმა, ან უფრო სწორი იქნება გულიდან წამოსული სურვილები გონებას დაუმორჩილოთ ის სურვილები გავახმოვანოთ, რომელიც არ შექმნის პრობლემებს:

„აწ ენა მინდა გამოთქმად გული და ხელოვნება,
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება“.

ამ სტროფში ლაპარაკია ასევე ნებისყოფაზე, რომელიც დიდ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. აქვე პოეტი სთხოვს რა ამ ძალას უფალოს აქვე იმოწმებს იმ ფაქტს, რომ მას ადამიანს, როგორც შექმნილს ღმრთის მიერ მსგავსად აქვს მისგან ბოძებული გონება და ამ გონებას უნდა დაუქვემდებაროს მან თავისი გულისთქმა. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსთველი მიგვანიშნებს, რომ გულს შეუძლია გონებაზე ცნობიერზე იმოქმედოს და ისინი თავის სურვილების მიხედვით ატაროს, რადგან, მისი აზრით, ადამიანის გული (სურვილების წყარო), შემეცნება, ანუ ცნობიერი, და გონება და აზროვნება ადამიანში ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია არიან:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიათ:

რა გული წავა, იგინიც წავლენ და მისკენ მიდიან“

აქ უნდა გამოვყოთ ორი მომენტი; პირველი, როდესაც ადამიანის გულში წარმოიშობა სიკეთის, შემოქმედობითობის და ღვაწლის, საგმირო საქმის კეთების სურვილები. მაშინ გული გვევლინება, როგორც ადამიანის განწყობის კონსტრუქტორი. ამ შემთხვევაში პირველი სტროფი შეიძლება, ზემოთ განხილულის გარდა გაგებული იყოს, როგორც გონების წინ მდგომი (ზოგი ავტორი, მაგალითად ლ. ანდელუაძე უფრო ამ აზრს ემხრობა (2, 5). გული ასეთ შემთხვევაში ჰარმონიულად მოქმედებს ცნობიერებასა და გონებასთან ერთად და განწყობის მოცემულ ჯაჭვში მას დადებითი წამყვანი როლი აქვს. სხვა შემთხვევებში, როდესაც გულში წარმოიშობა არა ჯანსაღი, არაკეთილი სურვილები და მას ვერ აკონტროლებს ადამიანის გონი და ცნობიერი, ასეთ შემთხვევაში ადამიანის ქმედება არაგონიერია და არცნობიერი. ეს აზრი სრულად ემთხვევა გურჯიევის აზრს, რომ თუ ადამიანს არ აქვს ძლიერი ნებისყოფა, ასეთ შემთხვევაში ადამიანის გონება გადადინდება მის არსში, ანუ ბუნებაში, რაც იგივე გულისადმი გონების დაქვემდებარებაა. როდესაც ადამიანში გული, ცნობა და გონება არ მოქმედებენ ჰარმონიულად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გული გახელბულია ის გადაფარავს ცნობიერებასა და გონიერებას, ასეთ შემთხვევაში ადამიანი თავის ქმედებაში უშვებს შეცდომებს და სასოწარკვეთილებაში ვარდება, ის საერთოდ ვეღარ აკონტროლებს საკუთარ თავს. ეს, რუსთველის აზრით, გამოწვეულია, იმით რომ ადამიანის გულში მრავალი სახის სურვილები წარმოიქმნება, ხშირ შემთხვევაში ეს სურვილები არ არიან სიკეთის მუხტის მატარებელი, ისინი ადამიანს ცოდვისკენ უბიძგებენ. ასეთ შემთხვევაში გახელბული გულის შემსაკავებლად რუსთველი ითხოვს გონების სიწყნარეს, გულს კი ასეთი სახის სურვილების წარმოშობისათვის საყვედურობს:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,

გული - ჟამ - ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მდომელი,

გული - ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი“,

ამ სტროფში რუსთველი მიგვანიშნებს იმაზე, რომ გულს არ აქვს ზომიერების უნარი იგი ვერ აკონტროლებს მისგანვე წამოსულ სურვილებს. ამისთვის საჭიროა გონება და ცნობიერი, ნებისყოფა, თავის შეკავება. შეკავება, გარკვეულწილად არის დაკავშირებული „დათმობასთან“. „დათმობა“, რომლის მნიშვნელობაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მიჯნურის თვისებების განხილვის დროს, „ვეფხისტყაოსანში“ რუსთველს ბევრგან აქვს გამოყენებული. ზოგ შემთხვევაში „დათმობა“ ატარებს ადამიანთა შორის ურთიერთობაში, კომუნიკალობაში კომპრომისის ხასიათს, ან უფრო სწორედ მასში კომპრომისი იგულისხმება. ზოგან კი „დათმობაში“ რუსთველი გულისხმობს თავის შეკავებას, გულიდან მომდინარე გარკვეული კატეგორიის სურვილების დათმობას. გავიხსენოთ პოემიდან ავთანდილის ლოცვა:

„ილოცავს, იტყვის: „ მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,

ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,

უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,

მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო!

ამ ტექსტში პირდაპირ ჩანს, რომ სურვილები, რომლის დათმობის უნარს ავთანდილი უფალოს სთხოვს, ეხება ადამიანის გულისთქმას, ანუ გულიდან წამოსულ ისეთ სურვილებს, რომელსაც ადამიანის „მე“ - სთვის მისი პიროვნულისადმი ზიანის მიყენება შეუძლია, ამ სურვილების შესახებ, გულისთქმის შესახებ კარგად უწყის უფალი, რამეთუ ის ყველგან არის და ყველაფერს ხედავს და, მათ შორის, ადამიანთა გულისთქმასაც.

შესავალში აღვნიშნეთ, რომ რუსთველის მსოფლმხედველობა ძირითადად ნეოპლატონური ხასიათისაა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ რუსთველი კარგად სცნობდა სხვასთან ერთად ანტიკურ ფილოსოფიასაც. დათმობა, შეკავება, თავის შეკავება ანტიკურ ფილოსოფიაში პიროვნების ფორმირებისათვის ერთ-ერთ ძირითად აუცილებლობად არის მიჩნეული. ამის შესახებ ჩვენ ზემოთ ნაწილობრივ ვისაუბრეთ, ეპიკურეს მაგალითზე. ახლა კი კონკრეტულად გვინდა შეკავებაზე გავიხსენოთ ქსენოფონტეს და პლატონის აზრი:

„Воздержность; греч, добродетель тех, кто управляют своими страстными влечениями, пожеланиями умеряют и аграничивают чувства. Это панятие встречается у древних пистелей. нап у Платона (Pla. Gorg. 491

d: << воздержность умение владеть собою, быт хозяином своих наслаждений и желаний >> ; Leg. 645e; 710a; 840c; 966e), у Ксенофонта (Xen. Symp. 4. 15; 8. 27)“ (8).

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ „воздержность“ შეკავება ბერძნულიდან ნიშნავს „добротелность“ სათნოებას, მაღალ ზნეობას და ის ვინც ამ სათნოებას ფლობს მას ძალუმს შეიკავის სურვილები, რაც იმას ნიშნავს, რომ ფლობდეს თავის თავს. ესეიგი ასეთი სათნოების მქონე ადამიანი არის პიროვნულად ჩამოყალიბებული ინდივიდი. ეს ყოველივე ნათლად და მკაფიოდ აქვს გადმოცემული რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ის თავის აფორიზმებში იძლევა სხვადასხვა მრავალ დიდაქტიკურ - აღმზრდელობით რჩევებს სურვილების შეკავების აუცილებლობის შესახებ. გავიხსენოთ თუ თუ როგორ ურჩევს ავთანდილი, უდიდეს ემოციებში და გასაჭირში ჩავარდილ მყოფ მეგობარს, ტარიელს შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად აკეთოს ის, რაც არ სწადია, არ აჰყვეს სურვილებს:

„ ისმინე ჩემი თხრობილი, შეჯე წავიდეთ ნებასა,
ნუ აჰყოლიხარ თავისსა თათბირსა, გაგონებასა,
რაც არა გწადეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!
ასე არ ჯობდეს, არ გეტყვი, რად მჭევ, რასაცა თნებასა“.

ამასთან ერთად, გენიალურ პოეტს კარგად აქვს გააზრებული ისიც, რომ კაცი, რომელიც სურვილებზე გამარჯვებს და მისგან განთავისუფლდება ფლობს უმაღლეს ზნეობრივ სათნოებას, მას თავისი თავი თვითონ ეკუთვნის, ხოლო ეს უკანასკნელი არის საკუთარი თავის „მე“-ს შეცნობის, ანუ პიროვნებად ფორმირების ძირითადი მომენტი და ასეთი ადამიანი უკვე შინაგანი დადებითი უნარებით და თვისებებით მდიდარია:

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ადამიანი არის ცოცხალი არსება, რომელსაც სურს და შეუძლია დათრგუნოს თავისი სურვილები და ლტოლვები, ის სიცოცხლის ასკეტია, მას შეუძლია სთქვას არა თავის სურვილებზე, ცხოველისაგან განსხვავებით და ამ შემთხვევაში „არა“ და „უარი ნიშნავს საკუთარი „მე“-ს ხელში აყვანას და მის შემდგომ გარდაქმნას. ამ დროს ადამიანის ცხოვრებაში ჩნდება მოვლენების განვითარების ახალი საფუძველი: თავისუფალი ნება და ეს ნება ისწრაფვის მამის, უფლის ნებისაკენ, გვასწავლის რუსთაველი და ამგვარად ხდება პიროვნების ჰარმონიული განვითარება, რომელიც მზად არის ღვთიური სიყვარულის მისაღწევად. ყოველივე ამას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა გააჩნია, სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1991.
2. აბულაძე ი. რუსთველოგიური ნაშრომები, თბილისი, 1967.
3. ლაო-ძი. დაო დე ძინი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1990.
4. ცინცაძე გ. პიროვნება, დრო განწყობა, თბილისი, 1998.
5. Гурджиев Г В Человек это многочленное существо Москва 1999.
6. Джеймс У. Психологи, Москва, 1991.
7. Материалисты Древней Греции. Собрание текстов Гераклита, Демокрита и Эпикура / АН СССР/ Ин -Т Философии общ. ред. и вступ. статья М. А. Динника, Москва, Госполитизат. 1955. ст.
8. Материал из Православной Энциклопедии под редакцией Патриарха Московского и Всея Руси Кирилла <http://www.pravene.ru./text/155090.html>.
9. Фрейд З. „Я“ и „ОНО“, Москва 1991.

Paata Kurdadze

Gori State Teaching University

THE ROLE OF INNER CONTROL IN FORMATION OF A PERSONALITY ACCORDING TO SHOTA RUSTAVELI “THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN” RESUME

The paper the role of inner control upon wishes within a person's formation discusses the role of inner control upon wishes generally in a person's life as one of the main condition for being a civic person in a society. Its educational value in a person's formation is also told in the paper. And there are examples given from Christian views as well as from antic and Chinese philosophy. Here parapsychological views of G. Gurjiev and thoughts of psychologists W. James and Z. Freud are also discussed about this issue.

Sh. Rustaveli shares the wisdom of almost all philosophical and religion views of the past (especially Christian). In the poem "The Knight in the Panther's Skin" among other wise instructions he points about inner control and its necessary role for a person's upbringing and formation.

დავით ჩოჩიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კითხვის სტრატეგიების მრავალფეროვნების ეფექტურობა დაწყებით კლასებში

ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ კომპეტენციათაგან ერთ-ერთი უმთავრესია წიგნიერება. ტრადიციული გაგებით, სიტყვა „წიგნიერება“ გულისხმობს კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს [2.7]. თანამედროვე გაგებით, წიგნიერება ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის მოგვარების უნარია იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ცხოვრების განმავლობაში იძენს. ჩვენს ქვეყანაში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, თანამედროვე ცივილიზებული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არსებული განათლების სისტემის რადიკალურ გარდაქმნას, რათა პასუხი გაეცეს იმ ახალ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც თანამედროვე პროგრესული საზოგადოება დგას. საერთაშორისო კვლევებმა, რომლებიც პერმანენტულად ტარდება ჩვენს ქვეყანაში, აჩვენა ამ გამოწვევებისთვის ჩვენი ახალგაზრდების ნაკლები მზაობა [1], რამაც კიდევ უფრო აქტუალური გახდა ამ მიმართულებით რეფორმის გატარება.

საქართველოს განათლების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია დაწყებითი განათლების საფეხურს. ამ უკანასკნელის მიზანია საყოველთაო წიგნიერება, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ინდივიდის მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და მის წარმატებულ საქმიანობას საზოგადოებრივი ურთიერთობის ნებისმიერ სფეროში. დაწყებით კლასებში ყველაზე მეტად გვმართებს წიგნიერების საბაზისო უნარ-ჩვევების დამკვიდრება, რათა საბაზო-საშუალო საფეხურზე მოხდეს მიღებული ცოდნის ტრანსფერი სხვადასხვა მიმართულებით. ყველაზე საჭირო ადგილი, სადაც კითხვა უნდა შევავსოთ მოსწავლეებს, სწორედ დაწყებითი საფეხურია. სწორედ აქ სწავლობენ მოსწავლეები ტექსტთან მუშაობის, გაგება-გააზრების, წერის კულტურის, ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის უმარტივეს უნარ-ჩვევებს. ბავშვის განვითარებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ თუ ბავშვი წიგნიერ გარემოში იზრდება, მასში ბუნებრივად ჩნდება სასკოლო ამოცანების გადაჭრის მზაობა, ვინაიდან მან უკვე ბევრი რამ იცის კითხვისა და წერის პროცესების შესახებ. გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა ახალი ხედვა ე. წ. ემერჯენტული* წიგნიერების შესახებ. იგი გამოიყენება ადრეული ასაკიდანვე „კოგნიტური ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, ბავშვის განვითარების თეორიისა თუ სოციალური ინტერაქციის თეორიის პერსპექტივიდან დანახულმა სურათმა ბავშვის, როგორც კითხვისა და წერის შემსწავლელის სრულიად ახალი პორტრეტი გამოსახა“ [2.14]. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ კვლევის ანგარიშში წერია: „წიგნიერება განისაზღვრება, როგორც საზოგადოების მიერ ღირებულად მიჩნეული და/ან ინდივიდისათვის ფასეული წერილობითი ენობრივი ფორმების გაგებისა და გამოყენების შესაძლებლობა. პატარა მკითხველებს უნდა შეეძლოთ მრავალფეროვანი ტექსტების შინაარსის გაგება...“

* ემერჯენტული - უცებ აღმოცენებადი, რომელიც თვისებრივად განსხვავებულია მისი ელემენტებისგან. ემერჯენტული წიგნიერების კონცეფციის თანახმად, უნარები, დაკავშირებული ზეპირ და წერით მეტყველებასთან, ვითარდება ჩვილობის ასაკიდან და ნელ-ნელა იხვეწება. ამგვარად, კითხვისა და წერის უნარების ადრეულ გამოვლინებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ბავშვის შემდეგი ქცევები: ბავშვი ისმენს სხვების მიერ მოყოლილ ისტორიებს, მანამდეც, სანამ თავად დაიწყებდეს გაბმულ მეტყველებას; ჯღაბნის ფურცელზე, სანამ წერას დაიწყებდეს, ვითომ კითხულობს და ფურცლავს წიგნს, სანამ ნამდვილ მკითხველად ჩამოყალიბდება.

კითხვის, როგორც ერთიანი შემოქმედებითი პროცესის გაანალიზება სამ საფეხურად შეიძლება დაგვით: „პირველი ფაზა - (წაკითხვამდე): ამ ფაზაზე გამოყენებული მეთოდები/სტრატეგიები ხელს უწყობს მოსწავლეს/მკითხველს, გაიხსენოს, რა იცის უკვე ამ საკითხის შესახებ. იგულისხმება როგორც საკუთარი ცოდნის, ისე დამოკიდებულების შეფასება. ასევე მოსწავლეს უნდა აღედრას ინტერესი და ცნობისმოყვარეობა ტექსტის მიმართ. ამ ფაზის მნიშვნელოვანი შედეგია მკითხველის მიერ კითხვის აქტიულობაში მონაწილეობის მიზნის გაცნობიერება და მოტივაციის შექმნა.

მეორე ფაზა - კითხვა, ამ ფაზაში გამოყენებული მეთოდები/სტრატეგიები ხელს უწყობს მოსწავლეს/მკითხველს წაკითხულისა და ტექსტის შინაარსის გააზრებაში....

მესამე ფაზა - ამ ფაზაში გამოყენებული მეთოდები/სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეს/მკითხველს საბოლოოდ შეაჯამოს წაკითხულის შინაარსი. ასევე დაფიქრდეს უკვე წაკითხულის გააზრების ხარისხის შესახებ. ამ საფეხურზე მკითხველი გამოკვეთს იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია“ [4, 20].

მასწავლებელმა შეიძლება გაკვეთილის დაგეგმვის დროს შეავსოს კითხვის აქტიუობის სამფაზიანი მოდელის სქემა ცხრილის სახითაც:

წაკითხვამდე	კითხვის დროს	წაკითხვის შემდეგ

2011 წლის საერთაშორისო კვლევამ საქართველოში კითხვისა და მათემატიკის სავალალო შედეგები აჩვენა [PIRLS-2011]. სწორედ ამან განაპირობა საზოგადოებისა და ამ მიმართულებით განათლების სფეროში მომუშავე ადამიანების შეშფოთება. ყველაზე უფრო ეფექტურად ამ გამოწვევისთვის პასუხის გაცემა სცადა საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტმა (G-PRIED). აღნიშნული ინტერვენცია ხორციელდება საქართველოს დაწყებითი განათლების (G-PriEd) 5-წლიანი პროექტის ფარგლებში აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. 2013-2014 წლის საპილოტე ეტაპისთვის შეირჩა 121 სკოლა. 2014 წლიდან მომდევნო ეტაპზე დამატებით სკოლებს მიეცათ პროექტში ჩართვის შესაძლებლობა და მათი რიცხვი გახდა 500. სკოლებს პროექტმა შესთავაზა სრულიად ახლებური მიდგომები, რომელიც რამდენიმე პუნქტად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- მოსწავლეზე ორიენტირებული ახალი სასწავლო სტრატეგიები;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა;
- განმავითარებელი და დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები;
- მშობელთა ჩართულობის პროგრამა.

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) ხელს უწყობს ინოვაციური, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დანერგვას და მისი მთავარი მიზანია დაწყებითი I-VI კლასების მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება წიგნიერებაში, მათემატიკასა და მეწარმეობაში.

წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი კომპონენტია ჩემი, როგორც პროექტის ტრენერის ვიზიტებისა და საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ფურცლებზე ასახული ინფორმაციისა და მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე განხილული ინფორმაციის ზოგადი ანალიზი, თუ რამდენად ეფექტურად იმუშავა კითხვის სტრატეგიების მრავალფეროვნებამ საგაკვეთილო პროცესში. ის, თუ მოსწავლეს ტექსტთან მუშაობის რამდენად ალტერნატიულ მეთოდებს ვთავაზობთ, ერთმანეთს შევადარე სხვადასხვა სასწავლო გარემო, ერთმანეთისაგან განსხვავებული პედაგოგიური, მატერიალური რესურსების მქონე, განსხვავებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში განხორციელებული ერთი და იგივე აქტივობების შედეგები. თითოეული ვიზიტის დროს დაკვირვება ხდებოდა 4 ან 3 საგაკვეთილო პროცესზე და მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე. აქ მოცემულია იმ სამუშაო ჯგუფების განხილვა, რომლებსაც ერთნაირი თემატიკა ჰქონდათ, კერძოდ მონაცემთა ანალიზი, თუ რა პრობლემა აჩვენა კლასში ჩატარებულმა დიაგნოსტიკურმა ტესტირებამ და რა აქტივობები დაიგეგმა დადგენილი პრობლემის აღმოსაფხვრელად. ნაშრომში ასევე განხილულია ის რეკომენდაციები, რომლებიც მასწავლებლებს კონკრეტული მოსწავლეების მიმართ ჰქონდათ გაგება-გააზრების გაუმჯობესების, გაწაფული/გამართული კითხვის უნარების დასახვეწად. სულ განვახორციელე 16 ვიზიტი, საერთო ჯამში დაკვირვებული გაკვეთილების რაოდენობამ 60-ს მიაღწია.

დაკვირვების პროცესში მასწავლებლების მიერ გაკვეთილის გეგმები საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით იყო შედგენილი, სადაც ეროვნული სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე ტრადიციული მოთხოვნების გარდა ყურადღება გამახვილებული იყო სწავლების დიფერენციალურ მიდგომებზე, კითხვის სტრატეგიების მრავალფეროვნებაზე, გასასვლელ ბარათებსა და სხვადასხვა სქემების შევსებაზე, რომლებიც მოსწავლეების კოგნიტურ

უნარებზე იყო გათვლილი. ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო განმავითარებელი შეფასებისა და დიაგნოსტიკური ტესტების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.

ლექსიკური მარაგის სიმდიდრე გაწაფული კითხვის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები, რომელთაც სიტყვის მდიდარი მარაგი აქვთ, კარგი მკითხველებიც არიან. ამიტომ მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა „სიტყვის კედელი“, ანუ წაკითხვამდელ ფაზაზე ახალი ლექსიკური ერთეულების განხილვა. მოსწავლეები აცნობიერებდნენ ახალი სიტყვების შინაარსს და ტექსტის წაკითხვის დროს მიზნობრივად იყენებდნენ. ამ აქტივობის დროს მოსწავლეები იმდიდრებდნენ ლექსიკურ მარაგს, ივითარებდნენ ახალ სიტყვებზე მუშაობისა და სხვადასხვა კონტექსტში მათი ადეკვატურად გამოყენების უნარ-ჩვევებს, ივითარებდნენ მსჯელობის, წაკითხული ტექსტის გაგებისა და ანალიზის უნარს.

მასწავლებლების მიერ ერთ-ერთ ხშირად გამოყენებულ აქტივობას წარმოადგენდა სიტყვის/ცნების რუკის სხვადასხვა ვარიაციები. იგი გამოიყენებოდა როგორც ახალი ლექსიკური ერთეულის შესასწავლად, ისე უკვე ნაცნობი სიტყვის/ცნების სიღრმისეულად გასააზრებლად [5.173]. იგი განსაკუთრებით ეფექტური იყო საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობის დროს. ნაცნობი სიტყვების სიმრავლე ხელს უწყობდა უცნობი სიტყვების დეკოდირების პროცესს და მოსწავლეებს კარგ მკითხველებად აყალიბებდა.

ჯიპრაიდის მიერ მასწავლებლებისთვის შეთავაზებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება საკლასო სივრცეში. პროექტმა შეიძულება გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული მეთოდების/აქტივობების ცხრილი [5. 208-210]. ამ აქტივობების განხორციელების დროს მასწავლებლები ყურადღებას აქცევდნენ იმას, თუ რა არის კითხვის მთავარი დანიშნულება, რას ნიშნავს წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება და როგორ კითხულობენ ეფექტური მკითხველები, როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს გაგება-გააზრების სტრატეგიები და რა მეთოდები გამოვიყენოთ მათზე მუშაობის პროცესში და როგორ შევაფასოთ გაგება-გააზრების უნარი?

მასწავლებლები ძირითადად გაგება-გააზრების აქტივობებს ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდნენ: წინარე ცოდნის გააქტიურება, ვარაუდების გამოთქმა, ტექსტის სტრუქტურის დადგენა, კავშირების დამყარება, შეკითხვების დასმა, წარმოსახვა/ვიზუალიზაცია, შეჯამება/ძირითადი აზრის გამოკვეთა და თვითმონიტორინგი. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში, ცდილობდნენ ახალი ტექსტის შესახებ გამოეთქვათ ვარაუდები, უკავშირებდნენ მიღებულ ცოდნას ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ყველაზე ეფექტურად მუშაობდნენ ის მოსწავლეები, რომლებთანაც მასწავლებელს შეჰქონდა კლასტერული რუკა. ამ რუკის საშუალებით ხდებოდა ინფორმაციის თვალსაჩინოდ ორგანიზება, რაც ეხმარებოდა მოსწავლეებს, გაეაზრებინათ ცნება/სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში, აჯერებდნენ ძველ და ახალ ცოდნას და ასწორებდნენ შეცდომებს. საკლასო მუშაობის ეფექტურობა იზრდებოდა, თუ დავალებების შესრულება ხდებოდა შერეული პრინციპით, ანუ კლასი სხვადასხვა დავალებებზე მუშაობდა როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ეფექტი იზრდებოდა დიფერენცირებული მიდგომით: ინდივიდებზე და ჯგუფებზე მორგებული დიფერენცირებული დავალებები, რომლებიც მოსწავლეების ჩართულობასა და შედეგზე გასვლას ზრდიდა.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც მასწავლებლების მიერ ხშირად გამოყენებული, ასევე მოსწავლეების ერთ-ერთი საყვარელი აქტივობა იყო პერსონაჟის რუკა. ეს აქტივობა ხელს უწყობს ტექსტში პერსონაჟის შესახებ ყველა ინფორმაციის მოძიებას, გააზრებას და დასკვნების გამოტანას, არგუმენტების უნარის განვითარებას ტექსტიდან სათანადო ადგილების მოშველიებით და პერსონაჟის მიმართ მოსწავლეების დამოკიდებულების უნარის განვითარებას.

თანამედროვე საგანმანათლებლო კვლევების მიხედვით დაწყებითი კლასების საკლასო შეფასების ერთ-ერთი აქტიური ფორმა არის განმავითარებელი შეფასება. იგი მიზნად ისახავს დადგინდეს, თუ რა აითვისა მოსწავლემ, კიდევ რა და როგორ უნდა ისწავლოს. ამავ დროს, განმავითარებელი შეფასება ეხმარება მოსწავლეს, ამცირებს მოსწავლეთა მიღწევის დონეებს შორის სხვაობას და ამადლებს კლასის საერთო დონეს. რაც უფრო ზუსტად და დროულად დაადგენს მასწავლებელი მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს კითხვის ფაზების განხორციელების დროს, მით მეტია სასწავლო პროცესში ეფექტური კორექტივების შეტანის შანსი.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები და სხვა.

როგორც ყველა გაკვეთილის, კითხვის გაკვეთილის მნიშვნელოვანი ატრიბუტია შეფასება. ჯიპრაიდის რეკომენდაციების მიხედვით გაგება-გააზრების უნარის შემოწმების/შეფასების ყველაზე

გავრცელებული ხერხია შეკითხვების დასმა. შეკითხვები შეიძლება ეხებოდეს ტექსტში პირდაპირ მოცემულ, ფაქტობრივ ინფორმაციას ან დაფარულ, ნაგულისხმევ აზრებს, რომლებზე პასუხიც ანალიზსა და ჩაწვდომას მოითხოვს [5. 279]. მასწავლებლები ტექსტის წაკითხვის შემდეგ სვამდნენ ექსპლიციტურ და იმპლიციტურ შეკითხვებს, მოსწავლეების დახმარებით ანალიზებდნენ ტექსტს, შლიდნენ მას ნაწილებად, ან პირიქით, წინასწარ დაშლილ ტექსტს ამთლიანებდნენ. ასათაურებდნენ აბზაცებს, ასრულებდნენ დაუმათავრებელ წინადადებებს ან მთლიანად ტექსტს. ეს ხელს უწყობდა მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარებისა და ფანტაზიის განვითარებას.

ამრიგად, საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პოსტულატი დასკვნის სახით:

- მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რესურსების მიზნობრიობა და საკლასო მუშაობის მეთოდების მრავალფეროვნება დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე კითხვაში.
- კითხვის სტრატეგიების მრავალფეროვნება, რომლებიც მოსწავლეებს მიზნობრივად მიეწოდება ზუსტი ინსტრუქციებით, შესაბამისი აქტივობების განხორციელებით დადებითად აისახება მოსწავლეების განწყობაზე საგაკვეთილო პროცესში; გაკვეთილი ხდება ხალისიანი და შედეგიც უფრო თვალსაჩინოა.
- მასწავლებლის მიერ რესურსების წინასწარ მომზადება, რომლებიც გათვლილია მოსწავლეების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, ასევე, დიფერენცირებული მიდგომები ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობისა და რესურსების მიწოდების მიმართულებით, დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე. იზრდება თანამშრომლობის ხარისხი და მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.
- მოსწავლეების გაწაფულ მკითხველებად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია ლექსიკური მარაგის გამდიდრება სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით. მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდები უცნობი სიტყვების შესახებ, ნასწავლი სიტყვები დააკავშირონ ტექსტთან, შეძლონ მათი ადეკვატური აღქმა სხვადასხვა კონტექსტში.
- გაკვეთილის შეფასების პროცესში მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმები, მოახდინოს მოსწავლეების ინდივიდუალური, ჯგუფური შეფასება, მისცეს მოსწავლეებს საშუალება შეაფასონ ერთმანეთი. შეფასების პროცესში მასწავლებელი უნდა იყოს ობიექტური, მოსწავლეს დაუკონკრეტოს, რის გამო შეაფასა და მისცეს შეცდომის გამოსწორების საშუალება.
- ჯიპრაიდის მიერ შექმნილი რესურსების მიზნობრივი გამოყენება კითხვის გაკვეთილზე ეფექტიანია და მრავალ შედეგზე შეიძლება გაიყვანოს მოსწავლე. მთავარი კი ისაა, რომ კითხვის სტრატეგიების მრავალფეროვნება კლასის აკადემიური მოსწრების პირდაპირპროპორციულია.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016.
2. წიგნიერება, PIRLS 2006. საქართველოში, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2008.
3. წიგნიერება, წიგნიერება. მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები, PIRLS 2011. გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2013.
4. კითხვის ეფექტური მეთოდები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2013 (დისკი და სამუშაო რვეული)
5. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე I-VI კლასებში, სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, თბ., 2015.
6. პაპავა პ., ჭანტურია თ., წიგნიერება, თბ., სამოქალაქო განვითარების სააგენტო, 2012.
7. როგორ ვასწავლოთ კითხვა, გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბ., 2010.
8. კვირკველია ე., ჭელიძე ი., კითხვის სწავლების ეფექტური მეთოდები (file:///C:/Users/david%20chochishvili/Downloads/2574.pdf)
9. ელ. რესურსები:
 - ა. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>
 - ბ. <http://videochannel.iliauni.edu.ge/> კითხვის-სტრატეგიები

**THE EFFICACY OF THE MULTICITY STRATEGIES OF READING PROCESS AT PRIMARY SCHOOLS
RESUME**

In accordance of the national training program literacy is one of the significant competences. It includes the ability of lingual using for reading, writing, audition and communication process.

The international investigations in Georgia (PIRLS) revealed that the degree of literacy in the country is lower than average. The project of the primary education of Georgia (G-PRIED) conducts the study which should improve the above-mentioned abilities. The aim of the project is the improvement of the skills of reading and math among primary schools. At the initial phase, the project covered about 121 schools. Now, about 500 schools are involved in this study.

With effort of the project participants, lots of recommendations have been established; the resources have been prepared; the activities have been adapted at auditoriums of schools. All those efforts significantly promoted the degree of literacy.

Based on the researchers, the more intentional reading activities are fulfilled by teachers during lessons, the higher degree of literacy is revealed.

1.

2.

3.

4.

5.

6.

7.

8.

1. : . . . [], . ., 2004
2. . . . 23
3. . 2015 . . . , 2015
4. [], . ., 1991
4. XIV » , 26-27 2017 . ,
- , 2017 .

Natela Khinchagashvili, Nino Markarova

Gori State Teaching University

LINGUISTIC SCHOOL AS A FORM OF TRAINING RUSSIAN LANGUAGE AS A FOREIGN RESUME

This article discusses models of summer language school, which creates conditions to improve the potential of full-fledged speech developments of students, it focuses on developing informative, sociocultural, linguistic, communicational and compensatory competence. According to the purpose of the school its objective is the development of speech and creative abilities of the listeners. To achieve the goals, according to the authors, we must use the methods of games, competitiveness and collective creative activities. There is description in this article of the organization forms of summer language school, which contribute the main result – successful development of communication and creative abilities of pupils and their high motivation for further studying.

ადამიანის ფენომენი და აღზრდის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“

რუსთაველის მსოფლმხედველობაში ადამიანის ფენომენი მჭიდროდ უკავშირდება აღზრდის პრობლემას. „ვეფხისტყაოსნის“ „კაცი“ არ არის განყენებული და განცალკევებული მომენტი. იგი ცოცხალი ადამიანია, რომელსაც ყველა თავისი თვისებით გარკვეული ადგილი უკავია კონკრეტული საზოგადოებისა თუ ქვეყნის მთლიანობაში. პოემა დაცლილია რელიგიურ-მისტიურ ზრახვათაგან. ეს არის „სამთა გმირთა მნათობთა“ ამბავი, თუმცაღა სულ იგრძნობა, რომ „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.

რუსთაველი საკუთარ პერსონაჟებს გვაცნობს ჭირსა და ლხინში, ბედსა თუ უბედობაში, რითაც საშუალებას გვაძლევს მრავალმხრივად დავინახოთ ისინი და, აქედან გამომდინარე, ზოგადად ადამიანის ფენომენზეც ვიმსჯელოთ.

პოეტის გაგებით, ადამიანის მთავარ ღირსებას მოვალეობათა განსაზღვრა და მათი შესრულება წარმოადგენს, თუმცა კაცთა მოდგმისთვის ამ პასუხისმგებლობის აღება თანდაყოლილი ნიჭი როდია. ისინი ხშირად სისუსტეს ავლენენ მნებლედობისას, არანაკლებ კარგავენ წონასწორობას ბედნიერების ჟამს:

„აგრეთვე გული კაცისა მოსაგვარებლად მნელია,
ჭირსა და ლხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია,
მიწყლივ წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია“

კაცის „გულის მოსაგვარებლად“ რუსთაველი აღზრდას, სწავლას, გამოცდილებასა და თანადგომას მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟები იდეალურები არიან, პოეტმა კარგად იცის, რომ ცოცხალი ემპირიული ადამიანი მრავალი ნაკლის შემცველია:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
გული-ჟამ-ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მდომელი,
გული-ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი.“

ამ სტრიქონებში რუსთაველი სრულიად გარკვევით საუბრობს ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ ემპირიულ ფაქტორზე, როცა პიროვნება გულისთქმას ჰყვება, თუმცაღა პოემაში არაერთგზის არის მინიშნება იმაზე, რომ ღირსეულმა ადამიანმა „კრული გულის“ სურვილები, ძლიერი გონის გადაწყვეტილებით უნდა დათრგუნოს. ამ მხრივ საინტერესოა ავთანდილის ლოცვა:

„მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო!“

აქედან ნათლად ჩანს, რომ რუსთაველს სწორედ ის მიაჩნია მთავარ საქმედ, რომ მისი გმირები ფლობდნენ თავის „გულის თქმათა“. ისინი არ უნდა აყვნენ შემთხვევითს და ცალმხრივს, ისინი უნდა ავიდნენ მთლიან თვალსაზრისამდე. ამისთვის კი საჭირო იქნება ცოდნისა და სწავლის სათანადო გაგება.

ტერმინი - „გულის ხმა“, „გულის ხმა ყოფა“ გვხვდება ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში, ყველაზე გარკვევით ი. პეტრიწთან.

როგორც უკვე ვთქვით, ყველა დროის უდიდესმა პოეტმა და ფილოსოფოსმა შოთა რუსთაველმა კარგად იცის, რა სისუსტეები ახასიათებს კაცთა მოდგმას. სწავლითა და აღზრდით კი ეს ნაკლოვანებები პოეტს სრულიად დასაძლევად მიაჩნია. სიხარბე-სიძუნწე რომ ადამიანის ბნელი მხარეა, ის ამაზე პირდაპირ საუბრობს:

„რა ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა,
დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრჭენასა,
შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა.“

ადამიანის ამ ამორალურ სურვილს, ოქროს მოხვეჭით მოიპოვოს პრივილეგიები, სხვათა თვალში რუსთაველი როსტევან მეფის ბრძნულ სწავლებას უპირისპირებს:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების!
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
უხვად გასცემდი!-ზღვათაცა შესდის და გაედინების.
მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა რგულია;

უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჟამა - დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!
რასაცა გასცემ, შენია, რასც არა დაკარგულია!“

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რუსთაველის აზრით, ცოდნას, სწავლას ალტერნატივა არ გააჩნია. არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმას, თუ რამდენად ახერხებს კაცი „ფილოსოფოსთა ბრძნობის“ ცხოვრებაში გამოყენებას. და თუ ეს ორი სათნოება - სიბრძნე და მისი პრაქტიკული გამოყენება - ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ პიროვნება იდეალურ სულიერ წონასწორობას აღწევს:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს, ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
მით ვისწრაფებით, მოგვეცეს შერთვა ზესთმწყობრთა წყობისა.“

ღრმად იცნობს რა ადამიანის ფენომენს, რუსთაველი არ ეყრდნობა მხოლოდ სწავლა-განათლებას. ტარიელს სიბრძნე არ აკლია, თავად ამბობს:

„საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად.“

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ტარიელის მაგალითზე ნათლად გვიჩვენებს, რომ „ლაშქართა და ქვეყანათა“ პატრონიც კი ცხოვრების ბედუკუდმართობამ შეიძლება უსუსურ მდგომარეობაში ჩააგდოს. სატრფოსთან გაყრილ ხელქმნილ ტარიელს, როცა ავთანდილი სიბრძნეს მოაგონებს და მისგან ადეკვატურ საქციელს ითხოვს, ვეფხისტყაოსანი რაინდი პასუხობს:

„ბრძენი ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა
ეს საუბარი მაშინ ხამს თუცაღა ვიყო ცნობასა...“

მაშასადამე, სიბრძნისათვის აუცილებელია ნორმალური მსჯელობის უნარი, მისი დაკარგვა სიბრძნისაკენ გზის დაკარგვას უდრის. ამ შემთხვევაში თანადგომა ადამიანისთვის ფასდაუდებელი სამსახურია. მხოლოდ საკუთარ თავთან „თათბირი“ გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანისათვის არცთუ სასიკეთოა „ნუ მიჰყოლიხარ თავისა თათბირსა გაგონებასაო“ - ეუბნება ავთანდილი ტარიელს. აქ საკუთარი თავის უნდობლობის ქდაგება კი არაა; ასეთი რამ რუსთაველისათვის მიუღებელია; მაგრამ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ტარიელია ჩავარდნილი, როცა ის საკუთარ თავს „ხელქმნილს“ უწოდებს, მისი გონება აღარაა ის ხელმძღვანელი, რომლის მიყოლა შესაძლებელია სწორი გზის „გამოსარჩევად“.

რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ნათლად აყალიბებს პოზიციას, რომ ადამიანის პიროვნების ფორმირებაში გადამწყვეტი როლი „სწავლებაშია“. ამ გზით კაცი ხდება განსწავლული, აღწევს „ქმნას გულისა“. ვისაც ეს არ შეუძლია, იგი არაა ბრძენი, არ ძალუმს „ჭირსა შიგან გამაგრება“ და ეს ყველაფერი მან საკუთარ „ცნობას“ ანუ გონიერებას, ცოდნის უქონლობას უნდა დააბრალოს:

„თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა,
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსა,
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.“

რუსთაველი ხშირად მოიხმარს ტერმინს - „ცნობა“, რომელიც უმეტეს შემთხვევაში საღ მსჯელობას უდრის, ამ სახით „ცნობა“ ნორმალური აზროვნების მაჩვენებელია და იმდენად „ბრძნობისთვის“ აუცილებელ პირობას შეადგენს.

გვესაუბრება რა პოეტი „მწვრთნელისა“, და „წვრთნის“ ფასდაუდებლობაზე, არ ივიწყებს ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. წარმატების საწინდარი მხოლოდ „გულის მოგვარების“ მეთოდებსა და „მწვრთნელის პროფესიონალიზმში როდია, არამედ საწვრთნელ ობიექტშიც. რუსთაველის აზრით, ადამიანს, პირველ რიგში, თვითონ უნდა ჰქონდეს მისწრაფება განვითარებისაკენ. სხვა შემთხვევაში შეიძლება მწვრთნელის ძალისხმევა უშედეგოდ დარჩეს. ამიტომ ამბობს პოეტი, რომ „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

ადამიანის ფენომენის ღრმად მცოდნე პოეტი კარგად აცნობიერებს იმასაც, რომ სწავლება სხვადასხვა პიროვნებაზე ინდივიდუალურად აისახება. ავთანდილი და ტარიელი უმაღლეს ფეოდალურ იერარქიას განეკუთვნებიან, ორივე განათლებული და ყველა რაინდული ღირსებით შემკულია, თუმცაღა, კრიტიკულ მომენტებში, ტარიელს უჭირს ლავირება, ამ მხრივ ავთანდილი უნაკლოა. მის გონებას ხელეწიფება გულისთქმათა დაოკება. ტარიელს განსაცდელი ფაქტიურად უმოქმედოდ ხდის, მას აუცილებლად სჭირდება თანადგომა და გამხნელება, ამის გამო ხშირად ხდება ავთანდილის კრიტიკის საგანი:

„ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იგი ბრძენთა თქმულებრ,
ვისთვის კვდები ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ“.

ამ დახვეწილ პოეტურ ფორმაში რუსთაველი ნათლად გვიჩვენებს, რომ ნამდვილი სიბრძნე ცხოვრებისაგან გაქცევა კი არ არის, არამედ მის შუაგულში ყოფნასა და მასთან ბრძოლაში იმალება.

რუსთაველი, როგორც დიდი ჰუმანისტი, სისუსტეების გამო არ განიკითხავს თავის პერსონაჟებს:
„რა აქიმი დასნეულდეს. რაზომ გინდა საქებარი,

მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყობარი,
მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი:
სხვისი სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.“

ყველა დროისდროის იგავმიუწვდომელი მასწავლებელი ისე მეთოდურად და ნაბიჯ-ნაბიჯ წვრთნის მკითხველს, რომ „გონიერს“ სწორი დასკვნების გამოტანა არ უნდა გაუჭირდეს.

პოეტი იდეალური, სრულყოფილი ადამიანისკენ ისწრაფვის. კარგად აცნობიერებს რა „კრული გულის“, ბნელი მხარეების არსებობას ყველა ჩვენგანში, ამ ნეგატივთან ბრძოლის იარაღად მას მხოლოდ სწავლა-აღზრდა მიაჩნია. რისი შედეგი შეიძლება იყოს ჭეშმარიტად სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბება? რუსთაველის აზრით, ასეთი შედეგი მხოლოდ პროფესიონალი მწვრთნელისა და გონიერი გასაწვრთნელის შემთხვევაში შეიძლება დადგეს.

Gulnara Jioshvili

LEPL Gori Municipality Village Ateni Public School

**THE PHENOMENON OF MAN AND THE PROBLEM OF UPBRINGING IN “THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN”
RESUME**

In the Conference Scientific work the pedagogic issues is thematically represented. Particularly, how phenomenon of the human being and the nurture problems has been discussed in “Vefkhistaosani”.

Each matter illuminated in this work, I suppose to be valuable and significant.

From the specifics and the initial purposefulness of the work, this small volume stretch(work) includes all the information relating to the issue.

It is clear from the title, what question is put and which field the raised question belongs to.